

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი
NIKO BERDZENISHVILI INSTITUTE
BATUMI SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY

ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილება
Department of History and Archaeology

ბათუმი წარსული და თანამედროვეობა

VIII

BATUMI PAST AND PRESENT

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის
მასალები, ბათუმი, 2017 წლის 1-2 სექტემბერი
Proceedings of the International conference
Batumi, 1-2 September, 2017



გამომცემლობა
„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
ბათუმი – 2017

UDC (უკ) 378.4(479.223)(063)+94(479.223-25)

ბ-179

*სარედაქციო კოლეგია მადლობას უხდის ქალაქ ბათუმის მერიას
კონფერენციისა და კრებულის დაფინანსებისათვის*

სარედაქციო კოლეგია: ბიჭიკო დიასამიძე (*მთავარი რედაქტორი*), ხათუნა დიასამიძე, ირინა ვარშალომიძე, გიორგი თავამაიშვილი, ოთარ თურმანიძე, ნინო ინაიშვილი, ნოდარ კახიძე, გურამ ლორთქიფანიძე (თბილისი), როინ მალაყმაძე, სულხან მამულაძე, ავთანდილ ნიკოლეიშვილი (ქუთაისი), გელა საითიძე (თბილისი), უჩა ოქროპირიძე, შუშანა ფუტყარაძე, ელზა ფუტყარაძე, გურამ ჩაგანავა, მაია ჭიჭილეიშვილი, ოლეგ ჯიბაშვილი (*პასუხისმგებელი რედაქტორი*).

რეცენზენტები: ნანა ხახუტაიშვილი – ისტორიის დოქტორი
მამია ფაღავა – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
ჯემალ კარალიძე – ისტორიის დოქტორი

EDITORIAL BOARD: Bichiko Diasamidze (*Editor-In-Chief*), Khatuna Diasamidze, Irina Varshalomidze, Giorgi Tavamaishvili, Otar Turmanidze, Nino Inaishvili, Nodar Kakhidze, Guram Lortkipanidze (Tbilisi), Roin Malakmadze, Sulkhan Mamuladze, Avtandil Nikoleishvili (Kutaisi), Gela Saitidze (Tbilisi), Ucha Okropiridze, Shushana Phutkaradze, Elza Phutkaradze, Guram Chaganava, Maia Chichileishvili, **Oleg Jibashvili** (*Responsible Editor*).

REVIEWERS: Nana Khakhutaishvili – PhD in History
Mamia Pagava – Doctor of Philological Sciences
Jemal Karalidze – PhD in History

ISSN 1987-8745

© ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი – 2017

© „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ – 2017

სარჩევი – Contents

მაია აზმაიფარაშვილი (გორი, საქართველო) ტურიზმის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები აჭარაში Maia Azmaiparashvili (Gori, Georgia) Strategic Directions of Tourism Development in Adjara	18 26
ირინა არაბიძე (თბილისი, საქართველო) ბათუმის ქართული ეროვნული საბჭოს საეკლესიო კომისიის მოღვაწეობის საკითხისათვის (1918 წელი) Irina Arabidze (Tbilisi, Georgia) For the issue of activities of the Church Commission of the Batumi Georgian National Council (1918)	27 35
მერაბ ახვლედიანი, შუშანა ფუტყარაძე (ბათუმი, საქართველო) ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ვასილევსკის დღიურები – „ახალციხიდან გოდერძის უღელტეხილით ბათუმამდე“ (დაკავება ზემო და ქვემო აჭარისა 1878 წელს) Мераб Ахвледiani, Шушана Футқарадзе (Батуми, Грузия) Дневники Н.А.Василевского «От Ахалцыха через Годерский перевал до г. Батума»	36 52
ნარგიზ ახვლედიანი (ბათუმი, საქართველო) კვლავ ერთი ტოპონიმის ექსტრალინგვისტური კვლევისათვის Nargiz Akhvlediani (Batumi, Georgia) Again on the Extralinguistic Study of One Toponym	54 56
ირაკლი ბარამიძე, ხათუნა დიასამიძე (ბათუმი, საქართველო) 1921 წლის მარტის მოვლენები ბათუმში Irakli Baramidze, Khatuna Diasamidze (Batumi, Georgia) 1921 March Events in Batumi	57 65
იზოლდა ბელთაძე-ხინიკაძე (ბათუმი, საქართველო) მერაბ ხინიკაძის მოგონებები ბათუმსა და ბათუმელებზე Izolda Beltadze-khinikadze (Batumi, Georgia) Memories of Merab Khinikadze about Batumi and the Batumians	66 72
ჯემალ ბერიძე (ბათუმი, საქართველო) საქართველოს ტერიტორიების საკითხი ტრაპიზონისა და ბათუმის კონფერენციებზე Jemal Beridze (Batumi, Georgia) The Territorial Issue of Georgia In Trabzon's and Batumi's Conferences	73 83
გია გელაშვილი (თბილისი, საქართველო) ერთი ინგლისური დოკუმენტი ბათუმის შესახებ (1886) Gia Gelashvili (Tbilisi, Georgia) One English Document about Batumi (1886)	85 93

დოდო გელაშვილი-ბერიძე (ახალციხე, საქართველო)	
ბათუმის საკითხი საქართველოს ეროვნულ საბჭოში	94
Dodo Gelashvili-Beridze (Akhaltzikhe, Georgia)	
Batumi Issue in the National Council of Georgia	102
გიული გიგუაშვილი (გორი, საქართველო)	
სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) ძირითადი მიმართულებები აჭარაში	103
Giuli Giguashvili (Gori, Georgia)	
The Main Directions of the European Neighbourhood Program for Agriculture and Rural Development (ENPARD) in Adjara	110
მადონა გოგიტიძე (ბათუმი, საქართველო)	
ბათუმის უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნეობის განვითარების ისტორიიდან	111
Gogitidze madona (Batumi, Georgia)	
From the History of Oriental Studies in Batumi State University	116
ოთარ გოგოლიშვილი (ბათუმი, საქართველო)	
საკრედიტო დაწესებულებები ბათუმში XIX-XX სს. მიჯნაზე	117
Otar Gogolishvili (Batumi, Georgia)	
Credit Institutions in Batumi at the Turn of the XIX- XX Centuries	123
ნანი გუგუნავა (ბათუმი, საქართველო)	
გვარი – ღირსების ფენომენი (ბათუმელ გუგუნავათა შესახებ)	124
Nani Gugunava (Batumi, Georgia)	
Surname - the Phenomenon of Honor (Gugunavas in Batumi)	133
გოდერძი ვაჭრიძე, სულხან კუპრაშვილი (ქუთაისი, საქართველო)	
რუსეთის იმპერიის სამეურნეო-აგარარული პოლიტიკა დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში	135
Goderdzi vachridze, Sulkhan kuprashvili (Kutaisi, Georgia)	
Agricultural Policy of the Russian Empire in Western and Southwestern Georgia	141
თემურ ზოიძე (თბილისი, საქართველო)	
საქალაქო ტურიზმის უსაფრთხოება და გეოინფორმაციული (GIS) სისტემები	142
Temur Zoidze (Tbilisi, Georgia)	
City Tourism Safety and Geoinformation (GIS) Systems	151
ოთარ თურმანიძე (ბათუმი, საქართველო)	
ბათუმის ბოტანიკური ბაღის ისტორიიდან (1912-1940)	152
Otar Turmanidze (Batumi, Georgia)	
From the History of Batumi Botanical Garden (1912-1940)	170
ნოდარ კახიძე (ბათუმი, საქართველო)	
ქალაქ ბათუმის შემოგარენი (კახაბერი)	171

Nodar Kakhidze (Batumi, Georgia) Surroundings of Batumi (Kakhaberi)	179
მარიამ კობერიძე (გორი, საქართველო) ბათუმის საქველმოქმედო საზოგადოებები (XIX ს. მეორე ნახევარი – XX ს. დასაწყისი)	180
Mariam Koberidze (Gori, Georgia) Batumi Charity Societies (II Part of the XIX Century – Beginning of the XX Century)	187
გურამ ლორთქიფანიძე, ინგა ზაბახიძე (თბილისი, საქართველო) ებრაელობა ბათუმის საქალაქო თვითმმართველობაში (1888-1917)	188
Guram Lortkipanidze, Inga Zabakhidze (Tbilisi, Georgia) The Jews in the Batumi City Council (1888-1917)	195
სულხან მამულაძე (ბათუმი, საქართველო) წყალმომარაგების სისტემები გონიო-აფსაროსიდან	197
Sulkhan Mamuladze (Batumi, Georgia) Water Supply Systems of Gonio-Apsarus Ancient Site	208
შორენა მახაჩაძე (ბათუმი, საქართველო) ბათუმი ბათუმელი მწერლების თვალით	211
Shorena Makhachadze (Batumi, Georgia) Batumi from the View of Georgian Writer's	217
მერაბ მეგრელიშვილი, ნიკოლოზ მეგრელიშვილი (ბათუმი, საქართველო) გერმანელები ბათუმში (სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და სამართლებრივი მდგომარეობა)	218
Merab Megrelishvili, Nikoloz Megrelishvili (Batumi, Georgia) Germans in Batumi (Social-Economic, Political and Legal Condition)	226
ნაილე მიქელაძე (ბათუმი, საქართველო) მუჰაჯირობასთან დაკავშირებული პრობლემები XIX საუკუნის პრესაში	230
Naile Mikeladze (Batumi, Georgia) Problems Connected With Resettling in the 19 th Century Press	244
ავთანდილ ნიკოლეიშვილი (ქუთაისი, საქართველო) გიორგი ერისთავი XIX საუკუნის 60-იანი წლების ბათუმის შესახებ	245
Avtandil Nikoleishvili (Kutaisi, Georgia) Giorgi Eristavi about Batumi in the 60s of XIX Century	255
ოთარ ნიკოლეიშვილი (ქუთაისი, საქართველო) რამდენიმე ამერიკული დოკუმენტი ბათუმის ისტორიის შესახებ	256
Otar Nikoleishvili (Kutaisi, Georgia) Some American Documents about the History of Batumi	262

უჩა ოკროპირიძე (ბათუმი, საქართველო)	
ბათუმისათვის ბრძოლა და მისი ასახვა ქობულეთურ თქმულება-გადმოცემებში	263
Ucha Okropiridze (Batumi, Georgia)	
Fight for Batumi and its Reflection in Kobuleti Sayings	269
ქეთევან პავლიაშვილი (თბილისი, საქართველო)	
ბათუმის ოლქი საქართველოს საეგზარქოსოს მისიონერულ პოლიტიკაში (XIX-XX ს-ის დასაწყისი)	270
Ketevan Pavliashvili (Tbilisi, Georgia)	
Batumi Region in the Missionary Politic of Georgian Ekzarkhat (XIX-XX-th Cencury of I Part)	276
გელა საითიძე (თბილისი, საქართველო)	
ივანე გომართელი და აჭარის საკითხი	277
Gela Saitidze (Tbilisi, Georgia)	
Ivane Gomarteli and Issue of Adjara	289
ლელა სარალიძე (თბილისი, საქართველო)	
საფრანგეთის პრესა ბათუმის საკითხის შესახებ (1919-1920 წ.წ.)	291
Lela Saralidze (Tbili, Georgia)	
French Press about Batumi Issue (1919-1920)	297
კახაბერ სურგულაძე (ბათუმი, საქართველო)	
რეზონანსული მკვლელობა ბათუმში	299
Kakhaber Surguladze (Batumi, Georgia)	
Resonant Murder in Batumi	304
რამაზ სურმანიძე (ბათუმი, საქართველო)	
ზნეობრივი ომი ხიმშიაშვილთა ოჯახის წინააღმდეგ	305
Ramaz Surmanidze (Batumi, Georgia)	
The Moral War Against Khimshiashvili's Family	314
თემურ ტუნაძე, ნუგზარ მგელაძე (ბათუმი, საქართველო)	
წყლის მრიცხველების საკითხი ქალაქ ბათუმის წყალმომარაგებაში (XX საუკუნის დასაწყისი)	315
Temur Tunadze, Nugzar Mgeladze (Batumi, Georgia)	
The Problem of Water Meters in Batumi Water Supply (The Early of the 20th Century)	325
Andrzej Furier (Szczecin, Polska)	
Polacy W Najnowszej Historii Batumi	326
ანჯეი ფურიერი (შჩეცინი, პოლონეთი)	
პოლონელები ბათუმის უახლეს ისტორიაში	340
Andrzej Furier (Szczecin, Poland)	
Poles in the Recent History of Batumi	341

მერაბ ფუტკარაძე (ბათუმი, საქართველო)	
ბათუმის გეოგრაფიული მდებარეობის სამეურნეო შეფასება	343
Merab Putkaradze (Batumi, Georgia)	
Economical Appraisal of Batumi's Geographical Location	349
ტარიელ ფუტკარაძე (თბილისი, საქართველო)	
თანამედროვე ბათუმი: ინტერესთა კონფლიქტი და პერსპექტივა	350
Tariel Putkaradze (Tbilisi, Georgia)	
Present-day Batumi: Conflicts of Interests and Perspectives	364
ფრიდონ ქარდავა (ბათუმი, საქართველო)	
პირველი ველოტრეკი XIX საუკუნის 90-იანი წლების ბათუმში (საარქივო სამმართველოს მასალების მიხედვით)	367
Phridon Kardava (Batumi, Georgia)	
"First Velodrome in Batumi in the 90 s of XIX Century" (according to the archival materials)	376
ნანა ქაჯაია (ბათუმი, საქართველო)	
ბათუმის თემა რუს ლიტერატორთა შემოქმედებაში	377
Nana Kajaia (Batumi, Georgia)	
Batumi Topic in Creative Works of Russian Writers	382
ხათუნა ქოქრაშვილი (თბილისი, საქართველო)	
გაზეთი „კავკაზი“ ბათუმის პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობის შესახებ (XIX საუკუნის 80-იანი წლები)	383
Khatuna Kokrashvili (Tbilisi, Georgia)	
Newspaper "Kavkaz" about the Political and Economic Significance of Batumi (80s of the 19th century)	390
ზაურ ციხელაშვილი (თბილისი, საქართველო), ნოდარ ჩხეიძე (ბათუმი, საქართველო), პაატა გიორგაძე (თბილისი, საქართველო)	
შავი ზღვის აუზის მდინარეების წყლის დაბინძურების ხარისხობრივ-კრიტერიული შეფასება-პროგნოზირების მეთოდოლოგია	392
Zaur Tsikhelashvili (Tbilisi, Georgia), Nodar Chkheidze (Batumi, Georgia), Paata Giorgaze (Tbilisi, Georgia)	
Qualitative Criterion Assessment of Black Sea Basin Routes Forecasting Methodology	401
მაია ჭიჭილეიშვილი (ბათუმი, საქართველო)	
ბათუმის ბულვარი-ტრადიცია და თანამედროვეობა	402
Maia Chichileishvili (Batumi, Georgia)	
Batumi Boulevard – Tradition and Modernity	410

თინათინ ჯაბადარი (თბილისი, საქართველო)	
XX საუკუნის 20-იანი წლების ბათუმი და ბათუმის მოსახლეობა მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების ჩანაწერების მიხედვით	412
Tinatin Jabadari (Tbilisi, Georgia)	
Batumi in the Twenties of the XX Century and the Population of Batumi in Accordance With Records of Acts of the Civil Status	420
ოლეგ ჯიბაშვილი (ბათუმი, საქართველო)	
ბათუმელი „კათოლიკე სომხების“ ეროვნული წარმომავლობის საკითხისათვის	421
Oleg Jibashvili (Batumi, Georgia)	
For the Issue of National Origin of the "Catholic Armenians" in Batumi	428

კრებულის ავტორები Authors of the Articles

აზმაიფარაშვილი მაია (გორი, საქართველო)

ეკოლოგიის დოქტორი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპოდენტი (ეკოლოგიის დეპარტამენტი)

Azmaiparashvili Maia (Gori, Georgia)

PhD in Ecology, Associate Professor of Gori State Teaching University, Correspondent Member of Georgian Engineering Academy (Ecology Department)

არაბიძე ირინა (თბილისი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი

Arabidze Irina (Tbilisi, Georgia)

PhD in History, Researcher of Department of Modern and Contemporary History, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ახვლედიანი მერაბი (ბათუმი, საქართველო)

ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

Akhvlediani Merab (Batumi, Georgia)

PhD in Philology, Associate Professor, Batumi Shota Rustaveli State University

ახვლედიანი ნარგიზი (ბათუმი, საქართველო)

ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიის და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

Akhvlediani Nargiz (Batumi, Georgia)

PhD in Philology, Senior Researcher of Department of Folklore, Dialectology and Emigrant Literature Research, Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University

ბარამიძე ირაკლი (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

Baramidze Irakli (Batumi, Georgia)

PhD in History, Associate Professor, Faculty of Humanities, Batumi Shota Rustaveli State University

ბელთაძე-ხინიკაძე იზოლდა (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

Beltadze-khinikadze Izolda (Batumi, Georgia)

Doctor of Historical Sciences, Associate Professor of Batumi Shota Rustaveli State University

ბერიძე ჯემალი (ბათუმი, საქართველო)

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

Beridze Jemal (Batumi, Georgia)

Doctoral Student of the Batumi Shota Rustaveli State University

გელაშვილი გია (თბილისი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

Gelashvili Gia (Tbilisi, Georgia)

PhD in History, Principal Researcher of Department of Modern and Contemporary History, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

გელაშვილი-ბერიძე დოდო (ახალციხე, საქართველო)

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

Gelashvili-Beridze Dodo (Akhaltsikhe, Georgia)

Doctoral Student of the Samtskhe-Javakheti State university

გიგუაშვილი გიული (გორი, საქართველო)

ეკონომიკის დოქტორი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

Giguashvili Giuli (Gori, Georgia)

PhD in Economics, Professor of Gori State Teaching University

გიორგაძე პაატა (თბილისი, საქართველო)

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საიჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

Giorgadze Paata (Tbilisi, Georgia)

Doctor of Technical Sciences, Academician of Georgian Engineering Academy, Professor of Georgian Technical University

გოგიტიძე მადონა (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგი

Gogitidze Madona (Batumi, Georgia)

PhD in History, Teacher of Shota Rustaveli State University

გოგოლიშვილი ოთარი (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

Gogolishvili Otar (Batumi, Georgia)

Doctor of Historical Sciences, Professor of Batumi Shota Rustaveli State University

გუგუნავა ნანი (ბათუმი, საქართველო)

პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორისა და დიალექტოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

Gugunava Nani (Batumi, Georgia)

Doctor of Pedagogical Sciences, Principal Researcher, Department of Folklore and Dialectology, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University

დიასამიძე ხათუნა (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე

Khatuna Diasamidze (Batumi, Georgia)

PhD in History, Assistant Professor of Department of History, Archeology and Ethnology, Deputy-dean at Faculty of Humanities, Batumi Shota Rustaveli State University

ვაჭრიძე გოდერძი (ქუთაისი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

Vachridze Goderdzi (Kutaisi, Georgia)

PhD in History, Associate Professor of Kutaisi Akaki Tsereteli State University

ზაბახიძე ინგა (თბილისი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

Zabakhidze Inga (Tbilisi, Georgia)

PhD in History, Associate Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ზოიძე თემური (ბათუმი, საქართველო)

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი, ტურისტული სააგენტოს „აბ ვიზიტ აჭარა“ გენერალური დირექტორი, ტრენინგების საერთაშორისო ცენტრის ტრენერი

Zoidze Temur (Batumi, Georgia)

Georgian Technical University Doctoral Student, General Director of Tourist Company „AB Visit Adjara“ International Training Center Trainer

თურმანიძე ოთარი (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

Turmanidze Otar (Batumi, Georgia)

Doctor of Historical Sciences, Principal Researcher of Department of History and Archaeology, Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University

კახიძე ნოდარი (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილების უფროსი

Kakhidze Nodar (Batumi, Georgia)

Doctor of Historical Sciences, Head of the Department of Ethnology and Sociological Research, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University

კობერიძე მარიამი (გორი, საქართველო)

ფილოლოგიის დოქტორი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

Koberidze Mariam (Gori, Georgia)

PhD in Philology, Professor of Gori State Teaching University

კუპრაშვილი სულხანი (ქუთაისი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, პროფესორი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

kuprashvili Sulkhan (Kutaisi, Georgia)

PhD in History, Professor, Head of the Department of History and Archaeology at Kutaisi Akaki Tsereteli State University

ლორთქიფანიძე გურამი (თბილისი, საქართველო)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუსი პროფესორი, ისრაელის ცენტრის ხელმძღვანელი, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

Lortkipanidze Guram (Tbilisi, Georgia)

Professor Emeritus of the Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Head of the Israel Center, Correspondent Member of the National Academy of Sciences

მამულაძე სულხანი (ბათუმი, საქართველო)

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი

Mamuladze Sulkhan (Batumi, Georgia)

Graduate Student of the Batumi Shota Rustaveli State University

მახაჩაძე შორენა (ბათუმი, საქართველო)

ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

Makhachadze Shorena (Batumi, Georgia)

PhD in Philology, Professor, Batumi Shota Rustaveli State University

მეგრელიშვილი მერაბი (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Megrelishvili Merab (Batumi, Georgia)

PhD in History, Batumi Shota Rustaveli State University

მეგრელიშვილი ნიკოლოზი (ბათუმი, საქართველო)

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მასწავლებელი; გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მასწავლებელი

Megrelishvili Nikoloz (Batumi, Georgia)

Lecturer at Faculty of Law, Batumi Shota Rustaveli State University; Lecturer, Grigol Robakidze University

მგელაძე ნუგზარი (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Mgeladze Nugzar (Batumi, Georgia)

Doctor of Historical Sciences, Professor, Batumi Shota Rustaveli State University

მიქელაძე ნაილე (ბათუმი, საქართველო)

ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიის და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი; საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი

Mikeladze Naile (Batumi, Georgia)

PhD in Philology, Senior Researcher of Department of Folklore, Dialectology and Emigrant Literature Research, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University; Professor of St. Tbel Abuserisdze Teaching University of Georgian Patriarchate

ნიკოლეიშვილი ავთანდილი (ქუთაისი, საქართველო)

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

Nikoleishvili Avtandil (Kutaisi, Georgia)

Doctor of Philological Sciences, Professor, Head of Department of Georgian Philology, Kutaisi Akaki Tsereteli State University

ნიკოლეიშვილი ოთარი (ქუთაისი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

Nikoleishvili Otar (Kutaisi, Georgia)

PhD in History, Associate Professor, Kutaisi Akaki Tsereteli State University

ოკროპირიძე უჩა (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი; საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

Okropiridze Ucha (Batumi, Georgia)

PhD in History, Principal Researcher of Department of History and Archaeology, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University; Professor of St. Tbel Abuserisdze Teaching University of Georgian Patriarchate

პავლიაშვილი ქეთევანი (თბილისი, საქართველო)

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

Pavliashvili Ketevan (Tbilisi, Georgia)

Doctor of Historical Sciences, Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University; Professor of Georgian Technical University

საითიძე გელა (თბილისი, საქართველო)

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

Saitidze Gela (Tbilisi, Georgia)

Doctor of Historical Sciences, Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Main Scientist-researcher of the Department of Modern and Contemporary History

სარალიძე ლელა (თბილისი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

Saralidze Lela (Tbilisi, Georgia)

PhD in History, Senior Researcher of Department of Modern and Contemporary History, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

სურგულაძე კახაბერი (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

Surguladze Kakhaber (Batumi, Georgia)

Doctor of Historical Sciences, Professor, Batumi Shota Rustaveli State University

სურმანიძე რამაზი (ბათუმი, საქართველო)

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბათუმის სამედიცინო-ეკოლოგიური ინსტიტუტის რექტორი

Surmanidze Ramaz (Batumi, Georgia)

Doctor of Medical Sciences, Professor, Rector, Batumi Medical-Ecological Institute

ტუნაძე თემური (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

Tunadze Temur (Batumi, Georgia)

PhD in History, Professor of St. Tbel Abuserisdze Teaching University of Georgian Patriarchate

ფურიერი ანჟეი (შჩეცინი, პოლონეთი)

ისტორიის დოქტორი, შჩეცინის უნივერსიტეტის პროფესორი

Furier Andrzej (Szczecin, Poland)

PhD in History, Professor, University of Szczecin

ფუტკარაძე მერაბი (ბათუმი, საქართველო)

გეოგრაფიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტის პროფესორი

Putkaradze Merab (Batumi, Georgia)

Doctor of Geography, Professor of Geography Department, Batumi Shota Rustaveli State University

ფუტკარაძე ტარიელი (თბილისი, საქართველო)

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი

Putkaradze Taniel (Tbilisi, Georgia)

Doctor of Philological Sciences, Professor of St. Andrew the First-Called Georgian university of Georgian Patriarchate

ფუტკარაძე შუშანა (ბათუმი, საქართველო)

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუსი პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიის და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების უფროსი

Phutkaradze Shushana (Batumi, Georgia)

Doctor of Philological Sciences, Emeritus Professor, Head of Department of Folklore, Dialectology and Emigrant Literature Research, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University

ქარდავა ფრიდონი (ბათუმი საქართველო)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველოს უფროსი სპეციალისტი

Kardava Phridon (Batumi, Georgia)

Senior Specialist of Sub-department of Ajara Autonomous Republic Government – Archives Administration

ქაჯაია ნანა (ბათუმი, საქართველო)

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

Kajaia Nana (Batumi, Georgia)

PhD in Filology, Associate Professor, Faculty of Humanities, Batumi Shota Rustaveli State University

ქოქრაშვილი ხათუნა (თბილისი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

Kokrashvili Khatuna (Tbilisi, Georgia)

PhD in History, Senior Researcher of the Department of Modern and Contemporary History, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჩხეიძე ნოდარი (ბათუმი, საქართველო)

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საიჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

Chkeidze Nodar (Batumi, Georgia)

Doctor of Technical Sciences, Academician of the Academy of Engineering, Professor of the Batumi Rustaveli State University

ცხელაშვილი ზაური (თბილისი, საქართველო)

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საიჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

Tsikhelashvili Zaur (Tbilisi, Georgia)

Doctor of Technical Sciences, Academician of the Academy of Engineering, Professor of the Georgian Technical University

ჭიჭილეშვილი მაია (ბათუმი, საქართველო)

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

Chichileishvili Maia (Batumi, Georgia)

PhD in Art Criticism, Senior Researcher, Department of History and Archaeology, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University; Professor of Batumi Art Teaching University

ჯაბადარი თინათინი (თბილისი, საქართველო)

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების გამოყენების განყოფილების უფროსი სპეციალისტი

Jabadari Tinatin (Tbilisi, Georgia)

National Archives of Georgia, Senior Specialist of the Department of Use of Documents of the National Archival Fund of Central Archive of Modern History

ჯიბაშვილი ოლეგი (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი; საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი

Jibashvili Oleg (Batumi, Georgia)

PhD in History, Senior Researcher of Department of History and Archaeology, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University; Professor of St. Tbel Abuserisdze Teaching University of Georgian Patriarchate

ტურიზმის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები საქარაში

ტურიზმის ინდუსტრია მსოფლიოს განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების სახელმწიფო შემოსავლების ძლიერი და სტაბილური წყარო გახდა, იგი ერთი მხრივ, საკმაოდ მაღალრენტაბელური და შესაბამისად მიმზიდველი ბიზნესის სფეროა, ხოლო მეორე მხრივ, წარმოადგენს ქვეყნის პრესტიჟს და კონკურენტუნარიანობის ამაღლების მნიშვნელოვან ფაქტორს. მსოფლიოს მრავალი ქვეყანა ტურიზმს თვლის ქვეყნის განვითარების სტრატეგიის მნიშვნელოვან და განუყოფელ ნაწილად. ტურიზმი უზრუნველყოფს ეროვნული კულტურის, ისტორიის, ტრადიციებისა და რელიგიური ფასეულობების საერთაშორისო დონეზე პროპაგანდას.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში მრავალი გეოპოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური თუ სხვა პრობლემები და საფრთხეები არსებობს, ტურისტების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. UNWTO-ს პროგნოზით ყოველწლიურად საერთაშორისო ტურიზმის მოცულობა საშუალოდ 43 მილიონი ადამიანით გაიზრდება და 2030 წელს მათი რაოდენობა 1,8 მილიარდს მიაღწევს. განვითარებადი ქვეყნები ზრდის ტემპით თითქმის ორჯერ გაუსწრებს განვითარებულს [<http://www2.unwto.org/>].

საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიას გააჩნია განვითარების დიდი პოტენციალი. 2017 წლის პირველი ნახევარი საქართველოს ტურიზმისათვის საკმაოდ კარგი მაჩვენებლებით დამთავრდა – ტურისტების 43%-იანი და საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობის თითქმის 18%-იანი ზრდა. ტურიზმის ეროვნული დეპარტამენტის სტატისტიკური კვლევების მიხედვით, 2017 წლის იანვარი – აგვისტოს თვის მონაცემებით საქართველოს 5,059,106 საერთაშორისო მოგზაური ეწვია, ზრდა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან +18.9%-ია. მთლიანი რაოდენობიდან ტურისტების რიცხვმა, რომლებმაც 24 საათი და მეტი დაჰყვეს საქართველოში 2,402,699 შეადგინა (ზრდა +29.4%). ყველაზე მეტი ვიზიტი აზერბაიჯანიდან (+10.4%), სომხეთიდან (+16.8%), რუსეთიდან (+33.9%), თურქეთიდან (-6.6%) და ირანიდან (+141.9%) განხორციელდა. პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მი-

მართულებიდან, საიდანაც საქართველოში ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით, იანვარ – აგვისტოში გამოირჩნენ ნიდერლანდები +38%, გერმანია +32%, გაერთიანებული სამეფო +31% და საფრანგეთი +29%. განსაკუთრებული ზრდა დაფიქსირდა შემდეგი ქვეყნებიდან საუდის არაბეთი +196%, ქუვეითი +178%, ირანი +142% და ინდოეთი +99% [www.gnta.ge].

აჭარის ტურისტულ რეგიონში ვიზიტორთა რაოდენობა გაზრდილია. მიმდინარე წლის, იანვარ-აგვისტოში რეგიონს ყველა ადმინისტრაციული საზღვრის გავლით 1 021 996 უცხოელი ვიზიტორი სტუმრობდა. აქედან, ნახევარ მილიონზე მეტი ვიზიტორი რეგიონს მხოლოდ ზაფხულის ტურისტულ სეზონზე ეწვია, რაც 25%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ პერიოდს. ვიზიტორების რაოდენობა გაზრდილია პოპულარულ ტურისტულ ადგილებშიც. ბათუმის ბოტანიკური ბაღი ვიზიტორების სიმრავლის მხრივ გამორჩეულია. მას მხოლოდ ივნის-აგვისტოში, გასული წლის ზაფხულთან შედარებით 30%-ით მეტი, 160 259 ტურისტი სტუმრობდა. აქედან განსაკუთრებით ბევრი 73 523 სტუმარი კი ბაღმა აგვისტოში მიიღო. ჯამში კი, 8 თვის მონაცემებით, ბათუმის ბოტანიკურ ბაღში, რომელიც რეგიონის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტურისტული ადგილია 35%-ით მეტი, 198 259 ვიზიტორი იმყოფებოდა. სტუმრების სიმრავლე შეინიშნებოდა ბათუმის დელფინარიუმშიც. რეგიონში ტურისტებისთვის საყვარელ ადგილს მხოლოდ ზაფხულში 143 885 (+14%) ვიზიტორი სტუმრობდა. მიმდინარე წლის 8 თვის მონაცემებით დელფინების შოუს 15%-ით მეტი 158, 894 ვიზიტორი დაესწრო.

ზაფხულში 22%-ით მეტი ვიზიტორი სტუმრობდა გონიო აფსაროსის ციხესაც, რომელიც რეგიონში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ კულტურულ-ისტორიულ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს. ივნის-აგვისტოში ციხე-მუზეუმში არსებულ კულტურულ მემკვიდრეობას 49 886 ვიზიტორი გაეცნო. რაც შეეხება 8 თვის მონაცემებს, ის 16%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ პერიოდს და 59 073 ადამიანს შეადგენს.

ბათუმის საბაგიროც იმ ტურისტულ ადგილებს მიეკუთვნება, სადაც ვიზიტორების ზრდა დაფიქსირდა. ივნის-აგვისტოში, საბაგიროს სერვისით 19%-ით მეტმა 190 343-მა ვიზიტორმა ისარგებლა. 8 თვის მონაცემებით კი საბაგიროს 214 602 (+12%) ვიზიტორი სტუმრობდა. მიმდინარე წლის ზაფხულში 28 047 (+20%) ვიზიტორი სტუმრობდა მტირალას ეროვნულ პარკს, რომელიც ყველაზე მეტი პოპულარობით უცხოელ ტურისტებს შორის სარ-

გებლობს. 31%-ით გაზრდილია 8 თვის მონაცემებიც, რაც 35 571 სტუმარს გულისხმობს [<http://adjara.gov.ge>].

მიუხედავად იმისა, რომ ტურიზმი ქვეყანის პრიორიტეტული დარგია და მომიჯნავე დარგებში დიდი მოცულობის ინვესტიციები იდება, როგორც სახელმწიფოს, ასევე, კერძო სექტორის მხრიდან, ტურიზმის დარგის განვითარებისათვის სახელმწიფოს არ აქვს შემუშავებული თანმიმდევრული, დროში გაწერილი გენერალური გეგმა, ისევე, როგორც მისი მონიტორინგისა და შეფასების გეგმა, წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორებითა და საორიენტაციო სამიზნე მაჩვენებლებით, რაც ხელისუფლებას, დონორებს, ინვესტორებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შესაძლებლობას მისცემს, შეეფასებინათ დარგის განვითარების მხრივ მიღწეული პროგრესი და ტენდენციები.

XXI საუკუნის საქართველოს ტურიზმის განვითარების პერიოდში შექმნილი რამდენიმე სტატეგიულ დოკუმენტი, რომელიც საერთაშორისო ექსპერტების თანამონაწილეობით შეიქმნა, „ტურიზმის განვითარების სტრატეგია“ (TASIS) – 2001 წელი და „ეროვნული ტურიზმის განვითარების სტრატეგია და გეგმა“ აშშ-ის ვაჭრობის და განვითარების სააგენტო და SW Associates-2008 წ. აღნიშნულია, რომ ორივე ზემოთხსენებული დოკუმენტი თითქმის იდენტურია ეროვნული ტურიზმის სფეროში არსებული ვითარების შეფასებაში, სექტორის დინამიური ფუნქციონირების პრობლემებსა და განვითარების დამაბრკოლებელი ფაქტორების დაფიქსირებაში. ნაჩვენებია, რომ აღნიშნული დოკუმენტებში წარმოდგენილი სამოქმედო პროგრამები და რეკომენდაციები ტურიზმის განვითარებისთვის ვერ იქნა რეალიზებული. ბოლო დროს მიღებულ დოკუმენტს წარმოადგენს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული ტურიზმის სტრატეგია 2025 [<http://www.sw-associates.net/>].

ტურიზმის პოლიტიკის ძირითადი პრინციპი არის ის, რომ სახელმწიფომ (რეგიონი ან დასახლებული პუნქტები) მიიღოს რაც შეიძლება მაქსიმალური სარგებელი ტურიზმის ეკონომიკური და სოციალური შემოსავლებიდან. ტურიზმის პოლიტიკის საბოლოო მიზანი არის სახელმწიფოს პროგრესის გაუმჯობესება და თავისი მოქალაქეების ცხოვრების დონის გაუმჯობესება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი ახორციელებს საქართველოს ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას ტურიზმისა და კურორტების მოვლა-შენარჩუნებისა და განვითარების დარგში. აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტმა სტრატეგიული გეგმა შეიმუშავა, რომელიც შემდგომი ოთხი წლის განმავლო-

ბაში დეპარტამენტის სახელმძღვანელო დოკუმენტს წარმოადგენს. სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილია ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის სტრატეგიის საკვანძო ელემენტები: დეპარტამენტის მმართველობის სფეროში არსებული მდგომარეობის მიმოხილვა; დეპარტამენტის ინსტიტუციური თვითშეფასების მიმოხილვა; დეპარტამენტის ხედვა და საშუალოვადიანი მისია; სტრატეგიული მიზნები და პროგრამული შედეგები; 2015-2018 წლების სამოქმედო გეგმა.

ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტს არ აქვს დარგის განვითარების თანმიმდევრული, დროში გაწერილი გეგმა, რაც აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ორგანიზაციული სტრატეგიის შემუშავებისათვის გარკვეულ და არცთუ უმნიშვნელო შეზღუდვას წარმოადგენს. ნებისმიერი ინსტიტუციური სტრატეგია, (მით უმეტეს, საჯარო დაწესებულების სტრატეგიული გეგმა) იდეალურ შემთხვევაში უნდა ეფუძნებოდეს დარგის განვითარების გენერალურ გეგმასა თუ სტრატეგიაში მოცემულ ძირითად სამოქმედო პრიორიტეტებს. სამოქმედო პრიორიტეტებში განსაკუთრებული ყურადღება ევროპულ ღირებულებებს უნდა ჰქონდეს დათმობილი.

დასავლეთის ტურიზმზე ორიენტირებული კონცეფციების გამოყენება შეიძლება უნივერსალურ მეთოდებად ჩაითვალოს ტურისტული სტრატეგიის დაგეგმვისა თუ მათი კვლევისა და ანალიზის საკითხებში და ხელს შეუწყობს ისეთი სტრატეგიის შემუშავებას, რომელიც ადგილობრივ ტურიზმს დაეხმარება გლობალურ სამყაროსთან ადაპტაციაში.

საერთაშორისო ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით ევროპაში უაღრესად დიდი როლი აკისრია ევროკავშირს. საქართველოს მთავრობა მოწოდებულია განუხრელად დაიცვას ქვეყნის დემოკრატიული განვითარების კურსი და უზრუნველყოს საერთო ევროპული ფასეულობების მტკიცე მხარდაჭერა, რაც ევროკავშირთან დაახლოების საფუძველი გახდება. შესაბამისად, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება „საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ ეფექტიან განხორციელებას, რაც ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირებისა და ეტაპობრივი ეკონომიკური ინტეგრაციის საწინდარია.

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) ასოცირების შესახებ შეთანხმების უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რადგან სწორედ ის მოიცავს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმს და საქართველოსთვის ხსნის ევროკავშირის შიდა ბაზარს, რაც ტურიზმის, როგორც ეკონომიკის დარგისთვის ახალ

მოთხოვნებს და შესაძლებლობებს შექმნის, რაც თავისთავად ტურიზმის სა-
ხელმწიფო პოლიტიკის ჰარმონიზებას განაპირობებს. ტურიზმის სფეროში
მხარეები ითანამშრომლებენ რათა: უკეთ გამოიყენონ მათი რეგულარული
დიალოგი, თანამშრომლობის, გაღრმავებისა და სამომავლო ნაბიჯების გან-
ხილვის მიზნით; გააძლიერონ კონკურენტუნარიანი და მდგრადი ტურისტუ-
ლი ინდუსტრიის განვითარება; ხელი შეუწყონ და განავითარონ ტურისტული
ნაკადები, პროდუქცია და ბაზარი, ინფრასტრუქტურა, ადამიანური რესურ-
სები, ინსტიტუციური სტრუქტურები და ეფექტიანი პოლიტიკა; განაგრძონ
საუკეთესო პრაქტიკის გაცვლა და ცოდნის ზოგადი გაზიარება, ტრენინგები
და განათლება ტურიზმის ხაზგასმულია 2014 წ. ევროკავშირისა და საქარ-
თველოს შორის უვიზო რეჟიმის წარმატებით მიმდინარე პროცესების შესახებ,
რაც ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით
გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას უზრუნველყოფს
[<http://www.dcfra.gov.ge>].

„ასოცირების შესახებ შეთანხმების“ მე-9 თავში თანამშრომლობისას ყუ-
რადლება გამახვილებულია შემდეგ საკითხებზე: ა) ინფორმაციის, საუკეთესო
პრაქტიკის, გამოცდილებისა და “know-how”-ს გაცვლა; ბ) საჯარო, კერძო და
ადგილობრივი თემების ინტერესებს შორის პარტნიორობის შენარჩუნება, ტუ-
რიზმის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით; გ) ტურისტული
ნაკადების, პროდუქტების და ბაზრების, ინფრასტრუქტურის, ადამიანური
რესურსების და ინსტიტუციური სტრუქტურების ხელშეწყობა და განვითა-
რება. დ) ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავება და იმპლემენტაცია; ე) ტურიზმის
სფეროში მომზადება და შესაძლებლობების განვითარება, რაც მომსახურების
სტანდარტების გაუმჯობესებისკენაა მიმართული; და ვ) ტურიზმის განვითა-
რება და ხელშეწყობა **[შეთანხმება საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირე-
ბის შესახებ, 2014: 189 -191]**.

ევროპა ქართული ტურისტული ბაზრისათვის მხარდი რეგიონია და,
შესაბამისად ძირითადი ორიენტირი, საქართველოში საერთაშორისო დონის
ტურისტების მოზიდვის მიზნით, მომავალში სწორედ ამ რეგიონზე უნდა
იყოს ალბულის. დღეს ჩვენი ქვეყნის შესაძლებლობები ტურიზმში უნდა განვა-
ვითარდეს ევროკავშირის მოთხოვნებისა და სტანდარტების შესაბამისად.
საჭიროა განისაზღვროს ტურიზმის განვითარების პრიორიტეტები ბაზრის
სეგმენტების მიხედვით. თუ მეზობელი ქვეყნები ირჩევენ ზღვაზე დასვენებას
და ინტეგრაციაში განიხილავენ მთიანი რეგიონების დათვალიერებას, ევროპე-
ლი ტურისტები ძირითადად ჩვენი ძველი კულტურით არიან დაინტერე-

სებული. ასევე ჰარმონიულ კავშირში განიხილავენ ეკოტურიზმს და გასტრონომიულ ტურიზმს, რომლიც არის ერის იდენტობის, ისტორიის, ტრადიციების გამოხატულება. აღსანიშნავია რომ, ევროპის რეგიონიდან ყველაზე მეტი ორგანიზებული მოგზაური გერმანიიდან და იტალიიდან ჩამოდის, რომელთა ბაზრებზეც ქართველ ტურ-ოპერატორთა ნახევარზე მეტი მუშაობს. მათთვის ამ ქვეყნების რეზიდენტები შეადგენს საერთო მომხმარებელთა ნახევარზე მეტს. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ტურისტული პროდუქტის გასაღების ბაზარი სწორედ ამ ქვეყნებშია თავმოყრილი *[ჩაკვეტაძე, 2014:12]*.

ევროპელ ტურისტებს აინტერესებს ახალი, განსხვავებული ტურისტული სანახაობები. ნაკლებად აინტერესებთ თანამედროვე ნაგებობები და ზოგადად ნაგებობები; ევროპას თავად აქვს ამ მხრივ საოცარი სანახაობები. მათი ინტერესი ველური ბუნების, ადგილობრივი მოსახლეობის ყოფის, სოფლის ავთენტური იერსახის და სხვა მსგავსი განსხვავებული სანახაობების მიმართ არის მაღალი. ევროპელისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს სავარაუდო დანახარჯების მოცულობას. რამდენადაც არ უნდა მოგვეწონოს, ფაქტია, რომ ევროპელები საქართველოში ვიზიტის სავარაუდო დანახარჯებს ადარებენ თურქეთში მოგზაურობის დანახარჯებს. ამ ეტაპზე, ჩვენი ტურისტული მომსახურებების ხარისხითა და ფასებით თურქეთისთვის კონკურენციის გაწევა ძალიან რთულია. ეს ორი ქვეყანა მეტ-ნაკლებად შედარებადია, რადგან ორივეს აქვს საზღვაო კურორტებისა და კულტურული ტურიზმის რესურსები.

ევროპის ქვეყნებს ტურიზმის სფეროს განვითარების დიდი ისტორია აქვთ. განვითარებული ინფრასტრუქტურა, თავისუფალი საბაზრო პოლიტიკა, ინვესტიციების დიდი რაოდენობა კონკურენციის მაღალ დონეს ქმნის, რაც დაბალ ფასებსა და მაღალი ხარისხის მომსახურებაზე აისახება. ევროპელისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მომსახურებების შესაბამისობას ფასთან. ეს არ ნიშნავს, რომ ის დაბალიბიუჯეტიანი ტურისტია; უბრალოდ ის მთელი წლის მანძილზე დაუზარლად შრომობს, რომ ზაფხულში იმოგზაუროს. რატომ გაწევს ხარჯს, თუ ის არ შეესაბამება პროდუქტით მიღებულ ეკონომიკურ თუ ემოციურ სარგებელს. სწორედ ეს უკანასკნელი გახლავთ ევროპელი ტურისტების მოხიბვლის ყველაზე ეფექტური გზა - შესაბამისობა, პროდუქტების/მომსახურებების/ ხარისხის შესაბამისობა ფასთან.

რა ჯდება დასვენება ბათუმში და რა ჯდება იგივე მომსახურება ევროპის ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ ქალაქ ბარსელონაში? ბათუმში საშუალო დონის (სამეარსკვლავიანი) სასტუმროში ღამის გატარება ერთჯერადი კვებით დაახლოებით \$60-70 ჯდება. თუ ავიღებთ ანალოგიურ მომსახურებას ბარსე-

ლონაში, ეს დაახლოებით \$35-40 ფარგლებში მერყეობს. გარდა სასტუმროებში არსებული მაღალი ფასებისა, ტურისტებისთვის პრობლემურია კვებაც. ბარსელონაში საშუალო დონის რესტორანში ერთ პერსონაზე სადილი დაახლოებით \$15 ჯდება. რესტორნები საქართველოში ასეთი მაღალი ფასებით არ გამოირჩევა, თუმცა, მომსახურების ხარისხი გაცილებით დაბალია, ვიდრე ევროპის სხვა ქვეყნებში.

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი ტურისტების მოზიდვის მიზნით, მარკეტინგულ გათვლებს და აქცენტებს შემდეგ ქვეყნებზე აკეთებს: თურქეთი, უკრაინა, ირანი, სომხეთი, აზერბაიჯანი, პოლონეთი, შესაბამისად ჩამოთვლილი ქვეყნებიდან ბათუმში ხორციელდება პირდაპირი ჩართული რეისები. ასევე ბათუმში აქტიურად იხსნება ზემოთ ხსენებული ქვეყნების ტურისტული სააგენტოების ფილიალებიც, რაც კიდევ უფრო ზრდის ტურისტების რაოდენობას აჭარაში. თუმცა ასევე საჭიროა მარკეტინგული აქტივობები ევროპის ისეთ ქვეყნებთან როგორცაა: დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ისრაელი, ლიტვა, პოლონეთი, ბელორუსია, ესტონეთი, ლატვია და ა. შ. ასევე მნიშვნელოვანია აჭარის რეგიონში ტურიზმის ბიზნეს-ლანდშაფტის გამოკვლევის საფუძველზე რეგიონში ტურიზმის პრიორიტეტულ სახეობათა გამოკვეთა, დაგეგმვა, დაპროექტება. ახალი ტურისტული პროდუქტების შექმნა-განვითარება, ტურისტული კლასტერების შექმნა, რეგიონის ტურისტული ობიექტების გამტარუნარიანობის განსაზღვრა, განთავსების საშუალებებში მომსახურების ხარისხის შეფასება, კვების ობიექტების აღწერა და მათი მომსახურების შეფასება და ა. შ.

„ევროპასთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულება“ ტურისტებისთვის მიმზიდველ ქვეყანას პასუხისმგებლობას და მოტივაციას უზრდის. ხელშეკრულებაში მკაფიოდაა ნათქვამი, რომ უნდა ვიზრუნოთ და თანხვედრა გვქონდეს მაღალი კვალიფიცირებული სპეციალისტების მომზადებაზე, რომელიც შეძლებს მომხმარებელს მაღალი ხარისხის მომსახურება მიაწოდოს. დღეს უცხო ენების ცოდნის, დაბალი კვალიფიკაციის გიდების საკითხი და განათლების პრობლემაც დგას ჩვენს წინაშე. მნიშვნელოვანია, რომ ასოცირების ხელშეკრულება გვავალდებულებს საქართველოს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემას, დაცვას და წარმოჩენას. ეს მოთხოვნები კი ადეკვატურად უნდა იყოს აღქმული ჩვენს შემდგომ მოქმედებებში.

მსოფლიო ბაზარზე ტურიზმის სფეროში ძალზედ მაღალი კონკურენციაა და ამიტომ საკუთარი ნიშის მოსაპოვებლად აუცილებელია კარგად გააზრებული, დაგეგმილი და დანერგილი სტრატეგიის არსებობა. რაც მთავარია ამ

სტრატეგიაში მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნებიც უნდა იყოს ორიენტირებული საბოლოო, მდგრად შედეგზე და არა იმავნებითი წარმატებაზე, რამაც შეიძლება დივიდენდების ნაცვლად საბოლოო ჯამში მხოლოდ უარყოფითი შედეგი მოიტანოს.

ტურიზმის განვითარებას ნებისმიერ ქვეყანაში სჭირდება ერთიანი ძალისხმევა როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორისა და მულტისექტორული თანამშრომლობის საფუძველზე შემუშავებული განვითარების სტრატეგიის ეფექტიანი დანერგვა. თავისთავად ამგვარი სტრატეგიის შემუშავებისათვის აუცილებელია ყოველმხრივი ანალიზი და ნათელი ხედვა არსებული მდგომარეობის და პრობლემებისა, ისევე როგორც კრეატიული მიდგომა იმ ღონისძიებების შემუშავებისას, რამაც მომავალში ხელი უნდა შეუწყოს დარგის განვითარებას.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

შეთანხმება საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ, 2014: – ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ, საქართველოს შორის, 2014 <http://www.eu-nato.gov.ge/>

ჩაკვეტაძე, 2014: – ჩაკვეტაძე ნ., როგორ ავითვისოთ ევროპული ტურისტული ბაზარი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.

The European Tourism Indicator System, 2016: – ETIS toolkit for sustainable destination management Europe Direct is a service to help you find answers to your questions about the European Union, March 2016.

<http://www2.unwto.org/>

<http://www.sw-associates.net/>

<http://www.dcfta.gov.ge>

www.gnta.ge

<http://www.parliament.ge/>

<http://www.dcfta.gov.ge>

www.gnta.ge

<http://adjara.gov.ge>

<http://www.economy.ge/>

<http://www.geostat.ge/>

Maia Azmaiparashvili (Gori, Georgia)

Strategic Directions of Tourism Development in Adjara

Summary

In terms of international tourism development, Europe has a great role in Europe. Europe is a growing region for the Georgian tourism market and, therefore, the main focus is to attract international tourists in Georgia in the future. Today, our country's capabilities in tourism should be developed according to EU requirements and standards. The world market is highly competitive in tourism and therefore requires a well thought out, planned and implemented strategy to gain its own niche. The "Association Agreement with Europe" provides the country with the responsibility and motivation for an attractive country for tourists.

ბათუმის ქართული ეროვნული საზოგადოება საეკლესიო კომისიის მოღვაწეობის საკითხისათვის (1918 წელი)

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, 12(25) მარტს საქართველოს ეკლესიამ 1811 წელს რუსეთის საერო ხელისუფლების მიერ უკანონოდ გაუქმებული ავტოკეფალია აღადგინა. სრულიად საქართველოს I საეკლესიო კრებაზე (1917 წლის 8-17 სექტემბერი) შემუშავებული ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების მიხედვით საქართველოს ეკლესია 13 ეპარქიისაგან უნდა შემდგარიყო. მათ შორის იყო ბათომ-შემოქმედის ეპარქია, რომელიც გურიას, ტაო-კლარჯეთსა და ჭანეთს აერთიანებდა (კათედრა და რეზიდენცია ბათუმში). ძველად ამ ტერიტორიაზე ხინოწმიდის ანუ ბათუმის, შემოქმედის, ჯუმათის, სატრაფელას, ტბეთის, ანჩის, იშხნის და ბანას ეპარქიები არსებობდა *[დებულება, 1917: 5-6; საპატრ. არქ., აღ. 1, ს. 6675, ფურც. 307]*. ეკლესიაში არსებულმა სირთულეებმა და 1917 წლის შემოდგომიდან განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა საეკლესიო კრების დადგენილების აღსრულება შეაფერხა. უნდა აღინიშნოს, რომ ბათომ-შემოქმედის ეპარქიის აღდგენას ოსმალეთის მიერ საქართველოს სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ მიწების ოკუპაციის გამო ტერიტორიული სირთულეებიც დაერთო.

1917 წლის ოქტომბერ-ნოემბერში, ბოლშევიკების მიერ რუსეთის დროებითი მთავრობის დამხობის შემდეგ, ამიერკავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა პეტროგრადის ახალ ხელისუფლებასთან ურთიერთობა შეწყვიტა. ბოლშევიკებმა ხელისუფლების განსამტკიცებლად ომის დამთავრება პირველი რიგის ამოცანად დაისახეს. ანტანტის სახელმწიფოთა წინააღმდეგობის მიუხედავად 1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში რუსეთმა და გერმანიამ ზავი გააფორმეს. ზავის მიხედვით რუსეთმა დათმო ყარსის, არტანის, ბათუმის ოლქები, ბალტიისპირეთი, ფინეთი, უკრაინის ნაწილი *[ჭუმბურიძე, კიკნაძე, ქოქრაშვილი, სარაღიძე, 2016: 160]*.

ამიერკავკასიის მთავრობას საზავო მოლაპარაკებაში მონაწილეობა არ მიუღია, რადგან იგი რუსეთის ბოლშევიკურ ხელისუფლებას არ ცნობდა და ოსმალეთთან უფრო მისაღები ხელშეკრულების დადებას ცდილობდა.

1918 წლის მარტსა და აპრილში ოსმალეთი ბრესტის ზავით მიღებულ ტერიტორიებს არ დაჯერდა. მან ბრძოლით დასავლეთით მდინარე ჩოლოქამდე მოაღწია, სამხრეთით კი მესხეთი აიღო. საქართველოს საკათოლიკოსო ოსმალეთის მიერ ოკუპირებულ რეგიონში თავისი იურისდიქციის განხორციელებას ვერ ახერხებდა.

ამიერკავკასიის ხელისუფლებასა და ოსმალთს შორის 1918 წლის 14 მარტიდან 5 აპრილამდე ტრაპიზონში მიმდინარე მოლაპარაკებები წარუმატებლად დამთავრდა (ამიერკავკასიის დელეგაციას საგარეო საქმეთა მინისტრი აკაკი ჩხენკელი ხელმძღვანელობდა). ამიერკავკასიის სეიმის გადაწყვეტილებით 1918 წლის 22 აპრილს ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა შეიქმნა. მის მესვეურებს იმედი ჰქონდათ, რომ რუსეთისაგან დამოუკიდებლობა ოსმალეთთან უფრო წარმატებული ზავის მიღწევას უზრუნველყოფდა *[ჭუმბურიძე, კიკნაძე, ქოქრაშვილი, სარალიძე, 2016: 161, 172]*.

ამიერკავკასიის რესპუბლიკის სახელით ოსმალეთთან მოლაპარაკებები 1918 წლის 11 მაისიდან ბათუმში განახლდა (ბათუმის კონფერენცია). ოსმალეთი ბრძოლით დაკავებულ ტერიტორიებს: ახალციხის და ახალქალაქის მაზრებს, ერევნის გუბერნიის ნახევარზე მეტს და ომის დამთავრებამდე ამიერკავკასიის რკინიგზაზე კონტროლის დაწესებას მოითხოვდა. ამიერკავკასიის დელეგაცია უკვე ბრესტის ზავის პირობებზე თანახმა იყო, მაგრამ ოსმალეთთან შეთანხმებას ვერ აღწევდა *[ბენდიანიშვილი, 1980: 214-215]*.

ქვეყნისა და კერძოდ აჭარისათვის ასეთ რთულ პერიოდში _ 1918 წლის 21 მაისს (3 ივნისი) არის შედგენილი ბათუმის ქართული ეროვნული საბჭოს საეკლესიო საქმეთა განსაკუთრებული კომისიის მოხსენება.

ორიოდე სიტყვით შევეხებით საქართველოს ეროვნული საბჭოს სტრუქტურას. ეროვნული მთავრობის წინამორბედი ეს ორგანო საქართველოს ეროვნულ ყრილობაზე 1917 წლის 22 ნოემბერს აირჩიეს, ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი კი - 26 ნოემბერს. 28 ნოემბერს ეროვნული საბჭოს აღმასკომის სხდომაზე ჩამოყალიბდა პრეზიდიუმი და სხვადასხვა კომისია, კერძოდ: ქონების, საფინანსო, სამხედრო, სასკოლო, სახალხო მეურნეობის, სამაჰმადიანო საქართველოს გამგებლობის და სხვა. ამ კომისიების რაოდენობა შემდგომში გაიზარდა, მათ ეროვნული საბჭოს სექციები შეადგინეს *[ჭუმბურიძე, კიკნაძე, ქოქრაშვილი, სარალიძე, 2016: 158; ჭანტურია, 2006: 36]*.

ეროვნული საბჭო თავის დანიშნულებად ქართველი ხალხის მომავალზე, მისი ეროვნული იდეალების განხორციელებაზე ზრუნვას მიიჩნევდა *[ჭანტუ-*

რია, 2006: 39]. ავტოკეფალია აღდგენილი ეკლესიის ურთიერთობა ეროვნულ საბჭოსთან წარმატებულად წარიმართა. ეკლესიის მმართველი ორგანო თავისი უფლებების აღდგენის პროცესში ეროვნული საბჭოს რჩევებს, ისევე როგორც მანამდე ინტერპარტიული საბჭოს რეკომენდაციებს, ყოველთვის ითვალისწინებდა [საპატრ. არქ., აღ. 1, ს. 6675, ფურც. 3-4, 8, 98, 260; არაბიძე, 2014: 66-72].

ეროვნულ საბჭოში საეკლესიო საქმეთა კომისიის დაარსების შესახებ წინადადება საკათოლიკოსო საბჭოს სხდომაზე დეკანოზმა კორნელი კეკელიძემ 1917 წლის 12 დეკემბერს წამოაყენა. აზრი საკათოლიკოსო საბჭოს წევრებმა მოიწონეს [საპატრ. არქ., აღ. 1, ს. 6675, ფურც. 67]. ეროვნული საბჭოსა და საკათოლიკოსო საბჭოს შეთანხმებით აღნიშნული კომისია შეიქმნა. მას ოფიციალურად სარწმუნოების კომისია ეწოდებოდა, თავმჯდომარე საკათოლიკოსო საბჭოს წევრი მიხეილ ვახტანგის ძე მაჩაბელი იყო [საპატრ. არქ., აღ. 1, ს. 705, ფურც. 16].

ბათუმის ქართულ ეროვნულ საბჭოში საეკლესიო საკითხის განსაკუთრებული კომისია ადგილობრივი მართლმადიდებელი სამღვდელოების ღვაწლით ჩამოყალიბდა და მის მისიას სასულიერო წოდებისა და სამწყსოს მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა წარმოადგენდა [საპატრ. არქ., აღ. 1, ს. 705, ფურც. 17].

ეროვნული საბჭოსა და მისი საეკლესიო კომისიის თავმჯდომარეებისა და წევრების შესახებ ვრცელი ინფორმაციის მოპოვება მასალის სიმწირის გამო ჯერჯერობით ვერ შევძელით. მოხსენებაზე არსებული ხელმოწერების მიხედვით კომისიის თავმჯდომარეა გრ. ელიავა (ვფიქრობთ, უნდა იყოს ბათუმის ქალაქის სათათბიროს ხმოსანი გრიგოლ ლავრენტის ძე ელიავა [Кавказский Календарь, 1917: 186]), წევრები კი – დეკანოზი არსენ თოხაძე, მღვდლები: სიმონ თოთიბაძე და მიხეილ ჩხიკვაძე, მდივანი-წევრი ი. ს. მესხი (სავარაუდოდ, ის არის შინაგან საქმეთა სამინისტროს ბათუმის საქალაქო სამმართველოსა და ბათუმის საბირჟო კომიტეტის მდივანი ივანე სიმონის ძე მესხი [Кавказский Календарь, 1917: 185, 543]) [საპატრ. არქ., აღ. 1, ს. 705, ფურც. 13]. 1918 წლის სექტემბერში კომისიის მდივანი გრ. გიგინეიშვილია [საპატრ. არქ., აღ. 1, ს. 705, ფურც. 32].

საეკლესიო კომისიამ ბათუმის ქართული ეროვნული საბჭოს დავალებით აჭარისა და, საერთოდ, საქართველოსთვის იმ უმძიმეს პერიოდში დაწვრილებით შეისწავლა მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობა ქ. ბათუმში და ამის შესახებ ეროვნულ საბჭოსა და საკათოლიკოსო საბჭოს მოხსენებითი

ბარათი წარუდგინა. მასში დასახელებულია ბათუმში არსებული 7 მართლმადიდებლური ეკლესია. ყურადღება ძირითადად ამ ეკლესიების კუთვნილებაზეა გამახვილებული, იმის მიხედვით, ამა თუ იმ ეკლესიის მშენებლობაში რომელ ეროვნებას რა წვლილი ჰქონდა შეტანილი. ჩვენს ამოცანას ამჟამად ბათუმში არსებული ტაძრების ისტორიის შესწავლა არ შეადგენს, ამიტომ მხოლოდ მათი ჩამოთვლით შემოვიფარგლებით: წმ. ნიკოლოზ საკვირველთმოქმედის (ბერძნული), მიქაელ მთავარანგელოზის (საკათედრო), სასაფლაოს წმ. სამების ეკლესია, წმ. ალექსანდრე ნეველის (მას მთავარანგელოზის სახელითაც მოიხსენიებდნენ), ბათუმის ჰოსპიტლის (ვისი სახელობის იყო, მითითებული არაა), წმ. ნიკოლოზის სამხედრო ეკლესია („გოროდოკში“), ბათუმის ყოფილი საარტილერიო ნაწილის წმ. ნიკოლოზის ეკლესია. ჩამონათვალში ასევე შეტანილია სოფელ ხულოს ეკლესია და ბათუმის საბაჟოსა და სადგურზე არსებული „კიოსკები“. ამ უკანასკნელთა შესახებ საეკლესიო კომისია ინფორმაციას არ ფლობს *[საპატრ. არქ., აღ. 1, ს. 705, ფურც. 8-11]*.

კომისიის მოხსენებითი ბარათის თანახმად, რუსი სამხედრო სამღვდელოება ოსმალეთის მხრიდან ქალაქის ოკუპაციის და რუსული ჯარის ბათუმიდან გასვლის შემდეგ თავის მრევლს არ გაჰყვა და რუსულ სამრევლოებს ხელოვნურად აკოწიწებდა. ქ. ბათუმში ევაკუაციის შემდეგ რუსი მართლმადიდებელი მოსახლეობის რაოდენობა, როგორც დოკუმენტიდან ჩანს, ერთი ტაძრის სამრევლოს წარმოადგენდა. რუსები ეკლესიების შენარჩუნების მიზნით ერთ ადამიანს რამდენიმე ეკლესიის მრევლად წერდნენ და ამ გზით რუსული ეკლესიების საჭიროების დამტკიცებას ცდილობდნენ *[საპატრ. არქ., აღ. 1, ს. 705, ფურც. 10]*.

საეკლესიო კომისიამ მოხსენებაში ყურადღება ომიანობის დროს მთავარანგელოზის ეკლესიიდან გატანილ განძეულსა და ამავე ეკლესიის სარესტავრაციო თანხებზეც გაამახვილა. ქართული მხარისათვის უცნობი იყო მისი ოდენობა და ადგილსამყოფელი, რადგან ტაძრის მეურნეობა და ადმინისტრაცია მთლიანად რუსი სამღვდელოებისა და ე. წ. „ბათუმის წმ. მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიის რუსული სამრევლოს აღმასრულებელი კომიტეტის“ ხელში იყო *[საპატრ. არქ., აღ. 1, ს. 705, ფურც. 10]*.

საეკლესიო საქმეთა კომისია შემფოთებას გამოთქვამდა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მიუხედავად ქ. ბათუმში არსებული მართლმადიდებლური ეკლესიებიდან მხოლოდ სასაფლაოს ეკლესიაში იყო შესაძლებელი წირვა-ლოცვის ქართულად მოსმენა. ქართული მრევლის უფლებები ილახებოდა და ეროვნული გრძნობები ითელებოდა ისევე, როგორც

საეგზარქოსოს არსებობის პირობებში. ამის მაგალითია რუსი „მებრძოლი“ სამღვდელოების მცდელობა, ალექსანდრე ნეველის ახალი ტაძარი სამხედრო უწყებაში დაეტოვებინა, რათა ის ქართველთა გავლენაში არ მოქცეულიყო და რუსულ მხარეს მისი გაკონტროლება ყოველთვის შეძლებოდა. ეს მაშინ, როცა ალექსანდრე ნეველის ტაძარი, კურთხევისას, 1905 წელს საეპარქიო უწყებას მიაკუთვნეს და მხოლოდ შემდეგ წელს ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორ დრიაგინის, კავკასიის მეფისნაცვალ გრაფ ვორონცოვ-დაშკოვისა და დეკანოზ იოანე ვოსტორგოვის მონდომებით მოახერხეს სამხედრო უწყებისათვის მისი გადაცემა. რუსი სამხედროების ბათუმიდან გასვლის შემდეგ ტაძართან დაკავშირებით სამართლიანობის აღდგენის შესაძლებლობა იყო, მაგრამ რუსები მის შენარჩუნებას ისევ არაკეთილსინდისიერი გზით ცდილობდნენ *[საპატრ. არქ., აღ. 1, ს. 705, ფურც. 11-12]*.

ბათუმის ქართულმა ეროვნულმა საბჭომ მოხსენება ბათუმის ეკლესიათა და კრებულთა შესახებ ქართულ ეროვნულ საბჭოსა და საკათოლიკოსო საბჭოს გადასცა. ამ უკანასკნელს სთხოვეს, დასკვნის სახით წარმოედგინა მოსაზრებანი ბათუმში მართლმადიდებელი ეკლესიის უფლებების აღსადგენად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ *[საპატრ. არქ., აღ. 1, ს. 705, ფურც. 13]*. ამავე დროს მოხსენებაში აღინიშნა, რომ კომისია ეკლესიების სამართლიანად განაწილების მომხრე იყო და რუსი მრევლის უფლებებს არ უგულებელყოფდა *[საპატრ. არქ., აღ. 1, ს. 705, ფურც. 12]*.

საკათოლიკოსო საბჭომ ბათუმის ქართული ეროვნული საბჭოს საეკლესიო კომისიის მოხსენებასთან დაკავშირებით აზრის გამოთქმა ჭყონდიდელ მიტროპოლიტ ამბროსის (ხელაია, შემდგომში, 1921-1927 წლებში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი) სთხოვა. მეუფე ამბროსიმ განმარტა, რომ ბათუმის ოლქის ქართველი ქრისტიანები, ბრესტ-ლიტოვსკის ზავისა და ოსმალეთის მხრიდან ოკუპაციის პირობებში, სამშობლოს საზღვრებს გარეთ მყოფებად ითვლებოდნენ. აქედან გამომდინარე, საეკლესიო მართვა-გამგეობის დებულების თანახმად, ისინი კათოლიკოს-პატრიარქის სამწყსოს წარმოადგენდნენ. ბათუმის ბედის საბოლოო გადაწყვეტამდე საქართველოს ეკლესიას მხოლოდ კრებულის წევრთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე შეეძლო ზრუნვა *[საპატრ. არქ., აღ. 1, ს. 705, ფურც. 4, 7]*. სახელმწიფო ხაზინიდან მათთვის გამოყოფილი ხელფასი ძალიან მწირი იყო და ისიც ზოგჯერ თვეობით აგვიანებდა. ოკუპაციის გამო ქ. ბათუმიდან მოსახლეობის დიდი ნაწილის გასვლასთან დაკავშირებით შეწირულობა თითქმის აღარ არსებობდა. სასწავლებლებში სწავლის შეწყვეტის გამო მასწავლებელ სასუ-

ლიერო პირებს შემოსავლის ეს წყაროც აღარ გააჩნდათ *[საპატრ. არქ., აღ. 1, ს. 705, ფურც. 30-32, 41]*.

საეკლესიო კომისიის მოხსენების შესახებ მსჯელობის შემდეგ საკათოლიკოსო საბჭომ კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე ლეონიდის (ოქროპირიძე) თავმჯდომარეობით გადაწყვიტა: თუ ბათუმის ოლქი საბოლოოდ ქართველთა ხელში დარჩებოდა, მისი ეკლესიები რესპუბლიკის კანონებსა და საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის წესებს დაექვემდებარებოდა. ხოლო თუ რეგიონი ოსმალთა ხელში გადავიდოდა, ეკლესიის მმართველი ორგანო რესპუბლიკის მთავრობასთან შეთანხმებით საქმეების გასაძღოლად განსაკუთრებულ წესებს შეიმუშავებდა. არსებულ გაურკვეველ ვითარებაში კი ქ. ბათუმისა და მისი ოლქის ეკლესიებისათვის 1918 წლის 18 ივლისის სხდომაზე დროებითი წესები დადგინდა.

დებულებებში აქცენტი შემდეგ საკითხებზე იყო გამახვილებული: ქ. ბათუმისა და მისი ოლქის ეკლესიები კათოლიკოს-პატრიარქს უნდა დაქვემდებარებოდა; ამ ეკლესიათა გამგედ და კათოლიკოს-პატრიარქის რწმუნებულად სამღვდლო პირი უნდა დანიშნულიყო; ადგილობრივ ქრისტიანთა სულიერ და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე კათოლიკოს-პატრიარქის რწმუნებულის თავმჯდომარეობით ბათუმის ქრისტიანთა წარმომადგენლებისაგან შემდგარ საბჭოს უნდა ეზრუნა; აღნიშნულ საბჭოს თავისი მოქმედების ინსტრუქცია დასამტკიცებლად საკათოლიკოსო საბჭოსთვის უნდა წარედგინა; ბათუმის ოლქის ეკლესიების კრებულისათვის საქართველოს რესპუბლიკის ხაზინიდან ბათუმის საკათედრო ტაძრისა და ხულოს კრებულისათვის გამოყოფილი ჯამაგირი უნდა გაენაწილებინათ; განისაზღვრა წლიური ჯამაგირის ოდენობა: მღვდელს – 1200 მან., მთავარდიაკონს – 800 მან. წიგნისმკითხველს – 600 მან., კათოლიკოს-პატრიარქის რწმუნებულს – 1200 მან., კანცელარიის შესანახად კი 300 მან. გამოიყო; კათოლიკოს-პატრიარქის რწმუნებულად და ბათუმის ოლქის უფროს მღვდლად დეკანოზი არსენ თოხაძე დაინიშნა; ბათუმის სამღვდელოებისათვის დახმარების აღმოჩენა ქართველ საქველმოქმედო საზოგადოებას და ომისაგან დაზარალებულ პირთათვის მზრუნველ კომიტეტს დაევალა; აღნიშნული დადგენილების შესრულებისათვის განკარგულებები ჰყონდიდელ მიტროპოლიტ ამბროსისა და საკათოლიკოსო საბჭოს ხაზინადარ ყარამან მეხუზლას უნდა გაეცათ *[საპატრ. არქ., აღ. 1, ს. 6675, ფურც. 667-668; ს. 705, ფურც. 29]*.

საეკლესიო კომისიის მოხსენების პასუხად, ბათუმის სამღვდელოების საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის გარდა ზემოხსენებული საქველმოქმედ-

დო საზოგადოებების მიერ შეწირული თანხებისა, საკათოლიკოსო საბჭომ თავისი სახსრებიდან 1600 მანეთი გამოყო; სახელმწიფო ხაზინიდან არსენ თოხაძეს ასევე შეეძლო 2761 მან. და 20 კაპ. ასიგნაციის მიღება *[საპატრ. არქ., აღ. 1, ს. 705, ფურგ. 26, 28]*.

ბათუმის ეროვნული საბჭო და საეკლესიო კომისია ადგილობრივ სასულიერო პირებზე ზრუნვას შემდეგშიც განაგრძობენ. ეროვნულმა საბჭომ სასაფლაოს ეკლესიის კრებულის მატერიალური უზრუნველყოფის საჭიროების შესახებ საკათოლიკოსო საბჭოს 9 სექტემბერს დამატებით მოახსენა, რადგან ხელფასების მომატების სიაში ის გამორჩენილი იყო. შედეგად სასაფლაოს ეკლესიის კრებულის ჯამაგირი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების თანხებიდან გამოიყო და ბათუმში მართლმადიდებელი სამღვდელოებისათვის დადგენილ ნორმას გაუთანაბრდა *[საპატრ. არქ., აღ. 1, ს. 705, ფურგ. 30-32]*.

საკათოლიკოსო საბჭოს თხოვნით, ოსმალეთის შემოსევით დაზარალებულ ბათუმისა და ჯავახეთის სასულიერო პირებს დიდი დახმარება (6000 მან.) აღმოუჩინა ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ, ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ და სხვა ორგანიზაციებმა. სრულიად საქართველოს სამღვდელოებისა და დაწესებულებებისათვის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1918 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილებით გამოყოფილი 10 მლნ. მანეთიდან ბათუმის მთავარანგელოზის ტაძარს, სხვა საკათედრო ტაძრების მსგავსად, 1519 მან. და 37 კაპ. ერგო *[საპატრ. არქ., აღ. 1, ს. 6675, ფურგ. 241, 476; ს. 705, ფურგ. 24]*.

ქ. ბათუმსა და ბათუმის საეკლესიო ოლქზე საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია ოფიციალურად 1918 წლის 29 ოქტომბერს გავრცელდა. საკათოლიკოსო საბჭოს გადაწყვეტილებით ბათუმის ოლქი ჭყონდიდ-შემოქმედის ეპარქიას შეუერთდა. ეს შესაძლებელი გახდა ბათუმიდან ოსმალების გასვლისა და იქ ინგლისის სახელმწიფოს პროტექტორატის დამყარების შემდეგ (მუდროსის ზავი), რაც მსოფლიო ომში ოსმალეთისა და მის მოკავშირეთა დამარცხების შედეგი იყო. ამავე დღეს გაუქმდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის რწმუნებულის თანამდებობა ბათუმში *[საპატრ. არქ., აღ. 1, ს. 705, ფურგ. 61]*

ბათუმის ქართული ეროვნული საბჭოს საეკლესიო კომისიის მოღვაწეობის ეს მცირე ეპიზოდი წარმოდგენას გვიქმნის 1918 წელს ქ. ბათუმსა და მის ოლქში ოსმალური ოკუპაციის პირობებში შექმნილი სირთულეების შესახებ. კომისიის საქმიანობის მიზანს შეადგენდა ქალაქ ბათუმში ქართველებსა და რუსებს შორის მართლმადიდებელი ეკლესიების სამართლიანად განაწილება,

ქართველ მორწმუნეთათვის ღვთისმსახურების ქართულ ენაზე მოესმენის უზრუნველყოფა, ეკლესიების ქონების განადგურებისაგან დაცვა, სასულიერო პირთა უნუგეშო ეკონომიკური მდგომარეობის შემსუბუქება.

ამრიგად, საეკლესიო კომისია შეეცადა საერო და სასულიერო ხელისუფალთა დახმარებით მხარის ქართველი მოსახლეობის ეროვნული გრძნობის დაცვას, მათთვის ცხოვრების მძიმე პირობების შემსუბუქებას და ერთიან საქართველოსთან კავშირის გამყარებას.

კომისიის მიერ შედგენილი მოხსენება მნიშვნელოვანია ბათუმში არსებული მართლმადიდებლური ტაძრების ისტორიის შესავსებად.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

არაბიძე, 2014 _ არაბიძე ი., ქართული პოლიტიკური პარტიების მონაწილეობა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის პროცესში (დროებითი მმართველობის სხდომის ოქმების მიხედვით. 1917 წელი), კრ. ჩვენი სულიერების ბალავარი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ბათუმი, 2-3 მაისი 2014, თბილისი, 2014.

ბენდიანიშვილი, 1980: _ ბენდიანიშვილი ა., ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921 წწ., თბილისი, 1980.

debuleba, 1917: _ საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობა: დებულებანი, მიღებული სრულიად საქართველოს 1917 წლის საეკლესიო კრებაზე, თბილისი, 1917.

საპატრ. არქ., აღ. 1, ს. 705: _ საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 705.

საპატრ. არქ., აღ. 1, ს. 6675: _ საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 6675.

ჭანტურია, 2006: _ ჭანტურია ნ., ეროვნული საბჭო და მისი ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და განმტკიცებისათვის, თბილისი, 2006.

ჭუმბურიძე, კიკნაძე, ქოქრაშვილი, სარალიძე, 2016: _ ჭუმბურიძე დ., კიკნაძე ვ., ქოქრაშვილი ხ., სარალიძე ლ., საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში, წიგნი II, თბილისი, 2016.

Кавказский Календарь, 1917: _ Кавказский Календарь, 1917, адрес календарь.

Irina Arabidze (Tbilisi, Georgia)

**For the issue of activities of the Church Commission
of the Batumi Georgian National Council (1918)**

Summary

The present article discusses the report of the Georgian National Council of Batumi and the Special Commission of Church that was presented to the National Council of Georgia and the Council of Catholicate of all Georgia. The report presents the status of the Orthodox Church in Batumi, which was complicated because of the self-willed behavior of the representatives of Russian church and the occupation of Batumi by the Ottoman in March-April 1918. The report also presents a conclusion on what action should be taken to protect the rights and property of the Orthodox clergy and Georgian Church.

The purpose of the report was to create living conditions for the Georgian population living in this region and strengthen their connection with the united Georgia with the help of the central secular and clerical authorities. The strength of Georgian Church in Batumi and in general in the region seems very significant for the Georgian National Council of Batumi. Besides that, the rights of Russian Orthodox community are not disregarded. Moreover the report is important because of the studying the history of Orthodox Churches in Batumi.

ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ვასილევსკის დღიურები –
„ახალციხიდან გოდერძის უღელტეხილით ბათუ-
მამდე“¹
(დაკავება ზემო და ქვემო აჭარისა 1878 წელს)

ცნობილი რუსი გენერალ-ლეინტენანტის ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ვასილევსკის დღიურები – „ახალციხიდან გოდერძის უღელტეხილით ბათუ-მამდე“ – არის მნიშვნელოვანი ისტორიული წყარო; იგი საინტერესოდ მოგ-ვითხრობს რუსეთის ჯარის აჭარაში შემოსვლის შესახებ; ავტორი ამ პროცესის უშუალო მონაწილეა. ამიტომ ცოცხლად გვიხატავს 1878 წლის აგვისტოს მღელვარე დღეების ამსახველ ეპიზოდებს. გვაცნობს რუსეთ-ოსმალეთის ომის დასრულების შედეგებით შექმნილ რთულ ვითარებას **ამ მხარის მოსახლეო-ბაში**; გზადაგზა აგვიწერს აჭარის ლამაზი ბუნების სურათებს, აქაურთა სტუ-მარ-მასპინძლობას, სიდინჯეს, გარეგნობასა და ჩაცმა-დახურვის კულტურას.

წინამდებარე ისტორიული წყარო რატომღაც დღემდე ყურადღების მიღმა დარჩენილა. მკითხველი, ვფიქრობთ, ინტერესით წაიკითხავს 139 წინ დაწე-რილ დღიურებს, რომელშიც ცოცხლობს ჩვენი აჭარის წარსული, ცხოვრების ერთი მღელვარე ეპიზოდი – ოსმალეთის იმპერიაში ყოფნის დასასრული, რუსეთის ჯარის მიერ ამ მხარის დაუფლება, რაც იქცა დედاسამშობლოსთან **აჭარის დაბრუნების საფუძვლად**.

ავტორი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ვასილევსკი დაიბადა 1852 წლის 19 თებერვალს. მიიღო სამხედრო განათლება: 1871 წელს დაამთავრა ნიკოლაევს-კის კავალერიის სასწავლებელი. სამხედრო სამსახური დაიწყო კორნეთის ჩინით (წოდებით). 1877-1878 წლებში მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის ომ-ში კავკასიის ფრონტზე. 1878 წელს დაამთავრა ნიკოლაევსკის გენერალური შტაბის აკადემია; 1879 წელს მიიღო კაპიტნის, 1889 წელს – პოლკოვნიკის, ხო-ლო 1898 წელს გენერალ-მაიორის წოდება.

1900 წელს, როცა დაიწყო სამხედრო მოქმედებები ჩინეთში, ნ. ვასილევსკი დაინიშნა ციმბირის პირველი კორპუსის შტაბის უფროსად. რუსეთ-იაპონიის ომის დროსაც მონაწილეობდა ბრძოლებში. იყო ქალაქ ხარბინის თავდაცვის

¹ Василевский Н.А. От Ахалциха через Годердзский перевал до Батума, см., . Военный сборник, №2, стр. 292-310, С.-Петербург, 1880 г.

უფროსი. 1906 წელს მიიღო გენერალ-ლეიტენანტის წოდება. მაგრამ ავად-მყოფობის გამო მალე დატოვა სამხედრო სამსახური.

ნ. ვასილევსკი განათლებული პიროვნება იყო, მწერლობის ნიჭით და-ჯილდოებული. მისი ენა მხატვრული ოსტატობითაა შემკული, მკითხველის გულს ათბობს და იზიდავს, რაც ძალიან კარგად იგრძნობა წინამდებარე საინტერესო დღიურებში. მას ნაშრომები აქვს თავის სპეციალობაშიც. კერძოდ, ოფიცრებისათვის დაუწერია ორი სახელმძღვანელო.

ბრძოლებში გამოჩენილი სიმამაცისა და სამხედრო ნიჭის გამოვლენისათვის დაჯილდოებული იყო წმ. სტანისლავის, წმ. გიორგის, წმ. ვლადიმირის ორდენებით.

ნ. ა. ვასილევსკი გარდაიცვალა 1914 წლის 6 აგვისტოს.

მკითხველის წინაშე წარმოდგენილი დღიურები, როგორც ისტორიული წყარო, პირველად იბეჭდება ქართულად. დღიურებში შემონახული მრავალმხრივ საინტერესო ცნობების სამეცნიერო ღირებულება საკმაოდ დიდია. აქ დაუნჯებული მასალა უსათუოდ დააინტერესებს აჭარის ისტორიის, გეოგრაფიის, ეთნოგრაფიის, ტოპონიმის მკვლევარებს.

მკითხველს ვთავაზობთ აღნიშნული დღიურების შემოკლებულ ტექსტს (სრული სახით მივაწვდით რუსულ და ქართულ ენაზე დღიურების ყველა რეკომენდაციებით, მაგრამ კომენტარებისაგან თავი შევიკავეთ მხოლოდ იმის გამო, რომ მალე მკითხველს მივაწვდით დღიურების სრულ ტექსტს რუსულ და ქართულ ენებზე კომენტარებით)

„1 აგვისტოს პეტერბურგიდან **თბილისში** ჩამოვედი. ამავე თვის 8 რიცხვში დამევალა მივლინება, რათა ერთ-ერთ რაზმთან ერთად მონაწილეობა მიმეღო ბერლინის ტრაქტატით შემოერთებული **ბათუმის სანჯაყის** დაკავებაში. გენერალური შტაბის დამოუკიდებლად, მე გაგზავნილი ვიქენი ამ გზის სამხედრო-ტოპოგრაფიული აღწერისათვის. 1878 წლის 13 აგვისტოს გავემგზავრე თბილისიდან და 15 აგვისტოს ვიყავი ახალციხეში. ამ საქმის წარმატებით შესასრულებლად მე სპეციალურად მოვემზადე. **ახალციხეში** ჩასვლისთანავე გამოვცხადდი გენერალ-მაიორ ტ...სთან (იგულისხმება „ტრეიტერი), რომელიც იყო ხელმძღვანელი ზემო აჭარის კოლონისა (...). ამაში შედიოდა არდაგანის შენაერთიც გენერალ-ლეიტენანტ **ტერგუკასოვის** მეთაურობით. გენერალმა გამაფრთხილა, 19 აგვისტოს მე უნდა ვყოფილიყავ მასთან ერთად, კერძოდ, **ახალციხის ოლქისა და თურქეთის საქართველოს (აჭარის) საზღვართან** განლაგებულ მის სამხედრო შენაერთთან.

რამდენიმე დღე დამრჩა მოსამზადებლად: უპირველესად, საჭირო იყო მომენახა მაღალ მთებში კარგად მოსიარულე ცხენი, თანაც თავისუფალ დროს ვათვალიერებდი ახალციხეს, რომელიც გაშენებულია მდინარე **ფოცხოვის** ორივე სანაპიროზე. მდინარის მარცხენა მხარეს გაშლილია ქალაქის ძველი ნაწილი. აქ არის ახალციხის აღებისას დაღუპულთა მემორიალი. **1828 წელს ბევრი რუსი დაღუპულა ამ ქალაქის აღებისას ფელდმარშალ პასკევიჩის – ერევანსკის ხელმძღვანელობით.** რკინის ფირფიტებზე კარგად იკითხება რუსთა გვარები. ფირფიტები გრანიტზეა მიმაგრებული.

ახალციხიდან გასვლის მოლოდინში ოფიცრები იკრიბებოდნენ სასტუმროებში და ცხარედ კამათობდნენ: – შეხვდება წინააღმდეგობა არმიას?! ზოგიერთი ამტკიცებდა, რომ მე-16 საუკუნიდან ეს მხარე ოსმალეთს ეკუთვნოდა და ცხადია, აქ ბევრი მომხრე ეყოლებოდათ მას. ზოგიერთი მსჯელობდა **შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის** გავლენაზე ამ მხარეში და რადგან **შერიფი** რუსეთს უჭერდა მხარს, მისი მომხრეებიც ბევრი იქნებოდა ზემო აჭარაში. **შერიფ ბეგი** უკვე ახალციხეში იყო რუსეთის ჯარის წინამძღოლების გვერდით და იმედიც ამიტომ უნდა ჰქონოდა ოფიცერთა დიდ ნაწილს.

ისიც ვიცოდით, რომ თურქეთის ძალები უთვალთვალებდნენ **შერიფ-ბეგს** და მისი თავი შეფასებული ჰქონდათ რამდენიმე ათას ლირად. ამიტომაც მისი უსაფრთხოების მიზნით ორი ბატალიონი, 149-ე შავი ზღვის ფეხოსანთა პოლკი, მეთაურის ბრძანებით, ჩქარი სვლით გაეშურა **სხალთისკენ**. მაგრამ სავალი გზის სიძნელე აბრკოლებდა ჯარს. დიდი გაჭირვებით ეს ბრძანება შესრულდა. **დევირში-ფაშის** გეგმები ჩაიშალა. **შერიფ-ბეგი** სიკვდილს გადაურჩა.

1878 წლის 20 აგვისტოს ზემო აჭარის რაზმი განლაგებული იყო აჭარა-ახალციხის საზღვარზე სამი მიმართულებით: **ბენარას** ხევისკენ, **გოდერძის უღელტეხილზე** და **მოხეს** იაილისკენ. ჯარის შემადგენლობა ასეთი იყო: გრენადერთა მე-15 პოლკი თბილისისა, მისი უმაღლესობის **მიხეილ ნიკოლოზის ძის** სახელობისა; მისივე სახელობის 149-ე პოლკი შავი ზღვის ფეხოსანთა და მე-2 პლასტუნსკი ბატალიონი, პოლტავის პოლკი ყუბანის კაზაკებისა, ჩრდილო კავკასიის მთის პოლკის ნაწილი; ფეხოსანთა 8 ბატალიონი, კავალერიის 6 ასეული და ოთხი შეიარაღებისა. რაზმი, ერთი შეხედვით, არ იყო ძალიან დიდი, მაგრამ მისი საშუალებით ადვილად შეიძლებოდა დასახული მიზნის მიღწევა, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელი იყო ამ მთიანი მხარის თავისებურებების ცოდნა, რომელშიც შევდიოდით.

ზემო და ქვემო აჭარა არის ჩაკეტილი მთიანი მხარე, გაშენებული **არსიანის** მთაგრეხილის ქედებზე: გაუვალი ტყით, ხევებით, ჩქარი მდინარეებით.

მათგან აღსანიშნავია: **ბელეთის წყალი, სხალთის წყალი, დიდაჭარის წყალი**. ესენი ქმნიან აჭარის მთავარ არტერიას – **აჭარის წყალს**, რომელიც ჩაედინება **ჭოროხში**.

ხევებით, ხეობებით დაღარული მხარე სასიარულოდ მიიმეა, რადგან საცალფეხო ბილიკები გადის მხოლოდ ქედებზე. ამიტომაც სამხედრო ძალა ძალიან ნელა გადაადგილდებოდა ხოლმე. აუცილებელი იყო ამ მხარის მოსახლეობის განწყობის კარგად შესწავლა, რადგან თურქების აგენტებით სავსე ქვეყანა მზად იყო თოფი აეღო ხელში რუსეთის ჯარის წინააღმდეგ.

ჩვენი მიზანი იყო **ზემო და ქვემო აჭარის, მაჭახლის** დაკავება. ძლიერი ძალა იყო **არდაგანის სამხედრო შენაერთი**. მას მეთაურობდა გენერალ-მაიორი **კომაროვი**, ახლანდელი სამხედრო გუბერნატორი ბათუმის ოლქისა. რიონის არმიას მეთაურობდა გენერალ-ადიუტანტი თავადი **სვიატოპოლკ-მირსკი**. იგი ხელმძღვანელობდა, აგრეთვე, მთლიან სამხედრო ძალას. მთავარი იყო **ქედამდე** ჩაღწევა. ჯარისა და საზღვრების დასაცავად გამოყოფილი იყო სპეციალური ძალები: 149-ე შავი ზღვის პოლკი, მე-15 თბილისის გრენადერთა პოლკი; პოლტავის ცხენოსანთა პოლკი. ესენი განლაგებულნი იყვნენ **ბენარის** ხევში, **მოხეს** იაილაში და **გოდერძის** საზაფხულო საგუშაგოზე.

21 აგვისტოს გოდერძის უღელტეხილზე, სადაც განთავისუფლებული იყო სამხედრო ძალების შუა კოლონა, მოვიდა **შერიფ-ბეგ ადჟარსკი (ხიმშიაშვილი)**, რუსი გენერლის, კაზაკების ფორმაში გამოწყობილი. შერიფი საშუალოზე მაღალი ტანისა, შესამჩნევად ჩაფსკვნილი აღნაგობისა, უნდა იყოს ფიზიკურად ძლიერი პიროვნება. გარეგნული შეხედულებით, იგი უნდა იყოს 40 წლის. გზაში ახლოს გავცანი მას. შევამჩნიე, რომ **ბუნებას მისთვის მიუცია სიბრძნე, გამჭრიახი გონება და ტაქტი**. წარმოშობით იგი თავადია, **ხიმშიაშვილების** გვარიდან. 200 წელია ხიმშიაშვილები ზემო აჭარის თავადები არიან და მართავენ ამ მხარეს. თურქები დიდხანს ითმენდნენ ამ თითქმის დამოუკიდებელ, თავდაუხრელ ბეგებს. ბოლო 10-20 წლის მანძილზე მათი უფლებები ცოტათი შეიზღუდა. ბოლო ომამდე ცოტათი ადრე მათ თითქმის დაკარგეს დამოუკიდებლობა. ამიტომაც **შერიფ ბეგმა** მოზომილად ზურგი შეაქცია თავის ხელისუფლებას (იგულისხმება ოსმალეთის მთავრობა).

ახლა თურქეთის საქართველოში, ამ ველურ, ნაკლებად შესწავლილ ქვეყანაში, **შერიფი** მოწვეულ იქნა ზემო აჭარის სამხედრო ნაწილში (ატრიალში) გენერალ-ლეიტენანტ **ტერგუკასოვის მიერ**. თავის წერილში გენერალ-ლეიტენანტი ტერგუკასოვი გამოთქვამდა იმედს, რომ **შერიფის მოსვლა სამხედრო ნაწილში იქნებოდა საფუძველი ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერისა,**

რუსი ჯარის მიმართ წინააღმდეგობის გამორიცხვისა. შერიფის გამოჩენა რუს ჯართან გარკვეულად დააწყენარებდა მოსახლეობას. ყველასათვის ცხადი იყო, რომ შერიფისადმი მორიდება, პატივისცემა დიდად ძლიერი იყო მოსახლეობაში. მართლაც, მისმა ყოფნამ ჩვენს შორის დიდი გავლენა იქონია მოსახლეობაზე; დაამშვიდა ხალხი. საერთოდ კი ნაბრძანები იყო, რომ მხარის დაკავება უნდა მომხდარიყო მშვიდობიანად, სისხლისღვრის გარეშე. მხოლოდ გამოუვალ შემთხვევაში მოიხმარდა ჯარისკაცი იარაღს.

საზღვრის გადალახვამდე ხალხში გავრცელდა პროკლამაცია, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ბერლინის საზავო ხელშეკრულების თანახმად, ზედა და ქვედა აჭარა, მაჭახელი გადადის რუსეთის იმპერიაში, რომ რუსეთის არმია შემოდის აქ არა როგორც მტერი, არამედ – მეგობარი; რომ აჭარის მოსახლეობა რუსეთის სახელმწიფოსთან ისევე იქნება დაკავშირებული, როგორადაც იყო დამოკიდებული ოსმალეთის ხელისუფლებასთან. ხელშეუხებლობა ცხადდებოდა რელიგიასთან და კერძო საკუთრებასთან. პროკლამაციაში საუბარი იყო ასეთ საკითხზეც: თუ ვინმეს არ სურს რუსეთის ქვეშევრდომობა და ურჩევნია თურქეთში გადასახლება, სამი წლის ვადაში ნებადართულია. ჯარისკაცები არაფერს იღებდნენ მოსახლეობისაგან უფულოდ, ძალადობით. მოსახლეობას შეუძლია გასაყიდად გამოიტანოს რაც სურს. ბოლოს გამოცხადდა ამინისტია იმ დამნაშავეების მიმართ, რომლებიც შემჩნეულნი იყვნენ ქურდობასა და მკვლელობაში. ასეთი იყო პირობები ამ ქვეყნის მშვიდობიანად დაჭერისა. ასეთმა მიდგომამ მალე გამოიღო დადებითი შედეგი.

რაზმის ხელმძღვანელის უღელტეხილის საგუშაგოზე მოსვლის შემდეგ დაიწყო ზემო და ქვემო აჭარის მოსახლეობის დეპუტაციების მოსვლა.

რა ამაყი სახე აქვთ ამ აჭარლებს! როგორი სიდარბაისლით, თავმოყვარეობით, სიდინჯით წარმართეს მათ საუბარი ატრიადის ხელმძღვანელობასთან; არავითარი თავდახრილობა, მონური მორჩილება არ შეინიშნებოდა მათ საუბარსა და ქცევაში.

დეპუტაციებთან გამართულ მოლაპარაკებებზე, გენერალ T-ს ხელმძღვანელობით ითქვა, რომ დაცული იქნებოდა ადგილობრივი მოსახლეობის ოჯახების სიწმინდე. ქალები და გოგონები არ უნდა გაეხიზნათ ტყეებში, არამედ ისინი მშვიდად უნდა დარჩენილიყვნენ ოჯახებში და მოესმინათ სოფლებში შემოსული რუსული ჯარის სამხედრო მუსიკა.

გოდერძის უღელტეხილი ზღვიდან 800 ფუნტია, თითქმის უტოლდება ალპურ ზონას. დღისით სითბო 20 გრადუსამდე აღწევს, საღამოს აცივდება, ღამეში ტემპერატურა 6 გრადუსამდე ეცემა.

1878 წლის 23 აგვისტო ტელეგრაფზე აისახა რუსი ჯარის აჭარაში შესვლის დღედ. მოსახლეობა მშვიდად ხვდებოდა ამ უჩვეულო მოვლენას, ისმენდა სამხედრო მუსიკას; ზოგ ადგილებში პურ-მარილითაც გვხვდებოდნენ ხოლმე.

ბელეთის წყლის, სხალთის წყლისა და დიდაჭარის წყლის ხეობებში მიემართებოდა ჯარი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. შუაში მდგომი ბატალიონის სამხედრო ნაწილის ღამისთევა გადაწყდა სოფელ **პაქსაძეებში**, რომელიც მდებარეობს ბელეთის წყლის მარჯვენა ნაპირზე. მარჯვენა ბატალიონის სამხედრო ნაწილის ღამისთევა მოხერხდა სოფელ **გარჟოლსში (ალბათ ღორჯომია)** მდინარე დიდაჭარის წყალზე. ჯარის მოძრაობა ნელი ტემპით ხორციელდებოდა, რადგან ვიმყოფებოდით ჩვენთვის უცნობ, ნაკლებად შესწავლილ მთაგორიან ქვეყანაში, რომელიც **ბერლინის ტრაქტატით ჩვენს მფლობელობაში გადმოვიდა.**

უპირველესად აღსანიშნავია, რომ ამ ჩვენთვის უცხო მხარეზე წარმოდგენას მიქმნიდა **შერიფ ბეგთან საუბარი**. მან კარგად იცოდა თავისი მხარე. ჩემს კითხვებს ის კარგად პასუხობდა, რაც არ ითქმება სხვა აჭარლების მიმართ, რომლებიც ეჭვის თვალით უცქეროდნენ ცხენზე მჯდომ ოფიცერს, რომელიც მათ პასუხებს იწერდა. – „**მათ თქვენი ეშინიათ**“, – მითხრა აჭარლების კრებულზე მითითებით ქვედა აჭარის მმართველმა ათასის თავმა – **ტუან ბეგმა (ალბათ, თუფან ბეგმა).**

გოდერძის საზაფხულო საგუშაგოდან სოფელ პაქსაძეებში ღამის თევა არ შედგა. ჯარის ნაწილმა განაგრძო გზა ბელეთის წყლის ხეობიდან დიდაჭარის წყლის ხეობისაკენ. გზად გვხვდებოდა ხევები, მდინარეები. ერთ-ერთი იყო **ჩხრიალა წყალი**. გზაში გვხვდებოდა ნაშალი მიწა, წვიმის შედეგად ჩამოშლილი ქვა და ქვიშა, რაც ამწელებდა ჯარის მოძრაობას. მალე შევედით წიწვოვან ტყეში, რაც ნიშანი იყო იმისა, რომ ჩვენ უკვე ვიყავით 6 000 ფუნტის სიმაღლეზე ზღვის დონიდან. აქ გზა უხვევდა ჩრდილო-დასავლეთისაკენ წიწვოვან ტყეში. აქ გადიოდა ბილიკის მაგვარი გზა. მოძრაობა ძალიან შენელდა ბუნებრივი პირობების გამო. უცბათ ჩვენ დავინახეთ კონუსისებური მწვერვალი – **ზამზორი**, მარცხენა სანაპიროზე მდინარე **კაილი-დერე-წყალისა**. აქ ეზიდება თავის წყალს ღელე **ჩხრიალა-წყალი**. გადასასვლელამდე გზა ინარჩუნებდა თავის წინანდელ თვისებას: ჩამოშლილი გრუნტი, ქვის ნაყარი, მკვეთრი მოსახვევები, მთის მდინარეების ხევებით დასერილი.

ქედები და უღელტეხილი ასრულებს წყალგამყოფის როლს. **ქობლიანის წყალი** მიედინება იქით; აქეთ, აჭარისკენ კი **ბელეთის წყალი** მოედინება.

იქვეა ხშირი წიწვოვანი ტყე. ზოგი ხე ისე მსხვილია, ოთხი კაციც კი ვერ შემოსწვდება. აქ გზა ბილიკივითაა, ძალიან ვიწრო, თანაც დასერილია მთის პატარა ღელეებით. აქედან გზა მიემართება ბელღეთის წყლის მარცხენა სანაპიროზე; გაივლის წიწვოვან ტყეში; ეს გზა ძალიან მძიმე იყო; გაუჭირდათ ცხენებს სვლა. პირველი სოფელი, რომელიც შეგვხვდა, იყო **დანისპარაული**. იგი გაშენებულია ბელღეთის წყლის მარჯვენა სანაპიროზე. აქ გზა გადავიდა მდინარის მარცხენა ნაპირზე საკმაოდ მაგარი ხის ხიდით.

საკმაოდ კარგად დასახლებული აჭარული სოფელია **დანისპარაული**. იგი შედგება ცალკეული დასახლებებისაგან (უბნებისაგან). ეს სოფელი თავისი განლაგებით მაგონებს რუსულ სოფელს, ხის სახლებით. სახლები ორნაწილიანი სახურავითაა, თხელი ფიცრებით დახურული, რომლის ზემოთ ქვები აწყვია და ამაგრებს სახურავზე. ბუხარი გარეთა კედელზეა მიშენებული. შეძლებულთა სახლების საძირკველი ქვითაა ნაშენი. სახლებს შორის დგას ბოსელი, საცხენე, სარაი.

სოფლის შესასვლელთან დაგვხვდა მოსახლეობის დეპუტაცია, **აჭარლების** იგივე ტიპებია: **სწორი ტანის, მაღალი აღნაგობის აჭარლები გამბდარნი ჩანან, მაგრამ მკვრივ კუთოვანნი. ჩაცმულობაც მოგეწონებათ. მამაკაცები ჩვეულებრივი სუკნოს კურტკით, შარვლით. სუკნო ადგილობრივი ნაწარმია, მოყავისფრო. ფეხსაცმელი მათი ჩვეულებრივი ბაშმაკებია, მიმაგრებულია თოკით ფეხზე...**

თურქეთის ქართველები ჩვეულებრივ თავიდან ფეხებამდე არიან შეარაღებულნი. იარაღი ახალი სისტემისაა აქვთ. თვალში საცემი იყო ე.წ. პიზოდი-მარტინი. იარაღის გარდა, აქვთ ხანჯალი, დანა, პისტოლეტი. არის დაპირისპირება ზემო და ქვემო აჭარლებს შორის. **შერიფ ბეგმა** თავისი მართველობის დროს ძალიან გაამკაცრა ყაჩაღობისა და მმართველობის წინააღმდეგ ბრძოლა. მისთვის თავის მოკვეთა ყაჩაღისთვის, ქურდისთვის ჩვეულებრივი რამ იყო. მან არ დაინდო საკუთარი შვილიც კი. რაღაც ყაჩაღობის საქმეზე შენიშნული ვაჟიშვილის მოკვლა მისი ბრძანებით, მისივე თვალწინ მოხდა. ყაჩაღობითა და ქურდობით გამოირჩეოდა ქვედა აჭარის სოფლები – **დონდალო (დანდალო), ჯეზი (?) და საღორეთი**.

ზემოთ იყო ნათქვამი,, რომ შუა კოლონას სამხედრო ნაწილისას ღამე უნდა გაეთია სოფელ პაქსაძეებში, მაგრამ ეს არ განხორციელებულა, რადგან გადასალახავი ქედი მიუვალი აღმოჩნდა, ძნელად სავალი, ამიტომ ღამისთევა სოფელ **რიყეთში** მოხდა, მდინარე ბელღეთის მარცხენა სანაპიროზე, სოფელ პაქსაძეებამდე ჯერ კიდევ დარჩენილი იყო სამი საათის სავლელი გზა

სამხედრო მარშით. ამან ერთხელ კიდევ გვიჩვენა, თუ რა ძნელია მთა-გორიან ადგილებში რაზმის სვლა მარშით...

რიყეთში მისვლამდე ნახევარი საათით ადრე ერთმა ახალგაზრდა აჭარელმა მალულად განუცხადა ატრიადის ხელმძღვანელს, რომ **ტყეში მზადდება თავდასხმა შერიფის მოკვლის მიზნით**. დაიწყო არემარის მოკვლევა. **შერიფმა არაფერი იცოდა ამ ხიფათის შესახებ. ჩემთან ერთად დადიოდა ეს ძლიერი ადამიანი, მოსალოდნელი ხიფათის არმცოდნე, რომელსაც სიკვდილი ელოდა ყოველ წუთს**. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა.

პირველი ღამისთვის შემდეგ ჩვენ აუცილებლად უნდა გაგვეთვით-ცნობიერებინა, რომ ჩვენ ვიმყოფებოდით უცხო ქვეყანაში. ეს გამოიხატა პროდუქტების ყიდვაშიც. ერთ ფუთ პურში მოითხოვეს ორი მანეთი, რაც ძალიან ძვირი იყო. ასეთი მაღალი ფასი ადასტურებდა იმას, რომ **აჭარლები ძალიან ხელმომჭირნენი (ყადნიი) არიან, ძუნწი ფულთან დაკავშირებით** და ცდილობენ პირობების გამოყენებას მათ სასარგებლოდ, ხელის მოთხოვას. აღსანიშნავია ისიც, რომ პურის გასაყიდი ადგილები აქ ცოტაა.

ღამით ყოველნაირად შევეცადეთ, რომ უსიამოვნება, საფრთხე აგვეცილებინა. **შერიფის კარავს დაუწყენეთ განსაკუთრებული დაცვა მთელი ღამის მანძილზე (ოცინჲჩ უაცოხოჲ).**

იმ ღამით მე პირველად მოვისმინე ტურების საშინელი ყვირილი, რომელიც მთელი ღამის მანძილზე გრძელდებოდა და ნერვულ სისტემაზე მოქმედებდა უარყოფითად. ისინი ვერ დააფრთხო ანთებულმა კოცონებმაც კი.

მომდევნო გადასასვლელი იყო სოფელ პაქსაძეებამდე. იქ მისვლამდე შეგვხვდა სოფლები: **გოდზაური** (ბოძაური), **ტაბახმელია**, **დიაკონისი**, მდინარე ბელლეთის წყლის მარცხენა მხარეზე. დიაკონისიდან მიდიოდა ბილიკი **მანიახეთამდე** (მანიაკეთამდე); იქიდან კი, ხალხის ცნობით, გადიოდა ბილიკი **სხალთის წყლის** ხეობისაკენ. ეს იყო ერთადერთი დამაკავშირებელი გზა **ბელლეთის ხევისა სხალთის წყლის** ხევთან. სოფელ დიაკონისიდან მოყოლებული გზაში შეიძლება შეგვხვდროდა გარეული ყურძენი. ეს კი იმის მაჩვენებელი იყო, რომ ჩვენ ვიყავით სამნახევარ (3500) ფუტის სიმაღლეზე ზღვის დონიდან. გზაში გვხვდებოდა, აგრეთვე, გარეული წაბლი, დიდი ზომისა. წიწვოვანი ტყეები შეიცვალა ფართოფოთლოვანი ტყით.

ამ დრომდე სამხედრო რუკებზე არ იყო ბევრი ადგილი აღნიშნული, რადგან ძალიან ძნელი იყო ცნობების მოპოვება ამ ნახევრადშესწავლილი მხარის შესახებ. სამხედრო-ტოპოგრაფიული რუკა, რომელიც თან დამქონდა, ბევრ უზუსტობას ავლენდა. ამიტომ მე ბევრი შესწორების შეტანა მომიხდა სამხედ-

რო-ტოპოგრაფიულ რუკაზე. ქვედა აჭარის ბევრი დღემდე უცნობი სოფელი აღვნიშნე ამ რუკაზე.

სოფელ დიოკნისიდან **ჩვენს თვალწინ გადაიშალა ბუნებრივი ბადის მსგავსი ქვეყანა**. გზის პირობებში გვხვდებოდა მსხლის, კლიავის, ლელვის, წაბლის ხეები, მაგრამ მაშინ, აგვისტოს ბოლოსთვის, ჯერ კიდევ არ იყო შემოსული ზოგიერთი ხილი, რადგან სოფელი დიოკნისი საკმაოდ მაღლაა ზღვის დონიდან.

გზადაგზა სოფლების დეპუტაცია გვხვდებოდა პურმარილით, ახლად შემოსული ხილით, მაგრამ ჩვენც ვიხდიდით ფულს სამაგიეროდ.

სოფელ **პაქსაძეებთან** ჯარი მოემზადა ღამისთევისათვის. კარვები გაიშალა მდინარე ბელღეთის წყლის სანაპიროებზე გაშლილ მინდვრებში.

25 აგვისტოს დავიწყეთ გადასვლა **ხულოსკენ**. გზა იყო ვიწრო, კლდოვანი, სავალად ძნელი. მივუახლოვდით იმ ადგილს, სადაც ბელღეთის წყალი უერთდება დიდაჭარის წყალს. აქედან გაძლიერებული მდინარე მიემართება სამხრეთ-დასავლეთით. დიდაჭარის წყლის მარჯვენა მხრიდან ჩამოდის **დიაკონის წყალი**. ეს ძალიან ხმაურიანი მდინარეა. მასზე, ყველაზე ვიწრო ადგილას, გადებულია ძველი ქვის ხიდი. ხალხური გადმოცემით, იგი აუშენებია **თამარ მეფეს**. მის სახელს უკავშირდება აჭარაში შემორჩენილი ძველი ხიდების აშენება.

გზაში სვლა გააძნელა წვიმამ. შეგვხვდა ერთი ძალიან ძნელი მოსახვევი. საღამოს 6 საათზე რაზმმა ძლივს მიაღწია სოფელ **ხულას**. 26 აგვისტოსათვის აქ იყო განსაზღვრული დღესასწაულის მოწყობა. ... ასეთ პირობებში გავიარეთ 40 ვერსის გზა ხულომდე. სამხედრო ნაწილმა ძნელად სავალ გზაზე გადალახა სამი დიდი გადასასვლელი. ეს თავად მეტყველებს ყველაფერზე.

სოფელი ხულო არის დედაქალაქი (столица) **ზედა აჭარისა**, შედგება 120 კომლისაგან, გაშენებულია დიდაჭარის წყლის მარჯვენა სანაპიროზე, ეს სოფელი მსგავსია აჭარის სხვა სოფლებისა; შედგება პატარ-პატარა დასახლებებისაგან (უბნებისგან), რომლებიც გაფანტულია მის ირგვლივ. ყველა ეს უბანი შედის ხულოში და ატარებენ სახელს „**ხულო**“, მაგრამ კონკრეტულად „**ხულო**“ შეიძლება ეწოდოს მხოლოდ იმ უბანს (დასახლებას), სადაც დგას მეჩეთი და **შერიფ-ბეგის (შერიფ-ბეგ ადჟარსკის)** სახლი. შერიფ-ბეგის სახლთან ახლოს ჩვენ დავათვალიერეთ დანგრეული ძველი ციხესიმაგრე (крепост). ის დაანგრია **ოსტენსაკენმა 1829 წელს**, ხოლო სოფელი ხულო გადაწვა. ხულოს მდებარეობას, ადგილს, შეუძლია შეასრულოს გადამწყვეტი როლი თავდაცვის

საქმეში. ამიტომ ხულოში შემოსული სამხედრო ნაწილიდან აქ დატოვებულ იქნა ორი რაზმი (две роты) ... თბილისის გრენადერთა პოლკიდან.

26 აგვისტოს, დილის 9 საათზე, მდინარე დიდაჭარის წყლის ნაპირას გაშლილ მინდორში, რომელიც მდებარეობდა ხულოს მისადგომებთან, დღესასწაულთან დაკავშირებით გაიმართა **ლოცვა**. უჩვეულო სანახაობით გაცემული აჭარლები, ჯგუფებათ შეკრებილნი, ცნობისმოყვარეობით შეჰყურებდნენ ამ ღვთისმსახურებას. გალობის ხმა ისმოდა მოწყენილ, მიჩუმებულ ხეობაში. ამან ძალიან იმოქმედა მსმენელზე. აქ მოხდა ძალიან საინტერესო შემთხვევა, რომელიც დიდხანს იცოცხლებს ჩემს მეხსიერებაში. ლოცვის წარმოთქმისას, გალობისას ჩვენ შევნიშნეთ ერთი მოხუცი აჭარელი, რომელიც იდგა შეჯგუფებული აჭარლების მოპირდაპირე მხარეს და განსაკუთრებული ცნობისმოყვარეობით ისმენდა გალობას (ლოცვას). ჩვენ ამან დაგვაინტერესა. გამოვიკითხეთ მის შესახებ. რამდენიმე მოხუცმა „დამტკრეული რუსულით“ გაგვაგებინა, რომ **იგი იყო ეგორი-რუსი გლეხი, გამოქცეული კოლომენსკის რაიონიდან, მოსკოვის ოლქიდან**. მისი ბატონი, თბილისში მცხოვრები, მას უპირებდა სასტიკად დასჯას, რადგან ბატონის ცხენს აბანავებდა მდინარე მტკვარში და მოულოდნელად დაეხრჩო ეს ცხენი. მაშინ ამ რუსმა გლეხმა ზემო აჭარაში გამოქცევით უშველა თავს. მას შემდეგ გავიდა 40 წელი. რუსი გლეხი **ეგორი** მივიდა **რეშიდთან**, მიიღო მაჰმადიანობა, დაქორწინდა აჭარელ ქალზე და ცხოვრება დაიწყო აჭარაში. მას დღეს ჰყავს ორი მოზრდილი ვაჟი. ეგორმა გვითხრა: **„როცა გალობის (ლოცვის) დროს მოვისმინე სიტყვები: „უფალო შეგვიწყალებ“ (Господи помилуй), უცბად ამ სიტყვებმა მკერდი შემინძრია და გამოაცოცხლა ჩემი წარსული“** -ო.

ხულოდან, ზემო აჭარის სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელმა, რომელიც იმყოფებოდა ჯერ კიდევ ზევით, შუა კოლონაში, გაგზავნა შეტყობინება ერთი მთიელის ხელით გენერალ-ლეიტენანტ **ტერგუკასოვთან**. ამ შეტყობინებაში საუბარი იყო იმაზე, რომ ამ მხარის დაკავება გრძელდებოდა მშვიდობიანად, რადგან **შერიფ-ბეგის გავლენა ხალხში ჯერ კიდევ ძლიერი იყო**. ყოველგვარი დემონსტრაციებისა და წინააღმდეგობის გარეშე, წინ მიდიოდა რუსის ჯარი, წარმატებით და მშვიდად.

26 აგვისტოს ხულოს მეჩეთში მრავალრიცხოვანი აჭარლების წინაშე **მოლამ დალოცა შერიფ-ბეგი, რაზმის ხელმძღვანელი, შეასრულა ფეტვა (არაბული სიტყვაა, ნიშნავს გადაწყვეტილებას შარიათის კანონების შესაბამისად, რომელსაც კანონის ძალა აქვს და გამოსცემს მაღალი წოდების სასულიერო პირი, მუფთი)**. ბოლოს დღეგრძელობა უსურვა იმპერატორს.

ამ დროისათვის სამად განაწილებული სამხედრო ნაწილები უახლოვდებოდნენ ერთმანეთს. მარცხენა რაზმმა მიაღწია სოფელ **ფურტიოს**, სადაც სხალთის წყალი და დიდაჭარის წყალი უერთდება ერთმანეთს. მარჯვენა ნაკადი ჯარისა მისული იყო სოფელ **ღორჯომამდე**. მომდევნო გზა იდო **ნიგაზეულისკენ**. დამისთევა ამ სოფელში გადაწყდა.

ჩვენს წინ გადაიშალა ულამაზესი სურათი მომაჯადოებელი ბუნებისა. მე ბედმა მარგუნა შევხვედრილიყავ **ძველ კავკასიელებს**. ვინც ნამყოფია კავკასიაში, არ დაავიწყდება დარიალის ხეობა; ვინ არ აღფრთოვანებულა საქართველოს სამხედრო გზის მიდამოებით! **იქ ბუნება მოქმედებს ადამიანზე თავისი ველური დიდებულებით. აჭარაში კი ბუნება თავისი სიდიადით მიზიდავს და ეფერება ჩემს თვალებს, მაჯადოებს და მიპყრობს.**

პირველი სოფელი, რომელიც შეგვხვდა მარშით, იყო **ნიგოზეული**; იყო, აგრეთვე, **ალმე**. ნიგაზეულიდან ბილიკი მიდის ფურტიოსკენ. ნიგაზეულზე გზა იღებს მიმართულებას სამხრეთ-დასავლეთისაკენ. ყველაზე მძიმე აღმართი ამ გადასასვლელზე შეგვხვდა, როცა მივაღექით **ვარიხლასალის** მთას. იქიდან დავეშვით ტყეში, ბუჩქებში. ამასობაში რაზმი აჭარისწყლის მარჯვენა მხარეზე აღმოჩნდა შორს, ქვემოთ.

ხუთსაათიანი სვლით გადავედით ქედზე და მივედით **ნიგოზეულში** (ნიგაზეულში). ეს სოფელი რამდენიმე გორაკზეა გაშენებული, რომლებიც ერთდება ქვემოთ ერთ ხეობად და ჩადის აჭარისწყლამდე. აქ მე მომეცა საშუალება დამეთვალეირებინა დანგრეული ციხე-კოშკი **სელიმ ფაშისა**. იგი გაშენებულია მაღალ გორაზე, რომელიც მზრმანებლობს მთელ ნიგოზეულზე. ამ ციხე-კოშკს აქვს სქელი ქვის კედლები, აშენებული დიდი ქვებით. კედლის სისქე კოშკის კედლებისა აღწევს ერთ საჟენს.

აჭარლები არიან გაწვრთნილი მსროლელები. ამ სოფელში ჩვენ გავხდით მოწმენი, თუ აქაურები როგორ ისვრიან მიზანში. ერთმა აჭარელმა 50 ნაბიჯის მოშორებით მდგარი ხიდან ერთი გასროლით ჩამოაგდო ნაყოფი.

28 აგვისტოს ჩვენ გავემართეთ **ჭვანისკენ**.

გზა ჩვეულებრივი იყო, ძნელად სავალი, მიემართებოდა დასავლეთისაკენ. გავიარეთ სოფლები – **გომარდო** (გომარდული) და **ჩალო** (ჭალა). გზა მიემართებოდა იმ ადგილისაკენ, სადაც ჩაედინება **ბარათაულის წყალი ჭვანის წყალში**. ეს ხმაურიანი მთის მდინარეები, ერთი ცდილობს სვლას სამხრეთ-დასავლეთისაკენ, მეორე–სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ და უკან იტოვებს მაღალ გორას, სადაც დგას **ჭვანის მეჩეთი**. ამის შემდეგ შეერთებული წყალი ჩაედინება სამხრეთით **აჭარის წყალში**.

ჭვანის წყლის ხეობები ქმნიან მთიან მასივს, თოვლით დაფარულ პერან-გას ქედს, გაჭიმულს სამხრეთ-დასავლეთისკენ, მარჯვენა მხარეს ბარათაულის წყლისა. მოპირდაპირედ ჩანს პერანგა. ბარათაულის წყალზე ძველი ხიდია, როგორც იყო დიაკონის წყალზე. ამ მდინარეების სილამაზე დაუვიწყარია.

ჭვანის მეჩეთის მიდამოებში დაბანაკდა ჩვენი ჯარი.

28 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე მოვიდა სპეციალური შეტყობინება ბათუმიდან. გენერალ-ადიუნტანტი სვიატოპოლკ-მირსკი აცნობებდა ზემო აჭარის ატრიადის მთავარს, რომ ჩვენმა ჯარმა 26 აგვისტოს დაიკავა ბათუმი, თურქებისაგან განთავისუფლებული. ამ ამბავმა გაგვახარა და გაგვიძლიერა იმედი ზემო და ქვემო აჭარის მშვიდობიანად დაკავებისა. მაგრამ ქვემო აჭარაში კარგა მანძილზე სვლისა არ შეგვხვედრია ისეთი თბილი დახვედრა, როგორც გვხვდებოდა ზემო აჭარაში. ამას თავისი ახსნა აქვს. ქვემო აჭარლებში ბევრი მოიძებნებოდა მძარცველი, ყაჩაღი, ვიდრე ზემო აჭარაში; თანაც შერიგ-ბეგის გაგლენა ქვემო აჭარლებზე ნაკლები, შესუსტებული იყო. როგორც ჭვანაში, ისე ქვემო აჭარაში, ძლიერი იყო, აგრეთვე, თურქული აგიტაცია, თურქი მოხელეების გავლენა.

იგივე რიცხვში, 28 აგვისტოს, ღამეში გენერალ-ლეინტენანტმა ტერგუკა-სოვმა მიიღო ბრძანება სამხედრო ძალების შემცირების შესახებ. მნიშვნელოვანი ნაწილი ჯარისა გაიგზავნა ახალციხეში. ასე რომ ზემო აჭარის ატრიადის შემადგენლობიდან დარჩა მხოლოდ ფეხოსანთა ორი ბატალიონი და ორმოცდაათამდე კაზაკი. მხოლოდ ეს რაოდენობა უნდა ჩასულიყო სოფელ ქედაში.

შემდეგი გადაადგილება განხორციელდა ქვემო აჭარის სოფელში-სოფელ დოლდალოში (დანდალოში).

სოფელ ჭვანიდან გზა მიდის სამხრეთით, ჭვანის წყლის მარჯვენა სანაპიროზე, სოფლების ცივოდისა (ცივაძეები) და ტოკადზის (ტაკიძეების) გავლით. ეს სოფლები ჩვენს რუკაზე საერთოდ არაა აღნიშნული. მდინარის მეორე მხარეს მოსჩანდა სოფლები სხაროტა (წყაროთა) და ახალდობა (ახალდაბა). გადავლახეთ მთების ნაკადულები, ღელეები და მივედით ჭვანის წყალთან, რომელიც ჩაედინება აჭარის წყალში. აქ გზა უხვევს დასავლეთისკენ და მიჰყვება აჭარის წყალს (ადჟარისა). ჭვანის წყლის საპირისპიროდ, ადჟარისის (აჭარის წყლის) მოპირდაპირე მხარეს, მოსჩანს ნახევრად დანგრეული კოშკი, რომელიც ხალხური გადმოცემით, თამარ მეფის დროსთან არის დაკავშირებული. მდინარე აჭარის წყლის სიგანე აქ აღწევს 50 საჟენს. ეს იმას ნიშნავს, რომ გაზაფხულზე ძალიან ადიდებულია. ზაფხულში კი მისი სიგანე ძლიერს აღწევს 5-6 საჟენს.

სოფელ **დოლდალომდე** (ე.ი. დანდალომდე) 5 ვერსის მოშორებით, ადჟარისის (აჭარის წყლის) მარცხენა სანაპიროდან მოსჩანს სოფელი **ნელია**, **მერეთის – ხევი და შუახევი**.

სოფელი **დოლდალო** გაშლილია $2^{1/2}$ ვერსით გამოცალკევებული დასახლებითურთ, რომელთა შორის გამყოფი მინდვრებია. მინდვრებში სიმინდის ყანებია, ზოგან სათივე მინდვრებია. აქ შეიძლება განთავსება კარვებისა, რომელიც დაიტევს ორ ფეხოსანთა პოლკს, კავალერიას და ორ ბატალიონს არტილერიისას. სოფლის მოპირდაპირედ მდინარეზე არის ქვის ხიდი, ძველი ნაშენი. აქ შეუერთდა ჩვენი სამხედრო ნაწილის ორი კოლონა ერთმანეთს.

30 აგვისტოს გადავედით **ქედაში**, ქვედა აჭარის დედაქალაქში, ეს იყო ბოლო მიზანი ჩვენი მოძრაობისა. გზა თიხის გრუნტზე მიდიოდა, ზოგან რკინის ჟანგისფერი იყო მიწა. შეგვხვდა რკინის ჟანგიანი წყაროები, ძლიერი მინერალური მარილებით მდიდარი. გზა მიუყვებოდა მდინარის ნაპირს, აღმართებით, დაღმართებით; ადამიანს რომ დაქანცავს ქვა-ღორღიანი გზა, ისეთი იყო. ს. **ცხმორისამდე** აჭარის წყლის კალაპოტი აღწევს 100 საჟენს. აქ უბედურ შემთხვევას ვერ ავცდით. რამდენიმე ცხენი დაგველუპა...

გზად შეგვხვდა სოფლები – **აბუკეთა**, **კუაშტა**, **ვაიო**, **აქუცა** – გაშენებული აჭარის წყლის ორივე ნაპირას. მალე შევედით სოფელ ქედაში. ბოლო სოფლამდე 5 ვერსის დაშორებით, მდინარის მარჯვენა მხარეს არის დასახლებები: **ცორიარი** (წონიარისი), **ვარდუოკირი** (ვარჯანისი) და **ზვორე** (ზვარე). ქედის მოპირდაპირედ, იმავე სანაპიროზე მოსჩანს **გულები** და **ზენდიდი**. აქედან ჩანს, რომ აჭარისწყლის ეს მონაკვეთი კარგადაა დასახლებული.

სოფელ **ვაიოში** არის მინარეთიანი მეჩეთი. ვაიოს მოპირდაპირედ აჭარის წყალი შენაკადს იერთებს. მას მარჯვენა მხრიდან ეცემა მთიდან მომდინარე წყლის ნაკადი, სამი საჟენის სიმაღლისა და ქმნის ჩანჩქერს.

სოფელი ქედა გაშლილია აჭარის წყლის მარცხენა ნაპირზე. ამ ადგილას მდინარეს მთებიდან ჩამოტანილი ნაშალით შეუქმნია გორაკის ტიპის კონცხი, რომელზედაც მდებარეობს დანგრეული ციხე-სიმაგრე **ოსმან ფაშისა**. აქედან მდინარე იღებს სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებას, რომელიც შენარჩუნებული აქვს მდინარე ჭოროხთან შეერთებამდე. მდინარეზე გადებულია ვიწრო, არამყარი ხის ხიდი.

ქედის აღმოსავლეთით, მდინარის მარჯვენა ნაპირას, გაშლილია მინდორი, კონუსისებური გორაკით, რომელიც გაჰყურებს აჭარის წყალს. აქ თურქებს ჰქონიათ განლაგებული საბრძოლო დანიშნულების საშუალებები. გორაკის დასავლეთ მხარეს მომზადებული იყო ადგილი სათადარიგო ჯარის

განსალაგებლად. აქ ყველგან შემორჩენილი იყო მრგვალი თურქული კარვების ნაშთები. ეს იმაზე მიგვითითებდა, რომ თურქები ელოდნენ ჩვენს შემოსვლას ქედში ახალციხიდან. ამიტომაც კარგად იცავდნენ ქვეყნის ადმინისტრაციულ ცენტრს.

ახლა, როცა მშვიდობიანად გავიარეთ ზემო და ქვემო აჭარა, მდინარე ჭოროხის გაყოლებით მიმავალ გზას დავადექით და გავსწიეთ **ბათუმისკენ ...**

ბათუმიდან ქედამდე გაყვანილია ტელეგრაფი. ჩვენ რომ ვნახეთ, არ მუშაობდა, გაფუჭებულიყო. აქედან გაემგზავრა ბათუმში მხოლოდ ზემო აჭარის ატრიადის ხელმძღვანელი შტაბთან და ცხენოსნებთან ერთად, რათა **ზემო და ქვემო აჭარის დეპუტაცია** წარედგინა თავად **სვიატოპოლკ-მირსკის** წინაშე.

2 სექტემბერს ჩვენ დავიმართ ბათუმისაკენ. **შერიფი გვაცილებდა** ჩვენ. უფრო ადრე, მასთან საუბარში მე გამოვიტანე დასკვნა, რომ იგი მოუთმენლად ელოდა ბათუმში ჩასვლას. მას სურდა რუსეთის გენერლის ფორმით წარდგენილიყო მისი დაუძინებელი მტრის – **დევრიშ ფაშის წინაშე**. სწორედ ამიტომ იგი ხშირად ინტერესდებოდა დევრიშ ფაშის ბათუმში ყოფნა-არყოფნით. სამწუხაროდ, მისი სურვილი არ შესრულდა. ბათუმში ჩვენს ჩასვლამდე ერთი დღით ადრე იგი ამ ქალაქიდან გაემგზავრა **ტრაპეზონტში**.

ბათუმისაკენ მომავლებს გზაში შეგვხვდა სოფლები – **ორუმხეთი** (კორომხეთი), **კოხლა** ხოხნა), მდინარის მარცხენა სანაპიროზე და სოფელი **საღორეთი**, მარჯვენა სანაპიროზე. გზა, რომლითაც მივემართებოდით, ადიოდა მაღალ ქედზე. აჭარის წყალი აქ ძლიერ ჩქარი დინებით ქმნის ღრმულებს, **მანცუხეთთან** (მახუნცეთთან) იბრუნებს თავის ბუნებრივ ხასიათს და ქმნის ვაკე ნაპირს. სოფელი მანცუხეთი (მახუნცეთი) გამოირჩევა თავისი ლამაზი ბუნებრივი პირობებით. მდინარე მანცუხეთის წყალი მოედინება მთიდან და ქმნის მშვენიერ ჩანჩქერს, 10-15 მეტრი საჟენის სიმაღლისას. ორი საჟენი სიფართის ჩანჩქერი ვერცხლისფერი ლენტებით ეშვება კლდეზე და ძალიან ლამაზი სანახავია. მდინარე **ადჟარისზე** (ე.ი. აჭარის წყალზე) გადებულია ძველი ქვის ხიდი.

საშუალო სიმაღლის ქედის გადალახვის შემდეგ გავაგრძელეთ მოძრაობა სოფლების – **ხაპუტოღლი, ზუნდაგა, დოლოგანი, კაკვისთავი** – გავლით, მარჯვენა სანაპიროზე ადჟარისა. მალე მივედით **მაჭახლის** ოკრუგში, რომელიც მდებარეობს ადჟარისის მარცხენა სანაპიროზე, ჭოროხთან მის შეერთებამდე. მანცუხეთის ქვემოთ მდინარე ადჟარისი კარგავს თავის ველურ ბუნებას და შეზღუდულია ქვებით. მოპირდაპირედ არის სოფელი **აჭარის აღმართი**

(მდებარეობს მაჭახლის ოკრუგში). მდინარე ადჟარისი აჭარის აღმართის გზის ქვემოთ იყოფა ორ ტოტად, ქმნის პატარა კუნძულს....

აჭარის წყალი აქ ფართოდ იშლება, აღწევს 20 საჟენს და უზენესია. აქ არის ქვის ხიდი თანამედროვე სისტემით აშენებული. ადჟარისმა ეს ხიდი ორჯერ წაიღო და ახლაც დანგრეულია. ამ ადგილიდან მიემართება გზა ქალაქ **ართვინისაკენ**. აქ, მდინარის ნაპირზე, ჩვენ ვნახეთ ნაშთი თურქეთის სამხედრო ძალების ლაგერისა, სადაც განლაგებული ყოფილა ფეხოსანთა ორი რაზმი.

ამის შემდეგ მიდის გზატკეცილი (шоссе) მდინარე ჭოროხის მარჯვენა სანაპიროზე. გზის სიფართოე ორი საჟენია, გაკეთებულია საკმაოდ კარგად, მაგრამ უყურადღებოდ მიტოვებულს ჰგავს. ჭოროხის ორივე მხარეს გაბმული ჩანს ტელეფრაფის მავთულები ბათუმამდე.

მდინარე ჭოროხის მარჯვენა მხარეს შეგხვდა პირველი სოფელი. ეს იყო **ერგე** (არ იყო ნაჩვენები ჩვენს რუკაზე). აქედან მოყოლებული მდინარე ჭოროხის სიგანე, სიგრცე ფართოვდება და ფართოვდება. მთის მასები – მთაგრეხილები (ქედები) ჩამოდის ქვევით. აქ ჭოროხის სიგანე იზრდება, კალაპოტი ფართოვდება 30 საჟენამდე. მდინარეზე ართვინიდან მოცურავენ მოზრდილი ნაგები. გემებს არ შეუძლიათ მოძრაობა. ჩქარ მდინარეს ჩამოაქვს ნაშალი და ავსებს ადრე საკმაოდ ღრმა კალაპოტს. აჭარის წყლის შესართავიდან 8 ვერსის მოშორებით ჭოროხის სიგანე (კალაპოტი) ფართოვდება ორი ვერსით, გზა კი ეშვება მდინარემდე. გზა არაა შოსირებული (ე.ი. მოკირწყლული), ამიტომ წვიმის დროს ტალახიანდება. გაზაფხულობით მდინარის სანაპიროზე გამავალი გზა წყლითაა დაფარული, აფუჭებს ხიდებსა და ნაშენებს.

ბათუმიდან 7 ვერსით გზა ქმნის გზაჯვარედინს. აქედან გამოჩნდა **ბათუმი**, ქალაქი, რომლისთვისაც დაიღვარა ამ ბოლო ომის დროს ბევრი სისხლი.

ბათუმი **ამფითეატრივით** გაშენებულია თავისი ნავსადგურის ირგვლივ, ზღვის უბესთან მიმდებარედ. აქაურთა სახლები უმთავრესად ხისაა, უბუხრო. ქალაქის თავზე მოსჩანს სამი მინარეთი; მათ შორის ერთი ქვითაა ნაშენი. სხვა მხრივ, ყურადღებას იმსახურებს **ბერძნული ეკლესია და შუქურა**, რომელიც კონცხზე მდებარეობს. ბერძნული ეკლესიის არსებობა ბათუმში იმის მანიშნებელია, რომ ბერძენთა შვილებმა აქ ნახეს საიმედო ბუდე. ჩვენს მოსვლამდე ძალიან ბევრი ბერძენი გადმოსახლდა ტაგანროგიდან და დონის-როსტოვიდან. მათ ძალე გახსნეს აქ სავაჭრო ობიექტები და ძალიან ჩქარა ასწიეს ძალა (გაადვირეს) ფასი თავიანთ საქონელზე. ყველაზე იაფფასიანი საქონელი ბათუმში არის ღვინო, ლიქიორი და სხვა სასმელები, შემოტანილი **მარსელიდან**. ქალაქის ნაწილი, გაშენებული ნავსადგურის მიმდებარედ, დაგეგმარებულია

საკმაოდ კარგად. **აქ ხუთი ადგილი ითვლება მოედნად.** მათ შორის ყველაზე დიდად ითვლება ის მოედანი, რომელიც გაშლილია ძველ ქვის ყაზარმასთან და ტელეგრაფთან.

ბათუმში სასმელი წყალი მოედინება მთიდან. წყლის მიღები გადის მაჰმადიანურ სასაფლაოსთან; საფიქრებელია, წყალი სასარგებლოა? სუფთაა? ბათუმის ირგვლივ ბევრი ჭაობია, რის გამოც ხშირია ციება, ავადმყოფობა. ჭაობები იწვევს სინესტეს. წყლის მასა მიედინება ქალაქისკენ. საჭიროა წყლის საწრეტი მოწყობილობის დაყენება, ქალაქის ჭაობების ამოშრობა, რომ გაჯანსაღდეს ბათუმის ჰაერი.

თურქები ვარაუდობდნენ ბათუმის ნავსადგურის დაცვას ორი გამაგრებული პუნქტიდან ... ორივე გამაგრებული ადგილი ზღვის უბიდან–ნავსადგურიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით იყო, ქალაქიდან **ციხისძირისკენ** გასასვლელისკენ. მათგან მხოლოდ ერთი იყო მნიშვნელოვანი თავდაცვის შემთხვევაში.

ბათუმის ნავსადგური შესანიშნავია. კარგადაა დაცული ჩრდილო-დასავლეთიდან მომდინარე ქარისაგან, ძალიან ღრმაა მისადგომი ადგილი, ნაპირიდან ათი საჟენით მანძილზე მისი სიღრმე აღწევს 20 საჟენს. ასე რომ ბათუმის ნავსადგურში თავისუფლად შემოვა და განთავსდება ათამდე ჯავშნოსანი.

კონცხი, დასავლეთიდან დაცული ნავსადგურისგან, იზრდება ყოველწლიურად. ეს გამოწვეულია ბუნებრივი პირობებით: ქალაქიდან სამხრეთ-დასავლეთით ზღვას უერთდება მდინარე **ჭოროხი**, რომელსაც თავისი ძლიერი დინებით მთებიდან ჩამოაქვს მიწის ნაშალი მასა. მისი სანაპირო დინებით ეს ჩამონაშალი ემატება **ბათუმის კონცხს**. აქ ყველაფერი, რაც ჩამოაქვს მდინარეს თავისი მქუხარე დინებით, აცოცხლებს, აფართოებს ამ კონცხს. მე მოსმენილი მაქვს მეზღვაურების ნათქვამი, რომ ჯერ კიდევ 1860 წლისთვის კონცხი იყო გაცილებით პატარა.

ბათუმის კონცხი ძალიან სასარგებლოა ნავსადგურისთვის, რადგან იგი იცავს ზღვის უბეში მოთავსებულ ნავსადგურს ქარისაგან. მაგრამ ერთი საშიშროებაა მოსალოდნელი, შეიძლება კონცხის მოღუნული, მორკალული ნაწილი დროთა მანძილზე შეუერთდეს ზღვის ნაპირს და წარმოქმნას ტბა, რაც ამ შემთხვევაში ნაკლებად სავარაუდოა.

ბათუმში ჩვენი ჩასვლის დღეს, საღამოს ქალაქის მოედანზე, ყველა დეპუტაციისთვის (ე.ი. ყველა მოწვეული საზოგადოებისთვის) ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორმა, გენერალ მაიორმა **კომაროვმა** გამართა ვახშამი.

3 სექტემბერს ბათუმიდან გაემგზავრა თავადი **სვიატოპოლკ-მირსკი** რიონის გემით.

ასე დასრულდა ბათუმის ოლქის დაკავება, დაუფლება მშვიდობიანად.

5 ოქტომბერს მიმიღეს სამხედრო გემზე-კორვეტზე, რომლის სახელი იყო „მერკურის ხსოვნა“. გემის მეთაურს წარვუდგინე ბათუმის სამხედრო გუბერნატორის მიერ გაცემული საბუთი, რომლის მიხედვით ევალეზოდან ჩემი წყევანა ფოთში. მე შესაძლებლობა მომეცა ბათუმის პორტის ფოთის პორტთან შედარებისა. ჩემი შეფასებით, ბათუმის პორტს ბევრად სჯობნის ფოთის პორტი.

სამწუხაროდ, იმ საღამოს არ იყო შესაძლებლობა ჩვენი გემის ნაპირთან მიახლოებისა. ამიტომ ღამის გათევა მოგვიწია სამხედრო გემზე. მეორე დღეს ორთქმავალმა კატარლამ მგზავრები გადაგვიყვანა ფოთის სანაპიროზე, პორტში.

იმავე დღეს გავემგზავრე თბილისში. ასე დამთავრდა ჩემი მივლინება.

Мераб Ахвледiani, Шушана Путкарадзе (Батуми, Грузия)

Дневники Н.А.Василевского

«От Ахалцыха через Годерский перевал до г. Батума»

Резюме

В дневниках Н.А.Василевского повествуется об исторических событиях, происшедших в Аджарии с 15-го августа по 3-ье сентября 1878 года во время следования русских воинских частей из Ахалцихе в Батуми. В частности, подробно описываются эпизоды мирного вступления русского отряда в Верхнюю и Нижнюю Аджарию.

Победа России в русско-турецкой войне 1877-1878 гг. сделала возможной возвращение в лоно родной Грузии исконно грузинской территории Аджарии (с городом Батуми), которая в течение 350 лет находилась в пределах Турецкой империи.

Автор дневников – генерал-лейтенант Н.А.Василевский (в то время штабс-ротмистр) находился в составе вошедшей в Аджарию воинской части. Он красочно описал как окрестности города Батуми, так и доброжелательное отношение местного населения к русскому войску.

Объективно показана роль правителя Верхней Аджарии Шерип-бега Химшиашвили в деле мирного занятия Аджарии русскими войсками.

В дневниках представлены интересные сведения по истории, географии, этнографии описываемого края, поэтому они имеют большую ценность и с научной точки зрения.

Вызывает сожаление тот факт, что грузинский читатель до сих пор почти ничего не знал об этих интересных дневниках.

После 1880 года только сейчас этот важный исторический источник, наконец, в сокращённом виде вышел в свет на грузинском языке.

კვლავ ერთი ტოპონიმის ექსტრალინგვისტური კვლევისათვის

ტოპონიმებს ადამიანთა ჩვეულებრივ ურთიერთობასა და მეტყველებაში დიდი ადგილი უჭირავს. უტოპონიმებოდ ადამიანს არსებობა არ შეუძლია: ქუჩა, სოფელი, რაიონი, ქალაქი, მთა, ტყე, ბაღი, მდინარე, წყარო, ნაკვეთი, ბოსტანი, ვენახი, გზა და სხვა სახელწოდებანი კარგადაა დამკვიდრებული ადამიანთა მეტყველებაში.

ტოპონიმი ჩნდება ენის წარმოქმნისთანავე და ენას თან ახლავს მისი არსებობის მანძილზე. მასში უხილავი შემოქმედის ფუნჯით არის აღბეჭდილი ამა თუ იმ დასახლების ზოლში მცხოვრები ხალხისა თუ ტომის ნაკვალები. ამიტომ იგი ისევე ძველი და გამძლეა, როგორც თვით ენა. ხალხი, ადამიანთა ერთობა – დასახლებით რომელიდაც ადგილთანაა დაკავშირებული, ცხოვრობს განსაზღვრულ გეოგრაფიულ არეალში, და, ბუნებრივია, საცხოვრებელ ადგილს სპეციფიკური სახელწოდებით აღნიშნავს *[ღლონტი, 1971:9]*.

ტოპონიმის მკვლევარმა „უპირველესად ამა-თუ იმ ადგილის მდებარეობის და თვისების დამახასიათებელი გარემოებანი უნდა გაითვალისწინოს და ჩაუკვირდეს სხვა იქაურ მსგავსივე გეოგრაფიულ სახელების აგებულებასა და მნიშვნელობას“ *[ჯავახიშვილი, 1950:109]*

ჩვენს სინამდვილეშიც ტოპონიმური სისტემა, უპირველეს ყოვლისა, არის ზოგადქართველური, ე.ი. შეიცავს ქართული, სვანური და მეგრულ – ლაზური ტოპონიმური სისტემის საერთო ნიშან - თვისებებს, მოდელებსა და ტოპოფუძეებს.

ხელვაჩაური – დაბაა (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში). 1934 წლამდე სოფელი ხელვაჩაური კაპანდიბის სასოფლო საბჭოში შედიოდა, ხელვაჩაური – დაბლობი, გაშლილი, ვაკე ადგილია. ძველად აქ კარგი სახნავი-სათიბი იყო. ადგილობრივი მკვიდრის, როსტომ თავდგირიძის ინფორმაციით, ადრე ამ ტერიტორიებს ამუშავებდნენ შავშეთიდან ჩამოსული მთიბავეები. როცა მათ ვინმე შეეკითხებოდა სად იყავითო? შავშელი მთიბავეები ასე პასუხობდნენ: „ხალვა ქიფიჩაურში“-ო, ე.ი. ისეთ ბალახიან ადგილას (მხოლოდ აქ და არა მეზობელ სოფელში, მაგალითად, იქვე მახვილაურში, რომელიც ნესტიანი ად-

გილია ნ.ა.), სადაც განსაკუთრებულად კარგად გამომშრალი, კარგი ხარისხის ბალახი იყო და ისე იფშვნებოდა, როგორც ხალვა, მშრალი, ფხვიერი ხალვასავით ადგილიაო და თივაც ხალვასავითააო“. ადგილობრივი მკვიდრნი და (არა მარტო!) დარწმუნებულები არიან, რომ ეს არის ხალვასავით ფშვნადი, ფხვნადი, ფხვიერი ადგილის სახელწოდებაა და აქედან წარმოდგენა ტოპონიმ ხელვაჩაურის ეტიმოლოგიაც, თუმცა უნდა გავაწილოთ ამ აზრის მომხრენი და ჩვენი მხრივ წარმოვადგინოთ ამ ტოპონიმის ანალიზი. ჩვენი ვარაუდით, ამ ტოპონიმმა განვითარების ასეთი გზა გამოიარა: ხელ(ღ)ვაჩაური → ხელვაჩაური – ხელვაჩაური „ურ“ – მაწარმოებლით გაფორმებული ტოპონიმია. მისი ფუძე კომპოზიტური წარმოებისად მიგვაჩნია. პირველი ნაწილი ხელ – ხელ (-აშ||იმ,- ბს. - იშ, ლშხ.), ხელ ბქ. ლნტ. - ხრიალი, ღრიალი, გაბმული ხმაური (წვიმისა... ან რამის), ხარხარი. ხელ-ბელ (- იშ, -) ბზ. ლშხ. ხელ-ბელ ბქ.ლნტ. 1. დიდი ხმაური. ხელ-ბელ ადგანოლ (ბზ.) ხმაური დაწყებულია. 2. შეხლა-შემოხლა – ხუა ხელ-ბელ ეხფასან (ბევრი შეხლა-შემოხლა მოხდა) *[ქალღანი, თოფურია, 2000:879]*. ასეა განმარტებული სვანურ ლექსიკონში. კომპოზიტის მეორე ნაწილი „ღვაჩა“ – ღვა[ბა]ჩადან უნდა მომდინარეობდეს და ჩვენი განმარტებით, ნიშნავს ღაწვგასივებას, ანუ ღაწვბურჯას. ქათამსაც ეძახიან ღაწვბურჯას, რომელსაც ორივე მხარეს ბუმბული აქვს ამოსული. ღვაჩა-ღვაბაჩა ყბაყურას აღნიშნავს. ყბაყურა დაავადებაა, იგი ქარის ბერვის [ობარ-უ-ქროლა] გამო შეიძლება შეგეყაროს (ე.ი გაცივდე). რაც შეეხება ამ სიტყვის „ღვაჩა“-ს ეტიმოლოგიას იგი ქარისსაქროლია ე.ი. მიზეზი დაავადებისა შეიძლება იყოს ქარი, ქარიანი ადგილი, ისევე როგორც „ხელვაჩაურში“ ბალახი კი არ არის თავისთავად მშრალი, არამედ იქ ქარიანი ადგილია და ქარი კარგად აშრობდა, ახმობდა იქ მდებარე სახნავ-სათესებს და მერე გამომშრალი ბალახი ადვილად იფშვნებოდა, ფქვილივით იფქვეოდა (განსხვავებით იქვე, მეზობლად მდებარე სოფელ მახვილაურისაგან, რომელიც ერთგვარად დაგმანულია და ნესტიანი ადგილია – ნ.ა.).

გასული საუკუნის 40-იან წლებში მთავრობამ ხელვაჩაურში მდინარე ჭოროხიდან 60 მეტრის დაშორებით ქარსაფარი ზოლიც კი შექმნა, წიწვოვანი ტყე გააშენა. ე.ი. ხელვაჩაური ქარიანი ადგილია, ადგილი, სადაც გამუდმებით ქრის ქარი (ერთგვარი შეხლა-შემოხლით, ხმაურით). აჭარაში გვხვდება ქართან დაკავშირებული ტოპონიმები. ასე მაგალითად ჩაქვში: „ქარისსაქროლი“, „ქარისსაქროლიბოლო“, თუმცა, ხშირია შემთხვევა, როცა საქმე გვაქვს ე.წ. თარგმნილ ტოპონიმებთან, როცა გვაქვს ერთი ენობრივი კუთვნილების სუბსტრატული ტოპონიმები (მგ.: ზანიზმები და სვანიზმები), მაგრამ იქვე მი-

სი შესატყვისი ქართულენოვანი ტოპონიმებიც (მაგალითად, ქარისსაქროლი – ჩაქვში და ღვაჩაძე – შუახევის რაიონიოში, ხელვაჩაური – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში). ტოპონიმი ხელვაჩაური, ჩვენი დაკვირვებით, ადგილის გეოგრაფიული მდებარეობის აღმნიშვნელ სახელთა სიაში უნდა განვიხილოთ..

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

ქალდანი, თოფურია, 2000: – მ. ქალდანი, ვ. თოფურია, სვანური ლექსიკონი, თბილისი.

დლონტი, 1971: – ალ. დლონტი, ტოპონიმიკური ძიებანი, I, თბილისი.

ჯავახიშვილი, 1950: – ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წიგნი I, თბილისი.

Nargiz Akhvlediani (Batumi, Georgia)

Again on the Extralinguistic Study of One Toponym

Summary

The article deals with the toponym “Khelvachauri”. It comprises popular tales and oral tradition about the toponym and provides a possible explanation of the reason of naming the toponym “Khelvachauri”.

1921 წლის მარტის მოვლენები ბათუმში

1921 წლის 11-12 თებერვალს საბჭოთა რუსეთის მხრიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ დაიწყო ფართომასშტაბიანი სამხედრო ინტერვენცია ქვეყნის ანექსიისა და ძალდატანებითი გასაბჭოების მიზნით. 25 თებერვალს საქართველოს მთავრობამ დატოვა თბილისი. 4 მარტს წითელმა არმიამ დაიკავა სოხუმი, 10 მარტს კი – ქუთაისი. პარალელურად, საქართველოს წინააღმდეგ საომარი მოქმედებები გააჩაღა თურქეთმაც, რომლის ჯარიც, 11 მარტს, გამოჩნდა ბათუმის გარეუბანში.

რუსეთის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ აგრესია ჯერ კიდევ 1920 წლის ნოემბერში, სომხეთის გასაბჭოებისთანავე იგეგმებოდა, მაგრამ მაშინ მოსკოვში ასეთი ნაბიჯის გადადგმა ნაადრევად მიიჩნიეს. 1921 წლის 11 თებერვალს კი, ლორეში მოწყობილი ინციდენტის შემდეგ, წითელი არმია საქართველოში შემოიჭრა. ომის დაწყების მეორე დღესვე თურქეთის ელჩმა ქიაზიმ ბეიმ თავისი მთავრობის სახელით სრული მხარდაჭერა გამოუცხადა საქართველოს *[ქორდანია, 1990:123]*. მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია ფიქრობდა, რომ თურქეთი სამხედრო დახმარებას აღმოუჩენდა საქართველოს ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში, თუმცა სანაცვლოდ ანკარის მთავრობამ არტაანისა და ართვინის ოლქების დათმობა, ბათუმის ოლქში კი „ნომინალური“ პლემბისციტის ჩატარება მოითხოვა *[სვანიძე, 2003:174-175; ყავრელიშვილი, 2011:41-42]*. უკვე 22 თებერვალს თურქეთმა არტაანისა და ართვინის დაცლა მოითხოვა. მეორე დღესვე საქართველომ გამოიყვანა ჯარები ამ რეგიონიდან. ნოე ჟორდანია იმედოვნებდა, რომ ამით საქართველო-თურქეთს შორის გაუგებრობა ამოიწურა, მაგრამ თურქეთი საქართველოს დახმარებას არ აპირებდა. იგი ქიაზიმ ბეის პირით, თბილისის დატოვების შემდეგაც კი, არწმუნებდა საქართველოს მთავრობას, რომ ჯერ ყველაფერი არ არის დაკარგული და საჭირო იყო ბოლშევიკების შეჩერება. წითელი არმიის წინსვლის შეჩერების შედეგად კი თურქები საქართველოში უფრო მეტი ტერიტორიის ხელში ჩაგდებას შეძლებდნენ *[სვანიძე, 2003:175-176]*.

საინტერესოა თურქეთის აღმოსავლეთ ფრონტის მთავარსარდლის ქიაზიმ ყარაბეჟირ ფაშას პოზიცია აღნიშნულ თემაზე. იგი წერს, თითქოს ანკარაში

გადაწყვეტეს საქართველოსათვის სამხედრო დახმარების აღმოჩენა და უზრუნველყოფა ბოლშევიკების წინააღმდეგ შეტევის წამოწყება. თუმცა, იგი ფიქრობდა, რომ რუსეთ-საქართველოს ომში თურქეთი ნეიტრალურ პოზიციაზე უნდა დარჩენილიყო, რადგან რუსების დამარცხების შემთხვევაში ისინი ანტანტის რკალში მოექცეოდნენ. მისი აზრით, რადგან თურქეთი ანტანტასთან საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდა, საქართველოს მთავრობას ის დახმარებას ვერ აღმოუჩენდა. ამიტომაც აუცილებელი იყო ბოლშევიკებთან კავშირის შენარჩუნება *[ყავრელიშვილი, 2011:30-31]*.

წითელი არმიის მიერ თბილისის აღების შემდეგ, საქართველოში თურქეთის ელჩმა მიმართა წინადადებით ქიაზიმ ყარაბეკირ ფაშას დაეკავებინა ბათუმი. ეს უკანასკნელი კი 2 მარტს აცნობებდა გენშტაბს, რომ შესაძლოა ბათუმი თურქეთის დაუკითხავად დაიკავოს რუსეთმა და ამიტომაც, მის შესანარჩუნებლად საჭიროა იქ იმყოფებოდეს სამხედრო ძალა *[იქვე, გვ. 30]*.

1921 წლის 2-3 მარტს გაიმართა თურქეთის გენერალური შტაბისა და მინისტრთა საბჭოს სხდომები, სადაც განიხილეს ბათუმის ოკუპაციის საკითხი. ბათუმზე შეტევისთვის შეიქმნა ე.წ. ჭოროხის დაჯგუფება, რომელიც დაემორჩილა მე-7 ლეგიონს *[სვანიძე, 2003:177]*. ასეულის მეთაურად დაინიშნა მაიორი ალი რიზა ბეი, ხოლო ჯგუფის ხელმძღვანელად – ხოფაში მყოფი მაიორი თალათ ბეი *[Sürmeli, 2001:659]*. პარალელურად თურქეთის მთავრობა დიპლომატიური გზებით შეეცადა რუსეთთან შესაძლო სამხედრო დაპირისპირების თავიდან აცილებას და ითხოვა, რომ წითელი არმია არ შესულიყო ახალციხესა და ახალქალაქში, ასევე თურქეთის მოსაზღვრე ოლქებში *[სვანიძე, 2003:177]*.

საქართველოს მთავრობა თურქეთიდან სამხედრო დახმარების იმედს მაინც არ კარგავდა. 4 მარტს საქართველოს საგარეო სამეთა მინისტრი ე.გეგეჭკორი აცნობებდა თურქეთში საქართველოს ელჩს ს.მდივანს, რომ მიეღო ზომები ანგორის დასარწმუნებლად და ჩასარევად. საქართველოს მთავრობა თურქების მიერ ბათუმის ოკუპაციაზეც იყო თანახმა იმ პირობით, რომ ოლქზე სამოქალაქო მმართველობა და სუვერენული უფლება საქართველოს მთავრობას ექნებოდა. ნ.ჟორდანიას ხვდებოდა, რომ თურქეთის ჯარის ბათუმში შემოსვლას რუსეთ-თურქეთის ომი მოყვებოდა, ამიტომაც ჰპირდებოდა რომ ქართული ჯარი დაეხმარებოდა ოსმალეთის ჯარს ოკუპაციის მოხდენაში *[სვანიძე, 2003:178-179]*. როგორც ჩანს ამ უკანასკნელის ხაზგასმა საჭირო იყო, რადგან თურქები ფიქრობდნენ, რომ ბათუმის აღებისას ქართველები მათ დაუპირისპირდებოდნენ.

1921 წლის 9 მარტს ქიაზიმ ქარაბეკირმა გენშტაბისგან, შესაძლებლობის ფარგლებში, ახალქალაქის, ახალციხისა და ბათუმის დაკავების შესახებ ბრძანება მიიღო თურქი სარდლის დასკვნით, ბოლშევიკები არც ისეთი ძლიერები იყვნენ, რაკი გაუჭირდათ ქართული ჯარის დამარცხება. ამიტომაც იგი მათთან სამხედრო კონფრონტაციას არ მოელოდა *[ყავრელიშვილი, 2011:33]*.

ასეთ რთულ ვითარებაში მოსკოვში მიმდინარეობდა მოლაპარაკება ბოლშევიკურ ხელისუფლებასა და მუსტაფა ქემალ ათათურქის მთავრობებს შორის. ხელშეკრულების გაფორმების სურვილი ჯერ კიდევ 1920 წლის მიწურულს გამოითქვა, თუმცა სამშვიდობო კონფერენციამ მხოლოდ 26 თებერვალს დაიწყო მუშაობა, რაც არ უნდა იყოს შემთხვევითი. როგორც ჩანს, საბჭოთა მთავრობას სურდა ოსმალეთის დელეგაცია, აზერბაიჯანისა და სომხეთის შემდეგ, საქართველოს ოკუპაცია-ანექსიის ფაქტის წინაშე დაეყენებინა და მომგებიანი პოზიციით დამჯდარიყო მოლაპარაკებათა მაგიდასთან. ორ ახლადამოცნებულ მთავრობას შორის კეთილგანწყობილი დამოკიდებულების მიუხედავად, მოლაპარაკება რთულად წარიმართა. ოსმალები ბათუმის, ართვინის, არტანისა და ყარსის დათმობას მოითხოვდნენ, რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარი გ.ჩიჩერინი კი კომპრომისზე არ მიდიოდა. მოლაპარაკება ჩიხში შევიდა.

საბჭოთა რუსეთის მთავრობის თავმჯდომარე ვ.ლენინი თურქეთს აღმოსავლეთში თავისი რევოლუციური იდეების პლაცდარმად განიხილავდა. მას არ სურდა, რომ თავისი მოკავშირე გაენაწყენებინა, მითუმეტეს შესაძლოა შიშობდა, მუსტაფა ქემალს ანტანტის სახელმწიფოებთან საერთო ენა არ გამოენახა და ბათუმის მიმართულებით სამხედრო მოქმედებებისათვის მასშტაბები არ მიეცა. 9 მარტს ლენინი საგარეო საქმეთა მინისტრ გ.ჩიჩერინთან შეშფოთებას გამოთქვამდა თურქეთის დელეგაციასთან გაჭიანურებული მოლაპარაკებების გამო და მოითხოვდა ი.სტალინის ჩართვით იმავე დღეს მიღწეულიყო კომპრომისი *[თოძი, 1991:140]*, რაც მალე შესრულდა კიდევ. საბჭოთა მთავრობა დათმობაზე წავიდა ბათუმის შენარჩუნების პირობით. კონფერენციის დროს მოსკოვში იმყოფებოდა ენვერ ფაშა, რომელიც, თავის მხრივ, თანამემამულეებს ურჩევდა უარი ეთქვათ ბათუმზე და სასწრაფოდ მოეწერათ ხელი ხელშეკრულებაზე, რათა რუსებს თურქეთისადმი დამოკიდებულება არ შეეცვალა *[Sürmeli, 2001:651]*. საბოლოოდ, რუსეთსა და ოსმალეთს შორის მეგობრობისა და ძმობის ხელშეკრულებას 1921 წლის 16 მარტს მოეწერა ხელი.

თუმცა, მანამდე, უკვე 10 მარტს სტალინმა უდეპეშა მე-11 წითელი არმიის მეთაურს ს.ორჯონიკიძეს, რომ მოსკოვში მიღწეული შეთანხმებით, ბათუმი,

ახალციხე და ახალქალაქი ჩვენ დაგვრჩა და თურქებთან შეტაკებას თავი აარიდეთ. ორჯონიკიძემ ეს ინფორმაცია მიაწოდა ქიაზიმ ქარაბეჩირს და მე-18 ცხენოსანთა დივიზიის მეთაურს დ.ჟლობას (რომელიც გოდერძის უღელტეხილით მოიწევდა ბათუმისაკენ) და მას 3 დღეში ბათუმის დაკავება მოსთხოვა *[სვანიძე, 2003:183]*.

რუსეთ-თურქეთის დიპლომატიური ბრძოლების დასრულებისა და მოსკოვში მიღწეული წინასწარი შეთანხმებების მიუხედავად, თურქეთმა დაიწყო სამხედრო ოპერაციები ბათუმის დასაკავებლად. ზოგიერთი მკვლევარი უშვებს შესაძლებლობას, რომ ამის შესახებ თურქეთში ინფორმაცია არ ჰქონდათ, რაც როგორც ზემოთაც ვნახეთ, სინამდვილესთან შეუსაბამოა. როგორც ჩანს, ანკარის მთავრობა იმედოვნებდა, რომ თუკი მოსკოვს ფაქტის წინაშე დააყენებდა, ბოლშევიკები ბათუმისთვის არ იბრძოლებდნენ *[თოიძე, 2009:30]*. ისინი ამოდიოდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან მიღწეული შეთანხმებიდან და მოსკოვში ოფიციალურად ხელმოწერამდე ცდილობდნენ გარღვევას ამ მიმართულებით. სწორედ საქართველოს მთავრობასთან დადებული გარიგება მოიყვანა საბუთად თურქული რაზმის მეთაურმა ჟლობას დივიზიასთან შეხვედრისას ქედაში და პროტესტი გამოთქვა წითელი არმიის ბათუმისკენ წინსვლის გამო. რუსეთი კი, თავის მხრივ, აცხადებდა, რომ ბათუმში მიდიოდნენ ქართველი კონტრრევოლუციონერების დასასჯელად და თურქეთის მიმართ არ აქვთ მტრული განზრახვა *[სვანიძე, 2003:183]*. ბათუმში შესვლის შემდეგ, ინგლისელი გენერლის სტოკსის კითხვაზე, ქიაზიმ ქარაბეჩირმა უპასუხა, რომ მათ მიერ ბათუმის დაკავება შეთანხმებული იყო საქართველოსთან და ატარებდა დროებით ხასიათს *[Sürmeli, 2001:660]*.

ბათუმის კომენდანტის ი.ფურცელაძის ცნობით, თურქული ჯარების პირველი ემელონი ორი ტყვიამფრქვევით, დაახლოებით 500 კაცამდე ქალაქში შევიდა 11 მარტს 11 საათზე, შემდეგი ემელონი, დაახლოებით იგივე რაოდენობით – 12 მარტს საღამოს. 15 მარტის ღამეს კი შეივსო კიდეც 500 ჯარისკაცით. სულ ბათუმის ოლქში თურქეთის ჯარების რიცხვი 3,5 ათასს აღწევდა *[სვანიძე, 2003:180-181]*. თურქებმა ქალაქი ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დაიკავეს და პოლიციისა და ფოსტის შენობებზე თურქული დროშები აღმართეს *[Sürmeli, 2001: 664]*.

12 მარტს ქიაზიმ ქარაბეჩირი არწმუნებდა ბოლშევიკურ სამხედრო ხელმძღვანელობას, რომ ბათუმში წითელი არმიის გამოგზავნის საჭიროება არ იყო და რომ საკუთარ თავზე იღებდნენ მენშევიკთაგან ქალაქის გათავისუფლებას.

ბათუმში შესულმა თალათ ბეიმ ციხის კომენდანტ ფურცელაძეს 5 პუნქტიანი მოთხოვნები გააცნო, რაც ძირითადად ყაზარმებით, ტრანსპორტითა და საკვებით მომარაგების მოთხოვნაში გამოიხატებოდა. 14 მარტს ქიზიმ ქარაბეიძემ აცნობა გენშტაბს, რომ ადგილზე გააუქმა ქართული ადგილობრივი მმართველობის ორგანოები და ჩამოაყალიბა ანკარის მთავრობის სამხედრო და სამოქალაქო მართვის ორგანოები *[Sürmeli, 2001: 668-670]*. 16 მარტს ალი რიზა ბეიმ საქართველოს მთავრობას ბათუმიდან ქართული ჯარის გაყვანა ან შეიარაღების ჩაბარება მოსთხოვა იმ მოტივით, რომ ბოლშევიკების შემოსვლისას ეს საზიანო იქნებოდა ქართველებისათვის, მაგრამ ქართულმა მხარემ ეს მოთხოვნა უპასუხოდ დატოვა *[იქვე, გვ. 673]*.

ნ.ჟორდანიასათვის უკვე ცხადი გახდა, რომ თურქები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დახმარებას და რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმას არ აპირებდნენ, ამიტომაც ბათუმის შენარჩუნებისათვის საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლებთან მოლაპარაკების გამართვა გადაწყვიტა. წინასწარი შეთანხმების შემდეგ, მოლაპარაკებები გაიმართა ქალაქ ქუთაისში. დემოკრატიული რესპუბლიკის მხრიდან მასში მონაწილეობდა მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე და სამხედრო მინისტრი გ.ლორთქიფანიძე, მრჩეველი სამხედრო საკითხებში ი.გედევანიშვილი, პოლიტიკური მრჩეველი ი.დგებუაძე და მდივანი დ.შარაშიძე. რევკომს მოლაპარაკებებში წარმომადგენდნენ მისი თავმჯდომარის მოადგილე მ.ორახელაშვილი, სამხედრო საქმეებში რწმუნებული შ. ელიავა და მდივანი ღამბაროვი *[გოგოლიშვილი, 2011:113]*. მოლაპარაკება მიმდინარეობდა რსფსრ-ს წარმომადგენლის აბელ ენუქიძის თავმჯდომარეობით. ბოლშევიკურ ხელისუფლებისათვის მნიშვნელოვანი იყო დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ საქართველოში მომხდარი გადატრიალების აღიარება, თუმცა ეს საკითხი დარჩა ღიად. მოხდა შეთანხმება მხოლოდ საომარი მოქმედებების დაუყოვნებლივი შეწყვეტის თაობაზე. დემოკრატიულმა მთავრობამ საშუალება მისცა რევკომის განკარგულებაში მყოფ ჯარებს შესულიყვნენ ბათუმის ოლქში *[იქვე, გვ. 115]*.

ამ მოლაპარაკებებმა დააეჭვა ანკარას წარმომადგენელი თბილისში ქიზიმ დირიქი, რომელმაც ქიზიმ ქარაბეიძე ფაშას 16 მარტს აცნობა, რომ ხელისუფლება ბათუმში სასწრაფოდ უნდა გადასცემოდა საქართველოს მენშევიკურ მთავრობას, რომელიც თანახმა იყო თურქეთის მფარველობაზე *[Sürmeli, 2001:673; ყავრელიშვილი, 2011:50]*. ქიზიმ ქარაბეიძე თავადაც ხვდებოდა, რომ არც საბჭოთა რუსეთი და საბჭოთა საქართველო, არც მენშევიკური მთავრობა ბათუმის თურქეთის ხელში გადასვლას არ შეეგუებოდნენ, ამიტომ

ფრთხილი და მშვიდი პოლიტიკის გატარების მომხრე იყო. ასეთ ვითარებაში 16 მარტს მოსკოვში ხელი მოეწერა რუსეთ–თურქეთის მეგობრობისა და ძმობის ხელშეკრულებას. 17 მარტს ქიაზიმ დირიქმა გაავრცელა მიმართვა, რომ დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ ბათუმის დატოვების შემთხვევაში ქალაქისა და მხარის მმართველობას თვითონ აიღებდა ხელში. იმავე ღამით მანვე, უკვე ბათუმის გუბერნატორის რანგში, გაავრცელა 9 პუნქტიანი ბრძანებულება ბათუმის თურქეთთან შეერთების შესახებ. იგი მოითხოვდა, რომ ქართულ ჯარს იარაღი ჩაებარებინა და ქალაქი დაეტოვებინა 24 საათის განმავლობაში *[Sürmeli, 2001:677-678]*. სწორედ მაშინ, როცა ქიაზიმ ბეი თავს ბათუმის გუბერნატორად აცხადებდა, ჟორდანიას მთავრობამ იტალიური გემით დატოვა ქალაქი. ბოლო წუთებში დამფუძნებელმა კრებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელშიც ნათქვამია: „უკეთესია ბათუმი დარჩეს ბოლშევიკებს, ვიდრე თურქებს. რადგან ერთხელაც იქნება საბჭოები გაუქმდება. მაგრამ ეხლა თურქების ხელში გადასული ბათუმი მუდმივად თურქებს დარჩებათ“ *[Sürmeli, 2001:678]*.

ბათუმში თურქული ხელისუფლების პარალელურად, 17 მარტს შეიქმნა ბოლშევიკური რევკომი ს.ქავთარაძის ხელმძღვანელობით. წითლებმა მატარებლით დაიწყეს ქალაქში სამხედრო ნაწილების შემოყვანა, მაგრამ მხოლოდ მათი ძალები არ იყო საკმარისი ქალაქის გასათავისუფლებლად. თანაც რევოლუციურ კომიტეტს, როგორც ოფიციალურ სტრუქტურას არ უნდოდა თურქებთან ღია დაპირისპირება, ამიტომაც ბათუმის თურქთაგან გათავისუფლებისათვის ბრძოლას სათავეში ჩაუყენეს დემოკრატიული საქართველოს ბათუმში დარჩენილი მხედრობა და მისი სარდალი გენ. გ.მაზნიაშვილი *[დაუშვილი, 2011:93]*.

ქიაზიმ დირიქი აცხადებდა, რომ ბათუმი თურქეთის ტერიტორიაა და არ ცნობდა რევოლუციურ კომიტეტს. რევკომი კი მოქმედებდა საბჭოთა საქართველოს სახელით და თურქეთის ხელისუფლებას 16 მარტს მოსკოვში დადებული ხელშეკრულების პირობების შესრულებისკენ მოუწოდებდა. ასეთ პირობებში ქართულ მხედრობასა და თურქ ასკერებს შორის შეტაკება გარდაუვალი შეიქმნა. აღსანიშნავია, რომ წითელ არმიას ბათუმისათვის ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია. სამხედრო მინისტრი გ.ლორთქიფანიძე წერს: „...რუსეთის მხედრობამ არავითარი დახმარება არ გაუწია ქართულ ჯარს ოსმალეთის წინააღმდეგ. ...აქაური რუსული ფრონტის სარდალი, ცნობილი გენერალი ჟლობა საჯაროთ აცხადებდა, რომ ბოროტი ხმები ავრცელებენ თითქოს რუსები ოსმალებს ებრძვიან, ნამდვილად კი ეს ქართველებისა და ოსმალების ომიაო. და ეს

სრული სიმართლე იყო – მხოლოდ და მხოლოდ ქართველი მხედრობა ებრძოდა ოსმალთა ბრიგადებს... *[ლორთქიფანიძე, 1995:222]*.

მოკლე დროში ქართული არმიის დაშლილი ნაწილებისგან, რომელთაც გვერდით დაუდგნენ რიგითი მოქალაქეებიც, ბრძოლისუნარიანი შენაერთები ჩამოყალიბდა. ადგილობრივი მოსახლეობისგან შეიქმნა სახალხო გვარდიელთა ნაწილები, რომლებიც გენერალ მაზნიაშვილის ხელმძღვანელობით ქართულ ჯართან ერთად თავგანწირვით იბრძოდნენ *[უზუნაძე, 2013:94]*. გ.მაზნიაშვილმა ქიაზიმ ბეის გაუგზავნა ულტიმატუმი, რომლითაც მოითხოვდა ერთი საათის განმავლობაში შედგომოდნენ ჯარების ევაკუაციას ბათუმიდან, დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებინათ ფოსტა-ტელეგრაფის, მილიციის შენობა, რადიოსადგური, ბარცხანის ფორტი, წინააღმდეგ შემთხვევაში სამხედრო მოქმედებებით დაიშუქრა *[მაზნიაშვილი, 1990:140]*. ერთი საათი უპასუხოდ ამოიწურა და გენერალმა მაზნიაშვილმა სისრულეში მოიყვანა თავისი მუქარა, შეუტია ბარცხანის ფორტსა და ყაზარმებს. ბრძოლები 18 მარტის 4 საათამდე გაგრძელდა. შედეგად, ბარცხანის თურქული გარნიზონი განადგურდა *[იქვე, გვ. 141]*. პარალელურად ოსმალები მთელი დღის განმავლობაში უტევდნენ კახაბრის ფორტს. ამასობაში ჟღოხას კავალერია აჭარისწყალს მოუახლოვდა. მაზნიაშვილის განკარგულებით, ისინი უნდა დაბანაკებულიყვნენ სტეფანოვკისა და ანარიის ფორტებზე.

როგორც ჩანს, მაზნიაშვილის სამხედრო ოპერაციებს იმხელა ეფექტი ჰქონდა, რომ თურქებმა ჩათვალეს ქართველებს ინგლისელებისა და ფრანგების მაშველი ძალა მოუვიდათ და მათი კრეისერებიდან იბომბებოდა ქალაქი. თუმცა ეს არ შეეფერებოდა სინამდვილეს. საფრანგეთისა და იტალიის რამდენიმე ხომალდი მართლაც იმყოფებოდა პორტში, მაგრამ საბრძოლო მოქმედებებში მათ მონაწილეობა არ მიუღიათ *[ჯანელიძე, 2011:139]*.

19 მარტს სისხლისმღვრელი ბრძოლები გაიმართა კახაბრის ფორტზე. დანაკარგი ორივე მხრიდან დიდი იყო. ეს დღეც ქართველთა გამარჯვებით დასრულდა. ბათუმში გასათავისუფლებელი რჩებოდა მილიციისა და ფოსტა-ტელეგრაფის შენობა, რაც 20 მარტისათვის დაიგეგმა. მაგრამ დილის 9 საათზე ქიაზიმ ბეიმ შეუთვალა მაზნიაშვილს, რომ მიიღო ქალაქის დაცლის გადაწყვეტილება *[იქვე, გვ. 143-144]*. ბათუმის გათავისუფლების ოპერაციას 84 ქართველის სიცოცხლე შეეწირა. სწორედ მათი თავდადებით მოხერხდა ბათუმის საქართველოსათვის შენარჩუნება.

20 მარტიდან ბათუმში და მის ოლქში სიმშვიდემ დაისადგურა. ანკარაში გააცნობიერეს, რომ მოსკოვში აღებულ ვალდებულებას ვერ გაეცეოდნენ და

ბათუმის, ახალციხისა და ახალქალაქის დაცლას უნდა შეგუებოდნენ. 28 მარტს თურქეთის ჯარებმა დატოვეს ბათუმის ოლქის მთელი ტერიტორია.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

გოგოლიშვილი, 2011: – გოგოლიშვილი ო., ბათუმის საკითხი 1921 წლის 17-18 მარტის ქუთაისის მოლაპარაკებაში, – კრ.: ბრძოლა ბათუმისათვის 1921 წლის 18-20 მარტი, თბილისი, 2011.

დაუშვილი, 2011: – დაუშვილი ა., საქართველოს რევკომი და ბათუმის პრობლემა (1921 წლის მარტი), კრ. ბრძოლა ბათუმისათვის 1921 წლის 18-20 მარტი, თბილისი, 2011.

თოიძე, 1991: – თოიძე ლ., ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც, თბილისი, 1991.

თოიძე, 1995: – თოიძე ლ., ბრძოლა ბათუმისათვის, 1921 წლის მარტი, თბილისი, 2009.

ლორთქიფანიძე, 1995: – ლორთქიფანიძე გ., ფიქრები საქართველოზე, თბილისი, 1995.

მაზნიაშვილი, 1990: – მაზნიაშვილი გ., მოგონებები, ბათუმი, 1990.

ჟორდანია, 1990: – ჟორდანია ნ., ჩემი წარსული, თბილისი, 1990.

სვანიძე, 2003: – სვანიძე მ., დიპლომატიური ბრძოლა ბათუმისა და ბათუმის ოლქისათვის 1918–1921 წლებში, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, ტ. 10, თბილისი, 2003.

უზუნაძე, 2013: – უზუნაძე რ., სურმანიძე რ., ზოსიძე ნ., ბათუმი (ისტორია და თანამედროვეობა), თბილისი, 2013.

ყავრელიშვილი, 2011: – ყავრელიშვილი რ., ბათუმის საკითხი (1921 წლის მარტი) თურქულ ისტორიოგრაფიაში, კრ. ბრძოლა ბათუმისათვის 1921 წლის 18-20 მარტი, თბილისი, 2011.

ჯანელიძე, 2011: – ჯანელიძე ო., „თქვენი ვაჟკაცობა ისე არასოდეს სჭირდება ქვეყანას, როგორც ახლა!“ (ქართული მხედრობა და ბათუმის გათავისუფლება), – კრ.: ბრძოლა ბათუმისათვის 1921 წლის 18-20 მარტი, თბილისი, 2011.

Sürmeli, 2001: – Serfil Sürmeli, Türk-Gürcü İlişkileri, Ankara, 2001

Irakli Baramidze, Khatuna Diasamidze (Batumi, Georgia)

1921 March Events in Batumi

Summary

The article reflects military and diplomatic battles between Turkey and the Democratic Republic of Georgia in March of 1921. That is the period, when on the 11-12th February of 1921 Soviet Russia began large-scale military intervention against Georgia to transform it into Soviet Republic. At the same time, Turkey began military activities against Georgia. Its troops arrived in Batumi on 11 March. In spite, the 1921 Moscow treaty the battle for Batumi became inevitable. 84 Georgians died for the liberation of Batumi.

Since March 20, the peace was established in Batumi and its district. Ankara realized that Turkey had to follow the Moscow treaty and leave Batumi, Akhaltsikhe, and Akhalkalaki. On 28 March, the Turkish troops left the territory of Batumi and its district.

მერაბ ხინიკაძის მოგონებები ბათუმსა და ბათუმელებზე

საქართველოს სახალხო არტისტი მერაბ (მურად) ხინიკაძე (1912-1988 წწ) იყო ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრის ერთ-ერთი დამფუძნებელი და სულისჩამდგმელი, “თეატრის სცენაზე პირველი ფარდის ახდის მონაწილე“ *[ლორთქიფანიძე, 1980:3]*, ნიჭიერი და გამორჩეული მსახიობი, რომელმაც თავისი თეატრალური მოღვაწეობით სათანადო ადგილი დაიმკვიდრა აჭარის და ზოგადად საქართველოს კულტურის ისტორიაში. იგი გამოირჩეოდა მაღალი ზნეობით, სამართლიანობით, წარმოსადეგი გარეგნობით, ხავერდოვანი ხმით, ფართო დიაპაზონით და ინტელექტით *[ბელთაძე, 2017:19]*.

„ნათქვამია, კაცი წიგნივითაა. თუ წიგნი არ წაგიკითხავს, ისე ძნელია იმ წიგნზე საუბარი. თუ კაცთან საქმით არ ყოფილხარ დაკავშირებული, ისე ძნელია იმ კაცზე საუბარი. თუ მსახიობთან ან რეჟისორთან არ გიმუშავია, ძნელია მის კაცობაზე ლაპარაკი. რეჟისორსა და მსახიობს, მის შემოქმედებას კი შეაფასებ მისი ნამუშევრის მიხედვით, მაგრამ მისი კაცობა პირად ურთიერთობაშია გასარკვევი. თუმცა დიდ შემოქმედს პირად ნაკლს ქე აპატიებ და მიუტევენ და არც შთამომავლობა არ გამოუდგება მის პირად ნაკლს, რადგან მან უფრო მეტი დაუტოვა შთამომავლობას და ის არის მთავარი. მაგრამ საკვირველი ის არის, რომ ზოგი შემოქმედი ადვილად გადის ფონს და ადვილად მიიწევს მაღლა და მაღლა. თუმცა მისი სიკდვილის შემდეგ ამ სიმაღლიდან ნატამალიც არ დარჩება და მისი ავლადიდება მასთან ერთად დაიმარხება“ *[მერაბ ხინიკაძის დღიურებიდან]*.

მერაბ ხინიკაძემ შთამომავლობას სწორედ ღირსეული სახელი დაუტოვა. ის ალბათ ვერც კი წარმოიდგენდა, რომ მისი წლების წინ დაწერილი სიტყვები დღესაც არ დაკარგავდა აქტუალობას.

მერაბ ხინიკაძემ დატოვა თავისი საინტერესო შემოქმედება, მის მიერ შესრულებული როლები, რომელიც დარჩა ქართველი მაყურებლის მეხსიერებაში. ის სათანადოდ დააფასა ქართულმა საზოგადოებამ. ეს თვალნათლივ ჩანს მის არქივში არსებული ჩანაწერებიდან. იოსებ იმედაშვილი წერს: “მურა-

დი არის ის, ვისაც ვეძებდი მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე“. აქ უკვე ყველაფერი ნათელია.

ინტერესმოკლებული არ იქნება მერაბ ხინიკაძის მოგონებები ბათუმსა და ბათუმელებზე, რომელიც მოცემულია მის დღიურებში. იმედია, ამ დღიურებს გამოვაქვეყნებთ ახლო მომავალში. ზოგიერთ ამონარიდს მოვიყვანთ ქვემოთ.

1967 წლის 22-26 ოქტომბერს ბათუმის სახელმწიფო თეატრი იმყოფებოდა გასტროლებზე თბილისში, რუსთაველის სახელობის თეატრში. 22 ოქტომბერს გაიმართა სპექტაკლი ა. სამსონიას „ზღვა და სიყვარული“ თ. აბაშიძის დადგმით. მერაბ ხინიკაძემ ითანაშა უცხოელი ტურისტის როლი. სპექტაკლმა წარმატებით ჩაიარა. სპექტაკლის ბოლოს მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა თეატრალური საზოგადოების სახელით დავით ჩხეიძემ. აქვე გამოვიდა მერაბ ხინიკაძეც. მოვიტანთ ამონარიდს მის მიერ წარმოთქმული სიტყვიდან: „უპირველეს ყოვლისა, ნება მიბოძეთ, ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრის კოლექტივის სახელით, უდრმესი მადლობა გადაგიხადოთ, გულთბილი მიღებისა და დიდი ყურადღებისათვის...

ჩვენ თავს სტუმრად არ ვგრძნობთ, ჩამოვსულვართ ქართველები ბათუმიდან, ქართველობაა ჩვენი ყველაზე დიდი მონაპოვარი და მიღწევა.

ისტორიას ჩაბარდა ის დრო, როდესაც ცრემლმორეული გულოადა კაიკაციშვილი ივედრებოდა, მოგვხედეთ – მოგვეშველეთო, ან ილია ჭავჭავაძის მოწოდება – დავეხმაროთ გაჭირვებაში მყოფ მძეხვსო.“

ქართველობა რომ ყველაზე დიდი მონაპოვარია აჭარისათვის სწორედ ამაზე ამბობდა ღირსეული მამულიშვილი მემედ აბაშიძე. მისი განსაკუთრებული საზრუნავი იყო მაჰმადიანი და ქრისტიანი ქართველების ერთიანობა. ამ საქმეს მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მოახმარა *[მერაბ ხინიკაძე, 1986:26]*.

ცხადია, მერაბ ხინიკაძის გამოსვლა დიდად შთამბეჭდავი იყო თბილისის საზოგადოებისათვის. მის მიერ პარტრიოტული სულისკვეთებით წარმოთქმული სიტყვები იყო მისი კუთხის ავბედითი ისტორიის, უამრავ ჭირ გამოვლილი ტკივილის გამოხატულება.

26 ოქტომბერს დღისით შეხვედრა მოუწყო ბათუმის თეატრის მსახიობებს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურმა ინსტიტუტმა, სადაც იყო პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები. სიტყვით გამოსულა აკაკი ხორავა. მან შეაქო ბათუმის თეატრი და განსაკუთრებით მოიხსენია მსახიობები მურად ხინიკაძე დ იუსუფ კობალაძე. აქვე სიტყვით გამოსულა თეატრალური ინსტიტუტის რექტორი ილია თავაძე. მან შეაქო აჭარა და თქვა, - იქ

ავიდგი ფეხი და ბევრი კარგი მოგონება მომყვება იქედანო. აგრეთვე, თეატრს უსაყვედურა, რომ დაკავებული არ არის ძველი თაობის მსახიობები სპექტაკლებშიო, მაგალითად კობალაძე და სხვები. თეატრი ყოველთვის გაიმარჯვებს ძველი და ახალი თაობის შერწყმითა და შეთანხმებითო. ბათუმის თეატრი ერთადერთი თეატრია საქართველოში, სადაც შეხლა-შემოხლა არ არისო. ეს არის ერთი მონოლითური კოლექტივი.

დედაქალაქში ასეთი დიდი პატივით მიღება და მაღალი შეფასება ბათუმის თეატრისა, ნამდვილად საამაყო უნდა ყოფილიყო ბათუმელებისათვის.

როგორც ცნობილია, მერაბ ხინიკაძეს დიდი წარმატება მოუტანა კიკვიძის როლის შესრულებამ. აი რას წერს ამასთან დაკავშირებით მურადი: „კიკვიძე ჩვენი თეატრის ისტორიაა. იგი დაიდგა 1942 წლის 18 მარტს და მიემდვინა აჭარის გასაბჭოების 21 წლისთავს და თეატრის გახსნის 5 წელს. დადგმა ჩომახიძის, მხატვრობა დ.იმნაიშვილის, მუსიკა ა. ფარცხალაძის. ჩემი ნათამაშევი როლებიდან ყველაზე მეტად ბრმა და ლორკა მიყვარდა, მაგრამ კიკვიძემ დიდი წარმატება მომიტანა ცხოვრებაში. მთელი მზადების პერიოდში დავდიოდი გალიფე შარვლით, ჩექმებითა და ბლუზით. თავზე ჯუბანკა მეხურა. ასე დავდიოდი ცხოვრებაში, ვიდრე კიკვიძის პრემიერა არ წავიდა. ერთ დღეს ბაზართან დავინახე ცხენით მოდის სამხედრო ოფიცერი, რომელსაც ძვირფასი გრძელბეწვიანი ნაბადი ეხურა, გავაჩერე ბოდიში მოვუხადე და ვინაობა გამოვკითხე, თუ სად იდგა მისი ნაწილი. ეს იყო ნაწილი, რომელიც უკან დახეული იყო კავკასიის ბრძოლებიდან. თეატრის დირექტორს მოველაპარაკე და წავედით პოლკის უფროსთან ქვემო გოროდოვში, გამოვამახებინეთ ის მეთაური და პოლკის უფროსის დახმარებით ვიყიდეთ 100 მანეთად ეს ნაბადი, რომელიც მას შეუძენია დაღესტანში. სიხარულით ცას ვეწიე. შემდეგ ცხოვრებაში დავდიოდი ამ ნაბადით და ხის კაბურიანი მაუზერით. ხმალი, მაუზერი და ნაბადი შეიქნა ჩემი განუყოფელი ნაწილი, ისე მივეჩვიე და ისე მოხდენილად ვხმარობდი, რომ თუ რომელიმე არ მქონდა თავს ცუდად ვგრძნობდი და რაღაც მაკლდა. ყოველი სიტყვა და მოქმედება შეთანხმებული მქონდა, გააზრებული. თვითონ კიკვიძე ამაღლებული, რომანტიულად მქონდა წარმოდგენილი, 23 წლის ასაკში დივიზიას მეთაურობს, აბა წარმოიდგინეთ, რომანტიკისა და ჰეროიკის გარეშე ამას მიაღწევდა? ბევრი ქება მხვდა წილად, რაც დაგროვილია ჩემს არქივში. 1943 წელს დამსახურება მომცეს, ეს კიკვიძემ ქნა“ *[მერაბ ხინიკაძის დღიურებიდან]*.

„კიკვიძე“ 15 წლის განმავლობაში იყო ბათუმის თეატრის რეპერტუარში. მსახიობმა მერაბ ხინიკაძემ 200-ზე მეტჯერ ითამაშა ეს როლი მაყურებლით

გაქედით დარბაზში. აი, რას წერს პიესის ავტორი ვანიონ დარასელი მერაბ ხინიკაძეს: “მე შენს მერე კიდევ ორი სხვა კიკვიძე ვნახე, მაგრამ მართლაც შენისთანა კიკვიძე იშვიათია *[დავითაია, 1957: 42]*.”

მერაბ ხინიკაძის გზის გაკვალვაში, მსახიობად ჩამოყალიბებაში ლომის წილი ეკუთვნის უდიდეს რეჟისორს, თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს სანდრო ახმეტელს, რომელზეც მერაბ ხინიკაძე სამართლიანად წერდა, „რომ სანდრო ახმეტელის აზრები, მისწრაფებები, მოწოდება წინ უსწრებდა მაშინდელი საზოგადოების ყოფას. ხალხი არ გაპატიებს, თუ მას არ გეგხარ, ახმეტელი ვერ დაიმსგავსეს და დაუწყეს ბრძოლა“ *[მერაბ ხინიკაძე, 1986:95-96]*.

მერაბ ხინიკაძე ადამიანში დიდად აფასებდა უბრალოებას, პატიოსნებას და პროფესიონალიზმს. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ მისი 1971 წლის მოგონება აჭარის საოლქო და საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის გიორგი თვალჭრელიძის შესახებ (ბათუმის ქალაქკომი მგელაძის ცეკას მდივნობის დროს გამოიყო, მანამდე ერთი კაცი იკავებდა ამ ორ თანამდებობას).

მისი დახასიათებით გიორგი იყო მეტად უბრალო და სადა კაცი, ჩაცმულობაც ისე სადა იცოდა. „ყოვე ქუდით და ფეხით სიარული უყვარდა ქუჩაში, თუ არ იცნობდი ისე ვერ მიიღებდი თანამდებობის პირად. სალამს ვერ მოასწრებდი. საოლქო კომიტეტში რომ შევიდოდა ყველა ოთახში შეიხედავდა ამბავს იკითხავდა და ისე შევიდოდა კაბინეტში. ქუჩაშიც რომ მიდიოდა, თუ რაიმე დაწესებულებას შეამჩნევდა შეიხედავდა, რაღაცას იკითხავდა. ერთ დღეს ასე დილის 12 საათი იქნებოდა, მამია გოგოლიშვილთან ვიყავი კაბინეტში, მაშინ ის აჭარის მიწსახკომი იყო, კაბინეტი ქონდა ლენინისა და სტალინის ქუჩის კუთხეში ბელეტაჟზე. შესასვლელ კარებისგან ზურგით ვზივარ და რაღაცას ველაპარაკები მამიას, რომ კარი გაიღო მაგრამ მე არ მომიხედავს. მამია წამოხტა ზეზე, მაშინ მოვიხედე და თვალჭრელიძე იყო, მე რომ შემხედა თქვა, ამიხსენით რა საერთო აქვს არტისტს სოფლის მეურნეობასთანო (ეს სიტყვები რუსულად თქვა). მე წასვლა დავაპირე, მაგრამ არ გამიშვა, ხელი მომიკიდა და დამსვა. მამიას უთხრა გააფრთხილე მდივანი არავინ შემოვიდესო. ეს იყო ომის პერიოდი. მამიას რუქა ეკიდა კაბინეტში, მივიდა და ნახა ადგილი, სადაც წინა დღით ეიზენშაუერმა ჯარები გადმოსხა. მოგვიყვა ამბები სხვადასხვა თემაზე. ძალიან უყვარდა რაიმეს მოყოლა, რამე თქმულებით ან ანეგდოტით გააღამაზებდა. რიხიანი მოსაუბრე იყო. თეატრი ძალიან უყვარდა, გასინჯვას არ გამოტოვებდა, რაც არ უნდა დაგვიანებოდა არ დატოვებდა, განხილვაზე კი არ დარჩებოდა და არც ობკომის თანამშრომლებს დატოვებდა.

მაგათ იციან თავიანთი საქმე, ჩვენზე უკეთესად შენიშნავენ და გაასწორებენ რაც აკლია და წავიდოდა“.

ომი რომ დაიწყო, ყველა ეგზალტირებული ვიყავით, გვინდოდა ფრონტზე წასვლა, გამარჯვების იმედი გვქონდა და ყველას გვინდოდა ამ გამარჯვებაში მონაწილეობის მიღება. მსახიობებს იძახებდნენ და მიჰყავდათ. ვიყიდე ზურგჩანთა და გავემზადე. საღამოს თბილისის მატარებელზე მივდივარ. სამხედრო კომისარი იყო ცინცაძე, ვიღაცას უთქვამს თვალჭრელიძისთვის ხინიკაძე ჯარში მიჰყავთო, გამოუძახებია ეს ცინცაძე და უსაყვედურებია რას ფიქრობ, სცენაზე შენ უნდა ითამაშო ხინიკაძის მაგივრადო? და დამაბრუნეს, შემდეგ ჯავშანიც მოვიდა და ამით გათავდა ჩემი ჯარობალა.

მე დიდი სიმპათიით მეპყრობოდა, თუ მისალმების წაკითხვა იყო, ჩემს გარდა არავის აკითხებდა. პარტიაშიც იმან მიმიღო, მანდატის მიღებაზე მე და საწყალი ესედი ცივაძე ერთად წავედით. პირველად მე გამომიძახეს, მე ველოდი მდივანი ხელს ჩამომართმევს, მომილოცავს, წარმატებას მისურვებს და სხვა მისთანა, როგორც ხდება. გოგონამ გადასცა მანდატი ხელის მოსაწერად, ხელი მოაწერა და მაგიდაზე გადმომიგდო ისე, რომ არც კი შემოუხედია ჩემთვის. მდივანმა გოგონამ აიღო და მომცა, მეც უსიტყვოდ გამოვიცურცლე გარეთ. ჩემს შემდეგ შევიდა ესედი და იმასაც ისე მოექცა, როგორც მე. ესედს უფიქრია, ჩემზე ალბათ გულმოსულია, ვიღაცამ რაღაც უთხრაო. წამოვედით და ესედი სიტყვას არ იღებს, მკვდარივით არის, რა მოგივიდა მეთქი ვკითხე. შენ როგორ გადმოგცა მანდატი თვალჭრელიძემო, მეც ვუთხარი, ადგა, ხელი ჩამომართვა, მომილოცა, წარმატება მისურვა მეთქი. ჰოდა დავიღუპე, ჩემზე ვიღაცას რაღაც ამბავი აქვს მიტანილი, არც კი შემოუხედავს, ისე გადმომიგდო მანდატით. ამიტყდა სიცილი და ძლივს დავამშვიდე საწყალი ესედი, რომ მეც ასე მომექცა მეთქი და საერთოდ ეს არ არის ქათინაურებისა და ფოკუსების კაცი. მართლაც მკაცრი არ იყო, მაგრამ არც მოფერება იცოდა. მთავარი იყო მის მუშაობაში, რომ ყოფილიყო სამართლიანი, მართალი კაცის მხარე ეჭირა ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი. მატყუარას, თაღლითს, გაიძვერას ვერ იტანდა“ *[მერაბ ხინიკაძის დღიურებიდან]*.

მერაბ ხინიკაძე თავის დღიურებში მოიხსენიებს მეგობრებს, მსახიობებს, რომლებთანაც აკავშირებდა მრავალი წლის ურთიერთობა. ეს ის ადამიანები იყვნენ, რომლებიც ამშვენებდნენ ქალაქ ბათუმს. მისი განუყრელი მეგობრები იყვნენ : ნელი დუმბაძე, დურსუნ ინაიშვილი, მიშა სურგულაძე, შოთა ქურიძე, ილია თავაძე, ლადო შარაშიძე და სხვები.

მერაბ ხინიკაძეს ბათუმის თეატრის როგორც ძველი, ისე ახალი თაობის მსახიობებთან ჰქონდა გაწონასწორებული, საქმიანი და ჰუმანური ურთიერთობა თავისი ბუნებიდან გამომდინარე.

ის წერს: „განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ხუთი მსახიობი, რომლებმაც მასთან ერთად „კიკვიდის“ სპექტაკლში ასჯერ ითამაშეს: საქართველოს სახალხო არტისტები: ხასან მეგრელიძე (გრიშუტკა), აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტები ა. გარნელი (პრასკოვია), ლ. აფხაზავა (მარფა), გ. ინაიშვილი (მედოვსკი), მსახიობი ვასილ ჩხაიძე (სამხედრო კომისარი).

აი, ასეთი ღირსეული ადამიანები ჰყავდა ბათუმს. მერაბ ხინიკაძე და მისი მეგობრები იმ დროინდელი ბათუმის სახეები იყვნენ. მათ ბათუმის ისტორიაში ერთი ლამაზი ეპოქა შექმნეს. ეს ადამიანები დარჩნენ ბათუმელების მარადიულ ხსოვნაში.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

მერაბ ხინიკაძის დღიურებიდან – მერაბ ხინიკაძის დღიურები (გამოუქვეყნებელი)

ბელთაძე, 2017: – ბელთაძე ი., საქართველოს სახალხო არტისტი მერაბ ხინიკაძე. თბილისი, 2017.

მერაბ ხინიკაძე, 1986: – მერაბ ხინიკაძე, კრებული „მამულიშვილი“. ბათუმი, 1986.

დავითაია, 1957: – დავითაია ე., მერაბ ხინიკაძე, ბათუმი, 1957.

ლორთქიფანიძე, 1980: – ლორთქიფანიძე ლ., მერაბ ხინიკაძე, ბათუმი, 1980.

Izolda Beltadze-khinikadze (Batumi, Georgia)

Memories of Merab Khinikadze about Batumi and the Batumians

Summary

The memorandum contains memories from the Georgian public artist Merab Khinikadze's memories on Batumi State Theater, famous people, actors and friends, who were decorated with Batumi and made a great contribution to the history of the cultural history.

In her blogs she is mentioned: State official Tvalchrelidze, actors: Kh. Megrelidze, A. Garneli, L. Afebazava, G. Imnaishvili, V. Chkhaidze. The next generation should be brought up on their example.

საქართველოს ტერიტორიების საკითხი ტრაპიზონისა და ბათუმის კონფერენციებზე

თურქეთის საგარეო პოლიტიკაში საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა. პირველი მსოფლიო ომის მიმდინარეობისას მისი პოლიტიკური სტრატეგია ამიერკავკასიის საკითხებში ითვალისწინებდა რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შედეგების გადასინჯვას, ე.ი ყარსის, არტაანისა და ბათუმის ოლქების კვლავ მიერთებას. საომარი მოქმედების დასაწყისში ამიერკავკასიის ფრონტზე ოსმალებმა ჯერ მარცხი განიცადეს, მაგრამ შემდეგ გამოასწორეს მდგომარეობა და უშულოდ მოადგნენ ბათუმს. ოსმალეთის ჯარების ამ წარმატებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამიერკავკასიის სარდლობის აშკარა მოუქნელობამაც. 1915 წლის თებერვლის შემდეგ მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. რუსეთის ჯარების ახალმა სარდალმა ოპერატიული გადაჯგუფება მოახდინა, რის შედეგადაც ოსმალები ართვინამდე უკუაგდეს. 1916 წლის თებერვალში რუსებმა დაიკავეს ერზრუმი, აპრილში კი – ტრაპიზონიც, რაც თავისთავად მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო ოსმალეთს მთელ ფრონტზე.

1917-1918 წლების შემოდგომისა და ზამთრის განმავლობაში ამიერკავკასიაში ორი ერთდროული პროცესი მიმდინარეობდა. პირველი – ეროვნული სამხედრო ფორმირებების შექმნა-ჩამოყალიბება იყო, მეორე და უფრო მნიშვნელოვანი კი – კავკასიის რუსული არმიის დაშლა. ნოემბრის რევოლუციის შემდეგ რუსულმა არმიამ, როგორც შედეგიანმა სამხედრო ძალამ, არსებობა შეწყვიტა. მის ჯარისკაცებს ერთადერთი სურვილი – შინ დაბრუნება ამოდრავებდათ. როდესაც რუსმა ჯარისკაცებმა ფრონტი დატოვეს, ის პრაქტიკულად დაუცველი დარჩა. ამგვარ ვითარებაში მისაღები აღმოჩნდა ოსმალთა გენერალ ვეჰიბ ფაშასაგან ქართველი სამხედრო მეთაურის, გენერალ ოდიშელიძის სახელზე გამოგზავნილი წინადადება. თურქი მეთაური იტყობინებოდა, რომ ენვერ ფაშას სურდა შეეტყო, თუ როგორ შეიძლებოდა კავკასიურ მთავრობასთან დასაზავებლად კავშირის დამყარება. ამაზე წერილში ვეჰიბ ფაშა წერდა, რომ მზად იყო ამიერკავკასიის დედაქალაქში დელეგაცია გამოეგზავნა *[ქაზეზ-ზადე, 2016:113]*. ორი დღის შემდეგ (1918 წლის 16 იანვარს) ვეჰიბ ფაშამ

გენერალი ოდიშელიძეს კიდევ ერთი წერილი გაუგზავნა. ამჯერად იგი ამიერკავკასიელებს ბრესტ-ლიტოვსკის კონფერენციაზე ეპატიჟებოდა, სადაც ის ჰპირდებოდა ყველა ზომის მიღებას, რათა ხელი შეეწყო ახალი სახელმწიფოს აღიარებისათვის.

ამიერკავკასიის კომისარიატმა ვეპიზ ფაშას წერილზე შეთანხმება ვერ მოახერხა. თურქები სამშვიდობო წინადადებაზე პასუხს უსასრულოდ ვერ დაელოდებოდნენ. ტერიტორიები, რომლებიც ადრე რუსულ ჯარს ეკავა, ახლა ქართული და სომხური ჯარის ხელში გადასულიყო. ადგილი ჰქონდა სომხების მხრიდან მუსლიმი მოსახლეობის აწიოკებას, რაც ვეპიზ ფაშამ აცნობა კიდევ გენერალ ოდიშელიძეს, რომელმაც სომხებისგან მუსლიმთა დაცვა აღუთქვა *[ქაზეშაძე, 2016:155]*.

აღსანიშნავია, რომ სოლიდარობა რომელსაც თურქები იჩენენ მუსლიმი მოსახლეობის მიმართ არ იყო ნაკარნახევი მხოლოდ მათზე ზრუნვით. უფრო სავარაუდოა, რომ ისინი ამ ფაქტის გამომზეურებით ერზინჯანის ზავის დარღვევის წინაპირობას ქმნიდნენ.

12 თებერვალს თურქეთმა სომეხთა ქმედებების შესახებ კიდევ ერთხელ გამოუგზავნა საჩივარი ამიერკავკასიას და განაცხადა, რომ ისინი მკვლელობების პასიური მეთვალყურე ვერ იქნებოდნენ. ვეპიზ ფაშამ თავის ჯარს უბრძანა იერიშზე გადასვლა. ამიერკავკასიის სამხედრო შენაერთებმა სცადეს წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ როგორც კი საქმე რეალურ ბრძოლაზე მიდგა, სომხები, რომლებმაც მანამდე თავი გამოიჩინეს მშვიდობიანი მუსლიმი მოსახლეობის ხოცვით, უხეირო მეომრები გამოდგნენ. ცნობილი სომეხი გენერალი ანდრანიკი, რომელსაც ერზრუმის დაცვა ებარა, ბრძოლის ველიდან მასობრივ დეზერტირობას წინ ვერ აღუდგა. მიუხედავად რიცხოვრივი უპირატესობისა სომეხებმა ერზრუმი თითქმის უბრძოლველად დათმეს *[იქვე, გვ 116]*.

აღსანიშნავია, რომ ამიერკავკასიაში ამ დროისათვის მეტად რთული პოლიტიკური სიტუაცია შეიქმნა. საჭირო იყო უამრავი მოვლენის გათვალისწინება და სწორი ორიენტაციის აღება. როდესაც ამიერკავკასიის ხელისუფლება ძალიან ბნელი პოლიტიკური დილემის წინ იდგა, ბრესტ-ლიტოვსკში ძალას იკრებდა რუსეთისა და გერმანიის ბლოკ სახელმწიფოთა საზავო კონფერენცია. გერმანიის ბლოკთან დროებითი ზავის შესახებ მოლაპარაკება დაიწყო ჯერ კიდევ 1917 წლის 3 დეკემბერს.

აღსანიშნავია, რომ ბოლშევიკთა დელეგაციამ ამიერკავკასიის საკითხებში ვერ დაიცვა მისი ინტერესები. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ გერმანიის მოკავშირე ოსმალეთს შორს გამიზნული ზრახვები გააჩნდა ამიერკავკასიის

საკითხებში, იქმნებოდა საქართველოს ზოგიერთი ტერიტორიის დაკარგვის რეალური საფრთხე.

1918 წლის 19 თებერვალს, გერმანელებისთვის გაგზავნილ დეპეშაში აღნიშნული იყო, რომ შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით სახალხო კომისართა საბჭო იძულებულია ხელი მოაწეროს ზავის პირობებს, რომლებიც ბრესტ-ლიტოვსკში ოთხთა კავშირის დელეგაციებმა წამოაყენეს *[ზოხიძე, 1995:18]*. 23 თებერვალს გერმანიის მხარემ რუსეთს შესთავაზა ულტიმატუმი, რომელიც 10 პუნქტისაგან შედგებოდა. მე-5 პუნქტით რუსეთს ოსმალეთისათვის უნდა დაებრუნებინა ანატოლიის პროვინციები. 24 თებერვალს სრულიად რუსეთის ცაკ-მა მიიღო გერმანელთა ულტიმატუმი. 3 მარტს საბჭოთა დელეგაციამ გამოთქვა მზადყოფნა ყოველგვარი განხილვა-განსჯის გარეშე ხელი მოეწერა შეთანხმებისათვის. ტექსტის საბოლოო ვარიანტის წაკითხვისას აღმოჩნდა, რომ გერმანელებს ოსმალების სასარგებლოდ შეეტანათ ცვლილებები: რამდენადაც რუსეთის სისუსტე აშკარა იყო, ოსმალებმა შესაძლებლად ჩათვალიეს თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ შექმნილი მდგომარეობა და მეტი ტერიტორიული პრეტენზიები წაეყენებინათ. კერძოდ, მე-5 პუნქტს დაემატა ოსმალეთისათვის ყარსის, არტაანისა და ბათუმის ოლქების გადაცემის საკითხი *[Мирные переговоры..., 1920:215]*.

საბოლოოდ რუსეთმა, გერმანიამ, ავსტრიამ, უნგრეთმა, ოსმალეთმა და ბულგარეთმა 1918 წლის 3 მარტს ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებას, რომლის მე-4 მუხლის მიხედვით რუსეთს ყველაფერი უნდა გაეკეთებინა და უზრუნველყო აღმოსავლეთ ანატოლიის სწრაფი გაწმენდა და მათი დაბრუნება ოსმალეთისათვის. ასევე არტაანის, ყარსისა და ბათუმის ოლქები დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლებულიყვნენ რუსთა ჯარისგან, რათა ეს ოლქები რაც შეიძლება მალე შერწყმოდნენ ოსმალეთს. რუსეთ-ოსმალეთის საზღვრები უნდა აღდგენილიყო იმ სახით, როგორც არსებობდა 1877-1878 წლების ომამდე. სასწრაფოდ უნდა მომხდარიყო აღნიშნული საზავო ხელშეკრულების რატიფიკაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში მოწინააღმდეგის ჯარები გადავიდოდნენ შეტევაზე პეტერბურგის ასაღებად *[История дипломатии, 1945:344]*. 1918 წლის 15 მარტს სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობამ დაამტკიცა ეს შეთანხმება.

ტრაპიზონის კონფერენციაზე ამიერკავკასიის დელეგაცია გვიან გაემგზავრა და ადგილზე 8 მარტს საღამოს ჩავიდა, თუმცა თურქეთის ხელისუფლებამ მას ნაპირზე გადასვლის უფლება არ მისცა. თურქებმა მანამდე დაცვის ორმოცდაათამდე პირის განიარაღება მოინდომეს. ამიერკავკასიის დელეგაციამ

მათ ამის უფლება არ მისცა. ამიტომ თურქეთის დელეგაციის მოსვლამდე მისი წევრები გემბანზე დარჩნენ. 12 მარტს, სამი დღის ლოდინის შემდეგ, ჩატარდა წინასწარი შეხვედრა ხოლო ორი დღის შემდეგ კონფერენცია ოფიციალურად გაიხსნა.

ამიერკავკასიის დელეგაციას აკაკი ჩხენკელი (ქართველი მენშევიკი) ხელმძღვანელობდა. დანარჩენი წევრები იყვნენ: გ. ბ. გვაზავა (საქართველოს ეროვნული დემოკრატიული პარტიის წევრი), გ.მ. ლასხიშვილი (ქართველი სოციალ-ფედერალისტი), კ. აბაშიძე (ქართველი სოციალ-ფედერალისტი), ა.ი. ხატისიანი (დამნაკი) რ.ი. კაჩაზნუნი (დამნაკი), მ.პ. ჰაჯინსკი (მუსავათისტი), ი. ჰოდაროვი (მუსავათისტი), მ.ი. მეჰტიევი (მუსლიმი მენშევიკი), და შეიხ-ელ-ისლამოვი (მუსლიმი მენშევიკი). ამბობენ, რომ როცა ამიერკავკასიის დელეგაცია ტრაპიზონში ხმელეთზე გადავიდა, რომელიღაც თურქს უთქვამს: ეს თუ ამიერკავკასიის მთელი მოსახლეობაა, ცოტანი ყოფილან, ხოლო თუ მხოლოდ დელეგაცია, ძალიან ბევრნი არიანო *[ქაზეშზადე, 2016:124]*.

ოსმალეთის მხრიდან მასში მონაწილეობდნენ: რაუფ ბეი (დელეგაციის ხელმძღვანელი), მემედ ნუსრეთ ბეი, დოქტორი თევფიყ სალიმ ბეი, სტამბოლის უნივერსიტეტის პროფესორი ისმაილ გამი ბეი და სხვები.

მისასალმებელ სიტყვაში რაუფ ბეიმ აღნიშნა, რომ კავკასიისა და თურქი ხალხების კავშირი განპირობებულია არა მარტო ისტორიული და გეოგრაფიული ურთიერთსიახლოვით, არამედ ეროვნული და რელიგიური ნათესაობითაც *[ზოსიძე, 1995:23]*. რაუფ ბეი ამ განცხადებით მოლაპარაკებას შორს გამიზნულ პოლიტიკურ სარჩულს უდებდა, თორემ ამიერკავკასიის ხალხთა და თურქების ნათესაობა, რბილად რომ ვთქვათ, აბსურდია.

ოსმალებმა დასვეს საკითხი, რომ ამიერკავკასიის დელეგაციას განემარტა ამიერკავკასიის რესპუბლიკის პოლიტიკური და ადმინისტრაციული მოწყობის ფორმის შესახებ და ეთქვა იმაზეც, რომ აკმაყოფილებდა თუ არა იგი იმ პირობებს, რომლებიც გათვალისწინებულია სახელმწიფოს წარმოქმნის თაობაზე საერთაშორისო სამართლის ნორმით *[იქვე, გვ 23]*.

საზავო კონფერენციის მეორე სხდომაზე ა.ი. ჩხენკელმა დაახასიათა ამიერკავკასიის რესპუბლიკის პოლიტიკური მმართველობის ფორმა, რომელიც შემოღებული იქნა ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ. მან თქვა, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკას გააჩნია დემოკრატიული გზით არჩეული სეიმი, როგორც ხელისუფლების უმაღლესი ორგანო. რამდენადაც ბრესტის საზავო კონფერენცია შეეხო ამიერკავკასიის რესპუბლიკებს (მათ უშუალო მონაწილეობის გარეშე) და ამავე დროს ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ

დადებული ზავი მათთვის მიუღებელი იყო, ამდენად ბრესტის საზავო პირობები, რომლებიც ამიერკავკასიას ეხებოდა, საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით თავისთავად კარგავდა მნიშვნელობას. ამიერკავკასია უშუალოდ გადაწყვეტს თავის პრობლემებს მეზობელი სახელმწიფოსთან და ეს უნდა იყოს ჩვენი შეხვედრის ლაიტმოტივიო, – განაცხადა ა. ჩხენკელმა *[იქვე, გვ. 24]*.

ა.ჩხენკელის ეს მოსაზრება უფრო კეთილ ნებას გამოხატავდა, ვიდრე მტკიცე პოლიტიკურ არგუმენტაციას, რადგანაც ამიერკავკასიას ამ დროს დამოუკიდებლობაც კი არ ჰქონდა გამოცხადებული. ამ გარემოებათა გამო დელეგაციას ტრაპიზონში გაუჭირდა თავისი პოზიციის დაცვა. ოსმალეთის მხარემ კი აშკარად მიანიშნა მათ, რომ თუ თქვენ არ სცნობთ ბოლშევიკურ ხელისუფლებას, მაშინ რატომ მონაწილეობა არ მიიღეთ ბრესტ-ლიტოვსკის საზავო კონფერენციაში, როგორც უკრაინის რადამ გააკეთაო *[ზოსიძე, 1995:24]*.

ტრაპიზონის კონფერენცია აგებული იყო ძალთა უთანასწორობის პრინციპზე, რამდენადაც ამიერკავკასიის დელეგაციას არ გააჩნდა არგუმენტები ბრესტის ზავის მიუღებლობაზე. ბოლშევიკთა არ ცნობა ამ შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ ბავშვურ კაპრიზს წარმოადგენდა და მეტს არაფერს. ამიერკავკასიას თუ სურდა საკითხის დასმა ფართო პოლიტიკურ სპექტრში, მაშინ საჭირო იყო რუსეთისაგან დამოუკიდებლობის გამოცხადება. დამოუკიდებლობის აქტი, აი რა იყო ოსმალთა მოთხოვნა.

ტრაპიზონის მოლაპარაკება ჩიხში მოექცა. თურქების აზრით ყარსის, არტანისა და ბათუმის ოლქების საკითხი საერთოდ არ ექვემდებარებოდა განსჯას, რამდენადაც ოტომანთა იმპერიას ამ ტერიტორიების მიერთების უფლება ბრესტ-ლიტოვსკის ზავით ქონდა მოპოვებული *[იქვე, გვ. 25]*.

ცხადია, ამიერკავკასია საკითხს თავისი ტერიტორიების აბსოლუტური შენარჩუნებით დადებითად ვერ გადაწყვეტდა. რომელი მიწები გადაეცათ ოსმალებისათვის? სწორედ ეს გახდა ნამდვილი პრობლემა. აზერბაიჯანს, როგორც ოსმალეთის არამეზობელს, ეს საკითხი არ ეხებოდა. ხოლო ქართველ და სომეხ დელეგატებს შორის კი აშკარა უთანხმოება წარმოიშვა. ტერიტორიათა შესაძლებელი დაკარგვისას არც სტრატეგიული, ეკონომიკური და პოლიტიკური ასპექტები იყო უმნიშვნელო. ყარსისა და არტანის გადაცემით ამიერკავკასია სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით აშკარად წაგებული რჩებოდა. ხოლო ბათუმის დაკარგვით, არა მარტო სტრატეგიული, არამედ პოლიტიკური და ეკონომიკური ზარალი უაღრესად დიდი იქნებოდა.

შემუშავდა ტერიტორიათა გარკვეული ნაწილის გადაცემის ვარიანტი, რომლის მიხედვითაც ოსმალეთს უნდა მიეღო ყარსის ოლქიდან ყაგიზმანის რაიონი, არტაანის ოლქიდან კი ოლთისის რაიონი. ამგვარი კომბინაციით არტაანის ოლქში საქართველო შეინარჩუნებდა ფოცხოვ-ერუშეთს, რაც სომხეთისათვის დატოვებული ყარსის ოლქის ტერიტორიის ტოლფასი იქნებოდა *[ზოსიძე, 1995:25]*.

მიუხედავად ამ კომპრომისისა, სომხებს არ სურდათ თავიანთი მინიმუმის გაცემაც კი. აქვე აღსანიშნავია ერთი გარემოება: რამდენადაც ბაქოს ნავთობის საექსპორტო გატანა ბათუმის გზით აზერბაიჯანისათვის უფრო მომგებიანი იყო, იმდენად აზერბაიჯანის მხარე მხარს უჭერდა საქართველოს ბათუმის ოლქის შენარჩუნების საქმეში. ამ რეალურ წინააღმდეგობათა ფონზე შეიძლება ითქვას, რომ ამიერკავკასია, როგორ სახელმწიფოთა პოლიტიკური გაერთიანება დაშლის პროცესში იმყოფებოდა.

23 მარტს ამიერკავკასიის დელეგაციამ ოსმალეებს წარუდგინა მემორანდუმი, რომლის თანახმადაც ოსმალეთისათვის გადასაცემ ტერიტორიებს შეადგენდნენ ოლთისი და არტაანის მხარის სამხრეთ ნაწილი, ყაგიზმანი-ყარსის ოლქის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილი *[იქვე, გვ 26]*.

ოსმალეთის მხარემ გააკეთა ახალი მანევრი. მემორანდუმში სტამბოლში გადაუგზავნა იმპერიის მთავრობას გასაცნობად. ამით ოფიციალური სხდომები დასრულდა.

ტრაპიზონის საზავო კონფერენცია მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური ფარსის ნიშნებს შეიცავდა. იგი ოსმალთა მიერ დადგმული უნიჭო სპექტაკლს უფრო ჰგავდა, რომელშიც დიპლომატიის პრინციპების ნაწილობრივი იგნორირებით, საკითხი წყდებოდა მარტოოდენ ძალისმიერი პოზიციიდან. განსაკუთრებით ეს გამოვლინდა კონფერენციის ბოლო ეტაპზე, როდესაც ოსმალეთის სამხედრო ძალებმა ფართო საომარი ოპერაციები განახორციელეს და მალე მიუახლოვდნენ კიდევაც ბათუმის ოლქს.

1918 წლის 15 აპრილს ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკის თავჯდომარის ა. ჩხენკელის სახელზე მოვიდა ოსმალთა ჯარების სარდლის ვეჰიბ ფაშას დეპეშა ტრაპიზონის კონფერენციის შემდგომი გაგრძელების თაობაზე. დეპეშით იტყობინებოდნენ, რომ ოტომანთა მთავრობამ აღიარა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა და ამის შესახებ აცნობა მის მოკავშირეებსაც. მოლაპარაკების ადგილად ბათუმის შერჩევაზე ოსმალეთის მხარე დათანხმდა *[ზოსიძე, 1995:41]*. თურქულ დელეგაციას ბათუმში ხალილ ბეი ხელმძღვანელობდა, იუსტიციის მინისტრი, რომელიც იმპერიის საგარეო საქმეთა

მინისტრის მოვალეობასაც ასრულებდა. მას თან ახლდა ვეჰიბ ფაშა, რომელსაც რუსულ-კავკასიურ არმიასთან მიღწეულმა სამხედრო წარმატებებმა თურქთა შორის სახელი გაეთქვა *[ქაზიმზადე, 2016:142]*.

ბათუმში ჩასული ქართული დელეგაცია ორმოცდახუთი ადმიანისაგან შედგებოდა. დელეგაციას ჩხენკელი ხელმძღვანელობდა, ერთდროულად პრემიერიცა და საგარეო საქმეთა მინისტრიც.

ბათუმის კონფერენციის სამზადისი უჩვეულო პირობებში დაიწყო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბათუმის კონფერენციას თავიდანვე არადიპლომატიური ხასიათი მიეცა. ეს არ იყო მოლაპარაკება დამარცხებულ და გამარჯვებულ სახელმწიფოთა შორის. იქმნებოდა ისეთი შთაბეჭდილებები, რომ გამარჯვებულ მხარეს სურდა საერთაშორისო დიპლომატიური ნორმების დაცვით წარემართა წინასწარ განზრახული თამაში, რომლის სცენარი ცალმხრივ დაიწერა.

ბათუმის კონფერენციაში ამიერკავკასიის მხრიდან ა.ჩხენკელთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ ნ.ი. ნიკოლაძე – საქართველოდან; ხატისიანი და კაჩაზუნა – სომხეთიდან; გაჯინსკი და რასულზადე – აზერბაიჯანიდან *[ავალიშვილი, 1929:38]*.

ბათუმის საზავო კონფერენცია მუშაობას შეუდგა 1918 წლის 11 მაისს. ოტომანთა დელეგაციის ხელმძღვანელის, ხალილ ბეის შესავალ სიტყვას ფრანგულად ორჰან ბეი თარგმნიდა, რომელსაც მანამდე ბრესტ-ლიტოვსკშიც მოუწია თარგმნობა. თურქებმა ითხოვეს კონფერენციაზე ჩრდილოეთ კავკასიის ახლად შექმნილი მთიელთა რესპუბლიკის წარმომადგენელი ჰაიდარ ბამატიც დაეშვათ. მათ თხოვნას არავინ შეწინააღმდეგებია. ფორმალობის დასრულების შემდეგ ხალილ ბეიმ განაცხადა, რომ ოტომანთა იმპერიას აღარ აკმაყოფილებდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით შეძენილი მიწები.

რაკილა ტრაპიზონის მოლაპარაკებები ამიერკავკასიის მიზეზით შეწყდა, თურქები თვლიდნენ, რომ უფლება ჰქონდათ დამატებითი ტერიტორიები მოეთხოვათ. მათ ახალი ხელშეკრულებაც მოამზადეს და სურდათ ამიერკავკასიას მასზე ხელი მოეწერა. ჩხენკელმა ახალი მოთხოვნების მიმართ პროტესტი გამოთქვა, მაგრამ თურქებმა ისიც კი არ ინებეს თავიანთი მოთხოვნები ამ სხდომაზე წარედგინათ. ისინი ჩხენკელს მომზადებული ხელშეკრულების ტექსტის გაგზავნას შეჰპირდნენ.

ბათუმის კონფერენცია ტრაპიზონის კონფერენციის სრულ ასლად იქცეოდა, რომ არა ერთი გარემოება. სხდომას გერმანელი გენერალი ფონ ლოსოვი ესწრებოდა. იგი უმეტესწილად ჩუმად იჯდა და მხოლოდ სხდომის ბოლოს

მოითხოვა ოტომანთა დელეგაციის მიერ მომზადებული ხელშეკრულება, რომლის პროექტის შესწავლაც როგორც თვითონ აღნიშნა, აინტერესებდა, რათა გერმანიის ინტერესების დაცვა შეძლებოდა.

პროექტი „ხელშეკრულებისა მშვიდობისა და მეგობრობის შესახებ ოტომანთა მთავრობასა და ამიერკავკასიის კონფედერაციული რესპუბლიკას შორის“ მოიცავდა თორმეტ პუნქტს და სამ დამატებას. გარდა ამისა, შემოთავაზებული იქნა ცალკე დამატებითი ხელშეკრულებაც, რომელიც სამხედრო საკითხებს შეეხებოდა. ხელშეკრულების ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს თურქეთის ტერიტორიული მოთხოვნები შეადგენდა, სადაც ის თბილისის გუბერნიის, ახალციხისა და ახალქალაქის ტერიტორიებზე აცხადებდა პრეტენზიას, ასევე მოითხოვდა ქალაქ ალექსანდროპოლს და მისი მაზრის უდიდეს ნაწილს, ეჩმიადინის რაიონის დიდ ნაწილს და ყარსი-ალექსანდროპოლიჯულფის რკინიგზის ხაზს. ამ უკანასკნელი მოთხოვნის შესრულება, ფაქტიურად, თურქებისთვის სომხეთის გადაცემას ნიშნავდა.

ოსმალების მიერ შემოთავაზებული ზავისა და ხელშეკრულების პროექტი აშკარად ანექსიურ ხასიათს ატარებდა. საქართველო ფაქტიურად კარგავდა ყველა იმ ტერიტორიას, რომლის უკან დაბრუნება XVIII საუკუნის ბოლოს ერთმორწმუნე რუსეთის მფარველობაში შესვლის მთავარ პირობად იყო მიჩნეული.

15 მაისს ამიერკავკასიის დელეგაციამ ხალილ ბეისაგან მიიღო პასუხი, რაც უგულებელყოფდა ბრესტის ზავის პირობებს და საბოლოო შეთანხმების საფუძვლად შემოთავაზებულ პროექტს მიიჩნევდა *[ზმსიძე, 1995:45]*.

ბათუმის კონფერენციაზე გამოვლინდა მხარეთა აშკარა უთანასწორობა. შექმნილი ვითარება განიხილეს 16 მაისის სხდომაზე, სადაც მსჯელობის მთავარი საგანი გახდა ტექსტი დოკუმენტისა, რომელიც ოსმალეთის დელეგაციას გაეგზავნა. აქ დასაბუთებული იყო ოსმალთა ახალი ტერიტორიული პრეტენზიების უსაფუძვლობა. რამდენადაც ბრესტის ზავის მე-4 მუხლის მიხედვით ყარსის, არტანისა და ბათუმის ოლქების შემდგომი პოლიტიკური მოწყობისას განსაზღვრული იყო მეზობელ სახელმწიფოთა ინტერესებიც და ამდენად ოსმალეთს არ ჰქონდა უფლება კვლავ მიეტაცა ეს ტერიტორიები.

პოლიტიკური მსჯელობის ასეთი მიმართულება მიუღებელი აღმოჩნდა ოსმალეთისათვის. 18 მაისის ნოტა შეიცავდა მუქარასაც: ამიერკავკასიის დელეგაციის ცდამ, თავისი აზრი გამოთქვას ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ზემოაღნიშნული მუხლის შესახებ, შეიძლება ცუდი გავლენა მოახდინოს ეხლანდელი მოლაპარაკებების შედეგებზე *[იქვე, გვ 45]*.

მაისის მეორე ნახევრიდან გერმანიის წარმომადგენლობა აქტიურად ჩაება საზავო მოლაპარაკებაში, რადგანაც აშკარა გახდა საფრთხე ამ ქვეყნის ინტერესების შეზღუდვისა ამიერკავკასიაში. ოტომანთა დელეგაციისადმი ფონ ლოსოვის მიერ გადაცემული ნოტა გამოხატავდა პროტესტს ოსმალეთის მიერ ამიერკავკასიის ტერიტორიათა ექსპანსიის გამო. 19 მაისს, მოლაპარაკების დაჩქარების მიზნით, გერმანელებს ამიერკავკასიის დელეგაციას შუამდგომლობა შესთავაზეს. ოსმალეთის დელეგაციამ უარი განაცხადა, რის გამოც გერმანიის მისიამ თავისი ყოფნა მოლაპარაკებაზე უაზროდ ჩათვალა და 15 მაისს გადაწყვიტა ბათუმიდან გამგზავრებულიყო *[იქვე, გვ 46]*.

1918 წლის 25 მაისს ამიერკავკასიის დელეგაციამ მიიღო ულტიმატუმი ხალილ ბეისგან, რომლის მიხედვითაც 72 საათის განმავლობაში უნდა დაკმაყოფილებულიყო მათი ყველა მოთხოვნა, რომელთა შორის იყო ოსმალეთის სასარგებლოდ საზღვრების შეცვლა.

გერმანიის მხარე დიპლომატიურ საშუალებებთან ერთად ფართოდ იყენებდა ჯაშუშურ აპარატსაც. მათ სადაზვერვო ქსელს გერმანელი კოლონიზატორების მიერ მოსყიდული აგენტები წარმოადგენდნენ. საქართველოს სადაზვერვო სამსახურმა შეძლო ზოგიერთი ამ აგენტის გადმოზიდვა. სწორედ მათი დახმარებით დადგინდა, რომ გერმანელებს სურდათ დაეკავებინათ ბაქო-ბათუმის, ხოლო თურქებს- თბილისი-ჯულფის რკინიგზა *[ზოსიძე, 1995:48]*.

1918 წლის 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. მმართველობის პოლიტიკური ფორმით საქართველო დემოკრატიული რესპუბლიკას წარმოადგენდა. იგი არ ერეოდა სხვა სახელმწიფოთა საქმეებში და მოქმედებდა მუდმივი ნეიტრალიტეტის სტატუსით. რამდენადაც ამიერკავკასიის სეიმი დაიშალა, ოსმალთა ულტიმატუმი ძალადაკარგულად უნდა გამოცხადებულიყო. პასუხად შეკითხვაზე – ეხებოდა თუ არა ზემოაღნიშნული ულტიმატუმი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, ხალილ ბეიმ უპასუხა, რომ კონფედერაციის თითოეული ერთეულის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადება სრულიადაც არ ცვლის იმ პირობებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია 25 მაისის ნოტაში *[იქვე, გვ 51]*.

1918 წლის 4 ივნისს ბათუმში გაფორმდა ზავისა და მეგობრობის ხელშეკრულება ოტომანთა იმპერიის მთავრობასა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობებს შორის. ახალი ტერიტორიები მდინარე ჩოლოქიდან დაწყებული, ვიდრე აბასთუმნამდე, რუსეთ-თურქეთის 1877 წლის საზღვრებით, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები ოსმალეთის ხელში გადადიოდა. ამრიგად,

ოტომანთა იმპერია კვლავ იბრუნებდა ე.წ. „გურჯისტანის დიდ ვილაიეთს“. მიმდინარე ომის დროს ოსმალეთს უფლება ეძლეოდა გამოეყენებინა საქართველოს რკინიგზები გარკვეული შეღავათებით. ამასთანავე საქართველოს საზღვაო პორტებში არსებული გემები გადაეცემოდა ოსმალეთს.

ამრიგად, ეს ხელშეკრულება საქართველოსთვის წარმოადგენდა სერიოზულ მარცხს, ეროვნული, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური თვალსაზრისით. ჩვენ ვკარგავდით სამხრეთ საქართველოს, მთელ სამცხე საათაბაგოს.⁴ ივნისის ხელშეკრულება ფაქტობრივად ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების იგნორირებას ნიშნავდა. ამ ხელშეკრულებით საქართველოს ტერიტორიულმა დანაკარგმა შეადგინა 9500 კვ. კილომეტრი 350 000 მოსახლეობით. დაიკარგა ბათუმის ღრმა ყურიანი ნავსადგური, ოლქში არსებული მურღულის და ართვინის მდიდარი სპილენძის საბადოები. ცხადია, საქართველო ვერ შეეგუებოდა ამ მტაცებლურ ზავს და ბუნებრივია ქართველ ხალხს იგი არც მიუღია. დემოკრატიული საქართველოს მთავრობა დიპლომატიური გზებით ცდილობდა ზავის მძიმე პირობების ნაწილობრივ შეცვლას. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი ქართული მისიის მიერ წარდგენილ ნოტაში აისახა ქვეყნის ფაქტობრივი მდგომარეობა. მასში კერძოდ ნათქვამი იყო, რომ ბათუმის ზავზე ხელისმოწერა მოხდა ოსმალური ხიშტების ძალდატანებით და მოთხოვნილი იყო ამ ხელშეკრულების გადასინჯვა ცენტრალურ სახელმწიფოთა (ე.ი გერმანიისა და მისი მოკავშირეების) განსაკუთრებულ კონფერენციაზე *[ნოზაძე, 1989:37]*.

1918 წლის ნოემბერის ბოლოს ოსმალეთის საოკუპაციო რეჟიმმა არსებობა შეწყვიტა, მაგრამ ყველაფერი ამით არ დასრულებულა. მაშინ ბათუმი იქცა ამიერკავკასიაში გაბნეული ასკერებისა და ოსმალთა მოხელეების თავშესაფარ ადგილად. სწორედ ამან განაპირობა შემდგომ, ინგლისის ოკუპაციის პერიოდში, ოსმალეთის ერთგული აგენტებისა და ჯაშუშების საქმიანობის გააქტიურება აჭარაში. ამ პროცესებს წინ აღუდგა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც თავისი არსებობის დასაწყისიდანვე წარმატებით წყვეტდა მის წინაშე დასახულ ამოცანებს, ამზადებდა პირობებს დამპყრობლებისაგან აჭარის საბოლოო განთავისუფლებისა და დედამამშობლოსთან მისი დაბრუნებისათვის.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

ავალიშვილი, 1929: – ავალიშვილი ზ., საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბილისი.

ზოსიძე, 1995: – ზოსიძე ნ. „პოლიტიკური სიტუაცია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში 1918-1920 წლებში, ბათუმი.

ნოზაძე, 1989: – ნოზაძე ვ., საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბილისი.

სდსინ, III, 2008: – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა, ტომი III, ბათუმი.

სვანიძე, 2007: – სვანიძე მ., თურქეთის ისტორია, თბილისი.

ქაზეშაძე, 2016: – ქაზეშაძე ფ., ბრძოლა ამიერკავკასიისათვის 1917-1921 წწ., თბილისი.

История дипломатии, 1945: – История дипломатии, т. 2, Москва.

Мирные переговоры., 1920: – Мирные переговоры в Брест-Литовске, Москва.

Jemal Beridze (Batumi, Georgia)

The Territorial Issue of Georgia In Trabzon's and Batumi's Conferences

Summary

Abovementioned article is dedicated to the discussions under the Treaty of Brest-Litovsk at the end of the First World War of a very difficult political situation in Georgia. Our neighboring country The republic of Turkey, which was the ally of the Germany during First World War, has used for its own benefits the revolution in Russian Empire and decided to broaden its territories as it was during the Ottoman Empire.

During this Conferences the leader of the delegation from Turkey was Halil Kut who was the justice minister of Turkey, the leader of Georgian delegation was A. Chkhenkeli who was at the same time a prime minister and also a foreign minister of Georgia. The main issue at the conferences was the case that Georgian delegation did not participate in the signing procedure of the Treaty of Brest-Litovsk and this has

put the Country in a very hard situation, in particular, Georgia was under a threat to be left without its regions Artani and Batumi.

During the time when conferences were held, the Ottoman Empire were occupying Georgia's territories and our Country was in the desperate need of the interference of the international communities in order to help in dealing with the mentioned problems.

პირთი ინგლისური დოკუმენტი ბათუმის შესახებ (1886)

მოქმედი გენერალური კონსული სტივენსი გრაფ როუზბერის. ოდესა, 1886, 28 ივნისი. მილორდ, მაქვს პატივი თქვენს უგანათლებულესობას გამოვუგზავნო ბ-ნ ვიცე-კონსულ პიკოკის მოხსენება ბათუმის ვაჭრობისა და კომერციის შესახებ 1885 წელს.

ბ-ნი პიკოკი გამოთქვამს წუხილს, რომ ვერ შეძლო მოხსენების გამოგზავნა უფრო ადრე; ამის მიზეზად ასახელებს საგანგებო დავალების გამო ხანგრძლივ არყოფნას და, ნაწილობრივ, იმ სიძნელეებს, რაც მან განიცადა საბაჟო სახლისთვის საჭირო მონაცემების შეგროვებისას. პ. სტივენსი.

ვიცე-კონსულ პიკოკის მოხსენება ბათუმის ვაჭრობისა და კომერციის შესახებ 1885 წელს.

ვაჭრობა და სანაოსნო ტვირთზიდვის მოცულობა ამ პორტში გაიზარდა 1885 წელს, თუმცა ეს ზრდა არათანაბარი იყო ექსპორტ-იმპორტის ფასიდან გამომდინარე 1884 წელთან შედარებით. მთავარი საქონლით ვაჭრობის ფასები განაგებდნენ დაცემას და მოგება ნაკლები იყო წინა წელთან შედარებით. თუ შევხედავთ ექსპორტს (ის დართულია „ხ“ ცხრილში), ჩანს, რომ ნავთობის პროდუქცია ჯერაც ქმნის ამ პორტიდან გასაგზავნ პროდუქციის მოცულობას. თუმცა, ცხრილში მოცემული პროდუქციის ფასი, აღიარებული ვაჭრების მიერ და გატარებული საბაჟო სახლში აღემატება ნამდვილ საბაჟო ფასს; იგივე დაწესებული იყო გასული წლის ფასების ტარიფით; ეს კი საკმაოდ მაღალია 1885 წლისაზე.

სარკინიგზო ტრანსპორტის გაზრდილი მოხერხებულობის გამო, მარცვლეული უფრო ექსტენსიურად მოაქვთ ტფილისსა და ელიზავეტპოლს დაშორებული მხარეებიდან. ამ პორტიდან ექსპორტირებული სხვა და სხვა სახის მარცვლეულიდან ხორბალი შეადგენს მთელი რაოდენობის 75 პროცენტს. სიმინდი, რომელიც იზრდება ლურამის ხაზის აქეთა მხარეს და ზღვის ნაპირის გასწვრივ, უმთავრესად გააქვთ ფოთისკენ.

მანგანუმი მოაქვთ ყვირილას ახლომდებარე უმდიდრესი მადაროებიდან, და ამ ლითონს ალბათ განუსაზღვრელი ოდენობით მოაწვდიდნენ, რომ არსებობდეს შესაფერისი გზა მადაროებსა და რკინიგზის სადგურს შორის.

მატყოს, ასევე ნედლე აბრეშუმს და ბამბას იძენენ ქვეყნის შიგნით ტფილისიდან დაშორებულ მხარეებში და ძირითადად იგზავნება საფრანგეთში. ექსპორტის სხვა საგნებს შეადგენენ ხე-ტყე, ტყავეული, ხალიჩები და ა.შ.

თუ შევხედავთ თანდართულ “ზ” ცხრილს, რომელიც ეხება იმპორტს, შევნიშნავთ, რომ მონაცემები ეხება მხოლოდ რაოდენობას, ან ფასებს საქონლისა, რომლებიც ფაქტიურად გატარდა საბაჟო-სახლში და ძალზე დიდი ოდენობა რკინის ნაკეთობებისა, კალის ფირფიტები, სამშენებლო მასალა, გალანტერეა და საქონელი კოლონიებიდან, შემოტანილი უბაჟოდ უცხო ქვეყნებიდან გასაყიდად ან სახმარად, სრულებით არაა გაწერილი. რაც შეეხება სხვადასხვა ქვეყნებიდან იმპორტირებული საქონლის რაოდენობას და ფასებს, ინგლისს ჯერაც პირველი ადგილი უკავია ამ პორტში.

იმპორტის მთავარი საგნებია კაუსტიკური სოდა, რკინა, ცისტერნების რკინის ფირფიტები, კალის ფირფიტები, რკინის მილები, აგრეთვე ცეცხლ-გამძლე აგური, გვარჯილა და ცარიელი კასრები (ბარელები), რასაც განსაკუთრებული ინტენსივობით უკვეთავდნენ გასულ წელს; ეს კი გამოწვეული იყო ნავთობის მრეწველობის მზარდი მოთხოვნებით.

მეორე მხრივ, მაღალი დამცავი გადასახადის გამო შემცირდა ნახშირის, ცემენტის, კოლონიალური საქონლის, და გალანტერიის (შემოტანა). უცხოურ საქონელზე გადასახადებმა ჯამში შეადგინა 1885 წელს 48.253 ფუნტი, 1884 წელს – 23.479 ფუნტი.

ბათუმიდან რუსეთის პორტებში ექსპორტის რაოდენობამ მთლიანად შეადგინა 1885 წელს 43.480 ტონა, ხოლო იმპორტმა რუსული ბაზრებიდან ამ პორტში – 58.515 ტონა.

საგანგებო ინტერესს უნდა იწვევდეს იმპორტის ზრდა რუსეთიდან გარკვეულ საქონელზე რომლებიც ადრე იაფად შემოდიოდა ინგლისიდან. 1885 წელს რუსული ნახშირისა და ცემენტის იმპორტის რაოდენობამ აქეთ შესაბამისად შეადგინა 7.838 და 1.673 ტონა; 1884 წელს კი 1.912 და 1.250 ტონა. ნახშირი შემოდის სამხრეთ რუსეთის დონის ოლქიდან, ცემენტი კი ამ სანაპიროზე მდებარე ნოვოროსიისკის პორტიდან.

სანაოსნო ტვირთბრუნვამ 1885 წელს, როგორც დანართი ცხრილი „ა“-დან ჩანს, 25 პროცენტით გადააჭარბა გასული წლისას. ინგლისური დროშით 1885

წელს ამ პორტში შემოვიდა 68 გემი 73.701 საერთო ტონაჟით, ხოლო 1884 წელს – 44 ხომალდი 41.304 ტონაჟით.

მიუხედავად იმისა, რომ პირველი ორთქლის ტანკერები – „ფარგესონი“ ბრიტანული დროშით და „ევეტი“ რუსული დროშით – შემოვიდნენ პორტში ამ წლის დასაწყისში, მცირე დაკვირვება, რაც ეხება საზღვაო ტრანსპორტის მდგომარეობას ტვირთის თვალსაზრისით, არ იქნებოდა უადგილო. თუ დავუშვებთ უზარმაზარი ეკონომიისა და სარგებლის მიღებას სავაჭრო გემებით ნავთობის ერთბაშად გადაზიდვით, ვფიქრობ, სამართლიანი იქნება მითითება აგრეთვე დაბრკოლებებზე, რაც ახლავს ტრანსპორტირების მეთოდს, ტანკერების მფლობელთა ინტერესების გათვალისწინებით.

აშკარაა სარგებელი მთლიანად ნავთობის გადაზიდვით. ის ზოგავს კასრების (ბარელების), ან თუნუქის ბიდონების მომზადებისა თუ შესყიდვის ხარჯებს, რაც 1.800 ტონა ტვირთზე ჯდება დაახლოებით 3.000 ფუნტი; ის ზოგავს ჩატვირთვის ხარჯებს 60-70 ფუნტს; იზოგება დრო გამოყოფილი გემის ჩატვირთვისა თუ გადმოტვირთვისთვის, რომელსაც მიაქვს 1.800 ტონაზე მეტი ბარელებით, რასაც სჭირდება 14 დღეზე მეტი. მაშინ როცა ორთქლის ტანკერის ცატვირთვა-გადმოტვირთვა იოლად შეიძლება ორ დღეში. იზოგება ფრახტი (გადაზიდვის ფასი), რადგან იქ არ არის ფართი (სათავსი) ტარისთვის და არ არის დანაკარგი გადინებისგან. ყოველივე ეს სარგებელი მთლიანად ამართლებს ნაოსნობის მეთოდს კასპიაზე. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ბაქოში ტანკერი ხომალდების მეპატრონეები იმავე დროს არიან ნავთობის მწარმოებლები და ფლობენ დიდ საცავებს გასვლის პორტსა და ასევე დანიშნულების სხვადასხვა ადგილებში. ამიტომ ტვირთი ყოველთვის წინასწარ დაზღვეულია და გამორიცხულია კონკურენცია. აგრეთვე მანძილი ბაქოდან ვოლგის შესართავამდე მოკლეა და ტანკერი ხომალდები არ განიცდიან სერიოზულ დანაკარგს.

განსხვავებულია, როცა ტანკერი კურსირებს ბათუმსა და ევროპის სხვადასხვა პორტებს შორის. ნავთობის მარაგი, რომელიც მზადაა გასატანად გარკვეულწილად ლიმიტირებულია, ნავთობის სამარაგო ცისტერნების მეპატრონეები, რომც არ იყვნენ მატერიალურად დაინტერესებული რომელიმე კერძო ნავ-ცისტერნით, ყოველთვის ისარგებლებენ მსგავსი ხომალდების სხვადასხვა მფლობელთა შორის კონკურენციით. თუ საგანგებოდ შეკვეთილი გემ-ცისტერნა იძულებით დაეთანხმება ფრახტს (გადაზიდვის ფასს), ან დარჩება ტვირთის გარეშე, ანდა მარაგის უკმარისობის გამო იძულებული იქნება იმაზე ნაკლები ტვირთი წაიღოს, რაც დაფარავს მგზავრობის ხარჯებს. მანძილი ბა-

თუმიდან გაერთიანებული სამეფოს, ან სხვა ქვეყნების პორტებამდე მნიშვნელოვანია; უკან მგზავრობა ბალასტიტ მეტად სერიოზული მიზეზია მიუხედავად 12 დღიანი ეკონომიურად სარგებლიანი ჩატვირთვა-გადმოტვირთვისა.

ნავთობით ვაჭრობის რაიმე კრიზისის, ან დროებითი შეზღუდვის დროს, რაც გამოწვეული იქნება კომერციული თუ პოლიტიკური მიზეზით, გემციტერნები უნდა გაჩერდნენ უმოქმედოდ, სანამ ვაჭრობა არ დაუბრუნდება გარკვეულ ხაზს, ანდა არ გარდაიქმნება ძირითადი გადაზიდვის ვაჭრობის სასარგებლოდ, რასაც ყოველ ვითარებაში აქვს დიდი უპირატესობა: რომ არ შეიზღუდოს რომელიმე (კერძო) პორტში ტვირთის დასაცავად და ასევე არ გაიტანონ რომელიმე პროდუქტის სახეობა.

ზემოთ მოყვანილი შენიშვნებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ნავთობით ვაჭრობა ძალზე სარგებლიანი იქნება დიდი მოცულობით ტრანსპორტირების მეთოდით და ამით ყოველ შემთხვევაში არაფერი იკარგება. მაგრამ ტანკერების მეპატრონეებმა უნდა იცოდნენ, რომ უსაფრთხო ბიზნესის კეთება მანამ არ შეეძლება, თუ ერთდროულად არ გახდებიან გადაზიდვის პუნქტებში და სხვადასხვა დანიშნულების პორტებში ნავთობის რეზერვუარების მფლობელები; ან კიდევ წინასწარ არ დააზღვევენ მთელი ტვირთის უსაფრთხოებას რამდენიმე წლით საგანგებო შეთანხმებით უკვე არსებულ ფირმებთან, რომლებიც ფლობენ მსგავს რეზერვუარებს.

არავითარი მატერიალური ცვლილება არ მომხდარა ადგილობრივ სამრეწველო თუ აგროკულტურულ ვითარებაში მას შემდეგ, რაც მე შევადგინე 1884 წლის ჩემი კომერციული მოხსენება.

ამ პორტის ვაჭრობასა და ნავიგაციასთან დაკავშირებულ საწარმოთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი არის ბოლო დროს აგებული 22 რკინის ცისტერნა ნავთობის საცავად, რომლებშიც შეიძლება მოთავსდეს 35.000 ტონა გაწმენდილი ნავთობი. ამათგან გაყვანილია მილების ორი ხაზი სარეზერვო ცისტერნებიდან ნავთობის გადასაქაჩად პირსამდე, სადაც იტვირთებიან გემები ზვინულად. კიდევ გაჰყავთ მილები და აგებენ საცავებს.

რაც შეეხება კერძოდ ბრიტანულ კომერციას, მე კვლავ ვიმეორებ, რომ აქ ბრიტანელი ვაჭრების არყოფნა ჯერჯერობით ხელს უწყობს უცხოთა ყოველწლიურ დამკვიდრების ზრდას. უეჭველად ეს გახლავთ ერთერთი მთავარი მიზეზი, რომ სხვა ეროვნებები, განსაკუთრებით გერმანელები უფრო მომგებიანად აფართოვებენ თავიანთ ვაჭრობას ადგილობრივ, ვიდრე ჩვენ.

სანამ დავასრულებ ამ მოხსენებას, ვეცდები მივუთითო ვაჭრობის იმ სახეობებზე, რომლებსაც ჯერაც არ დაუფლებიან, რომ დარჩენოდათ სივრცე კონკურენციისთვის.

ბიზნესი, რომელიც აქ ყველაზე მეტ ინტერესს იმსახურებს, რა თქმა უნდა, არის ნავთობით ვაჭრობა. ხალხი, რომელიც ფლობს კაპიტალს, უნდა დაიცვას ტერიტორია გარკვეულ მანძილზე ნავსადგურიდან საცავი ცისტერნების დამონტაჟების, მილების გაყვანისგან და ა.შ., რათა შეძლოს ერთობლივი საქმიანობა ერთი მხრივ ბაჟოელ პროდიუსერებთან, მეორეს მხრივ ტანკერების მესპატრონეებთან. ამ მიზნით საკმაოდ ხარჯები უნდა იქნას გაღებული უკვე დაფუძნებული ფირმების კონკურენციის საპირისპიროდ.

არის ბიზნესის სხვა სახეობებიც, რომლებიც მოითხოვენ ნაკლებ კაპიტალს და შეიძლება მათი შემოთავაზება: სავაჭრო საცავების გახსნა, რომლის მიმართაც არის გარკვეული მოთხოვნები; როგორც მაგალითად ცისტერნების რკინის ფირფიტები, მილები, თუნუქის ფირფიტები, კაუსტიკური სოდა, სამანქანო მოწყობილობები, გალანტერეა, კოლონიალური საქონელი და სხვა. რადგან ეს არის თავისუფალი პორტი, არაა სავალდებულო გადაიხადო ადგილზე გასაყიდად იმპორტირებულ უცხო საქონელში.

როგორც განსხვავებული წარმოება (ინდუსტრია), რადგან ხომალდები შემოდიან პორტში, არაა იშვიათი საჭიროება სამანქანო დეტალების შეკეთებისა; ამიტომ მექანიკური სახელოსნოების გახსნა შეიძლება იყოს რეკომენდებული, როგორც საინვესტიციო დაპირება.

გახსნა ყინულის დამამზადებელი მანქანისა, რომელსაც შეეძლება დღეში 2-3 ტონა ყინული დაამზადოს, ვფიქრობ, არ უნდა იყოს ცუდი ბიზნესი. ამ პორტის მოსახლეობას, რომლის რიცხვი ამჟამად 15.000-ს აღემატება, თუ არ ჩავთვლით აგრეთვე უამრავ მოგზაურს, გემების ეკიპაჟს, ჯარისკაცებს და სხვ., ძალზე დიდი მოთხოვნა აქვთ ყინულზე, განსაკუთრებით ზაფხულში.

ამჟამად ყინულით მომარაგება ხდება ძალზე არასაკმაო რაოდენობით, ნაწილობრივ ამ მხარის მთებიდან, ნაწილობრივ ქერჩიდან, ტონა 5 ფუნტად, ხოლო საცალო ფასი ორმაგდება.

ბათუმი გახდა ამიერკავკასიის ყველაზე მნიშვნელოვანი საზღვაო პუნქტი და მთავარი სადგური ევროპიდან სპარსეთისკენ გზაზე. ძალიან გაიზარდა მოგზაურთა მოძრაობა მისი გავლით; ამდენად დიდია მოთხოვნა სასტუმროებზე. მეტი წილი სასტუმროებისა უკვე გახსნილია და ეკუთვნით ფრანგებს, გერმანელებს და ებრაელებს, რომლებიც ეწევიან საოცრად კარგ ბიზნესს; მე არ მესმის, რომ ინგლისელთა გარკვეულ ჯგუფს, რომელიც პრაქტიკულად

გაცნობილია სასტუმროთა ფლობის პირობებს, არ შეუძლია ასევე წარმატებით ჩაერთონ ვაჭრობის ამ სახეობაში. ყველაფრით კომფორტული სასტუმრო, რომელსაც ექნებოდა სააბაზანო და სამკითხველო დარბაზები და ა.შ., და განლაგდებოდა ქალაქის ჯანმრთელ ნაწილში ზღვის ახლოს, დარწმუნებული ვარ, ბევრად ამოიღებდა იმ მცირე ათასობით ფუნტს, გაწეულს ამ წამოწყებაზე.

პრაქტიკოსი არქიტექტორი, რომელიც გამსჭვალულია სათანადო განწყობით, ააგოს საკუთარი ანგარიშით საზოგადოებრივი თუ კერძო სახლები, ან გააფორმოს კონტრაქტი მიწის ნაკვეთის შესახებ, რომელზეც შენობა უნდა აღიმართოს, იშოვნის საკმაო და ხელსაყრელ სამუშაოს ამ პორტში. სიმცირე შესაფერი შენობებისა კერძო მოხმარებისთვის, საკმაოდ განსაკუთრებულია. გარდა ცოტა სამთავრობო შენობებისა, რომლებიც უკავიათ სხვადასხვა ადგილობრივ გავლენიან პირებს, თითქმის არსადაა შესაფერისი სხვა, რომ არ იყოს დეფექტური გეგმისა თუ კონსტრუქციის მიხედვით, რადგან ნაშენია დიდი სისწრაფით მომენტალური მოხმარებისთვის და უყურადღებოდ სანიტარული კონდიციებისადმი. კვლავ საშუალო რენტა აუტანელია. სახლების შენება, რომლებიც მოიცავენ 5 ან 6 პატარა ოთახს, ჯდება 500-700 ფუნტი, წლიური რენტა კი შეადგენს 70-100 ფუნტს.

უპირატესი უკმარობა ნაღდი ფულისა ამ მხარეში იწვევს პროცენტის მაღალ ნორმას ყოველი სესხის (კრედიტის) მიმართ. 12-დან 18 პროცენტამდე ითვლება იშვიათად ზომიერად. როგორც წესი, ის აჭარბებს 24 პროცენტს. არ არსებობს ვაჭრობა, რომელიც დაეთანხმება როგორც მაღალ სარგებელს, ისე რასაც ფული აქ აკეთებს. საბანკო ბიზნესი ჯერაც მცირეოდენი მთავარი ვაჭრების ხელშია, ხოლო მეტი მოცულობით უსინდისო მევახშეებისა. ამიტომ მე თითქმის ვეჭვობ, რომ რეგულარული საბანკო დაწესებულება, რომელსაც აქვს კარგი კავშირები ევროპის სხვადასხვა ფულად ბაზრებთან, შეძლოს დაიცვას სარგებლიანი ბიზნესი ამ პორტში.

ცხრილი "ა": მთელი სანაოსნო ბრუნვა ბათუმის პორტში 1885 წელს.

შემოვიდა

ქვეყანა	იალქნიანი		ორთქლის		სულ	
	ხომალდების რაოდენობა	ტონაჟი	ხომალდების რაოდენობა	ტონაჟი	ხომალდების რაოდენობა	ტონაჟი
ბრიტანული	-----	-----	68	73.701	68	73.701
რუსული	22	2.314	585	234.256	607	236.570
ფრანგული	-----	-----	87	109.590	87	109.590
ავსტრიული	47	12.336	52	52.862	99	65.198
იტალიური	36	18.228	1	1.030	37	19.258
გერმანული	-----	-----	11	11.472	11	11.472
სხვა ქვეყნების	130	14.610	12	9.810	142	24.420
სულ -----	235	47.488	816	492.721	1051	540.209
"..." 1884წელს	-----	-----	-----	-----	898	441.520

ცხრილი "ბ": ძირითადი საექსპორტო საქონლის ბრუნვა ბათუმიდან 1885 წელს

საქონელი	1885		1884	
	რაოდენობა	ფასი (სტერლ)	რაოდენობა	ფასი (სტერლ)
ნავთობის პროდუქტები	105.000	515.000	83.000	446.000
მანგანუმი	20.000	52.000	10.000	27.000
ხორბლეული	10.800	56.000	5.000	25.000
მატყლი (ბეწვეული)	1.300	50.000	5.500	190.000
სხვა საქონელი	7.000	283.000	4.900	217.000
სულ -----	144.000	956.000	108.400	905.000

ძირითადი საიმპორტო საქონლის ბრუნვა 1885 წელს

საქონელი	1885		1884	
	რაოდენობა	ფასი (სტერლ)	რაოდენობა	ფასი (სტერლ)
კაუსტიკური სოდა	2.250	-----	3.420	-----
ტყვიის ფირფიტები	2.840	-----	2.000	-----
რკინა, ცისტერნის ფირფიტები	2.554	-----	2.095	-----
რკინის მილები	2.150	-----	585	-----
სხვა საქონელი	3.477	-----	1.191	-----
სულ -----	13.171	224.500	9.291	129.900

ცხრილი "ც" – მთელი საქონელბრუნვის შეფასება, როგორც ექსპორტის, ისე იმპორტის, ბათუმსა და უცხო ქვეყნებს შორის 1884-1885 წლებში.

ქვეყანა	ექსპორტი		იმპორტი	
	1885 სტერლ.	1884 სტერლ.	1885 სტერლ.	1884 სტერლ.
ინგლისი	132.490	87.000	116.000	91.000
თურქეთი	299.900	210.000	4.600	10.000
საფრანგეთი	128.500	388.000	9.500	12.000
ავსტრია	82.960	63.000	12.000	15.000
გერმანია	18.900	15.000	50.000	1.300
სხვა ქვეყნები	293.250	142.000	32.400	644
სულ ----	956.000	905.000	224.500	129.944

Gia Gelashvili (Tbilisi, Georgia)

One English Document about Batumi (1886)

Summary

In our paper we offer a Georgian translation of an information given by Vice-Consul Peacock in his Report (1886) sent to British Government on the Trade and Commerce of Batumi for the year 1885.

In this report one can find valuable information about Foreign Trade and Navigation, iron storage tanks and pipe lines, mechanical workshops, ice-making machines, hotels, house building, banking in Batumi.

ბათუმის საკითხი საქართველოს ეროვნულ საბჭოში

ეროვნულ საბჭოში აქტიურად განიხილებოდა ბათუმთან დაკავშირებული საკითხები. 1917 წლის 22 ნოემბერს არჩეულმა ეროვნულმა საბჭომ სხვადასხვა საქმის გასაძღოლად აირჩია სექციები, არჩეულ იქნა “სამაჰმადიანო საქართველოს გამგებლობის“ სექცია. 1917 წლის 13 დეკემბრის “ეროვნული საბჭოს სამაჰმადიანო საქართველოს საქმეთა სექციის სხდომის დღიურში” ვკითხულობთ: კრებაზე დაისვა საკითხი “სამაჰმადიანო საქართველოში მოქმედებისა და მისი პოლიტიკური სახის გამორკვევის შესახებ”. მემედ აბაშიძის აზრით, “სამაჰმადიანო საქართველო უნდა მოეწყოს კანტონალურ წესით. ქართველი მამადიანები უნდა დარწმუნდნენ, რომ არავითარი საფრთხე არ მოელოთ ქრისტიან ქართველებისაგან და რომ თავიანთი სახე შერჩებათ შემდეგ მაინც. საჭიროა ეროვნულმა საბჭომ ახლავე გადადგას იმისთანა ნაბიჯები, რომელნიც გააძლიერებდნენ ეროვნულ შეგნებას ყველა ქართველ მამადიანებში” *[სეცსსა, გ. 1836, აღ. 1, საქმე 4, ფურც.5]*. აქვე აღინიშნა, რომ ბათუმის მხარე არის გული “ქართველი მამადიანებისა” და გადაწყდა: “ქართველი მამადიანების კომიტეტი” ბათუმში თავის მხრივ გამოუშვებს სათანადო მოწოდებას. მოწოდების შედგენა დაევალა: მემედ ბეგ აბაშიძეს, ივანე გომართელს, პავლე საყვარელიძეს და გრიგოლ ვეშაპელს *[სეცსსა, გ.1836, აღ. 1, ს. 4, ფურც. 5]*.

1917 წლის 15 დეკემბერს “სამაჰმადიანო საქართველოს სექციის” სხდომაზე გადაწყდა: “ქართული საქველმოქმედო საზოგადოების ბათუმის განყოფილება ამიერიდან მთლად შედის ქართველ მამადიანთა საქველმოქმედო საზოგადოებაში. ამ უკანასკნელს ეძლევა უფრო ფართე დანიშნულება და სახელი - სამაჰმადიანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოება. ის თანხები, რომელიც ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას გამოთხოვილი აქვს ბათუმის ოლქისათვის პირდაპირ გადაეცემა ხოლმე “სამაჰმადიანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოებას” *[სეცსსა, გ.1836, აღ. 1, ს. 4, ფურც. 15]*.

ეროვნული საბჭოს მე-3 კრებაზე, რომელიც გაიმართა 1917 წლის 17 დეკემბერს განიხილებოდა „სამაჰმადიანო საქართველოსთან“ დამოკიდებულების საკითხი. კრებაზე ამ საკითხთან დაკავშირებით მოისმინეს „სამაჰმა-

დიანო საქართველოს საქმეთა გამგე სექციის” მოხსენება. მომხსენებელმა საყვარელიძემ, კრებას წარუდგინა სექციის მუშაობის პროგრამა, რომელზეც აღნიშნა: „სექციამ საჭიროდ დაინახა სამაჰმადიანო საქართველოში მუშაობა აწარმოვოს ასე: პირველი, პოლიტიკური მხარე - სამაჰმადიანო საქართველოს მიენიჭოს საკუთარი თვითმმართველობა შინაურს საქმეებში ... მხოლოდ, იგი იქნება განუყოფელი ნაწილი მთლიან რესპუბლიკანურ საქართველოში; მეორე მხარე - კულტურული: დაარსება შკოლებისა. სამასწ. სემინარია და სხვა. სკოლის საკითხია ამასთანავე ენის საკითხიც, ამიტომ სექციამ მიიღო შემდეგი წესი: მხარე განაწილდეს რაიონებად: იქ, სადაც ოჯახში დედა ენა ქართულია - სწავლება იქნება ქართულს ენაზედ, მხოლოდ თათრული ენის სწავლა იქნება სავალდებულო; იქ, სადაც ოჯახში დედა ენა თათრულია, სწავლა იქნება თათრულ ენაზე, მხოლოდ ქართული ენის სწავლა იქნება სავალდებულო. სამაჰმადიანო საქართველოს მცხოვრებთ თვითმმართველობის მინიჭება ეცნობებათ მოწოდებით, რომელიც დაბეჭდილი იქნება ქართულად და თათრულად” *[სეცსა, გ. 1836, აღ.1, ს. 9, ფურც. 23]*.

როგორც ვხედავთ, ეროვნულ საბჭოში დიდი სიფრთხილითა და გულისხმიერებით ეკიდებოდნენ „სამაჰმადიანო საქართველოსთან“ დაკავშირებულ საკითხებს. ჩვენი აზრის განსამტკიცებლად დავასახელებთ კიდევ ერთ მაგალითს - ეროვნულ საბჭოში ოსმალეთთან ზავის დადების საკითხის განხილვისას, კრების თავმჯდომარემ, ნოე ჟორდანიამ აღნიშნა: „საჭიროა მოლაპარაკება აქარლებთან, ქობულეთელებთან. კაცები გავაგზავნოთ, ავუხსნათ, რომ ბათუმს ვიცავთ არა იმიტომ, რომ სხვას ვისმე გადავსცეთ, არამედ იმიტომ, რომ მათთვისვე გვინდა, თვითონ ისინი იყვნენ ბატონ-პატრონი. ამისთანა მოწოდებით უნდა მივმართოთ” *[სეცსა, გ.1836, აღ.1, ს. 5, ფურც. 56]*.

1918 წლის 19 თებერვალს ეროვნული საბჭოს მე-9 კრებაზე „განსახილველი საგანი“ ოსმალეთთან ზავის დადების საკითხს შეეხებოდა. ეროვნული საბჭოს წინაშე მოხსენებით წარსდგა აკაკი ჩხენკელი, რომელმაც აღნიშნა: „როგორც მოგეხსენებათ ამიერკავკასიის კომისარიატმა შეუთვალა ოსმალეთის ჯარის უფროსს მის შეკითხვაზე, რომ იგი, კომისარიატი თანახმაა ზავის შესახებ...¹⁷ თებერვალს მოხდა არჩევანი დელეგატებისა, რომელნიც იმავე დამეს უნდა გამგზავრებულიყვნენ. მაგრამ იმავე დღეს, საღამოს 8 სთ-ზედ, ბათუმიდან შეგვატყობინეს, რომ მიღებულია რადიო-ტელეგრამა, რომლიდანაც ირკვევა, რომ გერმანიისა და ბოლშევიკების მიერ შეკრულ ზავში მოხსენებულია ამიერკავკასიაც, კარასანი იტყობინებოდა, რომ ზავის საკითხი გადაწყვეტეთ, რადგანაც გერმანია არ ჩერდება წინ იწვესო. 21 თებერვლის

(ახ. სტილ.). ულტიმატუმით გერმანიამ, სხვათა შორის თურმე მოითხოვა – ჩამოეჭრას ამიერკავკასიას სამი ოლქი – ბათუმის, ყარსისა და არდაგანის და გადაეცეს ოსმალეთსო და ეს მოთხოვნა დამყარებულია ამ ოლქების მოზინადრე ერთა თვითგამორკვევის უფლებაზე. მამასადამე იმავე დროს, როცა ჩვენ აქ გვქონდა მოლაპარაკება ზავის შესახებ, - იქაც, ბრესტ-ლიტოვსკში, უმსჯელიათ და კიდევ გადაუწყვეტიათ. - ამ ცნობის მიღების გამო თავისთავად დაიბადა საკითხი - დელეგაციის წასვლა-წაუსვლელობის შესახებ. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ წასვლა შეუძლებელია... ამიერკავკასიის კომისარიატს, რაღა თქმა უნდა, გუშინ წინ ღამვე მსჯელობა ჰქონდა ამ მოულოდნელ ამბის გამო. გადაწყდა, გაეგზავნოს დეპეშა, როგორც ბრესტ-ლიტოვსკის სამშვიდობო კონფერენციას, აგრეთვე პეტროგრადისა და სხვა სახელმწიფოთა მთავრობებს იმის შესახებ, რომ – თუ ბრესტ-ლიტოვსკში შეკრულ ზავის პირობები ამიერკავკასიის შესახებ მართალია, - იგი პირობები სავალდებულო და მისაღები არ არის ამიერკავკასიისათვის, როგორც მის დაუკითხავად და დაუდასტურებლად მიღებული. ამასთანავე დავადგინეთ შევკითხოდით ოსმალეთის ჯარების სარდალს – დელეგაციის გაგზავნის შესახებ. დელეგაცია მზად არის გასამგზავრებლად...სეიმის სამშვიდობო კომისიის მიერ შემუშავებულ საზავო პირობებით განსაზღვრულია, რომ ორივე მხარემ უნდა შეინარჩუნოს ის სახელმწიფო საზღვრები, რომელიც 1914 წლამდე არსებობდა... *[სეცსა, გ. 1836, აღ.1, ს. 5, ფურც. 48-49; ჰანტურია, 2006:51-52].*

ამავე სხდომაზე ნოე ჟორდანიამ, ბათუმის, ყარსისა და არდაგანის ოლქებთან დაკავშირებით, პრინციპული დამოკიდებულება გამოხატა: “უნდა გადაწყდეს დავუთმობთ თუ არ დავუთმობთ ოსმალეთს ბოლშევიკურ ზავის პირობებით განსაზღვრულ ნაწილებს. თუ არ დავუთმობთ, - ბათუმი უნდა გავამაგროთ და დავიცვათ. სომხები ყარსის და არდაგანის ხაზის გამაგრებას კისრულობენ, - ამრიგად, ნებაყოფლობით ჩვენ ბათუმს არ მიცემთ და თუ ოსმალეთი არ მოისურვებს დათმობას, - ძალით წაიღოს” *[სეცსა, გ. 1836, აღ.1, ს. 5, ფურც. 1-22]*. ეროვნული საბჭოს წევრთა უმრავლესობამ, შვიდის წინააღმდეგ კამათი დასრულებულად გამოაცხადა და მიიღო რეზოლუცია: “საქართველოს ეროვნული საბჭო საჭიროთ სთვლის მილიტარულ და ფინანსიურ ძალების მოზილიზაციას ბათუმის ოლქის დასაცავად, რომელიც ბოლშევიკურმა ზავმა უკანონოდ საქართველოს ტერიტორიას ჩამოჰგლიჯა. როგორც ბათუმის ისე ყარსის დასაცავად ეროვნული საბჭო საჭიროდ სთვლის პირდაპირი კონტაქტის დაჭერას ამიერკავკასიის სხვა ერთა საბჭოებთან და

ამიერკავკასიის სეიმის დამოუკიდებლობის გამოცხადებას” *[სეცსა, გ. 1836, აღ.1, ს. 5, ფურც. 1-22]*.

შექმნილმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ ქართველ პოლიტიკოსებს მიაღებინათ შემდეგი გადაწყვეტილება „ჯარის გაძლიერება აუცილებელი ხდება... თუ ჩვენი ხალხი ტრაპეზუნდის და ლაზეთის დაცვისათვის არ გაემართება... მტერი ბათუმისკენ გამოილაშქრებს...“ *[სეცსა, გ. 1836, აღ.1, ს. 3, ფურც. 3]* და ბათუმს შეექმნება საფრთხე.

მოვლენების შემდგომმა განვითარებამ ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს მიაღებინა გადაწყვეტილება, რომ გამოცხადებული მობილიზაცია დაუყოვნებლივ განხორციელებულიყო. ამის შესახებ ჩვენ მიერ მოკვლეულ საარქივო მასალაში, ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომის ოქმში ვკითხულობთ. 1918 წლის 27 თებერვალს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე ალექსანდრე დგებუაძემ განიხილა საკითხი ბათუმის მდგომარეობის შესახებ. გამოირკვა, რომ ოსმალეთისაგან ბათუმს მოელოდა საშიშროება, ამიტომ საჭირო იყო ბათუმში ჯარის გაგზავნა. ამავე სხდომაზე იმსჯელეს დასავლეთ საქართველოში აგიტაცია გაწეულიყო სამშობლოს თავისუფლებისა და რევოლუციის დასაცავად, შეედგინათ მოხალისეთა რაზმები, განეხორციელებინათ უკვე გამოცხადებული მობილიზაცია 19-დან 25 წლამდე. ასევე გადაწყდა: გამოცხადებული მობილიზაცია უნდა განხორციელებულიყო დაუყოვნებლივ. შემდგარიყო მოხალისეთა რაზმები, რომლებიც გაიგზავნებოდნენ ქალაქ ბათუმში. ამ გადაწყვეტილების განსახორციელებლად უნდა გაგზავნილიყო ყველა პარტიიდან წარმომადგენლები ეროვნული საბჭოს სახელით: ა. ჭუმბაძე, მ. საყვარელიძე, რ. ჩიხლაძე, ალ. ლომთათიძე, კ. ჭუმბურიძე, ბ. სალაყაია, კ. ქავთარაძე, ნ. რამიშვილი, მიხ. ციცქიშვილი, ლ. შენგელია, დ. სულიაშვილი *[სეცსა, გ.1836, აღ 1, ს. 2, ფურც. 47]*.

1918 წლი 26 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ საქართველოს სრული დამოუკიდებლობა გამოაცხადა. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მიმდინარე მოვლენებს ნონა ჭანტურია ასე აფასებს: დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოს ეროვნული საბჭოსა და მთავრობის უპირველესი საზრუნავი ზავისა და მშვიდობის უზრუნველყოფა იყო. მართალია, 26 მაისს გამოცხადდა დამოუკიდებლობა, მაგრამ იარაღმოღერებული ოსმალეთი გაშიშვლებული ხმლით თავს დაადგა ახალშობილ რესპუბლიკას და 27 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო იგივე ულტიმატუმი, რაც ამიერკავკასიის მთავრობას 26 მაისს წარედგინა *[ჭანტურია, 2006: 93-94]*.

თურქეთთან საზავო მოლაპარაკების გაგრძელება ნოე რამიშვილმა ითავა. ბათუმში საზავო მოლაპარაკება 4 ივნისს დასრულდა. ზავისა და მეგობრობის ხელშეკრულება თურქეთს ბათუმის გარდა აკუთვნებდა მთელ მესხეთს, აწყურისა და აბასთუმნის გამოკლებით. აგრეთვე ომის დამთავრებამდე ოსმალეთს შეეძლო ჯარის გასაყვანად ჩვენი რკინიგზებით ესარგებლა და ბოლოს, ოსმალეთი აღიარებდა საქართველოს სუვერენიტეტს და პირობას იძლეოდა არ ჩარეოდა საქართველოს საშინაო საქმეებში *[ჭანტურია, 2006: 95]*.

საინტერესოა თუ როგორ აშუქებდა ოსმალეთის პრესა, ამ პერიოდში მიმდინარე მოვლენებს ამიერკავკასიასთან დაკავშირებით. ოსმალეთის გაზეთ “ვაკიტ”-ში მოთავსებულია ამ გაზეთის რედაქტორის მეხმედ ემინ ბეის წერილი სათაურით “კავკასიის მდგომარეობის შესახებ”. წერილის ავტორი აღნიშნავს შემდეგს: “ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებამ მოგვანიჭა ყარსი, არტაანი და ბათუმი. კავკასიაში გაერთიანებულ სახელმწიფომ არ იცნო ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება, რადგანაც მაშინ რუსეთს არ ედვა ძალი თავისი უფლების განსახორციელებლად. ჩვენ მოგვიხდა ძალით აგვეღო ის ადგილები, რომელიც მოგვეცა ხელშეკრულების ძალით. როდესაც ჩვენ ეს შევასრულეთ კავკასიის შეერთებულმა სახელმწიფომ განაცხადა ზავის ჩამოგდების სურვილი და ტრაპიზონს თავისი ელჩები წარმოგზავნა...განვაგრძეთ რა საომარი მოქმედებანი, ავიღეთ ბათუმი. მაშინ დაეცა კავკასიის სახელმწიფო და ბათუმში ჩავიდნენ ახალ მთავრობის დესპანნი.

საქმის ასეთ გარემოებით კავკასიის მთავრობა მერყევ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ. რანაირად შეგვეძლო მათთან საქმის დაჭერა. მათი სახელმწიფოებრივი არსებობა ან ოფიციალურად მიგვეღო, ან ძალით. ამის შესახებ დიდი მოლაპარაკება გაიმართა გერმანეთ-ოსმალეთის შორის. ჩვენი მთავრობის აზრით საჭირო არ იყო მათი არსებობის ოფიციალურად აღიარება და საკმაოა ხელშეკრულებით, ამ პრაქტიკულ გზით მათი ყოფნის აღიარება. გერმანეთმა ამის შესახებ გადაჭრილი არაფერი არ გვაცნობა, მხოლოდ აზრი და სიტყვები გააჭიანურა. უკანასკნელ ხანებში გვესმის, რომ გერმანეთმა გამართა მოლაპარაკება რუსეთთან, რასაც შედეგად მოჰყვება მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება...” *[საქართველო, 1918, №183]*.

1918 წ. 11 ნოემბერს პირველ მსოფლიო ომში დამარცხებულმა გერმანიამ კაპიტულაცია გამოაცხადა. გერმანიის სამხედრო ძალებმა საქართველო დატოვეს. მათ ნაცვლად კი ინგლისელები მოვიდნენ *[ჭანტურია, 2006: 98]*.

საქართველომ მიიღო ზომები, დაიკავა მესხეთი მთლიანად, სადაც კი ინგლისური ოკუპაცია არ არსებობდა და ბათუმში 1919 წლის 31 აგვისტოს

შემდგარ მაჰმადიანთა ყრილობის დადგენილების თანახმად, 1919 წლის 25 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა გამოაცხადა და მიანიჭა „სამუსულმანო საქართველოს“ ავტონომია. თავისთავად, – აღნიშნავს გურამ შარაძე, ავტონომიის გამოცხადებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ამით ერთგვარად საფუძველი ეცლებოდა იმ დემაგოგიურ ქადაგებას, რომელიც მიმართული იყო ქრისტიანული საქართველოს წინააღმდეგ *[შარაძე, 2005: 342]*.

აქვე გვინდა შევხვთ ეროვნული საბჭოს მოღვაწეობას „სამაჰმადიანო საქართველოსთან“ და კერძოდ, ბათუმთან დაკავშირებით კიდევ რამდენიმე საკითხს: ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე ეროვნული საბჭო ცდილობდა მაჰმადიანი ქართველი მასწავლებლებისათვის 4 თვიანი კურსების მოწყობას. შედგა კურსზე სასწავლო საგნების შემდეგი სია: ა) ქართული ენა და ლიტერატურა, ბ) საქართველოს ისტორია-გეოგრაფია, გ) არიტმეტიკა და პრაქტიკული გეომეტრია, დ) საგნობრივი გაკვეთილები (საუბარი), ე) ბუნების მეტყველება, ვ) სახელმწიფო უფლება, ზ) პრაქტიკული ვარჯიშობა სანიმუშო, თ) პედაგოგიკა და მეთოდოლოგია. ეროვნულმა საბჭომ ამ მიზნის განხორციელებისათვის ეროვნული საბჭოს სამაჰმადიანო სექციას 22800 მანეთიც კი გამოუყო *[სეცსა, ფ. 1836, აღ.1, ს. 7, ფურც. 15]*. საარქივო მასალიდან დასტურდება, რომ ეროვნულ საბჭოს მიერ დაარსებულ სასწავლებელში მუსლიმი პედაგოგები არ გამოცხადებულან, რაც სხვადასხვა მიზეზით იყო განპირობებული *[სეცსა, ფ. 1836, აღ.1, ს. 7, ფურც. 16]*.

უნდა აღინიშნოს, რომ 1919 წლის 6 მარტიდან ქ. ბათუმში გაიხსნა ქართული გიმნაზია, რომლისთვისაც გადაიღო 100.000 მანეთი *[საქართველოს რესპუბლიკა, 1919, №114]*.

ეროვნული საბჭოს სტენოგრაფიული ანგარიშებიდან ირკვევა, რომ სასკოლო პროგრამიდან ამოღებული იქნა საღვთო სჯულის სწავლება. 1918 წ. 19 ნოემბერს საქართველოს პარლამენტში განათლების კომისიამ განსახილველ საკითხად წარადგინა კანონ-პროექტი „საღვთო სჯულის სწავლების გაუქმების“ შესახებ. კანონპროექტით ყველა ტიპის სკოლებიდან იდევნებოდა საღვთო სჯულის სწავლება. მე-5 და მე-6 მუხლი უშვებდა „კომპრომისის მუსულმანებისათვის“, რომელიც ითვალისწინებდა – „შარიათის“ სწავლებას „მუსულმანთა სკოლებში“. კანონპროექტის მომხსენებელი ლეო ნათაძე ამ კომპრომისის პოლიტიკური თვალსაზრისით ხსნიდა: „აქარა და ქართველი მუსულმანებით დასახლებული რაიონები, ადრე თუ გვიან უნდა შემოუერთდნენ ჩვენ ქვეყანას. ძალიან გვეშინიან, რომ მთელი ის აგიტაცია, რომელიც ქართველ

მუსულმანებს აშორებს ქართველ ქრისტიანებთან, რომელიც ერთნაირ უფროსკრულს აჩენს მათ შორის, ეს აგიტაცია დამყარებულია იმაზე, რომ ქართველებს უნდათ ქართველ მუსულმანებს წაართვან და მოსპონ სარწმუნოება, ექნებოდათ რაიმე საბუთი აგიტატორებს ეთქვათ, რომ წინეთ ასწავლიდნენ სამღვთო სჯულს და ახლა კი არ ასწავლიან. მუსულმანთა სარწმუნოებას მოელის საფრთხე თუ შეუერთდებით საქართველოს“ *[საქ. პარლამენტი, სხდომა 62-ე, 1918: 18]*.

ამ კანონპროექტმა პარლამენტში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. „სამღვთო სჯულის“, როგორც სავალდებულო სასწავლო საგნის სკოლის პროგრამიდან ამოღება ჩვენი აზრით, შეიძლება ასე შეფასდეს: 1) არ იყო მართებული ამ კანონის დაჩქარებული წესით მიღება, რადგან მის ნაცვლად სხვა შესაბამისი საგნის სწავლება გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო. 2) კანონი სხვადასხვა აღმსარებლობის მოსწავლეებს არათანაბარ პირობებში ამყოფებდა. თუმცა გასათვალისწინებელია იმ დროინდელი რეალური პოლიტიკური მდგომარეობა – გამომდინარე იქიდან, როგორ ეწეოდნენ აგიტაციას უცხო ძალები ქართველ მუსლიმ მოსახლეობაში, თუ ისინი საქართველოს ერთიან სივრცეში დაბრუნდებოდნენ და „სამუსლიმანო საქართველო“ ერთიან საქართველოს სახელმწიფოს შეუერთდებოდა, მაშინ ისინი დაკარგავდნენ თავიანთ სარწმუნოებას. აქედან გამომდინარე ის კომპრომისი, რომელიც მოცემული კანონით მუსლიმი ქართველი მოსწავლეებისთვის არის გათვალისწინებული – „შარიათის“ სწავლების სახით სრულიად მისაღებად მიგვაჩნია. ამ კანონის მიღებით კიდევ ერთხელ ცხადი გახდა, თუ როგორ ზრუნავდა „მუსულმან ქართველებზე“ ჩვენი ხელისუფლება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეროვნულმა საბჭომ ამ მხრივ არაერთხელ გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი. ის შემთხვევა, რომ ბათუმში ეროვნულ საბჭოს მიერ 4-თვიან კურსზე გახსნილ სასწავლებელში მუსლიმი პედაგოგები არ გამოცხადნენ, სწორედ უცხო ძალის აგიტაცია-პროპაგანდის შედეგი უნდა ყოფილიყო. მათ საპირისპიროდ კი ეროვნულ საბჭოში ყველაფერი უნდა გაკეთებულიყო იმისათვის, რომ „სამაჰმადიანო საქართველო“ ერთიან ქართულ სივრცეში დაბრუნებულიყო. ყველასათვის ცხადია, რომ ეროვნული საბჭოს წევრი მემედ აბაშიძე, რომელიც ამავე დროს ეროვნული საბჭოს „სამაჰმადიანო საქართველოს გამგებლობის“ კომისიის წევრიც იყო ხელმძღვანელობდა რა საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი პრინციპებით, დაუდალავად იღვწოდა „სამაჰმადიანო საქართველოს დედა სამშობლოსთან“ დასაბრუნებლად და უნერგავდა მათ, რომ: „აქარლები თუმცა სარწმუნოებით მაჰმა-

დიანია, მაგრამ ეროვნებით ქართველები არიან, საქართველოს ღვიძლი შვილები“ *[გუგუნავა, 1997: 148]*.

ამრიგად, ეროვნული საბჭო კანონშემოქმედებით მუშაობასთან ერთად მრავალი მიმართულებით წარმართავდა მოღვაწეობას. ბათუმის საკითხის განხილვას ეროვნული საბჭოს კრებებზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. როცა ოსმალებისაგან ბათუმს შეექმნა საფრთხე, ეროვნულმა საბჭომ სასწრაფო ზომები მიიღო მის დასაცავად. ეროვნული საბჭო ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ საქართველოს ერთიან სივრცეში „სამუსლიმანო საქართველოს“ (ბათუმის ოლქს) ავტონომია მინიჭებოდა. ეროვნული საბჭო „სამუსლიმანო საქართველოსთვის“ და კერძოდ, ბათუმის ოლქისთვის საგანმანათლებლო ღონისძიებებსაც ატარებდა.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

- გუგუნავა, 1997:** – გუგუნავა ნ., მემედ აბაშიძე – განმანათლებელი, ბათუმი, 1997.
- საქართველო, 1918:** – გაზ. „საქართველო“, თბილისი, 1918, №183.
- საქართველოს რესპუბლიკა, 1919:** – გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, თბილისი, 1919, №114.
- საქ. პარლამენტი, სხდომა 62-ე, 1918:** – საქართველოს პარლამენტი, სტენოგრაფიული ანგარიში, 62-ე სხდომა, ტფილისი, 1918,
- სეცსა, ფ. 1836, აღ.1, ს. 2** – საქართველოს ეროვნული ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე №2.
- სეცსა, ფ. 1836, აღ.1, ს. 3** – საქართველოს ეროვნული ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 3.
- სეცსა, ფ. 1836, აღ.1, ს. 4** – საქართველოს ეროვნული ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 4.
- სეცსა, ფ. 1836, აღ.1, ს. 5** – საქართველოს ეროვნული ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე №5.
- სეცსა, ფ. 1836, აღ.1, ს. 7** – საქართველოს ეროვნული ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 7.
- სეცსა, ფ. 1836, აღ.1, ს. 9** – საქართველოს ეროვნული ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 9.
- შარაძე, 2005:** – შარაძე გ., ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, VIII, თბილისი, 2005.
- ჭანტურია, 2006:** – ჭანტურია ნ., ეროვნული საბჭო და მისი ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და განმტკიცებისათვის, თბილისი, 2006.

Dodo Gelashvili-Beridze (Akhaltzikhe, Georgia)

Batumi Issue in the National Council of Georgia

Summary

National council had worked in many directions together with lawmaking work. The discussion of Batumi issue took one of the most important place at the National Council meeting. When Batumi faced threat from Ottoman Empire the National Council took urgent measures to protect it. Member of the National Council were sent in Batumi and representatives of various political parties had been sent in order to collect volunteer troops from the population of Batumi side. When according to Batumi truce the Ottomans were transferred Batumi and some parts of Georgia the National Council used every effort to review Batumi truce .

As soon as the creation of the National Council was discussed the issue of arranging the "Samahmadiano Georgia" according to "Canton rule" On August 31 ,1919

სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) ძირითადი მიმართულებები აჭარაში

საქართველოს მდგრად ეკონომიკურ განვითარებაში განსაკუთრებული როლი ეკისრება ევროკავშირთან საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებასა და ერთიან ევროპულ ოჯახში მის ინტეგრაციას, გლობალურ სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებში ქვეყნის აქტიურ მონაწილეობას. საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის ფარგლებში, 1992 წლიდან დღემდე, არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნა გადადგმული, რომელთა შორის აღსანიშნავია 2016 წლის 1 ივლისს საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლა და 2017 წლის 28 მარტიდან საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის ამოქმედება.

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე (DCFTA) საქართველოში წარმოებულ პროდუქციას 28 ევროპული სახელმწიფოს ერთიან შიდა ბაზარზე ხელმისაწვდომს ხდის, თუმცა, 500 მილიონზე მეტი ევროპელი მომხმარებლის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ქვეყანამ არაერთი ვალდებულება უნდა შეასრულოს. დღეისათვის ევროკავშირი საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია და მისი წილი იმპორტის საერთო მოცულობაში 30%-ს, ხოლო ექსპორტისა - 20%-ს შეადგენს.

ევროკავშირთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ სხვადასხვა დროს მიღწეული შეთანხმებები მიმართულია საკანონმდებლო, ეკონომიკური, სოციალური, ფინანსური, სამეცნიერო, კულტურული და ტექნოლოგიური განვითარების მიმართულებებით ორმხრივი თანამშრომლობის გაძლიერებისა და განვითარებისაკენ. განსაკუთრებული როლი აკისრია ევროკავშირის აგრარული სექტორის განვითარების საქმეში. ევროკავშირი საქართველოს სოფლის მეურნეობის ზრდასა და გაძლიერებაში სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამით (ENPARD) ეხმარება. აღნიშნული პროგრამის პირველი ფაზა – ENPARD I, 2013 წელს დაიწყო

და მისი ბიუჯეტი 52 მილიონ ევროს (დაახლოებით 135 მილიონ ლარს) შეადგენდა. 2016 წელს, პროგრამის მეორე ფაზა – ENPARD II ამოქმედდა, რომლის ფარგლებშიც საქართველომ ევროკავშირისგან სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის დამატებით 50 მილიონი ევროს (დაახლოებით 130 მილიონი ლარი) დახმარება მიიღო *[ევროკავშირი საქართველოსთვის]*. ENPARD-ის მესამე ფაზის საერთო ბიუჯეტი 73 მილიონი ევროა, აქედან დაახლოებით 45 მლნ ევრო საბიუჯეტოა. ENPARD III (2017-2020) ითვალისწინებს როგორც სოფლის მეურნეობის განვითარებას, ასევე სოფლის განვითარების მხარდაჭერას *[საინფორმაციო ბიულეტენი]*.

მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სოფლის მეურნეობას საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი და უძველესი ისტორიული კუთხის – აჭარის ეკონომიკაში. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ქვეყნის მრავალფეროვანი რელიეფური და კლიმატური პირობების ფონზე, რეგიონებში აგროწარმოების განვითარება მეტად განსხვავებულია. აქედან გამომდინარე, სპეციფიკურ მიდგომებს საჭიროებს აგრარული პოლიტიკა თითოეულ ცალკე აღებულ რეგიონში. აჭარა, რომლის აგრარული სექტორის კვლევა დავისახეთ მიზნად, ძირითადად მთიანი რეგიონია. ვიწრო სანაპირო ზოლს მთლიანი ფართობის მხოლოდ 3% უჭირავს, ხოლო დანარჩენი 97% მთიანი და მაღალმთიანი სოფლებია. ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურები ციტრუსები, ხილი და ბოსტნეულია. ციტრუსები პირველ ადგილზეა საექსპორტო კულტურებს შორის. მარცვლოვანების წილი საკმაოდ მცირეა სასოფლო-სამეურნეო მიწის სიმწირისა და ნიადაგის თავისებურებების გამო. საოჯახო მეურნეობებში ჰყავთ რქოსანი პირუტყვი, რძის პროდუქტების წარმოება საკმაოდ მცირეა *[ENPARD აჭარა]*.

სოფლის მეურნეობის მაღალი პოტენციალის მიუხედავად, მისი წილი რეგიონის მთლიან შიდა პროდუქტში, დასაქმებასა და უცხოურ სავალუტო შემოსავლებში საკმაოდ მოკრძალებულია. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დიდი ნაწილი ექსპორტირებულია თურქეთიდან ან შემოდის აჭარაში საქართველოს სხვა რეგიონებიდან. ფერმები და მიწის ნაკვეთები მცირე ზომისაა, საშუალოდ, 0.25 ჰექტარი *[ENPARD აჭარა]*.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა თავად აყალიბებს სოფლის მეურნეობის პოლიტიკას. 2011 წელს მიღებულ რეგიონული განვითარების სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ აჭარის სოფლის მეურნეობის განვითარების პოტენციალი საკმაოდ მაღალია, თუმცა მის გამოსაყენებლად აუცილებელია არსებული გამოწვევების დაძლევა. მათ შორისაა: მიწის ნაკვეთების მცირე ზომა, მომ-

სახურების შეზღუდული არეალი, ხეხილის ხანდაზმულობა, მეწარმეების მიჯაჭვულობა ადგილობრივ ბაზარზე [ENPARD აჭარა].

გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) 2008 წლიდან ეხმარება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას ადგილობრივი ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სფეროში. UNDP-ის ხელშეწყობის თვალსაჩინო შედეგებს შორისაა ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის მომზადება, **ბათუმის ბიზნეს ინკუბატორის** დაარსება და **აჭარის აგროსერვის ცენტრის** – ფერმერთა საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების ყველაზე მსხვილი მომწოდებლის განვითარება და მისი წარმომადგენლობების გახსნა აჭარის ყველა კუთხეში.

სოფლის ეფექტური განვითარება კომპლექსური სფეროა, რომელიც მოითხოვს სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი ასპექტების გათვალისწინებას. ამ ერთიან პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ისეთი დარგების განვითარება და წარმატება, როგორიცაა განათლება, მეწარმეობა, ინფრასტრუქტურა, ბიომრავალფეროვნების დაცვა, კლიმატის ცვლილებებისადმი ადაპტაცია.

საქართველოში პირველი სოფლის განვითარების სტრატეგია შემუშავდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 2015 წელს. ევროკავშირი და გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) აქტიურად მონაწილეობდნენ ამ პროცესში. აჭარის სოფლის განვითარების სტრატეგია შეიძლება ჩაითვალოს საცდელ მოდელად ეროვნული პოლიტიკის შემოღებისათვის.

ენპარდის ფარგლებში, 2013-2016 წწ გაეროს განვითარების პროგრამის მიერ (UNDP) თანადაფინანსებულმა პროექტმა განსაკუთრებული სარგებლობა მოუტანა აჭარის რეგიონს სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით. 40 მილიონი ევროდან საბიუჯეტო დახმარება – 18 მილიონ ევროს შეადგენდა. 15 მილიონი ევრო მცირე ფერმერულ ბიზნესზე ორიენტირებული ორგანიზაციების შექმნას მოხმარდა.

პროექტი შემდეგ აქტივობებს მოიცავდა:

1. მცირე ფერმერებისთვის მომსახურების გაზრდა და განვითარება;
2. ბიზნესზე ორიენტირებული მცირე ფერმერული ჯგუფების, ასოციაციების და ფერმერებს შორის მოგების მიღებაზე დაფუძნებული სხვადასხვა ფორმის სათანამშრომლო საქმიანობების განვითარება;
3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინსტიტუციური განვითარება (მათ შორის, კვლევები სოფლის მეურნეო-

ბის განვითარებაზე, საინვესტიციო პროფილების და ინვესტიციების ხელშეწყობი კვლევები) *[დანართი: ENPARD – საქართველო]*.

ევროპის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სამეზობლო პროგრამის (ENPARD) ფარგლებში გაეროს განვითარების პროგრამას (UNDP) მეტი შესაძლებლობა ეძლევა ხელი შეუწყოს აჭარის ეკონომიკურ განვითარებას, რომელიც თანაბარ სარგებელს მოუტანს მთელს რეგიონს, მაღალმთიანი და მოშორებული სოფლების ჩათვლით.

ENPARD-ის ფარგლებში, აჭარაში მცირე ფერმერთა ჯგუფების ხელშეწყობის მიზნით:

- 2014-2016 წლებში დაფუძნდა ფერმერთა 77 კოოპერატივი.
- კოოპერატივის წევრ ფერმერთა შემოსავალი გაიზარდა 60-100 პროცენტით.
- 6000 საოჯახო მეურნეობამ მიიღო საკონსულტაციო მომსახურება (ექსტენცია) აგრონომიაში, ვეტერინარიასა და საქონლის ხელოვნურ განაყოფიერებაში.
- 10 ათასზე მეტი ფერმერი რეგულარულად იღებს რჩევასა და კონსულტაციას სასოფლო –სამეურნეო საკითხებში ინტერნეტისა და მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით.
- 100-ზე მეტი სპეციალისტი გადამზადდა ექსტენციაში, სანერგის მართვაში, მეხილეობაში, ვეტერინარიასა და მეფუტკრეობაში. ქიმიური ნივთიერებების, პესტიციდების, სანერგეების მართვასა და სხვა საკითხებში.
- სადემონსტრაციო პროექტებიდან აღსანიშნავია 8,500 კვ. მ თხილისა და 7,500 კვ.მ მოცვის სადემონსტრაციო ნაკვეთები ქედაში, შუახევსა და ხულოში.
- გამოიცა საინფორმაციო მასალები ფერმერთათვის სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში: მებოსტნეობა, მებაღეობა, მეფუტკრეობა, ვეტერინარია.
- აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს გაძლიერების მიზნით ჩატარდა აჭარის სოფლის მეურნეობის საბაზისო კვლევა, აჭარის სოფლის მეურნეობის სექტორის კონკურენტუნარიანობის და ექსპორტის პოლიტიკის კვლევა, საჭიროებების კვლევა, აჭარის საინვესტიციო პროფილი და ინვესტირების ხელშეწყობა, სამინისტროს განვითარების სტრატეგია, რეკომენდაციები სოფლის განვითარებისათვის აჭარაში *[ENPARD აჭარა]*.

გაეროს განვითარების პროგრამისა და აჭარის მთავრობის ხელშეწყობით აჭარის აგროსერვის ცენტრი უკვე ხუთ ფილიალს ითვლის. ფერმერები აქ იღებენ ინფორმაციას სოფლის მეურნეობის ახალი მეთოდების, ფინანსური და სხვა რესურსების მართვის შესახებ. ცენტრის მეშვეობით ასევე შესაძლებელია თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკითა და დანადგარებით სარგებლობა, ინოვაციური მეთოდების გაცნობა სადემონსტრაციო ნაკვეთებზე. ექსტენციის სპეციალისტები მუდმივად გადიან გადამზადებას. ცენტრი ასევე გამოსცემს სახელმძღვანელოებს მეზღოვებაზე, მეზოსტნეობასა და ვეტერინარიაზე [<http://www.agrosc.ge/>].

ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) მიერ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ფონდთან (CSRDG), დემოკრატიის ინსტიტუტთან (IoD) და ავსტრიის რეგიონული კვლევებისა და სივრცითი დაგეგმარების ინსტიტუტთან (ÖIR) თანამშრომლობით აჭარის რეგიონში, ქედის მუნიციპალიტეტში აქტიურად ხორციელდება პროექტი „სოფლის განვითარების ევროპული მოდელი – LEADER“, მისი მიზანია ადგილობრივი პოტენციალის ოპტიმიზაცია სოფლის განვითარებისთვის [www.enpard.ge].

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის განვითარების სამოქმედო გეგმის მომზადება და მიღება, აჭარის სახელმწიფო უწყებების გაძლიერება სოფლის განვითარების პოლიტიკის გასატარებლად.

საბიუჯეტო მხარდაჭერა წარმოადგენს ENPARD-ის უმსხვილეს ფინანსურ კომპონენტს. ENPARD-ის I ფაზის ფარგლებში, 2013-2017 წლებში, საქართველოს მთავრობის პირდაპირი საბიუჯეტო მხარდაჭერა შეადგენს 24.5 მილიონ ევროს, რაც პროგრამის პირველი ფაზის სრული ბიუჯეტის, 52 მილიონი ევროს თითქმის ნახევარია. ENPARD-ის II ფაზის ფარგლებში, 2016-2020 წლებში, საბიუჯეტო დახმარების კომპონენტის წილი კიდევ უფრო დიდია და შეადგენს 27 მილიონ ევროს. პროგრამის მეორე ფაზის საერთო ღირებულება 50 მილიონი ევროა. საბიუჯეტო მხარდაჭერის ფარგლებში ევროკავშირის დახმარება პარტნიორი ქვეყნის ბიუჯეტში პირდაპირ ირიცხება, შემდგომ კი მისი განკარგვა ეროვნულ დონეზე ხორციელდება. დახმარება ტრანშების სახით დეპონირდება პარტნიორი ქვეყნის სახელმწიფო ხაზინაში. იგი წარმოადგენს ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნას შორის შეთანხმებული ზოგადი და განსაკუთრებული პირობების განხორციელების საგანს [*ევროკავშირის საბიუჯეტო მხარდაჭერა საქართველოში*]. საბიუჯეტო დახმარების მექანიზ-

მით ევროკავშირი აძლიერებს პოლიტიკურ დიალოგს პარტნიორ ქვეყნებთან განვითარების ძირითად საკითხებზე და ხელს უწყობს პარტნიორი ქვეყნების მიერ პოლიტიკისა და რეფორმების განხორციელებას.

ევროპის სამეზობლო პროგრამის – სოფლის მეურნეობისა და სოფლად განვითარებისათვის (ENPARD) ძალისხმევით, შემუშავდა “საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020”. სტრატეგიის განხორციელების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების ეკონომიკური განვითარების ღონისძიებებს, ინსტიტუციური მოწყობის სრულყოფას, საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების ეფექტიან ფუნქციონირებას, ფერმერთა გადამზადებას საბაზრო ურთიერთობების მოთხოვნების შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ინტეგრირებულ განვითარებას, სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას, სტატისტიკური აღრიცხვიანობის გაუმჯობესებას, საბაზრო საინფორმაციო სისტემის შექმნას, სასურსათო უსაფრთხოების ანალიზისა და მონიტორინგის ხარისხის გაუმჯობესებას, შესაბამისი მოქნილი საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავებას და განხორციელებას *[სტრატეგია 2015-2020]*.

საქართველოს სოფლების, მათ შორის აჭარის სასოფლო დასახლებების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია „საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020“. დოკუმენტი განსაზღვრავს ქვეყნის ხედვას 2017-2020 წლებისთვის ისეთ საკვანძო საკითხებში, როგორიცაა ადგილობრივი ეკონომიკის ზრდა და დივერსიფიცირება, სოციალური და საჯარო სერვისების განვითარება, ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება და განვითარების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა. სტრატეგიის მიხედვით, სოფლის განვითარების და სოფლის მეურნეობის პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს სოფლის იდენტობას და ტენდენციებს, მან უნდა უზრუნველყოს ეკონომიკის დივერსიფიკაცია და მეწარმეობის განვითარების, ინვესტიციების, ინოვაციებისა და დასაქმების ხელშეწყობა *[სტრატეგია 2017-2020]*.

საქართველოს სოფლის მეურნეობის პოტენციალის მაქსიმალურად ათვისება და მიზნობრივი გამოყენება ქვეყნის ეკონომიკისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სწორედ ამიტომ, დადებითი შედეგის მიღწევის უპირველესი გარანტი იქნება “საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020” და „საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020“-ის სამოქმედო გეგმის თანმიმდევრული განხორციელება.

ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის, როგორც ქვეყნის ერთ-ერთი პრიორიტეტის შენარჩუნება; სექტორის მხარდაჭერა უნდა მოიცავდეს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და მოდერნიზაციის ღონისძიებებს, ასევე, სოფლის განვითარებას. აუცილებელია ქვეყანაში არსებული აგროწარმოების ხელშეწყობა, ქვეყანაში იმპორტირებული პროდუქტის ხარისხის მკაცრი კონტროლი, ადგილობრივი წარმოების წახალისება და მათი კონკურენტუნარიანად ჩამოყალიბება.

აგრობიზნესის უმთავრესი რისკი და პრობლემა სტიქიური მოვლენებია. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაზღვევის კულტურის განვითარება. მეტად პრობლემურია აგროდაკრედიტების საკითხიც. საჭიროა დაფინანსების გაუმჯობესების გზების მოძიება. აგრობიზნესის წინაშე მდგარი პრობლემების მოგვარებაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ქმედითუნარიანი და მოქნილი იქნება საქართველოს აგრარული პოლიტიკა, რამდენად დააკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს და როგორ შეძლებს განახლებული სისტემის მორგებას ევროკავშირის სისტემასთან.

გამოყენებული წყაროები:

ევროკავშირი საქართველოსთვის: – ევროკავშირი საქართველოსთვის, ინტერნეტ-რესურსის მისამართი: <http://enpard.ge/ge/about-us/>

საინფორმაციო ბიულეტენი: – საინფორმაციო ბიულეტენი, გამოცემა №5 – 2016 წლის ივნისი, ინტერნეტ-რესურსის მისამართი: WWW.ENPARD.GE

ENPARD აჭარა: ENPARD აჭარა: ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის, ინტერნეტ-რესურსის მისამართი: http://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/operations/projects/poverty_reduction/EnpardAdjara/

დანართი: ENPARD – საქართველო: დანართი: ENPARD – საქართველო, “ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის (ENPARD-Georgia)”, ინტერნეტ-რესურსის მისამართი: https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/enpard022013_ka.pdf

<http://www.agrosc.ge/>: – აჭარის ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრი“, ინტერნეტ-რესურსის მისამართი: <http://agrosc.ge/pages.php?lang=ge&id=1>

www.enpard.ge – საინფორმაციო შეხვედრები ქედის მუნიციპალიტეტში – 23,09,2017, ინტერნეტ-რესურსის მისამართი: www.enpard.ge :

ევროკავშირის საბიუჯეტო მხარდაჭერა საქართველოში: – ევროკავშირის საბიუჯეტო მხარდაჭერა საქართველოში ENPARD I ფარგლებში, ინტერნეტ-რესურსის

მისამართი: http://enpard.ge/ge/wp-content/uploads/2015/05/ENPARD-Budget-Support-brochure_GEO_FINAL.pdf

სტრატეგია 2015-2020: – „საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020“, ინტერნეტ-რესურსის მისამართი: <http://www.moa.gov.ge/7/Public/Strategy/8>

სტრატეგია 2017-2020: – „საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020“, ინტერნეტ-რესურსის მისამართი: <http://www.moa.gov.ge/m/Public/Strategy/9>

Giuli Giguashvili (Gori, Georgia)

The Main Directions of the European Neighbourhood Program for Agriculture and Rural Development (ENPARD) in Adjara

Summary

Georgian agriculture has rich traditions, which is an integral part of the country's history, consciousness and cultural heritage. This combination has played an important role for centuries in Georgia as a state of development of the state.

Our country is faced with new challenges after signing the Association Agreement with the European Union. It is necessary to conduct European standards, ecologically clean, competitive products, and to secure a decent place in international markets.

Under the **European Neighbourhood Programme for Agriculture and Rural Development (ENPARD)**, UNDP promotes agriculture development in the Adjara Autonomous Republic as a foundation for food security, sustainable production and rural employment. The programme focuses on the assistance to small farmers. Within the frames of the European Neighbourhood Programme for Agriculture and Rural Development, UNDP has the increased opportunities to provide comprehensive support to the region's economy ensuring that economic growth extends to the rural areas leaving no one behind.

ბათუმის უნივერსიტეტი ალმოსავლეთმცოდნეობის ბანკითარების ისტორიიდან

თანამედროვე მსოფლიოში განუხრელად იზრდება პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ინტერესი აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ.

აღმოსავლეთმცოდნეობა მეცნიერების დარგია, რომელიც შეისწავლის ახლო და შორეული აღმოსავლეთის ხალხებს, მათ ენებსა და კულტურებს, ამ საზოგადოებებს, მათ ისტორიას. ამ დარგის აღსანიშნავად ზოგჯერ გამოიყენება ტერმინები “აზიური კვლევები”, “შუა აღმოსავლეთის კვლევები”, “შუა აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის კვლევები.”

ხშირად თვლიან, რომ აღმოსავლეთმცოდნეობა შესაძლებელია ჩავთვალოთ მეცნიერების იმ დარგად, რომელიც მოახერხებს მსოფლიოს, როგორც მთლიანობის, ახსნას. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ აღმოსავლეთმცოდნეობა ფართო გაგებით გვთავაზობს ერთიანი მსოფლიოს ორ ნაწილად – დასავლეთად და აღმოსავლეთად გაყოფის მეცნიერულ დასაბუთებას. იგი კომპლექსური მეცნიერებაა, უფრო ზუსტად კი, იმ სხვადასხვა მეცნიერებათა კომპლექსია, რომლებიც აღმოსავლური ტექსტების მეშვეობით აღმოსავლეთის ქვეყნებს შეისწავლიან [<https://teennewson.wordpress.com/>].

აღმოსავლეთმცოდნეობა შეიძლება გაიმიჯროს, როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის მეცნიერება აღმოსავლეთის შესახებ და არა მხოლოდ როგორც დასავლური მეცნიერება აღმოსავლეთის შესახებ (ორიენტალისტიკა, ორიენტალიზმი). ორიენტალისტიკა რესპექტაბელურ სამეცნიერო დისციპლინად განვითარდა. მასთან დაკავშირებულ სამეცნიერო დარგებს საკვლევი სივრცე – აღმოსავლეთი აერთიანებს [*გაჩეჩილაძე, 2003: 16-17*].

გავიხსენებთ ორიოდ ცნობილ მოსაზრებას აღმოსავლეთისა და დასავლეთის განსხვავებების შესახებ: რადიარდ კიპლინგი (1865-1936) განმარტავდა, რომ “აღმოსავლეთი აღმოსავლეთია, დასავლეთი – დასავლეთი და ისინი ვერასოდეს შეხვდებიან ერთმანეთს,” ხოლო ამერიკელმა მეცნიერმა სამუელ ჰანტინგტონმა (1927-2008) წარმოადგინა კონცეფცია “ცივილიზაციათა შეჯახების” თაობაზე. ჰანტინგტონის აზრით, ცივი ომის დამთავრების შემდეგ შეიქმნა პირობები ახალი და უკიდურესად საშიში კონფლიქტების წარმოშოდ.

ბისათვის, რაც დაკავშირებულია კულტურულ–რელიგიურ და ეთნიკურ განსხვავებებთან. თუ აქამდე ომები დინასტიებს, იმპერიებსა და იდეოლოგიებს შორის წინააღმდეგობების შედეგი იყო, მომავალში კონფლიქტების მთავარი მიზეზი ცივილიზაციათა შორის დაპირისპირება იქნება [www.nplg.gov.ge].

აღმოსავლეთმცოდნეობის გარეშე მეცნიერებად ვერ შედგებოდა დასავლეთის მთელი რიგი სამეცნიერო დარგებისა (ძველი მსოფლიოს ისტორია, ანტიკური პერიოდის, რუსეთის ისტორია და სხვა). საერთოდ არ იარსებებდა აზიის ისტორია, რომ არა აღმოსავლეთმცოდნეობა, რელიგიის ისტორია, ფილოსოფიის ისტორია და ა.შ. აღმოსავლეთმცოდნეობის გარეშე შეუძლებელია მსოფლიო ლიტერატურათა ისტორიის აგებაც... არც სხვა რომელიმე ზოგადსაკაცობრიო მეცნიერებისა და ხელოვნებისა, რადგან კაცობრიობის აღმოსავლური ნაწილის გამოცდილება ხშირად უფრო დიდი და ღრმაა, ვიდრე დასავლურისა.

ევროპაში აღმოსავლეთმცოდნეობა, როგორც აკადემიური დისციპლინა, პარიზში, 1795 წელს დაარსდა სახელწოდებით – *École spéciale des langues orientales*. პარიზის ამ სკოლაში ასწავლიდა სილვესტრ სასი (Silvestre de Sacy, 1758—1838), რომელმაც თავისი მოღვაწეობით დიდი გავლენა იქონია აღმოსავლეთმცოდნეობითი მეცნიერების განვითარებაზე. გერმანიაში 1845 წელს დაფუძნდა გერმანიის აღმოსავლური საზოგადოება, რომელიც დღემდე შეისწავლის აზიის, აფრიკის და ოკეანეთის ქვეყნებს, მათ ენებს, საზოგადოებებს, კულტურებს. ვენაში 1886 წელს შეიქმნა ორიენტალისტიკის ინსტიტუტი. ავსტრიის დედაქალაქში არსებულ ამ ინსტიტუტში დღესდღეობით ფუნქციონირებს ძველსემიტური ფილოლოგიისა და წინა აზიის არქეოლოგიის, არაბისტიკისა და თურქოლოგიის სპეციალობები [<http://prof.ucoz.com/news/68-0-7>].

ორიენტალისტიკის დისციპლინებია ასირიოლოგია, ირანისტიკა, თურქოლოგია, ოსმანისტიკა, სემიტოლოგია და ზოგჯერ სემიტოლოგიისაგან განცალკევებით დგას აგრეთვე არაბისტიკა და ისლამოლოგია. სიტყვის სფართო გაგებით აღმოსავლეთმცოდნეობა შეიძლება მოიცავდეს ეგვიპტოლოგიასაც. ეგვიპტოლოგიას ხშირად აფრიკანისტიკას მიაკუთვნებენ.

გვინდა შევეხოთ ქართულ უნივერსიტეტებში აღმოსავლეთმცოდნეობის შესწავლის საკითხსაც:

1918 წელს თბილისში დაარსებული პირველი ქართული უნივერსიტეტის პირველი ფაკულტეტი სიბრძნისმეტყველებისა იყო, რომლის შემკვიდრე

დღევანდელი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. აღმოსავლეთ-მცოდნეობა აღნიშნული ფაკულტეტის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა.

ქართული ორიენტალისტური სკოლა ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში და ქართველი აღმოსავლეთმცოდნეები დღესაც დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ აკადემიურ წრეებში.

აღმოსავლეთმცოდნეობის პროფილით უნივერსიტეტის სტუდენტებს დღესაც შეუძლიათ აირჩიონ სხვადასხვა პროგრამები.

შეიძლება ჩამოვთვალოთ ცნობილი ქართველი აღმოსავლეთმცოდნეები: ზაზა ალექსიძე, ოთარ გიგინეიშვილი, თამაზ გამყრელიძე, ზურაბ კიკნაძე, მანანა ნოზაძე, რევაზ გაჩეჩილაძე, ალბერტ მენტეშაშვილი, სერგი ჯიქია, მიხეილ წერეთელი და სხვა. ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმატებული პედაგოგიურ-კვლევითი საქმიანობით გამოირჩევიან აღმოსავლეთმცოდნეები: აპოლონ სილაგაძე, ლევან გორდეზიანი, ირინე ტატიშვილი, გოჩა ჯაფარიძე, მარინა ჯიქია, მარინა ალექსიძე, მამუკა ბუცხრიკიძე, ელისაბედ ბჟალავა, ნანა გელაშვილი, ნანი გელოვანი, გიორგი ლობჯანიძე, მირიან მახარაძე, მარიამ ნანობაშვილი, ქეთევან ლორთქიფანიძე, მარიამ ჩაჩიბაია, მანანა კვაჭაძე და სხვ. [<https://www.tsu.ge/ge/about/history/>].

აქვე, მოკლედ გვინდა შევხვთ ბათუმის უნივერსიტეტის დაფუძნებისა და მასში სხვადასხვა მიმართულებებთან ერთად აღმოსავლეთმცოდნეობის განვითარების წინაისტორიასაც:

ქართული საზოგადოების მუდმივი ზრუნვის საგანს წარმოადგენდა აჭარაში საგანმანათლებლო სისტემის დაფუძნება და განვითარება. 1897 წლის ივლისში ვაჟთა გიმნაზიამ ფუნქციონირება დაიწყო. 1900 წლის 26 სექტემბერს შესაძლებელი გახდა ქალთა გიმნაზიის გახსნაც. მოგვიანებით, 1923 წლისათვის, ქალთა გიმნაზიის ყოფილ შენობაში დაფუძნდა პედაგოგიური ინსტიტუტი, რომელიც შემდეგ პედაგოგიურ ტექნიკუმად გადაკეთდა. იგი პირველი საფეხურის სკოლის მასწავლებლებს ამზადებდა.

ვაჟთა გიმნაზიის შენობაში 1935 წელს გაიხსნა ორწლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტი 4 ფაკულტეტით: ქართული ენისა და ლიტერატურის, ფიზიკა-მათემატიკის, ისტორიისა და საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიის, რომლებსაც 1936 წელს დაემატა ფიზკულტურის, ხოლო 1938 წელს – რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტებიც.

1938 წელს ინსტიტუტს მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელი.

საბჭოთა იმპერიის რღვევისა და დამოუკიდებლობისათვის საქართველოს ბრძოლის შედეგად რეალობად იქცა დიდი ივანე ჯავახიშვილის ოცნება:

„საქართველოში თუ იქნება მეორე უნივერსიტეტი, ის ბათუმში უნდა გაიხსნას“.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 მარტის N100 დადგენილების საფუძველზე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შეეცვალა სახელი და ეწოდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი [<https://old.bsu.edu.ge>].

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი აერთიანებს 9 ფაკულტეტს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს 5 სხვა დეპარტამენტთან ერთად წარმოადგენს აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი.

ბათუმის უნივერსიტეტში ლექციათა კურსი მიყავდათ ცნობილ აღმოსავლეთმცოდნეებს პროფესორებს, ფერიდე აცამბას, მიხეილ სვანიძეს; ვარლამ დონაძეს, აქტიურად თანამშრომლობდნენ: ალბერტ მენტეშაშვილი, დევი კაციტაძე.

ზემოთ დასახელებულ კათედრებზე სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ ქართული საისტორიო აზროვნების თვალსაჩინო წარმომადგენლები: სარგის კაკაბაძე, კონსტანტინე გრიგოლია, სიმონ ყაუხჩიშვილი, მამია დუმბაძე, აბელ კიკვიძე, იასე ცინცაძე, ტროფი მეხუნდაძე, ალექსანდრე ფირცხალაიშვილი, ლევან ებანოიძე, გრიგორ ჩხარტიშვილი, ნ. ძიმისტარაშვილი, სევერიან ყალიჩავა, იონა კუბლაშვილი, ლალი ჯავახიშვილი, ირაკლი ბერაძე, ავთანდილ იოსელიანი, შანშე მეგრელიძე, დავით ხახუტაიშვილი, აბელ სურგულაძე, იური და ფრიდონ სიხარულიძეები, ვალერიან მაჭარაძე, ნესტორ ინწკირველი, ვლადიმერ სიჭინავა, ლევან სანიკიძე და სხვები.

აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი ჩამოყალიბდა ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის ბაზაზე, რომლის უმთავრეს ამოცანას აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების პარალელურად, წარმოადგენს ეროვნული იდეალებისადმი სამსახური და სამოქალაქო ცნობიერების ფორმირების პროცესებისადმი ხელშეწყობა, ამიტომაც ბუნებრივია ის აქტიური პოზიცია, რომელსაც დეპარტამენტი იჩენს საზოგადოებრივ, საგანმანათლებლო თუ სახელმწიფოებრივი მშენებლობის პროცესში.

1990 წელს პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე გაიხსნა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მისასაღმებელ სიტყვაში იმდროინდელმა საქართველოს განათლების მინისტრმა ერთ-ერთ პრიორიტეტად დასახა მომავალში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელ-

მწიფო უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნეობის კვლევის დიდი ცენტრის გახსნა.

2015 წლის 29 მაისის ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს N55 დადგენილებით, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შეიქმნა აღმოსავლეთმცოდნეობის დარგობრივი დეპარტამენტი, სადაც ამ ეტაპზე ფუნქციონირებს აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების თურქეთისმცოდნეობისა და თურქული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები.

2015 წლის პირველ სექტემბერს, აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტის პირველ ხელმძღვანელად დაინიშნა პროფესორი ემზარ მაკარაძე.

ამჟამად დეპარტამენტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში მონაწილეობენ შემდეგი აკადემიური პირები: პროფესორი ემზარმაკარაძე, ასოცირებული პროფესორები: ლილე თანდილავა, ზაზა შაშიკაძე, მანუჩარ ლორია, რევაზ დიასამიძე, ასისტენტ პროფესორი ლიანა ჭყონია, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი ვარდო ჩოხარაძე, მასწავლებლები: ალკაზარ კაშია, ციალა ლაგვილავა, ნორა კახიძე და ზაურ შანთაძე. დეპარტამენტთან თანამშრომლობენ მოწვეული პედაგოგებიც.

ვფიქრობთ, ჩვენი რეგიონის თავისებურებების გათვალისწინებით, ძალზე მნიშვნელოვანია ჩვენს უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების განვითარება, კერძოდ, თურქეთთან, ირანთან, ჰუმანიტარულ მეცნიერებებში (ისტორია, ლინგვისტიკა, ლიტერატურის ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, ფოლკლორი და ა.შ.) საერთო სამეცნიერო-კვლევითი პროექტების, ექსპედიციებისა და ა.შ. განხორციელება (ამ ქვეყნებში ისტორიულად ქართული წარმოშობის მოსახლეობის არსებობის გათვალისწინებით), ასევე საგანმანათლებლო სფეროში თანამშრომლობა: გაცვლითი პროგრამები, სტუდენტთა მოზიდვა ბათუმის უნივერსიტეტში.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:
გაჩეილაძე, 2003: – გაჩეილაძე რ., ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა, თბილისი.

www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=7477

<https://old.bsu.edu.ge/index.php?sec=19>

<https://teennewson.wordpress.com/2011/11/15>

<http://prof.ucoz.com/news/68-0-7>

Gogitidze madona (Batumi, Georgia)

From the History of Oriental Studies in Batumi State University

Summary

Batumi Shota Rustaveli State University comprises 9 faculties: Humanities, Education, Business and economics, Law, Social and political sciences, Natural sciences and health care, Physics-mathematics and computer sciences, Technological, Tourism.

The Oriental Department was established on the basis of the Department of History, Archeology and Ethnology.

On the 29th of May, 2015 Batumi Shota Rustaveli State University Academic Council Decree N55 was established on the Faculty of Humanities at the Batumi State University, department of Oriental Studies, where at this stage functioning of the Oriental Studies and Turkish Philology Bachelor's Education programmes.

On September 1, 2015, Professor Emzar Makaradze was appointed as the Head of the Oriental Department.

საპრელიტო ღაწესებულებები ბათუმში XIX-XX სს მიჯნაზე

XIX საუკუნის 70-90-იან წლებში საგრძნობლად გაფართოვდა საქართველოს შინა ვაჭრობა და რუსეთის საგარეო ვაჭრობაში მისი მონაწილეობა რკინიგზების გაყვანის, სასაქონლო მიწათმოქმედებისა და მრეწველობის განვითარების, საბანკო-საკრედიტო დაწესებულებათა დაარსების შედეგად განმტკიცდა საქართველოს ცალკეულ რეგიონთა ეკონომიკური კავშირი, გაფართოვდა საქონელ მიმოქცევა. საქართველოში წარმოებული სასაქონლო პროდუქციის საკმაოდ ნაწილმა გზა გაიკაფა საზღვარგარეთის ბაზრებისაკენ.

საქართველოს ერთ-ერთ სამრეწველო და შინა ვაჭრობის ცენტრად გადაიქცა ქალაქი ბათუმი. ბათუმი ასევე გახდა საერთაშორისო-სატრანსპორტო ვაჭრობის მნიშვნელოვანი ცენტრიც.

ბაქოს ნავთობი უცხოეთის ბაზრებზე თითქმის მთლიანად ბათუმის ნავსადგურის მეშვეობით გადიოდა. ნავთობ პროდუქტების გარდა ბათუმის ნავსადგურის ტვირთბრუნვაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სურსათ-სანოვაგეს, სპირტსა და ღვინოს, ფქვილსა და მარცვლეულს, ხე-ტყეს, აგურ-კრამიტს, მარგანესს, რკინას, თუნუქს, კალას, ტყვიას, სააფთიაქო საქონელს, ქსოვილებს, ხალიჩებს, აბრეშუმის პარკსა და სხვა.

სასაქონლო ფულადი ურთიერთობის, კაპიტალისტური წარმოების და ვაჭრობის განვითარების პირობებში თანდათან იზრდებოდა საბანკო კაპიტალის, კრედიტის მნიშვნელობა. მრეწველები და ვაჭრები საწარმოო ბრუნვის და საქონლის რეალიზაციის დაჩქარების მიზნით ხშირად მიმართავდნენ უნადოდ ანგარიშსწორებას, თავისებური ხელშეკრულება – ვექსილები ბრუნვაში შედიოდა ფულის მსგავსად, მაგრამ კომერციული კრედიტი საკმარისი არ იყო გაფართოებული კაპიტალისტური წარმოებისა და დიდმასშტაბიანი სავაჭრო ოპერაციებისათვის. თანდათან მწვავედ იგრძნობოდა საბანკო კრედიტის საჭიროება *[ბენდიანიშვილი, 2008 :257-263]*.

1878 წლის 1 ნოემბერს ბათუმში გაიხსნა სამაზრო ხაზინა. იგი მოთავსებული იყო შეპელოვის (დღევანდელი ვაჟა-ფშაველას) ქუჩაზე ნაგორსკის სახლში (ამჟამად ეს სახლი არ არსებობს). ხაზინის ბრუნვა შეადგენდა 20 მილიონამდე მანეთს წელიწადში *[Гурская, 1901:14]*.

1886 წ. 21 ოქტომბერს გაიხსნა სახელმწიფო ბანკის ბათუმის განყოფილება 7-8 კაცის შემადგენლობით. ბანკი თავდაპირველად მოთავსებული იყო ბიკოვის სახლში მარიას პროსპექტზე (ახლანდელ მ. აბაშიძის გამზირი, №49, თოჯინების თეატრის შენობა), ხოლო შემდეგ, 1909 წელს კი სახელმწიფო ბანკისათვის აშენდა სპეციალური შენობა დონდუკოვ-კორსაკოვის (ახლანდელი კონსტანტინე გამსახურდიას ქ. №10) ქუჩაზე. 1910 წლის 1 იანვრიდან სახელმწიფო ბანკმა ამ შენობაში განაგრძო საქმიანობა. ბანკის მმართველი იყო ა. ჟუკოვსკი [*Батумь его окрестности, 1910 :27*].



სახელმწიფო ბანკის ბათუმის განყოფილება.
კ. გამსახურდიას ქ. №10

ბანკი აწარმოებდა ვექსილების აღრიცხვას, კუპონებისა და ფასიანი ქაღალდების განაღდებას, დაწესებულებებისა და კერძო პირებისაგან სხვადასხვა გადასახდელების მიღებას. განყოფილებაც იღებდა ანაბრებს, სცემდა კრედიტებს. 1894 წლიდან სახელმწიფო ბანკი აქტიურად ჩაება ნავთობის საექსპორტო ოპერაციებში. გარკვეული პროცენტით კრედიტს უხსნიდა ადგილობრივ და უცხოელ ვაჭარ-მრეწველებს. განყოფილების ოპერაციები სწრაფად გაფართოვდა. 1902 წელს მისი ბრუნვა აქტივი და პასივი უდრიდა 84 მილიონს, 1904 წელს კი 141 მილიონ რუბლს [*Батумь ..., 1906 :429-430*].

1890 წლის 20 თებერვალს ბათუმში გაიხსნა თბილისის კომერციული ბანკის განყოფილება 5-6 კაცის შემადგენლობით. ბანკისათვის აშენდა სპეციალური შენობა დონდუკოვ-კორსაკოვის (კ. გამსახურდიას) და მარიას ქუჩების (მ. აბაშიძის გამზირი) კვეთაში. 1900 წელს ბანკის მმართველი იყო ი.მ. ხუ-

დადოვი. პირველ ხანებში ბანკი არ აწარმოებდა ვექსილების აღრიცხვას, 1894 წლიდან განყოფილებასთან შეიქმნა სააღრიცხვო კომიტეტი. ამ დროიდან განყოფილებამ დაიწყო ვექსილების აღრიცხვა, რამაც შესაძლებელი გახადა მოგება 800-დან 900 ათას მანეთამდე გაზრდილიყო. ბანკი ღებულობდა ანაბრებს რუსულ ვალუტაში, ორგანიზებას უწევდა სასაქონლო-სასესხო ოპერაციებს. გირაოდ ღებულობდა უძრავ-მოძრავ ქონებას, გამძლე პროდუქციას და კრედიტებს უხსნიდა ნავთის მრეწველ-ექსპორტიორებს. მისი კლიენტები ნავთობის პროდუქტებს გზავნიდნენ დასავლეთ ევროპის დიდ ქალაქებსა და სხვა მნიშვნელოვან სავაჭრო-სამრეწველო ცენტრებში. თბილისის კომერციული ბანკის განყოფილების მეანაბრე მრავალი ბათუმელი გახდა. მოქალაქეებს საშუალება ჰქონდათ განყოფილების მეშვეობით შეეძინათ (გადაეცვალათ) უცხოური მონეტები, ფასიანი ქაღალდები. 1902 წელს თბილისის კომერციული ბანკის ბათუმის განყოფილების საერთო ბრუნვამ შეადგინა 172 მლნ რუბლი [Батумь ..., 1906 :423].

1896 წელს ბათუმში გაიხსნა სამხრეთ რუსეთის სამრეწველო ბანკის განყოფილება, რომელიც მდებარეობდა მარიას ქუჩისა და შერემეტიევის ქუჩების კუთხეში ძმები ივანიანების სახლში (ამჟამად მ.აბაშიძის და ლ.ასათიანის ქუჩების კვეთა) [Всеобщий адресь, 1902: 93]. ბანკის მმართველი იყო იახტენკო.



ივანიანების სახლი, სადაც განთავსებული იყო სამხრეთ რუსეთის სამრეწველო ბანკის ბათუმის განყოფილება (ამჟ. მ. აბაშიძისა და ლ. ასათიანის ქუჩების კვეთა)

ბანკს კლიენტებად ჰყავდა აგრეთვე ქუთაისის, ფოთის, ჭიათურის სამტრედიის ვაჭარ-მრეწველები და სხვა საქმიანი ადამიანები. მის კომერციულ ოპერაციებში მთავარი ადგილი ეკავა თამასუქების აღრიცხვა-განაღდებას, საქონლისა და ფასიანი ქაღალდების გირაოთი მოკლევადიანი სესხების გაცემას, განყოფილების კრედიტებით ფართოდ სარგებლობდნენ ქუთაისის გუბერნიაში დამზადებული აბრეშუმის პარკის შემსყიდველი ვაჭრები, რითაც ისინი ახერხებდნენ ამ ნედლეულზე შედარებით მაღალი ფასების შენარჩუნებას და დასავლეთ ევროპაში (მარსელი, მილანი) სარგებლობას.

განყოფილებას გახსნილი ჰქონდა სპეციალური ანგარიშები, აწარმოებდა უცხოეთში ფულის გადარიცხვას, ყიდულობდა და ყიდდა ფასიან ქაღალდებს. სამხრეთ რუსეთის ბანკის ბათუმის განყოფილება არ დასჯერდა საბანკო-საკრედიტო ოპერაციებს და ჩაება ქალაქის სამრეწველო ცხოვრებაში. შეიძინა მიწის ნაკვეთი, გამართა ნავთობის ტარის დამამზადებელი ქარხანა. 1898 წელს ბანკის განყოფილებამ ხელი მოჰკიდა ექსპორტსაც. საამისოდ ბათუმში გამართა საწყობები, იჯარით აიღო რკინიგზის პლატფორმა და ნავმისადგომი. მას ყოველწლიურად დასავლეთ ევროპასა და აზია-აფრიკაში გაჰქონდა რამდენიმე მილიონი ყუთი მარგანეცი. ამ გზით იგი საბანკო მოგებასთან (პროცენტი) ერთად სავაჭრო მოგებას აწარმოებდა *[ბენდიანიშვილი, 2008:264]*.

ბათუმის წვრილმა ვაჭარ-მრეწველებმა და სხვა მესაკუთრეებმა თავიანთი ინტერესების დაცვის მიზნით 1895 წლის 4 მარტს დაარსეს საურთიერთო საკრედიტო ბანკი, ბანკი მდებარეობდა მარიას ქუჩაზე, სტეფანოვის სახლში *[Гурская, 1901:75]*, ხოლო 1902 წლიდან ბანკი გადავიდა საკუთარ შენობაში მარიასა და ერისთავის ქუჩების კვეთაში (ამჟამად მ. აბაშიძის ქ. № 15 და გ. მაზნიაშვილის ქ. № 6) მდებარე შენობაში *[Батумь ..., 1906:61]*. ამ ბანკის დაარსების საქმეში უდიდესი წვლილი შეიტანეს ქ. ბათუმის თვითმმართველობის წევრმა გრიგოლ ვოლსკიმ და თვითმმართველობის მდივანმა ივანე მესხმა. დ. კლდიაშვილის წიგნში „ჩემი ცხოვრების გზაზე“ კვითხულობთ: „ვოლსკი და მესხი იმდენს ეცადნენ, რომ გახსნეს თითქმის მხოლოდ ქართველებისაგან შემდგარი საურთიერთო კრედიტის საზოგადოება. დიდად აითვალწუნეს საზოგადოება თბილისის კომერციული ბანკის ბათუმის განყოფილებამ, მაგრამ დაულალავმა მეცადინეობამ თავისი გაიტანა და დაარსებული საკრედიტო საზოგადოება წარმატებაში შეჰყავდათ ხელმძღვანელებს, ნდომას პოულობდა და თავის მიზანს ნელ ნელა აღწევდა – აწვდიდა კრედიტს საშვალო ხალხს. საზოგადოების თავმჯდომარედ არჩეული იყო მდიდარი, განათლებული, განვითარებული ებრაელი შპოლიანსკი. ამის მიმხრეობამ დიდი სარგებლობა

მოუტანა საკრედიტო საზოგადოებას. საქმის მცოდნემ, გავლენიანმა ებრაელ-მა, წახალისებულმა იმ პატივისცემით, რომლით ეგებებოდნენ მას ქართველები, მკვიდრ ნიადაგზე დააყენა ბანკი” *[კლდიაშვილი, 1984:53]*.

ურთიერთდამკრედიტებელი საზოგადოების დამფუძნებელ წევრთა 55% იყო ვაჭარი, 22% – სახლმფლობელი, 18%-მდე – მოხელე, 4% – ხელოსანი. მოკლევადიან სესხად გაიცემოდა ერთ კაცზე მაქსიმუმ 2500 რუბლი, რაც სრულებით არა საკმარისი იყო ვაჭარ-მრეწველებისათვის. ეს იყო ძირითადი მიზეზი, რომ მოსახლეობის ეს ფენა დასახელებულ საზოგადოებაში არ გაწევრიანებულა.

ბათუმის „ურთიერთდამკრედიტელი საზოგადოება“ თავის წევრებს აძლევდა მოკლევადიან სესხებს დაგირავებული ქონების ღირებულების 40-60%-ის ოდენობით. საზოგადოებას საკმაოდ ბევრი მეანაბრე გაუჩნდა, რამაც განაპირობა ძირითადი კაპიტალის მობილიზაცია და საკრედიტო ოპერაციების გაფართოება. საზოგადოების ერთ-ერთი ძირითადი ოპერაცია იყო ვექსილების აღრიცხვა-განაღდება. 1895 წელს აღირიცხა 158 ათასი რუბლის ვექსილი, 1897 წელს – 61 ათასი რუბლის, 1900 წელს – 1, 2 მლნ, 1902 წელს კი 1,5 მილიონი რუბლის ვექსილი. საზოგადოებამ სესხად გასცა 39512 რუბლი. 1903 წელს – 100 ათასი რუბლი. 1901 წელს საკრედიტო საზოგადოების მოგება შეადგენდა 15079 რუბლს *[ბენდიაშვილი, 2008 :265]*.

ბათუმის ოლქში საკრედიტო ოპერაციებს აწარმოებდა აგრევე შეერთებული ბანკის ბათუმის განყოფილება, რომელიც მდებარეობდა მიხაილოვის ქუჩაზე შპოლანოვის სახლში (ამჟამად ზ. გამსახურდიას ქ. №12) და რუსეთ-აზიის ბანკის ბათუმის განყოფილება, რომელიც მდებარეობდა მარიასა და დონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩების კუთხეში მდებარე საბაევის სახლში (ამჟამად მ. აბაშიძის ქ. №20) *[Батумское пабережье, 1913:2]*.



საურთიერთო საკრედიტო ბანკი
ამჟამად მ. აბაშიძის ქ. №15 და მ. მაზნიაშვილის ქ. №6 (კვეთა)



საბაგევის სახლი, სადაც განთავსებული იყო
რუსეთ-აზიის ბანკის ბათუმის განყოფილება
მ. აბაშიძის ქ. №20 – კ. გამსახურდიას ქ. №11 (კუთხე)

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

ბენდიანიშვილი, 2008: – ბენდიანიშვილი ა., ვაჭრობა და საბანკო-საკრედიტო ურთიერთობანი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, ბათუმი, 2008.

კლდიაშვილი, 1984: – კლდიაშვილი დ., ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათუმი, 1984.

Гурская, 1901: –Гурская Н., Путеводитель и справочная книжка по гор. Батуми и окрестностям, Тифлис, 1901.

Батумь и его окрестности, 1910 : – Батумь и его окрестности въ описание И. А. Веру, Батум, 1910.

Батумь .., 1906: – Батумь и его окрестности, К 25-летию присоединения гор. Батума к Российской Империи, Батум, 1906.

Всеобщий адресь, 1902: – Всеобщий адресь ежегодникъ гор.Батума на 1902 года, съ кратким

очеркомъ истории Батумского края Н. С. Державина, Батум, 1902.

Батумское пабережье, 1913: – Батумское побережье, Южная колхида, краткий практический путеводитель С.Соловнина Батум, 1913.

Otar Gogolishvili (Batumi, Georgia)

Credit Institutions in Batumi at the Turn of the XIX- XX Centuries

Summary

In the 70s and 90s of the 19th century the Georgian trade was significantly expanded and its participation in Russian foreign trade has been strengthened as a result of the withdrawal railways, commodity farming and industry. The establishment of banking-credit arrangements has been strengthened the economic union of individual Regions of Georgia. The circulation of commodities was expanded. A large part of the production goods in Georgia has shifted the way to the foreign market. Batumi became one of the leading industrial and trade center in Georgia. Batumi also became an international transport trade center.

გვარი _ ღირსების ფენომენი (ბათუმელ გუგუნავათა შესახებ)

კარგა ხანია, რუდუნებით ვაგროვებ სხვადასხვა დროს ქართულ პერიოდიკასა და სამეცნიერო ნაშრომებში დასტამბულ ისტორიულ მასალებსა და ცნობებს გუგუნავათა საგვარეულოს შესახებ.

ამას ერთგვარი სიამაყითაც ვაკეთებ, რადგან გუგუნავათა ცხოვრების წესი – ერისშვილობა, ქართული ტრადიციებისადმი ერთგულება, მაღალზნეობრიობა, ინტელექტუალური სიმაღლე, განათლებულობა, დიახაც წარმოსაჩენი და ხაზგასასმელია. ამასვე ადასტურებს პროფესორი იაკობ ახუაშვილი, როცა წერს, რომ „გუგუნავები თავიანთი სოციალური მდგომარეობითა და სიბრძნესიქველით ფრიად დაწინაურებული საგვარეულოა“ (წიგნიდან „გუგუნავები“, გვ.3, თბ. 2002 წ.).

პოეტი მამია გურიელიც მთავრის კარის ლხინის აღწერისას ლექსში პირველ ადგილს გუგუნავათა გვარს ანიჭებს.

გუგუნავათა გვართ, სხვადასხვა პერიოდში, დაინტერესდა არაერთი ქართველი მეცნიერი. მათ შორის: იაკობ ახუაშვილი, იოსებ მეგრელიძე, იური სიხარულიძე, ივანე სურგულაძე, ავთანდილ სილაგაძე, ლია უგრეხელიძე, ანზორ თოთაძე, პაატა ცხადაია და მრავალი სხვა.

მათ დიდი სული და გული ჩადეს ჩვენი გვარის ისტორიული ფურცლების გაცოცხლების საქმეში. წარმოაჩინეს გუგუნავათა გვარის დამსახურება ქართული ეროვნული კულტურისა (მწერლობა, მხატვრობა, მუსიკა) და სოციალურ-პოლიტიკური აღმავლობის საქმეში. ვსარგებლობ შემთხვევით და ამისათვის გულითად მადლობას ვუძღვნი მათ.

პრეტენზია არ გამაჩნია, რომ აჭარის მკვიდრ გუგუნავათა საგვარეულოს შტო წინამდებარე წერილში სისრულითაა წარმოდგენილი (თუნდაც გამომდინარე იქიდან, რომ ამჯერად საუბარი მექნება მხოლოდ ბათუმელ გუგუნავებზე).

კარგად ცნობილია ისიც, რომ ქალაქსა თუ სოფელს უმთავრეს თავმოსაწონებლად ის ადამიანები ჰყავთ, რომელთაც განსაკუთრებული ღვაწლი შეიტანეს ქვეყნის კეთილდღეობისათვის ბრძოლაში. ამ კუთხით, კეთილმოსახსენებელია ცალკეულ საგვარეულოთა დამსახურება. წინამდებარე ნაშრომში ბა-

თუმელ გუგუნავათა მოქალაქეობრივ და მამულიშვილურ დამსახურებას წარმოვაჩენ.

მანამდე კი მოკლედ ვისაუბრებ იმ ისტორიულ მონაკვეთზე, რომლის გავლის შემდეგაც ამ გვარის წარმომადგენელთ ბათუმელის „სტატუსი“ ერგოთ.

უნდა ითქვას, რომ ამას თითქმის საუკუნე დაჭირდა (განპირობებული მიგრაციის გამომწვევი ისტორიული პროცესებით და ბათუმში თვითდამკვიდრების ხელისშემწყობი გარემოებებით).

დავიწყებ იმით, რომ გუგუნავები იხსენებიან არამარტო საქართველოს, არამედ „რუსეთისა და თქვენ წარმოიდგინეთ აფრიკის ტერიტორიაზეც კი (გუგუნარი, ჭანუყვარი)“ – გაზ. „აჭარა“, 01.12.1992 წ., ლია უგრეხელიძე – „ერთი გვარის ისტორია“.

რაც შეეხება გვარის კეთილშობილ წარმომავლობას, ამასთან დაკავშირებით, არაერთი ისტორიული წყარო მოიპოვება. დავიწყებ იქედან, რომ გვარი გუგუნავა მოხსენიებულია გუჯარში, რომელსაც ვახუშტი ბაგრატიონი გვაწვდის – „მეფემან ალექსანდრემან, ძემან გიორგი მეფისაგან, გაჰყარა სამნი ძმანი – აბაში, გუგუნა და დავით, აბაშისაგან აბაშიშვილები, გუგუნასაგან ბარათიანი და დავითისაგან ყაფლანიშვილები არიან.“

პროფესორ რამაზ სურმანიძეს ნაშრომში – „თავადაზნაურობა და მათი ოჯახები ბათუმის ოლქში“ – აღრიცხული ჰყავს 1912 წელს, ბათუმის ოლქში მცხოვრები მოქალაქეები, რომლებიც წოდებრივ კომისიას მიმართავენ წოდების აღდგენის თაობაზე. მათ შორისაა: „გუგუნავა ახმედ-აღა, მემედ ეფენდი, ხუსეინ-აღა (ქობულეთი, კინტრიშის უბანი)“ (რამაზ სურმანიძე – „თავადაზნაურობა და მათი ოჯახები ბათუმის ოლქში“, გვ.210, გამომცემლობა „გლობალ-პრინტი“, თბ.2007 წ.).

შეიძლება ამგვარი განცხადების პასუხად გამოდგეს პროფესორების ზურაბ ჭუმბურიძისა და ქველი ჩხატარაიშვილის ნაშრომი „გურიის თავადთა და აზნაურთა ოჯახები“, სადაც ქობულეთის თემიდან თავადებად მოიხსენიებიან „თავდგირიძე (XVII საუკუნეში სამცხიდან მოსული) და გუგუნავა (XVI საუკუნეში ერისთავად მჯდომი)“, (გვ.14). აქვე თანდართულია თავადთა და აზნაურთა წოდების მიკუთვნებულ გუგუნავათა სახელდებითი საოჯახო სია.

„დედანს მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის საკუთარი ხელით აწერია: „ვამტკიცებ“, სანკტ-პეტერბურგი, 6 დეკემბერი, 1850 წ.“ (გვ.21).

გუგუნავათა საგვარეულო ტოლს არცერთ გვარს არ უდებდა სახელოვან შვილთა მრავლობაში.

ძალზე საინტერესო პიროვნება ყოფილა „თამარიანის“ ავტორის მამა – დავით სიმონის ძე (1805-1885) – დიდ დათა გუგუნავად წოდებული ქართველი

რაინდი, პირველი ხარისხის წმინდა გიორგის ჯვარის სრული კავალერი, შესანიშნავი ხალხური სიმღერის „შავი შაშვის“ ტექსტის და ჰანგის პირველ-მთქმელი.

ვინ არ იცნობს პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს, სიმონ დავითის ძე გუგუნავას (1839-1909), რომლის პოემას, „თამარიანს“, მაღალ შეფასებას აძლევს პროფესორი იოსებ მეგრელიძე: „შოთა რუსთაველის გენიალური „ვეფხისტყაოსნის“, იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენისა“ და „ბუნების კარის“, აკაკისა და ილიას რიგი ლექსების შემდეგ, „თამარიანი“ უპოპულარესი ნაწარმოებია რევოლუციის წინა პერიოდის საქართველოში, განსაკუთრებით – გურია, აჭარა, იმერეთი“ („გუგუნავები“, გვ.46).

გუგუნავათა საგვარეულოს ბრწყინვალე წარმომადგენლები არიან ცნობილი მხატვრები: ივანე (ჩითინ) და ვარდენ გუგუნავები.

„უამრავ გუგუნავათაგან განსაკუთრებით ხაზგასასმელია სიმონ დავითის ძე გუგუნავა, მოჭადრაკე, დაბადებული 1915 წელს. მას სპორტულ თემაზე წერილების გარდა გამოქვეყნებული აქვს სტატიები და ამაგი მიუძღვის მამა-პაპათა ბიოგრაფიული მასალების შეგროვებაში“ (ლია უგრეხელიძე, „გაზ. „აჭარა“, 01.12.1992).

გუგუნავათა კეთილშობილი გვარი არცთუ ისე მრავალრიცხოვანია ქართულ საგვარეულოთა ძირითად ნუსხაში.

1995 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით, საპასპორტო მონაცემებისა და მეტრიკული ამონაწერის მიხედვით საქართველოში სულ 660 კომლი გუგუნავა ცხოვრობს. მათ შორის:

სენაკში – 186

თბილისში – 151

ბათუმსა და ქობულეთში – 149

დანარჩენ რეგიონებში – 174

* * *

ბათუმელ გუგუნავებზე საუბარს დავიწყებ მამაჩემით – ახმედ ზაბითის ძე გუგუნავათი.

მკითხველმა მიკერძოებაში რომ არ ჩამითვალოს, მამაჩემის გავლილი გზის დასახასიათებლად, პოეტ ცისანა ანთამეს გადავცემ სიტყვას.

“ჩვენი ერის მაჯისცემას ყველა დროსა და ეპოქაში მხოლოდ და მხოლოდ ღირსეული ქართველი დარაჯობდა. სწორედ ღირსეულმა ქართველმა მოიტანა საქართველო დღემდე. კატეგორიულად გამოვრიცხავ ღირსების საზომში თანამდებობას და მოკვდავთა მიერ მინიჭებულ რეგალიებს.

ღირსეულ ქართველად მოსახსენებელ კაცს ჭირდება: გვარიშვილობა, აუმღვრეველი სისხლი, სპეტაკი სული, ნამუსის ქუდი, მოყვასთან ურთიერთობის ღვთიური ნიჭი, პატიოსნება და რაც მთავარია – ქვეყნისა და ოჯახის ერთგულება. ღირსეული კაცის ცხოვრება მაგალითი უნდა იყოს მომავალი თაობებისათვის.

სწორედ რომ ღირსეული ქართველის ჭეშმარიტი პროტოტიპია ახმედ გუგუნავა.

ახმედ ზაბითის ძე გუგუნავა დაიბადა 1908 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ ქობულეთში.

ზაბით გუგუნავა სოფელ ქობულეთში დიდი მამულის მქონე, იმხანად გავლენიანი პიროვნება ყოფილა. მეუღლე – ფატი კორძაია (ხელვაჩაურის რაიონის სოფელ კაპრეშუმიდან) აჭარაში კარგად ცნობილი თემელ-აღა კორძაიას ქალიშვილი იყო.

10 წლისა იყო ახმედი, როცა მისი ოჯახი კაპრეშუმში გადავიდა საცხოვრებლად. საშუალო სკოლა ახმედ გუგუნავამ ბარცხანაში დაამთავრა და მუშაობა დაიწყო ნავთობსინდიკატში. 1925 წელს შევიდა კომკავშირის რიგებში. 1928 წელს აირჩიეს ბიდონის ქარხნის მუშათა კომიტეტის თავმჯდომარედ.

1930 წლიდან ახმედ გუგუნავა აჭარის პროფსაბჭოს მუშა-ახალგაზრდობას შორის მუშაობის განყოფილების ინსტრუქტორია. ამავე წელს

შევიდა კომუნისტური პარტიის რიგებში. არჩეული იყო აჭარის პროფსაბჭოს პლენუმისა და პრეზიდიუმის წევრად. 1932 წელს გადაყვანილ იქნა კომკავშირის საოლქო კომიტეტის განყოფილების გამგედ.

ახმედ გუგუნავამ იქორწინა ბაკურიძეთა დიდი გვარის შთამომავალზე, შესანიშნავი გარეგნობის, გონიერებითა და გამჭრიახობით გამორჩეულ აიშე ბაკურიძეზე. ეს იყო ქალბატონი, რომელიც დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა სისხლით ნათესაობის ტაბუდადებულ ღვთიურ კანონს.

1933 წელს ახმედ გუგუნავა გადაყვანილ იქნა აჭარის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილების უფროსის თანაშემწედ, მუშაობდა სამეურნეო ორგანოებში, ბოლოს „აჭარდამზადების“ მმართველად. სულ მალე რეპრესიებისა და ტერორის ტალღაც მიწვდა და 10 წელი გადასახლებაში, ჩელიაბინსკში გაატარებინეს, შვიდი წელი – ყაზახეთში, კუსტანაის ოლქში. რეაბილიტაციის შემდეგ, პენსიაზე გასვლამდე, მუშაობდა ბათუმის რძის ქარხნის დირექტორის მოადგილედ, შემდეგ დირექტორად.

გოგუცა გუგუნავა (ახმედის და) დაიბადა ქობულეთის რაიონის სოფელ ქობულეთში. მშობლები ცდასა და ენერგიას არ იშურებდნენ, რომ ქალიშვი-

ლისათვის განათლება მიეცათ. მაშინ საშუალო განათლება ქალისათვის იშვიათი გამოწვევის იყო. ამ გამოწვევითა შორის გოგუცა გუგუნავდა.

საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე ქალთა მოძრაობაში ჩაება, რომელიც აჭარაში ოსმალთა სამასწლოვანი ბატონობის შედეგად ჯერ კიდევ შემორჩენილი არაქართული ტრადიციებისაგან საბოლოო განთავისუფლების იდეას ემსახურებოდა.

ამ ულამაზესმა, ყველაფრით შემკულმა უსათნოესმა ქალიშვილმა, მკაცრი, პრინციპული უარი თქვა პირად ბედნიერებაზე და უანგაროდ გადაუნაწილა სიყვარულით სავსე გულის სითბო ძმების ოჯახებს.

დღეს მის სასაფლაოზე (ხელვაჩაურის რაიონი, სოფ. ჩაისუბანი) წარწერაა: „ჩვენი, ყველას მამიდა“.

რევაზ (რესან) ახმედის ძე გუგუნავა დაიბადა 1936 წლის 27 მარტს, ქალაქ ბათუმში. 1953 წელს დაამთავრა მახინჯაურის ქართული საშუალო სკოლა, 1961 წელს მოსკოვის ეკონომიკურ-სტატისტიკური ინსტიტუტი, ეკონომისტის სპეციალობით. სხვადასხვა წლებში მუშაობდა: „საქბაკალეას“ ბათუმის საბითუმო ბაზის უფროს საქონელმცოდნედ, შემდეგ ამავე ბაზის მმართველის მოადგილედ, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მთავარი სამხედრო ვაჭრობის # 675 სამხედრო ვაჭრობის უფროსად ქალაქ ბათუმში, „საქიუველირვაჭრობის“ ქ. ბათუმის #5 მაღაზიის გამგედ, „საქბაკალეას“ ბათუმის რესპუბლიკური საბითუმო ბაზის მმართველად, „საქტანსაცმელვაჭრობის“ რესპუბლიკური საბითუმო ბაზის მმართველად, „საქქსოვილტანსაცმელვაჭრობის“ გაერთიანების დირექტორად, რესპუბლიკური გაერთიანება „აჭარხილბოსტანვაჭრობის“ დირექტორად, „აჭარკოოპკავშირის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილედ, შემდგომ თავმჯდომარედ.

სხვადასხვა პერიოდში კურირებდა საორგანიზაციო და საკადრო საქმიანობას, ვაჭრობისა და საზოგადოების სამსახურებს.

რევაზ (რესან) გუგუნავამ შექმნა სიყვარულით სავსე, თბილი ოჯახი. მეუღლე – ლარისა თურმანიძე-გუგუნავასი, აჭარის დამსახურებული მასწავლებელია.

* * *

რევაზ (რესან) გუგუნავას ჰყავს ვაჟი – **ივერი გუგუნავა**, დაბადებული 1970 წლის 13 დეკემბერს. დამთავრებული აქვს მოსკოვის კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკური ინსტიტუტი (ტელე-რადიოკავშირგაბმულობის სპეციალობით) და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (ავტომატური ელექტროკავშირგაბმულობის სპეციალობით).

სხვადასხვა წლებში მუშაობდა კავშირგაბმულობის სისტემაში, ბათუმის ნავთობტერმინალში (ინჟინერ-ელექტრიკოსად). 2001 წლიდან იგი ბათუმის ნავთობტერმინალის მონიტორინგის სამსახურის უფროსია.

ჰყავს მეუღლე – ელენე რუსეიშვილი, ჟურნალისტი. (შპს „გორდას“ საე-რო-ელიტარული სკოლის პედაგოგი) და შვილები: ანა, ნანა და ლანა, შვილი-შვილი გეგა გუგუნავა.

ნანი ახმედის ასული გუგუნავა – რეალობაა, რომ გუგუნავათა საგვარეუ-ლოს ერთ-ერთი წარმომადგენელი მეც გახლავართ. ამიტომ აქვე წარმოვადგენ ჩემს ავტობიოგრაფიულ შტრიხებს, ჩემივე ეპოქის ცნობილი პიროვნებების თვალთ დანახულს.

„ნანი გუგუნავა – აჭარის განათლების მინისტრი. მასთან საუბარი ინტე-ლექტუალურ და სულიერ სიამოვნებას განიჭებს. ამას კი არა მარტო ის საინ-ტერესო სფერო (ლაპარაკია განათლების სფეროზე) განაპირობებს, არამედ მი-სი პიროვნების ხიბლიც...

...საუბრისას რწმუნდები, რომ იგი უპირველესად ადამიანია, თანამდებო-ბა კი ის მძიმე ტვირთი, უდიდეს პასუხისმგებლობას რომ აკისრებს ქვეყნის, ხალხისა და განსაკუთრებით ახალგაზრდობის წინაშე“.

*რუსუდან ლორთქიფანიძე
გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
1996 წლის 8 მარტი.*

„12 წელი (1993-2004) განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობდა. ეს იყო უმძიმესი წლები ჩვენი ქვეყნის ისტორიაში... აჭარის განათლების მინისტრმა შეძლო სახალხო განათლების სისტემის განახლება, გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელი სიმწელებების დაძლევა, ახალი აღმასვლის უზრუნველყოფა... „ნანი გუგუნავა თავისი ისტორიული გვარის მაღალი ტრადიციების ღირსეული წარმომადგენელია. სიდარბაისლით გამოირჩევა, როგორც მეცნიერი, აღმზრდელი, ორგანიზატორი და მოღვაწე“.

ნათელა ვასაძე – წიგნიდან „ღვაწლით გაღამაზებული სიცოცხლე“, ს.ს. გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი, 2011, გვ.267.

„ქალბატონ ნანი გუგუნავას არსებაში თითქმის სრულადაა განცხოვე-ლებული კლარჯეთის ერთ-ერთი საპატიო გვარის – გუგუნავების (გუგუნა ადგილია კლარჯეთში) წიაღში არსებული გენეტიკური კოდი. ამიტომაც მისი სახით, სამშობლოს მოველინა სულიერად და ფიზიკურად ამაღლებული

ასული“. ასეთი ადამიანები ბედნიერ ვარსკვლავზე იზადებიან მხოლოდ, ისიც იშვიათად ჩნდებიან ზოგიერთ გვარში“.

*შუშანა ფუტყარაძე, პროფესორი
(წიგნიდან „ღვაწლით გალამაზებული სიცოცხლე“, გვ. 236).*

„მეცნიერულ ზრდასთან ერთად, ის ერთგულად ემსახურებოდა აჭარას მრავალ სახელმწიფო თანამდებობაზე: იყო განათლების მინისტრი, მრავალგზის იქნა არჩეული მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, აჭარის უმაღლესი საბჭოს, უზენაესი საბჭოს დეპუტატად, აჭარის პარლამენტის სენატორად და სენატის სამდივნოს თავმჯდომარედ.

მისი ნაყოფიერი მუშაობა აღნიშნულია ღირსების ორდენით, მედლებით, მემედ აბაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემიით.

ასეთ მრავალმხრივ და დიდი სახელმწიფოებრივ დატვირთვასთან ერთად, ნანი გუგუნიას არ გამოორჩა აჭარის ქალთა რესპუბლიკური საბჭოც, რომელსაც ის წლების მანძილზე უდგას სათავეში და რომლის მრავალ ღონისძიებას წარმატებით ატარებს“.

*ნინო ჯავახიშვილი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი
(წიგნიდან „ღვაწლით გალამაზებული სიცოცხლე“, გვ.229).*

წინამდებარე ფრაზებს, ჩემი ავტობიოგრაფიის შესავსებად, დავამატებ, რომ 2013 წლიდან ვარ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი.

გამოცემული მაქვს 120-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის, 7 მონოგრაფია.

2017 წელს მომენიჭა ბათუმის საპატიო მოქალაქის წოდება.

მეუღლე - მერაბ მემედის ძე გათენაძე 53 წლის ასაკში (1982 წელს) წავიდა წუთისოფლიდან. დამთავრებული ჰქონდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. სხვადასხვა წლებში მუშაობდა: ქ. როსტოვში, ერთ-ერთი საავადმყოფოს მთავარ ექიმად, აჭარის კოლმეურნეობათაშორისო სანატორიუმის მთავარ ექიმად, ჩაქვის საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილედ, შემდგომ მთავარ ექიმად, ბათუმის ფსიქონევროლოგიური საავადმყოფოს

განყოფილების გამგედ, ბათუმის ფიზიოთერაპიული საავადმყოფოს მთავარ ექიმად.

მერაბი იყო მზრუნველი მამა, მეუღლე და როგორც იტყვიან, ოჯახზე გადაგებული პიროვნება.

დედობა მაინც ყველაზე აღმატებული გრძნობაა. უფროსი ქალიშვილის - უმშვენიერესი ნინოს ნაადრევმა ცადამალლებამ უდიდესი ტკივილიც მარგუნა.

ვხარობ უმცროსი ქალიშვილით, ინგა გათენადით, მისი თბილი, შინაარსიანი ოჯახით. სამი შვილის ლამაზად აღმზრდელი დედაა ინგა. სკოლა მედალზე დაამთავრა, ბათუმის უნივერსიტეტი – წარჩინებით. სხვადასხვა წლებში მუშაობდა აჭარის კულტურის ფონდის ვიცეპრეზიდენტად, არჩეული იყო საერთაშორისო ასოციაციის („ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“) აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის გამგეობის წევრად.

ინგას ჰყავს სიყვარულზე დაფუძნებული ქართული ტრადიციული ოჯახი. მეუღლე – თორნიკე ბასილია ბიზნესმენია (სპეციალობით ინჟინერი).

ჯემალ ილიას ძე გუგუნავა დაიბადა 1940 წლის 1 ნოემბერს. 1958 წელს დაამთავრა ქ. ბათუმის #9 საშუალო სკოლა, 1965 წელს – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი.

სხვადასხვა პერიოდში მუშაობდა: ქედისა და ხელვაჩაურის რაიონებში, სანეპიდსადგურების მთავარ ექიმად; ქობულეთის კურორტთა მართვის საბჭოს სისტემაში (სანატორიუმ „ქობულეთის“ მთავარ ექიმად, სამკურნალო პანსიონატ „ფიჭვნარის“ მთავარ ექიმად), ქალაქ ქობულეთის მთავარი ექიმის მოადგილედ.

1981 წლიდან, **ჯემალ გუგუნავა**, ქ. ბათუმის მეზღვაურთა საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილედ (პოლიკლინიკური მომსახურების სფეროში) ინიშნება. 1990 წლიდან დღემდე, ამავე საავადმყოფოს მეზღვაურთა მომსახურების კაბინეტის გამგეა.

ჯემალ გუგუნავამ იქორწინა 1968 წელს, ნანი ოთარის ასულ ბოლქვაძეზე.

ქალბატონი ნანი ექიმი-პედიატრია. დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. მუშაობდა ბათუმის ბავშვთა პოლიკლინიკაში უბნის ექიმად, ბათუმის დედათა და ბავშვთა დაცვის ცენტრში, ექიმ-ორდინატორად.

ბატონ **ჯემალსა** და ქალბატონ **ნანის** ჰყავს ქალ-ვაჟი – **დეა და ზაზა გუგუნავები**.

დეა გუგუნავამ (დაბ. 1972 წელს) დაამთავრა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიური ფაკულტეტი და ეკოლოგიის უნივერსიტეტი.

ამჟამად მუშაობს დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ცენტრში, ექიმ-ლაბორანტად. ჰყავს ერთი ქალიშვილი (სტუდენტი).

ზაზა გუგუნავამ (დაბ. 1973 წელს) დაამთავრა ეკონომიკური ფაკულტეტი. ჰყავს ორი ვაჟი – **ანდრია და გაბრიელი**.

თამაზ ნოდარის ძე გუგუნავა დაიბადა 1946 წლის 8 სექტემბერს, ქ. ქობულეთში. 1963 წელს დაამთავრა ქობულეთის #1 საშუალო სკოლა, 1970 წელს - საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (სწავლული აგრონომის სპეციალობით).

სხვადასხვა პერიოდში მუშაობდა: ხელვაჩაურის ჩაის ფაბრიკაში (ცვლის უფროსად), ქობულეთის რაიონის სოფელ მუხაესტატეს ჩაის ფაბრიკაში (მთავარ ტიტესტერად), ოჩხამურის ჩაის ფაბრიკის მთავარ ტექნოლოგად, ხელვაჩაურის რაიონის ჩაის მრეწველობის საწარმოო გაერთიანების მთავარ აგრონომად, ბათუმის ჩაის ფაბრიკის დირექტორად, სალიბაურის ჩაის ფაბრიკის დირექტორად, ხელვაჩაურის რაიონის ჩაის მრეწველობის საწარმოო გაერთიანების გენერალურ დირექტორად. 1989-1993 წლებში მუშაობდა თურქეთის რესპუბლიკაში, ქალაქ სტამბულში, ფირმა „კარჩაის“ გენერალურ დირექტორად; 1996-2000 წლებში - ფირმა „დელფინის“ პრეზიდენტად.

ჰყავს და – ფატი გუგუნავა (პედაგოგი).

მეუღლე – ლამარა ვახტანგის ასული ჩხაიძე (ექიმი).

შვილები: გოჩა გუგუნავა (იურისტი), ლალი გუგუნავა (თურქული ენის სპეციალისტი). შვილიშვილები: ნინიკო, თინიკო, მარიამ კონცელიძეები; ანი, ოლეგი, ვახტანგ გუგუნავები.

წარმოვადგინეთ არასრული დახასიათება ბათუმელი გუგუნავების შესახებ. რამდენადაც ოდითგან ყველა გვარი საქართველოში უპირველესად სამშობლოსადმი გაწეული სამსახურით იწონებდა თავს, ჩვენც უფრო ამ მიმართულებით მივმართეთ მკითხველის ყურადღება; ვთვლით, რომ გუგუნავების გვარზე აქ წარმოდგენილი მასალამ გვარის შესახებ თხრობის მხოლოდ შესავალია, რომლის შევსება-გავრცობა, როგორც ზემოთ ვთქვით, მომავლისთვის გვაქვს დაგეგმილი.

Nani Gugunava (Batumi, Georgia)

Surname – Phenomenon of honor (About the Gugunavas from Batumi)

Summary

The lifestyle of the people of Gugunava family – being worthy of the Georgian nation, devoted to traditions, high intellect, education – should be introduced and distinguished. According to the professor Jacob Akhuashvili “the folk of Gugunava are the most promising people with their social conditions, generosity and wisdom” (monograph “The Gugunava Family” p.3, Tb., 2002)

The surname of Gugunava was the subject of interest a number of Georgian Scientists. They have greatly contributed in making alive the historical leaves of this famous surname, presented the merit of Gugunava in Georgian national culture and socio-political upheaval. This is why I am enormously thankful for them.

There are many historical sources about the noble origin of the Gugunava surname. It is mentioned in Gujari by Vakhushti Bagrationi, in the work of the professors Zurab Chumburidze and Kveli Chkhartishvili “Dukes and Noblemen in Guria”. The families of “Tavdgiridze” and “Gugunava” are mentioned as the dukes in Kobuleti community, which is attached with the names Gugunava family members who were entitled as dukes and noblemen.

“The document is written by his own imperial majesty: "I prove", in St. Petersburg, December 6, 1850.” (p.21)

The Gugunava family was not the last in upbringing a number of famous generations.

The poem “Tamarioni” by Simon David Gugunava is highly appreciated by the professor Ioseb Megrelidze: “After Shota Rustaveli's genius poem “The Knight in Tiger's Skin”, Iakob Gogebashvili's "Mother-Language" and "Nature's Door", Akaki's and Ilia's poems, "Tamarani" is the foremost work of the revolutionary period in Georgia” (“The Gugunava Family”, p. 46)

The brilliant representatives of the Gugunava family are famous painters: Ivane (Chathin) and Varden Gugunava.

The noble surname of Gugunava is not so numerous in the main list of Georgian families.

A worthy Georgian man needs to have: a surname, honesty of soul, sincerity, a godly talent of relationship with other people, frankness, loyalty to the country and the family. The life of a worthy man must be an example for future generations.

Akhmed Zabit Gugunava and other representatives of this surname are the true prototypes of worthy Georgians.

I do not have any complaints that there is a complete list of Gugunava family in the present letter (from the point of view, this time we are talking only about the Gugunavas from Batumi).

რუსეთის იმპერიის სამეურნეო-აგრორული პოლიტიკა დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში

დასავლეთ საქართველოში რუსეთს მთელი XIX საუკუნის მანძილზე, ოსმალეთთან გამუდმებული ომების გამო, დიდი რაოდენობით ჯარი ჰყავდა თავმოყრილი. გარდა ამისა, სამთავროების გაუქმების და რუსული ხელისუფლების გაფართოებასთან ერთად, სულ უფრო იზრდებოდა რუსული მმართველობის ბიუროკრატიული აპარატი და რუსული მოსახლეობის რიცხვი. ამასთან დაკავშირებით, საჭირო გახდა ჯერ არმიის, შემდეგ რუსი ჩინოვნიკების და მათი ოჯახების, და საერთოდ, რუსული მოსახლეობის ცხოვრებისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფა. ამასთან ერთად, დღის წესრიგში დადგა დაპყრობილ ქვეყანაში პოლიტიკური ბატონობისათვის ეკონომიკური საფუძვლის შექმნა, რაშიც პირველხარისხოვანი როლი უნდა შეესრულებია საადგილმამულო ურთიერთობათა გარდაქმნას, სოფლის მეურნეობის და მრეწველობის იმ დარგების განვითარებას, რომლებიც რუსეთის სახელმწიფოს სჭირდებოდა, სამომოსვლო გზების მოწესრიგებას და სატრანსპორტო საშუალებების გაუმჯობესებას. დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველო თავისი ბუნებრივ-გეოგრაფიული მონაცემებით: ზღვასთან სიახლოვე, ზომიერი, სუბტროპიკული კლიმატი, ნოყიერი ნიადაგი, ტყეების დიდი რაოდენობა, წარსულში ადგილობრივი მოსახლეობის მაღალი სამიწათმოქმედო კულტურა და მისი ტრადიციები, წიაღისეული სიმდიდრეების მრავალფეროვნება, შესაძლებელს ხდიდა, რომ ეს რეგიონი რუსეთის სახელმწიფოს ერთ-ერთ ეკონომიკურად დაწინაურებულ მხარედ გადაქცეულიყო. მაგრამ ჩამორჩენილ, ბატონყმურ, ხოლო XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ნახევრად-ფეოდალურ რუსეთს, რომელიც თვით იყო დამოკიდებული დასავლეთ ევროპის კაპიტალზე, არ შეეძლო და არც მის ინტერესებში შედიოდა ამის გაკეთება. რუსეთის მთავრობის ჩანაფიქრით, დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეკონომიკური პოტენციალი მთლიანად უნდა დაქვემდებარებოდა იმპერიის მეურნეობის და საგარეო ბაზრის მოთხოვნებს. ეს კარგად ჩანს კავკასიის მთავარმმართველის გენ. ი. პასკევიჩის 1830 წლის წერილიდან ფინანსთა მინისტრისადმი კანკრინისადმი: „ქარხნების და ფაბრი-

კების დამაარსებელთათვის, ზოგიერთი პრივილეგიის მინიჭება საეჭვოა რომ საჭირო იყოს, რადგან მე გადაწყვეტილად მიმაჩნია საკითხი – საქართველოში ფაბრიკების და ქარხნების წახალისების სარგებლიანობის შესახებ. განა არ უნდა ვუყურებდეთ საქართველოს როგორც კოლონიას? რომელიც ჩვენს ფაბრიკებს მიაწვდიდა ნედლ მასალას (აბრეშუმს, ბამბას და სხვ.), ხოლო რუსეთიდან მიიღებდა მანუფაქტურულ ნაკეთობას. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოში ასეთი მანუფაქტურების დაარსებით ბუნებრივად ხომ არ შესუსტდება მისი კავშირი რუსეთთან?“ ამ პოზიციას ეთანხმებოდა სენატორი განიც და თავის მხრივ ამატებდა: „საქართველოში და საერთოდ ამიერკავკასიაში, უნდა განვითარდეს მხოლოდ და მხოლოდ სოფლის მეურნეობა. ფაბრიკების და მანუფაქტურების დაარსება აქ ძალას წაართმევს და შეასუსტებს სოფლის მეურნეობის განვითარებას...ზიანს მიაყენებს რუსეთის მრეწველობას და ვაჭრობას. რაც შეეხება ამიერკავკასიაში მოყვანილ ნედლეულს, მისი გამოყენება და გადამუშავება მხოლოდ რუსეთის მრეწველობას შეუძლია“ *[რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, 2008: 80]*. რუსეთის კავკასიის ადმინისტრაცია არ იცნობდა მხარის თავისებურებებს, სკეპტიკურად იყო განწყობილი ადგილობრივი მოსახლეობის სამეურნეო ნიჭის და შესაძლებლობებისადმი, მიაჩნდა იგი ჩამორჩენილ და განუვითარებელ ბნელ მასად, რომლის გარუსება ძნელი საქმე აღმოჩნდა და რომელიც მისთვის პოლიტიკურად არასაიმედო იყო. ამიტომ მან მხარის ეკონომიკური ათვისების პროცესში ჩართო უცხოელი საქმოსნები, რომელთა ძირითადი ნაწილი ავანტიურისტი და იოლი გზით გამდიდრების მაძიებლები იყვნენ. ეს აშკარა გახდა, როგორც სოფლის მეურნეობაში, ასევე მრეწველობაში *[ვაჭრიძე, 2006: 194-195]*.

რუსული ხელისუფლების განმტკიცება ბევრად იყო დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი იქნებოდა მისი ეკონომიკური საყრდენი. ამ უკანასკნელის შექმნა კი სოფლის მეურნეობის აღდგენით და მისი შემდგომი განვითარებით უნდა დაწყებულიყო, რომლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ადგილობრივი მოსახლეობის, მატერიალური დოვლათის ძირითადი მწარმოებლის, გადასახადების გადახდისუნარიან ძალად გადაქცევა, სასურსათო პრობლემის გადაწყვეტა და რუსეთის მრეწველობისათვის საჭირო ნედლეულის წარმოება.

დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობა, ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების გამო, ისტორიულად მრავალდარგოვანი იყო. მის ტრადიციულ დარგებს შეადგენდა: მემინდვრეობა, მევენახეობა-მეღვინეობა, მეხილეობა-მებოსტნეობა, მეცხოველეობა, მეფრინველეობა, აბრეშუმის წარმოება, მეფუტკრეობა და სხვა. მთავრობის აგრარული პოლიტიკა, რომელიც მიზნად

ისახავდა სოფლის მეურნეობის იმ დარგების დაწინაურებას და აღმავლობას, რასაც იმპერიის ეკონომიკური ინტერესები მოითხოვდა, ღონისძიებათა მთელი კომპლექსისგან შედგებოდა. სოფლის მეურნეობისადმი მთავრობის ყურადღება, თავდაპირველად, შერეული ტიპის დეკორატიულ-სამეურნეო ხასიათის საცდელი-საჩვენებელი ბაღების და სანერგეების დაარსებაში გამოვლინდა. დეკორატიულ და ეგზოტიკურ მცენარეებთან ერთად რგავდნენ საზღვარგარეთიდან გამოწერილ ხეხილის ხეებს, ვაზს, ადგილობრივი პირობების გათვალისწინების გარეშე, რის გამო ზოგიერთი ვერ ეგუებოდა ახალ გარემოს და ხმებოდა. ამ საქმეს კურირებდნენ რუსული ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის პირები, რომელთათვის მებაღეობა ან გატაცება იყო (მაგალითად, კ. ბოროზდინის ცნობით, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი ა. გაგარინი) ან კიდევ თავის მოსაწონებელი საქმიანობა, იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ ზრუნავდა სამართავად ჩაბარებულ ჩამორჩენილი მხარის კეთილდღეობისათვის.

დასავლეთ საქართველოში ერთ-ერთი პირველი ასეთი ბაღი 1820 წელს მოაწყო იმერეთის მმართველმა პ. გორჩაკოვმა. იგი ქალაქის ცენტრში მდებარეობდა და ეკავა დაახლოებით ერთი დესეტინა ფართობი. მის მიერ დაწყებული საქმე გააგრძელა იმერეთის ახალმა მმართველმა ვ. ბებუთოვმა. ასე ჩაეყარა საფუძველი შემდეგდროინდელ ბუღვარს, რომელიც საბოლოოდ მოეწყო XIX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში ა. გაგარინის დროს *[ბოროზდინი, 1934: 195; Лаврентьев, 1858: 92]*.

დასავლეთ საქართველოში დეკორატიულ-სამეურნეო მებაღეობას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა 1834 წლის კანონის „კავკასიაში მებაღეობისათვის მიწების გამოყოფის შესახებ“ გამოცემის შემდეგ. მ. ვორონცოვის მეფისნაცვლობის დროს, მისი ინიციატივით, 1846 წელს კავკასიის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც კავკასიაში მებაღეობა და მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების მიზნით, რამდენიმე ადგილზე, მათ შორის ქუთაისში, ფოთსა და ოზურგეთში საბაღე სანერგეების დაარსებას ითვალისწინებდა. მ. ვორონცოვი თავის ანგარიშში აღნიშნავდა, რომ სურდა იმერეთსა და გურიაში, საერთოდ ამიერკავკასიის დასავლეთ ნაწილში ყოფილიყო ისეთი დაწესებულება, რომელიც მსურველებს ყვავილებისა და ხეხილის ნერგებით მოამარაგებდა. 1852 წელს ქუთაისში მართლაც გაკეთდა სახაზინო სანერგე დიდი სანიმუშო-საჩვენებელი ბაღით, ფერმით და სკოლით, რომელსაც იმდროინდელი მოწინავე, პრაქტიკული აგრონომიული ცოდნა-ჩვევები უნდა გაეცრცელებინა იმერეთში. 1855 წელს იქვე ჩამოყალიბდა მებაღეობის სკოლა,

რითაც მას სასწავლო დანიშნულება მისცეს. ამ სკოლის თანამშრომლები სხვადასხვა დროს იყვნენ: ფრანგი რეგნერი და მიშელ ვერსიე, შოტლანდიელი იაკობ მარი, ავსტრიელი ბარტონი, ჩეხი გორაჩევი და სხვები. 1868 წელს მეფისნაცვლის განკარგულებით, ჭომის ფერმა-სანერგე და მასთან არსებული სკოლა ქალაქს გადაეცა.

XIX საუკუნის 60-70-იანი წლების ბურჟუაზიული რეფორმების შემდეგ, მთავრობის ყურადღება სოფლის მეურნეობისადმი კიდევ უფრო გაიზარდა. სახაზინო სანიმუშო-სამეურნეო ბაღებზე ზრუნვასთან ერთად ტარდებოდა ღონისძიებები კერძო პირების მიერ რაციონალური, ბურჟუაზიული ხასიათის მეურნეობების მოწყობის მხარდასაჭერად, რაც, პირველ რიგში, შეღავათიანი კრედიტის მიცემას გულისხმობდა. ქართველ მემამულეთა ერთი ნაწილი, რომელმაც ალღო აუღო ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებს, ენერგიულად შეუდგა თავისი მეურნეობის ბურჟუაზიულ გარდაქმნას.

1894 წელს სახელმწიფო ქონების ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოში შედგა სია ქუთაისის გუბერნიაში არსებული იმ მამულებისა, რომლებიც თავისი მეურნეობით და მიწათმოქმედების კულტურის დონით, სანიმუშო იყვნენ მოსახლეობისათვის და სასარგებლო იყო მათი მონაწილეობა 1896 წელს დაგეგმილ სრულიად რუსეთის XVI სამხატვრო-სამრეწველო გამოფენის (ჩატარდა ნიჟნი ნოვგოროდში) მუშაობაში. მასში შეტანილია შემდეგი სანიმუშო მამულები: ქალაქ ქუთაისში – ფრანგი ჟანიოს, ჩეხი გორაჩევის და თავად წულუკიძის მამულები; ზუგდიდში – პრინც მიურატის მემკვიდრეების ვაზის და ხეხილის ბაღი; სოხუმის ოკრუგში – დიდი მთავრის ალექსი მიხეილის ძის, ვედენსკის, ტატარენკოს, პოლკ. ნიკიტინის, სმიტსკების და რეინგარტის მამულები; ბათუმის ოკრუგში – ჩაქვის ახლოს ალექსანდრე სტოიანოვის სამხრეთული მცენარეების დეკორატიული პარკი, ელენე ვუჩინოს დეკორატიული, ხეხილის სამრეწველო ბაღი ჩაის პატარა პლანტაციით, მიჩესლავ დ'ალფონსის დეკორატიული და ხეხილის ბაღი, პოპოვის ჩაის პლანტაციები; ქალაქ ბათუმში – მიხეილ ბეთანელის საბაღო დაწესებულება *[ქცსა, გვ. 18, აღ. 1, ს. 1995, ფურც. 24-25]*. აღნიშნული სია კარგად ასახავს რუსეთის აგრარული პოლიტიკის არსს. კურსი აღებულია უცხოელებზე, რითაც ნაჩვენებია, რომ მხოლოდ ისინი ასრულებდნენ წამყვან როლს მხარის სოფლის მეურნეობის ევროპულ საწყისებზე გარდაქმნის საქმეში.

რუსეთის მთავრობა დაბეჯითებით ცდილობდა დასავლეთ საქართველოში სუბტროპიკული კულტურების, პირველ რიგში, ჩაის გავრცელებას. 1847 წელს მ. ვორონცოვის ინიციატივით, ყირიმიდან ჩაის ბუჩქები შემოიტანეს

სოხუმში და ოზურგეთში. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ოზურგეთის, სენაკის და ზუგდიდის მაზრებში დაიწყო ჩაის საცდელი ნაკვეთების მოწყობა. ჩაის კულტურით კერძო მრეწველები: ა. სოლოვცევი, ნ. ზეიდლიცი, კ. პოპოვი და სხვ. დაინტერესდნენ, რასაც თან მოყვა აჭარაში ჩაის ორი მსხვილი მეურნეობის – კ.პოპოვის და ჩაქვის საუფლისწულო უწყების შექმნა *[Веру, 1912: 224-234]*.

იმპერიაში უდიდეს მიწათმფლობელად ითვლებოდა საუფლისწულო უწყება, რომელიც მთავრობას ეხმარებოდა დაპყრობილი ტერიტორიების კოლონიურ-ეკონომიკურ ათვისებაში. 1865-1897 წლებში რომანოვთა საგვარეულომ საქართველოში იყიდა 100 ათასი დესეტინა მიწა, სადაც ხელსაყრელი პირობები არსებობდა მევენახეობა-მელვინეობის, მებამბეობის, ჩაის და ციტრუსის მეურნეობის განვითარებისათვის. XIX საუკუნის 90-იანი წლებში საუფლისწულო უწყებამ საფუძველი ჩაუყარა ჩაის და სუბტროპიკული კულტურების დიდ მეურნეობას აჭარაში. 1897 წელს რომანოვთა საგვარეულოს გადაეცა ჩაქვის მიდამოებში არსებული სახაზინო მამული 10.225 დესეტინა ფართობით, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობისაგან უწყებამ შეიძინა 2.228 დესეტინა. ჩაის მზა პროდუქცია თითქმის მთლიანად რუსეთში იგზავნებოდა. უწყების მიზანი იყო ჩინური და ინდური ჩაის იმპორტის ჩანაცვლება საქართველოს შავიზღვისპირეთში დამზადებული პროდუქციით *[რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, 2008: 172-173]*.

ქართული მიწების ხელში ჩაგდებას და მფლობელ-მესაკუთრედ გადაქცევას ცდილობდნენ რუსი მრეწველები და ვაჭრები. XIX საუკუნის ბოლოს ბათუმის ოლქში საკმაო რაოდენობით იყვნენ ახალი მფლობელები. 1902 წლის მთავრობის დადგენილებით, მათ საკუთრებაში დაუმტკიცდათ მახინჯაურში, აჩკუაში, ჩაქვში, ქობულეთში შეძენილი მიწები, რადგან მოსულ მფლობელთა დიდი ნაწილი რუსი იყო და მათ მეურნეობას „კულტურული“ მნიშვნელობა ჰქონდა. მემკვიდრეობითი მფლობელის და მესაკუთრის უფლება მოიპოვეს: ბერტუსონმა, დზიუბენკომ, ლენცმა, მარკოვმა და მხოლოდ ორმა ქრისტიანმა ქართველმა. 1903 წლისთვის ბათუმის ოლქში მათ საკუთრებაში ჰქონდათ 23.500 დესეტინა მიწა *[რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, 2008: 173-174]*.

რუსული მმართველობის აგრარული პოლიტიკის სამსახურში იდგა ხელისუფლების მიერ შექმნილი ისეთი სოლიდური ორგანიზაცია, როგორიც იყო „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება“ (1850-1917). იგი წარმოადგენდა კავკასიის ადმინისტრაციის ერთ-ერთ საიმედო დასაყრდენს დაპყ-

რობილი მხარის ეკონომიკური ათვისების პროცესში. აღნიშნული საზოგადოება პერიოდულად აქვეყნებდა სასოფლო-სამეურნეო საკითხებზე სპეციალურ ლიტერატურას, კავკასიის მასშტაბით, თბილისში ყოველწლიურად აწყოდა დარგობრივ ან საერთო ხასიათის სასოფლო-სამეურნეო გამოფენებს. სათავეში ედგა მსოფლიოსა და რუსეთის ანალოგიურ გამოფენებზე საქართველოს მონაწილეობის საქმეს.

„კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების“ განყოფილებები XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან არსებობდა აჭარაში და აფხაზეთში. მათ სათავეში რუსები და რუსეთის სამსახურში მყოფი უცხოელები იდგნენ, რომლებიც ერთგულად ემსახურებოდნენ ხელისუფლებას აჭარის და აფხაზეთის კოლონიზაციის პოლიტიკის გატარებაში.

მთავრობის მიერ გატარებულ ღონისძიებებს, მიუხედავად ცალკეული დადებითი შედეგებისა, საერთოდ არ მოჰყოლია სოფლის მეურნეობის ძირეული გარდაქმნა, მისი მკვეთრი აღმავლობა. რუსულ მმართველობას ქართველი გლეხისათვის არ შეუქმნია მშვიდი, სამართლებრივ-ეკონომიკური გარემო, რომელშიც იგი შეძლებდა გამოემჟღავნებია თავისი სამეურნეო უნარი, ეფიქრა სიახლეებზე სოფლის მეურნეობაში. ყოველივე ამას ემატებოდა სახელმწიფოებრივი მმართველობის აპარატში გამეფებული ზღვარგადასული ბიუროკრატიზმი და მექრთამეობა, განაპირა მხარეებში ეკონომიკური პოლიტიკის დიდმპყრობელური, წინააღმდეგობრივი და არათანმიმდევრული ხასიათი.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

ვაჭრიძე, 2006: – ვაჭრიძე გ., დასავლეთ საქართველოში რუსეთის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ისტორიიდან, ქუთაისი, 2006.

ბოროზდინი, 1934: – ბოროზდინი კ., სამეგრელო და სვანეთი, 1854-1861, მოგონებანი, თარგმნილი თ. სახოკიას მიერ, ტფილისი, 1934.

რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, 2008: – რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, თბილისი, 2008.

ქცსა, ფ. 18, აღ.1, ს. 1995 – ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, სახელმწიფო ქონების და მიწათმოქმედების ქუთაისის საგუბერნიო სამმართველო, ფონდი 18, აღწერა 1, საქმე №1995.

Лаврентьев, 1858: – Лаврентьев, Статистическое описание Кутаисского генерал-губернаторства, СПб, 1858.

Верц, 1912: – Батум и его окрестности, в описании Д. А. Верц, Батум, 1912.

Agricultural Policy of the Russian Empire in Western and Southwestern Georgia

Summary

In Western Georgia creation of economic base for the political dominance depended greatly on the development of the fields of agriculture and industry that were dictated by the needs of the empire, improved roads and modernized vehicles.

The measures taken by the Russian government in agriculture contributed, on the one hand, to the growth of farming and the acceleration of sectoral specialization, development of the fields traditional in Western Georgia such as crops, wine-making and cotton and silk production and, on the other hand, import of new crops (tea, citrus) and their development.

The policy that the government carried out, except for some mere positive changes, did not lead to the fundamental transformation of agriculture and its boom. Russian governance did not create calm, legal and economic system, where Georgian peasants could apply their agricultural skills and think of innovation in agriculture. In addition to that high level of bureaucracy and bribery caused inconsequence and inconsistency of economic policy.

საქალაქო ტურიზმის უსაფრთხოება და გეოინფორმაციული (GIS) სისტემები

თანამედროვე ეტაპზე ტურიზმი, როგორც XX საუკუნის სოციალურ-ეკონომიკური ფენომენი, კიდევ უფრო მზარდ ხასიათს იღებს. მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის (მტო) ექსპერტების მიერ ჩატარებული ანალიზის შედეგების თანახმად, 2020 წლისათვის საერთაშორისო ტურისტების რიცხვი მიაღწევს 1.6 მილიარდს, ხოლო აქედან მიღებული შემოსავლები 2 ტრილიონ დოლარს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ იმავე პერიოდისათვის მსოფლიო ტურისტული ბაზრის თითქმის 75%-ს დაიკავეს ევრაზიული სივრცე, რაც სავსებით კონკრეტულ ტურისტულ პერსპექტივებს უსახავს ამიერკავკასიას – როგორც რეგიონს, და საქართველოს – როგორც სახელმწიფოს.

„საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“-ში დასახული განვითარების გეგმების მიხედვით 2025 წლისათვის მოგზაურთა შემოსვლა საქართველოში მიაღწევს 11 მილიონს. 2017 წლის აგვისტოს თვემდე საქართველოს 3,978,657 საერთაშორისო მოგზაური ეწვია, ზრდა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან +16.8%-ია.

ტურისტების რაოდენობრივი ზრდა აისახება საქალაქო ტურიზმის, კონკრეტულად კი ქ. ბათუმში შემოსული ტურისტების რაოდენობრივ მაჩვენებლებზე. ტურისტების შემოსვლა ხდება არა მარტო ერთი რომელიმე ქვეყნიდან არამედ მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებიდან. ტურიზმის შესახებ მიღებულ რიგ ნორმატიულ და სხვა დოკუმენტებში სუსტადაა წარმოდგენილი ტურიზმის უსაფრთხოების კონცეფცია, რომელსაც ხელი უნდა შეუწყოს მიმდებარე, ამ შემთხვევაში ქ. ბათუმი, ტურიზმის მდგრადმა განვითარებამ. მდგრადობა – განვითარების პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს „გეო-ტურიზმის“ კონცეფცია. ამ მხრივ მნიშვნელოვანი როლი ენიჭება არსებულ ვითარების ანალიზს და იმ მექანიზმებს, რომელთა მეშვეობითაც ხდება საქალაქო ტურიზმის უსაფრთხოების დაცვა, რაც ითვალისწინებს ფაქტორულ შეფასებებს. ფაქტორების შეფასების გარდა, საჭიროა ფაქტორული ანალიზი, რომელიც ასევე მოიცავს ნაწილს, სადაც აღწერილი იქნება ქალაქის ძლიერი მხარეების

გამოყენების, სუსტი მხარეების დაძლევის, შესაძლებლობათა გამოყენების და დესტინაციის საფრთხეებისგან დაცვის სტრატეგია.

საქალაქო ტურიზმის განვითარებისათვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სივრცითი მონაცემებთან ოპერატიული წვდომა და მათი გადამუშავების შესაძლებლობები. ამ მხრივ დღეისათვის შეუცვლელი ტექნოლოგიებია გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემები (გის), რომელიც სივრცითი მონაცემების მართვის ყველაზე ეფექტურ კომპიუტერულ-პროგრამულ საშუალებას წარმოადგენს. გის-ი გეომონაცემთა ბაზებზე დაფუძნებული სისტემაა და სულ უფრო მეტ ადგილს იკავებს ადამიანის საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში. დღეს მთელი მსოფლოს მასშტაბით მიდის ყველა სივრცითი ინფორმაციის გის ფორმატში განთავსება, საიდანაც შემდეგ სხვადასხვა საინფორმაციო პორტალები სარგებლობს. საქართველო თანდათანობით გლობალური სივრცითი ინფორმაციის ნაწილი ხდება. 2016 წლიდან იწერება **ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება (NSDI – National Spatial Data Infrastructure)**, რომელსაც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ევროკავშირის მოთხოვნისამებრ ახორციელებს. იგი ეფუძნება ევროპარლამენტის დირექტივას – INSPIRE, რომლის მიხედვითაც ევროკავშირის წევრი ქვეყნები თანხმდებიან ევროპის ფარგლებში საბაზისო გეოგრაფიული მონაცემების თავისუფალ გაცვლასა და ჰარმონიზაციაზე.

NSDI წარმოადგენს ინსტიტუციონალური ქმედებების, ტექნოლოგიების, წესების, სტანდარტების, მონაცემების და ადამიანური რესურსების კოორდინირებულ სისტემას, რომელიც ეროვნულ დონეზე სახელმწიფო ინსტიტუტებისათვის, თვითმმართველობებისათვის, აკადემიური წრეებისათვის, ბიზნეს სექტორისათვის და ზოგადად მოქალაქეებისათვის სივრცითი მონაცემების მოძიების, შეფასების, გამოყენების და გაზიარების ეფექტურ საშუალებას იძლევა.

გეოგრაფიული მონაცემების ბაზარი ყოველწლიურად იზრდება 10-30%-ით. შესაბამისად, სწრაფად ვითარდება ობიექტის ძებნის, მდებარეობის განსაზღვრისა და ნავიგაციის სერვისები. გეოგრაფიულ მონაცემებზე მოთხოვნა მატულობს უძრავი ქონების ბაზარზე, სადაზღვევო და ტურისტულ ინდუსტრიებში, სატრანსპორტო სექტორში და ა.შ. დღევანდელი ბაზრისთვის, საჭირო სივრცით მონაცემებზე წვდომა ხშირ შემთხვევაში რთულია, დაკავშირებულია დიდ დროსა და ხარჯებთან, შესაბამისად, არ ხდება მათი ეფექტურად გამოყენება.

სწორედ არსებული მდგომარეობის შეცვლა უნდა მოხდეს საქალაქო ტურიზმისათვის, ქ. ბათუმის მერიამ მიზნად უნდა დაისახოს საქალაქო ტურიზმის სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შექმნა და განვითარება. ეს მაქსიმალურად გაზრდის ბათუმში შემოსული ტურისტების ინფორმაციულ უზრუნველყოფას, არსებული გეოგრაფიული მონაცემების კონკრეტულ ანალიზს. ამისათვის საჭიროა გეოგრაფიული მონაცემების ახალი და გაუმჯობესებული სერვისების შექმნა, გადაწყვეტილებების მიღების საფუძვლად მათი გამოყენება საქალაქო ტურიზმის სექტორის და ზოგადად, ტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის უკეთესი წინაპირობების შექმნისათვის. ამ სისტემის ნაწილებს უნდა წარმოადგენდეს სხვადასხვა თემატური გეოინფორმაციული სისტემები.

ამ მიმართულებით საჭირო იქნება ქ. ბათუმის გეოინფორმაციული სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ტურისტების სივრცითი მონაცემებით უზრუნველყოფას. ასეთი სისტემა საფუძვლად დაედება სხვადასხვა ვებ-აპლიკაციებს, რომლებიც რეალიზდებიან ინტერაქტიური ვებ-რუკების სახით. ასეთი რუკები არსებობს, მაგრამ შეზღუდული რაოდენობით და ინფორმაციით. საჭიროა საქალაქო ტურისტებზე გათვლილი, რაც შეიძლება მეტი ინტერაქტიური ვებ-რუკა მაქსიმალური ინფორმაციით. ამავე დროს უნდა ხდებოდეს ინფორმაციის ყოველდღიური განახლება. ამის საშუალებას სწორედ გის სისტემები იძლევა. მობილურისთვის განკუთვნილი ასეთი აპლიკაციები ქალაქში ტურისტის შეუფერხებლად და უსაფრთხოდ გადაადგილების მნიშვნელოვანი საშუალებაა.

ქ. ბათუმში მყოფი ტურისტი გარკვეულწილად იმყოფება საშიშროების რისკების ქვეშ, რადგან უმეტესწილად მას უცხო გარემოსთან უხდება ურთიერთობა. რისკების შემცირების მიზნით აუცილებელია იგი მაქსიმალურად ინფორმირებული იყოს მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ. უნდა იცოდეს მათგან თავის არიდების რეკომენდაციები, ამა თუ იმ მარშრუტზე ქვევის ნორმები და ა.შ. ამ ინფორმაციის ოპერატიულად დამუშავება და მიღება შესაძლებელია გის-სისტემების დახმარებით. მას შეუძლია კონკრეტული მარშრუტის, ტურისტული დესტინაციის, სარეკომენდაციო თემატური რუკების გენერირება საშიში ადგილების ჩვენებით.

ასეთი ოპერატიული ინფორმაციის უქონლობის ან ხელმიუწვდომლობის გამო ტურისტულ მარშრუტებზე არაერთი სავალალო მაგალითი გვახსოვს, რომელთა ნაწილი არასახარბიელო შედეგებით დამთავრდა.

ტურიზმის უსაფრთხოება რისკების დონეზე ორ ძირითად ჯგუფად შეიძლება განვიხილოთ, რაც შესაბამის ასახვას ჰპოვებს გის-ის სტრუქტურაში. პირველი ჯგუფი ტურისტის უსაფრთხოებას და მისი ქონების დაცვას ეხება. მეორე კი – ტურისტული მარშრუტის უსაფრთხოებას, რაც გულისხმობს ბუნების (გარემოს), მატერიალური და კულტურული ძეგლების დაცვას.

ამჯერად მხოლოდ პირველ ჯგუფს შევხებით, სადაც რამდენიმე რისკის ჯგუფი გამოიყოფა:

1. გეოპოლიტიკური რისკები;
2. ბუნებრივ-ლანდშაფტური რისკები;
3. სამედიცინო რისკები;
4. სანიტარულ-ჰიგიენური რისკები;
5. სოციალური რისკები.

1. გეოპოლიტიკური რისკები.

ტურისტული თვალსაზრისით გეოპოლიტიკური რისკები თანამედროვე მსოფლიოს ბევრ რეგიონში არსებობს. თუმცა სახელმწიფოს ასეთ შემთხვევაშიც შეუძლია მეტნაკლებად უზრუნველყოს ტურიზმის უსაფრთხოება. მაგალითისთვის აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის მაგალითიც იკმარება.

გეოპოლიტიკური რისკები შეიძლება იყოს ხანგრძლივი და დროებითი. პირველი მათგანი განპირობებულია სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული დღემდე გადაუჭრელი სამხედრო კონფლიქტებით. დროებითი ანუ სტიქიური რისკები შეიძლება გამოიწვიოს ქვეყნის შიგნით მიმდინარე პოლიტიკურმა ან სოციალურმა ცვლილებებმა. საქართველოში ასეთ რეგიონებს ოკუპირებული ტერიტორიები (აფხაზეთი და სამაჩაბლო) და ჯავახეთის ნაწილი წარმოადგენს.

გეოინფორმაციულ სისტემებში აღნიშნული უნდა იქნას კონფლიქტის საზღვრები ბუფერული ზონებით და ცხელი წერტილები შესაბამისი გეომონაცემებით (კონფლიქტში მონაწილე მხარეები, კონფლიქტის ხნოვანება, კონფლიქტის რეგულირება, არსებული ვითარება, ბუფერულ ზონაში მოქცეული ტურისტულად საინტერესო ობიექტები და სხვა).

საჭიროების შემთხვევაში დაინტერესებულ პირს ან ორგანიზაციას შეუძლია მიიღოს ინფორმაცია, როგორც ციფრული ისე ამობეჭდილი სარეკომენდაციო რუკების სახით.

2. ბუნებრივ-ლანდშაფტური რისკები

გაცილებით მრავალფეროვანია ბუნებრივ-ლანდშაფტური რისკების სპექტრი. აქ შეიძლება გამოიყოს შემდეგი მოსალოდნელი საფრთხეები:

1. სტიქიური ბუნებრივი პროცესები:

- წყალმოვარდნა,
- მეწყერი,
- ღვარცოფი,
- სეტყვა.

2. ცოცხალი სამყარო:

- მტაცებელი ცხოველები,
- ქვეწარმავლები,
- ჭაობი.

3. რთული რელიეფი

აღნიშნული რისკები შეიძლება იყოს მუდმივი (მაგ., გაუვალი ჭაობი ან მტაცებელი ცხოველები) და სეზონური (მაგ., წყალმოვარდნა, ქვათაცვენა, ქვეწარმავლები და სხვა).

ტურიზმის უსაფრთხოების გეოინფორმაციულ სისტემაში თითოეული ზემოაღნიშნული საფრთხეები უნდა განთავსდეს ცალკეული თემატური ფენების სახით. ისინი შეიძლება გამოისახოს ხაზოვანი (მაგ., წყალმოვარდნის საშიშროების ქვეშ მყოფი ქალაქის მონაკვეთები) და პოლიგონური (მაგ; ქვეწარმავლების გავრცელების არეალები) სახით.

თითოეული თემატური ფენა უნდა შეიცავდეს დეტალურ ინფორმაციას საფრთხის შესახებ. მაგ., წყალმოვარდნის ფენის (გრაფიკულად წარმოდგენილი იქნება წყალმოვარდნის არეალების და გადაადგილების ვექტორის სახით) მონაცემთა ატრიბუტულ ცხრილში განთავსებული უნდა იყოს შემდეგი სივრცითი და თემატური ინფორმაცია: გეოგრაფიული მდებარეობა, ადმინისტრაციული მდებარეობა, ფართობი, კოორდინატები, მოქმედების ვადები (რომელი თვიდან რომელ თვემდე წარმოადგენს საფრთხეს), გადაადგილების აზიმუტი, წყალმოვარდნის საშუალო სიმაღლე, საფრთხის სახე მასთან დაკავშირებული უბედური შემთხვევები, კომუნიკაციების შესაძლებლობა და ხარისხი, უახლესი სამაშველო სამსახურები მისამართის მითითებით, რეკომენდაციები და სხვა. მონაცემთა ატრიბუტული ცხრილი გის-ის თემატური ფენის მონაცემთა ბაზას წარმოადგენს. მასში სტრიქონი შეესატყვისება სივრცით ობიექტს, ხოლო სვეტი საინფორმაციო ველებს.

3. სანიტარული რისკები

სანიტარულ რისკებს შეიძლება მივაკუთვნოთ გაჭუჭყიანებული გარემო (ნაგავსაყრელები, ნაგვის კერები, გაჭუჭყიანებული წყალი და სხვა). ასეთი ადგილები ტურისტების მოწამვლისა და სხვადასხვა დაავადებების გაჩენის კერა შეიძლება იყოს.

გეოინფორმაციულ სისტემაში უნდა განთავსდეს გაჭუჭყიანების კერები და გაჭუჭყიანებული არეალები შესაბამისი სივრცითი და თემატური ინფორმაციით. კერძოდ, გაჭუჭყიანების წყარო კოორდინატების მითითებით, გაჭუჭყიანების მასშტაბები, გამომწვევი მიზეზი, საფრთხის სახეები, არეალის ფართობი, უახლესი სამედიცინო დაწესებულებები მისამართის მითითებით, რეკომენდაციები და სხვა.

4. სოციალური რისკები

სოციალური რისკები რეგულირებადია, თუმცა მასაც ჭირდება შესწავლა და გის სისტემაში განთავსება. ასეთ რისკებს მიეკუთვნება:

1. ტერაქტები;
2. კრიმინოგენური ვითარება;
3. ადგილობრივი ტრადიციების უპატივცემლობა.

გეოინფორმაციულ სისტემაში განთავსდება წერტილოვანი (სამართლდამცავი ორგანოები) და პოლიგონური (ადგილობრივი ტრადიციების გავრცელების, ტერაქტების, კრიმინოგენური თვალსაზრისით დაძაბული არეალები) თემატური ფენები შესაბამისი ინფორმაციით (არეალის გეოგრაფიული და ადმინისტრაციული მდებარეობა, საფრთხის სახე და მასშტაბები, რეკომენდაციები და სხვა).

5. სამედიცინო რისკები

სამედიცინო რისკებს მიეკუთვნება სხვადასხვა სახის ეპიდემიები (მაგ., გრიპი). გეოინფორმაციულ სისტემაში უნდა განთავსდეს ეპიდემიის კერა, გავრცელების არეალები, გამავრცელებლები (მაგ., ქათმის გრიპის შემთხვევაში მიზანშეწონილია გადამფრენი ფრინველების ტრასების დატანა), სამედიცინო დაწესებულებები და სხვა. გეომონაცემთა ბაზებში უნდა ინახებოდეს ინფორმაცია პრევენციული ღონისძიებების შესახებ.

გარდა ზემოაღნიშნული მონაცემებისა ტურიზმის უსაფრთხოების გის-ში სხვადასხვა წერტილოვანი თემატური ფენების სახით განთავსდება თავშესაფრები, სადგომები და სხვა ექსპედიციების დროებითი ბაზები, მეტეორო-

ლოგიური სადგურები და სხვა. ექსტრემალურ სიტუაციაში ისინი თავშესაფრად შეიძლება გამოიყენონ.

მონაცემთა ძიება განხორციელდება სპეციალური საძიებო სისტემით, რომელშიც ინფორმაცია თემატურ ბლოკებში იქნება გაერთიანებული. იგი მომხმარებელს საშუალებას მისცემს მიიღოს უსაფრთხოების თვალსაზრისით საინტერესო ნებისმიერი ინფორმაცია კონკრეტულ ტურისტულ ობიექტზე თუ მარშრუტზე. მონაცემთა ბაზებში ასევე განთავსებული იქნება ობიექტის ტურისტულ-რეკრეაციული შინაარსის მონაცემები.

საძიებო სისტემის დახმარებით შესაძლებელი იქნება მარშრუტის საშიში მონაკვეთების მონიშვნა, რომელიც სეზონების მიხედვით განსხვავებული იქნება.

თითოეული მარშრუტი ან საფრთხის თემატური ფენა ასევე აღჭურვილი იქნება შესაბამისი სარეკომენდაციო პაკეტით. თითოეულ ობიექტზე იქნება შემდეგი სახის რეკომენდაციები: აღჭურვილობა, სასმელ-საკვები, ქვევის წესები და პირველადი რეაგირება.

აღჭურვილობა, განსაკუთრებით ექსტრემალურ ტურებზე, უსაფრთხოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. სისტემას შეუძლია სეზონების, მოსალოდნელი ამინდის და არსებული რისკების გათვალისწინებით თითოეულ მარშრუტზე რეკომენდაცია გაგვიწიოს აუცილებელი აღჭურვილობის ვარიანტებზე. არჩევანი ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე გაკეთდება, თუმცა შესაბამისად პროპორციულად შეიცვლება უსაფრთხოების ხარისხიც.

ასევე მნიშვნელოვანია თითოეულ მარშრუტზე საკვების და სასმელის წყლის საკითხიც, თუკი მარშრუტი ამის აუცილებლობას მოითხოვს. სისტემა შემოგვთავაზებს აუცილებელ ოპტიმალურ რაციონს და რაოდენობას. ასევე სათანადარიგო მარაგს. ეს ყველაფერი ასაკობრივ ჯგუფებზეც არის დამოკიდებული და მონაცემთა ბაზებში ესეც იქნება გათვალისწინებული. საჭიროა მხოლოდ შესაბამის გრაფაში ტურისტის ასაკის მითითება.


ამა თუ იმ ტიპის მარშრუტზე გადაადგილების წესები განსხვავებულია. ისინი სეზონების და ამინდის მიხედვით ცვალებადია. რეკომენდაციები რამდენიმე კატეგორიად შეიძლება დაიყოს:

რეკომენდაციების წინადადებები სისტემაში განთავსებული იქნება როგორც ტექსტური, ისე გრაფიკული მასალით (რუკების და სქემების სახით).

უსაფრთხოების გეოინფორმაციული სისტემის შესაქმნელად საჭიროა მისი კონცეპტუალური სქემის დამუშავება.

საქალაქო ტურისტებისათვის გის სისტემის უსაფრთხოების შესაქმნელად აუცილებელია სპეციალური სამეცნიერო კვლევების ჩატარება, რომელიც დაეფუძნება, როგორც არსებულ ლიტერატურულ და კარტოგრაფიულ წყაროებს, ისე საველე ექსპედიციებს. მოპოვებული მონაცემების დახარისხება, სისტემატიზაცია და ანალიზი მოხდება შესაბამისი დარგის მეცნიერების მონაწილეობით გის-ის ექსპერტებისა და გეომონაცემთა ბაზების სპეციალისტების მიერ. უნდა შემუშავდეს მონაცემთა ურთიერთ კავშირების და სისტემის მუშაობის ალგორითმები.

საქალაქო ტურიზმის უსაფრთხოების გის ოთხი ძირითადი კომპონენტით იქნება წარმოდგენილი: მონაცემები, სისტემის მომსახურება, მომხმარებელი და პრაქტიკული გამოყენება.



მონაცემები მუდმივად განახლებადი უნდა იყოს. მათი ოპერატიული განახლება განხორციელდება სხვადასხვა წყაროებიდან (ადგილობრივი თვითმმართველობები და ტურისტული საინფორმაციო ცენტრები, სამეცნიერო დაწესებულებები, ცალკეული ექსპედიციები და სხვა). მონაცემთა განახლებისათვის გამოყენებული უნდა იქნას აერო და კოსმოსური სურათები.

თავისთავად ცხადია უსაფრთხოების კუთხით სივრცითი ინფორმაცია გამოადგებათ, არა მარტო საქალაქო ტურისტებს, არამედ კერძო ტურისტულ ფირმებს და სააგენტოებს, რომლებიც გააუმჯობესებენ ტურისტული მარშრუტების და ჯგუფების უსაფრთხოებას. მისი გამოყენება, ძირითადად ვებ-რუკის სახით, შესაძლებელია კერძო პირების მიერაც. სისტემა დიდ დახმარებას გაუწევს სამაშველო სამსახურებსაც. გის სისტემის ფუნქციონირება ხელს შეუწყობს საქალაქო ტურიზმის დაგეგმარებას; გაუმჯობესდება დესტინაციების სერვისი და ხარისხი; შემცირდება საფრთხის რისკი; აღმოიფხვრება უბედური შემთხვევები და უფრო ეფექტური გახდება საფრთხის დროს დახმარების გაწევა.

საქალაქო ტურიზმის უსაფრთხოების გის-ის ბაზაზე უნდა შეიქმნას ინტერაქტიური **ინტერნეტრუკა**. იგი უცხოელ მომხმარებელს ანუ ამ შემთხვევაში საქალაქო ტურისტებს საშუალებას მისცემს მიიღოს ოპერატიული სივრცითი ინფორმაცია კონკრეტულ მარშრუტის უსაფრთხოების ნორმებზე. მონაცემთა ბაზებში არსებული გეომონაცემების ანალიზის საფუძველზე მომხმარებელი მოახდენს თემატური რუკების, გრაფიკების, დიაგრამების და ტიპიური ანგარიშების გენერირებას. მომხმარებელს გაუადვილდება მარშრუტების დაგეგმარება.

უსაფრთხოების სანავიგაციო რუკები კი მარშრუტზე უზრუნველყოფენ უსაფრთხოების მოთხოვნებს და ექსტრემალურ სიტუაციაში საქალაქო ტურისტებს დახმარებას გაუწევენ ოპერატიულად გამონახონ რაციონალური გამოსავალი.

ამრიგად, ქ. ბათუმში საქალაქო ტურიზმის განვითარებისათვის გის-სისტემის დანერგვა მინიმუმამდე დაიყვანს რისკებს და გააუმჯობესებს ტურისტების მომსახურების ხარისხს, უზრუნველყოფს მათ უსაფრთხოებას.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

არაბული, 2010: – არაბული კ., დაგეგმვის საფუძვლები ტურიზმში. ტურიზმის მენეჯმენტის ცენტრი. თბილისი.

ლაოშვილი, 2016: – ლაოშვილი ზ., გეოგრაფიულ ინფორმაციული სისტემები, სახელმძღვანელო, თბილისი.

ლაოშვილი, 2014: – ლაოშვილი ზ., საქართველოს სამხედრო-საინჟინრო გეოგრაფიის გეოინფორმაციული საფუძვლები, ავტორ ფ ა ტ ი, თბილისი.

ელიზბარაშვილი, 2012: – ელიზბარაშვილი ნ., ლაოშვილი ზ., საქართველოს სამხედრო გეოგრაფია. თბილისი.

მეტრეველი, 2008: – მეტრეველი მ., ტურიზმის ბიზნესი (ინდუსტრია, მენეჯმენტი, მარკეტინგი) და გარემოს დაცვა. თბილისი.

ოქროცვარიძე, 2011: – ოქროცვარიძე ა., ვადაჭკორია მ., ოქროცვარიძე ლ., ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი. თბილისი.

ყარალაშვილი, 2016: – ყარალაშვილი ნ., გეოგრაფიულ ინფორმაციული სისტემების საფუძვლები, სახელმძღვანელო, თბილისი.

Mansfeld, 2009: – Mansfeld Y. Pizam A. Tourism Security and Safety (theory to practice). Burlington.

Буйленко, 2009: – Буйленко В. Ф., Основы профессиональной деятельности в туризме и экотуризме. Ростов н/Д.

Temur Zoidze (Tbilisi, Georgia)

City Tourism Safety and Geoinformation (GIS) Systems

Summary

In the work is discussed the importance of geographical information systems for the safe city tour development . is analyzed the recommendations on the case of Georgia Foundation of GIS in the city Batumi will minimize the risks and increase the quality of tourist service that will guaranty their safety according to the researches is assessed dynamics, is planned future perspectives , tasks and the ways of cancelling problems . Also in the work is discussed problematic subjects that is barrier for city tourism development. For making and implementing GIS system academic researches is necessary This researches should be based on interaction of government and private sectors

In the work is underlined that operational approach of area data is important for the development of GIS system From this viewpoint GIS Technologies is not replaceable , Is is the most effective program.

ბათუმის ბოტანიკური ბაღის ისტორიიდან (1912-1940)

ბათუმის ბოტანიკური ბაღი ევროპაში ერთადერთი ტენიანი სუბტროპიკული კულტურების ბაღია. საგულისხმოა, რომ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მსოფლიოში ტენიანი სუბტროპიკული კულტურების 5 ბოტანიკური ბაღი ითვლებოდა (კუნძული იავა, ცეილონი, სინგაპური, კალკუტა და ჰიმალაი). კრასნოვის მიხედვით, ამ ბოტანიკური ბაღებიდან მესაკუთრენი სოლიდურ შემოსავალს იღებდნენ და იგი რუსეთის მთავრობის წინაშე ასაბუთებდა ბათუმის ოლქში ტენიანი სუბტროპიკული კულტურების ბოტანიკური ბაღის დაარსების მიზანშეწონილებასა და დიდ სარგებლიანობას (PC, 1913, №1, გვ. 79).

ბათუმის ოლქში ტენიანი სუბტროპიკული კულტურების ბოტანიკური ბაღის დაარსების იდეა კრასნოვმა ჯერ კიდევ 1909 წელს დააყენა. ამ წინადადებას მხარი დაუჭირა ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების საბჭოს წევრებმა. განსაკუთრებით აქტიურობდა კოლონისტი ი. ვერუ, რომელსაც ჩაქვში სუბტროპიკული კულტურების მეურნეობა ჰქონდა. იგი ეროვნებით ფრანგი, საკმაოდ განსწავლული აგრონომი იყო და ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების საქმიანობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. კრასნოვს ეკუთვნის არა მარტო ბათუმის ბოტანიკური ბაღის დაარსების იდეა, არამედ, ამასთან, მან შეიმუშავა მეცნიერული საფუძვლები, შეადგინა პროექტი და განსაზღვრა ძირითადი ამოცანები. ანდრია კრასნოვი იყო ბათუმის ბოტანიკური ბაღის პირველი დირექტორი, ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე. 1912 წელს ჟურნალ „რუსკიე სუბტროპიკის“ რედაქტორიც.

მეფის რუსეთი ხალხთა საპყრობილე იყო. რუსეთის მიერ დაპყრობილი ქვეყნები კოლონიებს წარმოადგენდნენ. ასე იყო საქართველო, მათ შორის აჭარაც. რუსი სახელმწიფო მოხელეები, ინტელიგენცია, სამხედროები, რიგითი ადამიანებიც კი კოლონიური ფსიქოლოგიით იყვნენ შეპყრობილი. მეფის რუსეთის კოლონიური ინტერესებით სულდგმულობდა ა. კრასნოვიც, როდესაც ბათუმის ბოტანიკური ბაღის დაარსების იდეა და პროექტი შეიმუშავა,

მაგრამ არ შეიძლება ამის გამო ჭეშმარიტება დაამახინჯო. ჭეშმარიტება ის არის, რომ ბათუმის ბოტანიკური დამაარსებელი ანდრია ნიკოლოზისძე კრასნოვია.

ამის შესახებ ხაზგასმა იმიტომ გახდა საჭირო, რომ ამ ბოლო ხანს სადავო გახდა ა. კრასნოვის განმსაზღვრელი როლი ბათუმის ბოტანიკური ბაღის დაარსებაში. ამ თეზისის ავტორია თბილისის „ენციკლოპედიის“ თანაგამომცემელი ოთარ გაგუა, რომელმაც 2005 წლიდან ბათუმის ბოტანიკურ ბაღში დაიდო ბინა და აჭარის ენციკლოპედიის შექმნის ორგანიზაციას ჩაუდგა სათავეში. თუმცა უშედეგოდ. ოთარ გაგუას მიაჩნია, რომ ანდრია კრასნოვის ბათუმის ბოტანიკური ბაღის დამაარსებლად აღიარება მითია, თითქოს კრასნოვის ახლობლებმა, მეგობრებმა და მეხოტბეებმა შექმნეს ეს მითი. ოთარ გაგუას აზრით, ბათუმის ბოტანიკური ბაღის დამაარსებელია იასონ დავითის ძე გორდეზიანი. ეს თეზისი მან განავითარა პუბლიცისტურ ნარკვევში „დადგმული და დაუდგმელი ძეგლების ამბავი – იასონ გორდეზიანი (გამომ. „მერანი“, თბილისი, 2013), აგრეთვე სხვა პუბლიცისტურ სტატიებში. ო. გაგუას ნარკვევი თავიდან ბოლომდე ამ თეზისის დასაბუთების მცდელობას წარმოადგენს. ავტორი ამ მცდარი დებულების დასაბუთებას ცდილობს ნარკვევში „საკაოდან ლონდონამდე“. მართალია, იგი არ გამოქვეყნებულა, მაგრამ ხელნაწერი ტექსტი გასაცნობად გადმოცა ბათუმის ბულვარის დირექტორმა ქალბატონმა ეთერ მაჭულაძემ. ოთარ გაგუას გამოქვეყნებულ თუ ხელნაწერ ნარკვევებში მეცნიერული ვერაფერი დავინახე, მისი მხოლოდ პუბლიცისტური რიტორიკაა.

ო. გაგუა თავისი თეზისის დასაბუთებისათვის ცდილობს გამოიყენოს იასონ გორდეზიანის მეგობრებისა თუ ნაცნობების შვილიშვილების ნაამბობი, რომელთაც ზოგჯერ მობილური ტელეფონით ესაუბრება. ო. გაგუა ეკითხება ერთ-ერთ რესპონდენტს: თუ გახსოვთ, ბაბუას, საუბრისას, კრასნოვი ოდესმე უხსენებია? რესპონდენტის პასუხი: „არასოდეს გამიგია. ჩვენ ყველამ ვიცოდით, რომ კრასნოვს ბოტანიკური ბაღის მშენებლობასთან არაფერი აკავშირებდა. რუსები მის მითვისებას ცდილობდნენ (ო. გაგუა, 2013:83). მეორე რესპონდენტის, ლიანა შარაშიძის პასუხი ო. გაგუას კითხვაზე ასეთია: „ბაბუას განსაკუთრებული მეგობრობა ჰქონდა „ცნობილ ბოტანიკოსთან იასონ გორდეზიანთან, რომელსაც სწავლა-განათლება ევროპაში ჰქონდა მიღებული და მსოფლიოში სახელგანთქმული ბათუმის ბოტანიკური ბაღის დამაარსებელი იყო“ (ო. გაგუა, 2013:95). ასეთი მიდგომით და მეთოდით ჭეშმარიტების დადგენა შეუძლებელია.

ოთარ გაგუას პუბლიცისტურ ნარკვევებზე დაყრდნობით, ჟურნალისტმა რევაზ მსხილამემ გაზეთ „აჭარაში“ 2017 წლის აგვისტოში გამოაქვეყნა წერილი „ჩვენ სათქმელი ვთქვით, ახლა სიტყვაც და საქმეც თქვენზეა, ბატონებო!“ ამ წერილში რევაზ მსხილამე იცავს ოთარ გაგუას თეზისს იმის შესახებ, რომ ბათუმის ბოტანიკური ბაღის დამაარსებელია იასონ გორდუზიანი. მეცნიერები, რომლებიც ჭეშმარიტებას იცავენ, დამნაშავედ გამოაცხადა და მათი დასჯა მოითხოვა (აჭარა, 2017, N84).

ცხადია, საჭიროა საკითხის მეცნიერული განსჯა, რომელიც დაფუძნებული იქნება მყარ არგუმენტებზე და პირველწყაროებზე. საკითხის კვლევაში მეტი სინათლე რომ შევიტანოთ, აუცილებელია გავაშუქოთ ანდრია კრასნოვისა და იასონ გორდუზიანის ღვაწლი ბათუმის ბოტანიკური ბაღის დაარსებაში. ნებისმიერი ქართველისათვის სასურველია ჩვენი მამულიშვილი იყოს ამ საქმის ორგანიზატორი. ეს აქსიომაა, მაგრამ ჭეშმარიტების დამახინჯება დაუშვებელია. იგი ყველაფერზე მაღლა დგას. ამ სიცრუის ერთ-ერთ არგუმენტად იმასაც იყენებენ, რომ ანდრია კრასნოვი იყო მეფის რუსეთის გენერლის პეტრე კრასნოვის ძმა, რომელიც 1918-1920 წლებში ბოლშევიკებს ებრძოდა. მეორე, ანდრია კრასნოვი ცარიზმის პოლიტიკისა და ინტერესების გამტარებელი იყო. აჭარის ადგილობრივ მოსახლეობას „ტუზემცებს“, უვიცებსა და ზარმაცებს უწოდებდა, სასურველად თვლიდა ამ ტერიტორიის რუსების მიერ ათვისებას. მაგრამ ამას ჭეშმარიტების დადგენასთან კავშირი არ აქვს. მესამე, ამჟამად დამაბულია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა. რუსეთს ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიის 20%. ზოგიერთები ამასაც ბრმად იყენებენ ნებისმიერი საღი აზრის, ჭეშმარიტების საწინააღმდეგოდ.

ამიტომ აუცილებელია ანდრია კრასნოვის ღვაწლის გაშუქება ბათუმის ბოტანიკური ბაღის დაარსებაში. ანდრია ნიკოლოზის ძე კრასნოვი დაიბადა 1862 წელს ვოისკა-დონის ოლქში. 1881 წელს დაამთავრა პეტერბურგის პირველი გიმნაზია, 1885 წელს – პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილება. როგორც წარჩინებული სტუდენტი, დატოვეს უნივერსიტეტის ბოტანიკის კათედრაზე, პროფესორობისათვის მოსამზადებლად. 1886 წელს მიაღწინეს ტიანშანის შესასწავლად. 1887-1889 წლებში სწავლობდა დასავლეთ ევროპაში და დაიცვა დისერტაცია თემაზე „ადმოსავლეთ ტიანშანის სამხრეთი ნაწილის ფლორის განვითარების ისტორიის შესახებ“, მიანიჭეს ბოტანიკის მაგისტრის ხარისხი და რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების ოქროს მედალი დაიმსახურა.

1889 წელს ხარკოვის უნივერსიტეტის გეოგრაფიის კათედრაზე მიიწვიეს და პროფესორის წოდებაც მიანიჭეს. 1912 წელს დანიშნეს რუსეთის მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მთავარ კონსულტანტად (PC, 1914, №11-12, გვ. 1). ამიერიდან მეტი შესაძლებლობა ჰქონდა ბათუმის ბოტანიკური ბაღის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტისათვის.

ანდრია ნიკოლოზის ძე კრასნოვი, კოლონიური შეხედულებისა და პრაქტიკული ქმედების მიუხედავად, ფრიად განსწავლული მეცნიერი, დაუზარელი, ენერგიული და საქმის კარგი ორგანიზატორი იყო. იგი ერთდროულად იყო გეოგრაფი და ბოტანიკოსი. კარგად იცნობდა ევროპის, აზიისა და ამერიკის გეოგრაფიასა და მცენარეულობას. არაერთი ფუნდამენტური წიგნისა და სამეცნიერო სტატიის ავტორია. ტიანშანის გარდა, ანდრია კრასნოვმა 1890 წელს იმოგზაურა ამერიკაში, 1891 წელს – სამხრეთ რუსეთსა და კავკასიაში, 1892 წელს – აზიაში (იავა, ცეილონი, იაპონია). 1895 წელს მონაწილეობა მიიღო საუფლისწულო უწყების აღმოსავლეთის ექსპედიციაში, როგორც მეცნიერმა კონსულტანტმა. ექსპედიცია ეწვია ცეილონს, ინდოეთს, კუნძულ იავას, ჩინეთსა და იაპონიას. კრასნოვმა შეისწავლა ამ ქვეყნების ლანდშაფტი, კლიმატური პირობები, სუბტროპიკული მცენარეულობა და დაწერა ფუნდამენტური გამოკვლევა „აზიის სუბტროპიკული ოლქების ჩაის ოკრუგები“, რომელიც 1898 წელს პეტერბურგში გამოქვეყნდა.

ა. კრასნოვის წიგნში შესწავლილია ინდოეთის, ცეილონის, ჩინეთის, იაპონიის ნიადაგები, კლიმატური პირობები და მცენარეულობა. მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო კოლხეთის გამოკვლევას. ა. კრასნოვი პირადად სწავლობდა ჩაქვის, სახალვაშოს, მწვანე კონცხის ნიადაგებს, კლიმატურ პირობებს. მოკლედ მიმოხილული აქვს ბათუმის ოლქის ზღვისპირეთში პირველი მოახალშენეების - ტატარინოვის, ვერდერევესკის, სტოიანოვის, ვუჩინოს მეურნეობები. ნაშრომში ასევე განხილულია ადგილობრივი მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი კულტურები, სამიწათმოქმედო იარაღები.

ა. კრასნოვის დასკვნით, დიდი მსგავსებაა აზიის ტროპიკული ქვეყნებისა და ბათუმის ოლქის ზღვისპირეთის ნიადაგებს, კლიმატურ პირობებსა და მცენარეულობას შორის. კონკრეტულად ტენიანი სუბტროპიკული კლიმატით ბათუმის ოლქის ზღვისპირეთი ყველაზე მეტად წააგავს შუა და სამხრეთ იაპონიას, სამხრეთ-აღმოსავლეთ ჩინეთს, ჰიმალაის სამხრეთის ფერდობს (ა. კრასნოვი, 1898:563-595). ა. კრასნოვი სინანულის გამოთქვამდე იმის გამო, რომ რუსეთის ხელისუფლებამ ვერ გამოიყენა აქაური კლიმატური პირობები

ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების განვითარებისათვის. რუსეთი კი დიდ თანხას იხდიდა ჩაის, ციტრუსებისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების ნაყოფის შემოტანისათვის. მართალია, საქართველოს ზღვისპირეთის ბუნებრივ-კლიმატურ პირობებს, ნიადაგებს და ამ მხარეში ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების განვითარების შესაძლებლობას სწავლობდნენ პროფესორი ა.ი. ვოეიკოვი, პროფესორი ზემლერი, აგრონომი ს.ნ. ტიმოფეევი და სხვებიც, მაგრამ ისინი არცკი განიხილავდნენ ბათუმის ბოტანიკური ბაღის დაარსების საკითხს. აღსანიშნავია, რომ პროფესორი ა. ვოეიკოვი 1911 წელს ბათუმში ჩამოვიდა და 24 ივნისს დაესწრო ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების საერთო კრებას, სადაც ლაპარაკობდა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების განვითარების შესახებ (BCX, 1911, №8, გვ. 146-147). 1913 წელს ბათუმს ეწვია პროფესორი ე.ვ. პავლოვი. 9 თებერვალს მონაწილეობდა ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების საბჭოს სხდომაში, მაგრამ ბათუმის ბოტანიკური ბაღის შესახებ არცკი უსაუბრია (PC, 1913, N4, გვ. 61). აგრონომი ი. კლინგენი, რომელიც საუფლისწულო უწყების კავკასიის მამულების ინსპექტორი იყო, ჩაქვის მამულის დაარსებისა და განვითარების ისტორიას სწავლობდა.

ა. კრასნოვმა 1909 წელს გამოაქვეყნა სტატია ბათუმის შესახებ, რომელშიც ერთხელ კიდევ მიმოიხილა ბათუმის ოლქში მოახალშენეთა მეურნეობები და ამ მხარეში სუბტროპიკული კულტურების განვითარების დიდ პერსპექტივებს ხედავდა. სამწუხაროდ, ა. სოლოვცოვსა და მ. დალფონს, სხვებსაც, რომლებიც ბათუმის ოლქში ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების გაშენება-განვითარების პიონერები იყვნენ, სპეკულიანტებს უწოდებს (BCX, 1909, №10, გვ. 295). ა. კრასნოვი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ტენიანი სუბტროპიკული კულტურების ბოტანიკური ბაღის დაარსებისათვის.

ანდრია კრასნოვმა 1909 წელს რუსეთის მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში წარადგინა პროექტი ბათუმის ბოტანიკური ბაღის დაარსების შესახებ (BCX, 1911, N9, გვ. 1-2). რუსეთის უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების დაარსებისათვის ბათუმის ბოტანიკური ბაღის დაარსების შესახებ ანდრია კრასნოვმა 1911 წელს გაზეთში «Русская мысль» გამოაქვეყნა სტატია „ბათუმის ბოტანიკური ბაღის მნიშვნელობა კავკასიისა და რუსეთისათვის“, რომელშიც ერთხელ კიდევ მეცნიერულად განიხილავდა ბაღის დაარსების დიდ სარგებლობას და აუცილებლობას (აცსა, ფ.ი. – 22, ან, 1, ს.55). ვრცელი საგაზეთო სტატია განკუთვნილი იყო რუსეთის იმპერიის საზოგადოების, პირველ რიგში უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლებისათ-

ვის, რამდენადაც ბალის დაარსება, დაფინანსება, მშენებლობა და განვითარება მათზე იყო დამოკიდებული. რუსეთის ხელისუფლების ინტერესი და ყურადღება კიდევ მეტად რომ გაზრდილიყო, ანდრია კრასნოვმა მიმოიხილა სუბტროპიკულ და ტროპიკულ ქვეყნებში არსებული ბოტანიკური ბაღები და დაასკვნა: თუ მის მიერ შედგენილი პროექტი განხორციელდა ბოტანიკური ბალის დაარსების შესახებ, იგი იქნება პირველი სამეცნიერო დაწესებულება რუსეთსა და მთლიანად ევროპაში (აცსა, ფ. ი-22, ან. 1, ს. 5, ფურც. 11).

1911 წელს ანდრია კრასნოვმა თხოვნით მიმართა მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ახალ ზელანდიაში ექსპედიციის მოწყობის შესახებ მცენარეთა ნერგების ჩამოტანის მიზნით (BCX, 1911, N5, გვ. 182). ბათუმის ბოტანიკური ბალის დაარსების საკითხზე ანდრია კრასნოვთან სისტემატურად თანამშრომლობდა ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების წევრი ი. ვერუ, რომელიც საზოგადოების მიერ მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში წარგზავნილი იყო რწმუნებულის სტატუსით. იმდენად მაღალი იყო. ა. კრასნოვის როლი ბათუმის ბოტანიკური ბალის დაარსებაში, რომ 1911 წელს პეტერბურგში მივლინებისას ი. ვერუ ხარკოვში ჩავიდა, ა. კრასნოსივანგან კონსულტაცია მიიღო. ბათუმის ბოტანიკური ბალის დაარსების იდეას მხარს უჭერდნენ მიწათმოქმედების დეპარტამენტის დირექტორი გრაფი პ. იგნატიევი, აკადემიკოსი ი. ბოროდინი, პროფესორი რ. რეგელი. ამრიგად, 1911 წელს საკითხი უმაღლეს დონეზე ფაქტობრივად გადაწყდა.

მიწის ნაკვეთის გამოყოფისა და ორგანიზებული საკითხების გადასაწყვეტად 1911 წლის 3-5 ოქტომბერს ბათუმში ჩატარდა თათბირი, რომელზეც იმსჯელეს საცდელი სადგურის, პონტოს ფლორის ბოტანიკური განყოფილებისა და სუბტროპიკულ მცენარეთა ბოტანიკური ბალის დაარსების შესახებ. თათბირზე გადაწყდა: ზემოაღნიშნული სამი დაწესებულება გაერთიანდეს ერთიანი ხელმძღვანელობით. სადავო იყო ბოტანიკური ბალის ტერიტორიის შერჩევის საკითხი. ა. კრასნოვს მიაჩნდა, რომ ბოტანიკური ბალისათვის სასურველი იყო გამოყოფილიყო სოფლების ბობოყვან-დაგვასა და ჯიათს შორის არსებული ტერიტორია, სულ 40 დესეტინა, რომელიც თბილისის ბოტანიკურ ბაღს ეკუთვნოდა. ამას დაემატებოდა სოლოვცოვის მამულის 26 დესეტინა. რამდენადაც საკითხი სადავო იყო, ბოტანიკური ბალის ტერიტორიის შესარჩევად სპეციალური კომისია შეიქმნა, რომელშიც შედიოდნენ: ბ. ვიტმერი (მიწათმოქმედების დეპარტამენტის უფროსი), პროფესორი ა. კრასნოვი, ა. როლოვი (თბილისის ბოტანიკური ბალის დირექტორი), აგ-

რონომი ს. ტიმოფეევი, ბათუმის მეტყევე ი. მარკოვიჩი (BCX, 1911, №11, გვ. 510-513).

თათბირის წევრებმა არ გაიზიარეს კრასნოვის იდეა და დაადგინეს: ბოტანიკური ბაღისათვის გამოიყოს მწვანე კონცხზე ზღვისპირას არსებული მიწის ნაკვეთი, რკინიგზის გვირაბთან, 65 დესეტინა, რომელიც ჩაქვის საუფლისწულო მამულს ეკუთვნოდა (BCX, 1911, №11, გვ. 512). ეს ტერიტორია დაცულია ზღვის ქარებისაგან, არაერთგვაროვანი რელიეფი და ნიადაგი გააჩნია, საკუთარი წყალიც არის (აცსა, ფ.ი-22, ან. 1, ს.55, ფურც. 2). სახელმწიფო ამ მიწის შეძენისათვის გამოყოფდა 100 ათას მანეთს, ანდა სახაზინო მიწის ფართობში გაცვლიდა. 1912 წლის 24 ოქტომბერს გამოვიდა რუსეთის მეფის ნიკოლოზ მეორის ბრძანება, რითაც ბათუმის ბოტანიკური ბაღის მშენებლობისათვის ზემოაღნიშნული ტერიტორია გამოიყო იმავე პირობით (PC, 1912, №10, გვ. 603). მოგვიანებით საუფლისწულო უწყებას ამ მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ გადაეცა შესაბამისი სახაზინო ტერიტორია პერმისა და ვიატკის გუბერნიებში.

პროფესორი ა. კრასნოვი, სოფლის მეურნეობის საზოგადოების მოწვევით, რუსეთის მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ 1911-1912 წლებში ბათუმში მოავლინა, სადაც ნაყოფიერად მუშაობს ბათუმის ბოტანიკური ბაღის დაარსების საკითხებზე. იგი აქტიურად მონაწილეობს ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების საქმიანობაში, სადაც, სხვა საკითხებთან ერთად, იხილავდნენ ბოტანიკური ბაღის ორგანიზაციულ საკითხებს. საზოგადოების საბჭოს 1911 წლის 19 აპრილის სხდომაზე ა. კრასნოვმა ჩამოაყალიბა საცდელი სადგურისა და ბოტანიკური ბაღის დაარსების მიზანი. მან განსაზღვრა ბოტანიკური ბაღის სტრუქტურები, ა. კრასნოვის მიხედვით საცდელი სადგურის ძირითადი ამოცანა იქნებოდა მებაღეობის, მებოსტნეობის, დეკორაციული მეყვავილეობის, სამკურნალო მცენარეების თესლების გამოცდა, ახალი ჯიშის ნერგების გამოყვანა და ადგილობრივ პირობებში გავრცელება-გამრავლება (BCX, 1911, №5, გვ. 182). 1911 წლის აპრილში ანდრია კრასნოვი ეწვია გონიოსა და სარფს, სადაც გაეცნო მოსახლეობის სამეურნეო-კულტურულ ყოფასა და მცენარეულობას. მოგზაურობის შედეგები 30 აპრილს მოახსენა ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების საბჭოს (BCX, 1911, N5, გვ. 213). ანდრია კრასნოვი ბათუმის ოლქის სხვა დასახლებულ პუნქტებსაც ეწვია. ეს ნიშნავს, რომ იგი დაუზარელ, ენერგიულ საქმიანობას ეწეოდა. 1912 წლის ივნისში ა. კრასნოვი მოხსენებით გამოდის ბათუმის ოლქისა და ოზურგეთის მაზრის სახალხო მასწავლებელთა კურ-

სებზე, რომელიც ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოებამ მოაწყო. კურსების ამოცანას შეადგენდა მოსახლეობაში მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის შესახებ საჭირო ცოდნის გავრცელება. ა. კრასნოვი ამ შეკრებაზე ლექციით გამოვიდა ბოტანიკის საკითხებზე.

ა. კრასნოვმა არა მარტო შეადგინა ბათუმის ბოტანიკური ბაღის დაარსებისა და ფუნქციონირების პროექტი, არამედ, ამასთან, განსაზღვრა ძირითადი ამოცანები და საშტატო ერთეულები. ეს ამოცანები ა. კრასნოვმა ჩამოაყალიბა მოხსენებაში „ბათუმის ბოტანიკური ბაღი და მისი ამოცანები“, რომელიც 1912 წლის ივლისში დაიბეჭდა ჟურნალ „რუსკიე სუბტროპიკში“. ა. კრასნოვი წერდა: ბათუმის სანაპირო თავისი კლიმატური პირობების განსაკუთრებულობის გამო რუსეთში ნამდვილად განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. იგი კვლავ ლაპარაკობს ბათუმის ბოტანიკური ბაღის დაარსების აუცილებლობასა და დიდ სარგებლიანობაზე (PC, 1913, №1, გვ. 79). კრასნოვის აზრით, ბათუმის ბოტანიკური ბაღის წინაშე დგას ორი ამოცანა: წმინდა მეცნიერული და პრაქტიკული. მეცნიერული ამოცანა ის არის, რომ რუსეთის საზოგადოებას გააცნოს ტენიანი სუბტროპიკული ქვეყნების მცენარეულობა და მათი ნათესაური კავშირი ბათუმის ოლქის ზღვისპირეთის პირობებთან, მოახდინოს მისი პოპულარიზაცია. ა. კრასნოვი ყურადღებას ამახვილებდა ახალი ზელანდიის, ავსტრალიის, ჩინეთის, ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთი და აღმოსავლეთი ნაწილის, ჩილეს მცენარეულობის შესახებ და სხვა. ა. კრასნოვს პრაქტიკული ამოცანები კიდევ უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნდა, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ ადგილობრივ პირობებთან შეგუების მიხედვით შეესწავლათ ტენიანი სუბტროპიკული ქვეყნების მცენარეულობის აქ დანერგვისა და გავრცელების პრობლემები, გამოეყვანათ მათი ნერგები და სხვა საკითხები (PC, 1912, №7, გვ. 339).

ა. კრასნოვის შედგენილი პროექტის მიხედვით ბათუმის ბოტანიკური ბაღის პერსონალი, ადმინისტრაციული აპარატის გარდა, შედგებოდა: ერთი მეცნიერი მეზალე, 3 პრაქტიკოსი მეზალე და 6 მუდმივი მუშა. ბაღის ორგანიზაციისათვის 1912 წელს დაიხარჯებოდა 50 ათასი მანეთი, ხოლო 1913 წლისათვის გასავალი იქნებოდა 13 ათასი მანეთი (PC, 1912, №7, გვ. 339). ბათუმის ბოტანიკური ბაღის მოწყობისათვის ძირითადი სამუშაოები 1912-1914 წლებში ჩატარდა და მომდევნო წლებშიც გაგრძელდა. 1913 წელს ამ მიზნისათვის მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ 13046 მანეთი გამოყო. ფაქტობრივად, დაიხარჯა 13059 მანეთი. ზედმეტად დახარჯული თანხა კრასნოვის პირადი ფონდიდან ანაზღაურდა. ამ თანხი-

დან ბალის მოწყობილობათა შესამენად დაიხარჯა 5453 მანეთი, მუშა-მოსამსახურეთა შენახვისათვის – 2556, ხოლო მშენებლობაზე – 5050 მანეთი (PC, 1914, №6, გვ. 61). ადგილობრივი კლიმატური პირობების შესწავლის მიზნით ა. კრასნოვს მიზანშეწონილად მიაჩნდა მეტეოროლოგიური სადგურები მოწყობილიყო სარფში, მწვანე კონცხზე, ქობულეთსა და ქედაში. ამ თემაზე კრასნოვმა მოხსენება წაიკითხა ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების საბჭოს სხდომაზე 1912 წლის 5 სექტემბერს (PC, 1912, №10, გვ. 676).

ბათუმის ბოტანიკური ბაღი 1912 წლის 3 ნოემბერს დაფუძნდა. ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების საბჭოს რეკომენდაციით, დირექტორად დაინიშნა ანდრია ნიკოლოზის ძე კრასნოვი, მოადგილედ – აგრონომი ხრისანე ნორკინი, რომელიც მანამდე ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების ინსტრუქტორად მუშაობდა. ა. კრასნოვი ამავდროულად იყო ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე. საზოგადოების საბჭო ბოტანიკური ბაღის სამეცნიერო საბჭოს როლსაც ასრულებდა.

რაც შეეხება ხრისანე ნორკინს, იგი ფრიად განსწავლული აგრონომი იყო. დამთავრებული ჰქონდა მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. 1911 წლის 2 ივნისს დანიშნეს ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების ინსტრუქტორად. იმავე წლის აგვისტოში მივლინებით იყო საფრანგეთში (მარსელი), იტალიაში (ნიცა, გენუა, რომი, ნეაპოლი და სხვა). ამ მივლინების ძირითადი ამოცანა იყო შეესწავლა სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურები, მეყვავილეობა, ზეთისხილი, საზამთრო მეზოსტნეობა და სხვა. შეეძინა საჭირო ლიტერატურა (BCX, 1911, N8, გვ. 359-363; N10, გვ. 451).

ა. კრასნოვის პროექტის მიხედვით, 1913 წელს ბათუმის ბოტანიკურ ბაღში 6 განყოფილება შეიქმნა: ამერიკის, აზიის, ავსტრალიის, ჩილეს, ახალი ზელანდიისა და ტროპიკული მთიანეთის. თითოეული განყოფილება შედგებოდა სამეცნიერო-დეკორაციული და სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებისაგან, სადაც მიმდინარეობდა დაკვირვებები და გამოკვლევები სუბტროპიკულ კულტურებზე (PC, 1914, №6, გვ. 9). ბოტანიკური ბაღისათვის საჭირო მცენარეები ჯერ კიდევ 1912 წელს მიიღეს იაპონიიდან, ცეილონიდან, ამერიკიდან და ავსტრალიიდან (PC, 1912, №7, გვ. 423). მათი შემოტანა მომდევნო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა.

1912 წლის ბოლოს და 1913 წლის დასაწყისში ბათუმის ბოტანიკურმა ბაღმა მიიღო შეწირულობანი: ჰიმალაიდან 75 ჯიშის მცენარის თესლი, სამხრეთ ევროპის, ამერიკის, სოხუმის საცდელი სადგურის, ბათუმის საქალაქო ბაღიდან სუბტროპიკულ მცენარეთა სხვადასხვა ჯიშები, იაპონიიდან – 300

მცენარე, მათ შორის ფორთოხლისა და შაქრის ლერწმის ნარგავები, საკვები ბალახების თესლები, ამერიკის შეერთებული შტატებიდან–პალმის დიდი ეგზემპლარები. ისინი გააშენეს ბაღის ნაკვეთებზე (PC, 1912, №12, გვ. 723; PC, 1913, №1, გვ. 52-53).

ბათუმის ბოტანიკურ ბაღში სუბტროპიკული მცენარეების გაშენების მნიშვნელობის შესახებ მოთხრობილია ა. კრასნოვის წერილებში „ჩრდილოეთ ამერიკის სუბტროპიკები და მათი მნიშვნელობა ბათუმის მხარისათვის“, „მერქნის ხე ახალ ზელანდიაში“, „მვირფასი კულტურები სიცილიასა და ალჟირში“. აღნიშნული წერილები 1913 წელს დაიბეჭდა. ამ სტატიებმა, ა. კრასნოვის სხვა შრომებთან ერთად, მეცნიერულად დაასაბუთა ბათუმის ბოტანიკური ბაღის დაარსების მნიშვნელობა და რუსეთის მთავრობის დაინტერესება ამ საკითხის მიმართ გაიზარდა (PC, 1913, №1). ბათუმის ბოტანიკურ ბაღში 1913 წლის დასაწყისში შეიქმნა სამშენებლო კომიტეტი. რუსეთის მთავრობამ 1914 წელს ბათუმის ბოტანიკური ბაღის მშენებლობისა და განვითარებისათვის გამოყო 40246 მანეთი. მათგან ბაღის მოწყობაზე დაიხარჯებოდა 28000 მანეთი, მშენებლობაზე 12246 მანეთი (PC, 1914, №2, გვ. 53).

პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, ბათუმის ბოტანიკური ბაღის განვითარება შეფერხდა. რუსეთის იმპერიის მთელი ძალები, მატერიალური და ფინანსური რესურსები მობილიზებული იყო ომისათვის. ა. კრასნოვი 1914 წლის ნოემბერში დროებით საცხოვრებლად თბილისში გადავიდა და ლექციებს კითხულობდა ქალთა კურსებზე. იგი 1914 წლის 19 დეკემბერს გარდაიცვალა. ბოტანიკური ბაღის ხელმძღვანელობა დროებით ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების საბჭომ იკისრა. დირექტორის მოვალეობა დროებით დაეკისრა ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების ინსტრუქტორს ნ. უპენეკს. ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების რეკომენდაციით 1915 წლის აგვისტოში ბათუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორად დაინიშნა მიწათმოქმედების დეპარტამენტის სპეციალისტი, პეტერბურგის ბოტანიკური ბაღის ინსპექტორი ივანე ვლადიმერის ძე პალიბინი, რომელიც შემდგომში თვალსაჩინო მეცნიერი გახდა. 1916 წლის ბოლოს ბათუმის ბოტანიკური ბაღის ადმინისტრაციული პერსონალი 8 კაცისაგან შედგებოდა: დირექტორი, მიწათმოქმედების დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი – ი.ვ. პალიბინი, ბაღის დირექტორის თანაშემწე – აგრონომი ხ ნ. ნორკინი, მეზღვე – ი. დ. გორდეზიანი, სტუდენტი (ბაღის კონსერვატორი) – პ.ი. ჩერნიაევსკი, მეტეოროლოგიური სადგურის მეთვალყურე – ა. ს. თევზაძე,

ბადის კორესპონდენტი – ე.ნ. სპეშნევა, საქმისმწარმოებელი – ა.ვ. ივანოვა, მონაგარიშე – ნ.ა. ვოლკოვა (იძნეა за 1916 год, Батум, 1917:3).

მსოფლიო ომთან დაკავშირებული სიძნელეების მიუხედავად, ბათუმის ბოტანიკურ ბაღში ნაყოფიერი მუშაობა მიმდინარეობდა. 1914 წელს შეიქმნა მეტეოროლოგიური სადგურები (ქვემო და ზემო მწვანე კონცხზე), 1915 წელს – ბოტანიკური კაბინეტი მუზეუმით, ტექნიკური კომისია, 1916 წელს თესლ-თა გამოცდის სადგური, სამკურნალო მცენარეთა სანერგე და ბიბლიოთეკა. მეტეოროლოგიური სადგურის მუშაობა მიმდინარეობდა თბილისის ფიზიკურ ობსერვატორიასთან თანამშრომლობით. ბათუმის ბოტანიკური ბაღის მეტეოროლოგიური სადგურის დაკვირვების შედეგად მიღებული მონაცემები მუშავდებოდა თბილისის ობსერვატორიის ლაბორატორიაში. ძირითადი დატვირთვა ბოტანიკურ კაბინეტზე მოდიოდა, რომლის მუშაობა მიმდინარეობდა ორი მიმართულებით: სუბტროპიკული და ტროპიკული ქვეყნების კულტურულ მცენარეთა მოშენება, ახალი ნერგების გამოყვანა და მათი დასავლეთ საქართველოში გავრცელების შესაძლებლობა. მეორე, ხმელთაშუა ზღვისა და შავი ზღვის სანაპიროს კოლხეთის მონაკვეთში სასარგებლო ველურ მცენარეთა გამოვლენა, შეკრება და შესწავლა. ამასთან, სისტემატურად მიმდინარეობდა ადგილობრივ ფლორაზე დაკვირვება.

ბოტანიკურ კაბინეტთან არსებული მუზეუმის ამოცანას შეადგენდა სუბტროპიკული და ტროპიკული ქვეყნების, აგრეთვე კოლხეთში არსებული ამ ტიპის სასარგებლო მცენარეების ნიმუშების შეგროვება და შენახვა, კონსერვების კოლექციების შექმნა როგორც ადგილობრივი ხილის, ისე იაპონური ხურმის. კოლექციებს არა მარტო ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე არსებული საშუალებებით აკეთებდნენ, არამედ შემოწირულობათა მეშვეობითაც. მაგალითად, 1916 წელს ამ მიზნით შემოწირულობანი მიღებულია მოახალშენეების მ. პასეკის, ს. რედკოს, პახომოვის, საუფლისწულო მამულის, ართვინის ზეთისხილის სახაზინო სანერგეს, სპარსეთიდან და სხვებისაგან. 1916 წელს ბოტანიკური კაბინეტი და მეტეოროლოგიური სადგური შეივსო ახალი ხელსაწყოებითა და ინსტრუმენტებით (იძნეა за 1916 год, 1917:5,12,16,17, 21).

საცდელი სადგურის დაარსების შესახებ მუშაობა 1915 წლის შემოდგომიდან დაიწყო. ამ მიზნით 1915 წლის ნოემბერში ბათუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორი ი. პალიბინი მივლინებით იყო მოსკოვსა და პეტროგრადში. მიწათმოქმედების დეპარტამენტმა გამოყო 300 მანეთი, ხოლო ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოებამ – 1000 მანეთი. ამ თანხით შეიძინა საცდელი სადგურის მოწყობილობა და მცენარეთა თესლები. თესლთა

გამოცდის სადგური 1916 წლის 8 ივლისს გაიხსნა. პირველი გამოცდა აგრონომმა მ. კოპაშევიჩმა ჩაატარა, რომელიც პეტერბურგიდან სპეციალურად იყო მოვლინებული (იძნეა за 1916 год, 1917: 24-25). 1916 წელს შეიმუშავეს თესლთა გამოცდის სადგურის ძირითადი დებულება, რომელშიც აღნიშნულია: თესლთა გამოცდის სადგური ეწყობა ბათუმის ბოტანიკურ ბაღში ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებისათვის. იგი უშუალოდ ექვემდებარებოდა ბათუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორს. სადგური გარეშე პირების თესლების გამოცდასაც ჩაატარებდა, ოღონდ გარკვეული თანხის გადახდის სანაცვლოდ (იძნეა за 1916 год, 1917: 26-27).

მუშაობის ფართოდ გაშლის საშუალებას არ იძლეოდა დაფინანსების სიმწირე. 1916 წელს ბათუმის ბოტანიკური ბაღის ხარჯები 19600 მანეთს შეადგენდა, რაც ორჯერ და მეტად ნაკლები იყო 1914 წლის დაფინანსებაზე. 1916 წელს ბაღის საერთო ბიუჯეტიდან სახელმწიფოს მიერ იყო გამოყოფილი 17100 მანეთი, ხოლო 2500 მანეთი ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოებამ თავისი ბიუჯეტიდან დააფინანსა. ამ მცირე დაფინანსების პირობებშიც კი ბათუმის ბოტანიკური ბაღის კოლექტივი მნიშვნელოვან მუშაობას ეწეოდა. სისტემატური და საქმიანი კონტაქტები ჰქონდათ მსოფლიოს სამეცნიერო დაწესებულებებთან და ბოტანიკურ ბაღებთან. მათი დახმარებით არაერთი შემოწირულობანი მიიღო. მაგალითად, 1916 წელს ბათუმის ბოტანიკურმა ბაღმა შემოწირულობათა სახით და შესყიდვითაც მიიღო სუბტროპიკული და სხვა სახის მცენარეები და თესლები ლონდონის, პეტერბურგის, ვაშინგტონის, თბილისის, სოხუმის, პარიზის, როსტოვის, დასავლეთ აფრიკის და სხვა ბოტანიკური ბაღების, საცდელი სადგურებისა და ფიზიკური პირებისაგან (იძნეა за 1916 год, 1917:7-8).

ბათუმის ბოტანიკური ბაღის მუდმივმოქმედმა ტექნიკურმა კომისიამ მცენარეთა მავნებლების ლიკვიდაციისათვის 1916 წელს სუბტროპიკულ კულტურათა 17 სახის მცენარის თესლი გამოცადა, რომელიც ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების საწყობის მეშვეობით საზღვარგარეთიდან შემოიტანეს (იძნეა за 1916 год, 1917:27). 1915 წლის ოქტომბერში დაისვა საკითხი ბათუმის ბოტანიკურ ბაღში სამკურნალო მცენარეთა სანერგეს მოწყობის შესახებ. მსოფლიო ომი მიმდინარეობდა და რუსეთისათვის ძალზე საჭირო იყო ასეთი სანერგეს შექმნა, რადგან იმპერიაში სამკურნალო წამლების დეფიციტი იყო.

უმაღლეს დონეზე ნებართვისა და დაფინანსების შედეგად 1916 წლის მეორე ნახევარში ბათუმის ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე სამკურნალო

მცენარეთა სანერგე მოეწყო 2 დესეტინაზე. ამისათვის სამკურნალო მცენარეთა ნერგები და თესვები შემოიტანეს პეტერბურგისა და თბილისის ბოტანიკური ბაღებიდან, სოხუმის ბაღისა და საცდელი სადგურიდან, იაპონიიდან, დასავლეთ ევროპიდან. 1916 წლის ბოლოს ბათუმის ბოტანიკურ ბაღში 30 სახის 2500 ეგზემპლარი სამკურნალო მცენარე ხარობდა. ბაღში გაშენებული მცენარეების სამკურნალო თვისებების შესასწავლად სპეციალური ლაბორატორია შეიქმნა. ბაღში შესაბამისი შენობის არარსებობის გამო ლაბორატორია ბათუმის სახელოსნო სასწავლებლის შენობაში განთავსდა. ლაბორატორიას უსასყიდლოდ ემსახურებოდა ამავე სასწავლებლის ინსპექტორი ქიმიკოსი ვ. სკვორცოვი. სამკურნალო მცენარეთა სანერგესა და ლაბორატორიის მოწყობისათვის დაიხარჯა 1561 მანეთი (ოდნс за 1916 год, 1917:28-30).

1917 წლის ოქტომბრიდან ბათუმის ბოტანიკური ბაღის ისტორიის მეორე ეტაპი დაიწყო, რომელიც 1922 წლამდე გაგრძელდა. თურქებისა და ინგლისელების ინტერვენციის შედეგად ბათუმის ბოტანიკური ბაღის ფუნქციონირება ფაქტობრივად გაჩერდა. ბაღის დირექტორი ი. პალიბინი, შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით, 1917 წლის ოქტომბრის შემდეგ რუსეთში წავიდა, ხოლო მოადგილე ხ. ნორკინი ჯარში გაიწვიეს. გაუქმდა ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოება, დაიხურა ჟურნალი „რუსკიე სუბტროპიკი“, რომელიც 1917 წლის ოქტომბრის შემდეგ აღარ გამოსულა. 1918-1921 წლებში ბათუმის ბოტანიკურ ბაღს დაფინანსება საერთოდ არ გააჩნდა. მეცნიერული და პრაქტიკული მუშაობა აღარ მიმდინარეობდა.

ბათუმის ბოტანიკური ბაღის ისტორიის მესამე ეტაპი 1921-1940 წლებს მოიცავს. გასაბჭოების შემდეგ საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ ბათუმის ბოტანიკური ბაღის მიმართ საგრძნობი დაინტერესება გამოიჩინა. გასაბჭოების შემდეგ ბაღს გადაეცა მოახალშენე დევისონის მამული 16 ჰექტარი კაპიტალური შენობით, რომელიც 13 ოთახისაგან შედგებოდა. ბაღს გადაეცა აგრეთვე მოახალშენე ფრიდეს მამული 8 ჰექტარი და კიდევ სხვების. ამის შედეგად ბათუმის ბოტანიკური ბაღის ფართობი 100 ჰექტრამდე გაიზარდა (აცსა, ფ. რ-84, ან. 1, ს. 447, ფურც. 8). გასაბჭოების შემდეგ ბათუმის ბოტანიკური ბაღის რეორგანიზაცია განხორციელდა. ამის შედეგად ჩამოყალიბდა 8 განყოფილება: აკლიმატიზაციის, ტექნიკური, არომატულ მცენარეთა, სამკურნალო მცენარეების, მებაღეობა-მეზოსტნეობის, მეტეოროლოგიური, დეკორატიული მებაღეობისა და მემინდვრეობის [აცსა, ფ. რ-2, ან. 1, ს. 281, ფურც. 58].

ბადის ბიუჯეტიც ყოველწლიურად იზრდებოდა. 1926-27 სამეურნეო წელს ბათუმის ბოტანიკური ბადის ბიუჯეტი 18000 მანეთს შეადგენდა. 1927-28 სამეურნეო წელს – 26000, 1928-29 სამეურნეო წელს – 31 000, ხოლო 1929-1930 წელს 57 000 მანეთამდე გაიზარდა. გარდა ამისა, ბაღი ორგანიზაციად დაწესებულებებიდან ქველმოქმედების სახით იღებდა თანხებს (აცსა, ფ. რ-84, ან. 1, ს. 447, ფურც. 11).

ამის შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ბათუმის ბოტანიკური ბადის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მეცნიერული და ორგანიზაციულ-პრაქტიკული საქმიანობა. 1924-1926 წლებში განახლდა და გაფართოვდა სანერგე მეურნეობა, აღდგინდა საცდელი სამეურნეო სადგური, აგრო-ქიმიური ლაბორატორია, მოეწყო ტექნოლოგიური განყოფილება, 2 ორანჟერია, 6 სათბური, ეთერზეთების საწარმო, ხილის სახმობი, თესლების საწყობი, ააშენეს მუშების საცხოვრებელი სახლი და სხვა. გაფართოვდა და გაღრმავდა ნიადაგების შესწავლა, ხეხილის, სამკურნალო მცენარეების, კერძოდ, იაპონური ხურმის, ფეიხოიას, გერანის, აკაციის, ლუფის, ზეთის მცენარის, ლიმონის და სხვა მცენარეებისა და მათი ნაყოფების გამოკვლევა.

მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ბათუმის ბოტანიკური ბადის პერსონალმა. თუ XX საუკუნის 20-30-იანი წლების მიჯნაზე ბაღს ჰყავდა სამი მეზღვე (უფროსი, საშუალო კატეგორიისა და უმცროსი), 4 მეცნიერი თანამშრომელი და 10 მუდმივი მუშა. 1937 წლისათვის ბათუმის ბოტანიკურ ბაღში 23 მეცნიერი თანამშრომელი ითვლებოდა, რომელთაგან სამეცნიერო ხარისხი 3 კაცს ჰქონდა (აცსა, ფ.რ-84, ან.1, ს. 447, ფურც. 8; ფ.რ-178, ან. 1, ს. 512, ფურც. 29-33). გარდა ამისა ბაღში მუშაობდნენ ადმინისტრაციული აპარატი, მომსახურე პერსონალი და მუდმივი მუშები. ბათუმის ბოტანიკური ბადის მეცნიერ თანამშრომელს შორის ნაყოფიერი შემოქმედებითი შრომით გამორჩეული იყო სელექციონერი ვ. შანიძე. მრავალი ცდის შედეგად ვ. შანიძემ გამოიყვანა ლიმონის და ფორთოხლის ახალი ჯიშები, რომლებიც ხასიათდებიან ყინვაგამძლეობითა და უხვმოსავლიანობით. ვ. შანიძემ 1938 წელს პირველად გამოზარდა 6300 ჰიბრიდი ლიმონის ბაღების სანერგეებისათვის. მისი მეცნიერული კვლევა-ძიების პირველი შედეგები გაშუქებულია წიგნში „აჭარის საუკეთესო ლიმონები“ და სამეცნიერო სტატიებში, რომელთა რაოდენობა 1945 წლისათვის 125-ს შეადგენდა. ნაყოფიერი სელექციონერ-მცდელი იყო ნ.უპენევი, რომელიც ა. კრასნოვის გარდაცვალების შემდეგ ბათუმის ბოტანიკური ბადის დირექტორის მოვალეობას ასრულებდა (აცსა, ფ.პ-1, ან.17, ს. 5, ფურც. 11-12; გაზ. საბჭოთა აჭარა, 1946, 3 აპრილი (N66)).

ბათუმის ბოტანიკურ ბაღში არა მარტო მეცნიერული მუშაობა მიმდინარეობდა, არამედ აგრეთვე პრაქტიკული საქმიანობა: გამოყავდათ სუბტროპიკული და ტროპიკული ქვეყნების მცენარეთა თესლები და ნერგები, აწვდიდნენ მათ როგორც ადგილობრივ, ისე აჭარის მომიჯნავე რეგიონებს და სხვა. მაგალითად, 1926 წელს თესლები და ნერგები მიაწოდეს 13 დაწესებულებას, 1927 წელს – 25, 1928 წელს – 22, 1929 წელს – 29, ხოლო 1930 წელს – 245 დაწესებულებას (აცსა, ფ.რ-84, ან. 1, ს. 447, ფურც. 18).

ბათუმის ბოტანიკური ბაღის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა იასონ დავითის ძე გორდეზიანმა. მაგრამ იგი არ არის და ვერც იქნებოდა ბაღის დამაარსებელი, რადგან 1912 წელს, როდესაც ბათუმის ბოტანიკური ბაღი დაარსდა, საქართველოში არ იმყოფებოდა. ცხადია, იასონ გორდეზიანი ვერ მიიღებდა მონაწილეობას და არც მიუღია ბათუმის ბოტანიკური ბაღის მეცნიერული და პრაქტიკული ამოცანების განსაზღვრაში, ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტაში. მას შეხებაც არ ჰქონდა რუსეთის მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსთან, რომლის დადგენილებით გაიხსნა ბათუმის ბოტანიკური ბაღი, დაინიშნა დირექტორი, თანაშემწე (მოადგილე), გამოიყო მიწის ნაკვეთი, განხორციელდა მშენებლობის დაფინანსება. ამას შემდეგ იხსენიებს ადამიანი, რომელიც უშუალოდ იყო დაკავშირებული რუსეთის მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსთან და მაღალი მეცნიერული ავტორიტეტი ჰქონდა. უდავოა, ასეთი ადამიანი იყო ანდრია ნიკოლოზის ძე კრასნოვი.

ოთარ გაგუა სპეკულირებს სიტყვებით „გახსნა“ და „დაარსება“. იგი წერს: რუსეთის იმპერატორის განკარგულებით ბაღი 1912 წლის 3 ნოემბერს კი არ გაიხსნა, „...ობიექტი მაშინ შეიძლება ჩაითვალოს გახსნილად, როდესაც იგი სრულად თუ არა, ნაწილობრივ ასრულებს თავის მოვალეობას. ამ შემთხვევაში ეს ასე ვერ იქნებოდა, რადგან ბაღისთვის გამოყოფილი ტერიტორია გაუვალი ტყით იყო დაფარული. ასე, რომ ბაღი კი არ გაიხსნა, არამედ გაიცა განკარგულება მის დაფუძნებაზე (ო. გაგუა, 2013:120-121). და შემდეგ: „ვის უნდა ცარიელი იდეა, მთავარია მისი ხორცშესხმა, ხალხის სამსახურში ჩადგომა“ (ო. გაგუა, 2013:123).

ამ თეზისის არსი იმაში მდგომარეობს, რომ როგორმე წაშალოს ა. კრასნოვის განმსაზღვრელი როლი ბათუმის ბოტანიკური ბაღის დაარსებასა და მშენებლობაში. ო. გაგუა მიზანმიმართულად ამახინჯებს რეალურ ვითარებას. ან არ იცის, ანდა სურვილი არ აქვს იცოდეს სინამდვილე. ბათუმის ბოტანიკური ბაღის მშენებლობა განკარგულების გამოცემისთანავე დაიწყო. რუსე-

თის იმპერატორის ნიკოლოზ მეორის 1912 წლის 24 ოქტომბრის ბრძანების გამოქვეყნების შემდეგ მიწათმოქმედებისა და მიწათმოწყობის მთავარმა სამმართველომ ნება დართო ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოებას დაეწყო ბოტანიკური ბაღის მშენებლობა მიწის ნაკვეთის შესახებ საბუთების გაფორმებამდე (აღსა, ფ.ი-22, ან. 1, ს. 55, ფურც. 9). პირველი სამუშაოები 1912 წელს ჩატარდა. ა. კრასნოვი ორი წლის განმავლობაში ბაღის დირექტორი იყო. მან 1913 წლის ნოემბერში შეაჯამა ბათუმის ბოტანიკური ბაღის პირველი წლის შედეგები. 1913-1914 წლებში ბაღის ფართო მასშტაბით მშენებლობას მოწმობს გამოყოფილი ბიუჯეტის გადაჭარბებით ათვისება. ცხადია, ამ წლებში ბაღის მშენებლობის სათავეში ა. კრასნოვი იდგა. სიმართლე ის არის, რომ ანდრია კრასნოვი ბათუმის ბოტანიკური ბაღის დაარსების არა მარტო იდეის და პროექტის ავტორია, არამედ ორგანიზატორი და მშენებელიც.

იასონ გორდეზიანი კარგი აგრონომი, მებაღე-დეკორატორი იყო. დაიბადა ონის რაიონის სოფელ საკაოში 1876 წელს. ონის ორკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ (1899 წ.) სწავლობდა თბილისის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოში მებაღეობა-მეხოსტნეობის მეურნეობებში მუშაობდა. 1903 წელს აჭარაში გადმოვიდა საცხოვრებლად და მუშაობა დაიწყო ბათუმის საქალაქო ბაღის უფროსი მებაღის ამხანაგად (თანამემწე), სადაც ექვს წელზე მეტი იმუშავა.

იასონ გორდეზიანმა ბათუმის საქალაქო ბაღის გაშენება-განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. მისი ხელმძღვანელობით ბათუმში სანერგე მეურნეობაც მოეწყო. აკაკი ჩხენკელის დახმარებით, რომელიც იმ ხანას საფრანგეთში ცხოვრობდა, იასონ გორდეზიანი 1909 წელს ვერსალის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ჩაირიცხა. 1911 წელს ინსტიტუტი დაამთავრა აგრონომის სპეციალობით და სამუშაოდ საფრანგეთში დატოვეს. შემდგომში იასონ გორდეზიანი მუშაობდა ბელგიაში, ჰოლანდიაში, შვეიცარიაში, 1913 წლის 2 თებერვლიდან 30 ივნისამდე – ლონდონის ბოტანიკური ბაღის დეკორატორად. 1913 წლის მეორე ნახევარში ბრუნდება საქართველოში და ანდრია კრასნოვმა სამუშაოდ მოიწვია ბათუმის ბოტანიკურ ბაღში, მებაღის თანამდებობაზე. შრომის წიგნაკში ჩანაწერის მიხედვით იასონ გორდეზიანი ბათუმის ბოტანიკურ ბაღში აგრონომად დაინიშნა 1913 წლის 1 ივლისს და მისი თხოვნით გაათავისუფლეს 1917 წლის 30 მაისს. ამ თანამდებობაზე თითქმის 4 წელი იმუშავა და, როგორც ითქვა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ბოტანიკური ბაღის მშენებლობაში. იასონ გორდეზიანი 1917 წლის 1

იენისიდან 1921 წლის მარტამდე იყო ბათუმის საქალაქო ბაღის ხელმძღვანელი. შემდგომ მუშაობდა ბათუმის გამწვანების დაწესებულებაში (აცსა, ფ.ი-7, ან.1, ს. 707, ფურც. 19; ბბზ, 2014: 8, 9, 21). მცდარია ო. გაგუას აზრი, რომ „ი. გორდეზიანი კრასნოვის ავადმყოფობისა და მისი გარდაცვალების შემდეგაც, წლების განმავლობაში იყო დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი“ (ო. გაგუა, 2013:112).

ო. გაგუას ნარკვევიდან ჩანს, მან შეადგინა წერილი და, ალბათ, აპირებდა სათანადო ინსტანციაში წარდგენას თავისი ჩანაფიქრის სისრულეში მოსაყვანად. მასთან ერთად წერილის ავტორად დასახელებული არიან ბათუმის ბოტანიკური ბაღის ყოფილი დირექტორი ეთერ მაჭუტაძე და ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების, კულტურისა და სპორტის ყოფილი განყოფილების გამგე ნათია სურგულაძე. ო. გაგუა სინანულს გამოთქვამს, რომ მათ წერილს ხელი არ მოაწერეს. ამას წინათ ეთერ მაჭუტაძემ ჩემთან საუბარში განაცხადა, რომ იგი არ იზიარებს ო. გაგუას შეხედულებას და ამგვარ წერილზე მისი ხელწერა არ არის. არადა, ო. გაგუას აღნიშნულ წერილში ნათქვამია: ბათუმის ბოტანიკური ბაღის ჩანაფიქრის სულისჩამდგმელი, მისი ჭეშმარიტი არქიტექტორი იასონ გორდეზიანი გახლავთ“ (ო. გაგუა, 2012:113). იასონ გორდეზიანი პრაქტიკოსი მეზღე იყო. იგი არ ყოფილა ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების საბჭოს და არც ჟურნალ „რუსკიე სუბტროპიკი“-ს სარედაქციო კოლეგიის წევრი. ბათუმში ცხოვრებისა და მუშაობის დროს პრესაშიც არ გამოჩენილა. მაგრამ დამსახურება აქვს, როგორც პრაქტიკოს აგრონომს, მეზღეობის დეკორატორს.

იასონ გორდეზიანთან ერთად მეზღეობის განვითარებასა და სანერგეების შექმნაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კონსტანტინე ქარცივაძემ. მათი დამსახურების აღსანიშნავად 1935 წლის თებერვალში საიუბილეო კომისია შეიქმნა აჭარის მიწათმოქმედების სახალხო კომისიის ილიას მერელიძის თავმჯდომარეობით. საიუბილეო საღამოზე გულთბილად ითქვა იასონ გორდეზიანისა და კონსტანტინე ქარცივაძის მნიშვნელოვან წვლილზე მეზღეობის განვითარებაში. ცხადია, იასონ გორდეზიანის წვლილი მნიშვნელოვანია ქალაქის ბაღის გაშენება-განვითარებაში, სუბტროპიკულ მცენარეთა სანერგეების შექმნაში. იგი დიდი ხნის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ბათუმის გამწვანების სამსახურს, გარდაიცვალა 1960 წელს 84 წლის ასაკში. ქართველი საზოგადოება დიდ პატივს მიაგებს იასონ გორდეზიანის ღვაწლსა და ხსოვნას, მაგრამ ერთხელ კიდევ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ იგი არ არის ბათუმის ბოტანიკური ბაღის დამაარსებელი. სარწმუნო

წყაროებით ასევე შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ბათუმის ბოტანიკური ბაღის დამაარსებელია ანდრია ნიკოლოზისძე კრასნოვი და ეს დასკვნა გადასინჯვას არ ექვემდებარება.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (აცსა), ფონდი (ფ) რ-84, ანაწერი (ან.) 1, საქმე (ს.) 447.
2. აცსა, ფ. რ-178, ან. 1, ს. 512.
3. აცსა, ფ. პ-1, ან. 17, ს. 5.
4. აცსა, ფ. ი-22, ან. 1, ს. 55.
5. აცსა, ფ. ი-22, ან. 1, ს. 55.
6. Отчёт Батумского общества селтского хозяйство за 1916 год. Батум, 1917.
7. отчёт о деятельности Батумского ботанического сада 1916 год. Батум, 1917.
8. Труды комиссии при Батумском обществе сельского хозяйство по борьбе с вредителями, выпуск I. Батум, 1917 (Ткбосхбв, 1917).
9. И Веру, О выборах места для опытного станции и ботанического сада, журнал Батумский сельский хозяин, 1911, №11 (БСХ).
10. А.Краснов, Чайные округи субтропической областей Азии. С.-Петербург, 1898.
11. А. Краснов, о Батуме, журнал БСХ, 1909, №10.
12. А.Краснов, Батумский ботанический сад и его задачи, журнал Русские субтропики, 1912, №7 (РС).
13. А. Краснов, о Батумском ботаническом сад и его значения для края и России. журнал БСХ, 1911, №12.
14. А.Краснов, Батумский ботанический сад за первый год его организации, журнал РС, 1913, №9.
15. А.Краснов, субтропики северной Америки и его значения Батумского края, журнал РС, 1913, №1.
16. А.Краснов, по Батумскому ботаническому саду, журнал РС, 1914, №2.
17. Журнал Батумский сельский хозяин, 1911, №5 (БСХ), 1911, №8,9,10.
18. Журнал РС, 1914, №6.
19. журнал РС, 1914, №11 и 12.
20. журнал РС, 1915, №1-2.
21. გაზეთი საბჭოთა აჭარისტანი, 1935, 23 თებერვალი (N 45).
22. გაზეთი საბჭოთა აჭარა, 1946, 3 აპრილი (N66).
23. გაზეთი აჭარა, 2017, 1-2 აგვისტო (N84).

24. ოთარ გაგუა, დადგმული და დაუდგმელი ძეგლების ამბავი – იასონ გორდეზიანი. თბილისი, 2013 (ო. გაგუა, 2013).

25. ბათუმის ბოტანიკური ბაღის მოამბე, XXXV. ბათუმი, 2014 (ზზზმ).

Отар Турманидзе

Из истории Батумского ботанического сада

Р е з ю м е

На рубеже XIX-XX веков в мире было пять ботанических садов влажных субтропических культур. Батумский ботанический сад был единственным в Европе, основанный в 1912 году. Основателем Батумского ботанического сада был профессор Андрей Николаевич Краснов (1862-1914 гг.).

В статье рассмотрена деятельность Андрея Краснова в деле изучения субтропических культур восточной Азии, Японии, Америки, Индии и Цейлоне. Он научно доказал, что на Батумском побережье Чёрном моря, возможно существование ботанического сада влажных субтропических культур. Под руководством Андрея Краснова и при поддержке Министерства земледелия и государственных имуществ, на Батумском побережье Чёрного моря в 1912 году был основан Ботанический сад.

Первым директором Батумского ботанического сада был Андрей Краснов. Он также был заместителем Батумского общества сельского хозяйства. Вначале площадь Батумского ботанического сада составляла 65 десятин. Позднее расширилась и составила 100 десятин. В ботаническом саде были созданы 6 отделов, музей, ботанический кабинет, опытная станция и другие. Во время иностранной интервенции в Батумском ботаническом саде создалось ненормальное положение. В статье рассматривается ботанического сада после советизации Аджарии.

ქალაქ ბათუმის შემოგარენი (კახაბერი)

კახაბერი ისტორიული სახელწოდებაა კახაბრის დაბლობისა და აქ აღმოცენებული ამავე სახელწოდების სოფლისა, რომელსაც ჩვენ შავი ზღვის აუზის უძველესი ქალაქისა და ნავსადგურის – ბათუმის ერთ-ერთ შემოგარენად განვიხილავთ. ბათუმიც ისტორიული კახაბრის დაბლობზე აღმოცენებული ქალაქია შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში *[Державин, 1906:21]*, რომელიც დაახლოებით 2500 წლის ისტორიას ითვლის.

მართალია, თვით ბათუმის, როგორც ქალაქ-ნავსადგურის, დაარსებისა და მისი ფუნქციონირების ისტორიაზე ცნობები ადრე მოგვეპოვება, ვიდრე კახაბრის შესახებ, მაგრამ მისი მიწების სამეურნეო ათვისებისა და აქ სოფლის დასახლების გაჩენის დღიდან, კახაბერი, ბათუმის ყურესთან ერთად, თვალსაჩინო როლს თამაშობდა ქალაქ ბათუმის ცხოვრებაში. XIX საუკუნის პირველი ნახევრის გერმანელი მეცნიერი და მოგზაური კარლ კოხი წერდა: „ბათუმი თავის კეთილდღეობას მხოლოდ ნაყოფიერ დაბლობს კი არ უნდა უმაღლოდეს, რომელიც კახაბეროვას სახელწოდებას ატარებს, არამედ უმთავრესად ნავსაყუდელს, რომელზეც ის მდებარეობს“ *[კოხი, 1981:189]*.

აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის ცნობით, კახაბრის დაბლობს ადრე შუა საუკუნეებში ეგრი ეწოდებოდა. ამის საბუთად იგი უსახელო სომეხი გეოგრაფის მონაცემებს ასახელებს, რომელიც V თუ VII საუკუნეში ცხოვრობდა. ამასთან, მეცნიერი „ეგრის“ ახლანდელი სოფლის ერგეს სახელთან აიგივებდა. იგი წერდა: „ამ ადგილას ჭოროხი გამოდის ვიწრო ხეობიდან, ქმნის ფართო კალაპოტს და მიმდინარეობს კახაბრის დაბლობში. აქ თავდებოდა ნიგალის ხევი და იწყებოდა ეგრი, რომელიც შეიცავდა, ალბათ, მთელს კახაბრის **დაბლობს**“ *[თაყაიშვილი, 1991:198-199]*. მისივე ცნობით, ეგრი მაშინ კლარჯეთში შედიოდა შავშეთთან, იმერხევთან, ნიგალისხევთან და, სავარაუდოდ, აჭარასთან ერთად *[თაყაიშვილი, 1991:198-197]*.

პროფესორ იური სიხარულიძის აზრით, ეგრის კახაბერი გვიან ფეოდალურ ხანაში ეწოდა *[სიხარულიძე, 1958:78]* და აქვე იმოწმებს მამია გურიელისა და ქაიხოსრო გურიელისძის მიმოწერაში დაცულ ცნობას, რომელიც დაიბეჭდა კავკასიის არქეოლოგიური კომისიის მიერ რუსულ ენაზე გამოქვეყ-

ნებული აქტების მეორე ტომში 1868 წელს. მამია გურიელის (1836–1891) მიმოწერის ეს ადგილი აქტებში ქართული შრიფტითაა ჩაბეჭდილი. მასში კახაბრის შესახებ ვკითხულობთ: „სოფელი და საბალახე, ზამთრით პირუტყვთ სამყოფი კახაბერი, რომელსა თვით ერთს გურიის უფლისწულს წილად ხვედრია და სახელიც ის რქმევია და თავის სოფლისათვისაც ის სახელი დაუმახს კახაბერი“ (სტილი დაცულია) *[АКТЫ, 1868:239]*. ამასთან, ი.სიხარულიძე მიუთითებს იმ ხალხურ გადმოცემაზე, რომლის მიხედვით კახაბერი სახელგანთქმული კაცი ყოფილა და თავი გამოუჩენია ოსმალთა დამპყრობლებთან ბრძოლაში. მას მყისვე შემოუკრებია კახაბრის გარეშემო სოფელთა მცხოვრებნი და სასტიკად დაუმარცხებია რიცხოვრივად ჭარბი მტრის ძალები *[სიხარულიძე, 1958:78]*. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ის ცნობა, რომელიც ზაქარია ჭიჭინაძეს ჩაუწერია აჭარაში მოგზაურობის დროს. ამ ცნობაში მოთხრობილია კახაბრელთა, მაჭახლელთა და მარადიდელთა ბრძოლაზე ოსმალთა წინააღმდეგ. 1519 წელს ბათუმის მახლობლად მდგომ ქართველთა ჯარს თურმე ვინმე კახაბერი მეთაურობდა. როდესაც ოსმალები ზღვაში ნაევებით გამოჩენილან, მაშინ კახაბერი ჯარის წინაშე წარსდგა და ასეთი სიტყვებით მიმართა: „ქართველებო, იცოდეთ, რომ ეს ადგილები და ქალაქი ბათუმი ჩვენი წინაპარი ქართველებისა იყო და არა სხვების. ქართველნი ერთ მტკაველ მიწას არავის დაუთმობენ ადვილად. თითო გოჯ მიწაში ჩვენი წინაპრებისაგან თითო ჩაფი სისხლია დაღვრილი და ისეა დაცული და შენახული“. ამაზე მარადიდელებმა და მაჭახლელებმა შესძახეს: „კახაბერო ბატონო, დედა შეერთოს ცოლად (მას), ვინც ოსმალებს ან სხვებს მტკაველ მიწას დაუთმობს. ჩვენც ისევე ვიქმთ და ჩვენი მიწის ერთ მტკაველს არავის დავუთმობთ. ჩვენ ფეხს არ მოვიცლით, აქედან არ წავალთ და ჩვენ მტერს ოსმალებს კი აქ არ შემოვუშვებთ“. კახაბერს შეუქია ისინი და უდიდებია მათი გმირობა *[ჭიჭინაძე, 1927:7]*.

გამაჰმადიანების წინააღმდეგ უშუალოდ კახაბრელთა ბრძოლაზე ასევე საინტერესოა ზ.ჭიჭინაძის სხვა ცნობაც, რომელიც ჩაწერილია ქედის რაიონის სოფელ ზვარეში მცხოვრები 80 წლის სელიმ-აღა იშოიღლისა და გამუსლიმებული ვინმე თურმანიძისაგან. როდესაც კახაბრელებმა უარი განაცხადეს გამუსლიმებაზე, მაშინ ტრაპიზონიდან ოსმალთა ფაშამ ჯარი გამოგზავნა. ომი კახაბერს მოხდა. ომში ოსმალები დამარცხდნენ. ბრძოლაში აჭარლებიც ბევრნი დაიღუპნენ. ბოლოს ოსმალებმა ხერხი მოიგონეს და კახაბრელთა ფულით მოსყიდვა გადაწყვიტეს. პირველად ბათუმს ზემოთ, კახაბერსა და აჭარას შორის მდებარე ერგე შეისყიდეს და მალე აქ მუსლიმთა სალოცავი პირველი

ჯამეც აღაშენეს. თუმცა, ოსმალებს ასეთი ხერხებით სხვა სოფლების დამორჩილება დიდხანს გაუჭირდათ *[ჭიჭინაძე, 2004:95]*.

კახაბრის შესახებ ჩვენ ა.ფრენკელის ცნობებიც მოგვეპოვება. მისი ცნობით კახაბერსა და სხვა ადგილებს, ბათუმს, მოგვიანებით გურიელები დაუფლებიან და ამ ადგილების სიუზერენებიც ისინი გამხდარან. სწორედ ერთ-ერთი კახაბერის დროს, XV საუკუნის ბოლოს, დაიპყრეს თურქებმა ჭანეთი ანუ ლაზისტანი, მაგრამ მალე როსტომ გურიელმა 1564 წელს ისინი განდევნა აქედან, თუმცა ბოლომდე ვერ შეინარჩუნა ქვეყანა და აქ კვლავ თურქები გაბატონდნენ *[ფრენკელი, 2012:92]*.

ა.ფრენკელს თავად მოუწახულებია კახაბერი, რომელიც ამ დროისათვის თითქმის მიტოვებული სოფელი ყოფილა და მის სახელწოდებაზეც გვაძლევს ცნობას, რაც ხალხურ გადმოცემას უნდა ეყრდნობოდეს. ის წერდა: „ოდესღაც კახაბერი თავად გურიელთა საყვარელი სამყოფელი ყოფილა, რომელთაგან ერთ-ერთს კახაბერი ერქვა. თვით ეს ადგილიც კახაბერად იმიტომ იწოდება, რომ უღრან ტყეში ნადირობის დროს თავადი კახაბერ გურიელი ტახს გაუფატრავს *[ფრენკელი, 2012:171]*. აქ ყოფნის დროს ფრენკელს თავად უნახავს გურიელის ციხის ნაშთები.

ასეთია ზოგადად ქალაქ ბათუმის ერთ-ერთი გარეუბნის – კახაბრის ისტორია, რომელიც ერთ დროს მცირედ დასახლებული სოფლიდან თანდათანობით განვითარდა და მნიშვნელოვან დასახლებად იქცა.

კახაბრის სახელიდან აღმოცენდა კახაბრის მოზრდილი დაბლობი, რომელიც მოქცეულია ქალაქ ბათუმსა და მდინარე ჭოროხის შორის ტერიტორიაზე. მისი სიგრძე 6 კმ-ია, სიგანე – 5 კმ *[ქსე, 1980:446]*. დაბლობის მთლიანი ტერიტორია შეადგენს 64,7 კვ.კმ-ს, რომლის ნაწილი (14 კვ.კმ-ზე მეტი) ქალაქ ბათუმზე მოდის *[ფალავანდიშვილი, 2005:46]*, დანარჩენი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზეა. ამასთან, ისიც არის აღსანიშნავი, რომ კახაბრის დაბლობი აჭარის შავიზღვისპირა დაბლობებს შორის ყველაზე ახალგაზრდა წარმოშობისაა და რამდენიმე საუკუნეს ითვლის *[იქვე]*.

კახაბრის დაბლობის ის ტერიტორია, რომელიც მოქცეული იყო მდ. ჭოროხის მარჯვენა მხარეს, ხშირი წვიმებისა თუ წყალდიდობის შედეგად ჭაობიან და ციებიან ადგილებს წარმოადგენდა და დიდი ხნის მანძილზე აუთვისებელი იყო მეურნეობრივად და აქ არც არავინ არ ცხოვრობდა. ახლომახლო მოსახლეობამ მხოლოდ მოგვიანებით დაიწყო მისი სამეურნეო გამოყენება. აქა-იქ გაჩნდა ფაცხა-სახლები. თუ ადრე აქ ძირითადად მხოლოდ ჭაობის ბრინჯი მოჰყავდათ, XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან აქაური ნაყოფიერი

მიწები სიმინდის ნათესებმაც დაფარა. ამის დასტურად მიგვაჩნია დიმიტრი ბაქრაძის ცნობები.

როგორც ცნობილია, აჭარის არქეოლოგიური შესწავლის მიზნით, დიმიტრი ბაქრაძემ 1874 წლის აგვისტოს თვეში კახაბრისა და ერგეს გავლით ხულოში იმოგზაურა. კახაბრის სანახაობით აღფრთოვანებული მოგზაური ისტორიკოსი წერდა: „თვალწინ გადაგვეშალა მშვენიერი ვაკე, მწვანეში ჩაფლული და ყოველი მხრიდან მაღალი მთებით შემორკალული, რომელთა უღრან ტყეებში ჭარბობდა მუხა, რცხილა, თელა, ცაცხვი და ლეღვი. ეს ადგილი ნაყოფიერია: მინდვრად და ფერდობებზე მიმოზნეული იყო ვრცელი სიმინდის ყანები, ყანებში კი ოთხ ბოძზე შესკუპული წნელის ნალიები მოჩანდა, სადაც გურიაში, ჩურუქ-სუსა და აჭარაში სიმინდს ინახავდნენ *[ბაქრაძე, 1987:35]*.

როგორც ჩანს, დ.ბაქრაძის ამ აღწერით სარგებლობდა ფრანგი ორიენტალისტი და მოგზაური ჟან მურიე, რომელიც 1884 წელს ჩამოვიდა საქართველოში ძველი ნაშთების გამოკვლევის მიზნით და კახაბრის გავლით ბათუმიდან ზემო აჭარის სოფელ ხულომდე იმოგზაურა. იგი კახაბრის შესახებ ასე წერდა: „კახაბრის ველი ყველაზე დიდი და ლამაზია ბათუმის ოლქში. იგი მთლიანად მწვანეშია ჩაფლული, სამი მხრიდანაა გარშემორტყმული ტყით დაფარული მთებით, სადაც მუხა, თელა, ცაცხვი და ლეღვია გაბატონებული. ეს მხარე მოსავლიანობით გამოირჩევა, მთების ყველა ფერდობები სიმინდითაა დათესილი, სიმინდის შუაგულში წნული ფარდულებია აღმართული, სადაც მოსავალს ინახავენ *[მურიე, 1962:37]*.

დ.ბაქრაძის აღნიშნული ცნობითაც კარგად ჩანს, რომ XIX საუკუნის 70-იან წლებში კახაბერი უკვე სიმინდის კულტურის მოვლა-მოყვანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი იყო აჭარაში, რამაც შემდგომ გაზარდა მის გარშემო მოსახლეობის დასახლება და აქაურ ნაყოფიერ მიწებზე სიმინდის ყანების გაშენება. ნ.წერეთლის ცნობით, იმ დროს, როდესაც ყოფილი ბათუმის ოლქში XX საუკუნის დამდეგს სიმინდის საერთო მოსავალი ერთ დესეტინაზე 150 ფუტს არ აღწევდა, კახაბრის დაბლობში იგი ერთ დესეტინაზე 150 ფუტს აღწევდა. ამიტომაც აქ, ისე როგორც ჩურუქ-სუსში, მოყვანილი სიმინდი გასაყიდად გაჰქონდათ. მისივე ცნობით, კახაბრის სიმინდს ყიდულობდნენ ასევე ქვედა აჭარისა და გონიოს ოკრუგების მცხოვრებნი *[Церетели, 1906:400]*. ივანე ჯაიანის ცნობით, XIX საუკუნის 90-იან წლებში კახაბრის სიმინდის ყანებში ყოველწლიურად 100 ათას ფუტზე მეტი სიმინდი მოდიოდა, რომლის ფულადი შემოსავალი 50 ათას მანეთს შეადგენდა *[ჯაიანი, 1991:71]*. დავით კლდია-

შვილის ცნობით, კახაბრის სიმინდის ნაკვეთები ამ პერიოდში 57 დესეტინას შეადგენდა და ერთ დესეტინაზე 150-200 ფუთამდე სიმინდი მოდიოდა *[კლდიაშვილი, 1984:49]*.

შემდეგაც კახაბერი სიმინდის ბეღელს წარმოადგენდა აჭარის მოსახლეობისათვის. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ცნობილი აგრონომისა და პუბლიცისტის აპოლონ წულაძის ცნობა. 1915 წელს მან აჭარაში იმოგზაურა და აჭარლების მიერ კახაბრის ვრცელი სასიმინდე მინდვრების იჯარით აღებისა და დამუშავების წესი დააფიქსირა. იგი წერდა: „აჭარლების უმთავრესი საზრდო სიმინდია. სიმინდი კი ხარობს ქვედა აჭარაში. შავი ზღვის პირას, ჭოროხის შავ ზღვასთან მდებარე კახაბრის მინდორი აჭარის ძუძუა – კახაბერი კვებავს აჭარას. კახაბრის სახნავ-სათეს მინდორში ბევრ აჭარელს აქვს ყანის მუშაობის დროს დროებითი სამყოფი სახლი. ყანის მუშაობის დროს აჭარელს ჩამოაქვს 15-20 დღის საგზალი, ბინადებოდა ყანაში და, როცა სამუშაოს მოათავებს, მერმედ ბრუნდება მთაში. აჭარელს ნალია-სასიმინდე იქვე აქვს ყანაში. მოწეულ სიმინდს მარტამდე იქვე ინახავს, მარტში გასტეხს და მარცვლად მიაქვს სახლში *[წულაძე, 1915]*“.

ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, კახაბრის ველზე მდებარე სიმინდით ნაყოფიერ მიწებს იჯარით იღებდა ქედის რაიონის სოფელ მერისის, ბათუმის (ახლანდელი ხელვაჩაური) რაიონის მაჭახლის, კირნათ-მარადიდისა და ერგე-ჯოჭოს მოსახლეობა. ეს მიწები მაშინ ქურთ მომთაბარე მესაქონლეებზე მიქირავებული ჰქონდათ კახაბრის მამულ-სადოვრების მფლობელებს ჩალოღლებს (ჩავლეიშვილებს), ბიბინოღლებს (ბიბინეიშვილებს) და თოფალოღლებს (მიქელაძეებს). ქურთი მომთაბარეები ამ მიწებს ადრე გაზაფხულზე თვითონვე ხნავდნენ, თესდნენ, ფარცხავდნენ და შემდეგ მოსავლეად და მოსავლის ასაღებად მეიჯარეებს უტოვებდნენ. ზაფხულობით კი ისინი აჭარის მთის საზაფხულო სადოვრებზე მიემგზავრებოდნენ *[შამილაძე, 1969:68]*.

გიორგი ყაზბეგის ცნობით, კახაბრის ველზე მცხოვრები ქურთები კახაბრელი ქურთების სახელით იყვნენ ცნობილი. აჭარაში მათი რაოდენობა 1870-იან წლებში 600 კაცით ივარაუდება *[ყაზბეგ, 1876:86]*.

კახაბრელი ქურთების საინტერესო ეთნოგრაფიულ დახასიათებას იძლევიან იტალიელი მოგზაურები – ბოტანიკოსი ემილ ლევიე და ანთროპოლოგი სტეფანე სომიე, რომლებიც კავკასიაში მოგზაურობის დროს აჭარასაც ეწვივნენ 1880 წლის ზაფხულში. ბათუმიდან მიმავალ იტალიელ მოგზაურებს კახაბრის გზაზე მთაში მიმავალი ქურთებიც შეხვედრიათ. ისინი წერდნენ:

„ივნისში შეკრებენ საქონელს და მიერეკებიან საბალახოზე, ხულოდან 20 ვერსის მოშორებით... ქურთები თითქმის ყველანი იქით მიდიოდნენ. ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდებოდა ქალი, კაცი, ბავშვები, ჯოგი... ჩვილი ბავშვები ქალებს ან ყმაწვილ ბიჭებს ზურგზე ეკიდათ“. მათ ტიპებს კი ასე აღწერენ: „ქალებს ნახევრად აქვთ პირი დაფარული, განიერი წითელი კაბა აცვიათ და ზედ მიკერებული აქვთ რაღაცნაირი წინსაფარი, რომლის მოპოვება ვერ შეეძელით ვერც ოქროთი და ვერც ვერცხლით. მათ შორის საუცხოო ტიპებია: შავგრემანები არიან, შავი თმა და წვერ-ულვაში აქვთ. მათი სოფლები იწყება ბათუმიდან რამდენიმე ვერსის მოშორებით. უბრალო ხის ქოხი ბოძებზე გამაგრებული – აი, ეს არის მათი ბინა“ *[ლევი, 1894:89]*.

ზოგიერთი ქვემო აჭარელი მოგვიანებით კახაბერში მუდმივ საცხოვრებლად ჩასახლდა და დღესაც განაგრძობს აქ ცხოვრებას. მათ შორის არიან ქედის რაიონიდან ჩამოსახლებულებიც, რომელთაგან პირველებად ჩავლენი შვილები და ბოლქვაძეები სახელდებიან *[სიხარულიძე, 1958:78]*.

კახაბრის დაბლობი მარტო სიმინდის მოყვანით არ იყო ცნობილი. ჭაობიანი ადგილების დაშრობამდე, როგორც ითქვა, კახაბერში სიმინდის კულტურამდე ჭაობის ანუ სველი ბრინჯიც მოჰყავდათ და მის ნათესებსაც, გონიო-სარფის მსგავსად, მნიშვნელოვანი ნაკვეთები ეჭირა. თუმცა, ბრინჯის მოყვანა კახაბერში სიმინდის კულტურის მასობრივად გავრცელების პერიოდშიც არ შეწყვეტილა და XIX საუკუნის ბოლომდე, ანუ აქაური ჭაობიანი ადგილების ამოშრობამდე, გრძელდებოდა. კახაბერში, ბათუმის მიდამოებსა და გონიო-სარფის ზონაში მოყვანილი ბრინჯით მარაგდებოდა ქალაქ ბათუმისა და მისი გარეუბნების მოსახლეობა და ამ მარაგის ნაწილი გასაყიდად გაჰქონდათ. კახაბერში მოყვანილი ბრინჯის წილიც უნდა ვიგულისხმოთ იმ 18 ათას ოყა ბრინჯში, რომელიც XIX საუკუნის მეორე ნახევარში ყოველწლიურად გაჰქონდათ გასაყიდად ბათუმიდან *[ბაქრაძე, 1987:25]*.

კახაბრის ველის ჭაობიანი, მათ შორის მისი მიმდებარე მაღალი ადგილებიც ადრე არ იძლეოდა საშუალებას აქ მუდმივად დასახლებისა და ცხოვრებისათვის, რადგან ზაფხულობით აქაურობა ძლიერ ციებ-ცხელებიანი იყო. ამ ფაქტს ადასტურებს რუსი მოგზაური და მკვლევარი ევგენი ვეიდენბაუმი, რომელმაც 1878 წლის შემოდგომაზე ბათუმ-ართვინის გზით იმოგზაურა *[ვეიდენბაუმი, 2005:40–41]*. გამონაკლისს შეადგენდნენ ქურთი და ჰემშილი მესაქონლეები, რომლებიც აქ მხოლოდ ზამთრობით ცხოვრობდნენ მათთვის ტრადიციულ ფაცხა სახლებში *[ფრენკელი, 2012:35; ლისოვსკი, 2015:83; კლდიაშვილი, 1984:49]*, რომლებიც შალის ქსოვილით იყო გადახურული

[*ღოსოვსკი, 2015:84*]. ქურთ-ჰემშილები კახაბრის დაბლობზე XX საუკუნის 50-იან წლებამდე სახლობდნენ. შემდეგ ისინი შუა აზიაში იქნენ გადასახლებული. ისინი ძირითადად მხოლოდ წვრილფეხა და მსხვილფეხა მესაქონლეობას მისდევენ, ხორცი და რძის პროდუქტებით ამარაგებდნენ ქალაქ ბათუმისა და ახლომახლო სოფლების მოსახლეობას. მათი სამოსახლო ადგილები შემდეგ აჭარის სხვადასხვა რაიონებიდან ჩასახლებულებმა დაიკავეს და ახალი საცხოვრებელი სახლები გააშენეს. კახაბრის ძირითად მოსახლეობას ახლაც ესენი შეადგენენ. სწორედ გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან გაჩნდა მასობრივად ახალი სამოსახლოები კახაბრის ველზე, ახლანდელი კახაბრის ცენტრალური გზის გასწვრივ, ჭოროხის მარჯვენა მხარეს სოფელ კაპანდიბიდან მეჯინისწყლის ჩათვლით, სადაც ადრე სიმინდის ყანები იყო განლაგებული. საბჭოთა ხელისუფლების წლებში კახაბრის ვაკის სოფლები ანგისა, ადლია, თოდოგაური, მეჯინისწყალი, მინდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ნიშნით ერთ სასოფლო თემში გაერთიანდა და მას კახაბრის სასოფლო საბჭო ეწოდა [*საქართველოს სსრ, 1987:120*]. აქ არსებობდა მეჯინისწყლის კოლმეურნეობა მეციტრუსეობის, მეჩაიეობის, მეცხოველეობის მიმართულებით, ბათუმის მერმევეობის საბჭოთა მეურნეობა, მეფრინველეობის ფაბრიკა. აქ დღესაც ფუნქციონირებს სხვადასხვა სამრეწველო საწარმო, ფსიქიატრიული საავადმყოფო. ყველა სოფელშია საჯარო სკოლა და ა.შ. უკანასკნელ წლებში გაიზარდა კახაბრის თემში შემავალი მოსახლეობა. თუ გასული საუკუნის 50-იან წლებში აქ 700 კომლი ცხოვრობდა, ახლა მათი რიცხვი 3300-ზე მეტია 12700-ზე მეტი მოსახლით [*ხელვაჩაურის მუმიციპალიტეტის გზამკვლევი, გვ. 12*]. თემის მოსახლეობა ინტენსიურად მისდევს მემინდვრეობას, მებოსტნეობას, მეხილეობას, რომლის ნამატი პროდუქტი გასაყიდად ბათუმის ბაზარზე გააქვთ.

ამრიგად, კახაბერი ქალაქ ბათუმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გარეუბანია, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს არა მარტო ქალაქ ბათუმის, არამედ მთელი აჭარის საზოგადოებრივ და სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

ბაქრაძე, 1987: – დიმიტრი ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობანი გურიასა და აჭარაში, ბათუმი.

ვეიდენბაუმი, 2005: – ევგენი ვეიდენბაუმი, ბათუმიდან ართვინამდე, თბილისი.

თაყაიშვილი, 1994: – ექვთიმე თაყაიშვილი, სამუსლიმანო საქართველო, – კრ.: ემიგრანტული ნაშრომები, I, თბილისი.

კლდიაშვილი, 1984: – დავით კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათუმი.

კოხი, 1981: – კარლ კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლონდა მაძა-ცაშვილმა, თბილისი.

ლევეი, 1894: – ემილ ლევეის მოგზაურობა კავკასიაში, – ჟურნ. „მოამბე“, 1894, #3.

მურიე, 1962: – ჟან მურიე, ბათუმი და ჭოროხის აუზი, ფრანგულიდან თარგმნა იზა ლორთქიფანიძემ, ბათუმი.

საქართველოს სსრ, 1987: – საქართველოს სსრ, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, თბილისი.

სიხარულიძე, 1958: – იური სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, II, ბათუმი.

ფალავანდიშვილი, 2005: – შაქრო ფალავანდიშვილი, აჭარის ბუნება და სოფლის მეურნეობა, ბათუმი.

ფრენკელი, 2012: – ა.ფრენკელი, ნარკვევები ჩურუქ-სუზე და ბათუმზე, თბილისი.

ქსე, 1980: – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, V, თბილისი.

შამილაძე, 1969: – ვახტანგ შამილაძე, ალპური მესაქონლეობა აჭარაში, თბილისი.

წულაძე, 1915: – აპოლონ წულაძე, აჭარას მივხედოთ, გაზ. „სამშობლო“, 1915, #24.

ჭიჭინაძე, 1927: – ზაქარია ჭიჭინაძე, ოსმალეთის ყოფილი საქართველო და ქართველ მაჰმადიანთა ისტორიის კონსპექტი, ტფილისი.

ჭიჭინაძე, 2004: – ზაქარია ჭიჭინაძე, ქართველთა გამუსლიმება, თბილისი.

ჯაიანი, 1991: – ივანე ჯაიანი, წერილები შავშეთიდან, თბილისი.

Акты, 1868: – Акты собранно Кавказскою Археологическою комиссиею. II. Тифлис.

Державин, 1906: – Н.С.Державин. Историко-географический очерк Батумского края. – Батум и его окрестности. Батуми.

Казбек, 1876: – Г.Казбек. Военно-статистический и стратегический очерки Лазистанского санджака. Тифлис.

Церетели, 1906: – Н.В.Церетели. Очерк торгово-промышленного развития г. Батума. – Батум и его окрестности. Батуми.

Nodar Kakhidze (Batumi, Georgia)

Surroundings of Batumi (Kakhaberi)

Summary

According to various data the given work represents the surroundings of Batumi started in the south-east of the black sea, which is important around the world. Kakhaberi was named after its owner Kakhber Gurieli(XV century). The valley was famous for rice and maize growing. Since the second part of the XIX ieth century Kakhaberi was the place of maize growing. It played a great part in the economic life of Batumi .

ბათუმის საზოგადოებრივი საზოგადოებები (XIX ს. მეორე ნახევარი - XX ს. დსაწყისი)

ბათუმის საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების შესწავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საარქივო მონაცემებსა და პრესის მასალებს, სადაც დაცულია მნიშვნელოვანი ცნობები XIX საუკუნის II ნახევარისა და XX საუკუნის დასაწყისში ბათუმში არსებული საქველმოქმედო საზოგადოებების მუშაობის შესახებ. ამ პერიოდში ბათუმში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწეოდა: „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბათუმის განყოფილება“, „ქართული საქველმოქმედო საზოგადოების ბათუმის განყოფილება“, „ბათუმის საქველმოქმედო საზოგადოება“, „სახალხო უნივერსიტეტის ბათუმის საზოგადოება“... საქველმოქმედო საზოგადოებები აარსებდნენ სკოლებს, ბავშვთა თავშესაფრებს, სახალხო ბიბლიოთეკებს, მართავდნენ საღამო – წარმოდგენებს და ეხმარებოდნენ მატერიალურად გაჭირვებულ მოსახლეობას.

როგორც ცნობილია, 1879 წელს დაარსდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. იაკობ გოგებაშვილი ამ საზოგადოების მუშაობის შესახებ წერდა: „იგი ემსახურება არა ერთს რომელსამე წოდებას ქვეყნისას, არამედ ვალად იღებს ზრუნვას მთელს ერზედ. მისთვის არ არსებობს არც თავადი, არც აზნაური, არც საღმდელო, არც გლეხი; იგი ემსახურება საერთოდ მთელს ქართველობას. მისი მოქმედება არ განისაზღვრება ჩვენი ქვეყნის ერთი რომელიმე კუნჭულით, - მის ასპარეზს, სარბიელს შეადგენს მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი საქართველო“ *[გოგებაშვილი, 1954: 3]*.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ ხსნიდა და ინახავდა ქართულ სკოლებს, ბიბლიოთეკებს, სცემდა სახელმძღვანელოებს, აგროვებდა ძველ ხელნაწერებსა და სამუზეუმო ექსპონატებს, მართავდა საიუბილეო საღამოებს ... საზოგადოების პირველი თავჯდომარე იყო დიმიტრი ყიფიანი, შემდეგში კი ილია ჭავჭავაძე, გიორგი ყაზბეგი, ალექსანდრე ჭყონია და სხვა *[პედ. ისტორია, 1988: 352]*. გრიგოლ ვოლსკის ინიციატივით და მისივე თავმჯდომარეობით ბათუმში დაარსდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილება“. გრიგოლ

ვოლსკი აირჩიეს ბათუმის ქართული სკოლის სამზრუნველო კომიტეტის თავმჯდომარედ და ხელმძღვანელობდა ყველა იმ ღონისძიებას, რომელსაც ატარებდა მოწინავე ქართველი ინტელიგენცია აჭარის კულტურული წინსვლისათვის. ის იყო საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამგეობის წევრი და მის საჭირობოროტო საკითხის გადაწყვეტაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა *[ნაცვალაძე, 1968: 81]*.

XIX საუკუნის დასასრულს ბათუმის მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლები, პირველ რიგში, ქალაქის თავი ლუკა ასათიანი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბათუმის განყოფილების თავმჯდომარე გრიგოლ ვოლსკი, თვითმმართველობის მდივანი ივანე მესხი იღვწოდნენ ბათუმში ვაჟთა და ქალთა გიმნაზიების გახსნისათვის. 1897 წლის 14 სექტემბერს საზეიმოდ გაიხსნა ვაჟთა გიმნაზია, ხოლო 1900 წელს კი - ქალთა გიმნაზია *[წულუკიძე, გუგუნავა, 2008: 534-535]*.

აღნიშნული საზოგადოების პარალელურად გიორგი ყაზბეგის თაოსნობით დაარსდა „ქართველთა შორის კულტურულ-საქველმოქმედო საზოგადოების კავშირი“, რომელიც მხარში ამოუდგა „წერა-კითხვის საზოგადოებას“. ერთ-ერთ სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ: ლ. ბორცვაძე, ზ. ჭიჭინაძე, გრ. ნათაძე, გრ. ვაშაძე, ალ. მიქაბერიძე და პ. გოთუა, განიხილეს აჭარაში სკოლების გახსნის საკითხი. ამ მიზნით საზოგადოებამ გამოჰყო 16 ათასი რუბლი, ხოლო ყოველთვიური ხარჯებისათვის – 8 ათასი რუბლი. საერთო ხელმძღვანელობა დაევალა ცნობილ პედაგოგს იერემია გულისაშვილს, რომლის ინიციატივით 1916 წლის 2 იანვარს ბათუმში მოიწვიეს საზოგადოების აჭარის განყოფილების გამგეობის სხდომა. სხდომის გადაწყვეტილებით 1916 წელს გაიხსნა 6 დაწყებითი ქართული სკოლა: ყოროლისთავში, ხუცუბანში, ალამბარში, ჩხუტუნეში, ქედის აგარაში და ხულოს აგარაში *[ციცაძე, 1970:20]*. იმავე წელს გაიხსნა დაწყებითი სკოლები შავშეთის სოფელ წყალსიმერში, ზემო აჭარის სოფლებში – თხილვანასა და ოლადაურში *[წულუკიძე, გუგუნავა, 2008: 534-535]*.

„ქართველთა შორის კულტურულ-საქველმოქმედო საზოგადოების კავშირის აჭარის განყოფილების“ ერთ-ერთი უპირველესი საზრუნავი იყო მაჰმადიანი ქართველების წარგზავნა საქართველოს სასწავლებლებში *[„იმერეთი“, №79, 1914]*. ამ მიზნით 1914 წლის 1 სექტემბერს თბილისის ქართულ გიმნაზიაში დაწესდა ცნობილი მეცენატი მძიმის ზუბალაშვილების ორი სტიპენდია. ეს პატივი წილად ხვდა მურად გუნთაიშვილსა და სულეიმან კაიკაციშვილს *[სცხსა, გვ.481, ს. 1467, ფურც. 1,2, 3]*.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა გრ. ბაბილოძის შენიშვნა: „ზოგიერთი მოსაზრება, თითქოს აჭარაში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების რამდენიმე სკოლა არსებობდა, სწორი არ არის. 1881 წელს ბათუმში გახსნილი ქართული სკოლა აღნიშნული საზოგადოების ერთადერთი სკოლა იყო მთელს აჭარაში, თუმცა აგრეთვე არსებობდა რამდენიმე ქართული სკოლა, მაგრამ ის ეკუთვნოდა არა წ. კ. გამავრცელებელ, არამედ სულ სხვა საზოგადოებას, რის შესახებაც საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე ზუსტად არ არის გარკვეული” *[ბაბილოძე, 1958: 57]*.

გულო-აღა კაიკაციშვილი იმდენად დაინტერესებული ყოფილა კულტურის საქმით, რომ 1913 წელს ლეონიდე ეპისკოპოსის მიერ შეგროვილი და შემოწირული წიგნების ფონდით ქობულეთში გახსნილი წიგნსაცავის გამგეობა პირადად უკისრია *[„თეატრი და ცხოვრება“, № 26, 1915]*.

1906 წელს თბილისში დაარსდა „ქართული საქველმოქმედო საზოგადოება“, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე მ. მაჩაბელი. ამ საზოგადოებამ აქტიური საქმიანობა დაიწყო 1914 წლიდან *[სცსსა, გვ. 517]*. ბათუმში დაარსდა ამ საზოგადოების განყოფილება ცნობილ ექიმ გ. ლ. ელიავას თავმჯდომარეობით. აღნიშნული საზოგადოების მიზანს შეადგენდა ომისაგან დარბეული აჭარლებისათვის მატერიალური და კულტურული დახმარების გაწევა, რისთვისაც მთელ საქართველოში საქველმოქმედო საზოგადოებამ შექმნა აჭარელთა დახმარების ფონდი. ამ მიზნით სხვა ღონისძიებებთან ერთად საზოგადოება მართავდა საღამო-წარმოდგენებს. 1915 წლის 13 ივნისს საზოგადოებამ სახაზინო თეატრში გამართა დიდი საღამო, რომლის შემოსავალი აჭარის მოსახლეობას მოხმარდა. სხვადასხვა წყაროს მიხედვით, საქველმოქმედო საზოგადოების ბათუმის განყოფილებამ მოღვაწეობა დაიწყო 1915 წლის აპრილიდან ე. კრინიცკის ხელმძღვანელობით (წევრები: რ. ნიჟარაძე, გ. ელიავა, ს. მდივანი, ი. მელია, ი. ლორთქიფანიძე, გ. ანჯაფარიძე, კ. გოგოლაძე) *[ანგარიში, 1916: 32]*.

აღნიშნულმა საზოგადოებამ და მისმა განყოფილებებმა ომით დაზარალებული აჭარის მოსახლეობას გამოუგზავნეს 11 ვაგონი სიმინდი. ყურადღება მიექცა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებასაც. დაარსდა სპეციალური სამედიცინო კომისია (თავმჯდომარე ა. ელიაშვილი), რომლის წევრები მოსახლეობას უფასოდ მკურნალობდნენ. გადაუდებელი სამედიცინო დახმარება გაეწია 870 ავადმყოფს *[ანგარიში, 1916: 32]*. ქუთაისის ქართული გიმნაზიის მოსწავლეთა კორპორაციამ აჭარლების სასარგებლოდ გაიღო 192 რუბლი და 24 კაპ. დაბა ლაილაშში. ადგილობრივი ინტელიგენციის თაოსნობით, აჭა-

რელთა სასარგებლოდ გამართულ წარმოდგენა - სადამოხე შემოსული 100 რუბლზე მეტი გამოუგზავნეს ქართველ მაჰმადიანებს *[„სამშობლო“, №163, 1915]*. 1915 წლის 5 მარტს ჩატარდა საქველმოქმედო სადამო ქუთაისში ჰაიდარ აბაშიძის მონაწილეობით. სადამოს მთელი შემოსავალი გამიზნული იყო დაზარალებულთა დასახმარებლად *[სურგულაძე, 1987: 30]*. 1915 წლის 23 მაისს ვაჟა-ფშაველამ გაზეთ „სახალხო ფურცლის“ რედაქციის მეშვეობით ბათუმში გამოგზავნა „ერთ ქართულ ოჯახში“ შეკრებილი შვიდი რუბლი და ხუთი შაური *[„სახალხო ფურცელი“, №268, 1915]*.

საქველმოქმედო საზოგადოების სკოლების გახსნა აჭარის სოფლებში უდიდესი კულტურული მნიშვნელობის მოვლენა იყო. იმ დროს, როცა მთელს საქართველოში სკოლებიდან იდევნებოდა მშობლიური ქართული ენა და ყველა საგანი დაწყებით სკოლებშიც კი რუსულად ისწავლებოდა. აღნიშნული საზოგადოების მიერ გახსნილ სკოლებში სწავლება წარმოებდა მშობლიურ ქართულ ენაზე. სწორედ ამით უნდა აიხსნას ამ სკოლებისადმი აჭარის მოსახლეობის ესოდენ ცხოველი ინტერესი. სკოლისადმი ძლიერი ინტერესი იმითაც იყო გამოწვეული, რომ იქ ასწავლიდნენ ხალხისათვის ზრუნვით დაინტერესებული მასწავლებლები *[ზაბილოძე, 1958: 59]*.

საარქივო მასალებში დაცული ცნობის მიხედვით, „ქართული საქველმოქმედო საზოგადოების სკოლების მასწავლებლები ღებულობდნენ 3-4 ჯერ უფრო მეტ ხელფასს, ვიდრე სხვა სკოლის პედაგოგები *[ასს, ფ. 13, საქ. 741, გვ. 36]*. მათი ხელფასი გათანაბრებული იყო გიმნაზიის მასწავლებლების ხელფასთან *[ზაბილოძე, 1958: 59]*.

„ქართული საქველმოქმედო საზოგადოების“ სკოლებმა იარსებეს 1918 წლის აპრილამდე – ოსმალეთის მიერ ბათუმის ოკუპაციამდე. გრ. ზაბილოძე მიუთითებს, რომ გარდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბათუმის ერთადერთი და ქალაქის მმართველობის ორი ქართული სკოლისა, მეფისდროინდელ აჭარაში კიდევ არსებობდა 7 დაწყებითი ქართული სკოლა, რომლებიც დაარსა არა წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, არამედ ომით დარბეულ აჭარელთათვის დახმარების მიზნით ქართველი ინტელიგენციის თაოსნობით 1916 წელს თბილისში შექმნილმა „ქართველმა საქველმოქმედო საზოგადოებამ“ *[ზაბილოძე, 1958: 61]*.

„ქართული საქველმოქმედო საზოგადოებამ“ დიდი მუშაობა გასწია იმპერიალისტური ომით დაზარალებულთა დასახმარებლად. ამ საზოგადოების ბათუმის განყოფილებამ ქმედითი ღონისძიებები გაატარა აჭარლებისათვის დახმარების აღმოსაჩენად. საქველმოქმედო საზოგადოების მოწოდებას გამო-

ეხმაურა მთელი საქართველო. არ დარჩენილა არც ერთი ქალაქი, დაბა ან სოფელი, რომელსაც მონაწილეობა არ მიეღოს შემოწირულობათა შეგროვებაში. საქველმოქმედო საზოგადოებამ 1915 წელს გამოსცა სპეციალური ფურცელი – „ალმანახი №1 „ძმური სიტყვა“ წარწერით: „დაზარალებულ ქართველ მაჰმადიანთა სასარგებლოდ“. ქართველი ხალხი ძლიერ დააინტერესა ამ გაზეთმა. ყოველ ეგზემპლარში ისინი იხდიდნენ 5 მანეთს. გაზეთის მთელი შემოსავალი გადაეცა დაზარალებულთა დახმარების ფონდს. არ დარჩენილა არც ერთი ქართველი საზოგადო მოღვაწე, რომ ამ ალმანახში არ გამოეთქვა თავისი აზრი სამხრეთ საქართველოს შესახებ *[ახვლედიანი, 1960: 19]*.

„ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოებამ“ გამოსცა წიგნი „ანგარიში ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოებისა 1915 წელს“. მასში წარმოდგენილი იყო დაწვრილებითი მასალები იმის შესახებ, თუ რომელმა ქალაქმა, სოფელმა, საწარმომ ან მოქალაქემ რა შემოწირულობა გამოგზავნა აჭარელთა დასახმარებლად *[ანგარიში, 1916]*. ამ წიგნში დაიბეჭდა მოწოდება აჭარელთა დასახმარებლად. 1916 წელს საქველმოქმედო საზოგადოებამ ჰაიდარ აბაშიძე გაგზავნა ლაზეთში დამშეული მოსახლეობისათვის დახმარების აღმოსაჩენად *[ახვლედიანი, 1960: 21]*.

1884 წელს ბათუმში მოწინავე კულტურული ძალების თაოსნობით შეიქმნა „ბათუმის საქველმოქმედო საზოგადოება“, რომლის მიზანს შეადგენდა ქალაქის ღარიბთა და უმწეოთა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება *[„კვალი“, №34, 1902: 549]*. ამ საზოგადოებას 1902 წლისათვის ჰყავდა 20 საპატიო და 181 ნამდვილი წევრი. მის გამგეობაში შედიოდნენ: კ. სევერინა (თავმჯდომარე), ა. ტიპოჟკინა (თავმჯდომარის მოადგილე), ი. პარონბეკოვი (ხაზინდარი), გ. ელიავა, ი. მურომოვი, ა. ორლოვსკი, ა. სლავოჩინსკი, ი. ხუდადოვი და სხვები *[„კვალი“, №34, 1902: 549]*. საზოგადოება ზრუნავდა ღარიბთა და ობოლ ბავშვთა სწავლა-აღზრდისათვის. მან მოაწყო თავშესაფარი, სადაც ბავშვებს ემსახურებოდნენ მომვლელები, მასწავლებლები, მზარეულები ... აღნიშნული თავშესაფრის მუშაობის შესახებ ინფორმაციას გვაძლევს გაზეთ „კვალის“ ბათუმელი კორესპოდენტი *[„კვალი“, №34, 1902: 548-550]*. საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობა ტანსაცმლით დაეხმარა 27 ღარიბს, სწავლის ფული გადაუხადა 4 მოსწავლეს, გასცა 2716 უფასო სადილი. 1900 წელს სამკურნალო დახმარებით ისარგებლა 3464 ავადმყოფმა *[Отчет, 1900: 1,5]*.

1890 წელს „ბათუმის საქველმოქმედო საზოგადოებამ“ მარინეს (ახლანდელი მემედ აბაშიძის) პროსპექტზე ღარიბებისათვის გახსნა უფასო ამბულა-

ტორია, რომელიც 12 წლის შემდეგ დაიხურა ფულადი სახსრების უქონლობის გამო. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამბულატორია წლიურად საშუალოდ 4000-მდე ავადმყოფს ღებულობდა *[აპერტია, 1958: 17,18,26; სურმანიძე, 2008: 579]*.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქველმოქმედო საზოგადოების ძირითად ფინანსურ წყაროს შეადგენდა საზოგადოების საწევრო გადასახადი, რაც უდრიდა ერთ წევრზე მანეთს წელიწადში. კერძო შემოწირულობანი, საღამო-წარმოდგენებისა და სეირნობათა გზით შემოსავალი, რაც საკმაოდ დიდ თანხას ქმნიდა. 1900 წელს საზოგადოების შემოსავალმა 15.745 მანეთს გადააჭარბა. ამ საზოგადოებამ თვალსაჩინო როლი შეასრულა ღარიბ და ობოლ ბავშვთა სწავლა-აღზრდის საქმეში *[ზაბილოძე, 1968: 61]*.

ბათუმის ინტელიგენციის ნაწილის ინიციატივით 1908 წელს დაარსდა „სახალხო უნივერსიტეტის ბათუმის საზოგადოება“. 1909 წლის პირველი იანვრისათვის მას ჰყავდა 199 წევრი, ერთი წლის შემდეგ კი - 242. საზოგადოებამ მოაწყო საღამოს კურსები რუსული, ქართული და სომხური ჯგუფებით. მსმენელად ჩარიცხულ იყვნენ ნოქრები და ქალაქის სავაჭრო დაწესებულების მოსამსახურეები. მათ ასწავლიდნენ კითხვას, წერასა და ანგარიშს. ქართული ჯგუფის მეცადინეობა წარმოებდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლის შენობაში, რუსული ჯგუფისა - პუშკინის საქალაქო სასწავლებლის, ხოლო სომხურისა - სომხურ-კათოლიკური სასწავლებლის შენობაში. ლექტორებად მასწავლებელთა და სხვადასხვა კულტურული ძალების შემადგენლობიდან შერჩეული იყო 40 კაცი, აქედან რუსული ჯგუფებისათვის -14, ქართულისათვის -15 და სომხურისათვის -11 კაცი. ეს საზოგადოება დაიშალა 1910 წელს მსმენელთა სიმცირის გამო, მაგრამ მიუხედავად მისი ხანმოკლე საქმიანობისა, აღნიშნულმა საზოგადოებამ ბათუმის მოსახლეობის მნიშვნელოვანი კულტურული მომსახურება გაუწია *[ზაბილოძე, 1968: 63-64]*.

ქართველი ხალხის კულტურულ და სულიერ ცხოვრებაში დიდი როლი შეასრულა „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ“, რომელიც დაარსდა 1907 წელს. გამოჩენილი მოღვაწის, მამულიშვილისა და მეცნიერის ექვთიმე თაყაიშვილის თავკაცობით *[მეტრეველი, 1982: 96]*. ამ საზოგადოების წარმომადგენელი 1908 წლიდან ბათუმში იყო ილია ფერაძე, რომელიც შემდეგ შეცვალა ტროფიმე ინასარიძემ, ართვინში კი ამ მოვალეობას ასრულებდა ნიკოლოზ ერისთავი – შარვაშიძე. საზოგადოების ადგილობრივი განყოფილებები აგროვებდნენ ხელნაწერებს, ძველ წიგნებს, ნუმიზმატიკურ

მასალებს, აწყობდნენ ექსპედიციებს მხარის შესწავლის მიზნით, გამოფენებს და სხვა *[გურეშიძე, 2008: 538-539]*.

ამრიგად, გაანალიზებული მასალები გვაძლევს საშუალებას, დავასკვნათ, რომ ბათუმის საქველმოქმედო საზოგადოებებმა და განყოფილებებმა ფასდაუდებელი ღვაწლი გასწიეს არა მარტო სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო დაწესებულებების დასაარსებლად და გაჭირვებული მოსახლეობის დასახმარებლად, არამედ საქართველოს ცალკეული კუთხეების მოსახლეობის დასახლოებლად. XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში საქართველოში არ ყოფილა პრობლემური საკითხი, რომ აღნიშნულ საზოგადოებებს თავისი სიტყვა არ ეთქვათ მის მოსაგვარებლად. აღსანიშნავია ბრძოლა ქართული ენის დევნა-შევიწროების წინააღმდეგ და სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლებისათვის.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

ანგარიში, 1916: – ანგარიში ქართული საქველმოქმედო საზოგადოებისა 1915 წელს, თბილისი.

აპერტია, 1958: – აპერტია ა., ნარკვევები აჭარაში ჯანმრთელობის დაცვის ისტორიიდან, ბათუმი.

ასს, ფ. 13, საქ. 741 – აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი 13, საქმე №741.

ახვლედიანი, 1960: – ახვლედიანი ხ., წინასიტყვაობა: ჰაიდარ აბაშიძე, წერილები, ბათუმი.

ბაბილოძე, 1958: – ბაბილოძე გრ., სახალხო განათლება აჭარის ასს რესპუბლიკაში (1921-1957 წ.წ.), ბათუმი.

გოგებაშვილი, 1954: – გოგებაშვილი ი., თხზ., ტ. 2, თბილისი.

გურეშიძე, 2008: – გურეშიძე დ., კულტურა და საქველმოქმედო საქმიანობა: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, III, ბათუმი.

„თეატრი და ცხოვრება“, 1915: – ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, №26.

„კვალი“, 1902: – გაზეთი „კვალი“, № 34.

მეტრეველი, 1982: – მეტრეველი რ., საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, თბილისი.

ნაცვალაძე, 1968: – ნაცვალაძე დ., გრიგოლ იოსების-ძე ვოლსკი (1860-1909): სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, კრებული მესამე, თბილისი.

პედ. ისტორია, 1988: – პედაგოგიკის ისტორია, თბილისი.

„სამშობლო“ – გაზეთი „სამშობლო“, №163.

„სახალხო ფურცელი“ – გაზეთი „სახალხო ფურცელი“, № 268.

სურგულაძე, 1987: – სურგულაძე ა., პირველი ქართული სკოლა ხუცუბანში: ჟურნალი „ჭოროხი“, № 4.

სურმანიძე, 2008: – სურმანიძე რ., სამედიცინო სამსახური: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, III, ბათუმი.

სცსსა, ფ. 517 – საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 517.

სცსსა, ფ.481, ს. 1467 – საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 481, საქმე №1467.

ცივაძე, 1970 – ცივაძე ე., ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის განვითარება აჭარის ასს. რესპუბლიკაში, ბათუმი.

„ცნობის ფურცელი“, 1901: – გაზეთი „ცნობის ფურცელი“, №199.

წულუკიძე, გუგუნავა, 2008: –წულუკიძე გ., გუგუნავა ნ., განათლება: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, III, ბათუმი.

Отчет, 1900: – Отчет Батумского Благотворительного общества за 1899, Батум, 1900.

Mariam Koberidze (Gori, Georgia)

Batumi Charity Societies (II Part of the XIX Century – Beginning of the XX Century)

Summary

For studying the social and cultural life of Batumi particular importance have archival data and press materials, where important information is kept about the working of the charity societies existing in Batumi in the II part of the XIX century and in the beginning of the XX century. In this period in Batumi cultural-educational work was carried out by the following societies: „Batumi Department of the Society Distributing Literacy Among the Georgians“, „Batumi Department of Georgian Charity Society“, „Batumi Charity Society“, „Batumi Society of Public University“... In the report are analyzed activities of the mentioned societies. Charity societies were establishing schools, children's almshouses, public libraries; they were holding evening-events and were helping materially poor people.

ებრაელოზა ბათუმის საჰალაჲო თვითმმართველოზაში (1888-1917)*

რუსეთის იმპერიას XIX ს. განსაკუთრებული, სტრატეგიული ინტერესი ამოძრავებდა აჭარისა, ბათუმის და ბათუმის ოლქის მიმართ, მაშინ ეს ძირ-ძველი ისტორიული პროვინცი (ზემო ქართლი) ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. თურქული ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფით ის ტრაპეზუნტის ვილაიეთის, ლაზეთის სანჯაყის ანუ ოლქის ნაწილი იყო, ცენტრით ბათუმში. რუსეთის იმპერიამ, მიუხედავად ყირიმის ომში (1853-1856) დამარცხებისა, გარკვეულ წარმატებებს მიაღწია სამხრეთ კავკასიის ფრონტებზე ბრძოლისას – ახალციხესა და ყარსში. თუმცა მან მარცხი იწვნია აფხაზეთ-სამეგრელოში *[გურული, 2015: 23]*. 1856 წელს, ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ და დედოფალმა, ინგლისის კონსულად სოხუმში დანიშნა წარმოშობით ებრაელი (ნამდვილი გვარი კოგენი) მზვერავი და დიპლომატი ჯიფორდ პალგრევი (1826-1888). ნიშანდობლივია, რომ ამავე წელს პარიზის ტრაქტატით რუსეთს შავ ზღვაზე ნაოსნობა ეზღუდებოდა. მიუხედავად ამისა, რუსეთის იმპერიის საგარეო უწყებამ მოახერხა ბათუმში, 1856 წელს გაეხსნა საკონსულო. ამ დროისთვის, „ბათუმის კაზა“ ოსმალეთის იმპერიის, ტრაპიზონის ვილაიეთის (გუბერნიის), ლაზისტანის სანჯაყის (ოლქის) ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა. 1856 წ. პირველ აგვისტოს რუსეთის იმპერიის ფინანსთა სამინისტროს მეოხებით დაარსდა რუსეთში უდიდესი სატრანსპორტო კომპანია „Русское общество пароходства и торговли (РОПИТ)“; ის მოწოდებული გახლდათ ხელი შეეწყო ვაჭრობისა და ეკონომიკის აღორძინებისათვის აზოვისა და შავ ზღვაზე, რაც რუსეთის იმპერიის შორსმდევალ სამხედრო-სტრატეგიულ მიზნებს ემსახურებოდა. კაპიტალისტური განვითარების პირობები კარნახობდა მთავრობას არ დაეზოგა ხარჯები შავი ზღვის სანაპიროს ნავსადგურების კეთილმოწყობაზე *[Трифонов, Лемацко, 2012:4-5]* და საბრძოლო მზადყოფნაში მოეყვანა ე. წ. „კავკასიის ხაზი“.

* ნარკვევი დაწერილია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტით. გამოყენებულია ბათუმელი მხარეთმცოდნის ბატონ **ი. ტიერის** მიერ შეგროვებული საარქივო მასალები.

რუსეთის იმპერიის საზღვაო სამინისტროს დაევალა უზრუნველყო ეს „სააქციონერო საზოგადოება“ მცურავი საშუალებებით, ხომალდებითა და ბარჟებით. სააქციონერო საზოგადოება ძირითადად ებრაულ კაპიტალზე იყო დაფუძნებული. მისი შტაბბინა ოდესაში მდებარეობდა. ბათუმში, 1856 წელს დაარსებული საკონსულოსათვის აიგო პირველი ამ ქალაქში ევროპული არქიტექტურის ორსართულიანი ქვის სახლი ნაგებობა, რომელმაც დღემდე მოაღწია. ესაა ყოფილ სანაპიროს, დღეს ი. გოგებაშვილის 10 ნომერში არსებული აივნისანი კოტეჯი *[ფუტკარაძე, 2012: 22]*. ნიშანდობლივია, რომ, რუსეთის საკონსულოს საქმიანობამ, შენობამ, რომელიც კონსულის (მონათლული ებრაელი?) პეტრე ნიკოლოზის ძე ჯუდიჩის რეზიდენცია გახლდათ, მიიქცია ჯიფორდ პალგრემის – პროფესიონალი მზვერავისა და დიპლომატის ყურადღება. ტრაპეზუნტის ვილაიეთის, ლაზეთის სანჯაყისა, ბათუმისა და მისი შემოგარენის 1878 წ. რუსეთის იმპერიასთან შემოერთების შემდეგ ჯუდიჩისაგან ხაზინას გამოუსყიდა ნაოსნობისა და ვაჭრობის სააქციონერო საზოგადოების აგენტისაგან ბათუმის სამხედრო გუბერნატორის რეზიდენციისათვის. ამის თაობაზე საუბარია ცნობარში *[Батум и его окрестности, 1906: 24]*. ვილიამ პალგრევი სამოციანი წლების ბოლოს ინგლისის კონსულია ტრაპეზუნტში. ჩანს, მისი მოღვაწეობით „მუსლიმური საქართველოს“ პროვინციების ცხოვრებით, თავის მხრივ რუსების დაზვერვაც ყოფილა დაინტერესებული. მოგვიანებით, 1882 წელს თბილისის მთავარმართებლის ტიპოგრაფიაში დაიბეჭდა ჯიფორდ პალგრევის ანგარიშები: „Отчеты о провинциях Анатолии за 1867-1869, 1872 годы“, როგორც ცალკე (ტ. VII) დანართი რუსეთის გეოგრაფიული საიმპერატორო საზოგადოების მაცნესი *[სურმანიძე, 2012:5-147]*. მისი ანგარიშების თანახმად ბათუმში რუსეთის გავლენა საგრძნობია. ბათუმის მოსახლეობა, რომელთა წინამძღოლები ქართული წარმოშობის ბეგებია, „ადვილად ემორჩილებიან რუსების ინტრიგებს – ოინებს *[სურმანიძე, 2012:51]*. მისი აღწერით ბათუმის ნავსადგური „მშვენიერია და თავისი მნიშვნელობით მესამეა შავ ზღვაზე. მას შეუძლია უსაფრთხოდ შეიფაროს 20 დიდი გემი“. ქალაქში ცხოვრობს 13 388 სული, აქედან უმეტესობა (12700 სული) ქართველი მაჰმადიანი ყოფილა. მისი სიტყვებით ბათუმის „კაზის ყველა მცხოვრები გურული „ქართველური რასისა“. მისი სტატისტიკური მონაცემების სიზუსტე ეჭვს არ იწვევს. აქ ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა გარემოებამ. დიპლომატის ხელთ არსებული მასალების თანახმად, ბათუმში გაჩენილია სომეხი ეროვნების ვაჭარ-ხელოსნების „სრულიად ახალი კოლონია“. ისინი ბათუმში ჩამოსულან ერზერუმის მიდამოებიდან. მათი რაოდენობა 120 სულია *[სურმანიძე, 2012:63]*,

66]. მათ აქ გამოჩენას, ავტორის სიტყვებით, „ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ებრაელების დამკვიდრებას ევროპაში. ეს არის თერმომეტრი“; რაც გვიჩვენებს მოცემული ადგილის მიმზიდველობასა და „მისი ფულადი ბრუნვის გაფართოებას“. სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებენ, თუ ქალაქ ბათუმის ეკონომიკურ და კულტურულ აღმავლობასთან ერთად, მართლაც, როგორ იზრდება იუდეველების რიცხვი ქალაქის მოსახლეობაში. ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ებრაული კაპიტალი, რასაც ყოველნაირად უწყობდა ხელს რუსეთის კონსული. პალგრევის ცნობით, რუსეთის კონსული ბათუმში იმავდროულად აღნიშნული „სანაოსნოს აგენტად ითვლება“; მოქმედებს ისევე „როგორც ყველა დანარჩენი ქვეყნის კონსული ინგლისის ჩათვლით...“. მზვერავ-დიპლომატის დაკვირვებით, რუსეთის საკონსულო და ბათუმის სანაოსნოს წარმომადგენლობა ქალაქის „საუკეთესო ადგილას აშენებული, სხვა შენობებთან შედარებით მშვენიერი“-ა. ნავსადგურიდან საკონსულოს შემობამდე გადაჭიმული ყოფილა ხის დიდი „კაშხალი“, „რუსეთის სანაოსნოს კუთვნილი დიდი ბაქანი წყალქვეშა ბაგირ-კაბელებით დამაგრებული“. ინგლისელი კონსულის სიტყვებით, მას „უკავია ცენტრალური და ყველაზე საუკეთესო ადგილი“. ამით „სარგებლობენ მხოლოდ რუსეთის თბომავლები“ [სურმანიძე, 2012:68], რაც სხვა ქვეყნების კონსულების პროტესტსა და უკმაყოფილებას იწვევდა. მიუხედავად სტამბოლიდან მოსული სულთნის ფირმანისა, ინგლისელი დიპლომატის ირონიული გამოთქმით, ეს პრობლემა დღემდე გადაუჭრელი რჩებაო. ამის მიზეზად ის „რუსეთის გავლენას“ მიიჩნევდა... როგორც ჩანს, რუსეთის საკონსულომ და სანაოსნომ მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს 1877-1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომში „სახმელეთო იმპერიის“ გამარჯვებაში. 1878 წლის 25 აგვისტოს ბათუმი და ბათუმის ოლქი, ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველო რუსეთის იმპერიას შეუერთდა. ბათუმის ნავსადგური პორტო-ფრანკოდ გამოცხადდა. აქედან შემოსული ყოველგვარი უცხოური საქონელი, სამრეწველო თუ სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, საბაჟო გადასახადისაგან თავისუფლდებოდა. რაც ფინანსისტების, მათ შორის ებრაული კაპიტალის ყურადღებას იპყრობდა.

თანამედროვეთა გადმოცემით, [Дашкевич, 1890:3] პეტრე დჟუდიჩი დეკორატიული მებაღეობის დიდი მოყვარული ყოფილა. მას საკონსულოსთან ეგზოტიკური ბაღიც გაუშენებია. საზღვარგარეთიდან იწერდა სხვადასხვა მცენარეებს. 1881 წელს მისი ყოფილი ბაღიდან გადაურგავს ძვირფასი მცენარეები ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს გენერალ მაიორ ა.ი. სმეკალოვს,

საფრანგეთიდან ჩამოსული მეზღვის დ'ალფონსის მეთვალყურეობით, ე.წ. ალექსანდრე III-ის ბაღში (დღევანდელი 6 მაისის პარკი).

ბათუმის სამრეწველო ზრდასა და ეკონომიკურ აღმავლობასთან ერთად იზრდებოდა ქალაქის მოსახლეობის, მათ შორის ებრაელების რიცხვი, საქალაქო თვითმმართველობაზე გადასვლის პერიოდისათვის, 1886 წელს, მათმა რიცხვმა 933-ს მიაღწია, რაც მაშინდელი სამოქალაქო მოსახლეობის 6,3%-ს შეადგენდა (იხ. ბიბლიოგრაფია) და ეს მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის სამხედრო პოლიტიკური ადმინისტრაცია და განსაკუთრებით პოლიცემისტერის აპარატი, ბოქაულ „გოროდოვო“-დან დაწყებული სხვადასხვა საფეხურის „მეფოვების“ ინსტიტუტით დამთავრებული, ყოველნაირად ებრძოდნენ მათ უკონტროლო ჩამოსახლებას ქალაქში. საარქივო მონაცემებითა და თანამედროვეთა მოგონებებით, ებრაელები უსაფრთხოების გარანტიების მისაღებად ხშირად სამხედრო ადმინისტრაციასთან სხვადასხვა კორუფციულ გარიგებაში შედიოდნენ. ხშირად ფიქტიურად ღებულობდნენ მართლმადიდებლობასაც, რათა ქალაქში უპრობლემოდ ეცხოვრათ და ემუშავათ. მათ შორის იყვნენ ფინანსისტები, ვაჭარ-ხელოსნები, გადამდგარი სამხედრო მოსამსახურეები, ექიმები, მასწავლებლები და სხვ.

1890 წლისთვის ქალაქის მუდმივ მაცხოვრებელთა რიცხვმა 14 674 მიაღწია. ებრაული ენციკლოპედიის *[Еврейская энциклопедия, 1908-1913: 892]* მონაცემებით, ამ დროისათვის ქალაქში 31 ებრაულ ოჯახს უცხოვრია. სხვა მონაცემების მიხედვით ბათუმში ამ დროს 530 ებრაელი სახლობდა, მათ შორის ქართველი ებრაელებიც ყოფილან *[Дашкевич, 1890:3]*. ბათუმის ოთხმოცწლიანი ებრაული თემი სამოქალაქო ადმინისტრაციამ კანონიერად ცნო მხოლოდ 1899 წელს *[Давид, 1991:155-156]*.

საყურადღებოა საქართველოს ცენტრალურ ეროვნულ არქივში 1895 წ. 21 ივლისით დათარიღებული დაცული დოკუმენტი. ესაა ქუთაისის გუბერნატორის წერილი კავკასიის მეფის ნაცვალისადმი. ის აღნიშნავს: „ბათუმის ცენტრალურ ნაწილში დიდი რაოდენობით ცხოვრობენ ებრაელები. მათ ეკუთვნის მაღაზიების დიდი ნაწილი, ასევე მათ ხელშია აქციები ბათუმის ბანკებში. ამ ხალხს სურს ჰქონდეთ თავიანთი სინაგოგა, ამის გამო, ამ წერილის შედგენამდე, 10 კაცი იყო ჩემთან მოსული სინაგოგის პროექტით. ისინი მზად არიან გადაიხადონ ბევრი ფული, რათა საქმე ბოლომდე მიიყვანონ. ხოლო რაც შეეხება მათ პოლიტიკურ სანდოობას, ისინი ჩვენთვის მისაღებია“ *[სსეა, გვ. 13, აღწ. 18, ს. 76/26]*.

მხოლოდ 1904 წლის 30 ივლისს იმპერატორმა ნიკოლოზ II დაადო რეზოლუცია: „ნებას ვრთავ ბათუმელი ებრაელების კოლექტიურ განცხადებათხოვნას“. ამ სინაგოგის არქიტექტორი და ამგები ბათუმელი ებრაელი სიმონ ლვოვის ძე ვოლკოვიჩი 1937 წელს დახვრიტეს, ისევე როგორც ბათუმის ებრაელობის სხვა თვალსაჩინო წარმომადგენლები. აღსანიშნავია, რომ ბათუმის სალოცავში 1915 წელს აკაკი წერეთლის სულის საოხად რაბინმა ილოცა. ეს ქვის ლამაზი არქიტექტურული ნაგებობა დღესაც დგას და მოქმედია (ყოფილი შეპელებსკის ქუჩა, შემდგომ მარქსისა, დღეს ვაჟა ფშაველას სახელობისა).

ქართველებთან, რუსებთან და სხვა ეროვნების ხალხთან ერთად ებრაელები აქტიურად მონაწილეობდნენ ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის ორგანიზაციის პროცესში (თბილისმა თვითმმართველობა მიიღო 1874 წელს, ქუთაისმა – 1875, ფოთმა – 1882, ბათუმმა – 1888 წელს). არსებული დებულებით, ებრაელებს არ შეეძლოთ ქალაქის თვითმმართველობებში „დუმის“, ქალაქის თავის არჩევითი თანამდებობის დაკავება. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა გენერალ მაიორმა გროსმანმა 1888 წლის ნოემბერში გამოსცა კავკასიის მთავარმართებლის სამოქალაქო ნაწილის უფროსის გენერალ-ადიუტანტ თავად დუნდუკოვ-კორსაკოვის განკარგულება სპეციალური კომისიის შექმნის თაობაზე ბათუმის სამოქალაქო თვითმმართველობის შემოღებასთან დაკავშირებით.

ცნობილია, რომ რუსეთის იმპერიის საქალაქო თვითმმართველობა სათავეს იღებს იმპერატორ ალექსანდრე II-ის 1870 წლის რეფორმით. მაშინ შემუშავებული იქნა დებულება საქალაქო თვითმმართველობის ორგანოების – „დუმისა და უპრავის“ შესახებ. საგუბერნიო, საოლქო და საქალაქო თვითმმართველობასთან ერთად მოქმედებდა სახელმწიფო მართვის პოლიციური ორგანოები. შემდგომში საქალაქო თვითმმართველობა ალექსანდრე III-მ სახელმწიფო მოხელეებს: სამხედრო გუბერნატორების, ჟანდარმერიისა და პოლიციის კონტროლს დაუმორჩილა. ბათუმის „საქალაქო თვითმმართველობის“ ანუ დუმის სამუშაო დებულების პროექტით, ქალაქის დუმაში ხმოსანთა 2/3 ქრისტიანული აღმსარებლობისა უნდა ყოფილიყო. ებრაელი ხმოსნების რაოდენობა რეგლამენტირებული იყო. არჩევნების მოსამზადებელმა კომისიამ მუშაობა დაასრულა 1888 წლის ივლისში, ბათუმის I დუმის არჩევნები მიმდინარეობდა 25 აგვისტოდან 2 სექტემბრის ჩათვლით. „ხმოსანთა“ უფლებამოსილება განისაზღვრა ოთხი წლით. დეპუტატები თავის მოვალეობის შესრულებას შეუდგნენ 1888 წლის 1 ოქტომბრიდან. მათი რაოდენობა 36-ით

განისაზღვრა, მათ შორის არ იყვნენ ქალები. დუმის სათავეში იყო ქალაქის თავი და 12 კაციანი კომიტეტი, აქედან სამი ებრაელი ეროვნებისა: ბათუმის ებრაული თემის თავკაცი ი.მ. ვარშავსკი, რკინიგზის ინჟინერი ნ.ბ. პასეკი და ა.ფ. ციმერმანი, პროფესიით ინჟინერ-ტექნოლოგი. ბათუმის I მოწვევის დუმამ 4-ის ნაცვლად 6 წელი იმუშავა, იმპერიაში მიმდინარე მმართველობის სისტემის რეორგანიზაციის გამო. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქალაქ ბათუმის შემდგომი კეთილმოწყობის, მისი ეკონომიკისა და ფინანსების, კულტურის აღმავლობის საქმეში. ბათუმის II დუმის, საქალაქო თვითმმართველობაში (1894-1898) არჩეული 35 „ხმოსნიდან“ სამი ებრაელია: ა.პ. ვაკეი, ვ.ვ. გრილევსკი და ი.ე. ბეილისი; III დუმის (1898-1902) 41 „ხმოსნიდან“ ასევე სამი ებრაელია: წინა მოწვევის დეპუტატების –ვაკეისა და გრილევსკისთან ერთად არჩეული იქნა რ.ფ. გუნდიზერი. IV დუმაში (1902-1907) 38 დეპუტატი იქნა არჩეული, თუმცა მათ შორის 4-ს, როგორც ჩანს, აჭარაში რევოლუციური სიტუაციის გამწვავების გამო უფლებამოსილება, პროცესუალური დარღვევების მიზეზით, შეუჩერდათ. ვ. გრილევსკისა და ე. სკლარევსკისთან ერთად „ხმოსანი“ გახდა ფ.ს. ბარაკოვსკი. ამგვარად, ებრაული თემი კვლავ სამი კაცით ყოფილა წარმოდგენილი...

ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის, მეხუთე მოწვევის დუმაში (1907-1911) არჩეულ იქნა 44 „ხმოსანი“, აქედან სამი ებრაელია: პ.კ. შულტცი, ე.მ. კრინიცკი და კ.ი. კრასნიცკი.

VI მოწვევის ბათუმის დუმაში (1911-1915), 50 „ხმოსანს“ შორის ორი ებრაელი ყოფილა წარმოდგენილი, რომელთა ვინაობა დასადაგენია. როგორც ჩანს, I მსოფლიო ომის დაწყებისა და კავკასიის ფრონტზე შექმნილი კრიზისული ვითარების გამო, ბათუმის თვითმმართველობის პრობლემამ დაკარგა მნიშვნელობა. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ VII მოწვევის დუმასთან დაკავშირებული მასალების ძიება აჭარის სახელმწიფო ცენტრალურ არქივში გრძელდება. მაღლობას მოვახსენებთ მის ხელმძღვანელობასა და თანამშრომლებს დახმარებისათვის.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

გეგეჭკორი, 2007: – გეგეჭკორი ს., ეთნიკური იდენტობა და რელიგიური ფაქტორი (აშკენაზთა თემი და რუსეთის რელიგიური პოლიტიკა XIX საუკუნეში. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ნაკვეთი XXIII, კრებული ეძღვნება დანიელ ხანანაშვილის ხსოვნას), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

გურული, 2015: – გურული ბ., ჯიქია დ., საქართველოს ისტორიული ტერიტორია რუსეთ-ოსმალეთის ომებსა და ზავებში (1695-1953). საქართველოს საპატრიარქოს ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართული უნივერსიტეტი, თბილისი.

დუნდუა, 2013: – დუნდუა თ., თაბუაშვილი ა., ჟუჟუნაშვილი გ., კონსტიტუციური ცვლილებები „ოსმალეთის საქართველოში“. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის გამომცემლობა, „მერიდიანი“, თბილისი,

ჟვანია, 2008: – ჟვანია ზ., ლორთქიფანიძე გ., ებრაელები საქართველოში (საარქივო დოკუმენტების ნუსხა). ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. კულტურის, ისტორიისა და თეორიის საკითხები, XXIV. გამომც. „ხირონი“, აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი ფ.1. (ისტ.), საქმე 59, 411.

საცნობარო გამოცემები – ინტერნეტ რესურსი ros-vos.net/history/ropit; https://odessitclub.org/duplications/almanac/alm_40/alm_40_6-19.pdf shkola-municipalnogo-politika.ru/istoriya-mestnogo-samoupravlenija/istoriy. www.samoupravlenie.ru/20_03.html

სურმანიძე, 2012: – სურმანიძე რ., აჭარა-ლაზეთი. ვილიამ ჯიფორდ პალგრევის, ინგლისის კონსულის ტრაპიზონის ვილაიეთში, 1867-1869 წწ. ანგარიშები. თარგმანი და კომენტარები პროფ. რ. სურმანიძისა. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ბათუმი (წიგნი ეძღვნება ცნობილი მეცნიერის ხარიტონ ახვლედიანის ხსოვნას). **მისივე** თარგმანით, შენიშვნებით და კომენტარებით სერიაში „აჭარა უცხოელების თვალთ“ დაიბეჭდა კ. ლისოვსკის წიგნი „ჭოროხის მხარე“, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2015. **მისივე** რედაქციით, თარგმანითა და კომენტარებით დაიბეჭდა ა. ფრენკელის „ნარკვევები ჩურუქ-სუზე და ბათუმზე“, საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, თბილისი, 2012.

სსეა, ფ. 13, აღწ. 18, ს. 76/26 – საქართველოს სახელმწიფო ეროვნული არქივი, ფონდი 13, აღწერა 18, საქმე №76/26 (თ. ტიერის მიხედვით),

Владыкин, 1886: – Владыкин М. Путеводитель и собеседник по путешествии по Кавказу, I, второе издание, Москва,

Давид, 1991: – Давид И. Истории евреев на Кавказе, II, Тель-Авив,

Первая всеобщая перепись населения Российской империи, 1897 г. Кутаисская губерния. Издание Центрального статистического комитета Министерства внутренних дел, под редакцией Н.А. Троицкого, LXVI. Санкт-Петербург, 1905.

Статистика Российской империи, вып. XVII. Кутаисская губерния. Издание статистического комитета МВД С.-Петербург, 1892.

Памятная книжка гласных Батумской городской думы, Батуми, 1914.

Всеобщий адрес. Ежегодник города Батуми. Батуми, 1902.

Еврейская энциклопедия, 1991: – Еврейская энциклопедия, Свод данных о еврействе, о его культуре в прошлом и в настоящем. Под общей редакцией доктора А. Каценельсона и барона Д. Ганцбурга. Изд. Общества научных еврейских изданий и изд. Брокгауз-Ефрон, Санкт-Петербург, 1908-1913. იბ. მეორე გამოცემა. „Terra“, მოსკოვი,

Русское общество пароходства и торговли (РОПиТ) – Russian Steam Navigation and Trading. თავისუფალი ენციკლოპედია – ვიკიპედია, 2017 წლის 11 მაისი (აღნიშნულია ამ სააქციონერო საზოგადოების ფლოტის აქტიური მონაწილეობა რუსეთ-თურქეთის 1877/1878 წწ. ომში. ავტ.).

Трифонов, 2009: – Трифонов Ю.Н., Лемачко Б.В. Русское общество пароходства и торговли (Краткий исторический справочник). Изд. «Леко», Санкт-Петербург,

Guram Lortkipanidze, Inga Zabachidze (Tbilisi, Georgia)

The Jews in the Batumi City Council (1888-1917)

Summary

In the Russian-Turkish wars of the XIX century the so-called "Muslim Georgia", including Adjara and the city of Batumi, played an important strategic role on the Caucasian front. Even before the annexation of ancient, historically primordially Georgian provinces to the continental Russian Empire in 1856, the Russian Ministry of Foreign Affairs opened a consulate and an agency of the "Russian Steamship Society and Trade", which controlled the port's work and made a significant investment in the development of port facilities. Their influence in the region is detailed in the reports of the British consul and professional intelligence officer, a Jew by nationality, Gyford Palgrem (Cohen). The work of the Russian consul, also, apparently, a Jew by nationality, P.N. Judich, the "agent" of the said steamship company, contributed greatly to the annexation of Batumi and Batumi region in 1878. Among the first colonial settlers in Batumi there were the lower ranks of retired military men, artisans and the Jews, small traders. The last quarter of the XIX century was marked by significant growth in the economy and population in Batumi.

The colonial military-police administration, the military governor's office could not cope with the management of finance, port and municipal services. In 1887, a special commission was set up to hold elections to the city council, the city government body. On September 2, 1882 elections were held to the city council, to the organs of self-government. Among the elected 36 voters were two deputies of Jewish nationality, including probably the head of the local Jewish community. They, like other voters of the city council of the subsequent convocations, took an active part in solving business, economic and financial problems of the city economy.

According to the statistical data of the population census of the Russian Empire of the year 1890, the number of inhabitants of the city increased to 14,674 souls. Among them 862 were of Jewish nationality, which was 4.76% of the townspeople. In the work of all subsequent city councils (II 1894-1898, III 1898-1902, IV 1902-1907, V 1907-1911, VI 1911-1915) three deputies of Jewish nationality participated (among them there were no representatives of the community of Georgian Jews). The Georgians and the Jews have worked closely for many years.

წყალმომარაგების სისტემები გონიო-აფსაროსიდან

რომაული წყალმომარაგების სისტემები ანტიკური სამყაროს ერთ-ერთი საოცარი ქმნილებათაგანია. ამაზე მეტყველებს როგორც წერილობითი წყაროები, ასევე არქეოლოგიური აღმოჩენები. წერილობითი მასალებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ცნობები შემოგვინახეს ვიტრუვიუსმა (ძვ.წ. 80-10 წწ.) და სიქსტუს იულიუს ფრონტინუსმა (ძვ.წ. 40-103 წწ.). ვიტრუვიუსი ძვ.წ. I საუკუნის რომელი არქიტექტორი და ინჟინერი იყო. მისი ნაშრომი „ათი წიგნი არქიტექტურის შესახებ“² ერთადერთი ანტიკური არქიტექტურული ტრაქტატია, რომელმაც ჩვენამდე სრული სახით მოაღწია. ტრაქტატში კარგადაა განხილული სამშენებლო და საინჟინრო საიკითხები, რომლებიც როგორც ელინისტურ, ისე რომაულ ეპოქას მოიცავს. რაც შეეხება სიქსტუსს, ის ახ.წ I საუკუნეში ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი სენატორი და სახელმწიფო მოღვაწე იყო რომში [Frontinus, 1961: 357]. სიქსტუსი ავტორია რამდენიმე ტექნიკური ტრაქტატისა, რომლებშიც განსაკუთრებით საინტერესო ცნობებია დაცული რომაულ აკვედუკებსა და წყალმომარაგების სისტემებზე (*“De aquaeductu urbis Romae”*).


სიქსტუსს დეტალურად აქვს გადმოცემული რომაული წყალმომარაგების სისტემების არქიტექტურული თავისებურებები, თუმცა, სამწუხაროდ, ავტორი ძირითადად შემოიფარგლება აკვედუკებისა და ქალაქ რომის წყალმომარაგების სისტემათა დახასიათებით და არანაირ ინფორმაციას არ გვაწვდის რომის პროვინციებში განხორციელებულ მასშტაბურ მშენებლობებზე, მაგრამ მის ნაშრომში მაინც არის დაცული საკმაოდ საინტერესო ცნობები, რომლებიც რომაული საინჟინრო ხელოვნების ძალზე მაღალ დონეზე მიუთითებს.

რაც შეეხება უშუალოდ გონიო-აფსაროსის წყალმომარაგების სისტემებს, აქ დაბანაკებული გარნიზონი სასმელად იყენებდა ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთით გამომდინარე მსხვილი დებეტის მქონე წყაროს, სადაც მოზრდილი ზომის სათავე ნაგებობაა გამართული. სათავიდან წყალი საკმაოდ დიდი

² ვიტრუვიუსს თავის ნაშრომში აღწერილი აქვს ძველი კოლხური სახლიც - პროტოტიპი შემდეგდროინდელი ქართული გლეხური დარბაზისა.

ზომის მიღების სამი რიგით მიემართებოდა ციხისაკენ, რაც ციხესიმაგრის წყალგაყვანილობის სისტემების გეგმაზეც კარგად ჩანს:

ციხის ტერიტორიაზე წყალი ციხის სამხრეთი კარიბჭის მიმდებარე ტერიტორიის გავლით აღწევდა. თანამედროვე ზედაპირიდან 0.85 მეტრ სიღრმეზე აღმოჩენილია საკმაოდ მასიური მსხვილი მიღებისაგან დამზადებული რომაული ხანის წყალგაყვანილობის ორი რიგი, რომელიც ზედ კარიბჭის ზღურბლთან წყდება. როგორც ჩანს, შუასაუკუნეებში გაუკეთებიათ კარიბჭის რეკონსტრუქცია. რომაულ ხანაში მას ოთხკუთხა მოყვანილობა ჰქონია, სიმაღლე 4.1 მ, სიგანე 3.8 მ. გადაკეთებისას პირველ რიგში შეუვიწროვებიათ კარები და მიუციათ მისთვის თაღისებური მოყვანილობა. მოუპირკეთებიათ კარგად დამუშავებული ქვებით, რომაული კარების ზღურბლი დაუდაბლებიათ წყალგაყვანილობის ახალი სისტემის ჩასმის მიზნით. უფრო გვიანდელი, ბოლო ეტაპის წყალგაყვანილობა ოსმალებს დასავლეთ კედელში შეუყვანიათ.



მილებს კონკრეტულად, წინასწარ განსაზღვრულ ადგილებში საინსპექციო ხვრელები აქვთ, რომლებიც მათ გასაწმენდად იყო საჭირო, ასევე, რიგ შემთხვევებში, რაიმე ტიპის დაზიანების დროს, სწორედ ამ ხვრელების მეშვეობით ხდებოდა პრობლემური ადგილების განსაზღვრა და მათი რეაბილიტირება. საინტერესოა ისიც, რომ ისინი გარკვეული, წინასწარ განსაზღვრული კანონზომიერებით არის განლაგებული, რაც პრობლემის შემთხვევაში აადვილებდა დაზიანებული მონაკვეთის აღმოჩენას. ეს, ერთგვარად, ძალზე საინტერესო მიგნება იყო რომელი ინჟინრებისა. აღსანიშნავია ისიც, რომ მსგავსი ტექნიკით გამართული წყალმომარაგების სისტემები ამ პერიოდის საქართველოს ტერიტორიაზე საერთოდ არ გვხვდება. თუმცა, დღემდე რამდენიმე ძეგლზე გაკეთებული აღმოჩენების საფუძველზე დგინდება, რომ ზუსტად იგივე სტანდარტებით ხდებოდა წყალმომარაგების სისტემების გამართვა რომის როგორც ცენტრალურ (რომი; პომპეი;) ქალაქებში, ისე სხვადასხვა პროვინციებშიც (ხერსონესი; ბალაქლავა; ნოვა; პოტისა; სათალა და.ა.შ) *[Hansen, 1983]*.

სათავიდან გამოყვანილი მილების სამი რიგისგან მხოლოდ ორი მიდის კარის ზღურბლამდე, მესამე რიგი კი მცირე წყვეტილის შემდე იწყება კარიბჭიდან 2.6 მ მოშორებით. ეს ხაზი ოდნავ მაღლაა მის დასავლეთით მდებარე ორ რიგთან შედარებით. თანაც წყალგაყვანილობის მილები უფრო ფართო დიამეტრისაა. შუა რიგი კარიბჭიდან 1.2 მ მოშორებით ჩასმულია ქვის ოთხკუთხა მოყვანილობის ბლოკში, რომელსაც ზემოდან აქვს წრიული მოყვანილობის ხვრელი. ბლოკის სიგრძე 70 სმ-ია, სიგანე 25 სმ, ხვრელის დიამეტრია 14 სმ, სიმაღლე 26 სმ. თითქმის მის გაგრძელებაზე ასეთივე ბლოკში ჩასმულია მე-3 რიგიც. ბლოკის სიგრძე 46 სმ-ია, სიფართე - 36 სმ, წრიული ხვრელის დიამეტრი 14 სმ-ია, სიმაღლე კი 26 სმ. ასეთივე ბლოკი უნდა ჰქონოდა პირველ ხაზსაც, როგორც ჩანს, ხვრელიანი ქვის ბლოკები წყლის ნაკადის მარეგულირებელი იყო - გახსნა-ჩაკეტვა ხდებოდა. შემდეგ სამივე ხაზი მიემართება ჩრდილოეთისაკენ.

წყლის მილების წინ ჩანს ორი კვადრი (ერთის სიგრძეა 43 სმ, მეორესი კი - 68 სმ). პირველი მილი დაზიანებული იყო მისი აღმოჩენისას. მის გაგრძელებაზე მოჩანს დამტვრეული მილის ნატეხები. შემდეგ 1.5 მ მონაკვეთზე სიცარიელეა. ამის შემდეგ გამოჩნდა კიდევ ერთი ნახევრად დაზიანებული მილი. მოსდევს in situ ჩაწყობილი 6 მთლიანად გადარჩენილი მილი. თითოეულის სიგრძე მერყეობს 43-46 სმ შორის, რასაც უნდა მიემატოს მეორე მილის

ბოლოზე მორგების მიზნით შევიწროებული ნაწილის სიგრძეც დაახლოებით 4-5 სმ.

უფრო ძველი წყალგაყვანილობის მიწები იქნა მიკვლეული ციხის სამხრეთ დასავლეთ მონაკვეთის VI სექტორის 87-ე და 97-ე კვადრატებში. ისინი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ არიან მიმართული. ამ სისტემის მიწები შედარებით მცირე ზომისანი არიან, კეციც უფრო წვრილმარცვლოვანი და შედარებით მუქი ყავისფერია. წყალგაყვანილობა ჩაჭრილი ჩანს კანალიზაციის სისტემით. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძეგლებს შორის ეს ყველაზე ძველი წყალმომარაგების სისტემა უნდა იყოს და ახ.წ I საუკუნით უნდა დათარიღდეს. აღსანიშნავია ისიც, რომ მიწების ეს რიგი ამავე სექტორის გაუთხრელ ფართობშიც ვრცელდება.

დიდ ინტერესს იწვევს ციხის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთის VI სექტორის 97-ე კვადრატში აღმოჩენილი ქვის ფილებით მონუმენტურად ნაგები ოთხკუთხაგანიკვეთიანი კოლექტორის ნაშთები, რომელსაც სახურავის 8 ფილა ადევს. ისინი დამზადებულია საგანგებოდ გათლილი მოთეთრო-მოყვითალო ქვისგან. ეს სტანდარტული ფილები ადგილობრივი ჯიშის ქვას არ უნდა წარმოადგენდეს. მათი ზომებია: 90x50 სმ, 60x50 სმ, 87x40 სმ, 47x44 სმ, 55x40 სმ, 66x47 სმ, 83x42 სმ, 66x47 სმ, სისქე 8-10 სმ. კოლექტორის კედლებიც ქვებითაა ამოშენებული, ხოლო ძირზე ქვის ფილებია დაგებული. არხის სიგანე 32 სმ-ია, სიმაღლე - 45 სმ. კანალიზაციის ამავე სისტემის გაგრძელება ჩანს აბანოთუბანზეც. ერთი რიგი აღმოსავლეთის მხრიდანაც უერთდება. კანალიზაციის ამ სისტემას კიდევ ერთ ახალ მონუმენტური ნაგებობის ნაშთებთან მივყავართ.

არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით არც ის არის გამორიცხული, რომ განვითარებული შუასაუკუნეების წყალგაყვანილობის პირველი რიგი სადღაც XIV-XV საუკუნეებამდე მოქმედებდა. ოსმალეთის მხრივ მოახლოებულ საფრთხესთან დაკავშირებით ამ პერიოდებისათვის გონიოს ციხეში გარნიზონის გარკვეული კონტინგენტის გაჩენა ივარაუდება. გვიანშუასაუკუნეებში გაუყვანიათ წყალგაყვანილობის ახალი სისტემა, როგორც ჩანს, ის XVII-XIX საუკუნეებამდე მოქმედებდა (SW VI სექტორი). მიემართება ჩრილო-დასავლეთის მიმართულებით ადრეშუასაუკუნეების სისტემის პარალელურად. იწყება კარიბჭის გადაკეთებული დასავლეთის კედლის ძირიდან. გაივლის SW VI სექტორის მე-7, მე-6, მე-16, მე-15 და 24-ე კვადრატებს. კარიბჭესთან დასაწყისის მცირე მონაკვეთი SW VI სექტორის 97-ე კვადრატში გადადის. წყალგაყვანილობის მიწები მთლიანადაა დაფარული სანახევროდ დამუშავებული ქვე-

ბით. ალაგ-ალაგ აქაც დულაბია გამოყენებული. ციხის კედელთან ახლოს მთელი მილიც ჩანს, რომლის სიგრძეც 42 სმ-ია.

მეტად საინტერესო ფაქტი ფიქსირდება SW VI სექტორის მე-3 კვადრატის არეალში, სადაც შემოდის ადრეშუასაუკუნეების წყალგაყვანილობის სისტემა, რომელიც უხვევს დასავლეთისკენ. იგი კვეთს იქვე მდებარე ნაგებობას და გრძელდება მე-13 კვადრატში, შემდეგ ოდნავ ქვემოთ ეშვება და იხრება სახრეთ-დასავლეთისკენ. მე-13 კვადრატში კი ფიქსირდება აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით მიმავალი 5 მილი. ერთ-ერთ მათგანზე დაცობილი იყო კერამიკული ხუფი. ნაგებობის აღმოსავლეთ კედელზე, მილების ზემოთ, დევს ორი მოზრდილი კვადრი, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ეს სისტემა გაუყვანიათ შენობის ნანგრევებზე, ყოველ შემთხვევაში ახ.წ. III საუკუნის შემდგომ.

მე-4, მე-5 და მე-6 კვადრატები უჭირავს მხოლოდ და მხოლოდ წყალგაყვანილობის სისტემას. ჩანს სულ 34 მილი. მათ შორის შვიდს აქვს საკონტროლო ხვრელი.

საკმაოდ საყურადღებო გარემოება შეინიშნება მე-14 და მე-15 კვადრატებში, სადაც იკვეთება ქვის აბსიდური წყობის ნაშთები. მისი დანიშნულების შესახებ რაიმეს თქმა რთულია. მის გვერდითვე ჩანს მოზრდილი კვადრი - წყლის გამანაწილებელი, რომელშიც თიხის მილები ყოფილა ჩაშენებული. კვადრს აქვს სამი ხვრელი.

ციხის სამხრეთ კარიბჭიდან მომავალი რომაული პერიოდის წყალგაყვანილობის მილი მიემართება ციხის სამხრეთ კედლის პარალელურად, SW IX სექტორში ამავე წყალგაყვანილობის სისტემასთან დაკავშირებულ მართკუთხა ფორმის რეზერვუართან (ზომ. 1.65x5.70 მ). საფიქრებელია, რომ იგი უშუალოდ უკავშირდებოდა მისგან აღმოსავლეთით ჯერ კიდევ ადრე გამოვლენილ მომცრო, თითქმის კვადრატულ რეზერვუარს (№1) (1.7 x 0.9 მ). სავარაუდოდ, ამ უკანასკნელთან დაკავშირებული სახელდახელო კედელი იყო საყრდენი, თუ გამტარებელი მცირე ავზიდან მეორე რეზერვუარისკენ მიმართული წყალსადენისა. ის, რომ ეს ნაგებობა წყალთან არის დაკავშირებული, ამაზე პირველ რეზერვუართან დაკავშირებული წყალსადენის გარდა ისიც მიუთითებს, რომ ორივე შელესილია წყალგაუმტარი ჰიდრავლიკური ხსნარით და შესაძლოა კავშირში იყოს კომპლექსთან, რომელიც ჯერ გამოვლენილი არ არის.

რაც შეეხება მეორე რეზერვუარს, მეტად საინტერესოა მისი კონსტრუქციული თავისებურებები. სპეციფიკური ხასიათის გამო უნდა ვიფიქროთ, რომ თვით რეზერვუარი ფუნქციონირების დროინდელ არქეოლოგიურ მასალას არ

უნდა შეიცავდეს. მართლაც, რეზერვუარში, ძირითადად მის დასავლეთ ნაწილში, იატაკს ზემოთ გამოვლენილი ქვყრილის დონეზე ანაკრეფი არქეოლოგიური მასალები მოგვიანო ხანით თარიღდება.

დოკუმენტურ მონაცემებზე დაყრდნობით, ინტერიერთან დაკავშირებით აღსანიშნავია რამდენიმე ძირითადი გარემოება. საერთო მოცულობის განსაზღვრის თვალსაზრისით გარკვეული მნიშვნელობა აქვს შემორჩენილი კედლების ვერტიკალური სიბრტყის განაზომებს. დაკვირვების შესაძლებლობას იძლევა ჩრდილოეთისა და დასავლეთის კედლები, რადგან სამხრეთის კედელი თითქმის მთლიანადაა მორღვეული. ამასთან, აღნიშნულ კედელს იატაკის ჩადულაბეზულ მასასთან მიმართებაში ერთგვარი დეფორმაცია განუცდია, მათი მიერთების ადგილი გადახსნილია და აშკარად შესამჩნევი ღიობი გაჩენილა. ნეგებობის კვლევის დღევანდელ ეტაპზე ასეთი კონსტრუქციული ხარვეზის გაჩენის ვითარებაში გარკვევა ძალზე რთულია. აგრეთვე გარკვეულ სირთულეს უკავშირდება ჩრდილოეთ კედლის კვლევა. ინტერიერის ნაწილტში ჰიდრავლიკური ხსნარი ძირითადად გამოფიტულია და დეფორმირებული. ამასთან თვით კედლის სისქე 0.5 მეტრს არ აღემატება. ამ კედლის ფასადს გარედან უკავშირდება დუღაბის მასიური ფენა, რომელიც ნაგებობის ქვედა დონის ერთგვარ სუბსტრუქციას (შემაგრებას) აუნდა წარმოადგენდეს. ამდენად, თვით აღნიშნული კედლის სტრუქტურის კვლევისათვის ჯერჯერობით პირდაპირი მონაცემები არ გავაჩნია. ძირითადად მხოლოდ ინტერიერის წყობის ზედა დონეზე შეინიშნება სანეხევროდ გათლილი ქვების წყობა, რომელიც ზემოდან დაფარულია ასევე თიხნარის მკვრივი ფენით. ამრიგად, ჩრდილოეთის კედლის ჰიდრავლიკურხსნარიანი შელესილობის და წყობის ფრაგმენტების მიხედვით კედლის სიმაღლე 0.7-0.8 მეტრით შეიძლება განისაზღვროს. იგივე მონაცემებზე მიუთითებს №2 რეზერვუარის №1 რეზერვუართან დამაკავშირებელი წყალსადენის საყრდენი კედლის განაზომი. შემორჩენილი ნაწილის მიხედვით, რომელიც, საფიქრებელია, ერთგვარად ნაკლულიც შეიძლება იყოს, მისი სიმაღლე 0.7-0.8 მეტრის ტოლია, მაგრამ №1 რეზერვუარის დასავლეთი კედლის უფრო მაღლივ შემორჩენილი ნაწილის მიხედვით, რომელთანაც შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო მასზე წყალსადენისთვის მიშენებული საყრდენის სიმაღლე 1 მეტრს აღწევს (აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მითითებული კედლის დონე შეიძლება არ განსაზღვრავდეს №2 რეზერვუარის აღმოსავლეთ კედლის სიმაღლეს, რადგანაც ასეთ შემთხვევაში აღნიშნული ნაგებობის აღმოსავლეთი და დასავლეთი კედლების სიმაღლეები მკვეთრად შეუსაბამო იქნებოდა). ასეთ შემთხვევაში რეზერვუა-

რის საერთო მოცულობის განსაზღვრისათვის გვიჩნდება მესამე მონაცემიც, რომლის დაზუსტებისათვის დიდ მნიშვნელობას იძენს ნაგებობის დასავლეთ კედლის მონაცემები. იგი მთელ სიგრძეზეა გაწმენდილი და სიმაღლეც, რომელიც, თითქოს, ერთ დონეზეა გამოვლენილი, არ აღემატება 0.7-0.8 მეტრს.

რეზერვუარის ინტერიერში დადასტურებულია მოგვიანო ხანის კულტურული ფენა, რომლის მოხსნის შემდგომ ჩნდება ჰიდრავლიკურხსნარიანი იატაკის დონე. ამ უკანასკნელის სისქე კი 10 სმ-ს შეადგენს. როგორც ჩანს, იგი გამართული იყო გაცრილი ხრეშის ფენაზე, რომლის სისქე 10-15 სმ-ია. ნაგებობის იატაკზე მსჯელობის დროს დიდ ინტერესს იწვევს ისიც, რომ იგი აღმოსავლეთიდან დასავლეთით ერთგვარად დამრეცია, სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან კი არის ჩადაბლება. სამწუხაროდ, არქეოლოგიური კვლევების შედეგად როგორც აღნიშნულ მონაკვეთში, ასევე ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში და დასავლეთის კედლის გარეთ (უპირატესად ზღუდის მონაკვეთთან) წყალსადენის მილები ან წყლის დრენაჟისათვის საჭირო სხვა რაიმე მონაცემი არ ვლინდება.

ერთ მეტად საინტერესო კვანძს წარმოადგენს რეზერვუარის სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხის მონაკვეთი. იგი ექცევა 47-ე და 48-ე კვადრატებში. არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად, რომელიც წარმოებდა №1 რეზერვუართან დაკავშირებული და №2 რეზერვუართან მიმართული, ანუ მათი დამაკავშირებელი კედლისა და №2 რეზერვუარის სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხის გარეთ მოქცეულ ნაწილში, გაირკვა, რომ კედელს საფასადო ნაწილი და მის წყობისგან რამდენადმე განსხვავებული საძირკვლის ნაწილი არ გააჩნია. სავარაუდოდ, წყალსადენისთვის აშენებული საყრდენი კედელი ნაწილობრივ მაინც მიწით იყო დაფარული. ამიტაც არის განპირობებული მისი წყობის ერთგვარად დაუდევარი ხასიათი. იქვე, კედელთან ჩაჭრილ საძიებო თხრილში, ქვედა დონეზეც ერთგვარად ჰუმუსირებული, ორგანული მინარევების შემცველი ფენა იყო გამოვლენილი. ამას ადასტურებს საანგარიშო წელსვე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიშიც, რომლის მიხედვითაც დასტურდება, რომ ამ მონაკვეთში გვიან, თურქულ ხანაში ჩაჭრილ ორმოსთან გვაქვს საქმე. ორმოს გაჭრის დროსვე უნდა დაეზიანებინათ №2 რეზერვუარის სამხრეთი კედლის და სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხის ნაწილი, აგრეთვე კულტურული ფენები, რამაც, როგორც ჩანს, გამოიწვია მომიჯნავე ფართობის სამშენებლო ნაყარი ფენის სხვადასხვა დონეზე, ახ.წ. პირველი საუკუნის ფენიდან ამოყრილი მასალების გავრცელება.

№2 რეზერვუარის და, შესაბამისად, ზღუდის უძველესი კედლის დათარიღების მიზნით, ცხადია დიდი მნიშვნელობა აქვს №1 რეზერვუარის მონაცემებს, რადგან ისინი (ავზებს/რეზერვუარებს) ერთი, ჯერ კიდევ საკვლევი კომპლექსის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ. სტრატეგიაში აღნიშნული მონაცემებით - მიმართება ძველი ზღუდის სამიწის დონესთან, მათ შორის დადასტურებული კულტურული ფენის მასალით, უძველეს წყალსადენთან კავშირით და, რაც მთავარია, რეზერვუარის იატაკის დონეზე ნაპოვნი ახ.წ. I საუკუნის მიწურულის მონეტით (ნუმისმატ ი. ვარშალომიძის განმარტებით, მონეტის ზედწერილის განუსაზღვრელობის მიუხედავად, ზოგადი მონაცემებით იგი მაინც შეიძლება სწორედ ახ.წ. I საუკუნით დავათარილოთ. №1 რეზერვუარის დათარიღების საკითხის განსაზღვრაში, ცხადია, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მასში ნაპოვნი სხვა, უპირატესად კერამიკული წარმოების შესწავლას, რაც სამწუხაროდ, ჯერ არ განხორციელებულა). №1 რეზერვუარი შეიძლება ახ.წ. I საუკუნით დათარიღდეს. ასეთი, შედარებით პირდაპირი მონაცემები №2 რეზერვუარის დათარიღებას არ გაგვაჩნია. რეზერვუარის დასავლეთ კედლის სუბსტრუქციასთან გამოვლენილი ახ.წ. I-II საუკუნეების კულტურული ფენის მიმართება, ნაგებობასთან შემდგომ კვლევებს საჭიროებს. არც ინტერიერის ნაწილში გამოვლენილი ქვაყრილიანი კულტურული ფენა გამოდგება ამისათვის, რადგან ნაგებობის სპეციფიკურობის გამო მასში სინქრონული მასალების გამოვლენის შესაძლებლობას თითქმის გამორიცხავს.

აფსაროსის წყალგაყვანილობის სისტემა დაახლოებით, ზუსტად იგივე პრინციპით არის აგებული, როგორც ყირიმის ნახევარკუნძულზე არსებულ რომაულ ციხე-სიმაგრე ბალაქლავაში. სადაც წყალგაყვანილობისა და საკანალიზაციო სისტემების ძალზე საინტერესო მასალები აღმოჩნდა. წყალი უშუალოდ დასახლებისკენ მიემართებოდა ქალაქიდან 10-12 კილომეტრით დაშორებული ნატურალური წყაროებიდან, რომლებიც სარანდინაკინის და იუხარინის ხეობებში მდებარეობდა. აქ ასევე წყლის საკმაოდ მოზრდილი სათავე ნაგებობა ყოფილა, საიდანაც წყალი ციხე-სიმაგრისკენ მიემართებოდა თიხის მილების საშუალებით, რომელთაც ზუსტად ისეთივე საინსპექციო ხვრელები აქვთ, როგორც გონიო-აფსაროსის წყალგაყვანილობის სისტემებზე დასტურდება [Антонова, 1989].

როგორც აღნიშნულ ციხე-სიმაგრეზე წარმოებული სამუშაოების ანგარიშიდან ვიგებთ, ისევე როგორც აფსაროსში, ბალაქლავას ციხეზეც დასტურდება წყლის მოზრდილი რეზერვუარების არსებობაც. რომელთა მოცულობა 28 x 13,5 x 3,75 მ-ს, ხოლო ტევადობა 1500 მ³-ს შეადგენდა. ავზის როგორც იატაკი,

ისე კედლები მოპირკეთებული იყო კირხსნარით. კედლებში გაყვანილი იყო თიხის მილები, რომელთა მეშვეობით წყალი მიემართებოდა შესაბამისი დანიშნულებისაკენ. რეზერვუარიდან წყლის მილი აგრეთვე მიემართებოდა ფართო ოთახისაკენ, სადაც განლაგებული იყო საერთო საპირფარეშოები [Антонова, 1989].

ბალაქლავის კასტელუმში აღმოჩენილი ნივთიერი მასალის საფუძველზე, აღნიშნული წყალმომარაგების სისტემები თარიღდება ახ.წ. II საუკუნის მე-2 ნახევრის ადრეული ხანებით. ხოლო, როგორც წყაროებით ვიგებთ IX საუკუნისთვის წყლის რეზერვუარი უკვე მიწით იყო დაფარული და ციხე-სიმაგრეც ფაქტიურად უფუჭციოდ დარჩენილა.

გარდა ბალაქლავისა, ასევე ნოვასა და პოტაისაზეც მცირე განსახვავებებით, თუმცა მაინც, ფიქსირდება თითქმის იდენტური დაგეგმარების წყალმომარაგების სისტემები და კანალიზაციის არხები (საკანალიზაციო სისტემები თითქმის ყველა კასტელუმში გადიოდა ქუჩების ცენტრალურ ნაწილში, უნდა ვივარაუდოთ რომ ასე იყო გონიო-აფსაროსშიც), თუმცა განსხვავება დროის მონაკვეთშია.

გარდა ამისა, ერთ-ერთი მეტად საინტერესო საკითხია ისიც, რომ თითოეულ ზემოთჩამოთვლილ ციხე-სიმაგრეებში აღმოჩენილი დამღების შესწავლის საფუძველზე არ დასტურდება რომელიმე, სპეციალურად სამშენებლო საქმიანობისათვის გამწესებული ლეგიონის მონაწილეობა. ამიტომ, სამწუხაროდ მოსაზრება X, სამშენებლო საქმიანობით დაკავებულ, ლეგიონთან დაკავშირებით ვერ იქნება გაზიარებული.

როგორც ჩანს, გონიო-აფსაროსის კასტელუმის წყალმომარაგება და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა საკმაოდ მაღალ დონეზე მდგარა. ამის ნათელი დასტურია ამდენად მაღალ არქიტექტურულ დონეზე გამართული წყალმომარაგების სისტემების არსებობა. ამ მიმართულებით უკვე დაგეგმილი გვაქვს კვლევა-ძიების გაგრძელება, ამიტომ უახლოეს მომავალში კიდევ უფრო მნიშვნელოვან აღმოჩენებს უნდა ველოდეთ.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

ებრალიძე, 2002: – ებრალიძე ტ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი გვიანელინისტურსა და რომაულ ხანაში (საკან. დის.)

ებრალიძე, 2004: – ებრალიძე ტ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი გვიანელინისტურსა და რომაულ ხანაში (სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი იმპორტული კერამიკის მიხედვით). – გონიო-აფსაროსი VI.

თავამაიშვილი, 1999: – უძველესი ნამოსახლარები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ახალშავზღვურ ტერასაზე (საკან. დის), თბილისი.

თოდუა, 1997: – თოდუა თ., მურვანიძე ბ., რომაული ლეგიონის ტვიფრიანი აგური სოფელ მოედნიდან. – გურია II, თბილისი.

ინაიშვილი, 1996: – ინაიშვილი ნ., ხალვაში მ., გონიო-აფსაროსის არქეოლოგიური ექსპედიციის 1996 წლის მუშაობის ძირითადი შედეგები, ბათუმი.

ინაძე, 1962: – სავაჭრო ურთიერთობათა ისტორიიდან ძველ კოლხეთში. – კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, II, თბილისი.

კახიძე, 1971: – კახიძე ა., საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები, თბილისი.

კახიძე, 1993: – კახიძე ა., მამულაძე შ., აჭარისწყლის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, ბათუმი.

კახიძე, 2000: – კახიძე ა., მამულაძე შ., ჭოროხის აუზი კოლხური კულტურის უძველესი კერა, ბათუმი.

კახიძე, 2000: – კახიძე ა., მამულაძე შ., ებრალიძე ტ., 2000 წელს გონიო-აფსაროსის ციხის სამხრეთი კარიბჭის გარეთ წარმოებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების ანგარიში. – გონიო-აფსაროსი, III.

კახიძე, 2004: – კახიძე ა., მამულაძე შ., სამხრეთ კარიბჭისა და აბანოთუბნის ტერიტორიაზე 1995-1999 წლებში წარმოებული კვლევა-ძიების უმთავრესი შედეგები. – გონიო-აფსაროსი IV, ბათუმი.

კახიძე, 2006: – კახიძე ა., მამულაძე შ., ებრალიძე ტ., სულავა ნ., 2004-2005 წლებში გონიო-აფსაროსში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიშები, ბათუმი.

კახიძე, 2002: – კახიძე ა., რომის იმპერია და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ახ.წ. I-V სს, თბილისი.

ლორთქიფანიძე, 1966: – ლორთქიფანიძე ოთ., ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბილისი.

მამულაძე, 2002: – მამულაძე შ., ხალვაში მ., ასლანიშვილი ლ., აფსაროსის რომაული გარნიზონები, – კავკასიის მაცნე, II, თბილისი.

პლონტკე-ლიუნიჩი, 2002 – პლონტკე-ლიუნიჩი ა, ჰელმუტი ნ., გაიერი ა., გონიო აფსაროსის გერმანულ-ქართული ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიცია, – გონიო-აფსაროსი III.

Антонова, 1989: – Антонова И.б Аркадова Л.А, - Раскопки и античные протехизмы в Херсонесе. – АО, Москва.

- Блаватски, 1960:** – Блаватский В.Д, Раскопки Пантикапея в 1954-1958 гг – СА, 2.
- Клейман, 1976:** – Клейман И.Б., К стратиграфии напластований римского времени в тире. – МАСП. 7, Одесса.
- Мамуладзе, 2002:** – Ш. Мамуладзе, М. Халваши, Л. Асланишвили; публикация: Римские Гарнизоны Апсара, Вестник Древней Истории, Москва.
- Biernacka-Lubanska, 1979:** – Biernacka-Lubanska, M., Water-Supply System of Novae. *Archaeologia* 30, 57-68.
- Biernacki, 2005:** – Biernacki, A.B., a City of Christians: Novae in the 5th and 6th c. AD. *Archaeologia Bulgarica* 9, 1, 53-74.
- Shirley, 2001:** – Elizabeth Shirley, Building a Roman Legionary Fortress, Britain, 2001.
- Franz, 1988:** – Franz A., Late Antiquity: A.D. 267-700, the Athenian Agora, XXIV.
- Frontinus, 1961:** – Frontinus, Sextus Julius, (trans. Charles Bennett). *Stratagems and the Aqueducts of Rome*. Harvard University Press, Cambridge, Massachusetts.
- Karasiewicz-Szczypiorski, 2017:** – Karasiewicz-Szczypiorski, R., Mamuladze SH., Gonio-Apsarus in Ajara – Excavations of the Roman Fort. A Polish-Georgian Archaeological Expedition. Seasons 2014-2015; Ajara: Past and Modernity, Volume III, Batumi.
- Novae, 2012:** – Novae, Archaeological Guide. Warszawa.
- Poulter, 1994 :** – Poulter, A. G., Novae in the 4th Century AD: City or Fortress? A problem with a British Perspective, in: *Limes*, a cura di G. Susini (=Studi di storia, 5), Bologna, 139-148.
- Sarnowski, 2007:** – Sarnowski, T., Saveljia, O.J., Karasiewicz-Szczypiorski R., Roman Military Sentry Posts in the Border Zone of Crimean Chersones. *Archaeologia* 58.
- Sarnowski, 2008:** – Sarnowski, T. Kovalevskaia, J., Novae – Castra Legions, 2003-2005 Preliminary Report on the Excavations of the Warsaw University Archaeological Expedition, *Archaeologia* 59, 2008, 141-152.
- Tsarov, 2007:** – Tsarov, I., Water Supply in the Legionary Camps Oescus, Novae and Durostorum (Moesia Inferior), in: *The Lower Danube in Antiquity*. International Archaeological Conference. Bulgaria – Tutrakan, 6-7. 10. 2005, Sofia 2007, 217-226.

Sulkhan Mamuladze (Batumi, Georgia)

Water Supply Systems of Gonio-Apsarus Ancient Site

Summary

The aim of this work is to study the water supplies of old Gonio-Apsaros city and hygienic spots fundamentally, to search the parallels and evaluate information source, to compare with materials kept in funds or afield and to make the conclusions. Moreover, the purpose of this work is the graphic and photo fixation of the above mentioned systems and objects.

ტაბულების აღწერილობა:

- I. გონიო-აფსაროსის ციხე-სიმაგრე
- II. წყალგაყვანილობის სისტემები ციხის სამხრეთი კარიბჭიდან
- III. ციხე-სიმაგრის სამხრეთ მონაკვეთში არსებული რეზერვუარები

I.



II.



III.



ბათუმი ბათუმელი მწერლების თვალთ

ზღვისპირა ქალაქი – ქათქათა, კოპწია, ზაფხულ – გრილი, ზამთარ – თბილი, თავზე ფრთათეთრი თოლია რომ დაფარფატებს – ასეთად ხედავდნენ ბათუმს გასულ საუკუნეში პოეტებიც და არაპოეტებიც. შემდეგ საუკუნეში ეს ხატი ქოლგიანმა დელფინმა, ცათამბჯენებმა, პოსტმოდერნის სტილში შესრულებულმა ხელოვნების ნიმუშებმა, კაზინოებმა და ღამის სხვა უამრავმა გასართობმა ცენტრმა შეავსო/თუ შეცვალა. თუმცა პოეტებისთვის, იქნებთან ისინი მეოცე თუ ოცდამეერთე საუკუნეში მოღვაწენი, ბათუმი იყო, არის და, შესაძლოა, იქნება კიდევ მომავალში, ზღვის, მზის, წვიმისა და, რაც მთავარია, სიყვარულის ქალაქი, უფრო ზუსტად, ბათუმი ამ ყველაფერს – ზღვას, მზეს, წვიმას და სიყვარულს – ერთ განსაკუთრებულ ფენომენად აქცევს, რომელიც განუმეორებელ კოლორიტს სძენს მას და მხოლოდ ამ ქალაქში შეიგრძნობ.

სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ გადავავლოთ თვალი ბათუმელი პოეტების მიერ დანახულ/დახატულ ბათუმს. ეს ვირტუალური მოგზაურობა კი ბათუმის წარსულსა და დღევანდებლობაში აჭარის პირველი პროფესიონალი პოეტის, მამია ვარშანიძის, 1939 წელს დაწერილი ლექსით – „ბათუმი“ – დავიწყეთ, მით უმეტეს, რომ ეს სადა, გულწრფელი, ადამიანური ემოციებით სავსე ლირიკული მარგალიტი ამას იმსახურებს. გავიხსენოთ: ჩაქურიანი ბიჭი დედამ პირველად ჩამოიყვანა ქალაქში, ისიც გულუბრყვილოდ, ფართოდ გახელილი თვალებით გაცეხული შესცქერის მისთვის უსაშველოდ უცხო, დიდ ქალაქს, ზღვასა და თეთრიალქნიან გემებს, მას შიშში იპყრობს, ვაითუ, დედამ სახლის გზას ვეღარ მიაგნოს. პოეტი ზუსტად გადმოგვცემს სოფლელი ბიჭუნას განცდებს, მკითხველი გრძნობს მის შფოთვის, ხედავს, როგორ უვლის ტანში ჟრუანტელი და მთელი სხეულით როგორ ეკვრის დედას... მას შემდეგ „ცამ ბევრი დღეები დაცრა“, პატარა ბიჭიც ქალაქთან ერთად გაიზარდა, თუმცა ის პირველი გაცეხა და აღტაცება ბათუმით აღარასოდეს განელე-ბია:

„ჩემო ბათუმო, შენში ჰყვავიან, / ჩემი ტოლების დღე და მიზნები,
მრავალ წლის შემდეგ გეტყვი სიმღერით /
– მე მოვხუცდი და შენ კი იზრდები“ [ვარშანიძე, 2002:35].

ახლა პირველი აჭარელი პროფესიონალი პოეტი-ქალბატონის, ნანა გვარიშვილის მიერ დახატული ბათუმური პეიზაჟებით დავტკბეთ, ისინი, მართლაც, ყველასაგან განსხვავებულია: ფერიული, ფაქიზი, ნატიფი, ჰაეროვანი, მთრთოლვარე... მათი ხიბლი ფერთა ლივლივშია, ათასგვარი წვიმის წვეთების მუსიკაშია, ზღვის ტალღათა იდუმალ ხმაურშია. ზღვა, მზე, წვიმა და უნაპირო სიყვარული ქმნის ბათუმის იმ მიმზიდველობას, რომელიც ასე კარგად აქვს შეგრძნობილი და გადმოცემული პოეტს. მისი ლექსებიდან უწყვეტ მელოდიად იღვრება „თეთრი წვიმების თეთრი მუსიკა“, რომელიც ხან სევდიან გალობად, ხან კი მხიარულ ჟრიამულად ისმის:

„ყვავილს აწვიმს... როგორ აწვიმს, / ღმერთო, როდის გადაიღებს,
 ზის გვირილა და ცის ცრემლებს, / თეთრი, თეთრი პეშვით იღებს.
 როგორ აწვიმს... როგორ, როგორ, / კურცხალ-კურცხალ,
 ფოთოლ-ფოთოლ, / რა იქნება, გაწუწული,
 მოხვიდე და შემაშფოთო“ *[გვარიშვილი, 1999:77]*.

მხოლოდ ბათუმელმა პოეტმა-ქალმა შეიძლება ასე შეიგრძნოს და გადმოსცეს წვიმის მომხიბლაობა, დახატოს ქარის წვეთებად ქცევა, მოგვასმენინოს „სახურავების ტკბილი გალობა“, გამოაბრწყინოს „მუხლამდე წყალში მდგარ“ ქალაქში მოულოდნელად გამონათებული მზის სინაზე და ცაში ცისარტყელად აკრეფილი წვიმის წვეთების ფანტასტიკური მშვენიერება.

მხოლოდ ბათუმელ პოეტ-ქალს მოენატრება ასე წვიმა და შესთხოვს მას: „სულში ჩამოდი თქრიალით, უთქვენოდ მომკლავს სევდა“, მხოლოდ მას შეუძლია „წვიმის წვეთში ჩატირებულ ლოდინში“ სატრფო დალანდოს, ცალმხრივი სიყვარულით გამოწვეული ტკივილის სიმღერაც წვიმის აკომპანიმენტით შეასრულოს:

„მინებს იკლებენ წკრიალით / წვიმები, ლურჯი წვიმები...
 ნუთუ დავრჩები უშენოდ, / უშენოდ გავიწირები?!“ *[იქვე, გვ. 98]*

ნანა გვარიშვილის სული უფაქიზესი სიმებითაა დაკავშირებული ბათუმის ქუჩებთან, ის ზღვაში გაჩნდა თოლიასავით, ამიტომ ისინიც თანაუგრძნობენ, მასთან ერთად გლოვობენ დაკარგულ სიყვარულს... მთელი არსებით შეიგრძნობს პოეტი „როგორ უყვარს ტალღა პატარა კვიპაროსს,“ ან როგორ მოიტანს „იისფერ სურას და ნაპირთან დაფშვნის“... ამ სათუთ ხელოვან ქალს – „პალმის მარაო უჭირავს, ზღვა უმღელვარებს ბაგეს“, ცას ევედრება – აჩუქოს ჩიტის ჰანგები, რათა საყვარელ ქალაქს ცისარტყელას ფერებად შემოავლოს ჯადოსნური სტრიქონები. ის ახერხებს კიდეც ამას. მის მიერ დახატულ ბათუმურ პეიზაჟებს განსაკუთრებული სული უდგათ. ის ერთ სტროფში ქმნის

დასრულებულ, სადა და ნათელ, საოცარი ინტიმით გაჟღენთილ ბუნების პოეტურ სურათებს, რომლებიც ადამიანური ემოციის განუყოფელი ნაწილია:

„ტალღა ჩემსკენ გამოიქცა, / გზად თოლიას ეფერება,
თეთრი, თეთრი გვირილები / მიმოფანტა სულ ღერებად.

- გემღერებათ? – ვეკითხები. / მპასუხობენ:
- გვემღერება!“ *[იქვე, გვ. 80].*

როგორც ვხედავთ, ქართულ მწერლობაში იშვიათია ზღვის სტიქიისა და მისი მშვენიერების ისეთი მძაფრი განცდა, როგორც ნანა გვარიშვილის ლირიკაშია. ეფექტურია მის მიერ დახატული მზის ჩასვლის სურათები. ორიგინალური ტროპების მეშვეობით ის შეგვაგრძნობინებს დაისის განუმეორებლობას, ზღვაში ჩაყვინთული მზის მომხიბლაობას, ყელმოღერებული, თეთრ-თეთრი გედების – იალქნების – რონინს „ქოჩორწამოყრილ ზურმუხტის ტელღებზე“:

„ტალღა ათრთოლებს მეწამულ ფერებს, / უკანასკნელად მზემ გაიელვა,
მერე ტალღებში ობობასავით / ჩაჯდა და ზეცას დაუწყო ქსელვა“ *[იქვე, გვ. 107].*

მომხიბლავია აჭარაში „გადარჩენილი ქართული სიტყვის“ ოსტატის, ფრიდონ ხალვაშის, მიერ დახატული „გრილ, ღრუბელნარევ, ბარბუღივით წვიმის ბადეში მომწყვდეული“ თეთრი ქალაქის ხატი, ქალაქისა, სადაც „ერთდროულად წლის ოთხი დროა“. ბათუმია პოეტის უმშვენიერესი და უტკბილესი აწმყო, მის სულში ღოცვა-ვედრებად ანთებული:

„სანატრელო მუდამ, / საფერებო სულ,
ბათუმურად უნდა / ყოფნა სულს და გულს“ *[ხალვაში, 2005:502].*

ბათუმი ღიმილია და სილამაზე, ლურჯკაბიანი მთებით დამშვენებული, რომლის ფეხებთან „ზღვა დაჩოქილა ღოცვით“, ქალაქია, სადაც ციდან წვიმის ბროლის წვეთებთან ერთად მხოლოდ ალერსი და სიყვარული ცვივა, ამიტომ უკვირს პოეტს, როცა ბათუმურ წვიმაზე საყვედურს გაიგონებს:

„ხანდახან გული ძლიერ დამეწვის, / რომ ემდურიათ ბათუმის წვიმას,
მათ არ იციან, შტოზე წვეთები / რა სევდიანი ღიმილით ბრწყინავს“ *[იქვე, გვ. 353].*

ფრიდონ ხალვაშის პოეზიაში იმდენად ინტიმურადაა განცდილი მშობლიური ქალაქი, თუნდაც სხვისთვის ესოდენ მომაბეზრებელი ბათუმური წვიმა, ისეთი ტროპული საშუალებებითაა დახატული, რომ მკითხველი თვალნათლივ ხედავს, თუ „პალმა სევდით როგორ ვარცხნის ჰაერს“, როგორ ეშვება ღრუბლებიდან თბილი თქეში ქალის თმებივით, როგორ მიაცილებენ წვიმის

გამო „ხორუმივით დარხეულ ტალღებს კენჭები ტაშით“, ან კიდევ – როგორ ინაწილებენ „მაგნოლიები ზღვაურის ალერსს“ *[იქვე, გვ. 354]*.

ბათუმი – მზიანი და ბათუმი – წვიმიანი, ბათუმი და ბათუმელები განსაკუთრებული თემაა მედიტაციური ლირიკის ოსტატ ლადო სეიდიშვილისთვის. ბათუმი მისთვის სიყვარულის თემის თავისებური ვარიაციაა, მისი განვრცობა და ახალ სიმაღლეზე აყვანაა, მშობლიურის, მშვენიერისა და სასურველის ერთ – ქალაქის ხატად – გაერთიანებაა. ბათუმის მზეჩადვრილ ქუჩებში პოეტის „მარადი ქალის“ გრაციოზული რონინი კი სულ სხვა ეშხს ჰმატებს ზღვისპირა ქალაქს – პოეტი და ქალაქი ერთ მთლიანობად იქცევიან:

„ფერხითთ გართხმულა ზღვა და უკან მდუმარე მთები

მოჩანან, როგორც შეკვეცილი ოცნების ფრთები

და უკანასკნელ სიყვარულის შემოგებება“ *[სეიდიშვილი, 2001:238]*.

ასე ითხზება „თამამი“ თუ „მფრთხალი წიწილის“ მსგავსი „წვიმის მოაშიკე“ ბათუმის თემა; იხატება იგი იმპრესიონისტის ნაცადი ფუნჯით: იღვრება ბათუმის ირგვლივ მთის ფერდობებზე „ფერები ლილის“, ციდან ეშვება „წვიმის ეკრანი“, რომელზეც ირეკლება „თავდაყირა მდგომი ჩვენი ბავშვობა“... ასე რომ, ლადო სეიდიშვილის ლირიკიდან მკაფიოდ ისმის „ბათუმის წვიმის მელოდიები“, იხატება ცაზე ანძით მიბმული გემი, „შიშინით, ამოუთქმელი ხმაურითა და ცივმცხუნვარებით“ ზღვაში ნელა ჩამავალი მზე და „ზღვის მოვერცხლილ ვეება სინზე“ დადებული მისი ტყუპისცალი, რომელიც თავის „დაკარგულ ნახევარს დაემებს“; შემოქმედი თითქოს ფუნჯის ერთი მოსმით ხატავს „ზღვაში დეზებიანი თეთრი თევზებისა და მედუზების კოჰორტას“, პორტის ჯებირებზე ჩამომსხდარ, ზღვასთან „ანკესებით გადაბმულ“ ბათუმელ მეთევზეთა „მარილიან ზურგებს“...

პოეტს არც ბათუმისთვის განსაკუთრებული კოლორიტის მიმნიჭებელი, კვამლში გახვეული, „მუსიკითა და ნახშირორჟანგით“ სავსე ზღვისპირა კაფეები ავიწყდება:

„კაფეში ფეხი თუ შეგიცდა... მორჩა, გათავდა –

მონა სამივე იპოსტასის ხდები თანდათან:

ყავა მდულარე, ყავა შავი და ყავა ტკბილი –

ჯოჯოხეთივით, ეშმაკივით, სიყვარულივით“ *[იქვე, გვ. 242]*.

რა თქმა უნდა, „ცისფერი და ვარდისფერი“ ბათუმი განუმეორებელი ზურაბ გორგილაძის სიყვარულის ქალაქიც იყო: მიმოხეზვის ბილიკებით ზღვისკენ მიმსწრაფი, მარად ძველი და მარად ახალი, ქალაქი, რომელმაც სამასწლო-

ვანი დიდი ღამის მიუხედავად შეინარჩუნა ქართული ცა, ქართული მზე და ქართული სული:

„აწ ვერავინ შემოგბედოს, აწ ვერავინ დაგძალოს,

ზღვათა ქვეყნის დედოფალო, მგალობელო ტაძარო“ *[გორგილაძე, 20012:509]*.

სევდის პოეტს – ვახტანგ ღლონტს – ეკუთვნის ბათუმის ასეთი დახასიათება:

„ბათუმი არის წვიმა, /და არაფერი სხვა...

ბათუმი სიყვარულია / და არაფერი სხვა“ *[ღლონტი, 2003:86]*.

პოეტისათვის ბათუმური წვიმის წვეთები „პაწაწინა მაწანწალებია“, რომლებიც „ღრუბლის სანგარში ჩასაფრებულნი“, არავინ იცის, როდის დაგესხმიან თავს, ან „წყლის უთვალავი ხელკეტი“ როდის დაგიღეწავენ გვერდებს ისედაც „თავით ფეხამდე გალუმპულსა და ამაგმაგებულს“, ან როდის წაგიჭერენ ყელში „მღვრიე მავრივით“ გრძელ თითებს, ან როდის აედევნებიან წვიმის წვეთები ქუჩაში წყნარად მოსიარულე ქალწულს „გალოთებული სატრფოს ცრემლივით“ ... და „წვიმის ტყვე“ პოეტიც წერს „ცრემლის წვიმით და ოხვრით“:

„ვწერდი წარმავალ წვიმებზე, / საქმე იქამდე მივიდა,

წელი წელს ისე მიება, / ვერ გამოვსულვარ წვიმიდან“ *[იქვე, გვ. 138]*.

შოთა ზოიძისთვის ბათუმი მისი მისამართია, მისი თეთრი სახლია, ის ქალაქია, რომლის გარეშე არსებობა ვერ წარმოუდგენია:

„არ მიცხოვრია მე უბათუმოდ, / მე ვარ ბათუმის ჯვარზე გაკრული“ *[ზოიძე, 2017:40]*.

ბათუმის სიმბოლო, განუყოფელი ნაწილი, ამქვეყნიური სამოთხე, სადაც მუდამ ისმის შაშვების გალობა, ყვავიან ვარდები, ირწევნიან ბამბუკის ტევრები, თავბრუდამხვევ სურნელებად იფრქვევიან მაგნოლიები – მისი ბულვარია:

„აქ, როცა ქარვა წვიმს, ცა გადამქრალია, /ქარების ქროლვებს კი აქარვებს ყვავილი,

ამ ქვეყნად რამდენიც ლამაზი ქალია, / მგონია ბათუმის ბულვარში გაივლის“ *[იქვე, გვ. 87]*.

განსაკუთრებულია კიდევ ერთი ბათუმელი პოეტის – სანდრო ბერიძის – დამოკიდებულება მშობლიური ქალაქისადმი: ის „ბათუმში ეძებს ბათუმს – იუსუფის დროინდელს“, ქალაქის ქუჩებში კი საშა თიროშვილისა და ზურაბ გორგილაძის სილუეტებს ხედავს, მამია ვარშანიძისა და ალი სამსონიას

ლანდებს ეფერება, ფატმა კობალაძის კაბის შრიალი ჩაესმის და პარტბოსების წარღვნას გადარჩენილი შოშია ჩხაიძის შაყირს უსმენს...

არც მისი თანამედროვე კოლორიტული ბათუმელები ავიწყდებია: სტიქიური როლების ვირტუოზი – ბერდია ინწკირველი, „ყავის აკადემიისა“ თუ „ხოხოს ბაღის“ „ამქარ-ამფსონი“ *[ბერიძე, 2004:82-98]*.

ოცდამეერთე საუკუნის ახალი თაობის ბათუმელი პოეტებიც შეყვარებულნი არიან თავიანთ ქალაქზე, მათთვის „საქართველო ბათუმიდან თენდება“ *(აჩი ბერიძე)*. მართალია, ბათუმის სილუეტები მკვეთრად შეიცვალა, ის უკვე ცისკენ მიისწრაფვის, მაგრამ მისი სული, გამორჩეული კოლორიტი უცვლელი დარჩა:

„ზღვა და ზღვისფერი გასდევს ჰორიზონტს, / სველი კონცერტით ქუჩაც მთვრალია,

ქოლგები შლიან შავ-თეთრ კორიდორს, / აქ ცა – წვიმების გენერალია“

[აბუსელიძე, 2014:174].

ამიტომაც წვიმის მოსვლა ბათუმში გამოდარების ნიშანი:

„წვეთები ტოტებს აესხა მძივად / და ქარის ხმაში კრთოდა გიტარა,

წუხელ ბათუმში მოვიდა წვიმა, / ანუ ბათუმში გამოიდარა“ *[იქვე, გვ. 123]*.

ეს ბუნებრივია, რადგან „ამ ქალაქში ხშირად ისე წვიმს, / რწმუნდები, წვიმაც ბათუმელია“ *[იქვე, გვ. 127]*. წვიმის დროს ბათუმი თითქოს ვნების ბურუსშია გახვეული, რადანაირად ბედნიერია: ის ხომ თვითმხილველი, მოწმე და მონაწილეა ერთ ქოლგაში შეყუჟული წყვილების სიყვარულის ისტორიისა...

... და ბათუმელ ახალგაზრდა პოეტებს უყვართ და სძულთ, უხარიათ და მოიწყენენ, ერთობიან და შრომობენ ბათუმთან ერთად, რადგან, გენრი დოლიძის თქმით:

„მე მქვია ბათუმი, / შენ გქვია ბათუმი, / ჩვენ გვქვია ბათუმი,

ჩვენ ერთად ჩვენივე ქალაქის აწმყო ვართ, / შენ ხედავ / და თუ მეც, /

შენ გტკივა, / და თუ მეც, / შენ გეწვის / და თუ მეც, / მადლობა მაცხოვარს!“

[დოლიძე, 2017:].

სწორედ ამ ახალი თაობის შემოქმედთა ხელში გადავიდა ესტაფეტა ბათუმის უანგარო სიყვარულისა და ერთგულებისა. მათი სიტყვისა და საქმის შემხედვარეთ გვეიმედება, რომ ახალ საუკუნეშიც ქართული კალამი ისევ ბათუმიდან დაწყებული საქართველოს სამსახურში იქნება.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

- აბუსელიძე, 2014: – აბუსელიძე რ., „ჰოლი“, ბათუმი.
ბერიძე, 2004: – ბერიძე ს., „უფლის ოქროს ჭურჭელი“, ბათუმი.
გვარიშვილი, 1999: – გვარიშვილი ნ., რჩეული, ბათუმი.
გორგილაძე, 2012: – გორგილაძე ზ., ერთტომეული, ბათუმი.
დოლიძე 2017: – დოლიძე გ., ლექსები, იხ. /poetry.ge/poets/genre-dolidze/poems/
ვარშანიძე 2002: – ვარშანიძე მ., „ანდერძს ვტოვებ“, ბათუმი.
ზოიძე 2017: – ზოიძე შ., „შეშლილი მუზა“, თბილისი.
სეიდიშვილი 2001: – სეიდიშვილი ლ., ლექსები, სონეტები, პოემები, პიესები, ესსეები. ბათუმი.
ლლონტი 2003: – ლლონტი ვ., „სიტყვები ქარისთვის“, თბილისი.
ხალვაში, 2005: – ხალვაში ფრ., „აქედან იქამდე“, ბათუმი.

Shorena Makhachadze (Batumi, Georgia)

Batumi from the View of Georgian Writer's

Summary

A seaside city – snow-white, neat, cool in summer, warm in winter, with white seagulls fluttering in the sky up above it – this is the way how Batumi was seen in the previous century by poets and non-poets too. In the following century this picture was changed by a dolphin with an umbrella, skyscrapers, art works created in a post-modern style, casinos and night-clubs, though for the poets of XX or XXI century Batumi was, is and maybe, in the future, it will be the city of the sea, the sun, the rain, and what is the most important – the city of love, more precisely, Batumi turns all these – the sea, the sun, the rain and love – into the unique phenomenon, which is felt only in this city.

This article is about how the poets, who are from Batumi, see, depict or feel their native city. These poets are: Nana Gvarishvili, Pridon Khalvashi, Lado Seidishvili, Sandro Beridzee, Shota Zoidze, Vakhtang Ghlonti, Roin Abuselidze and others.

გერმანელები ბათუმში (სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და სამართლებრივი მდგომარეობა)

პროფესორი ავთანდილ სონღულაშვილი წიგნში „გერმანელები საქართველოში“ აღნიშნავს, რომ კავკასიის ადმინისტრაციის ცდა ჩაესახლებინა გერმანელები დასავლეთ საქართველოში, შედეგი არ მოყოლია. ამაში თვით კოლონისტებს მიუძღვით ბრალი. მეფის მთავრობის ხელშეწყობით კოლონისტები წარმოადგენდნენ კარჩაკეტილ კასტას, რომელთა მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე ადგილობრივი გლეხობის და თვით რუსი კოლონისტებისაც კი. ამიტომ ისინი გულგრილნი იყვნენ XIX-XX საუკუნეების დასაწყისში სამხრეთ კავკასიაში მომხდარი სოციალურ-პოლიტიკური ძვრების მიმართ.

რუსეთის ხელისუფლებას გერმანელი კოლონისტები დაყოფილი ყავდა კატეგორიის მიხედვით, მათ შორის იყვნენ გერმანიის ქვეშევრდომები და რუსეთის ქვეშევრდომები, რომელთა სოციალურ-პოლიტიკური უფლებები შეზღუდული იყო.

1816-1818 წლებში შვაბები, ვიურტემბერგელი გერმანელები დასახლდნენ საქართველოს ტერიტორიაზე. დიუპრეს მონაცემით, 1807 წელს ბათუმში იყო 2000 მცხოვრები, 1873 წელს კი 4970 (მალმუზის მონაცემით), 1880 წელს ბათუმის მოსახლეობა გაიზარდა 9500 კაცამდე. 1882 წლის 19 მარტის აღწერით ბათუმში იყვნენ 145 გერმანელი, 24 ფრანგი, 19 იტალიელი 10 ინგლისელი [ფუტკარაძე, 2008: 87].

1917 წლის ბათუმის მოსახლეობის აღწერის მასალების განმარტებაში ნათქვამია, რომ მომავალში ქალაქის მოსახლეობის რაოდენობა შეიძლება შეიცვალოს, და მართლაც თუ 1917 წელს ბათუმში გერმანელთა რაოდენობა უდრიდა 172-ს, 1918 წელს ის გაიზარდა 237-მდე, რაც განპირობებული იყო 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ გერმანელთა შემოსვლით საქართველოში.

1922 წლის ქალაქ ბათუმის მოსახლეობის აღწერის მასალებში გერმანელები წარმოდგენილია ასაკის და დაბადების ადგილის მიხედვით:

ასაკი	რაოდენობა	საქართველოში დაბადებული	საქართველოს გარეთ დაბადებული
75-79	2	?	?
70-74	19	2	17
65-69	8	-	8
55-59	15	1	14
50-54	22	1	21
45-49	29	6	23
40-44	26	4	22
35-39	25	2	23
30-34	46	4	42
25-29	55	11	44
20-24	53	15	38
15-19	38	15	23
10-14	32	9	23
5-9	27	12	15
0-4	19	9	10

[ასს, ფ. რ-178, ან. 1, ს. 9, ფურც. 20].

გერმანელთა შორის იყვნენ მუშა-მოსამსახურეები, ხელოსნები, მესაკუთრენი და პენსიონერები *[ასს, ფ. რ-178, ან. 1, ს. 9, ფურც. 17].*

1918 წელს საქართველოში დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას ეროვნული საკითხის აღორძინება მოჰყვა. ბათუმში შეიქმნა ეროვნული საბჭოები, ქალაქის სათათბირო აერთიანებდა ბათუმში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს. მკვლევართა ერთი ნაწილი თავიანთ ნაშრომებში მიუთითებს ამ პერიოდში ბათუმში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებთან შედარებით ქართული მოსახლეობის უმრავლესობაზე, რაც 1917 წელს ბათუმში ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მასალებით არ დასტურდება. 1917 წელს ბათუმში ჩატარებული მოსახლეობის აღწერა შემდეგ სურათს იძლევა: ქართველი – 9530, რუსი – 10 187, სომეხი – 7078, ბერძენი – 3997, ებრაელი – 1144, ირანელი – 7003, პოლონელი – 631, გერმანელი – 172, სხვადასხვა – 689. მუსლიმთა რაოდენობა – 559 *[ასს, ფ. ი-7, ან. 1, ს. 705, ფურც. 10].*

ბათუმის სათათბიროს პირველი შემადგენლობა, ეროვნული ნიშნით შემდეგნაირად განაწილდა: ქართველი – 11; სომეხი – 10; რუსი – 8; ბერძენი – 2; პოლონელი – 2 და გერმანელი – 1.

1918 წლის 14 აპრილის ქალაქის სათათბიროში წარმოდგენილი იყო გერმანული თემიდან შემდეგი ხმოსნები: სტერი, ლენცი, შუბერი, ტრანცი და გიუზნერი.

1914 წლიდან გერმანელები თანადგომას უცხადებენ ქართველებს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის საქმეში. 1914 წლის 16 ოქტომბრის კავკასიის არმიის დაზვერვის შტაბის უფროსის საიდუმლო წერილში საუბარია ვიწეში (ლაზეთი) განთავსებულ განსაკუთრებულ კომისიაზე, რომელშიც შედიოდა სამი გერმანელი, ოთხი თურქი ოფიცერი და პარიზიდან ჩამოსული ოთხი ქართველი, რომელთაც სამხედრო განათლება გერმანიაში ჰქონდათ მიღებული. აღნიშნული კომისია შეიქმნა ტრაპეზუნდში იარაღის მიწოდების ორგანიზაციის მიზნით. კავკასიაში, რუსეთის ბატონობით უკმაყოფილო პირებისათვის ტრაპეზუნდიდან რიზეში ჩამოტანილი იქნა 82 ყუთი გადაკეთებული იარაღი, 300 ყუთი საბრძოლო ტყვია. საომარი იარაღი უნდა გადმოეტანათ ბათუმსა და ფოთში. 1914 წლის 14 ოქტომბერს ტრაპეზუნდის ვალის დეპეშის ცნობით დასტურდება, რომ რიზედან ტრაპეზუნდში ჩამოვიდა 150 ადამიანი, რომელთაც საკუთარი სიცოცხლე მიუძღვნეს საქართველოს დამოუკიდებლობის საქმეს.

ვიწეში გერმანელების მიერ ორგანიზებულმა დამოუკიდებლობის კომიტეტმა გამოაქვეყნა მოწოდება „ქართველ ხალხს“, რომელშიც ნათქვამია: „ასწლიანი აუტანელი დამცირების შემდეგ დადგა თავისუფლების დღე, დიდი წარმატებით ომობს და იმარჯვებს რუსებზე გერმანია, ხოლო ამჯერად რუსეთს ომი გამოუცხადა თურქეთმა. ქართველებო! ახლა ის დროა, როცა ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ ჩვენი ბედი უკუნიითი უკუნიდან. ნუ ემსახურებით ჩვენს მტერს, ჩვენს დამანგრეველ რუსეთს, არ დაუჯეროთ მათ დაპირებებს, რადგან მათ დარღვიეს ხელმოწერილი ტრაქტატიც, ამიტომ მათი დაპირება არაფერს ნიშნავს. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის კომიტეტი გერმანიის წარმომადგენლებთან ერთად მოდის საქართველოში და მთელ ქართველ ერს მოუწოდებს მაღლა ასწიოს თავისუფლების დროშა. აქ არჩევანი არ არის. ის ქართველი, რომელიც არ დადგება თავისუფალი საქართველოს დროშის ქვეშ, ის იქნება საქართველოს მოღალატე, საკუთარი მშობლიური ერის მოღალატე, ნუ გეშინიათ თურქეთის არმიის, მიიღეთ ისინი მეგობრული სიყვარულით, რამდენადაც ის მოგვითანს თავისუფლებას. გერმანია თანახმაა

უზრუნველყოს ჩვენი თავისუფლება. აი ის პირველი პუნქტი ამ თანხმობის: „საქართველო წარმოადგენს დამოუკიდებელ სახელმწიფოს, არც რუსეთს, არც თურქეთს არ ექნება არავითარი უფლება საქართველოზე. აღსდექით ყველგან და დააფუძნეთ, სადაც კი შეიძლება საკუთარი დროებითი ხელისუფლება. ყველგან შექმენით შენაერთები, შეიარაღდით და ყოველგვარ დახმარებას გაგიწევთ, როგორც კი შემოვალოთ. გაუმარჯოს დამოუკიდებელ, დემოკრატიულ საქართველოს! ძირს მონობა! *[ასს, ფონდი ი-1, ანაწ. 1, საქმე 708, ფ. 88]*.

1907 წელს, კავკასიიდან ციმბირში გენერალ ასლან-ბეგ აბაშიძესთან ერთად გასახლებული იქნა ოზურგეთის რაიონის სოფელ უჩხუბში, ოთო ჯინჭარაძის სახლში მცხოვრები ალფეს მიქელაიშვილი. იგი იყო სოციალ-დემოკრატი, მისმა ორმა შვილმა უარი თქვა რუსეთის არმიაში სამხედრო სავალდებულო სამსახურზე. ასლან-ბეგ აბაშიძე და ალფეს მიქელაიშვილი მოსახლეობაში აწარმოებდნენ პროპაგანდას გერმანიის იმპერიის ლიბერალური წყობის შესახებ და აიარაღებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ, მოუწოდებდნენ მათ მხარი დაეჭირათ თურქეთის არმიისთვის, რომელიც გერმანიის მოკავშირე იყო. ამ მიზნით მათ მიერ გურიის სოფლებში დაგზავნილი იქნა პროკლამაციები. მათი თანამებრძოლი იყო ოზურგეთის სოფელ დვაბზუს მცხოვრები ვიქტორ ღლონტი.

1842 წელს ბათუმში იმოგზაურა დოქტორმა ჰერმან კოელერმა, რომლის გეოგრაფიულ-სტატისტიკური ჩანაწერები ბათუმისა და ჩურუქსუს ოლქების შესახებ, 1895 წელს დაიბეჭდა ბერლინის გეოგრაფიული საზოგადოების ყოველთვიურ უწყებებში. მასში აღნიშნულია, რომ ბათუმის ბაზარში იყო გერმანული ფოლადი, კალა, ნიშადური *[გელაშვილი, 2015: 35]*.

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ბათუმში საზღვაო და სარკინიგზო გზების მშენებლობამ შავიზღვისპირეთი დააკავშირა ევროპის დიდ სამრეწველო ცენტრებს. ბათუმით დაინტერესდნენ უცხოელი ინვესტორები.

ნიკო ბერძენიშვილი აღნიშნავდა, რომ ბათუმი თურქეთის უღლისგან განთავისუფლების დროს სოფელს უფრო ჰგავდა, ვიდრე ქალაქს, ხოლო XIX საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს საქართველოს ერთერთ უმნიშვნელოვანეს სამრეწველო ცენტრად იქცა. 1883 წელს ბათუმში ბუნგემ და პალაშკოვსკიმ ააშენეს საექსპორტო ჭურჭლის პირველი ქარხანა. 1886 წელს მათი დაწყებული საქმე გააგრძელა როტშილდმა. ყოველდღიურად საექსპორტოდ მზადდებოდა 18 000 კასრი. ქარხანას გააჩნდა სპილენძის სადნობი ღუმელი, სამჭედლო ბრძმედები და 150-ზე მეტი მექანიკური დაზგა. ბათუმში ამ პერიოდში არსებული 10-მდე ქარხანა მარაგდებოდა ტყიბულიდან შემოტანილი ქვანახ-

შირით, ხოლო სპილენძის ნედლეულის დამუშავება იქვე ადგილზე, სოფელ ერგეში ხდებოდა. 1890 წელს რობერტ რიხნერის მიერ ერგეში დაარსებულმა სპილენძის საბადოებმა 1911 წლამდე იარსება *[უზუნაძე, 1993: 53]*.

გერმანელებს ბათუმში გააჩნდათ სამრეწველო საწარმოები: „სიმენსი და ჰალსკე“ (სპილენძის წარმოება). როტმილდი, რიხნერი, ციმერმანი (ბიდონის წარმოება). *[კოპალეიშვილი, 2011: 40]* სიმენსის მემკვიდრეებს ეკუთვნოდა ქვარცხანის (ართვინის მხარე) სპილენძის ქარხანა. ძირითად სამუშაო ძალას რუსეთის ქვეშევრდომი გერმანელები წარმოადგენდნენ, რომელთა ბათუმიდან გასახლების შემდეგ ქარხანა კრიზისმა მოიცვა.

ნიკოლოზ დერჟავინმა შეისწავლა XX საუკუნის დასაწყისში ბათუმში არსებული საზღვაო-სანაოსნო და სამრეწველო-სავაჭრო დაწესებულებები. 1903 წელს აკადემიკოს ნიკოლოზ დერჟავინის მონაცემებით ბათუმში არსებობდა შემდეგი გერმანული საზღვაო-სანაოსნო დაწესებულებები: შუტცის და ციმერმანის - გერმანიის საზღვაო სააგენტო, რეზიდენცია სანაპიროს ქუჩაზე, „დ. ლ. ზილბერმეისტერი“ - საზღვაო ტვირთის ტრანსპორტირებას აწარმოებდა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. ამასთან ერთად ასრულებდა საბაჟო ოპერაციებს და იცავდა სხვადასხვა ფირმის ინტერესებს.

ფრანგულ-გერმანული საზღვაო-სანაოსნო საზოგადოებების „მესაჟერ მარიტინის“ და „დ. ლ. ზილბერმეისტერის“ მოღვაწეობამ ბათუმში განაპირობა მათი ქვეყნების საკონსულოების გახსნა.

1903 წელს ბათუმში საქმიანობას ეწეოდნენ გერმანული სავაჭრო სახლები: ბ. რ. გოლდრიურეკის - ოფისი მარინის პროსპექტზე (დღევანდელი მემედ აბაშიძის გამზირი) ვოლფენზონის სახლში. ო. ე. გილერცის - რეზიდენცია საქართველოს ქუჩაზე, შელოვიცკის სახლში. 1903 წელს ბათუმში საქმიანობას ეწეოდა ვ. გ. კაპლანის თუჯ ჩამომსხმელი, მექანიკური და საქვავე ქარხანა. მექანიკური ქარხნის ინჟინერი იყო ნ. ბ. პასეკი. ქარხანასთან არსებობდა სასოფლო სამეურნეო იარაღების განყოფილება, რომელიც აწარმოებდა სხვადასხვა სისტემის გუთანს, ფუთი ღირდა 5 მან. და 50 კაპ. ასევე ზამბის და თივის საწნებს. დაკვეთებს ღებულობდა როგორც ბათუმში, ისე თბილისში მიხაილოვის ქუჩაზე N 116.

სამხრეთ რუსეთის ქარხნებს ბათუმში გააჩნდა საკუთარი ფირმა „პორლანდცემენტი“. იგი განთავსებული იყო ასათიანის ქუჩაზე, სიმეონიდის სახლში. ფირმის წარმომადგენლები იყვნენ რ. კ. ეგერცი, ნ. ს. ფანდეევი, პ. ო. შპოლიანსკი. ამ პერიოდში ბათუმში არსებული თამბაქოს ფაბრიკა „თამარა“ და მისი მაღაზია ეკუთვნოდა ა. ლ. ლევბურგს *[დერჟავინი 1903: 115]*.

1904 წელს კავკასიაში მოღვაწეობა დაიწყო გერმანულმა სააქციო საზოგადოებამ „შალეულის, სამთო კავშირის და მესაკუთრეთა“ კერძო აქციონერთა შორის იყვნენ გერმანელი მეწარმეები: ჰუგო სტინერი, სოლომონ ოპენგეიმი. „გელზენკირხენის“ საზოგადოებას ჰქონდა მადნეულის, რკინის, ფოლადის, ცემენტის, კოქსის, პურის და სხვა საქონლის იმპორტისა და ექსპორტის უფლება. 1912 წლის 27 თებერვალს „გელზენკირხენის“ სამთო-სამადნო საზოგადოებამ (წარმომადგენელი ბურგერს შრაიბერი) თხოვნით მიმართა რუსეთის მეფისნაცვალ ვორონცოვ დაშკოვს ნება დაერთო დასახელებული საზოგადოებისთვის მანგანუმის და სხვა საქონლის სატვირთო სადგურის მოწყობაზე სადგურ ქობულეთთან ახლოს და ამ მიზნით მიწის შესყიდვაზე. ეს იქნებოდა თანამედროვე ტექნიკით, ელევატორით აღჭურვილი საკუთარი პორტი. ბათუმისა და ფოთის პორტები ვერ უზრუნველყოფდნენ მიეღოთ და მოკლე დროში დაეტვირთათ გემები. თუმცა ამ მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია *[ელიავა, 2015: 325]*.

1911 წელს ბათუმის საბირჟო საზოგადოებამ აღწერა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებიდან ბათუმის პორტში შემოტანილი საქონლის ძირითადი სახეები: რკინა და საერთოდ ლითონის ნაწარმი, გოგირდი, საღებავები, ყავა, მარმარილო, ცემენტი, სადურგლო და სხვა სახის ნაწარმი *[ასსცსა ფონდი ი. 81 ანაწერი 1, საქ. 2. ფურც. 38]*.

1902 წელს ბათუმში გერმანიის საკონსულო განთავსებული იყო ოლღას ქუჩაზე ხუნწარიას სახლში. გერმანიის კონსული იყო ბურკგარდტი. 1918 წელს ბათუმში ფუნქციონირებდა გერმანიის (პასკევიჩის ქუჩა №14) წარმომადგენლობა *[ჩაგანავა, 2011: 63]*.

1921 წელს ბათუმში გერმანიის კონსული იყო კარლო თეოპოლდის ძე კორნეოზინი *[ასს, ფ. რ-82, ან. 1 ს. 20, ფურც. 112]*.

პორტო ფრანკოს პერიოდში ბათუმში შემოვიდა გერმანიიდან 24 გემი და შემოიტანა 10 974 ტონა ტვირთი.

ინგლისის კონსული სტივენსი თავის 1893 წლის მოხსენებაში: ბათუმის პორტის ტვირთბრუნვის შესახებ აღნიშნავს, რომ ბათუმის პორტში ამ დროს შემოვიდა 20 გერმანული ორთქლის გემი, რომელმაც ჩამოტვირთა 22 570 ტონა ტვირთი *[გელაშვილი, 2016: 19]*.

1910 წლის 21 მარტს ნიკო მარი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ისტორია-ფილოლოგიის განყოფილების სხდომაზე წაკითხულ მოხსენებაში „მოგზაურობიდან თურქეთის ლაზეთში“ აღნიშნავდა, რომ გერმანული საზო-

გადოების გემები ევროპულ გემებს შორის ყველაზე ხშირად და რეგულარულად ასრულებენ რეისს ბათუმიდან რიზესა და ტრაპიზონში.

1921 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გერმანელებთან დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა. მოსახლეობის აღწერის დროს უცხოელ მოქალაქეებს გამოყოფდნენ პოლიტიკურ-კლასობრივი წიშნის მიხედვით (იხ. დანართი №1). ასევე დაიწყო გერმანელთა ბათუმიდან განსახლების პროცესი, მათი სოციალურ-პოლიტიკური უფლებების დარღვევა, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა საქართველო გერმანიის ეკონომიკურ ურთიერთობებზე და ნეგატიურად აისახა ქალაქის ეკონომიკურ განვითარებაზე.

1941 წლის 23 ივნისს, მე-2 მსოფლიო ომის დაწყებიდან მე-2 დღეს კომისიამ რომლის შემადგენლობაში იყვნენ ბათუმის ქალაქის საბჭოს მთავარი ინჟინერი მუთი ახმედის ძე ქიქავა, გერმანიის გენერალური საკონსულოს წარმომადგენელი ტუხოლკა, ბათუმში სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის დიპლომატიური სააგენტოს წარმომადგენელი ენ. ი. ტოვიშკინი, შეადგინეს აქტი, რომლითაც გერმანიის გენერალურ საკონსულოს ბათუმში, კიროვის ქუჩა №2-ში (დღევანდელი 26 მაისის ქუჩა) ექსპლუატაციაში გადაეცა 2 სართულიანი სახლი. კერძოდ პირველ სართულზე 11 ოთახი 290 კვ. მ. და სათავსოები 98 კვ. მ. ასევე ერთსართულიანი ფლიგელი 5 ოთახისგან შემდგარი 64 კვ. მ. თავისი სათავსოებით, გალერეა 36 კვ. მ. გარდა ამისა ავტოფარეხი, სამრეცხაო და ა. შ. *[ასს, ფ. რ-10, ან. 1, ს. 200 ფურც. 2].*

1941 წლის 17 მარტს, ბათუმში გერმანიის გენერალური კონსული ბროტიგამი ქალაქის საბჭოში წარმოდგენილი ნახაზის საფუძველზე ითხოვს დიპლომატიური სააგენტოს სახლისთვის რემონტის ჩატარებას.

საბჭოთა რეჟიმი სიტყვით აღიარებდა ინტერნაციონალიზმის პრინციპებს, მაგრამ ყოველდღიურ ცხოვრებაში არღვევდა უცხოელ მოქალაქეთა სოციალურ-პოლიტიკურ და საკუთრების უფლებებს. აჭარის სახელმწიფო არქივში ინახება გერმანიის მოქალაქე ემილია დაიბელის სახელზე დაწერილი განცხადება (იხ. დანართი #3) საკუთარი ბინის თავისუფლად გამოყენების შესახებ (კიროვის ქუჩა 6, დღევანდელი 26 მაისის ქუჩა) *[ასს, ფ. რ-10, ან. 1, ს. 29, ფურც. 34].*

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის შემდეგ საქართველო გერმანიის ურთიერთობებმა პოლიტიკური ხასიათი მიიღო. აჭარის სახელმწიფო არქივში ინახება გერმანია საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების წარმომადგენლის დიტმარ გვიზდის მისასალმებელი წერილი ბათუმის

ქალაქის საბჭოს სახელზე სსრკ-ს შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით (22 დეკემბერი 1972 წელი). სტატიას დანართის (1) სახით ერთვის დიტმარ გვიზდის გერმანულ ენაზე შედგენილი წერილი.

XIX საუკუნიდან ბათუმში მოღვაწე გერმანელი მოქალაქეები ეწეოდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას. 1908 წელს ბათუმში მცხოვრებმა გერმანელმა შტენბერგმა ქალაქის სათათბიროს წარუდგინა კინემატოგრაფიის სახლის პროექტი [ასს, ფ. ი-7, ან. 1, ს. 471, ფურც. 25]. ბათუმის გიმნაზიას განაგებდა რუდოფ ჰერცი. 1987 წელს ბათუმში ცხოვრობდა 3 886 ლუთერანი და კათოლიკე. ევანგელიკურ-ლუთერანული სამლოცველო სახლი არსებობდა ყოფილი კომაროვის და ფეფელოვის ქუჩების კუთხეში, რომლის პატრი იყო ბერნგოფი. XX საუკუნის 50-იან წლებში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიკურ-ლუთერანული სამლოცველო სახლი არსებობდა პოლიტოლოგი ტატიანა ფარბერი. მის კალამს ეკუთვნის ნაშრომი „ბათუმის ოლქი 1905-1907 წლებში“. ამავე უნივერსიტეტში გერმანულ ენას ასწავლიდა ნინა ლუპმანი, სათნო, კეთილშობილი, ერუდირებული ქალბატონი.

ამრიგად, ზემოთ მოტანილი საარქივო-დოკუმენტური მასალა ნათლად წარმოაჩენს ბათუმში მოღვაწე გერმანელთა ღვაწლსა და დამსახურებას ქალაქის განვითარების საქმეში.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

ასს, ფ. რ-178, ან. 1, ს. 9 – აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი რ-178, ანაწერი 1, საქმე №102.

ასს, ფონდი ი-7, ანაწერი 1, ს. 705 – აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-7, ანაწერი 1, საქმე №705.

ასს, ფ. ი-1, ან. 1, ს. 708 – აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-1, ანაწერი 1, საქმე №708.

ასს, ფ. ი-81, ან. 1, ს. 2 – აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-81, ანაწერი 1, საქმე №2.

ასს, ფ. რ-82, ან. 1, ს. 20 – აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი რ-82, ანაწერი 1, საქმე №20.

ასს, ფ. რ-10, ან. 1, ს. 200 – აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი რ-10, ანაწერი 1, საქმე №200.

გელაშვილი, 2015: – გელაშვილი, გ., ჰერმან კოელერი ბათუმის ოლქის შესახებ (1842), – კრ.: ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), VI, თბილისი.

გელაშვილი, 2016: – გელაშვილი, გ., კონსულ სტივენსის მოხსენება ბათუმის პორტის ტვირთბრუნვის შესახებ (1893) – კრ.: ბათუმი წარსული და თანამედროვეობა (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), VII, ბათუმი.

დერჟავინი, 1903: – დერჟავინი, ნ. ს., ნარკვევები ბათუმის ისტორიიდან, ბათუმი.

ელიავა, 2015: – ელიავა, ი., გელზენკირხენის სამთო-სამრეწველო საზოგადოების შესახებ, – კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), თბილისი.

კოპალეიშვილი, 2011: – კოპალეიშვილი, ტ., პირველი მსოფლიო ომი და გერმანელთა საკითხი საქართველოში, ჟურნალი „არხეიონი“, II, ბათუმი.

მარი, 2015: – ნიკო მარი, მოგზაურობიდან თურქეთის ლაზეთში, ბათუმი.

უზუნაძე, 2009: – უზუნაძე, რ., ბათუმის საქალაქო და საზოგადოებრივი ცხოვრება (XII ს-XIX ს პირველი ნახევარი) – კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა, II, ბათუმი.

ფუტკარაძე, 2008: – ფუტკარაძე თ., მგელაძე, ნ., მოსახლეობის დინამიკა, ეთნო-კონფესიური და სოციალური სტრუქტურა – კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა, III, ბათუმი.

ჩაგანავა, 2011: – ჩაგანავა, ე., დიპლომატიური წარმომადგენლობის ისტორიიდან, ჟურნ. „არხეიონი“, I, ბათუმი.

ჯავახიშვილი, 1971: – ივანე ჯავახიშვილი, III, თბილისი.

Merab Megrelishvili, Nikoloz Megrelishvili (Batumi, Georgia)

Germans in Batumi

(Social-Economic, Political and Legal Condition)

Summary

Based on archival material, the work describes the social-economic, political and legal condition of Germans in the end of the XIX century and at the beginning of the XX century.

Самодельное население г. Батума по национальностям по социальному положению (по переписи 1922 г.)

Национальности	Самодельное население	трудоспособное население				Нетрудоспособное население			
		Рабочие	Служащие	Кустари	Всего	Получающие пенсии	Реклашированные	Возвращающиеся из лагерей	Всего
2	3	4	5	6	7	8	9	10	11
Армяне	6.481	1.743	2.372	1.842	5.957	330	110	84	524
Русские	4.641	1.248	1.698	1.321	4.267	236	78	60	374
Греки	2.303	888	1.208	938	3.034	168	56	45	269
Евреи	1.601	430	585	454	1.469	81	27	24	132
Персы	760	204	278	219	701	38	12	9	59
Поляки	437	117	159	127	403	22	7	5	34
Немцы	183	49	66	54	169	9	3	2	14
Абхазы	97	26	38	27	91	4	1	1	6
Азербайджан.	61	16	23	17	56	3	1	1	5
Осетинские	16	4	5	6	15	1	-	-	1
Итальянские	19	5	9	5	19	-	-	-	-
Прочие народы	1.017	273	375	288	936	51	17	13	81
Всего	18.616	5.003	6.816	5.298	17.117	943	312	244	1.499

Проверено ст. Бухарин

Lawalde, den 2.11.72

T. A. Quacumque
D. H. H. H. H.
20/11/72
Dietmar G w o s d z
8701 Lawalde
Rudolf-Breitscheid-Siedlung 2
D D R

" G l ü c k w u n s c h "

Werte sowjetische Genossen und Freunde !

Anläßlich des 50. Jahrestages

der Bildung der Union der Sozialistischen Sowjetrepubliken ist es mir als Mitglied und hauptamtlichem Mitarbeiter der Gesellschaft für Deutsch-Sowjetische Freundschaft ein inneres Bedürfnis, allen Genossen und Freunden zu Ihrem Jubiläum die herzlichsten Glückwünsche zu übermitteln.
Auch in unserer Deutschen Demokratischen Republik wird der 30. Dezember 1972, der 50. Jahrestag der UdSSR festlich begangen.
Wir sind stolz auf die zwischen beiden Staaten und Völkern bestehenden freundschaftlichen Verbindungen und die bisher gemeinsam erreichten Erfolge, beim Aufbau des Sozialismus und Kommunismus.
Ich spreche Ihnen weiterhin alles Gute für Ihre weitere Arbeit und Zukunft aus, vorallem persönliches Wohlergehen und verspreche Ihnen, weiterhin alles zu tun, daß die Freundschaft zwischen den Völkern der UdSSR und dem Volk der DDR noch enger und fester wird.
Ich reiche allen Genossen und Freunden freundschaftlich die Hand.
Ich würde mich sehr glücklich schätzen, könnten Sie mir von Ihrer schönen " Stadt " oder " Unionsrepublik " als Erinnerung an den 50. Jahrestag der UdSSR eine Ansichtskarte zusenden. Ich war schon 2 mal in Ihrem schönen Land und lernte Ihre Menschen kennen, die ich sehr schätze.
Für die Ansichtskarte sage ich Ihnen schon jetzt meinen aufrichtigsten Dank.


" Es lebe der 50. Jahrestag der Bildung der UdSSR "
" Es lebe die deutsch-sowjetische Freundschaft "
" Es lebe und gedeihe die UdSSR und die DDR "

Freundschaft -- Drushba

Mit sozialistischem
und freundschaftlichem Gruß

Ihr

(Dietmar Gwosdz)



დანართი: ბათუმის მოსახლეობის აღწერის მასალა და მისასაღებელი
წერილი.

ასს, ფონდი რ-10, ანაწ. 1, სექმე 29, ფ 34-145.

მუჰაჯირობასთან დაკავშირებული პრობლემები XIX საუკუნის პრესაში

XIX საუკუნის 70-იან წლებში აღმოსავლეთის საკითხი კვლავ მოექცა საერთაშორისო ურთიერთობის ცენტრში. 1875-1876 წწ. ოსმალეთს ბალკანეთში დიდი პრობლემები შეექმნა. აჯანყდა ბოსნია-ჰერცეგოვინა, ბულგარეთი, სერბია და ჩერნოგორია. სამხრეთ სლავების ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას მტრულად შეხვდნენ ინგლისი და ავსტრია-უნგრეთი, რომლებსაც რეგიონში რუსეთის გავლენის ზრდა აშინებდათ. გაძლიერდა ევროპის დიდ სახელმწიფოთა ბრძოლა თურქეთის მემკვიდრეობის გაყოფისათვის. რუსეთმა სლავ ხალხს დაუჭირა მხარი. მით უმეტეს, რომ თურქეთის განდევნა ბალკანეთიდან და შავი ზღვის სრუტეების ხელში ჩაგდება ცარიზმის საოცნებო საგანს შეადგენდა. 1877 წ. ომი გამოუცხადა თურქეთს. რუსეთის ჯარმა გადაკვეთა თურქეთის საზღვრები, როგორც ბალკანეთში, ისე კავკასია-მცირე აზიაში *[საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1970:439]*.

ქართველი ხალხი თანაგრძნობით შეხვდა თურქეთის წინააღმდეგ ომის დაწყებას, რადგან იმედოვნებდა, რომ შედეგად მოყვებოდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს თურქთა ბატონობისაგან განთავისუფლება. საქართველოს ისტორიული საზღვრების აღდგენის იდეა, რაც რუსეთის განმათავისუფლებელ (ობიექტურად) როლს ჯერ კიდევ ერეკლე მეორემ დაუკავშირა, XIX საუკუნის 60-70-იან წლებში ფართოდ გავრცელდა ქართველ საზოგადოებაში.

ქართველი პატრიოტები კვლავ ცდილობდნენ აღედგინათ კავშირი ოსმალეთის საქართველოსთან. ომის წინ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში იმოგზაურეს: დ. ბაქრაძემ, გ. ყაზბეგმა, მ. გურიელმა. ა. მეფისაშვილმა, ივ. კერესელიძემ, გ. წერეთელმა, და სხვებმა. ივ. კერესელიძე შეხვდა აჭარელთა ყველაზე თვალსაჩინო თავკაცს შერიფ ბეგ ხიმშიაშვილს, რომელიც თურმე ოცნებობდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დედასამშობლოსთან შეერთებაზე და ხელსაყრელ მომენტს ელოდებოდა, რომ მთელი ხალხი აემხედრებინა თურქების წინააღმდეგ *[ახვლედიანი, 1957:116-123]*.

„ღმერთმა ქნას, რომ მალე დაიწყოს ომი, – აღნიშნავდა შერიფ-ბეგი ივ. კერესელიძესთან საუბარში, – მე მზად ვარ, რომ მაშინათვე ჩემი ქვეყანა

ქართველთ შვილებს შევეუერთო და როგორც ადრე ყოფილა საქართველო, დღეის შემდეგაც ისე გახდეს” *[ჭიჭინაძე, 1911: 229-230]*.

კონსული პალგრევი ოსმალთა ბატონობის ბოლო პერიოდის ვითარებას შემდეგნაირად გადმოგვცემს: „ოსმალეთის ხელისუფლება არ უყვართ აქ (იგულისხმება აჭარა) კიდევ უფრო მეტად, ვიდრე ფოცხოვსა და ჩილდირში, რაც ხშირად აჯანყების საბაზად გვევლინება“ *[Отчет консула Палгрева, 1872 - 1882 г.]*.

ასევე მოუთმენლად ელოდნენ ბათუმის დაბრუნებას იმდროინდელი ქართული საზოგადოების წარმომადგენლები. აი, რას წერს ნიკო ნიკოლაძე: „სტამბოლის და სევასტოპოლის გარდა, შავ ზღვას ბათუმისთანა ძვირფასი თვალი არ ჰქონდა და არ აქვს, და ეს ძვირფასი თვალი, რომელიც ჩვენი იყო, რომლის გარშემო დღესაც ჩვენი ქართველი ხალხი ცხოვრობს *[სკანდელი (ნიკოლაძე), 1873:13]*.

1875 წელს თურქეთის მთავრობამ აჭარლებს ჯარში წასვლა და აჯანყებულ ჰერცოგონელთა წინაღმდეგ გალაშქრება მოსთხოვა. ადგილობრივი მოსახლეობა ისედაც უკმაყოფილო იყო თურქთა ბატონობით, ამას დაემატა ოსმალეთის იმპერიის მოდერნიზაციის (თანზიმათი) ცდა, რასაც გადასახადების მკვეთრი ზრდა მოყვა. მძიმე გადასახადებით ისედაც გაღიზიანებულმა აჭარლებმა აჯანყებით უპასუხეს *[ახვლედიანი, 1957: 110]*.

დროების კორესპოდენტი წერდა: „აჭარელთა აჯანყების მიზეზის გამო-სარკვევად ოსმალეთის უმაღლესმა მთავრობამ მოსამართლე იბრაიმ აღა გამოგზავნა, მაგრამ ხალხმა უარი თქვა და შეუთვალა – ჩვენ მაგისთანა სასამართლოში, სადაც უსამართლობისა და ქრთამის მეტი არა წარმოებს რა, არ გეახლებითო, საიდანაც მობრძანებულხართ, იქვე წაბრძანდითო *[გაზეთი „დროება“, 1875, №120]*.

ცნობას ანტითურქული აჯანყების შესახებ ქართველი საზოგადოება დიდი თანაგრძნობით შეხვდა. ს. მესხი ე. მელიქიშვილს სწერდა: „ქობულეთში ოსმალოს ქართველების აჯანყება როგორ მოგწონს?... იქნებ რამე გამოვიდეს. ძალიან სანატრელია, რომ ოსმალო დააწიოკონ, იქნებ ეს ჩვენი ქართველები, რომელნიც იქ იმდენია, რამდენიც რუსეთის საქართველოში (ერთ მილიონზე მეტი), ჩვენ შემოგვიერთონო“ *[მესხი, 1950:196]*.

რუსეთ-თურქეთის ომში მონაწილეობის მისაღებად ქართველებიდან იმაზე მეტი ადამიანი ჩაეწერა, ვიდრე მთავრობის მოთხოვნილებაში ეწერა.

აჭარისთვის XIX საუკუნის მეორე ნახევარი უკავშირდება, როგორც გამათავისუფლებელ, ასევე ტრაგიკულ ისტორიებს. 1877-1878 წლის რუსეთ-

ოსმალეთის ომმა გადაწყვიტა აჭარის მოსახლეობის ბედი. თუმცა ამ გათავისუფლებას ახლდა მოსახლეობისთვის ავადსახსენებელი მუჰაჯირობა, რომელმაც უამრავი ადამიანი გააუბედურა. მუჰაჯირობა ერთი მძიმე და ტრაგიკული ფურცელია საქართველოს ისტორიისა. მან არა მარტო იმდროინდელი საქართველოს სოციალურ ეკონომიკურ და დემოგრაფიულ ვითარებაზე იქონია გავლენა არამედ ბევრი საფიქრალ-საზრუნავი დაუტოვა მომავალ თაობებს ქვეყნის საზღვრებს გარეთ გასახლებულ მოძმეთა შთამომავლებში ეროვნული ცნობიერებისა და სამშობლო ქვეყნისადმი სიყვარულის შენარჩუნება-განმტკიცების თვალსაზრისით *[დიასამიძე, 2016: 354]*.

ბერლინის კონგრესი შედგა. აჭარა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფ საქართველოს დაუბრუნდა, ნაომარი სოფლებითა და ტყვეებით დაცხრილული ბათუმით, მაგრამ ომის შემდეგ ხალხის უმეტესობამ ოსმალეთში დაიწყო გახიზვნა. ბერლინის კონგრესის შემდეგ რუსეთის მთავრობამ ბათუმის მცხოვრებლებს განუცხადა: ვისაც აქ ცხოვრება არ გსურთ და ოსმალეთში გირჩევნიათ გადასვლა, სამი წლის განმავლობაში უნდა გადახვიდეთ, მერე აღარ გაგიშვებთო. სამი წელიწადი ღელავდა ბათუმის ოლქი. სხვადასხვა სოფლებიდან ათასობით ადამიანი მოედინებოდა ბათუმში, რომ გემით ოსმალეთში გადასულიყვნენ. აჭარაში მუჰაჯირობა დაიწყო *[<https://oldbatumi.wordpress.com/category/>]*.

რუსეთის ჯარის საბრძოლო ოპერაციების შედეგად, სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიაში გახშირდა ადგილობრივი მოსახლეობის სხვადასხვა ფენის ჯგუფებად გადასვლა როგორც ოსმალეთის, ისე რუსეთის იმპერიის ფარგლებში. ამის მიზეზი ყოველთვის ერთნაირი არ იყო. ქართველი მუჰაჯირების ოსმალეთში გადასვლას ესა თუ ის კონკრეტული მიზეზი ჰქონდა. ეს პროცესი ნათლად აისახა მაშინდელ ქართულ თუ უცხოურ პუბლიცისტიკაში. იმდროინდელი მოღვაწეები: ი. გვარამაძე, ი. გოგებაშვილი, გრ. ორბელიანი, ს. მესხი, გ. წერეთელი, ი. ჭავჭავაძე, დ. ბაქრაძე და სხვები გულისტკივილით აღნიშნავდნენ სამხრეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოსახლეობის უცხოეთში გადასახლებას, ასახელებდნენ ამ პროცესის სხვადასხვა მიზეზს: ეკონომიკურ გაჭირვებას, ჩინოვნიკთა უდიერობას, ისლამის პროპაგანდას და ა. შ.

ომი ახალი დასრულებული იყო, დიდი შიმშილობა მძვინვარებდა აჭარაში, რადგან მანამდე ხელში ყველას იარაღი ეჭირა და ხვნა-თესვისთვის არავის ეცალა. ამას ოსმალეთიდან გადმოსული აგენტებიც ხელს უწყობდნენ, რომლებიც გადმოდიოდნენ და ხალხს ეუბნებოდნენ, რუსეთში არ დარჩეთ,

რჯულს შეგიცვლიან, ოსმალეთში კი თავისუფლად და ბედნიერად იცხოვრებთო.

ძნელი სათქმელია, რამდენად სჯეროდათ ოსმალეთში ბედნიერი ცხოვრების გადასახვეწად გამზადებულ აჭარლებს, მაგრამ წასვლა რომ არ სურდათ, XIX საუკუნის ქართული პრესის ერთი თვალის გადავლებითაც კარგად ჩანს. გაზეთი „დროება“ – სერგი მესხი:

„საშინელ სურათს წარმოადგენს თურმე ეს ხალხის გადასახლება. მნახველთ უამბიათ და მოუწერიათ ჩვენთვის, რომ ესენი დედამიწას ჰკოცნიან, ხეებს, სახლებს, ყველაფერს სულიერსა და უსულოს, რასაც კი სტოვებენ. ცხარე ცრემლების ღვრით და გულდამწვავ ტირილით ეთხოვებიან და ასე მიდიანო. ბევრი, ძალიან ბევრი იხოცება შიმშილისაგან და ვინც კი ადგილამდის მიაღწევს, დიდი სიკეთე არც იმას ეყრებაო. იქაც უკეთესი ბედი არ მოელის, იქაც შიმშილი ხვდება, უპატრონობა... და ამნაირად რამდენიმე თვის განმავლობაში უკან ბრუნდებიანო. მაგრამ ბრუნდება ორში ერთი. დანარჩენი კი გაჭირვებისა და შიმშილის გამო იხოცება

წასასვლელად გამზადებული ხალხი ბათუმის ნავსადგურში რამდენიმე დღეს ელოდა გემს. დროება წერს, რომ ნავსადგური სავსეა მოხუცებითა და ავადმყოფებით, ძუძუმწოვარი ბავშვებითა და ლატაკი, მშვიერი ხალხით, რომელთაც იმედი აქვთ, რომ ოსმალეთში ეწევიან უკეთეს ბედს [<https://oldbatumi.wordpress.com/category/>].

ჩვენდა საბედნიეროდ, არსებობდნენ ადამიანები, ვისაც მათი ბედი ადარდებდათ. მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის, მკვიდრ მოსახლეობასთან ურთიერთობის დასამყარებლად, კავშირის გასამტკიცებლად და მათ ადგილზე დარჩენისათვის ენერგიულად იბრძოდა გრ. გურიელი, რომელსაც ყველა აღნიშნული პრობლემის მოგვარების პროგრამა ჰქონდა. ის თანამდებობიდან ნაადრევად გადააყენეს და დამპყრობელმა თავისი გეგმა ძირითადად ამის შემდეგ განახორციელა, რაზეც საინტერესო მასალებს ვპოულობთ იმდროინდელ პერიოდიკაში [*დიასამიძე, 1998:2*].

მაშინაც და დღესაც არსებობს კითხვები პასუხგაუცემელი. რა აიძულებდა ამ ადამიანებს საკუთარი სახლი დაეტოვებინათ? ერთი მხრივ, ოსმალები, რომლებიც ხალხს არწმუნებდნენ, რუსეთის იმპერიაში ძალად გაგაქრისტიანებენ, სახლ-კარს წაგართმევენ, ციმბირში გადაგასახლებენო და მეორე მხრივ მთავრობის გულგრილობა, სიღარიბე და შიმშილი, რაც ჩვეულებრივი ამბავი იყო იმხანად აჭარაში.

ოსმალეთიდან კი დიდი აგიტაცია-პროპაგანდა მოდიოდა. სტამბულში სპეციალური ბროშურები და პროკლამაციები იბეჭდებოდა ბათუმსა და მთელს აჭარაში გასავრცელებლად. ბროშურებში ეწერა, რომ თუ მაჰმადიანები რუსის ხელმწიფისა და მმართველობის ქვეშ დარჩებოდნენ, სულითა და ხორცით წაწყმედილი იქნებოდნენ და ედემს ვერასოდეს ნახავდნენ.

თურქეთში, აჭარის მოსახლეობის მასიურ გადასვლას ინფორმაციის ნაკლებობა იწვევდა ამასტან დაკავშირებით გაზეთ „დროებაში“ წერდნენ: „...სტამბოლიდან მოსული მოლები და საზოგადოდ ოსმალთა მქადაგებლები, ეუბნებიან – წავიდეთ ოსმალეთში, აქ თქვენ დასადგომი პირი არა გაქვთ. რუსის ხელში თქვენ ვერ გაძლებთ. გიაური მართლმსაჯული მაჰმადიანს არასოდეს არ შეიწყნარებს“ *[გაზეთი „დროება“, 1880წ № 95]*.

გაზეთი „კავკაზი“ წერდა, რომ ბათუმის მაზრიდან სტამბულში ხალხის თხოვნით გაემგზავრა ლომან ეფენდი, მუჰაჯირების საცხოვრებელი პირობების შესატყობად და იქედანვე მოუწერია წერილი, რომლითაც აფრთხილებდა ხალხს, არ გადმოსახლდეთ, თორემ სიღატაკისა და უბედურების მეტი არაფერი მოგელითო.

ლომან ეფენდი, იგივე ლომან ქარცივაძე, მოლა იყო. სტამბულში მისმა ჩასვლამ და მუჰაჯირების მონახულებამ ბევრ ოჯახს გადააფიქრებინა ოსმალეთში გადახვეწა. 1880 წელს, 14 ივნისს, ლომან-ეფენდი ბათუმის გუბერნატორს სწვევია და განცხადება გადაუცია, რომელშიც მოსახლეობა გუბერნატორს საოჯახო პირობების უცვლელად დატოვებას, ტყით უფასოდ სარგებლობის უფლებას, რელიგიის ხელშეუხებლობას და ოსმალეთიდან გადმოსული ყაჩაღებისაგან დაცვას სთხოვდა *[<https://oldbatumi.wordpress.com/category/>]*.

ბათუმის ოლქის მაშინდელი მდგომარეობის, ადგილობრივი მოსახლეობის სამკვიდროდან აყრისა და მოძრაობის შესახებ საგულისხმო ფაქტები შემოგვცნა ა. ფრენკელის ჟურნალისტურ ჩანაწერებში. ეს წიგნაკი იმავე წელს გამოიცა *[Френкели, 1879]*. ამ ნარკვევს დღეს ძირითადი წყაროს მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით მასში შესული სტატისტიკური მონაცემების გამო. ასევე, ჟურნალისტიკურ ჟანრშია მიმოხილული ჭოროხის მხარე დ. ლისოვსკის წიგნში, რომელიც 1887 წ. გამოვიდა *[Лисовский, 1887:36-37]*.

მუჰაჯირობის საკითხს განსაკუთრებული ადგილი დაუთმო ზ. ჭიჭინაძემ. წიგნში „ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება და ალი-ფაშა თავდგირიძე“ ავტორი მიმოიხილავს ემიგრაციაში წასულთა ხვედრს, მათ უმწეო მდგომარეობას, მიგრაციის შედეგად გავრცელებულ ავადმყოფობასა და მიუთითებს იმ

დიდ მსხვერპლზე, რომელიც გაიღო ადგილობრივმა მოსახლეობამ *[ჭიჭინაძე, 1908:28-50]*.

ბათუმის ოლქის სხვადასხვა სოფლის შემოვლისა და საინტერესო ცნობების შეკრების საფუძველზე ზ. ჭიჭინაძემ გამოაქვეყნა ნაშრომი: „მუჰაჯირთა ემიგრაცია და ქართველ მაჰმადიანთა გადასახლება ოსმალეთში.“ ავტორი ვრცლად საუბრობს გრ. გურიელთან შეხვედრებისას გამოთქმულ დასკვნებზე. აჭარაში მუჰაჯირობის პროცესის გაძლიერების, არეალის გაფართოების, ამ მოვლენის გააქტიურებაში ადგილობრივ ქართველ წარჩინებულთა, რუს მოხელეთა და სხვათა როლის შესახებ. ზ. ჭიჭინაძის ნაშრომში მოცემულია მუჰაჯირობის სავალალო შედეგების დამადასტურებელი ფაქტები, აღწერილია მრავალი გაპარტახებული ხეობა, სოფელი, კარ-მიდამო *[ჭიჭინაძე, 1912: 15-35]*.

აჭარაში განვითარებული ემიგრაციული პროცესები სპეციალურად განიხილა შ. მეგრელიძემ ნაშრომში „აჭარის წარსულიდან“. მასში, ძირითადად იმდროინდელი პრესის მასალებზე დაყრდნობით, განხილულია მხოლოდ ერთი პერიოდის მუჰაჯირობა ბათუმის ოლქში. აღსანიშნავია, რომ ავტორი ამ პროცესში ძირითად დამნაშავედ ოსმალეთს ასახელებდა *[მეგრელიძე 1964: 10-22]*.

სამეცნიერო ლიტერატურაში მუჰაჯირობის მთავარ მიზეზად ზოგიერთი ავტორი რელიგიურ ფაქტორს (მუსლიმურ ფანატიზმს) ანიჭებდა უპირატესობას, ზოგიც, სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურს. სინამდვილეში ყველა ფაქტორი ერთად აღებული განაპირობებდა მოსახლეობის მშობლიური ადგილებიდან აყრასა და უცხოეთში ლტოლვას *[კახიძე, 2004: 14]*. იმავეს ადასტურებენ ამ მოვლენის თანამედროვე ს. მესხი და ალ. ფრენკელიც.

ალექსანდრე ფრენკელი მუჰაჯირობასთან დაკავშირებით წერდა: „დამიდასტურეს, რომ თურქები კრებენ ხალხს და ძალათვე მიჰყავთ გემებზე... ისინი ცდილობდნენ ჯერ ქალები და ბავშვები გაეგზავნათ, დარწმუნებული იმაში, რომ შემდეგ ყველა მამაკაცი მიაშურებდა თავის ოჯახს თურქეთში“ *[ფრენკელი, 2012 :72]*. უკეთესი ცხოვრების იმედიტა და „ალაჰის შიშით“ მიემგზავრებოდნენ აჭარლები მუჰაჯირად. მუჰაჯირობის გამომწვევ მიზეზებზე საუბრობს ჯ. ვარდმანიძე წიგნში „მუჰაჯირობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში“ *[ვარდმანიძე, 2013:171]*.

სამხრეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური განვითარებისა და მუჰაჯირობის შესახებ მდიდარი დოკუმენტები მოგვეპოვება სამამულო და უცხოურ არქივებში. უპირველესად, აღსანიშნავია 1828-1829 წწ. ომის პერიოდსა

და მის შემდგომ განვითარებულ მოვლენებისადმი მიძღვნილი მასალები, რომლთაც პერიოდულად აშუქებდა – „ცისკარი“, „ივერია“, „კვალი“ და სხვა. დასახელებულ პერიოდულ გამოცემებში დაცული „ცხელ-ცხელი“ ინფორმაცია მნიშვნელოვნად ავსებს საარქივო დოკუმენტებს. ასევე აღსანიშნავია, იმდროინდელი პერიოდიკა, ჟურნალ-გაზეთები: „დროება“, „ივერია“, „გოლოსი“, „ობზორი“, და სხვა.

ისტორიულად ცნობილია, რომ 1876 წელს, ოსმალეთის მთავრობამ, აჭარის მოსახლეობას ორი წლის გადასახადი წინასწარ გადაახდევინა. ამას ომის დამანგრეველი მოქმედებაც დაემატა. განსაკუთრებით იმ რაიონებში, სადაც საომარი მოქმედებანი მიმდინარეობდა. ასე მაგალითად, ქობულეთის უბნის 20 სოფლიდან დარბეული და გადამწვარი იყო: ხუცუბანი, ქაქუთი, სოფ. ქობულეთი, ციხისძირი, მუხაესტატე, ლელვა, სამება, კვირიკე, სოფელი გვარაკი საერთოდ აღარ არსებობდა. საცხოვრებელი ბინების გარდა, ჩანაგდებოდა ბაღები და სახნავ-სათესი ნადელები, 352 რაც გლეხის მატერიალური კეთილდღეობის საწინდარი იყო. აქედან გამომდინარე, იოლი წარმოსადგენია, თუ რა გაჭირვებაში ჩავარდებოდა მოსახლეობა. აღნიშნულთან დაკავშირებით გ. წერეთელი წერდა: „კინტრიშის გადმოღმა ქობულეთის მხარე სულ გავერანებული იყო, მდიდარი სოფლების მაგივრად აქა-იქ ტიტველა ბუხრის მიწებს ამოეყოთ თავი... ხუცუბანში ყოფნა შეუძლებელი იყო... ერთ ნაჭერ პურში შაურს ვაძლევდით, ვისაც შიმშილით სიკვდილი არ უნდოდა ის უნდა, გაქცულიყო ამ უბედური ადგილებიდან“ *[გაზეთი „დროება“, 1879 წ., № 32]*.

სწორედაც, გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილ მოსახლეობას დააკისრა ახალმა ხელისუფლებამ იმპერიისათვის ხარკის გადახდა. ყოველივე ეს მაშინ ხდებოდა, როცა ოსმალეთის ხელისუფლება აჭარის მკვიდრთ გადასახლების შემთხვევაში, სხვადასხვა მოვალეობათა მოხდისას რიგ შეღავათებს ჰპირდებოდა. ცდუნება მართლაც დიდი იყო. აქ ხელისუფლების მხრიდან ცოტაოდენი დახმარების შემდეგ, გლეხკაცს სრულად უნდა მოეხადა ვალდებულება, ხოლო იქ, ოსმალეთში, შეღავათებს ჰპირდებოდნენ. ასეთ გაუგებარ მდგომარეობაში აღმოჩენილ მოსახლეობას ცარიზმმა, მათი ოსმალეთში გახიზვნის მიზნით, ისედაც მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა საერთოდ აუტანელი გაუხადა. გადასახადის ნაადრევად გაწერის უარყოფით ზეგავლენაზე ნიკო ნიკოლაძე წერს: „ხალხმა ვერც კი მოასწრო ომის უბედურებისა და დარბევისაგან თავის დაღწევა, რომ მათგან გასულ წელს გადასახადი აიღეს 6-დან 10 მანეთამდე და ამავე დროს მისი აკრეფისათვის ყველაზე უხემ მეთოდებს იყენებდნენ. აუცილებელი იყო ხალხისათვის შეღავათების მიცემა

რამდენიმე წლით... ყოველ შემთხვევაში, ბერლინის კონგრესის მიერ დადგენილ გასახლების სამი წლის განმავლობაში“ *[გაზეთი „დროება“, 1879 წ., № 14]*.

მკვლევარი შუმანა ფუტკარაძე მუჰაჯირების გაუსაძლის მდგომარეობაზე ვრცლად საუბრობს თავის წიგნში „ჩვენებურების ქართული“. მუჰაჯირებს პირველად გაჭირვებით უცხო ბუნებრივ პირობებთან შეგუება, ხშირი ყოფილა ავადმყოფობა და სიკვდილიანობა. ბევრიც გზაშივე დაღუპულა გემით მოგზაურობისას, ზოგიც კატასტროფაში მოჰყოლია ზღვის დელვის დროს... აი რას იხსენებენ „ჩვენებურები“: „ჩვენ თავზე, წისქვილის ქვა არ დაბრუნებულა მარტო, სხვა ყველამფერი გადაგვხდა, მუჰაჯირობაში დიდი ღეხები გავწიეთ, გაჭირვებისგან დერდით გევლეწეთ, თვალებზე ცრემლი და ზრუგში ოფლი არ შეგვშრობია ცხოვრებაშიო“ *[ფუტკარაძე, 1993: 16]*.

ხელისუფლების ამგვარ საქმიანობას აჭარის მოსახლეობის ერთი ნაწილი ღია პროტესტით შეხვდა. გაზეთი „დროება“, გადმოგვცემს რა ზემო აჭარის 1878 წლის ამბებს, ს მესხი სწერს: ზემო აჭარაში აღწერა ჩატარდა, რომელმაც მშვიდობიანად ჩაიარა. აღწერილ სოფელთა მოსახლეობამ მეჯლისის წევრებს თხოვნით მიმართა, რომ ისინი ფიქრობენ ოსმალეთში გადასვლას და ამიტომ ხელისუფლებამ გადასახადი არ გადაახდევინოს, რადგანაც ამ უკანასკნელი ომისგან ისედაც გაღარიბებული და შეწუხებულები ვართო. მეჯლისის წევრებმა განუმარტეს, რომ ეს საქმე ბათუმის უფროსს უკვე გადაუწყვეტია და მისი შეცვლა არ მოხდებაო. განრისხებულმა ხალხმა აღწერის შედეგები გაანადგურა *[გაზეთი „დროება“, 1878 წ., № 267]*.

გადასახადთა აკრეფის ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულება მხარის ადმინისტრაციის მოწყობა და მისი შენახვა იყო. კავკასიის არმიის მთავარსარდალი, მიმართავდა რა ყარსისა და ბათუმის ოლქის გუბერნატორს, 1879 წლის 16 მაისს წერდა: „მოსახლეობისგან გადასახადი ამოღებული უნდა იქნას ამ მხარის მმართველობის შესანახად“ *[სცსსა გ. 7, აღ. 4, საქ. 1107, ფურც. 27]*.

იმპერიის გაბერილი სამოხელეო აპარატის შენახვა აჭარელ გლეხკაცს საკმაოდ ძვირად უჯდებოდა. თითოეული მათგანი ჩინოვნიკთა კეთილდღეობისათვის 1, 40 მანეთს იხდიდა *[სცსსა გ. 416, აღ. 3, საქ. 163, ფურც. 42]*.

აჭარელთა გადასახლებას, ასევე ერთი მხრივ ხელს უწყობდა მოლების აგიტაცია, მეორე მხრით რუსეთის ხელისუფლების არასწორი პოლიტიკა... პრესა ორივე ფაქტს საკმაოდ კრიტიკულად უდგებოდა და აფასებდა... წარმოდგენილ მასალებსი ვხდებით, როგორც ერთ მხარის დადებით, ასევე უარყოფით შედეგებზე... თუმცა ყოველივე ამას იყო... ხალხი სწორ ინფორმაციას ვერ ფლობდა.

ზემოთ მოყვანილი მასალებიდან კარგად ჩანს, რომ იმპერიამ გადასახადების ნაადრევად გაწერით, საგადასახადო სისტემისა და მოვალეობათა დამძიმებით, ფაქტობრივად იდეალური პირობა შეუქმნა აჭარის მკვიდრთ ოსმალეთში გასასახლებლად. აღნიშნულ მოვლენას შემდეგნაირად აფასებს გაზეთი „გოლოსი“: „ბათუმის ოლქელთა გადასახლება სულაც არ იყო ნაყოფი მოვლების აგიტაციისა. ეს გარემოება ჩვენ უნდა ვეძიოთ იმ ეკონომიკურ მდგომარეობაში, რომელიც შეიქმნა 1877-1878 წლების ომის შემდეგ. დღეისათვის ბათუმის ოლქის ეკონომიკური მდგომარეობა სიღარიბის უკიდურეს ზღვარზეა დასული... უმძიმეს მომენტში დახმარების ნაცვლად, მათგან გამოსაღებსა და სხვადასხვა გადასახადს იღებენ“ *[გაზეთი „ГОЛОС“, 1881 წ., №95]*.

გიორგი წერეთელი მთავრობას წერდა: „თუ გინდათ არეულობა დაცხრეს ბათუმის მაზრაში და აჭარა-ლივანაში, ჯერ გადასახადს ნუ გამოართმევთ, გამოიყვანეთ ის მილიცია, რომელიც ოსმალეთის მთავრობის ხელში იყო და იმსახურეთ, მიეცით უწინდელ მოსამსახურე ბეგებს თავისი შესაფერი თანამდებობები, და მაშინ ნახავთ, რომ აჭარა-ლივანის და ბათუმის ხალხი პირველი ერთგული ხალხი გახდება ჩვენი მთავრობის“ *[გაზეთი „დროება“, 1879 წ., № 24]*.

აღნიშნულთან დაკავშირებით იმავე აზრის იყო სერგეი მესხი. ის წერდა: „თუ გვინდა ჩვენ აჭარისა და ქობულეთის თანაგრძნობა დავიმსახუროთ და ესენი არ გასახლდნენ ოსმალეთში, რომ ამით უდაბნოთ არ გადააქციონ ეს მშვენიერი ქვეყანა, ამთავითვე მაინც კაცურად უნდა მოვეპყრათ და სამიოთხი წლით ვადროვოთ ყოველივე ხარჯის გადახდა. ეს ხარჯი ხაზინას ვერ გაამდიდრებს და გადატაკებულ ხალხს კი გულს მოუბრუნებს.“

აღსანიშნავია, რომ თანზიმათის გატარების შემდეგ, მართალია, ბეგებმა დაკარგეს გარკვეული პრივილეგიები, მაგრამ მყარი ავტორიტეტი და ძალაუფლება მაინც შეინარჩუნეს *[ზარამიძე 1999: 67]*.

თავის მხრივ, ეს ფაქტი ჯერ კიდევ გიორგი ყაზბეგს შეუნიშნავს. ის აღნიშნავს, რომ მიუხედავად თანზიმათის გატარებისა, მოსახლეობის მხარდაჭერით, ბეგებმა შეძლეს რიგი პრივილეგიების შენარჩუნება *[Kasber, 1875:35-36]*. იმავე მდგომარეობაზე მიუთითებდა ს. მესხი *[გაზეთი „დროება“, 1878 წ., № 176]*. ე. ვეიდენბაუმი *[Вейденбаум, 1901:117, 132]* და სხვანი. აღნიშნულთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა, გაზეთ „გოლოსის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალა, სადაც აჭარის მოსახლეობისადმი რუსული მმართველობის უნდობლობის ახსნის მიზნით გადმოცემული ამბავია წარმოდგენილი „პორტამ ხალხის მართვის მიზნით აჭარაში განათლებული მოხელე გააგზავნა-

ნა. ხალხმა კი ის, ბეგების წაქეზებით, ცემა და თავისი ქვეყნიდან განდევნა“ *[გაზეთი „ГОЛОС“, 1879 წ., №195]*.

1880 წლის დეკემბერში ბათუმში მივლინებული იქნა მეფისნაცვლის სამმართველოს უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი სტაროსელსკი. მისი მიზანი იყო, გაერკვია ამ უწყებისადმი დაქვემდებარებული მოსახლეობის საჩივრების საფუძველი. სტაროსელსკი წერს: „ადგილზე საქმის ვითარების გარკვევის შემდეგ გამოვლინდა, რომ ბათუმში ჩვენი მმართველობით ყველაზე მეტად უკმაყოფილოა უმაღლესი წოდების წარმომადგენლები, ბეგები. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უკმაყოფილებას გამოთქვამენ სხვა სოციალური წრის წარმომადგენლებიც. ბათუმის ყველაზე გავლენიანმა 10 ბეგმა მთხოვა, რომ მათ საიდუმლოდ შევხვედროდი. შეხვედრაზე ბეგებმა განმიცხადეს, რომ მათ თურქთა ბატონობის დროს აქ, ბათუმში ჰქონდათ სამსახური და რეალური ძალაუფლება. სამსახურისათვის ისინი იღებდნენ ჯამაგირს. ეხლა კი სამსახური არ აქვთ და ისინი მოწყვეტილი არიან საარსებო წყაროს. ამიტომ ბევრმა ბეგმა, მათივე თქმით, დაიწყო არცთუ ისე კარგი და კანონიერი საქმიანობა. ასე მაგალითად: ზოგიერთმა ბეგმა, იმის გამო, რომ აღარ ჰქონდა საარსებოდ რაიმე საშუალება, დაიწყო მოსახლეობის აგიტაცია თურქეთში გადასასახლებლად“ *[სცსსა ფ. 5, აღ. 1, საქ. 70-89, ფურც. 1-3]*.

როგორც ვხედავთ, ადგილობრივი რუსული მმართველობა წინასწარ დასახული მიზნით მოქმედებდა. მუსლიმანი დიდებულების მუჰაჯირობის მასშტაბების გაზრდას ხელი შეუწყო ახალი ხელისუფლების მიერ იმ პენსიების გაცემაზე უარის თქმამ, რომელიც მათ ოსმალთა ბატონობის პერიოდში ჰქონდათ დანიშნული. როგორც ცნობილია, თანზიმათის შემდეგ ოსმალეთმა ბეგებს, რომელთა სახელმწიფო საკუთრება გახდა, პენსია დაუნიშნა, რომელიც რუსეთის მმართველობის დროს აღარ ეძლეოდათ *[სცსსა ფ. 229, აღ. 1, საქ. 30, ფურც. 62]*.

როგორც ცნობილია, ბერლინის კონგრესის დადგენილებამდე აჭარა-ქობულეთის 19 ბეგი პენსიას ღებულობდა შემდგომ კი არა *[ასმეხგ, ს.№640: 34-35]*.

1880 წლის 29 დეკემბრის კავკასიის მთავარმართებლის პატაკში ვკითხულობთ: „ბეგების რაოდენობა, რომელთაც, ჩამორთმეული მამულების ნაცვლად, ოსმალეთი აძლევდა პენსიას, ძალზედ დიდია. ამიტომ მისი გაცემა შეუძლებელი გახდა, რადგანაც ხაზინა დაკარგავს მნიშვნელოვან თანხას. ამიტომ გადაწყდა, რომ ის ბეგები, რომელნიც არ ისურვებენ ამ სამი წლის განმავლობაში აქ დარჩენას, ვერ მიიღებენ პენსიას. ხოლო ის ბეგები, რომელ-

ნიც დარჩებიან ჩვენი ხელისუფლების ქვეშ, მიეცემათ პენსია, მაგრამ როცა გათავდება თავისუფალი გადასახლების ვადა. ამავე დროს, უნდა შემოწმდეს საბუთები და ბარათები, რომლის მიხედვით მათ ეძლეოდათ პენსია“ *[სცსსა ფ. 229, აღ. 1, საქ. 30, ფურც. 8]*.

ამრიგად, პოლიტიკურ ცხოვრებას ჩამოცილებული და საარსებო წყაროს მოკლებული ადგილობრივი დიდებულები იძულებული გახდნენ, მიეტოვებინათ სამშობლო და ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში გადასახლებულიყვნენ.

თავის მხრივ, ეს პროცესი მით უფრო სამწუხარო და ავის მომტანი იყო იმიტომ, რომ ალა-ბეგებს, თავისი ავტორიტეტისა და ოსმალეთის ფარგლებში ეკონომიკური კეთილდღეობის გარანტიის მიზნით, მოსახლეობის ფართო მასები მიჰყავდათ.

ამ ყოველივეს ხელი შეუწყო ახალმა პონტო-ფრანკოს კანონებმაც, რომელმაც ერთობ დაამძიმა ისედაც გართულებული რეჟიმი. პორტო-ფრანკოს რუსული მოდელის რეჟიმის მოქმედებით გამოწვეული კატასტროფული მდგომარეობის წინააღმდეგ ხმა აღიმალა იმდროინდელმა ქართულმა საზოგადოებამ. „დროება“, „გოლოსი“, „ობზორი“ სისტემატიურად აქვეყნებდა სტატიებს, სადაც სამზეოზე გამოჰქონდათ პორტო-ფრანკოს კუთხის ცხოვრებაზე დამლუპველი ზეგავლენა. 1879 წელს „დროება“ წერდა: „...იყიდიან რაიმეს და იმასაც მამასისხლად, სამი ოთხი არშინის ჩანახევის გამოტანა არ შეუძლიათ უბაჟოდ და მთელი დღე დამოქნიის კარებზე დგას ბეჭდის დასასმელათ... ხალხს თავის ეზოში მოწეულის ხილის გაყიდვაც არ შეეძლო მოხელის ბილეთის გარეშე“ *[გაზეთი „დროება“, 1879 წ., № 35]*.

სერგეი მესხი სტატიამი – „ბათუმის მაზრის მდგომარეობა“ – წერს: „ნახევარი ალაბი საახალოზე ჩითი და საპერანგე მიტკალი ვერ უყიდნია გლეხს ისე, რომ არ გააჩერონ საბაჟოზე, სადაც ბეჭედი უნდა დააკრან. ადრე მოდიოდა ბათუმში გლეხი, ყიდულობდა ოსმალის და ფრანგის საქონელს და უშიშრად მიდიოდა შინ, იცოდა, რომ საბაჟოს ყაჩაღები შინ არ დაუხვდებოდნენ და არ წაართმევდნენ ნავაჭრს. ახლა კი ამ პორტო-ფრანკოს შემოღებამ ეს გვიყო: ამას წინათ ერთ ჩაქველ გლეხს ვიღაც მოკვდომოდა, ბათუმში მოსულიყო, ეყიდნა მიცვალებულისათვის სასუდარეთ რამდენიმე ალაბი მიტკალი და რადგან ეგონა მიცვალებულისათვის მიმაქვსო, ბაჟს არ მთხოვენო, არ შეევილო დამოქნაში ბეჭდის დასაკრავად, მაგრამ გზაზე დახვდნენ და ეს მიტკალი სულ წაერთმიათ...“ *[გაზეთი „დროება“, 1879 წ., № 40]*.

1882 წელს ბათუმში ჩამოსული დავით კლდიაშვილი არსებულ ვითარებას შემდეგნაირად აგვიწერს: „...პორტო-ფრანკოს დროს ქალაქის გარშემო სადარაჯოები იყო, ყოველი გამვლელ-გამომვლელი იჩხრიკებოდა. გატანილ ნავაჭრზე, რაც უნდა მცირე ყოფილიყო, ბაჟი უნდა გადაეხადა. აქ, რასაკვირველია, დარაჯებიდან ათასი თვითნებობა და შევიწროება ხდებოდა. ერთი სიტყვით, სოფლელები, რომელნიც ქალაქს ვერ რჩებოდნენ, ძლიერ გაჭირვებულნი იყვნენ *[კლდიაშვილი, 1984:19]*

მოხელეთა უსამართლობაზე საუბრობდა სერგეი მესხი – დღე არ გაივლის ისე, რომ ბათუმის მაზრიდან სამდურავი და საყვედური არ მოგვივიდეს იქაურ წვრილ ჩინოვნიკობაზედ. ამ ჩინოვნიკებს, რომელთაგან, როგორც ამბობენ, მომეტებული ნაწილი, სანამ ბათუმის მაზრაში თანამდებობებს მიიღებდნენ, სამსახურიდან დათხოვნილი და გამოგდებული ყოფილან სხვა და სხვა უკანონო მოქმედებებისათვის ან უნიჭობისათვის, შეუტანიათ აქ თავიანთი ძველი სამსახურის წესები – უსამართლობა, კერძო სარგებლობის მაძიებლობა და სხვა და სხვა“ *[გაზეთი „დროება“, 1879 წ., № 14]*.

დღეს, ჩვენდა საუბედუროს, ნაწილი მკვლევრებისა თვლის რომ მუჰაჯირობა რელიგიურმა განსხვავებულობამ გამოიწვია, თუმცა ამას არსებული წერილები ბოლომდე ვერ ადასტურებს. „გურჯი არ თვლის თავს სასულიერო პირების ყურმოჭრილ მონად: არც ერთი გურჯი არ შიშობს, რომ დაივიწყებს თავის რელიგიას და იქცევა ქრისტიანად. თუ იყვნენ მათ შორის ასეთები, მოლებმა ისინი უკვე კარგა ხანია რუსეთის საზღვრის იქით გადაიყვანეს“ *[გაზეთი „ГОЛОС“ 1881 წ., №95]*. მართალია, რუსი მოგზაურები ფრენკელი, ლისოვსკი, კანევსკი მიუთითებენ მუჰაჯირობის რელიგიურ ნიადაგზე, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში იძულებულნი არიან შეიტანონ ეჭვი მათივე მოსაზრებაში.

აჭარელთა ოსმალეთში გახიზვნის მიზეზების ჩამოთვლის შემდეგ პეტრე უმიკაშვილი სამართლებრივად მიუთითებდა, რომ იმ დროისათვის საჭირო იყო მოხელეთა სიფხიზლე, გულშემატკივრობა, მკვიდრთა ენის ცოდნა, კანონის აღმსრულებლობა, შემოერთების დროს გაუქმებული სასოფლო მეჯლისების განახლება და გადასახადების ხარჯის სოფლებში წესისამებრ განაწილება და სხვა *[მგელაძე, 2014:158]*. თუმცა, ჩვენდა საუბედუროდ, აჭარელთა გამომფხიზლებელი არავინ აღმოჩნდა.

მუჰაჯირობის ხელმეორედ გამოცოცხლება, ისტორიულად, 1887 წელს მომხდარა. ეს იქიდან დგინდება, რომ პეტრე უმიკაშვილი სტატიაში შენიშნავდა, „მეორედ მოვედი“ ბათუმსო. ქედელი აბდულ-ეფენდი მიქელაძის პეტრე

უმიკაშვილისადმი მიწერილი წერილიდან კი ვიცით, რომ ჩვენ იმ წიგნობარი 1887 წელს მართლაც ყოფილა აჭარაში (უმიკაშვილი, ს №105). აბდულ-ეფენდი მიქელაძე 1888 წლის 11 იანვარს პეტრე უმიკაშვილს წერდა: „ართვინის ოკრუგიდან და გონიოს უჩასტიდან ხალხმა მუჰაჯირათ „თუ კიდეც არ დაიწყეს გაზაფხულზედ წასვლა, სხვა მხრივ საშიში არაფერია, ვინაიდან 1887 წელს ჩვენი აჭარიდან ერთიც არ წასულა, არც ფიქრში აქვან წასვლა. აბდულ-ეფენდი მიქელაძე ეჭვობდა გონიოს უბნიდან და ართვინის ოკრუგიდან გაზაფხულზე წამსვლელებმა და, როგორც ჩანს, თურქოფილებმაც, გახიზვნისას ვაითუ „ამგენსაც არ დაუწყონ მოტყვილებით წაყვანა“ *[მგელაძე, 2014:105]*. და მართლაც, აბდულ მიქელაძის შიში გამართლდა. თურქების აგენტებმა მოტყუებითა და სხვადასხვა ხერხებით შეძლეს ხალხის მასიური გადაყვანა.

ი. კანევსკი თავისი მოგზაურობის აღწერისას არაერთგზის გადმოგვცემდა იმ ამბავს, რომ „საომარი მოქმედებათა დამთავრების შემდეგ თითქოსდა ერთი შეხედვით მოსახლეობის ფანატიკური განწყობის გამო, წავიდნენ მუჰაჯირად *[Каневски, 1886: 22-42]* მიზეზი კი ერთია მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის იგნორირება, მისი შემდგომი გაუარესება, ომგადახდილი მოსახლეობისთვის დახმარებაზე უარის თქმა იყო.

ამრიგად, უამრავი კვლევა-ძიების მიუხედავად, ეს საკითხები დღესაც საკამათოა... მკვლევართა აზრი ორად იყოფა. ფაქტი კი ერთია, აჭარის მოსახლეობა დაზარალდა, ისე რომ საუკუნეების მერეც კი არ განელეზულა ის ტკივილიანი მოგონებები, რასაც მუჰაჯირობა ჰქვია.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

ასმეხე, ს.№640: – აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა ფონდი, საქმე №640.

ახვლედიანი, 1956: – ახვლედიანი ხ., „სახალხო განმანთავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ბათუმი.

ბარამიძე, 1999: – ბარამიძე ი. საადგილმამულო ურთიერთობის ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ბათუმი.

Вейденбаум, 1901: – Вейденбаум Г., От Батума до Артвина, Тифлис.

გაზეთი „დროება“, 1875 წ., № 120.

გაზეთი „დროება“, 1878 წ., № 176.

გაზეთი „დროება“, 1878 წ., № 267.

გაზეთი „დროება“, 1879 წ., №14.

- გაზეთი „დროება“, 1879 წ., №24.
 გაზეთი „დროება“, 1879 წ., №32.
 გაზეთი „დროება“, 1879 წ., №35.
 გაზეთი „დროება“, 1879 წ., №40
 გაზეთი „დროება“, 1880 წ., №95.
 გაზეთი „ГОЛОС“ 1878 წ., №176.
 გაზეთი „ГОЛОС“ 1879 წ., №195.
 გაზეთი „ГОЛОС“ 1881 წ., №95.
დიასამიძე, 1998: – დიასამიძე ავ., გრიგოლ გურიელი, – კრ.: სამართლის ინსტიტუტის მაცნე, №2, თბილისი.
დიასამიძე 2016: – დიასამიძე ბ., ისტორიული ეტიუდები, II, ბათუმი.
ვარდმანიძე, 2013: – ვარდმანიძე ჯ., წიგნში „მუჰაჯირობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში“, ბათუმი.
Каневски, 1886: –Каневски И., Любопитные уголки Кавказа, Батумский округ, Тифлис.
კახიძე, 2004: – კახიძე ნ., მუჰაჯირობა – საქართველოს ეროვნული ტრაგედია, – კრ.: „საისტორიო მაცნე“, XIII, ბათუმი.
კლდიაშვილი, 1984: – კლდიაშვილი დ., „ჩემი ცხოვრების გზაზე“, ბათუმი.
Лисовский , 1887: – Лисовский В., Чорохский край, Тифлис.
მესხი, 1950: – მესხი ს., წერილები, სოხუმი.
მგელაძე, 2014: – მგელაძე ვლადიმერ, პეტრე უმიკაშვილი და ოსმალობის დროინდელი სამხრეთ საქართველო, ბათუმი.
მეგრელიძე, 1964: – მეგრელიძე შ., აჭარის ისტორიიდან (მუჰაჯირობა1878-1878 წლებში), ბათუმი.
Палгрев, 1882: – Отчет консула Пальгрева за лето 1872 г., ИКОИРГО, т. VII, Тифлис, 1882.
საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1970: – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, V, სარედაქციო კოლეგია: გ.მელიქიშვილი, ი.ანთელავა და სხვ., თბილისი.
სკანდელი, 1873: – სკანდელი ნ. (ნ.ნიკოლაძე), სხვათა შორის ნაგრძობი და განაგონი, ტფილისი.
სცსია ფ. 545, საქ. 89 – საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 545, საქმე №89.
სცსსა ფ. 5, აღ. 1, საქ. 70-89 – საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი5, აღ. 1, საქმე №70-89.
სცსსა ფ. 229, აღ. 1, საქ. 30 – საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი229, აღ. 1, საქმე №30.
სცსსა ფ. 416, აღ. 3, საქ. 163 – საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი416, აღ. 3, საქმე №163.
სცსსა ფ. 7, აღ. 4, საქ. 1107 – საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი7, აღ. 4, საქმე №1107.

Френкели, 1879: – Френкели, Очерки Чурук-су и Батума, Батуми.

ფრენკელი, 2012: – ფრენკელი ა., ნარკვევები ჩურუქ-სუ-ზე და ბათუმზე, გამოსაცემად მოამზადა, ავტორის ბიოგრაფია, შენიშვნები, ლექსიკონები და სამიუზეო დასახელები დაურთო რამაზ სურმანიძემ, თბილისი.

ფუტკარაძე, 1993: – ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული, ბათუმი.

ჭიჭინაძე, 1908: – ჭიჭინაძე ზ. ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება და ალი-ფაშა თავდგირიძე, ტფილისი.

ჭიჭინაძე, 1911: – ჭიჭინაძე ზ. ისტორია ოსმალეთის ყოფილი მუსლიმანი ქართველებისა“, ბათუმი.

ჭიჭინაძე, 1912: – ჭიჭინაძე ზ. „მუჰაჯირთა ემიგრაცია და ქართველ მაჰმადიანთა გადასახლება ოსმალეთში, ტფილისი.

ჭიჭინაძე, 1912: – ჭიჭინაძე ზ. „მუჰაჯირობა“, ტფილისი.

Казбе, 1875: – Казбе, Три месяца в Турецкой Грузии, Тифлис.

<https://oldbatumi.wordpress.com/category>

Naile Mikeladze (Batumi, Georgia)

Problems Connected With Resettling in the 19th Century Press

Summary

There are a lot of documents with rich information about the social-political development and resettling problems in South-West Georgia in the Archives in Georgia or abroad. First of all, it should be noted the materials dedicated to the events of the pre-war and post-war periods in 1877-1878 which were periodically covered by the periodic press, in the magazines and newspapers, such as: "Droeba", "Iveria", "Golos", "Obzor", etc.

Unfortunately, some of the researchers believe that resettling was caused by religious differences, but that cannot be fully confirmed according to the existing letters.

The presented work, concerns to the archival and press materials. So despite a number of researches, these issues are still controversial... The opinion of the researchers is divided into two. The fact is that the population of Adjara suffered so much that even after centuries the painful memories of resettling has no end.

გიორგი ერისთავი XIX საუკუნის 60-იანი წლების ბათუმის უმსახე

გიორგი ერისთავი (1813-1864 წწ.) ქართველ მწერალთაგან პირველია, რომელმაც ტურისტული მიზნით ევროპაში იმოგზაურა და თავისი შთაბეჭდილებები საკმაოდ ვრცლად და მეტად საინტერესოდ მოგვითხრო მოგზაურული ჟანრის ნაწარმოებში – „ჩემი მოგზაურობა ევროპაში 1862 წელსა 13 ივნისიდან“. მართალია, საფრანგეთსა და იტალიაში მასზე ადრე, 1713-1716 წლებში, სულხან-საბა ორბელიანიც (1658-1725 წწ.) იმყოფებოდა და მან ამ ქვეყნებში მისი მოგზაურობის ამსახველი ნაწარმოებიც დაუტოვა შთამომავლობას, მაგრამ, როგორც ცნობილია, საფრანგეთსა და იტალიაში სულხან-საბა მაშინ დიპლომატიური მისიით იყო წარგზავნილი.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში გ. ერისთავის მოგზაურობა ორ თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა. სამწუხაროდ, მწერალს მისი ევროპული შთაბეჭდილებების ამსახველი ნაწარმოები დაუსრულებელი დარჩა. კერძოდ, ავტორისეული თხრობა მასში 14 აგვისტოს, იტალიის ქალაქ ვენეციაში მისი ყოფნის დროიდან, წყდება და სამშობლოში მომავალ მწერალს თავის მოგზაურობასთან დაკავშირებით ამის შემდეგ უკვე აღარავითარი ინფორმაცია აღარ მოუწოდებია.

ხსენებულ ნაწარმოებს გ. ერისთავი თავისი მოგზაურობის მხოლოდ ზოგადად ამსახველ ჩანაწერად მიიჩნევდა და მომავალში მისი მაშინდელი შთაბეჭდილებების კიდევ უფრო ვრცლად და დაწვრილებით აღწერასაც გეგმავდა, მაგრამ იგი ამ მოვლენიდან ორი წლის შემდეგ გარდაიცვალა, რის გამოც ჩანაფიქრის განხორციელება აღარ დასცალდა.

გ. ერისთავის მონათხრობისადმი ინტერესს, ჩემის აზრით, არსებითად მნიშვნელოვანი რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავს: პირველი, თუმცა მეტად მწირი, მაგრამ უაღესად საგულისხმოა ის ცნობები, რომელთაც ავტორი დასავლეთ საქართველოსთან და იმხანად ჯერ კიდევ ოსმალეთის იმპერიის მიერ მისაკუთრებულ ბათუმში XIX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით გვაწვდის; მეორე, ოსმალეთის მთავარი საპორტო ქალაქების – ტრაპიზონისა და სტამბოლის ავტორისეული

აღწერა; და მესამე, უშუალოდ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მოგზაურობის შედეგად მიღებულ შთაბეჭდილებათა მოთხრობა.

მიუხედავად იმისა, რომ გ. ერისთავის «მოგზაურობაში» საკუთრივ საქართველოსთან დაკავშირებულ სიუჟეტურ ეპიზოდებს ძალზე ცოტა ადგილი აქვთ დათმობილი და მხოლოდ სამიოდე გვერდს მოიცავს, ავტორის პატრიოტული სულისკვეთება ფაქტობრივად მთელს ნაწარმოებს მსჭვალავს მეტნაკლები ძალით. კერძოდ, პირველ ყოვლისა სწორედ ამ გრძნობის თვალნათლივ გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ ხსენებული მოგზაურობის დროს ნანახ ცალკეულ ადგილთა ხილვის დროს მწერალს ჩვენი ქვეყნის მსგავსი ადგილებიც ხშირად ახსენებოდა ხოლმე.

გ. ერისთავის «მოგზაურობაში» არსებული ქართული ყოფის ამსახველი ეპიზოდები პირობითად ორ ნაწილად შეიძლება გავყოთ – ერთი მხრივ, დასავლეთ საქართველოსთან დაკავშირებულ მონაკვეთად და მეორე მხრივ, ბათუმის ეპიზოდად.

დასავლეთ საქართველოსთან დაკავშირებული ავტორისეული მონათხრობი, მიუხედავად იმისა, რომ იგი მოცულობით ძალზე პატარაა, ინფორმაციული თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია და ამ ეპიზოდის მეშვეობით ავტორი ჩვენი ქვეყნის ამ რეგიონში იმხანად არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით მეტად ფასეულ რამდენიმე ცნობას გვაწვდის.

კერძოდ, როგორც გ. ერისთავის ნაწარმოების ხსენებული ფრაგმენტიდან ვგებულობთ, მდინარე რიონი არა მარტო ანტიკურ პერიოდში წარმოადგენდა ჩვენი ქვეყნის მთავარ სანაოსნო არტერიას, არამედ იგი ამ ფუნქციას XIX საუკუნის 60-იან წლებშიც ასრულებდა წარმატებით. ეს რომ მართლაც ასე იყო და მდინარე რიონის მაშინდელი სანაოსნო მნიშვნელობის ამგვარ შეფასებაში გადაჭარბებული არაფერია, ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ გ. ერისთავი ევროპის ქვეყნებში სამოგზაუროდ სწორედ მდინარე რიონის სანაოსნო გზით გამგზავრებულია ორპირის პორტიდან.

სამწუხაროდ, სამტრედიასთან ახლოს, მდინარეების: რიონისა და ცხენისწყლის შესართავში მდებარე ეს პატარა ქალაქი, რომელიც XIX საუკუნეში დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სანაოსნო და სავაჭრო ადგილს წარმოადგენდა, დღეს უკვე საერთოდ აღარ არსებობს. 1862 წელს კი გ. ერისთავი სწორედ ამ პორტიდან გამგზავრებულია ევროპაში სამოგზაუროდ.

როგორც გ. ერისთავის მონათხრობიდან ნათლად ჩანს, მდინარე რიონი იმხანად საკმაოდ მნიშვნელოვან სანაოსნო ფუნქციას ასრულებდა და ორპირსა

და ფოთს შორის გემები შემდეგი ნავსადგურების გავლით მოძრაობდა: ორპირი, კოდორი, სირიაჩქონი, ჭალადიდი და ფოთი.

სანაოსნო დანიშნულებით რიონის გამოყენების აღნიშნულ ეტაპს დასაბამი 1858 წლიდან მიეცა. კერძოდ, ერთწლიანი მოსამზადებელი სამუშაოების წარმატებით დასრულების შემდეგ, 1858 წლის 6 მაისს, ორპირში ქალაქ ფოთიდან პირველად შემოვიდა ორთქლმავალი გემი „აკერმანი“, რითაც საფუძველი ჩაეყარა რეგულარულ სანაოსნო მიმოსვლას მდინარე რიონის ხსენებულ მონაკვეთზე.

დიმიტრი ბაქრაძის მტკიცებით, ამ დროიდან მოყოლებული, «ორპირი გადაიქცა სამდინარო და სახმელეთო მიმოსვლის უმნიშვნელოვანეს პუნქტად დასავლეთ საქართველოში. 1858 წლიდან 1872 წლამდე ორპირი მდ. რიონზე გემთმიმოსვლის საბოლოო ნავმისადგომს და სავაჭრო ქალაქს წარმოადგენდა. ამ ხნის განმავლობაში ფოთიდან ორპირამდე კვირაში ორჯერ მოდიოდნენ ორთქლის გემები: „აკერმანი“, „თავადი ბარიატინსკი“, „გოლუბჩიკი“, „ნოვოსელსკი“, „ნადეჟდა“, „სესტრიცა“ და სხვ... ორპირამდე მიდიოდნენ რუსეთისა და საზღვარგარეთის გემები და მასთან მრავალი ქარავანი“ *[ნიკოლეიშვილი, 2005: 26]*.

ასეთ უმნიშვნელოვანეს სანავსადგურო და სავაჭრო-ეკონომიკურ როლს ორპირი ძირითადად 1872 წლამდე – თბილისი-ფოთის სარკინიგზო მაგისტრალის გაყვანამდე – ასრულებდა. გაზეთ „კავკაზის“ კორესპონდენტის ინფორმაციით, ხსენებული სარკინიგზო მაგისტრალის გახსნამდე ორპირი წარმოადგენდა ხალხმრავალ დაბას, სადაც მდინარე რიონს სერავდნენ ორთქლის გემები, გრიალით დაქროდნენ ომნიბუსები, ქუთაისიდან კი გამუდმებით ჩამოდიოდნენ საფოსტო ეტლები. დაბას ყოველდღიურად სტუმრობდა ათასობით მგზავრი. გაცხოველებული ვაჭრობის შედეგად აქაური მედუქნეები საკმაოდ დიდ შემოსავალს ღებულობდნენ *[„კავკაზი“, 1872, № 143]*.

სამწუხაროდ, ხსენებული სარკინიგზო მაგისტრალის გაყვანის შემდეგ მდინარე რიონმა ადრინდელი სანაოსნო ფუნქცია დაკარგა, რასაც შედეგად არა მარტო გემების მიმოსვლის შეწყვეტა მოჰყვა, არამედ ორპირის სრული განადგურებაც.

რიონზე ნაოსნობის განახლების შემდგომი ეტაპი გასული საუკუნის 20-30-იან წლებში დგება, რაც არსებითად განაპირობა სამდინარო ნაოსნობის განსავითარებლად მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით ხელისუფლების მიერ იმხანად გატარებულმა პოლიტიკამ. პირველ ყოვლისა, სწორედ ამ პოლიტიკის რეალურ შედეგად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ მოყოლებული

XX საუკუნის ოციანი წლების ბოლოდან 30-იანი წლების შუა ხანებამდე მდინარე რიონზე კვლავაც აღდგა ნაოსნობა.

ამასთან დაკავშირებით ძალზე მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდიან ნიკო ნიკოლაძე (1843-1928 წწ.) და ტიციან ტაბიძე (1895-1937 წწ.). კერძოდ, აღნიშნულ საკითხს ნ. ნიკოლაძემ 1926 წელს პატარა წიგნიც მიუძღვნა სახელწოდებით – „მდინარე რიონზე ნაოსნობის ეკონომიკური მნიშვნელობა“, ტ. ტაბიძემ კი ძალზე საინტერესო ინფორმაციული მასალა მოგვაწოდა ნარკვევებში: „ახალი კოლხიდა“ (1931 წ.) და „ორპირი“ (1934 წ.) და პოემებში: „რიონი-პორტი“ (1928 წ.) და „როაღდ ამუნდსენ“ (1928 წ.).

ორპირის პორტიდან ოთხსაათიანი მგზავრობის შემდეგ გ. ერისთავის გემს ღუზა ფოთის ნავსადგურში ჩაუშვია და რადგანაც ბათუმში წამსვლელ გემს მოსვლა სამი დღე აგვიანდებოდა, ფოთიდან ბათუმში სახმელეთო გზით მგზავრობა კი იმხანად თითქმის შეუძლებელი იყო, ის და მისი თანამგზავრები ამ ხნის განმავლობაში ამ ქალაქში დარჩენილან. როგორც მწერლის მონათხრობიდან თვალნათლივ ჩანს, ფოთი იმ დროისათვის ანტისანიტარიის კერად ქცეულ მეტად პატარა ქალაქს წარმოადგენდა, სადაც ნორმალური ცხოვრებისთვის უმდაბლეს დონეზე დამაკმაყოფილებელი საყოფაცხოვრებო პირობებიც კი არ არსებულა.

ნათქვამის ნათელსაყოფად გავიხსენოთ ფრაგმენტი ნაწარმოებიდან: „2 საათზე სადილთ უკან მოვედით ფოთში. აქ დაგვხვდა მუსიო ჟაკო, მქონე ტრახტირისა, დაგვაყენა ორს პატარა საძაგელს ოთახში. ქვეშაგები მითომ ფრანციცულათ ჰქონდა მორთული, მაგრამ ჩირქიანი, კედლები ყაბაჭუებით, ბუხები, სიციხე და თბილი ჭის წყალი. რიონის წყალი მღვრიე იყო და ამ საძაგელს დასაწმენდი არა აქვს... სადილი ვსჭამეთ ჟაკოს ტრახტირში, ასე საძაგელი იყო, რომ მერე დუქანში ვაკეთებინებდით ქათამს და ისე ვჭამდით“ *[ერისთავი, 1936: 331]*.

როგორც გ. ერისთავის მონათხრობიდანაც თვალნათლივ ჩანს, ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ აჭარა და მისი მთავარი ქალაქი იმ დროისათვის ჯერ კიდევ ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა, იქ წასვლა მკაცრად შეზღუდული არ ყოფილა. ამას არა მარტო გ. ერისთავისა და მისი თანამგზავრების ბათუმში უპრობლემოდ ჩასვლა ადასტურებს, არამედ ამ მოვლენასთან დაკავშირებით ჩვენთვის ცნობილი სხვა კონკრეტული ფაქტებიც (მაგალითად, ნ. ნიკოლაძისა და ა. წერეთლის ლეგალური და არალეგალური ვიზიტები ბათუმსა და აჭარის სხვა ადგილებში).

გ. ერისთავის ინფორმაციით, XIX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისის ბათუმი „პატარა ყარიბა ქალაქს“ წარმოადგენდა, სადაც მხოლოდ „ოციოდ სახლი იყო, სახლს რომ გავდა“. მათგან ყველაზე კარგი რუსეთის კონსულისა და იქაური ფაშას სახლები ყოფილა *[ერისთავი, 1936: 332]*.

ბათუმთან დაკავშირებით გ. ერისთავის მიერ მოწოდებული ეს ინფორმაცია სიმართლეს რომ წარმოადგენს და XIX საუკუნის 60-იან წლებში იქ არსებული მდგომარეობა დედასამშობლოსთან ამ ქალაქის შემოერთების შემდეგაც რომ არ გაუმჯობესებულა კარგა ხნის განმავლობაში, ამას ნიკო ნიკოლაძის (1843-1928 წწ.) და დავით კლდიაშვილის (1862-1931 წწ.) ჩანაწერებიც თვალნათლივ ადასტურებს.

მაგალითად, ნ. ნიკოლაძის ინფორმაციით, XIX საუკუნის პირველი ნახევრის ბათუმი „საცოდავ სოფელს წარმოადგენდა, რომლის მცხოვრებლები ჯერ თევზის ჭერით ირჩენდნენ თავს, ხოლო როცა ამიერკავკასიის თავისუფალი ტრანზიტი აიკრძალა, კონტრაბანდისტობასაც მიჰყვეს ხელი... ასეთი ახსოვს ბათუმი ბევრ ჩვენთაგანს, რომელთაც მოუხდათ რუსეთის საზოგადოების გემით პირველად ემგზავრათ კავკასიაში. მაგრამ ამ დროიდან, ე. ი. 1856 წლიდან, როცა ფოთი ნავსადგურად გამოაცხადეს და გემების ზუსტი მიმოსვლა დააწესეს, იწყება ბათუმის კეთილდღეობა და განვითარება“ *[ნიკოლაძე, 1966: 384]*.

თუმცა, როგორც გ. ერისთავის, დ. კლდიაშვილისა და იმ პერიოდის სხვა მოღვაწეთა ჩანაწერებიდან ნათლად ჩანს, ნ. ნიკოლაძის მიერ მოწოდებული ეს ინფორმაცია მთლად სწორი არ არის და ბათუმის ინტენსიურ განვითარებას მხოლოდ XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ეყრება მკვიდრი საფუძველი. მაგალითად, 1882 წელს ბათუმში სამუშაოდ გამწესებულ დ. კლდიაშვილს იქ ასეთი რეალობა დახვედრია:

„პატარა ქალაქი, ოთხი ათასი მცხოვრებით. ქალაქი, თუკი შეიძლება მისთვის ქალაქის სახელის წოდება, მდებარეობდა ზღვის პირად; ზღვის პირადვე იყო ბაზარი, პატარა დაბალი ქოხმახები – ვითომ მაღაზიები; რამდენიმე ქუჩა, ვიწრო და მოუკირწყლავი. ქალაქის გარშემო იყო გაბნეული ფაცხები, რომლებშიაც ცხოვრობდნენ აფხაზები და ზოგან ზანგები. ახლა რომ რკინიგზა მიდის ქალაქში, ეს ისეთი მოშორებული ადგილი იყო, რომ მარტოდ აქ გამოსვლა საშიშარი და სარიდებელი იყო დღისით, საღამოთი კი პირდაპირ შეუძლებელი; გამზედავს არაფერი სიკეთე მოელოდა: ან გაძარცვავდნენ, ან დასჭრიდნენ, ანდა მოკლავდნენ. სადაც ახლა კათოლიკეების ეკლესიაა, იქ იყო

განიერი ტბა სავსე გარეული ფრინველებით და იქ იცოდნენ ხოლმე წასვლა მონადირეებმა“ *[კლდიაშვილი, 1981: 97]*.

გ. ერისთავის ხაზგასმით, მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ბათუმში იმხანადაც ასრულებდა უაღრესად მნიშვნელოვან როლს, როგორც „პირველი ნავთსაყუდარი შავი ზღვისა“, სადაც „მრავალნი გემნი, იალქნებგაშლილნი, დიდროვანნი ნავნი და პატარა ლოტკები მიმოჰსურავდნენ სარკიანს, წმინდას და მყუდროს ზღვაში“.

ბათუმთან დაკავშირებით გ. ერისთავის მიერ მოწოდებული მეტად მწირი და მხოლოდ რამდენიმე სტრიქონისგან შემდგარი ინფორმაციიდან ისიც ჩანს, რომ მის ნავსადგურში საკმაოდ ხშირად შემოდისოდნენ ხოლმე სატრანზიტო და სამგზავრო დანიშნულების მქონე ხომალდები როგორც ოსმალეთიდან, ისე ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან. გარდა ქართველებისა და ოსმალებისა, ბათუმში არც უცხოელი მოქალაქეები იყვნენ საძებარნი. მაგალითად, მწერლის ინფორმაციით, ბათუმიდან სტამბოლში მიმავალ გემზე მასთან ერთად მყოფ მგზავრთა შორის ყოფილან «ანგლიის კონსული ტრაპიზონისა, გერმანი – ქალაქიდან ვაჭარი, მადამ რუსელი, ერთი ფრანცუზჟაკა, ერთიც მადამ პარპანტიე თავის ქალით, რომელიც ქალაქის ინსტიტუტში მუზიკას ასწავლიდა» *[ერისთავი, 1936: 332]*.

ფაქტობრივად, სულ ესაა მთელი ის ინფორმაცია, რომელსაც გ. ერისთავი ბათუმთან დაკავშირებით გვაწვდის.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, ნაწარმოების აღნიშნული მონაკვეთის შეფასების დროს მეტად მნიშვნელოვან ერთ გარემოებასაც მინდა, განსაკუთრებული ყურადღება რომ მივაქციო: როგორც ზემოთ უკვე ითქვა, იმ დროისათვის, როცა გ. ერისთავს ბათუმში მოუწია ყოფნა, ეს ქალაქი, საერთოდ, მთელი აჭარა, ჯერ კიდევ ოსმალეთის იმპერიის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა და დედასამშობლოს სამ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში იყო მოწყვეტილი. ქართველი საზოგადოების ცალკეული წარმომადგენლები ბათუმსა და აჭარაში ში ჩასვლას დროდადრო, მართალია, კი ახერხებდნენ, მაგრამ არცერთ მათგანს ეროვნული თვალსაზრისით იმჟამად იქ არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით არანაირი ჩანაწერი არ დაუტოვებია.

ამ სამწუხარო ტრადიციას არც გ. ერისთავი არღვევს და მის წინამორბედ და თანამედროვე მწერალთა მსგავსად, დედასამშობლოს მოწყვეტილი ამ მხარისა და მისი მოსახლეობის შესახებ ერთ სიტყვასაც კი არ ამბობს.

ყოველივე ზემოთქმულისთვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად დავი-მოწმებ კონკრეტულ მაგალითებს.

როგორც ცნობილია, ირანელი დამპყრობლებისა და მოწინააღმდეგე ქართველი დიდგვაროვნებისაგან კახეთიდან გამოდევნილი თეიმურაზ პირველი (1605-1661 წწ.), რომელმაც დახმარების სათხოვნელად ოსმალეთის სულთანს მიმართა, გარკვეული პერიოდის განმავლობაში (1617-1620 წწ.) თავს იმუშავდა ოსმალთა მიერ დაპრობილ გონიოსა და ოლთისს აფარებდა. მიუხედავად იმისა, რომ მშობლიური კახეთიდან გამოძევებულმა თეიმურაზმა ამ რეგიონებში თითქმის ოთხი წელიწადი გაატარა, იქ მცხოვრები ჩვენი მოძმეების ტრაგიკული ისტორიული ხვედრიცა და თანადროული ყოფაც მთლიანად დარჩა მისი შემოქმედებითი თვალთახედვის მიღმა.

აღნიშნული თვალსაზრისით რამდენადმე უკეთესი მდგომარეობაა სულხან-საბა ორბელიანთან (1658-1725 წწ.). კერძოდ, მისი წიგნი «მოგზაურობა ევროპაში» ქართული ლიტერატურის ისტორიაში პირველი ნაწარმოებია, რითაც მწერალი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ოსმალეთის მიერ კარგახნის წინათ დაპყრობილ ქართულ მხარეებში – ტაო-კლარჯეთსა და აჭარაში XVIII საუკუნის ათიან წლებში არსებულ რთულ მდგომარეობაზე. როგორც ცნობილია, ევროპაში დიპლომატიური მისიით მყოფი სულხანი 1716 წელს სწორედ ამ რეგიონების გავლით დაბრუნდა საქართველოში.

უცხოეთში სამწლიანი მოგზაურობის ბოლოს სამშობლოს მოახლოებულ მწერალს, ვიდრე მშობლიურ მიწას ფეხს დაადგამდა, მრავალი ხიფათი და უსიამოვნება გადახდენია თავს. კერძოდ, როგორც საბასავე მონათხრობიდან ირკვევა, ავაზაკებისაგან მრავალგზის გაძარცვულს, გვემუღსა და დამცირებულს, მას სწორედ მაშინ მოუვლია იძულებით ისეთი ქართული რეგიონები, როგორებიცაა: ხოფა, ათინა (დღევანდელი ფაზარი, მდებარეობს თურქეთში, ქალაქ რიზეს მახლობლად), გონიო, ახალციხე, არტანუჯი, ჩხალა, ნიგალის ხევი, არტანი და ოლთისი.

მიუხედავად იმისა, რომ საბას წიგნში ოსმალეთის მიერ დაპყრობილ ზემოთ ხსენებულ ქართულ რეგიონებში იმხანად არსებული ურთულესი მდგომარეობა ძალზე მოკლედ და ფრაგმენტულადაა აღწერილი, ავტორისეული მონათხრობის მიხედვით ამასთან დაკავშირებით მაინც გვექმნება საკმაოდ ნათელი წარმოდგენა.

ათინაში კაპიტნის მიერ გემიდან გამოყრილმა საბამ და მისმა თანამგზავრებმა ნაპირისაკენ ნავებით გამოსწიეს, მაგრამ აღელვებულმა ზღვამ ნავები «ერთმანეთს მოსხლიტა» და ერთი ხოფაში გააგდო, მეორე კი იმის იქით, სადაც «მეტყვე თათრები იყვნენ, იმერეთიდან ტყვეები მოჰყავდათ დასასყიდ-

ლად. მწერლის თქმით, თუ ისინი იქ არ დაგვსწრებოდნენ, სრულ წავხდებოდით. მოგვეშველნენ, გავედით.»

მაგრამ თითქოსდა საიმედო ადგილზე გამოსულ საბას თავს ამჯერად ახალი ხიფათი დაატყდა: მისი თქმით, ის და მისი თანამგზავრები ახლა ჭანებმა დაიჭირეს, «მრავალი სარჯეს, ოცი მარჩილი წაართვეს, ზანდუკები დაუმტვრიეს, და მრავალი აჭირვეს.»

როგორც საბას მონათხრობიდან ვგებულობთ, ამ დროიდან მოყოლებული, ის და მისი თანამგზავრები კიდევ მრავალჯერ დაუჭერიათ, გაუძარცვავთ და დაუმცირებიათ. მწერლის თქმით, მე და ჩემმა თანამგზავრებმა სწორედ ამდენი ტანჯვა-წამების შემდეგ «მოვაწიეთ ჩვენს ქვეყანასო.»

დამოწმებული ეპიზოდიდან მკითხველის განსაკუთრებული ყურადღება ამჯერად მწერლის მიერ ნახმარ სიტყვა «ჩვენს» მინდა მივაქციო, რომლის მიხედვითაც ცხადად ჩანს, რომ საბა მის მიერ ზემოთ მოხსენიებულ ქართულ რეგიონებს საქართველოს ნაწილად არ მიიჩნევს და ჩვენი ქვეყნისთვის მათ კუთვნილებას ერთი სიტყვითაც კი არსად უსვამს ხაზს.

ქართული ლიტერატურის ისტორიაში პირველი მწერალი, რომელმაც ეს სამწუხარო ტრადიცია დაარღვია და ისტორიული ავბედობის გამო გარეშე მტრების მიერ მიტაცებული ქართული მიწების დედასამშობლოსთან შემოერთების საკითხი განსაკუთრებული ინტერესის საგნად აქცია, გრიგოლ ორბელიანი (1804-1883 წწ.) იყო. მის მხატვრულ შემოქმედებაზე უფრო მეტად საყურადღებო ამ თვალსაზრისით მწერლის ეპისტოლარული მემკვიდრეობაა.

მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული საკითხით გრ. ორბელიანი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის პირველივე წლებიდან ინტერესდება, იმ დროისათვის მისი ამგვარი ქმედების განმსაზღვრელ უმთავრეს საფუძვლად უფრო მეტად სამსახურებრივი კარიერა იყო ქცეული, ვიდრე ეროვნულ-პატრიოტული მისწრაფებები. როგორც ცნობილია, სამხედრო სამსახურში მყოფმა მწერალმა 1826-28 წლებში ჯერ ერევნისა და სპარსეთის მიერ დაპყრობილი სხვა რეგიონების განსათავისუფლებლად გამართულ რუსეთ-თურქეთის ომში მიიღო აქტიური მონაწილეობა, 1828 წელს კი თურქეთის წინააღმდეგაც იბრძოდა.

თუმცა ხსენებულ ომებში გრ. ორბელიანის, როგორც რუსეთის სამსახურში მყოფი სამხედრო პირის, მონაწილეობა იმხანად უფრო მეტად მისი სამსახურებრივი ინტერესებით იყო განპირობებული, ვიდრე წმინდა ქართული მისწრაფებებით. ეს რომ ნამდვილად ასეა, ამას თუნდაც ის ფაქტიც ადასტურებს თვალნათლივ, რომ აღნიშნულ საომარ ქმედებებთან დაკავშირებული

ეროვნული ინტერესები, რაც გარეშე მტრების მიერ საუკუნეების განმავლობაში მიტაცებული ქართული მიწების დედამამშობლოსთან შემოერთებით იქნებოდა განპირობებული (როგორც ცნობილია, სწორედ რუსეთ-თურქეთის ამ ომის შედეგად შემოუერთდა საქართველოს სამცხე-ჯავახეთი ახალქალაქ-ახალციხითურთ), გრ. ორბელიანის იმდროინდელ შემოქმედებაში თითქმის საერთოდ არ გამოვლენილა.

30-იანი წლებიდან მოყოლებული 50-იან წლებამდე ე. წ. სამუსლიმანო საქართველოს შესახებ თავისი პოზიცია გრ. ორბელიანს წერილობითი ფორმით უკვე აღარსად გამოუხატავს. ამ თვალსაზრისით ვითარება გარკვეულწილად იცვლება რუსეთ-თურქეთის 1853-56 წლების ომის პერიოდში, როცა ორ ქვეყანას შორის მიმდინარე საომარი ბატალიების შედეგად კვლავაც გაჩნდა რეალური შესაძლებლობა ოსმალების მიერ დაპყრობილი ქართული რეგიონების განთავისუფლებისა და დედა სამშობლოსთან შემოერთებისა.

როგორც ცნობილია, გრ. ორბელიანი იმ დროისათვის კასპიისპირეთის ჯარების სარდალი იყო და აქტიურ ბრძოლებს აწარმოებდა შამილის წინააღმდეგ. მართალია, პირადად მას რუსეთ-თურქეთის ხსენებულ ომში უაშუალო მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ მისი ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან ნათლად ჩანს, რომ მწერალი უდიდესი ინტერესით ადევნებდა თვალს თურქეთთან მიმდინარე საომარ ბატალიებს.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ ხსენებულ წერილებში გრ. ორბელიანის ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებაც ვლინდება საკმაოდ შთამბეჭდავად, ობიექტურობა მოითხოვს, აქვე ისიც აღინიშნოს ხაზგასმით, რომ მწერალს თავისი ადრინდელი მსოფლმხედველობრივი თვალთახედვა არც ამჯერად შეუცვლია არსებითად. კერძოდ, რუსეთსა და თურქეთს შორის მიმდინარე საომარ ბატალიებზე საუბრის დროს იგი რუსეთის სამხედრო ინტერესებზე უფრო მეტად ამახვილებს ყურადღებას, ვიდრე ამ ომთან დაკავშირებულ საკუთრივ ქართულ პრობლემებზე.

ე. წ. სამუსლიმანო საქართველოსადმი გრ. ორბელიანის დამოკიდებულება არსებითად იცვლება 1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომისა და მის შემდგომდროინდელ ხანაში. განსხვავებით წინა პერიოდებისაგან, როდესაც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებულ მოვლენებს პოეტი უპირველეს ყოვლისა რუსეთის იმპერიის სამსახურში მდგომი სამხედრო პირის თვალთახედვით სჯიდა და აფასებდა, ცხოვრებისა და მოღვაწეობის ბოლო წლებში მისი ეროვნულ-პატრიოტული მისწრაფებები განსაკუთრებული სიმძაფრით, ყოველგვარი შენიღბვის გარეშე, გამოვლინდა.

კერძოდ, გრ. ორბელიანი უდიდეს აღფრთოვანებას გამოხატავდა იმის გამო, რომ ამ ომის შედეგად რეალურად შეისხა ხორცი ქართველი ხალხის ისტორიულმა ოცნებამ და დედასამშობლოს კვლავ შემოუერთდა სამ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ ოსმალეთის იმპერიის მიერ მიტაცებული ქართული ტერიტორიები.

ამ თვალსაზრისით მრავალი შთამბეჭდავი არგუმენტის მოტანა შეიძლება გრ. ორბელიანის როგორც ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან, ისე პრაქტიკული მოღვაწეობიდანაც (აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უფრო ვრცლად იხ: *ნიკოლეიშვილი, 2014: 123-144*).

შემდეგი მწერალი, რომლის საზოგადოებრივ მოღვაწეობაშიცა და შემოქმედებაშიც ე. წ. სამუსლიმანო საქართველოს, კერძოდ კი აჭარისა და მისი მთავარი ქალაქის – ბათუმის პრობლემამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა, აკაკი წერეთელი (1840-1915 წწ.) იყო. იგი ჩვენი აჭარელი მოძმეების მიერ დედასამშობლოსთან მათი მხარის შემოსაერთებლად XIX საუკუნის 70-იანი წლებში აქტიურად წამოწყებულ ბრძოლას არა მარტო იმდროინდელ პრესაში გამოქვეყნებული წერილებით უჭერდა მხარს, არამედ აჭარაში დედასამშობლოსთან მის შემოერთებამდეც ჩადიოდა ხოლმე არალეგალურად და პრაქტიკულ მონაწილეობას იღებდა ხსენებული ბრძოლის ორგანიზებაში.

საბედნიეროდ, აკაკი მაშინ მარტო არ ყოფილა და ე. წ. სამუსლიმანო საქართველოს პრობლემებით იმხანადაც და შემდგომი პერიოდის განმავლობაშიც ქართული მწერლობისა და ჟურნალისტიკის მრავალი წარმომადგენელი იყო აქტიურად დაინტერესებული.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, საბოლოოდ, შეიძლება დავასკვნათ: იქიდან გამომდინარე, რომ ოსმალეთის დროინდელი ბათუმის შესახებ ჩვენამდე მოღწეული წერილობითი წყაროები საკმაოდ მცირეა, რის გამოც ძალზე მწირი ინფორმაცია მოგვეპოვება იქ არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით, გიორგი ერისთავის განსახილველი ნაწარმოები ყოველგვარი გადაჭაბების გარეშე უნდა მივიჩნიოთ ამ ხარვეზის რამდენადმე შემვსებ მხატვრულ-დოკუმენტურ ტექსტად.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

- «კავკაზი», 1872, № 143 – გაზეთი «კავკაზი», 1872 წლის № 143.
ერისთავი, 1936: – ერისთავი გ., თბულებანი, ტფილისი, 1936.
კლდიაშვილი, 1981: – კლდიაშვილი დ., თბულებანი ორ ტომად, II, თბილისი, 1981.
ნიკოლაძე, 1966: – ნიკოლაძე ნ., თბულებანი, V, თბილისი, 1966.
ნიკოლეიშვილი, 2014: – ნიკოლეიშვილი ა., გრიგოლ ორბელიანი და «სამუსლიმანო» საქართველო. გელათის მეცნიერებათა აკადემიის შრომები, I, თბილისი, 2014.
ნიკოლეიშვილი, 2005: – ნიკოლეიშვილი მ., სამტრედიის ისტორიიდან (XIX ს. 60-იანი წლებიდან 1921 წლამდე), ქუთაისი, 2005.

Avtandil Nikoleishvili (Kutaisi, Georgia)

Giorgi Eristavi about Batumi in the 60s of XIX Century

Summary

Giorgi Eristavi (1813-1864) is the first of the Georgian writers who traveled to Europe for tourism purposes and he described his impressions in a detailed and interesting manner in his work of the travel genre – 'My Journey to Europe since 13 June 1862'. The interest towards G. Eristavi's narrative is essentially determined by the fact that the writer had provided us with very little but very important information about the situation in Batumi that was occupied by the Ottoman Empire in the early 60s of XIX century. Based on the fact that the written sources about Batumi of those times that have survived so far do not provide much information, without any exaggeration we should consider the presented work by Giorgi Eristavi to be an artistic-documentary text to make up for this shortcoming to a certain extent.

რამდენიმე ამერიკული დოკუმენტი ბათუმის ისტორიის შესახებ

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში იმჟამინდელი მსოფლიოს ჰეგემონი სახელმწიფოები, მათ შორის, ამერიკის შეერთებული შტატებიც, აქტიურად იყვნენ ჩართულნი ჩვენი ქვეყნის “საზღვაო კარიბჭედ” წოდებული ბათუმის ცხოვრებაში, კერძოდ კი მისი სტატუსის განსაზღვრასთან და საქართველოსთვის მის მიკუთვნებასთან დაკავშირებული პრობლემის რეალურად გადაწყვეტის პროცესში. სწორედ ამ მოვლენით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ “ნიუ-იორკ ტაიმსში” დაბეჭდილ პუბლიკაციათა დიდი ნაწილი ბათუმისადმი მიძღვნილი. გარდა ხსენებულ გაზეთში გამოქვეყნებული სტატიებისა, წინამდებარე ნაშრომში ასევე განხილულია 1929-1933 წლებში აშშ-ს 31-ე პრეზიდენტის – ჰერბერტ ჰუვერის მემუარებიც. მას, როგორც 1919-1923 წლებში მსოფლიოს ქვეყნებისადმი ამერიკის დამხმარე საზოგადოების (American Relief Administration) ხელმძღვანელს, გარკვეული ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთანაც.

აღსანიშნავია, რომ “ნიუ-იორკ ტაიმსის” ფურცლებზე, ისევე როგორც ჰერბერტ ჰუვერის მემუარებში, ბათუმზე საუბრის დროს, უმთავრესად მის უმნიშვნელოვანეს სავაჭრო-ეკონომიკურ შესაძლებლობებზე მახვილდება ყურადღება და ყველა სხვა საკითხი, მათ შორის ამ ქალაქის რომელიმე სახელმწიფოსთვის მიკუთვნების პრობლემაც კი, ამ კონტექსტიდან გამომდინარე განიხილება.

ვიდრე უშუალოდ ზემოთქმულ საკითხს შევხებოდე, საინტერესოა, თუ როგორ არის დახასიათებული ჰერბერტ ჰუვერის მემუარებში რუსეთში 1917 წელს მომხდარი რევოლუციების შემდეგდროინდელ კავკასიაში არსებული ვითარება და რეგიონის სამივე, ახლად დამოუკიდებლობამოპოვებული, რესპუბლიკა. თავიდანვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ავტორი, გარდა სომხეთისა, არც საქართველოსა და არც აზერბაიჯანს კეთილგანწყობითა და პატივისცემით არ მოიხსენიებს. გარკვეულ შემთხვევებში კი ადგილი აქვს

ფაქტობრივ ისტორიულ უზუსტობებსაც. მეტი სიცხადისათვის დავიმოწმებ ციტატას თავად წიგნიდან:

„ეს ორი რასა (საუბარია, ქართველებსა და აზერბაიჯანელებზე – ო. ნ.), ასი წლის განმავლობაში რუსეთის ნაწილს წარმოადგენდა. კომუნისტური რევოლუციის შემდგომ მათ დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. გერმანიის არმიამ, კასპიის ნავთობსადენის შავ ზღვასთან უსაფრთხოდ დაკავშირების მიზნით, მათი ოკუპაცია მოახდინა. მაგრამ, მოლაპარაკების შედეგად, გერმანელები ბრიტანელებმა ჩაანაცვლეს იმავე მისიით. ჩვენი - კონსტანტინოპოლის ოფისის ხელმძღვანელი - ჰოვარდ ჰაინცი მიიჩნევს, რომ არცერთი მათგანი არ საჭიროებს საკვებით დიდ დახმარებას. სომხეთში არსებული დიდი ჰუმანიტარული ოპერაციის ფარგლებში კი მათ მაინც გაეგზავნათ მცირე დახმარება.

სამი ახალი რესპუბლიკა – სომხეთი, საქართველო და აზერბაიჯანი მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან როგორც რასობრივად, ასევე რელიგიურად. ერთმანეთისადმი მათი ზიზღი უძველესი პერიოდიდან – ნოეს კიდობნის დროიდან იღებს სათავეს და რელიგიურ და სახელისუფლებო დაპირისპირებაში არის გადაზრდილი. თანამედროვე ეპოქაში, ცარისტული რუსეთი ცდილობდა ეხსნა ისინი ერთმანეთის ყელში წვდომისაგან” *[Hoover, 1951: 385]*.

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკოსთა და სახელმწიფო მოღვაწეთა მემუარები ხშირ შემთხვევაში თავისუფალია დიპლომატიური, თუ პროტოკოლური ეთიკის მარწუხებისგან, მიმაჩნია, რომ სუვერენულ სახელმწიფოთა დახასიათება მსგავსი ეპითეტებით და მათ შორის მშვიდობის დამყარების ერთადერთ გარანტად რუსეთის მიჩნევა ყოვლად გაუმართლებელი ფაქტია.

სამწუხაროდ, სომხებისადმი, ზოგადად სომხეთისადმი, ავტორის აშკარად და ტენდენციურად მხარდამჭერი დამოკიდებულება მხოლოდ ზემოთქმული ფაქტით არ შემოიფარგლება და მსგავსი ეპიზოდები ხსენებულ „მემუარებში” სხვაგანაც მრავლად გვხვდება. სწორედ ამ კონტექსტში არის ნახსენები ბათუმი, როგორც სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პორტი და სარკინიგზო პუნქტი.

როგორც ცნობილია, თურქეთში 1915-1918 წლებში განვითარებულ მოვლენათა შედეგად იქ მცხოვრები სომხური მოსახლეობა უაღრესად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, რასაც მოგვიანებით, 1918-1919 წლების ზამთარში, ბუნებრივი კატაკლიზმების მიერ მიყენებული დამანგრეველი შედეგებიც დაემატა. 1915 წელს, ზემოთქმული ტრაგიკული მოვლენების დაწყებიდან მალევე, ოსმალეთის იმპერიაში, 1913-1916 წლებში, აშშ-ს ელჩის ჰენრი მორ-

გენტაუს (Henry Morgenthau) დაჟინებული თხოვნით, დაარსებულ იქნა „სომეხთა და სირიელთა დახმარების ამერიკული კომიტეტი“ (American Committee for Armenian and Syrian Relief), რომელიც 1919 წელს „ახლო აღმოსავლეთის დახმარების ამერიკულ კომიტეტად“ (American Near East Relief Committee) გადაკეთდა. მისი წესდება ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის მიერ იქნა დამტკიცებული.

ეს ორგანიზაცია ფაქტობრივად დღემდე ფუნქციონირებს და 1930 წლიდან მას მოყოლებული მას სახელად „ახლო აღმოსავლეთის ფონდი“ (Near East Foundation) ჰქვია. თავისი პოლიტიური და ჰუმანიტარული გეგმების განსახორციელებლად ხსენებული ორგანიზაცია საკმაოდ დიდ ფინანსურ რესურსებს რომ ხარჯავდა, ამას ეს სტატისტიკური მონაცემიც ადასტურებს: „1915-1930 წლებში „ახლო აღმოსავლეთის დახმარების ამერიკული კომიტეტის“ მიერ 117 მილიონი დოლარი იქნა დახარჯული. ამას ემატებოდა სხვა სახის დახმარებაც, იქნებოდა ეს, საკვებითა და ტანსაცმლით, თუ ლტოლვილთა ბანაკების, კლინიკების, ობოლთა თავშესაფრებისა და პროფესიონალური მომზადების ცენტრების მოწყობით“ [N.E.R.C. Records, 2012: 1-2].

იმის ნათელსაყოფად, ამერიკის ყოფილი პრეზიდენტის „მემუარებში“ „ამერიკული კომიტეტის“ მუშაობა ზემოხსენებულ მოვლენათა კონტექსტში როგორაა გაშუქებული და შეფასებული, დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტს:

„ახლო აღმოსავლეთის დახმარების ამერიკულმა კომიტეტმა“ ბატონ არტურ კერტის ჯეიმსისა (Mr. Arthur Curtiss James) და ბატონ კლივლენდ დოჯის (Mr. Cleveland Dodge) ხელმძღვანელობით, გამოყო ამერიკის ეკლესიებიდან მიღებული დიდი თანხა და განაცხადა, რომ ისინი იღებდნენ პასუხისმგებლობას სომხეთზე ზრუნვასთან დაკავშირებით... ტვირთის გამოგზავნა 1919 წლის იანვარში დაიწყო. ამ ფაქტიდან ხუთი-ექვსი კვირის შემდეგ, ბატონმა ჰაინცმა კონსტანტინოპოლიდან იმ გავრცელებული ინფორმაციის შესახებ შემატყობინა, რომლის მიხედვითაც სომხეთში ყველაფერი ნანგრევებად იყო ქცეული, კომიტეტის მუშაობა კი პარალიზებული.

მან სიტუაციის შესასწავლად ბატონი ე. რ. სტოვერი (E. R. Stoever) გაგზავნა სხვა რამდენიმე თანამშრომელთან ერთად. მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, რომ როგორც კომიტეტის მუშაობა, ასევე სომეხთა მდგომარეობა, ძალზე სავალალოა. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ტონა საკვები, ტანსაცმელი და წამლები იქნა ჩატანილი ბათუმში, მხოლოდ ცოტამ თუ მიაღწია დაზარალებულ მოსახლეობამდე. დანარჩენი კი კორუფციისა და ქურდობის შედეგად იქნა მიტაცებული. მე დაუყოვნებლივ გავეცი ბრძანება

„ახლო აღმოსავლეთის დახმარების ამერიკულმა კომიტეტის“ დირექტორის გათავისუფლების თაობაზე, თითქმის ყველა თანამშრომელი კი დაპატიმრებული იქნა. ახალ დირექტორად დაინიშნა ბატონი იაროუ (საუბარია ერნესტ იაროუზე (Ernest A. Yarrow), რომელიც რუსეთის მიერ საქართველოს გასაბჭოებამდე ხელმძღვანელობდა „ამერიკული კომიტეტის“ ამიერკავკასიის ოფისს – ო. ნ.), ერთგული კაცი, რომლისთვისაც ამერიკის კარგი რეპუტაცია ძალიან მნიშვნელოვანია.

რაც შეეხება თავად სომხების მდგომარეობას, ჩვენდამი მოწოდებული ინფორმაცია ნამდვილად შოკის მომგვრელია, რაშიც სულ რამდენიმე წინადადებაც კი დაგარწმუნებთ.

დიდი ქალაქების ქუჩები სავსეა გარდაცვლილი ადამიანებით. ბავშვები ძაღლებივით დაწანწალებენ საჰმლის საშოვრად. ჩემი თვალით ვნახე, როგორ გლეჯდა მკვდარ ცხენს ქალი შიშველი ხელებით. ხშირია კანიბალიზმის შემთხვევები. იფეთქა ტიფის ეპიდემიამ. ქალაქში, სადაც სულ ოცი ათასი მოსახლეა, ბოლო თვის განმავლობაში სამი ათასი ადამიანი გარდაიცვალა.

სომხეთის რესპუბლიკის მოსახლეობა მთლიანობაში 1,500,000 სულს შეადგენს. მათგან 500,000 თურქეთიდან დევნილია. აქედან დაახლოებით 250,000 სიკვდილის პირასაა საკვების არქონის გამო” *[Hoover, 1951: 386-387]*.

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, „ამერიკულმა კომიტეტმა“ მიიღო გადაწყვეტილება, პარიზიდან პირდაპირ, კონსტანტიმოპოლის გვერდის ავლით, გამოეგზავნათ ტვირთი ბათუმში, რის შემდეგაც უკვე რკინიგზის საშუალებით ჩაიტანდნენ მას სომხეთში.

მიუხედავად იმისა, რომ მათ ამ გეგმის განხორციელებაში ბრიტანეთიც ეხმარებოდათ, პრობლემები მაინც შექმნიათ როგორც ქართულ, ისე სომხურ მხარესთანაც კი. აღსანიშნავია, რომ სომხეთის სახელმწიფოს მეთაური წიგნში მოხსენიებულია, როგორც პრეზიდენტი, რაც ფაქტობრივ ისტორიულ შეცდომას წარმოადგენს. ასევე არასწორად არის მოხსენიებული მისი გვარიც. აი, როგორ არის ზემოთქმული სიტუაცია „მემუარებში“ გადმოცემული:

„ბატონმა ჰაინცმა გვირჩია, რომ სომხეთისთვის განკუთვნილი ტვირთი პირდაპირ პარიზიდან გაგვეგზავნა ჩვენთვის სანდო ადამიანების თანხლებით... ჩვენ კიდევ უფრო მეტი ტვირთი გამოვაგზავნეთ დაუყოვნებლივ ბათუმისაკენ...

სომხეთის რესპუბლიკის ხელისუფლება მხოლოდ მთავრობის აჩრდილს წარმოადგენდა. პრეზიდენტი ხოდისიანი (იგულისხმება სომხეთის პირველი რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე 1919-1920 წლებში ალექსანდრე ხა-

ტისოვი, რომელიც 1910-1917 წლებში ქალაქ თბილისის თავს წარმოადგენდა – ო. ნ.) იყო ერთადერთი პატიოსანი ადამიანი, რომელსაც სამთავრობო დონეზე მუშაობის გამოცდილება გააჩნდა, გახლდათ რა ადრე თბილისის მერი. დანარჩენ ე. წ. მინისტრებს ოდნავი ადმინისტრაციული სამუშაო სტაჟიც კი არ ჰქონდათ...

ბრიტანელებმა უზრუნველყვეს ჩვენი მატარებლების დაცვა, მაგრამ რკინიგზის იქით სრული ანარქია სუფევდა. სომხეთის დედაქალაქ ერევანში, დღისით, ჩვენი რამდენიმე ოფიცერი შეიპყრეს და გამარცხეს...

ჩვენი ერთ-ერთი პრობლემა საქართველოს მთავრობა გახდა. სომხეთისკენ მიმავალი რკინიგზა ბათუმზე გადის, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზეა. ხელისუფლებამ შეაყოვნა ჩვენი მატარებლები და მოითხოვა უზარმაზარი თანხა, ან ტვირთის ნაწილი მათ გასატარებლად. ერთ-ერთი მოთხოვნა იყო 2,000 ტონა. საბოლოოდ, 19 ივლისს, პრემიერ-მინისტრ კლემენსოს მეშვეობით მკაცრად შევუთვალე საქართველოს მთავრობას, რომ თუ ისინი სათანადოდ არ მოეპყრობოდნენ მოკავშირეებს, მთელი პასუხისმგებლობა მათ დაეკისრებოდათ. მე თავად არ ვიცოდი კონკრეტულად ვისი მისამართით იყო ეს მოწოდება გაკეთებული, მაგრამ მან იმუშავა. ჩვენ ჩავიტანეთ 50,000 ტონა საჭმელი, მათ შორის 3,300 ტონა რძე ბავშვებისათვის, ასევე 500 ტონა საპონი და მედიკამენტები ტიფთან საბრძოლველად” *[Hoover, 1951: 386-387]*.

გარდა ჰერბერტ ჰუვერის მემუარებისა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის დროინდელ ბათუმთან დაკავშირებით საინტერესო პუბლიკაციები გვხვდება იმდროინდელ ამერიკულ გაზეთში „ნიუიორკ-ტაიმსში“. ხსენებულ პუბლიკაციებში არა მხოლოდ იმდროინდელ ბათუმში არსებულ რთულ მდგომარეობაზეა საუბარი, არამედ ქალაქის მნიშვნელოვან როლზეც მთელ რეგიონში მიმდინარე მოვლენათა კონტექსტში.

მაგალითად, როგორც ცნობილია, 1920 წლის 24 სექტემბერს სომხეთმა ომი გამოუცხადა თურქეთს. თუმცა მათ თურქეთისათვის სათანადო სამხედრო წინააღმდეგობის გაწევა ვერ შეძლეს და თურქეთა არმიამ, ქაზიმ ქარაბეჯირის მეთაურობით, 30 ოქტომბერს ჯერ ქალაქი ყარსი, 7 ნოემბერს კი ქალაქი ალექსანდროპოლი (დღევანდელი გიუმრი) დაიკავა. სომხეთის მთავრობა, ერევნისა და ეჩმიადინის დაკარგვის საფრთხის გამო, იძულებული გახდა დახმარებისათვის საბჭოთა რუსეთისთვის მიემართა და ალექსანდროპოლის საზავო ხელშეკრულების პირობებს დათანხმებოდა.

ეს ყველაფერი აქ იმიტომაც გავიხსენე, რომ სომხეთ-თურქეთის ხსენებულ ომს “ნიუ-იორკ ტაიმსიც” გამოეხმაურა და ამ მოვლენებში ბათუმის, როგორც

საზღვაო ქალაქის, როლზეც გაამახვილა ყურადღება. მეტი სიცხადისათვის დავიმოწმებ თავად სტატიას: “სომხეთის დედაქალაქი ევაკუირებულია, რის გამოც დიდი სარკინიგზო მიმოსვლა ალექსანდროპოლსა და საქართველოს დედაქალაქ თბილისს შორის განუსაზღვრელი ვადით იქნა შეწყვეტილი...

“ახლო აღმოსავლეთის დახმარების ამერიკული კომიტეტის” (ორგანიზაცია დაარსდა 1915 წელს - ო. ნ.) გენერალური მდივნის ჩარლზ ვიკერის (Charles V. Vickery) განცხადებით, კავკასიაში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, პროდუქტებით, ტანსაცმლითა თუ სხვა საჭირო ნივთებით დატვირთული გემები უკვე ზღვაში არიან და ბათუმს უახლოვდებიან. აღნიშნული ტვირთი შეიცავს 5,813,000 შეკვრა ძველ ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს, 5,220 დიდ შეკვრა ბრინჯს, 1,680 შეკვრა შაქარს, 260 ტონა საპონსა და სხვა ნივთებს...” [NY Times, 1920].

გაზეთის იმავე ნომერში გამოქვეყნებულია მეორე სტატია, რომელიც ასევე სომხეთის გარშემო არსებულ პრობლემას ეხება და მის შედეგებს უფრო მეტად სავაჭრო-ეკონომიკური კუთხით განიხილავს. კერძოდ, გაზეთის აზრით, “თურქეთის აგრესიამ სომხეთისადმი და ამ უკანასკნელის უუნარობამ რაიმე წინააღმდეგობის გაწევისა, ბრიტანეთის ინტერესები კავკასიაში ძალიან შეარყია. სარკინიგზო ხაზის დაგეგმილი მშენებლობა, რომელიც ბათუმიდან უნდა დაწყებულიყო, სომხეთზე თურქეთის გამარჯვების გამო ჩაიშალა” [იქვე].

სამწუხაროდ, იმის შესახებ, თუ რა მარშრუტს გაივლიდა ხსენებული სარკინიგზო ხაზი და რომელი იქნებოდა საბოლოო პუნქტი, სტატიაში არაფერია ნათქვამი. თუმცა, ის რომ აღნიშნული პროექტი არა მხოლოდ სტრატეგიული მხრივ იქნებოდა უაღრესად მნიშვნელოვანი, არამედ სავაჭრო-ეკონომიკური თვალსაზრისითაც, ალბათ, უდაოა.

დასკვნის სახით, ჩემი აზრით, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად საკითხისადმი ხშირად ძალზე არაობიექტური მიდგომისა, ნაშრომში წარმოდგენილი დოკუმენტები უდავოდ წარმოადგენს ძალზე მნიშვნელოვან მასალას აღნიშნული თემატიკით დაინტერესებულ მკვლევართათვის.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

Hoover, 1951: – Hoover H. The Memoirs, Vol. I (Years of Adventure, 1874-1920), New York, 1951.

N.E.R.C. Records, 2012: – Near East Relief Committee Records, 1904-1950, New York, 2012.

NY Times, 1920: – New York Times, November 16, 1920.

Otar Nikoleishvili (Kutaisi, Georgia)

Some American Documents about the History of Batumi

Summary

During the period of the Democratic Republic of Georgia, the most powerful countries of the world played the important role in the life of Batumi. This interest, first of all, was stipulated by the military, political and economic importance of the city. This is the only explanation that the most of the publications of “New York Times” about Georgia, published in 1918-1921, are dedicated to Batumi. Besides those articles, I paid the attention to one of the most important document, which is memoirs of 31st President of the United States in 1929-1933 Herbert Hoover. As a Head of the American Relief Administration in 1919-1923, he was directly linked to the Transcaucasian Region and Georgia as well.

Besides, some mistakes and less objectivity in some of those documents, we should consider them as a very important research materials for the estimation of the international community to the historical events, which were held in 1918-1921 in Batumi.

ბათუმისათვის ბრძოლა და მისი ასახვა ქობულეთურ თქმულება-გადმოცემებში

თქმულება-გადმოცემები ხალხის ხსოვნაში დაღეილი სულიერი პრიორიტეტების გამოხატულებაა და აქედან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი მახასიათებელია ამა თუ იმ ხალხის სულიერი რაობის გასარკვევად. მასში შეიძლება რაიმე გადაჭარბებული იყოს, თითქმის დაუჯერებელი და სრულიად უცნაურიც, მაგრამ იგი უტყუარი მაჩვენებელია ამა თუ იმ ეთნოსისა თუ ეთნიკური ჯგუფის ოცნებათა და ჭეშმარიტ მისწრაფებათა მიმართულებისა, ასახავს მის რეალურ შინაგან განწყობილებას და აქედან გამომდინარე, გავლენას ახდენს, როგორც ერის გარეგნული ჰაბიტუსის, ისე მისი უმნიშვნელოვანესი თვისებების ჩამოყალიბებაზეც.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წლებადელი ექსპედიციის დროს (2017 წლის 17-22 ივლისი) ჩვენი ყურადღება მიიპყრო რამდენიმე, ამ მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა ხსოვნაში შემონახულმა, თქმულება-გადმოცემებმა, რომლებიც, სწორედ, ზემოთ ჩვენს მიერ აღნიშნული თვალსაზრისით იყო საინტერესო.

პირველია სოფელ ზენითში მცხოვრებ ანზორ ქათამიძის (79 წლის) მიერ ჩვენთვის მოთხრობილი გადმოცემა, რომელიც მას, თავის მხრივ, მისივე წინაპრებისაგან მოუხმენია. მასში ნათქვამია, რომ როცა რუსეთის ჯარი ქობულეთის მხარეში შემოიჭრა და ბათუმისაკენ გზის გასახსნელად ციხისძირის ასაღებად გააფთრებული ბრძოლები დაიწყო, სოფელ ზენითისა და მახლობელი მიდამოების მაჰმადიანი მამაკაცი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, მაშინდელი რუსეთ-ოსმალეთის საზღვრებისაკენ „მტერთან“ საბრძოლველად დაიძრა. მაგრამ სულ ცოტა ხანში, როდესაც ცხადი გახდა და ამ მხარის დედა-სამშობლო საქართველოსთან რეალურად დაბრუნების შესაძლებლობა გამოიკვეთა (მურად კომახიძის ნაამბობი – უ. ო.), ისინი ზენითელი კომახიძის მეთაურობით, უკვე ოსმალთა წინააღმდეგ გამოვიდნენ და აქტიური მონაწილეობა მიიღეს მათთან გამართულ ბრძოლებში. ბატონ ანზორის აზრით, სწორედ ქობულეთელებმა შეასრულეს გადამწყვეტი როლი ამ რეგიონის სამშობლოს წიაღში დაბრუნების საქმეში.

ამავე სოფელი ჯევდეთ ქათამაძეც (87 წლის) დიდი სიამაყით იგონებს მისი წინაპრების მიერ გადმოცემულ ამბავს, რომ თურქეთის მფლობელობის პერიოდში ზენითლების რძალმა, აიშე მიქელაძემ, რომელიც ერთ-ერთი აქაური ბაუჟადის ცოლი ყოფილა, სოფელ, ზენითში ხარკისა და გადასახადების ასაკრეფად შემოსული ოსმალები ცოცხით გადარეკა. იმისთანა „ფინთი“ ქალი იყო, სოფლის ბოლომდე მისდია გაკვირვებულ თურქებსო (თურქებსაც, ყოჩად! ალბათ, არ იკადრეს გაცეცხლებულ ქალზე ხელის აღმართვა და გაქცევა არჩიეს – უ. ო.). ეთერ ხაბაზი-ქათამაძისა კი, იგონებს მისი ქმრის დიდი ბებუის გუგული რომანაძე-ქათამაძის მონათხრობს, რომ როდესაც ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილების თანახმად ბათუმი და მისი ოლქი რუსეთს გადაეცა, ოსმალეთის სულთანმა ალი ფაშა თავდგირიმეს დაავალა რეგიონში რუსების შემოსვლისათვის ხელი არ შეეშალა, რაც მან კიდევაც შეასრულა.

თავისი შინაარსით ძალზე საინტერესო ამბავს მოგვითხრობს ციხისძირის საჯარო საშუალო სკოლის მასწავლებელი ალექსანდრე თურმანიძეც (67 წლის), რომელსაც ციხისძირში მცხოვრები მოხუცებისგან გაუგონია, რომ 1878 წლამდე, სანამ აჭარა დედა-სამშობლოს დაუბრუნდებოდა, ციხისძირის ყოფილ „დაჩების“ (აგარაკები) ტერიტორიაზე და საერთოდ, ციხისძირში კავკასიის ომის დამთავრების შემდეგ (1964 წელი), ჩრდილოეთ კავკასიიდან გამოძევებულ-გამუჰაჯირებული ჩერქეზები მოსახლეობდნენ, რომელთაც, გადმოცემის თანახმად, დიდი წვლილი შეუტანიათ 1877-1878 წლებში ციხისძირთან რუსების წინააღმდეგ ბრძოლებში, და რომ რუსებმა ციხისძირი ვერ აიღეს, ამას მოგონებათა ავტორები, ადგილობრივი მუსლიმანი მოსახლეობისა და აღნიშნული ჩერქეზი მუჰაჯირების სასტიკი წინააღმდეგობით ხსნიან. მათი გადმოცემით, ამიტომაც იყო, რომ ადგილობრივი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი და ჩერქეზები, რეგიონში რუსეთის დამკვიდრების შემდეგ, აქაურობას გაეცალნენ და ოსმალეთში გადავიდნენ. ამიტომ 1910 წლის მონაცემებით ციხისძირში მისი 114 მოსახლიდან, ერთადერთი ქართველი კისლოვოდსკიდან ჩამოსახლებული თვალჭრელიძე იყო – ამბობს ბატონი ალექსანდრე და იქვე განაგრძობს – აქ დასახლებული რუსი კოლონისტები კი, (უმთავრესად სამსახურიდან გადამდგარი რუსი გენერლები და ელიტარული სახელმწიფო მოხელენი), საკუთარი მამულების დასამუშავებლად მეზობელი სოფლებიდან მოჯამაგირებად ქირაობდნენ ქართველ გლეხებს; ხოლო მათი ინტენსიური დასახლება დღევანდელი სოფელ ციხისძირის ტერიტორიაზე მოხდა მხოლოდ 1921 წლიდან, აქ საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ პერიოდში.

ამავე მოგონებაში ბატონი ალექსანდრე ამბობს, რომ პეტრა-ციხისძირის ინტენსიური და შეუქცევადი ნგრევა დაიწყო სამტრედია-ბათუმის სარკინიგზო ხაზის მშენებლობის დროს (1879-1883 წლები). რუსებმა გზის გასაყვანად ჯერ მისი ჩრდილოეთი კედელი ჩამოიღეს და ჩამონგრეული ქვებით რკინიგზის ხიდებს აგებდნენ ქობულეთიდან ბათუმამდე, ხოლო მასთან ერთად ბათუმის სავაჭრო პორტსაც აშენებდნენ. რკინიგზის აღნიშნულ მშენებლობას ხელმძღვანელობდა წარმოშობით პოლონელი ინჟინერი სკარჟინსკი, რომელმაც შეიძინა ციხისძირის კონცხი და პეტრას ციხის ქვებითვე დაიწყო შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრის მსგავსი აგარაკის მშენებლობა. მაგრამ სწორედ იმ პერიოდში მას ქუთაისელ ძმებ ანანიაშვილებთან ბანქოს თამაშში წაუგია დიდი თანხა, რომლის გადახდა ვერ შესძლო – და ძმებმა მშენებარე აგარაკი ვალში წართვეს, ხოლო მის უკვე აშენებულ პირველ სართულს მაშინდელი თანამედროვე სტილის მეორე და მესამე სართულები დაადგეს და მშვენიერი სასახლე მოიწყვეს. 1921 წელს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ძმები ანანიაშვილები საზღვარგარეთ გაიქცნენ და მათ ყოფილ აგარაკზე 1928 წელს გაიხსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა დასასვენებელი სახლი „ნაუკა“, რომელსაც შემდგომში არაერთი ცნობილი პიროვნებისათვის უმასპინძლია; მათ შორისაა ცნობილი რუსი რეჟისორი სერგეი ეიზენშტაინი. სწორედ აქ დაწერა მან სცენარი ცნობილი კინოფილმისათვის „ჩვენ კრონშტადტიდან ვართ“. ციხისძირის მომხიბლავ მიდამოებშია გადაღებული კადრები მრავალი ცნობილი კინოფილმებიდან – ამბობს ბატონი ალექსანდრე.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელვას მცხოვრები სერგო ართმელაძე იგონებს თავისი ბებიის ხენიფე კობალაძე-ართმელაძისას ნაამბობს, რომ როდესაც 1920 წელს ანტანტის ჯარები ბათუმიდან და ბათუმის ოლქიდან გადიოდნენ, ოსმალები კვლავ შეეცადნენ აქ თავიანთი პოზიციების აღდგენას, მაგრამ აქაურ პატრიოტთა ძალისხმევის შედეგად ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. თურქები იძულებული გამხდარან სოფელ ლელვას თავზე წამოდგარი „კოკოტიას“ ბორცვიდანაც (მას სახელი დაარქვა სერგო ართმელაძის მამამ, რიზა ართმელაძემ – უ. ო.) წასულიყვნენ; მაგრამ ამ გორაკზე სათვალთვალოდ სამი ასკერი დაუტოვებიათ, რომელთაგან ერთი მალე გაქცეულა, ორი კი საკმაოდ დროს დარჩენილან აქ. ასკერებს სურსათით არავინ ამარაგებდა, ამიტომ ისინი ჩამოდიოდნენ და იქვე სოფელში მათხოვრობდნენ, ხან ძალით ართმევდნენ მოსახლეობას საჭირო საზრდოს, ხან კიდევ იპარავდნენ. „კოკოტიას“ მისადგომებზე იმ დროს ცხოვრობდა სულ რამდენიმე – შაქირ ართმე-

ლადის (სერგო ართმელადის ბაბუა – უ. ო.), მევლუდ ხინიკაძის და ხასან ჯინჭარაძის ოჯახი. „კოკოტიას“ მწვერვალთან, საიდანაც ეს ორი ოსმალთა ასკერი მეთვალყურეობას ეწეოდა, ყველაზე ახლო ცხოვრობდა შაქირ ართმელადის ოჯახი. ბატონი შაქირი ხელობით ხურო იყო და სახლებს აშენებდა ქაქუთსა და ოზურგეთში, თანაც ამ დროისათვის მალარიით ყოფილა დაავადებული. შაქირის შვილები – ელიასი 20 წლის, რიზა17-ის, ხოლო ქალიშვილი ხურიე 13 წლისა, ყოფილან. თურქი ასკერები უკვე თავს გადიოდნენ და არსებობდა საშიშროება გარდაუვალი კონფლიქტისა.

შაქირ ართმელადის მეუღლე, ხენიფე კობალაძე-ართმელადისა, საკმაოდ მკაცრი და, როგორც ქუბულეთში უყვართ თქმა, „ფინთი“ ქალი ყოფილა. იგი დედით ბაუჟადის სახლიშვილი იყო. ბაუჟადეები კი სოფელში ვაჟკაცობით განთქმული ყოფილან.

ერთ დღესაც, გამთენიისას ქალბატონ ხენიფეს წაუყვანია თავისი ძაღლი (ცნობილია, რომ ძალიან დიდი ძაღლი ჰყოლიათ – ს. ა.) და წალდით ხელში ასულა „კოკოტიაზე“, რომელიც შაქირის სახლიდან 700 მეტრშია. წივილ-კივილით, ქვების სროლითა და წალდით ხელში ხენიფე თავს დასხმია თურქ ასკერებს. ამ მოულოდნელი „იერიშის“ დროს მის უზარმაზარ ძაღლსაც ძალიან შეუშინებია ისინი და თავქუდმოგლეჯილი გაქცეულან თავიანთი კარვიდან. გაცეცხლებულ ხენიფეს კარავი წალდით დაუჩეხია და ოსმალთა ასკერთა ერთი კარაბინი („ვინტოვკა“) და ერთიც პისტოლეტი „მაუზერი“, თავიანთი ვაზნებით, ნადავლად წამოუღია. იმ დღიდან თურქი ასკერები სოფელში აღარ გამოჩენილან. კარაბინი უფროს ვაჟს გადაუმალავს, „მაუზერი“ კი ბებიას დიდხანს ჰქონდა შენახული – იგონებს ბატონი სერგო. იმ დროს, როგორც ძველები იხსენებდნენ, – განაგრძობს იგი – სოფელში გარეული ღორები შემოდოდნენ და ბაღ-ბოსტნებს ანადგურებდნენ. ერთ-ერთი ასეთი შემოსევის დროს ხენიფე ბებიას თურქებზე წართმეული „მაუზერით“ დიდი ტახი მოუკლავს, რომელიც 100 კილოგრამზე მეტი გამოსულა. ხორცი მის ვაჟებს ურმით ოზურგეთში გაუტანიათ და იქ გაუყიდიათ. ცნობილია, რომ XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს ეს იარაღი ხენიფე ბებიას ოზურგეთში გაუტანია და იქ მდინარე ბჟუჟის წყალში გადაუგდია, რადგან ვაჟიშვილებმა მოსთხოვეს იარაღის მათთვის გადაცემა. კარაბინი კი დიდი ხნის განმავლობაში ინახებოდა საიდუმლოდ, ფუტკრის როგოში და მხოლოდ XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს ჩაბარდა მუხაესტატეს პოლიციას – ოღონდაც დამტკრებული ტარით – ასე ამთავრებს ბატონი სერგო თავის მოგონებებს.

ხოლო ქობულეთის რაიონში ცნობილი მოღვაწე და დამსახურებული პე-
დაგოგის ტიტე აფხაზავას მიერ ჩაწერილი გადმოცემა-თქმულების მიხედვით
XVI საუკუნის დასაწყისში ოსმალებმა აიღეს სამცხე-საათაბაგო, დაიკავეს
ბათუმი, მდინარე ჩაქვის წყლისა და კინტრიშის ხეობები და გურიასა და
იმერეთში შეიჭრნენ, სადაც, ამ გადმოცემის მიხედვით, ქართველთა გაერთი-
ნებული ლაშქრის მიერ სასტიკი მარცხი იწვნის. კინტრიშისა და ჩაქვის
წყლის ხეობებში ოსმალებს, ასევე სასტიკი ბრძოლები გაუმართა ადგილობ-
რივმა მოსახლეობამ, რომლის შეიარაღებულ რაზმებს გიორგაძეები, ცეცხლა-
ძეები და ბოლქვაძეები ხელმძღვანელობდნენ, რამაც მტერი აიძულა, ამჯერად
ბათუმიც დაეტოვებინა. ამის შემდეგ, ამავე თქმულების მიხედვით, ბათუმსა
და აჭარაზე ოსმალთა თავდასხმა რამდენიმეგზის განმეორებულა, მაგრამ სა-
ქართველოს 25000-იან ლაშქარს კახაბერ გურიელის სარდლობით გამირულად
დაუცავს ბათუმი და ეს ბრძოლები, თითქმის 50 წელიწადს, 1555 წლის ამა-
სიის ზავამდე გაგრძელებულა. შემდეგ ოსმალებმა მაინც დაიპყრეს ახალციხე,
ბათუმი, ფოთი; მტრის ჯარი თარეშობდა აჭარის წყლის, კინტრიშისა და
ჩაქვის წყლის ხეობებში და ქართველი მეფე-მთავრები XVIII საუკუნიდან უკვე
ერთად ცდილობდნენ მდგომარეობის გამოსწორებას (ერეკლე მეორე, სოლო-
მონ I, მამია გურიელი, კაცია დადიანი და სხვა). გადმოცემის მიხედვით ამ
უთანასწორო ბრძოლაში აქტიურდ მონაწილეობდნენ ხალხის ხსოვნაში
შემორჩენილი სახალხო გმირები – აზნაური გიორგი გორგასალიძე, მღვდელი
მიტროფონე ჩავლეიშვილი, ვილაც ბაირახტარი (მედროშე) და სხვები. რაც
შეეხება, დაპყრობილი ტერიტორიებიდან საქართველოს შიგა რაიონებში
ხალხის მასიურ გადასახლებას, როგორც თავის მოგონებებში ბატონი ტიტე
აფხაზავა შენიშნავს, ოსმალები აქაურ მღვდლებს აბრალებდნენ და ამიტომაც
მათ წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლა და რეპრესიები გაჩაღდა. ანადგურებდნენ
მღვდელმსახურებს, ანგრევდნენ და მიწასთან ასწორებდნენ ეკლესია-მონასტ-
რებს, ართმევდნენ მათ მამულებს, ხალხს კი გამაჰმადიანებას აიძულებდნენ.
დაანგრეს ხინო წმინდის, შუა მთის, ჩაქვისთავის, ცხრაფონას, კვირიკის,
სამების, თეთროსნისა და სხვა ეკლესია-მონასტრები და მათი აყვავებული
მამულები ტყე-ბუჩქნარად აქციეს. მათ მიერ გავერანებულ სოფლებში და კერ-
ძოდ, თეთროსნის მიდამოებში, მოსახლეობა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლე-
ბის დროს სდასახლდა. ბათუმ-ქობულეთის შავიზღვისპირეთის მახლობელი
ციხე-დასახლებანი, „ტყვის სყიდვის“ ცენტრებად იქცა. ელიას ციხის, მუხაეს-
ტატეს შეკვეთილის და ქობულეთის გავლით ტვეთა უწყვეტი ნაკადი, ჯერ

ბათუმისა და ტრაპიზონის, იქედან კი ოსმალეთის ცენტრალური პროვინციებისა და სტამბოლისაკენ მიედინებოდა.

აჭარის მოსახლეობამ ოსმალთა დამპყრობლების წინააღმდეგ არაერთი აჯანყება მოაწყო. იგი განსაკუთრებით გააქტიურდა 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს, როდესაც ქობულეთის მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა, დედე-ალა ნიჟარაძის, ესედ-ალა წილოსანის, ისმაილ ეფენდი მჟავანაძის, შირინ-არა ინაიშვილის, ახმედ-ალა გუგუნავას, ალი-ალა შაქარიშვილის, სეფერ-ალა და ყურშუმ-ალა ჭყონიების ხელმძღვანელობით, აქტიური პროტესტი განაცხადეს ბალკანეთის ფრონტზე წასვლაზე. ცნობილი ფაქტია, რომ ყურშუმ-არა ჭყონია ქობულეთელთა 150 კაციანი რაზმით შეუერთდა რუსეთის არმიას და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ოსმალთა წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში.

ხალხის ხსოვნამ და ისტორიამაც შემოგვინახა ციხისძირისათვის ბრძოლებში მონაწილე რუსეთის არმიის გენერლების – შერემეტიევის, დანიბეკოვის, შალიკაშვილის სხელები. თუმცა იმასაც აღნიშნავენ, რომ 1877 წლის ივნისში ციხისძირისათვის წარმოებულ ბრძოლებში მათ მწარე გაკვეთილი მიიღეს და არც 1878 წლის იანვრის ბრძოლები გამოდგა აქ მათთვის წარმატებული, რადგან დევრიშ ფაშამ ციხისძირი აუღებელ ციხე-სიმაგრედ აქციაო ბათუმის გზაზე. მისთვის გააფთრებულ ბრძოლაში დაეცა გენერალი შერემეტიევი, ციხისძირი კი რუსებს კვლავ აუღებელი დარჩათ. ბატონი ტიტე სიამაყით აღნიშნავს, რომ 31 აგვისტოს ოსმალთა უკანასკნელმა სამხედრო ხომალდმა დატოვა ბათუმი და აჭარა დედა-სამშობლომ გულში ჩაიკრა (აფხაზავა ტ., მწვანე ოქროს საწმისი, გამოუქვეყნებელი მასალები).

როგორც ცნობილია, ამის შემდეგ ბათუმის ოლქის მაჰმადიანი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მუჰაჯირებად იქცა. ხალხის ხსოვნაში შემორჩენილი მოგონებების მიხედვით ოსმალებმა ამ რეგიონიდან 30000 მაჰმადიანი ქართველის გასახლება მოახერხეს. ქობულეთის მხარეში მუჰაჯირობის წინააღმდეგ აქტიურად მოქმედებდნენ გულო-ალა კაიკაციშვილი, დედე ალა ნიჟარაძე და სხვები, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს ადგილობრივი მოსახლეობის მშობლიურ მიწაზე დამაგრების საქმეში.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ჩვენს მიერ კონფერენციაზე წარმოდგენილი თქმულება-გადმოცემანი, მართლაც შესანიშნავად ასახავს ქობულეთის მკვიდრი მოსახლეობის, არა მარტო გარეგნულ, ერთი შეხედვით თვალშისაცემ განწყობილებათ, არამედ მათი ცხოვრების ჭეშმარიტად რეალურ მისწრაფებათ და მის მარადიულად მაცოცხლებელ, ნამდვილ ქართულ შინაარსს.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

უ. ოქროპირიძე, 2017 წლის 17-22 ივლისს ქობულეთის მუნიციპალიტეტში ჩატარებული ექსპედიციის მასალები.

ინფორმატორთა სია:

1. ანზორ ქათამაძე, 79 წლის, ქობულეთი, სოფ. ზენიტი;
2. ნური ქათამაძე, 81 წლის, ქობულეთი, სოფ. ზენიტი;
3. ჯევდეთ ქათამაძე, 87 წლის, ქობულეთი, სოფ. ზენიტი;
4. ასლან ქათამაძე, 41 წლის, ქობულეთი, სოფ. ზენიტი;
5. ეთერ ხაბაზი-ქათამაძისა, 77 წლის, ქობულეთი, სოფ. ზენიტი;
6. რეზო ტაკიძე, ქობულეთის მუზეუმის დირექტორი, 42 წლის, ქ. ქობულეთი;
7. ალექსანდრე თურმანიძე, 67 წლის, ქობულეთი, სოფ. ციხისძირი;
8. სერგო ართმელაძე, 73 წლის, ქობულეთი. სოფ. ლელვა (მოგონებანი: სოფელი ლელვა, წარსული და თანამედროვეობა – ხელნაწერი, 21 გვერდი)
9. ტიტე აფხაზავა, დაბ. 1909 წელს, ქობულეთი, (მწვანე ოქროს საწმისი, ხელნაწერი წიგნი, გამოუქვეყნებელი მასალები);

Ucha Okropiridze (Batumi, Georgia)

Fight for Batumi and its Reflection in Kobuleti Sayings

Summary

The work shows the Kobuleti inhabitants sayings during fight for Batumi, which described this fact, which mainly reflected the population's attitudes.

There is made a conclusion that the presented narrator is a reflection of the indigenous population of Kobuleti, not only the seemingly impressive mood, but the true real aspiration of their lives and its eternal lively, true Georgian content.

ბათუმის ოლქი საქართველოს საეგზარქოსოს მისიონერულ პოლიტიკაში (XIX-XX ს-ის დსსაწყისი)

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის თვითმოწესების გაუქმების (1811 წ.) შემდეგ, რუსეთის საეკლესიო უჯრედს - საქართველოს საეგზარქოსოს, რუსეთის იმპერიულ სისტემაში საეკლესიო, პოლიტიკური და ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტა დაევა. აღნიშნულ ამოცანათა გადაჭრას უნდა დაესრულებინა საქართველოს სრული დაქვემდებარება რუსეთის იმპერიაზე.

ქართული ისტორიული ტრადიციებისაგან განსხვავებული, ახალი საეკლესიო ორგანიზაცია საეგზარქოსოს სახით, სხვა რუსული ორგანიზაციების გვერდით, ქართველი ერის ასიმილაციას, მის გადაგვარებას, თვითმპყრობელურ-კოლონიური და რუსული სარწმუნოებრივი პოლიტიკის დამკვიდრება-განმტკიცებას ემსახურებოდა.

საქართველოს საეგზარქოსოს პოლიტიკურ-რელიგიურ ამოცანაში მოიაზრებოდა საქართველოს მოსახლეობაში რუსეთის პოლიტიკური ინტერესების ჩანერგვა, რაშიც წამყვანი როლი საქართველოს ეკლესიის მონარქისტულ კათედრად გადაქცევას უნდა შეესრულებინა. ამ ერთობ თავისებური საეკლესიო კათედრიდან სამღვდელოებას თვითმპყრობელობის სასარგებლო პროპაგანდის გაწევა დაეკისრა. ყოველივე ზემოაღნიშნულის მიზანი კი საქართველოს რუსეთის იმპერიაში იდეურ-პოლიტიკური შერწყმა იყო.

რელიგიური ამოცანის გადაწყვეტაში მოიაზრებოდა რუსული ეკლესიის დამკვიდრება საქართველოში, კერძოდ, რუსული საეკლესიო ტრადიციების დადგინება და ქართველი ერის გარუსება. ამ უკანასკნელს მიამაგრა რუსეთის ხელისუფლებამ კოლონიზატორული პოლიტიკა კავკასიაში და წამყვან ფიგურად რუსული მართლმადიდებლური ეკლესია წარმოაჩინა.

რაც შეეხება საეგზარქოსოს ეკონომიკურ ამოცანას, მდგომარეობდა საეკლესიო რეფორმების გატარებაში, საქართველოს ეკლესიისათვის ეკონომიკური ბერკეტის გამოცვლაში, მის ეკონომიკურად დამაბუნებაში და საბოლოოდ, საქართველოს ეკლესიის რუსეთის ეკლესიის ეპარქიად გადაქცევაში [პავლიაშვილი, 1995: 3-5; ხუციშვილი, 1987: 33-34].

საქართველოს იმპერიაში შერწყმას, რუსეთის ხელისუფლება სხვადასხვა გზით ცდილობდა, რომელთა შორის უმთავრესი ქვეყნის კოლონიზაცია იყო; კოლონიზაცია ძირითადად მიმდინარეობდა უცხო ერების, განსაკუთრებით, რუსი ერის წარმომადგენელთა ჩასახლებით იმპერიის განაპირა მხარეებში, სასაზღვრო ზონებში *[გუგუშვილი, 1958:355-747; ხუციშვილი, 1987:32]*. აღნიშნული პროცესი XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან დაიწყო და 90-იანი წლები-სათვის განსაკუთრებულად აქტიური ხასიათი შეიძინა; თავდაპირველად, სამხედრო დასახლებების სახით, რომელთა მისია ადგილობრივი მოსახლეობის გარუსებაში მდგომარეობდა; მოგვიანებით, ხელისუფლებამ ე.წ. “სამხრეთ ციმბირში”, საქართველოს სასაზღვრო რეგიონებში მასიურად ჩაასახლა რუსი სექტანტები: მემკვლესტილენნი, დუხოზორები, მოლაკნები, სუბოტნიკები, ხლისტები და სხვ. ისინი რუს მართლმადიდებელ მოსახლეობაზე ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენდნენ, ხოლო საქართველოს მოსახლეობას კი არუსებდნენ და იმპერიის სამსახურში აყენებდნენ *[სინ, 1970:123]*. მოგვიანებით, გამოვლინდა, რომ რუსულმა სექტანტურმა ახალშენებმა ვერ მოახერხეს ქართველი ერის გარუსება, სამაგიეროდ, გადააგვარეს საქართველოში რუსი მართლმადიდებელი კოლონისტები. ამ ფაქტით შემოფოთებულმა ხელისუფლებამ სასაზღვრო რეგიონებში დაიწყო რუსი მართლმადიდებლების ჩასახლება. 1899 წლის 15 აპრილს მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით *[სსცსა, ფ. 488, ს. 751, ფურც. 5]*, საქართველოში მომძლავრდა რუსული ახალშენები. მათი სულიერი მდგომარეობის წარმართვა საქართველოს საეგზარქოსოს დაევალა; 1907 წლის საეგზარქოსოს მიერ უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორთან გაგზავნილი ანგარიში იუწყებოდა: „ქართველი სამღვდელოება უცხოა რუსი ახალმოსახლეთათვის ეროვნული და რელიგიური თვალსაზრისით. რუსები არ ენდობიან ქართველებს, ხოლო ეს უკანასკნელნი კი რუსებს არ თანაუგრძნობენ...“ *[Кавказ, 1910:3]*. საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა რუსი კოლონისტების სულიერი მოთხოვნების დაკმაყოფილების გზას რუსული ეკლესიების ამოქმედებაში ხედავდა, რაც ერთდროულად ორ საქმეს მოემსახურებოდა: 1. რუსი კოლონისტების დაცვას სექტანტი კოლონისტებისაგან, 2. ადგილობრივი მოსახლეობის სარწმუნოებრივ გადაგვარებას, ანუ ეროვნული რელიგიისათვის ნიადაგის გამოცლას. ზემოაღნიშნულის განსახორციელებლად, კოლონისტებით დასახლებულ სასაზღვრო რეგიონებში დაიწყო რუსული ეკლესიების მშენებლობა და ქართული ეკლესიების რუსულ ყაიდაზე გადაკეთება *[Заквказская Реч, 1913:3]*. კავკასიის ხელისუფლების ნებართვით, საქართველოს ეგზარქოსმა იმპერიის სამხედრო-საზღვაო სამღვდელოების პრესვიტერის

თხოვნით 1906 წელს ბათუმის საკათედრო ტაძარი სამხედრო უწყებას გადასცა *[სსცსა, ფ. 488, ს. 245, ფურც. 1-11]*. აქვე, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ აჭარისა და აფხაზეთის სასაზღვრო რეგიონებით იმპერიის ხელისუფლების განსაკუთრებული დაინტერესება გამოწვეული იყო თურქეთის იმპერიასთან რუსეთის სახელმწიფოს დამოკიდებულებით, რაც მათ შორის რიგი ომების მიზეზი ხდებოდა, და ისინი საზღვრების გადანაწილების ამბიციით იყო გამოწვეული. აღნიშნულის დასტურია ის ფაქტი, რომ 1878 წელს, თურქეთთან ომის დასრულებისთანავე, რუსული ჯარის გამარჯვების აღსანიშნავად, ბათუმში აშენდა ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესია, რომლის აგების ინიციატორიც იყო ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი სმეკალოვი. ნიშანდობლივია, რომ ტაძარი აშენდა მოსახლეობიდან ამოღებული თანხებით. რუსეთის ხელისუფლებამ ამ ეკლესიას უწოდა „კავკასიის დამშვიდების ძეგლი“, რომელიც უნდა მომსახურებოდა ბათუმის ოლქის არარუსი ხალხების გარუსების საქმეს *[სსცსა, ფ. 488, ს. 245-80, ფურც. 3]*. სწორედ აღნიშნული ტაძარი გადასცა სამხედრო უწყებას 1906 წელს უწმინდესმა სინოდმა.

საქართველოს სრულიად ქართველი სამღვდელოება და საზოგადოებრიობა ზემოაღნიშნულ ფაქტს მწვავე რეაქციით შეხვდა. ბათუმის საქალაქო სამმართველომ 1906 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებით დაგმო სინოდის ეს ღონისძიება და უსამართლო აქტად გამოაცხადა. ბათუმის საზოგადოებამ დახმარებისათვის გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსს - გიორგის მიმართა. ეპისკოპოსი მაქსიმალურად შეეცადა ეგზარქოსი ნიკონი დაერწმუნებინა, რომ ბათუმის ტაძარს დადებითი წვლილის შეტანა შეეძლო აჭარის რეგიონის სამისიონერო საქმიანობაში, სამხედრო სამღვდელოების კომპეტენციაში კი სამისიონერო საქმიანობა არ შედიოდა; შესაბამისად, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ბათუმის საკათედრო ტაძრის სამხედრო ეკლესიად გადაკეთებას არამართებულად მიიჩნევდა. ეპისკოპოსის დიდი მცდელობის მიუხედავად, რუსეთის ხელისუფლებამ უარი განაცხადა ბათუმის საკათედრო ტაძრის სამოქალაქო უწყებაში დარჩენაზე.

საქართველოს საეგზარქოსომ ბათუმის ყოფილ საკათედრო ტაძარს რამდენიმე კვალიფიკაცია მიანიჭა: 1. აჭარის რუსული გარნიზონის მეომართა სულიერი მოთხოვნების უზრუნველყოფა, 2. აჭარის რუსი კოლონისტების სექტანტების ზეწოლისაგან დაცვა და ზოგადად რეგიონში სექტანტობის აღმოფხვრა, 3. ადგილობრივი მოსახლეობის გარუსება, 4. ზოგადად რეგიონში მისიონერული მოღვაწეობის პროპაგანდა. მალევე, აღნიშნულ ტაძარში აიკრძალა ქართულ ენაზე ღვთისმსახურებაც. ამრიგად, რუსეთის ეკლესიამ დაარღ-

ია საეკლესიო კანონიკა და სამხედრო სამღვდელოებას მისიონერული საქმიანობა შეუთავსა *[სსცსა, ფ. 488, ს. 24580, ფურც. 3-4]*. ამ დროიდან, აჭარაში მასიური ხასიათი შეიძინა რუსული ქვის ეკლესიების მშენებლობამ და რუსი სამღვდელოების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ხელისუფლების მხრიდან ზრუნვამ *[ხუციშვილი, 1987: 65]*.

ზოგადად კავკასიაში, კონკრეტულად კი საქართველოს სასაზღვრო რეგიონებში რუსული პოლიტიკურ-რელიგიური კურსის განხორციელებას ორი სასულიერო მისია ემსახურებოდა: 1. „ოსეთის სასულიერო კომისია“ და 2. „კავკასიაში მართლმადიდებელი სარწმუნოების აღმდგენელი საზოგადოება“. ორივე მისიას საქართველოს სულიერი დაპყრობის ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული და ამ ხაზით ერთობ აქტიურადაც იღვწოდნენ.

სასულიერო მისიების მოქმედების არეალი მოიცავდა საქართველოს მთიან მასივებსა და სასაზღვრო ზოლებს: აფხაზეთს, აჭარას, სვანეთს, თუშეთს-ხევსურეთს, საინგილოს მაჰმადიან მოსახლეობას. სამისიონერო მუშაობაში ჩართული იყო მხოლოდ რუსი ეთნოსის სამღვდელოება. საქართველოს ეგზარქოსმა სამისიონერო საქმიანობის განმტკიცება იმით დაიწყო, რომ აჭარიდან განდევნა ქართველი სამღვდელოება, რომლებიც მისი ღრმა რწმენით, თავიანთი მისიონერული ღვაწლით ადგილობრივ მოსახლეობაში ქართული კულტურისა და ეროვნული სულიერების აღორძინებას ემსახურებოდნენ. ქართველი მისიონერების ადგილზე განამწესეს ბერძენი და რუსი სასულიერო პირები. ნიშანდობლივია, რომ აჭარაში ბერძნულ-რუსული სამრევლოები არ ფუნქციონირებდა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ აჭარაში მღვდლების კურთხევა და მისიონერთა განწესება იმერეთის ეპისკოპოსთა იურისდიქციაში შედიოდა. საქართველოს ეგზარქოსმა, აღნიშნული ფუნქცია იმერეთის ეპისკოპოსს ჩამოართვა და თავად შეითავსა *[ხუციშვილი, 1987:66-67]*.

რუსეთის ხელისუფლების სასაზღვრო რეგიონებისადმი განსაკუთრებული ინტერესი გამოვლინდა აჭარის ოლქის მაგალითზე ახალი საეკლესიო რეფორმით. ახალ საეკლესიო რეფორმაში მოიაზრებოდა საეგზარქოსოს რეორგანიზაციის პროექტი, რომელიც აჭარის ოლქის საქართველოსაგან ჩამოშორებას ითვალისწინებდა. პროექტის განხილვა მიმდინარეობდა უწმინდესი სინოდის სხდომებზე 1906 წელს, სადაც საგანგებო კომისიის გადაწყვეტილებით, გურია-სამეგრელოს ეპარქიისაგან უნდა გამოყოფილიყო აჭარა ქალაქ ბათუმით და შერწყმოდა სოხუმის ეპარქიას *[საქართველოს ..., 1907: 152]*. ახალი რეფორმა მოასწავებდა საქართველოს საეგზარქოსოს გაუქმებას და

ქართულ ეპარქიებს რუსეთის სასულიერო უწყებას უქვემდებარებდა, რაც საქართველოს ეკლესიის საბოლოო ლიკვიდაციის საწინდარი იქნებოდა.

პირველი ბურჟუაზიული რევოლუციის (1905-1907) შემდეგ, ხელისუფლებისა და ეკლესიის ყურადღების ცენტრში მოექცა საეგზარქოსოს სასაზღვრო რეგიონებში სამისიონერო საქმიანობის გაფართოების საკითხი, სადაც გამაგრებული იყო რუსული სამხედრო გარნიზონები და, სადაც სამხედროთა შორის ფართოდ იყო გავრცელებული სექტანტური მიდრეკილებები. უწმინდესი სინოდის 1910 წლის 18 სექტემბრის დადგენილებით *[სსცსა, გვ. 488, ს. 52986, ფურც. 7]*, საეგზარქოსოს ხელისუფლებას დაევალა სექტანტობის წინააღმდეგ აქტიური ღონისძიებების გატარება. 1910 წელს თბილისში ეგზარქოსის მიერ მოწვეულ სამღვდელთა თათბირზე გადაწყდა, რომ საქართველოს ყველა ეპარქია გაერთიანებულიყო და ჩართულიყო სექტანტობის საწინააღმდეგო საეგზარქოსოს მუშაობაში და სამისიონერო საბჭოს განრიგითა და მითითებებით ემოქმედათ *[Кавказ, 1910:3-4]*.

XIX საუკუნის დასაწყისში გააქტიურებული სექტანტური მოძრაობა წალეკვით ემუქრებოდა გურია-აჭარის რეგიონს, სადაც მაჰმადიანობის აქტიური პროპაგანდა კიდევ უფრო ართულებდა რეგიონის სულიერ-კულტურულ ცხოვრებას *[სსცსა, გვ. 488, ს. 52087, ფურც. 9-10]*. ბათუმის ადგილობრივმა სასულიერო ხელისუფლებამ სექტანტობის საწინააღმდეგო რიგი ღონისძიებების გატარება დაიწყო. 1908 წელს ბათუმის ოლქის სამრევლოებში შეიქმნა ანტისექტანტური წრეები და ორგანიზაციები. ისინი მრევლის დაფინანსებით მოქმედებდნენ, მაგრამ იმის გამო, რომ მრევლი უკიდურესმატერიალურ სიდუხჭირეს განიცდიდა და ორგანიზაციებს ვერ აფინანსებდა, ამიტომ მათი მოღვაწეობა ხანმოკლე აღმოჩნდა. გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა 1910 წლის 9 ოქტომბერს თხოვნით მიმართა უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორს დახმარება აღმოეჩინა მისიონერულ საქმიანობაში, კერძოდ, საჭირო ბროშურების გამოცემაში, ბიბლიოთეკა-სამკითხველოების და სამისიონერო სკოლების გახსნაში, მაგლობელთა გუნდის ჩამოყალიბება-დაფინანსებაში და სხვ. ეპისკოპოსი ასევე ითხოვდა სამრევლოებში უმაღლესი სასულიერო განათლების მქონე კადრის გამოგზავნას, რომელთაც ადგილობრივი მოსახლეობის ენა ეცოდინებოდათ *[სსცსა, გვ. 488, ს. 52986, ფურც. 7-8]*. ამ შემთხვევაშიც, საეგზარქოსოს ხელისუფლებამ და უწმინდესმა სინოდმა ქართველი ეპისკოპოსის რჩევა და თხოვნა არ გაითვალისწინა, რასაც შედეგად მოჰყვა თურქი სასულიერო აგენტურის გააქტიურება აჭარაში.

საეგზარქოსოს ხელისუფლება სისტემატიურად ზრუნავდა აჭარაში განწყობილი რუსი მისიონერების მატერიალური უზრუნველყოფისათვის. 1859 წელს ქუთაისის გუბერნატორი კავკასიის მეფისნაცვალს ატყობინებდა, რომ აჭარა-გურიის მისიონერებისა და სამღვდელოებისათვის ხელფასები სახელმწიფო ხაზინიდან დაენიშნათ, რათა სასულიერო დასი მრევლზე არ ყოფილიყო ფინანსურად დამოკიდებული, რაც გაზრდიდა მათ ავტორიტეტს ადგილობრივ მოსახლეობაში.

ამრიგად, საქართველოს საეგზარქოსოს მისიონერული მოღვაწეობა რუსეთის იმპერიული პოლიტიკის ქვაკუთხედი იყო ზოგადად კავკასიაში, საქართველოს სასაზღვრო რეგიონებში და კონკრეტულად აჭარაში. შავიზღვისპირეთის ზოლი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში სასიცოცხლო მნიშვნელობის იყო; თურქეთის სახელმწიფოსთან კონფლიქტში აჭარას რუსეთისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა; იგივე დატვირთვის მატარებელი იყო აჭარა თურქეთის სახელმწიფოსათვის. აქედან იყო გამომდინარე ორივე იმპერიის განსაკუთრებული რელიგიური პოლიტიკა აჭარის მიმართ; თუ თურქეთი ბათუმის ოლქში სასულიერო აგენტების გამოგზავნიდა და ისლამის პროპაგანდით იყო რეგიონში დაკავებული, რუსეთის ხელისუფლებას მისიონერული პოლიტიკის კურსი ჰქონდა შემუშავებული მთლიანად საქართველოსათვის. აჭარის რეგიონისადმი რუსეთის განსაკუთრებული ინტერესი იმითაც აიხსნება, რომ იქაური ჭრელი ეთნოსისა და აღმსარებლობის მოსახლეობა ისლამური იდეოლოგიის წნეხს განიცდიდა, რაც რუსეთის იმპერიის შიდა პოლიტიკას სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

გუგუშვილი, 1958: – გუგუშვილი პ., საქართველოსა და კავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს., I, თბილისი.

პავლიაშვილი, 1995: – პავლიაშვილი ქ., საქართველოს საეგზარქოსო 1900-1917 წწ., თბილისი.

პავლიაშვილი, 2008: – პავლიაშვილი ქ., საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია (1800-1945), ნაწ. I., თბილისი.

საქართველოს ..., 1907: – საქართველოს ეკლესიის აკლეზია, თბილისი.

სინ, 1970: – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, V, თბილისი.

სსსს, ფ. 488, ს. 245 – საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 488, საქმე №245.

სსცსა, ფ. 488, ს. 751 – საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 488, საქმე №751.

სსცსა, ფ. 488, ს. 24580 – საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 488, საქმე №24580.

სსცსა, ფ. 488, ს. 52986 – საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 488, საქმე №52986.

სსცსა, ფ. 488, ს. 52987 – საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 488, საქმე №52987.

ხუციშვილი, 1987: – ხუციშვილი მ., საქართველოს ეკლესიის სოციალ-პოლიტიკური პოზიცია XIX-XX სს., თბილისი.

Закавказская Реч, 1913: – Газ. „Закавказская Реч“, 1913, №55.

Кавказ, 1910: – Газ. „Кавказ“, 1910, №65.

Ketevan Pavliashvili (Tbilisi, Georgia)

**Batumi Region in the Missionary Politic of Georgian Ekzarkhat
(XIX-XX-th Cencury of I Part)**

Summary

The Georgian Ekzarkhat Missionary activity was one of the main politic in general Caucasus, Georgian border regions and concretely in Adjara. For Russian foreign policy the Black Sea streak was the meaning factor. Adjara was very interesting part of Georgia for the both Impares: for Turkish and Russian countries. Turkish government sent to Batumi and it's region Islamic agents for Islamizaition of Batumi; Russian government had worked out missiomary politic course for Batumi region and all the borger parts of Georgia.

ივანე გომართელი და აჭარის საკითხი

ივანე გომართელი (1875-1938), „მესამედასელთაგან“ ერთ-ერთი პირველი იყო, რომელიც ჯერ კიდევ ცარიზმის ბატონობის წლებში, საქართველოს ავტონომიის საკითხს აყენებდა. ამ თვალსაზრისზე დარჩა იგი თვითმპყრობელობის დამხობის შემდგომაც...

1917 წლის ნოემბრის დასაწყისში, როცა ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილი, პირველი ეროვნული ყრილობის მოწვევისათვის ემზადებოდა, ივ. გომართელი თავის მოსაზრებას ავტონომიასთან დაკავშირებით ასე აყალიბებდა: „რუსეთში მყარდება დემოკრატიული რესპუბლიკა, ე. ი. ისეთი ცხოვრება, სადაც მართვა-გამგეობა მთელი ხალხის ხელში იქნება... საჭიროა, რომ ჩვენს ქვეყანაში ჩვენ სრულებით თავისუფალი ვიყოთ. ქართველს ერს უნდა ჰქონდეს საკუთარი პარლამენტი თავის შინაურ ცხოვრების მოსაწყობად... ქართველი ერი უნდა იყოს რუსეთის მფარველობის ქვეშ, რუსეთთან შეერთებული, რუსეთისაგან განუყოფელი, მაგრამ საკუთარ საქმეებში ქართველი ერი უნდა იყოს სრულებით დამოუკიდებელი (ხაზგასმა ივ. გომართელისა – გ. ს.) [9].

ასეთი იყო პოზიცია არა მარტო ივ. გომართელისა, არამედ საქართველოს სოც.-დემოკრატიული პარტიის იმ ჯგუფისა, რომლებიც მენშევიკების პროგრამას არ იზიარებდნენ. ეროვნულ საკითხში („კულტურულ ავტონომიას“) და „დამოუკიდებელ ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიას“ მოითხოვდნენ, რაც გაცხადებული იყო მათ მიერ გამოქვეყნებულ „თეზისებში ეროვნულ საკითხზე“ [10]. გაზეთ „ალიონის“ ირგვლივ შემოკრებილ ამ ჯგუფში შედიოდნენ: ალ. აბაშელი, ვარ. ბურჯანაძე („ობჩელი“), დავით ჩხეიძე („თურდოსპირელი“), დავით სულიაშვილი („ლიხელი“), ვარლამ რუხაძე, ნ. საქარელი, გალ. ტაბიძე, ლეო ქიაჩელი (შენგელია), პეტრე ქავთარაძე, ნ. ქარცივაძე, გიორგი ქუჩიშვილი (ჩხეიძე), შალვა შარაშიძე (თაგუნა), ქრისტინე შარაშიძე, ნოე ჩხიკვაძე, ს. ჭანტურიშვილი, პავლე ინგოროყვა, აპ. წულაძე, ვარ. მალაქიაშვილი და სხვები. გაზეთის რედაქტორი იყო პავლე საყვარელიძე, გამომცემელი კი ლ. სანიძე.

„ალიონისტა“ ამ შემადგენლობაში გამორჩეული ადგილი ეკავა ივ. გომართელს, რომელსაც ეს გამორჩეულობა, სავსებით დამსახურებულად ჰქონდა მოპოვებული, როგორც მკურნალს, კალმის კაცს, საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეს.

ივ. გომართელი ზემო იმერელი აზნაურის, გედეონ გომართელის შვილი იყო. მას ბავშვობიდანვე ახლო ურთიერთობა ჰქონდა თავისი თანასოფელის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, გიორგი წერეთლის ოჯახთან და მის შვილებთან – ირაკლი (კაკი), ლევან და ელენე წერეთლებთან.

ივანემ 1894 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზია და მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. იგი სახელმწიფო სტიპენდიანტი იყო. 1899 წელს, სამშობლოში დაბრუნებულ ივ. გომართელს, სოფ. ბარალეთის საავადმყოფოს ექიმად ამწესებენ, შემდეგ თბილისში მიხეილის საავადმყოფოში გადმოჰყავთ, ცოტა ხნით სოფ. ჯიხაიშის მოსახლეობასაც ემსახურება... ამასობაში, სავალდებულო სამსახურის ვადაც ეწურება და მშობლიურ სოფელ გორისაში ბრუნდება... მალე იგი ქუთაისში მკვიდრდება და ქუთაისის გუბერნიის მოსახლეობის ჯანმრთელობის საქმეს ემსახურება.

ივ. გომართელმა თავისი მაღალი პროფესიონალიზმით და პაციენტებისადმი ყურადღებიანი დამოკიდებულებით იმთავითვე დიდი აღიარება და პოპულარობა მოიპოვა, რასაც ხელს უწყობდა მისი, როგორც მწერლისა და პუბლიცისტის თანამშრომლობა იმდროინდელ ქართულ პერიოდულ გამოცემებში... საზოგადოებაში მაღალმა ცნობადობამ და პოპულარობამ განაპირობა ის, რომ სოციალ-დემოკრატების (მენშევიკების) საარჩევნო სიით დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებული ივ. გომართელი, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს პირველი მოწვევის წევრი გახდა. საქართველოდან, ანუ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებიდან, ბათუმ-ართვინის ოლქიდან და სოხუმის ოკრუგიდან, არჩეულ რვა დეპუტატთა შორის (ნოე ჟორდანიას, ისიდორე რამიშვილი, სერგო ჯაფარიძე, სვიმონ წერეთელი, ოსიკო ბარათაშვილი, არტემ აივაზოვი და პროკოფი შერვაშიძე), ივანე გომართელი ყველაზე ახალგაზრდა იყო...

პირველმა სახელმწიფო სათათბირომ სულ 72 დღე იარსება, შემდეგ კი ნიკოლოზ II-ის ბრძანებით ძალით გარეკილ იქნა. პროტესტის გამომთქმელი დეპუტატების დიდი ნაწილი დააპატიმრეს. ივ. გომართელი დაპატიმრებას გადაურჩა და მხოლოდ 1907 წლის დასაწყისში დაბრუნდა თბილისში. ეწევა საექიმო პრაქტიკას და ლიტერატურულ მოღვაწეობას. თუმცა დაპატიმრებას

მაინც ვერ გადაურჩა და 1910 წელი, მეტეხის ციხეში გაატარებინეს. თვით-მპყრობელური ხელისუფლების დამხობის შემდეგ იგი ისევ აქტიურად განაგრძობდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობას: არჩეულ იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს, პარლამენტისა და დამფუძნებელი კრების წევრად... საბჭოთა რუსეთის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის შემდეგ, ემიგრაციაში არ წასულა, დარჩა სამშობლოში და განაგრძობდა სამედიცინო პრაქტიკასა და ლიტერატურულ-შემოქმედებით საქმიანობას. გარდაიცვალა 1938 წელს [4, 212].

* * *

როგორც აღვნიშნეთ, რუსეთის პირველმა სახელმწიფო სათათბირომ სულ 72 დღე იარსება. საქართველოდან არჩეულ დეპუტატთაგან ივ. გომართელმა რამდენჯერმე მოასწრო სათათბიროს წევრთა წინაშე გამოსვლა და თვით-მპყრობელური ხელისუფლების დანაშაულებრივი ქმედებების გამოაშკარავება.

„ბატონო დეპუტატებო, – მიმართავდა იგი სათათბიროს წევრებს თავის პირველსავე გამოსვლისას, – მიმოიხედეთ ირგვლივ. მდგომარეობა საშინელი, უნუგეშო და აუტანელია. ასე ცხოვრება შეუძლებელია. სუნთქვა სულ უფრო და უფრო ჭირს. მთავრობა ყველაფერზე მიდის, რათა განმათავისუფლებელი მოძრაობა ჩაახშოს... არავითარი სამართლიანობა არ არსებობს. კანონი პოლიციურია. მუშტი და მათრახი სინონიმებად იქცნენ. მართლმსაჯულება ეშაფოტით და სიკვდილით დასჯით არის შეცვლილი... [8]. „მთელი ქუთაისის გუბერნია მიწასთან გაასწორეს. ეს „ულამაზესი ბრილიანტი“ რუსეთის მეფის გვირგვინისა, როგორც მას უწოდებდნენ, დღეს აღარ არსებობს. ის მხოლოდ ნანგრევებია, დარბეული და გადაშვარი... ასეთი რამ საქართველოს შაჰ-აბას მეორის დროს გადახდა, მაგრამ იგი არაფერია იმასთან შედარებით, რომელიც საქართველომ ჩვენი მთავრობის მხრიდან განიცადა...“ (გულისხმობდა გენერალ ალიხანოვ-ავარსკის მიერ დას. საქართველოს დაბა-ქალაქების და სოფლების გადაწვა-გადაბუგვას... გ. ს.) და ა. შ. [9].

ივ. გომართელი არა მხოლოდ მშობელი ხალხის ჭირ-ვარამის გამზიარებლად და წარმომადგინებლად, არამედ რუსეთში უფლებართმეულ, კანონს-მიღმა დატოვებულ ებრაელი ხალხის ინტერესების დამცველადაც გვევლინება, როცა ქ. ბელოსტოკში მომხდარ არაადამიანურ დარბევაზე აფიქსირებს თავის პოზიციას: „17 ოქტომბრიდან დაწყებული ამ მთავრობამ რუსეთის მიწა რუსი მოქალაქეების გვამებით მოჰფინა... მთავრობამ შეურაცხყო მართლმსაჯულება, კანონი, ეკლესია, ქრისტეს ჭეშმარიტი სიტყვა... მას კიდევ სისხლი

და მსხვერპლი სჭირდება... ბელოსტოკის ებრაელთა დარბევაც ამის დასტურია...“. ჩვენ ხალხს უნდა დავუმტკიცოთ, რომ არა-მხოლოდ სიტყვების წარმოთქმა შეგვიძლია, არამედ ხალხის ინტერესების სადარაჯოზე დგომაც...” [2, 106].

ამ სულისკვეთებით იყო გამსჭვალული ივ. გომართელის სახელმწიფო სათათბიროში წარმოთქმული სხვა გამოსვლებით, რომლებშიც არა მარტო მისი პირადი, არამედ მთელი სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის პოზიცია იყო გადმოცემული.

* * *

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ რომანოვების სამეფო დინასტიის ნაცვლად, ქვეყნის სათავეში დროებითი მთავრობა მოვიდა. შექმნილმა ვითარებამ შესაძლებელი გახადა იმპერიის უღელქვეშ მყოფ ხალხებს თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაზე ეფიქრათ.

ივ. გომართელი, „ალიონისტების“ სახელით, სწორედ მიიჩნევდა, მენშევიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, აკ. ჩხენკელის იმ პოზიციას, რომელიც მან პეტერბურგში გამართულ დემოკრატიულ თათბირზე დააფიქსირა, საქართველოს თავისუფლებისა და მისი ეროვნულ-ტერიტორიული თვითმმართველობის აღიარების შესახებ.

ამ მიმართულებით უმნიშვნელოვანესი იყო, 1917 წლის 19-22 ნოემბერს. თბილისში მიმდინარე საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის მიერ განხილული და მიღებული დადგენილებები. მაგრამ ურთულესი იყო მათი ცხოვრებაში პრაქტიკული გატარება, ვინაიდან რუსეთის იმპერიული რეჟიმისაგან ჯერ კიდევ თავდაუდღეველი საქართველო, სახელმწიფოს სათავეში ძალადობრივი გზით მოსული, ბოლშევიკების გავლენის ქვეშ ექცეოდა. მიუხედავად ყოველივესი, დემოკრატიულ საწყისებზე მოწვეულმა საქართველოს ამ ეროვნულმა თავყრილობამ, „გამოავლინა ქართველი ხალხის ყველა კლასისა და ჯგუფების „საღმრთო“ ერთობა“ (ზ. ავალიშვილი), და ქართული სახელმწიფოებრივობის მშენებლობის გასაძლიერებლად ეროვნული საბჭო აირჩია. 60 წევრის შემადგენლობით. თავის მხრივ ეროვნულმა საბჭომ 15 წევრისაგან შემდგარი აღმასრულებელი კომიტეტი აირჩია ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით, ხოლო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეებად: აკაკი ჩხენკელი, გრიგოლ რცხილაძე და გრიგოლ ვეშაპელი (ვეშაპიძე, მდივნად), კი პავლე საყვარელიძე („ალიონელი“)...

ეროვნული საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით, ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად, საქართველოს ყველა რეგიონის მცხოვრებთათვის ყრილობის გადაწყვეტილებათა დროული გაცნობა და თავისუფალი საქართველოს მშენებლობისათვის ძალთა მობილიზება უნდა მომხდარიყო. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ივ. გომართელის ვრცელი ნარკვევი – „აჭარა და აჭარლები“, რომელიც 1917 წლის დეკემბერში გაზეთ „ალიონის“ რამდენიმე ნომერში იყო დაბეჭდილი და ამ პოლიტიკური ჯგუფის პოზიციას გამოხატავდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ივ. გომართელის მიერ დატოვებული ეს ნააზრევი, როგორც ღირებული ისტორიული წყარო, დღემდე სათანადოდ შესწავლილ-შეფასებული არ არის ჩვენი ქართულ საისტორიო მეცნიერებაში. არა-და მას, როგორც პირველწყაროს, დიდი მნიშვნელობა აქვს იმის ნათელსაყოფად, თუ რა ვითარება სუფევდა იმჟამად აჭარაში, საქართველოს ამ სპეციფიკურ რეგიონში.

„ქართველი ერის აზროვნების, ხელოვნების, ვაჭრობის და საერთოდ, კულტურის აკვანი პირველად კლარჯეთში დაირწა. კლარჯეთი აკლდამა არის ჩვენი ძველი დიდების ნაშთებისა; კლარჯეთი ისტორიაა ჩვენი წარსულისა, კლარჯეთი მოწმეა ჩვენი აყვავებისა და ჩვენი დაჰკნობისაც, ჩვენი ამაღლებისა და ჩვენი დაცემისაც, ჩვენი ძლიერებისა და ჩვენი დასუსტებისაც, ჩვენი აშენებისა და ჩვენი დამხობისაც.

ამიტომ მიმეჩქარებოდა აჭარისაკენ“ [14].

ამ სიტყვებით იწყებს ივანე გომართელი თავის ვრცელ ნარკვევს და იქვე მიუთითებს: „მე ისტორიკოსი არა ვარ, არც სიძველეთა მკვლევარი, მაგრამ მწამს რომ აჭარის ბუნება, აჭარის მთები, აჭარის წყალი ბევრ რასმეს მეტყვიან... მე მწყურია მათი ნათქვამის მოსმენა“ [14].

ავტორი იმასაც გვიმხელს, რომ მანამდე იგი აჭარაში არასდროს ყოფილა და არც მისი ულამაზესი მთები და წყალ-ჰალა არასდროს უნახავს... და იწყებს მისი მშვენიერი სანახების აღწერას კახაბრის ველიდან, ვიდრე ხულომდე!...

„... ბევრგან მინახავს ლამაზი ბუნება, ლამაზი მთები, მაგრამ სულ სხვაა აჭარის ბუნება და აჭარის მთები“, გვაუწყებს ნარკვევისტი და ნანახით აღფრთოვანებული, აგვიწერს ყოველი ხევის, მდინარის, ღელის, ჩანჩქერის, წყაროს, წყალ-ვარდნილის, კლდის თუ ტყის გამორჩეულ სილამაზეს; ადარებს მას საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს და დაასკვნის: სხვაგანაც დიდებული მთა-კლდენია, მაგრამ იქ მუდამ ცივა, იქ მუდამ ზამთარია.

აჭარის მთები მუდამ გულღიანი, მუდამ მომდიმარნი, მუდამ ახალგაზრდანი, მუდამ მხიარულნი, მუდამ საქორწილოდ გამზადებულნი, მუდამ სიყ-

ვარულის ფერხულში ჩაბმულნი არიან... ქალის სიკეკლუცე და ვაჟის სიჩაუქე აქ ერთად არიან შეერთებული. ნაზ, მხიარულ ბაღად ქცეული მთა – აი, აჭარა...”

შემდგომ ივ. გომართელი მთის კალთებზე გადმოფენილ აჭარის სოფლებსაც აღწერს და მკითხველს შეახსენებს, რომ აჭარა ორ ნაწილად იყოფა – ქვედა აჭარად და ზედა აჭარად; რომ ქვედა აჭარაში 72 სოფელი ითვლება, ხოლო ზედაში – 82. რომ ქვედა აჭარის დაბათ, ანუ ბაზარ ადგილად სოფ. ქედა ითვლება, ხოლო ზედა აჭარის ცენტრი – ხულოა. ხულოს მიახლოებისას მნახველის ყურადღებას იპყრობს მაღლობზე გადმომდგარი, ლამაზი, შუშაბანდიანი ოდა, ჯემალ-ბეგ ხიმშიაშვილის საზამთრო სახლი... გვარს თუ ვინმეს კითხვით გაიგებთ, რომ აქ არიან: ბეჟანიძე, შარვაშიძე, დიასამიძე, თურმანიძე, ბერიძე, მიქელაძე, თავდგირიძე, ნაკაშიძე, ნიჟარაძე, ბოლქვაძე, ხიმშიაშვილი, შალიკაშვილი, ჯაყელი...

„აქ საქართველოა, ქართველი ხალხი, ზნე, ჩვეულება, ენა, სიმღერა, ჩაცმადან ბურჯა... ქართული ენა წმინდათ არის დაცული...”

მაგრამ აი გამოჩნდნენ ქალები. ისინი სასწრაფოდ იბუდნიან პირისახეს; გზაზე გადადგებიან, მობრუნდებიან და ზურგს მოგაქცევენ, სანამ არ გამოვლინდებიან. მხოლოდ ახლა რწმუნდებით, რომ აქ მთლად ქართული ჩვეულება აღარ არის, რომ ჩვენს შორის რაღაც განსხვავებაა. ეს არის სარწმუნოება...” [14]. – აცხადებს ივ. გომართელი და თავისი ნარკვევის მომდევნო ნაწილში ყურადღებას სწორედ სარწმუნოების საკითხზე ამახვილებს. მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი გამოცდილი პოლიტიკოსის და მოღვაწის პოზიციიდან, ღირსეულად გადის ამ ბეწვის ხიდზე. ეყრდნობა-რა საქართველოს I ეროვნული ყრილობის გადაწყვეტილებებს, ყველა აჭარელის გასაგონად აცხადებს: „სინდისის, რწმენის, სარწმუნოების სრული თავისუფლება, – აი რას იცავს ქართველი დემოკრატია. აჭარის ხოჯებს, მოლებს, ბეგებს ცოტა არ იყოს, ემინიათ, ვაი თუ ჩვენს მოძმე ქრისტიან ქართველებს გულში რაიმე ფარული ზრახვა ჰქონდეთ ჩვენი სარწმუნოების წინააღმდეგო. ჩვენი ერობის მტერნიც ყურში ჩასჩურჩულებენ აჭარლებს, უფროხილდით ქართველებს, მაგათ თქვენი გაქრისტიანება უნდათო. აჭარლებმა კარგად უნდა იცოდნენ, რომ ქართველ დემოკრატიას არავისი გაქრისტიანება არ უნდა.

იყავით თავისუფალი, ევედრეთ ღმერთს, ისე, როგორც თქვენ გინდათ, აასრულეთ ის წესები, რომლებიც თქვენა გწამთ, – აი როგორი ქადაგებით შედის ქართული დემოკრატია ყველგან.

ჩვენი აჭარლებისა და, საერთოდ, მაჰმადიანი ქართველების რჯულის საუკეთესო დამცველად, ქართველი დემოკრატია იქნება. რატომ? იმიტომ, რომ ქართველი დემოკრატიის დროშა თავისუფლების დროშაა და არავის არ მისცემს ნებას, რომ ვინმემ ძალა მიიტანოს საქართველოში სხვა სარწმუნოებაზე“ [15], – აღნიშნავს ივ. გომართელი და განაგრძობს:

„სამწუხაროდ, აჭარაში სარწმუნოება ეროვნებისაგან კარგად ვერ გაურჩევიათ მდებრიო ხალხს კი არა, თვით ბეგებსაც კი. დარბაისელმა, თავაზიანმა და სტუმართმოყვარე ჯემალ-ბეგ ხიმშიაშვილმა თავისი ტკბილი ლაპარაკის დროს წარმოთქვა: როდესაც ჩვენი წინაპრები ქართველები იყვნენო. ჩვენ, დემოკრატებმა ვიცით, რომ სარწმუნოება სხვა არის, ეროვნება კი სულ სხვა. ქართველი მართლმადიდებელია ისე, როგორც რუსი, ბერძენი და სხვ. მიუხედავად ამისა, ქართველი ქართველია და არა ბერძენი, ან რუსი. სადაც დემოკრატია მძლავრია, იქ ეროვნებას და სარწმუნოებას ერთმანეთში არავინ აურევს. ხოლო საცა დემოკრატია სუსტია, იქ ხალხს სარწმუნოება და ეროვნება ერთი და იგივე ჰგონია“ [15].

როდესაც მაჰმადიანებში ევროპული კულტურა საკმაოდ ფეხს მოიკიდებს და დემოკრატია გაძლიერდება, აქაც იგივე მოხდება, რაც ქრისტიანობაში. იგივე უნდა ვთქვათ აჭარლებზედაც. აჭარლების წინაპრები ქართველები იყვნენ, მათი ჩამომავლობაც – დღევანდელი აჭარლები, რასაკვირველია, ქართველები არიან... ქართველი მაჰმადს იწამებს, ქრისტეს თუ მოსეს, – ეს მისი სინდისის საქმეა სრულებით. ის მაინც ქართველია ქართული სისხლით, ხორციით, ჩამომავლობით, ენით, სამშობლოთი, ისტორიით, – ეს მარტო იმან უნდა იცოდეს და მისმა სინდისმა“ [15].

ყველაზე რთული და საფრთხილო საკითხებზე პოზიციის ამგვარად ჩამოყალიბების შემდეგ, ივ. გომართელი სხვა საჭირობოროტო კითხვებზეც ამახვილებს ყურადღებას... მათ შორის, ერთ-ერთ უპირველესად – აჭარაში მიწის სივიწროვე, სიმცირე მიაჩნია... ამას ემატება ის, რომ აჭარელი ცოდნას მოკლებულია. მიეცით მას შესაფერისი სამეურნეო ცოდნა და ის შრომის მეტ უნარს, მეტ ენერგიას გამოიჩენს, უთუოდ ააყვავებს აჭარას. ავტორის აზრით, ყურადღებამისაქცევი იყო ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარებაც, რადგან ისტორიულად უცხო არ იყო აქაური მოსახლეობისათვის, რომ აჭარის წყლისა და ჭოროხის ნაპირებზე შემორჩენილი საყარაულო კოშკები, იმის დასტურია, რომ აქ სავაჭრო გზა გადიოდა.

ივ. გომართელი, განსაკუთრებულ მორიდებას და პატივისცემას ამჟღავნებს აჭარელი ქალის მიმართ, რომელსაც ისტორიულად უდიდესი დამსახუ-

რება მიუძღოდა ამ მხარეში ქართული ენისა და ეროვნული ცნობიერების შენარჩუნების საქმეში. „აჭარის ენა ქართულია... ქართული ენა კი ქალებშია მტკიცედ დაცული და თუ აჭარამ თავისი სამშობლო ენა შეინარჩუნა, ამას აჭარელ დედას უნდა ვუმადლოდეთ. ტკბილ რძესთან ერთად, ტკბილ ნაწინასთან ერთად, აჭარელს იგი ბავშვობიდანვე ათვისებდა სამშობლო ენას...“ ამიტომ საჭირო იყო აჭარელ ქალთა კარჩაკეტილობიდან გამოყვანა, რაშიც თავის წვლილის შეტანა შეეძლოთ ქართველ ქალებს, რომლებიც ზაფხულობით უნდა ამოსულიყვნენ აქაურ დებთან და ხელი შეეწყობთ მათი გათვინობიერებისათვის“ [16].

ივ. გომართელი, ეყრდნობოდა რა საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის გადაწყვეტილებებს, თავის ნარკვევში თეზისურად აყალიბებდა იმ საკითხებს, რომლებიც წინა პლანზე უნდა ყოფილიყვნენ წამოწეულნი. მათ შორის, საჭირო იყო იმის გათვალისწინება, რომ ეროვნული შეგნება უფრო ძლიერი ქრისტიან ქართველში სჭარბობდა, მაშინ როცა სარწმუნოებრივი ფანატიზმი მეტი იყო აჭარელში; რომ სარწმუნოებრივი შეგნება ფარავდა ეროვნულს, რაც ხელს უშლიდა ერის ერთი მიმართულებით სწრაფვას, ერთიანი პოლიტიკის შემუშავებას; რომ აჭარაში ყოვლად შეუძლებელი იყო სარწმუნოებაზე თავისუფლად მსჯელობა და სასულიერო პირებზე აუგის თქმა.

– აჭარელმა პარტიები არ იცის. აჭარელი ქართველში უპირველესად ჰხედავს ქართველს და არა პარტიულ ადამიანს.

– ყოველმა ქართველმა აჭარაში უნდა შეიტანოს ლოზუნგი: აჭარა ეკუთვნის აჭარლებს!

– აჭარა ნაწილია სამაჰმადიანო საქართველოსი. სამაჰმადიანო საქართველო შედის საერთოდ სრულიად საქართველოს საზღვრებში, მაგრამ მას საკუთარი თვითმმართველობა აქვს.

– აჭარლებს აკლია ცოდნა... პატარა აჭარლებს უნდა ვასწავლოთ წერა-კითხვა. აჭარელის დედა-ენა, რომელიც დაცულია როგორც ოჯახებში, ისე ოჯახს გარეთ, არის ქართული.

– „სამაჰმადიანო საქართველოში“ არის ისეთი კუთხეები, სადაც ქართველებს ქართული ენა უკვე დაუკარგავთ, დღეს იმათი ენა უკვე თურქულია.

– აჭარაში საჭიროა სახელოსნო და სამეურნეო სასწავლებლების გახსნა.

– აჭარაში უნდა დავაარსოთ საკმაო რიცხვი ბიბლიოთეკებისა და სამკითხველოების; აქ უნდა იყოს როგორც ქართული, ისე თურქული ჟურნალ-გაზეთები.

- ზაფხულობით უნდა მოვაწყოთ აქაურ მოსწავლეთა ექსკურსიები ქართლ-კახეთ-იმერეთში, პირადი შთაბეჭდილების შესაქმნელად.
- აჭარაში უნდა მოვაწყოთ კოოპერატიული დაწესებულებანი.
- აჭარაში უნდა დავაარსოთ საექიმო და საფერშლო პუნქტები.
- აჭარელი ბავშვების მასწავლებლები და აღმზრდელები ისევ აჭარლები უნდა იყვნენ.

- ბათუმში უნდა დაარსდეს სემინარია, რომელიც მოამზადებს სამასწავლებლო მოღვაწეობისათვის მაჰმადიან ქართველებს.

ამ საქმის განხორციელებას უკვე შეუდგა საქართველოს ეროვნული საბჭოს ბათუმში არსებული ქართველ მაჰმადიანთა კომიტეტი. ეს კომიტეტი წინ უნდა წაუძღვეს და წაუძღვება კიდეც, როგორც მთელს სამაჰმადიანოს საქართველოს, ისე აჭარას. ჩვენი ვალია ამ კომიტეტს დავეხმაროთ და ცოდნით, შრომით, ფულით, შევადლებინოთ, გავუადვილოთ თავისი მძიმე საქმის შესრულება“ [17].

ივ. გომართელის მიერ 100 წლის წინათ დაწერილი ეს ნარკვევი განსაკუთრებულ ისტორიულ ღირებულებას იძენს იმიტაც, რომ მასში ორ გამოჩენილ ქართველ მამულიშვილზე – ჯემალ-ბეგ ხიმშიაშვილსა და აკაკი ჩხენკელზეა საუბარი; დახატულია მათი პიროვნული პორტრეტი და გადმოცემულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის ეპიზოდები. ხაზგასმით აღსანიშნავია ისიც, რომ თუ აკაკი ჩხენკელის ნაღვაწ-ნამოქმედარზე გამოთქმული მოსაზრებები სხვებთანაც არაერთხელ წაგვიკითხავს, ჯემალ-ბეგ ხიმშიაშვილზე, მის თანამედროვეთაგან, მსგავსი შეფასებები არსად შეგვხვედრია, მითუმეტეს, მის სიცოცხლეშივე პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ივ. გომართელის ნარკვევში თქმული ყოველი სიტყვა ღირებულია, ღირსეული მამულიშვილის სახის წარმოსაჩენად, როცა ეს სიტყვები ავტორის მხრიდან ლიქნისა და თავდადრეკის გარეშეა თქმული. აშკარად იგრძნობა ისიც, რომ ყოველი ფრაზა პასუხისმგებლური გრძნობითაა გამსჭვალული არა მხოლოდ თავის თანამედროვე მკითხველების, არამედ მომავალი თაობების მიმართაც; ამასთან, ყოველი დროის მკითხველს შეუძლია ნათლად წარმოიდგინოს, თუ როდის და რა ვითარებაში ხდება მოქმედება...

მოვუსმინოთ ივ. გომართელის ნაუბარს:

„როდესაც ჯემალ-ბეგ ხიმშიაშვილი მოგვითხრობდა იქაურ ამბებს, ქვაც კი აცრემლდებოდა.

არ ინდობდნენ არც ქალს, არც მოხუცს, არც ბავშვსო. ორმოცსა და სამოც კაცს ერთად დააყენებდნენ და ხმლებით ჰკუწავდნენო.

– ართვინში ნათესავი მყავდაო, – გვიამბო ჯემალ-ბეგმა. მთელი ოჯახი ორმოცდაშვიდი სულისგან შესდგებოდა. ნაშუადამევს დაესხნენ თავს, მოუყარეს ყველას ერთად თავი და შემდეგ ხმლებით აჰკუწეს.

– სამოც კაცზე მეტი ერთად დაამწყვდიეს დიდ ბოსელში. ქართველ ჯარისკაცს შეებრალა, იცოდა რასაც უზამდნენ საწყლებს და შეეხვეწა გაეშვათ, ეგენი ხომ მაჰმადიანები არ არიანო. ის იყო გაშვებას უპირებდნენ, მაგრამ გამოჩნდა ერთი კაცი (სამწყუხაროდ, ექიმი, როგორც ჯემალ-ბეგი გვარწმუნებდა), რომელმაც დაუმტკიცა კაზაკებს, რომ ისინი მაჰმადიანები იყვნენ და საბრალონი იქვე აკუწეს ხმლებით.

– როდესაც ჩვენი წინაპრები ქართველები იყვნენ, მათ სხვადასხვა ძველებური ნივთები, ნაქსოვები და მარგალიტით ნაკერი ნიშნები ჰქონდათ. ეს იყო მთელი განძი, ფასდაუდებელი სიმდიდრე. ყოველივე ეს დაიტაცეს და წაიღეს. ხარი, ძროხა, ცხენი, ცხვარი – ყოველივეს მიერეკებოდნენ, არაფერი არ დაუტოვებიათ.

თვითონ ჯემალ-ბეგისთვის რამოდენიმე ასი სული საქონელი მოუტაცნიათ. თუმცა ჯემალ-ბეგი რუსეთის არმიის პოლკოვნიკია და იმ ხანებში ომში იღებდა მონაწილეობას.

– “საითაც ქალს მოასწრებდნენ გაუუპატიურებელს არა სტოვებდნენ. ეს კი ველარ მოვითმინეთ, ფიალა აივსო; ვხედავდით რომ აღარავინ აღარ გვზოგავდა, ვილუპებოდით და აღარც ჩვენ დავგიზოგია ვინმე ამის შემდეგ. მაშ რა უნდა გვექნა? რა უნდა გვექნა? გვეკითხებოდა ჯემალ-ბეგი” და გულისტკივილით სვამდა კითხვას:

– განა ამის დავიწყება შეიძლება?“ [16].

“ჯემალ-ბეგმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, – წერს ივ. გომარ-თელი, – ამაყი, გულკეთილი, რაინდი, გულჩვილი, შეუპოვარი და მშვიდი, თავმდაბალი – აი ჯემალ-ბეგი.

მასში ძველი ქართველისა და მაჰმადიანის ყველა ღირსება, ყველა კარგი მხარე ერთად არის თავმოყრილი და შეზავებული.

მას დიდი გავლენა აქვს მთელს ზემო აჭარაში, ხალხი მას მისდევს, ხალხი მას ენდობა. ხალხი იმას უჯერებს, ხალხი მას ეკითხება ყოველისფერში; ხალხს უმისოდ არც ჭირი უნდა, არც ღვინი.

ზემო აჭარაში ყველაფრის გაკეთება შეუძლია ჯემალ-ბეგს. უმისოდ აქ არაფერი არ გაკეთდება.

თუ ჯემალ-ბეგი თქვენსკენ არის, ხალხიც თქვენსკენ არის. თუ ჯემალ-ბეგი განზეა, ხალხიც განზე წავა.

ყველაფერ ამას ანგარიში უნდა გაეწიოს, ის რაც შეიძლება გურიასა და იმერეთში გაზეპირებული რამეების ქადაგება, აქ არ გაგივა.

ამით მთლად ერთიანად გააფუჭებ საქმეს.

ის რაც გურიასა და იმერეთში ითქმის, აჭარაში არ ითქმის“ [16].

ნარკვევიდან მკითხველი იმასაც გეზულობს, რომ აჭარაში ამ მოგზაურობის დროს, ივ. გომართელი „ამიერ-კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის“ („ОЗАКОМ“-ის) წევრთან და საქართველოს ახლადარჩეული ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე – აკაკი ჩხენკელთან ერთად ყოფილა. იმ აკაკისთან ერთად, რომელიც მანამდე რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში, ბათუმ-ყარსის ოლქისა და სოხუმის ოკრუგის მოსახლეობის დეპუტატად იყო არჩეული. მას არაერთი სასიკეთო საქმე ჰქონდა გაკეთებული თავისი აჭარელი ამომრჩევლებისათვის, განურჩევლად მათი ეროვნული თუ წოდებრივი კუთვნილებისა.

ივ. გომართელის თქმით, ისინი ხულოში ჯემალ-ბეგ ხიმშიაშვილთან მისულან სტუმრად. აკ. ჩხენკელს სულ რამდენიმე საათი ჰქონია დრო, რადგან თბილისში საჩქაროდ გამგზავრების მიზეზით, ბათუმში მატარებლისათვის უნდა ჩაესწროთ.

„სტუმართმოყვარე ჯემალ-ბეგმა გულწრფელად სთხოვა აკაკის მეორე დღემდე მოეცადა, მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ ეს შეუძლებელი იყო, გასცა განკარგულება და ნახევარ საათის განმავლობაში რამდენიმე ასმა ზემო აჭარელმა მოიყარა თავი მის ეზოშიო“, – აღნიშნავს ივ. გომართელი და ამ ფაქტს ასეთ კომენტარს უკეთებს:

„დავრწმუნდი, რომ აკაკი ჩხენკელსაც კი დიდი გავლენა აქვს აჭარაში, აჭარლებს აკაკი განსაკუთრებით უყვართ და მათგან ღირსიც არის ის ასეთის სიყვარულისა, მაგრამ ჯემალ-ბეგს რომ ეთქვა, არამცდა არამც არ მოხვიდეთო, ზემოაჭარლები არ შეხვდებოდნენ თავის საყვარელ აკაკი ჩხენკელს, – წერს იგი და განაგრძობს, – შეუძლებელია აჭარლებზე ილაპარაკო და აკ. ჩხენკელზე არა თქვა-რა.

სოფლის ყრილობაზე, სოფლის ხალხის წინაშე, მე აკაკი აქამდე არ მენახა, – მხოლოდ აჭარაში ვნახე.

როდესაც აკაკი ხალხს ელაპარაკება, თქვენს წინაშე სდგას ადამიანი, რომელსაც დემოკრატიული რწმენა ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი. ხალხთან მისი ენა არის სადა, მარტივი, უბრალო. ის გვერდს უვლის ყოველივეს, რაც ხალხისათვის დღესვე არ არის აუცილებელი... ის მიუდგომელია, გულწრფელი და უადრესად პატიოსანი.

გავლენიანი ბეგის აივნიდან ის ეუბნება შეუბნელ ხალხს, რომ თავისუფლებამ გლეხი და ბეგი გაასწორა, გაათანაბრა, მაგრამ ეუბნება ისე, რომ ბეგს არა სწყინს; ბეგი მას ეთანხმება. მსმენელი აკაკის სიტყვებში ბეგის დამცირებას კი ვერა ჰხედავს, არამედ ხალხის ამაღლებას, ხალხის შემოსვას სრული უფლებიანობით. აკაკის ყოველი სიტყვა მტკიცეა, შეურყეველი და ამ რწმენას უნერგავს ის ხალხს... აკაკი ჩხენკელი არ მალავს წყაროს ამ ძალისას. ის ეუბნება ხალხს: „ეს ძალა თქვენგანა მაქვს მე, თქვენს ამორჩეულსო. მაგრამ ამავე დროს მის ყოველ სიტყვაში გაიგონებთ, რომ იგი უკან არ დაიხევს, არავის არაფერს დაუთმობს... აქ არ არის მუქარა, ვერ გაიგონებთ მრისხანების კილოს; მისი ენა ტკბილია, მისი კილო მშვიდი, აუღელვებელი; მაგრამ ყოველივე ამასთან თქვენ გრძნობთ ძალას, თქვენ ჰხედავთ, რომ აკაკის უბრალოთ ლაპარაკი არ უყვარს, რომ მას ძალა შესწევს შეასრულოს ის, რასაც ამბობს... იგი არ ეძებს ხალხის ნდობას, პატივისცემას, ის საქმით არის გატაცებული. მისი სიტყვა ხალხში იწვევს უზომო ნდობას და პატივისცემას...“

ამ სიტყვების ყოველი წამკითხველი გრძნობს, რომ ისინი ახლო მცნობ ადამიანს ეკუთვნით და ეჭვშეუტანელად ღებულობს მის მიერვე დახატულ პორტრეტებს „დაუღალავ, დინჯ, აუჩქარებელ, მეტად წინდახედულ, ფრთხილ და თავაზიან პოლიტიკური მოღვაწისას და ეჭვიც არ გეპარებათ, რომ აჭარლებს უყვართ აკაკი ჩხენკელი და აკაკისაც უყვარან ისინი“ [17].

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ: ივ. გომართელის უპირველეს მიზანს წარმოადგენდა, საქართველოს ეროვნული ყრილობის დადგენილებებიდან გამომდინარე, ქართველი საზოგადოების დარწმუნება იმაში, რომ თავისუფალი და დამოუკიდებელი ქვეყნის აღდგენა მხოლოდ მაშინ გახდებოდა შესაძლებელი, თუ „ეროვნული შეგნების ძლიერი შუქით გაბრწყინებულ „სამაჰმადიანო საქართველოში“, საქართველოს ამ ისტორიულ მხარეში, მთელი ერის მედგარი კულტურული მუშაობა გაიშლებოდა“, და რომ ეს მუშაობა უნდა ეწარმოებინა არა რომელიმე პარტიას ან ჯგუფს, არამედ სამშობლოს მომავალ ბედზე მოფიქრალ ყოველ ქართველს.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

1. Государственная дума. Стенографические отчеты. 1906 год. Сессия первая. Том II– С.–Петербург, Гос-ная типография, 1906.
2. გელა (გიორგი) საითიძე. ქართული პოლიტიკური აზრი და რუსეთის სახელმწიფო სათათბირო (1905-1917 წწ.), თბ., თსუ-ს გამომც., 2005.
3. გელა საითიძე, აჭარის საკითხი რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში. ვალ. მაჭარაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული. თბ., 2001.
4. ქსე, ტ. 3, თბ., 1978, გვ. 212.
5. გ. ნადარეიშვილი. ივანე გომართელი, თბ., 1967.
6. ივანე გომართელი. რჩეული თხზულებანი (შემდგენელი ვ. წოწელია). ტ. 1-2, თბ., 1966.
7. გაზ. „ალიონი“, №15, 1917 წლის 14 მაისი.
8. გაზ. „ალიონი“, №44, 1917 წლის 28 სექტემბერი.
9. გაზ. „ალიონი“ №45, 1917 წლის 29 სექტემბერი.
10. გაზ. „ალიონი“, №56, 1917 წლის 9 ნოემბერი.
11. გაზ. „ალიონი“, №57, 1917 წლის 12 ნოემბერი.
12. გაზ. „ალიონი“, №59, 1917 წლის 19 ნოემბერი.
13. გაზ. „ალიონი“, №60, 1917 წლის 23 ნოემბერი.
14. გაზ. „ალიონი“, №64, 1917 წლის 14 დეკემბერი.
15. გაზ. „ალიონი“, №65, 1917 წლის 17 დეკემბერი.
16. გაზ. „ალიონი“, №67, 1917 წლის 24 დეკემბერი.
17. გაზ. „ალიონი“, №68, 1917 წლის 31 დეკემბერი.
18. შალვა მაღლაკელიძე. მოგონებები. მასალები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ვიქტორ რცხილაძემ. გამომც. „პეგასი“, თბ., 2012.

Gela Saitidze (Tbilisi, Georgia)

Ivane Gomarteli and Issue of Adjara

Summary

Ivane Gomarteli (1875-1938) – a famous doctor, writer, publicist, political and public figure, was a member of the Georgian Social-Political Group “Third Dasi” from the very first days of its foundation and then he firmly defended the positions of the Menshevik Party. As a physician he was very popular among the population. He was elected as a deputy of the first summoning of the Russian State Duma. The

society of those times remembered him for his criticism of colonial policy of the Tsarist regime towards Georgia. He was arrested and was detained in Metekhi prison for a year.

After the overthrow of the Imperial Government, he continued to actively fight for free and independent Georgia. He was elected as a delegate of the I National Congress of Georgia; was elected by the Congress as a member of the National Council, as a Member of Parliament and Constitutive Meeting. He was included in the group “Alionists“.

In December 1917, Ivane Gomarteli published an extensive essay in the newspaper “Alioni“ – “Adjara and Adjarians“, in which he expressed noteworthy remarks on “Muslim Georgia” in general and, in particular, the ways of further development of Adjara – the historical region of Georgia and its integration into united Georgia; he considered the necessity of cautious and loyal attitude especially to the religious issue.

საფრანგეთის პრესა ბათუმის საკითხის შესახებ (1919-1920 წ.წ.)

საფრანგეთის ნახევრად ოფიციალური გაზეთი „Le Temps“ („დრო“) ბათუმის საკითხით აქტიურად ინტერესდებოდა. იგი ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვან ყოველდღიურ გაზეთად ითვლებოდა და 1861 წლის 25 აპრილიდან 1942 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით, პარიზში, გამოიცემოდა [*Christophe, 2004:167*]. „Le Temps“ იმთავითვე საფრანგეთის რესპუბლიკის ყველაზე მნიშვნელოვანი გაზეთი გახდა და საფრანგეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ წრეებში დიდი ინტერესით სარგებლობდა [*Bélanger, Godechot, 1972:352-353*].

აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად კავკასიის რეგიონისადმი საფრანგეთის ხელისუფლების ინტერესი, რომელიც მეფის რუსეთის აღდგენას უჭერდა მხარს, ნაკლები იყო, განსხვავებით დიდი ბრიტანეთისგან, რომლის ჯარი ბათუმში იდგა. თავის მხრივ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ევროპის მმართველი წრეების საქართველოს საკითხით დაინტერესებას აქტიურად ცდილობდა. პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე (1919 წლის 18 იანვარი-1920 წლის 21 იანვარი) მყოფი ქართველი პოლიტიკოსები, ქვეყნის პოპულარიზაციის მიზნით, ცდილობდნენ სტატიები დაებეჭდათ გაზეთში – „Le Temps“, თუმცა თავიდან უარი მიიღეს, რადგან საფრანგეთის ხელისუფლების და ქართველი დელეგატების ინტერესები მაშინ თანხვედრაში ვერ მოდიოდა.

1919 წლის ბოლოს, გაზეთის რედაქციის პოზიცია მნიშვნელოვნად შეიცვალა. მას შემდეგ, რაც ცხადი გახდა, რომ მეფის რუსეთის თეთრგვარდიელი გენერლები ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში მარცხდებოდნენ, ევროპის სახელმწიფოთა ლიდერები იძულებული გახდნენ ანტიბოლშევიკურ ბრძოლაში ამიერკავკასიის ახლად წარმოქმნილ დამოუკიდებელ რესპუბლიკებს დაეყრდნობოდნენ.

გაზეთის – „Le Temps“ მესვეურები, გარკვეული საფასურის სანაცვლოდ, თანახმა გახდნენ საქართველოს შესახებ ინფორმაცია გაზეთის ფურცლებზე განეთავსებინათ, რისთვისაც საქართველოს ხელისუფლებას წელიწადში 150.000 ფრანკი უნდა გადაეხადა. იგივე სამსახურისთვის, აზერბაიჯანის

მთავრობას 300.000 ფრანკს სთხოვდნენ, რადგან იგი ნავთობით მდიდარი ქვეყანა იყო [სცსა, ფ, 1864., ა.2, ს.168., ფურც.69]. ქართულ მხარეს სათანადო თანხის გადახდა უწევდა, რათა გაზეთის რედაქციას საქართველოში საკუთარი კორესპონდენტი გამოეგზავნა და ინფორმაციას, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე, უშუალოდ ადგილზე გასცნობოდა. ამ მიზნით, გაზეთის რედაქციამ წარმოშობით შვეიცარიელი ჟურნალისტი პოლ ჟანტიზონი (Paul Gentizon) (1885-1955 წ.წ.) საქართველოში გამოგზავნა. მან საქართველოში მოგზაურობა დეტალურად აღწერა 1921 წელს გამოცემულ 350 გვერდიან წიგნში „საქართველოს აღორძინება“ [Gentizon, 1921]. პ. ჟანტიზონი, ასევე, იტალიაზე, ბულგარეთზე, საბერძნეთზე, რუმინეთზე, ოსმალეთზე გამოცემული მრავალი წიგნის და სტატიის ავტორი იყო.

გაზეთის კორესპონდენტმა – პოლ ჟანტიზონმა ვრცელი წერილები მიუძღვნა, როგორც ბათუმის, ასევე, ბოლშევიკური ჯარის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის საკითხებს. მისი წერილი, რომელიც ბათუმში ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლების მოღვაწეობას ეხება ქართულმა ოფიციოზმა – “ერთობა“ საქართველოსთვის ისტორიული მნიშვნელობის ფაქტად შეაფასა, რადგან სტატიაში ავტორი ბათუმის კუთვნილებასთან დაკავშირებით ქართველი ხალხის უფლებებზე საუბრობს. 1920 წლის 4 ივლისის ნომერში პოლ ჟანტიზონი – გაზეთის სპეციალური წარმომადგენელი საქართველოში, რომლის მიერ ბათუმთან დაკავშირებით სტატია ივნისის თვეში მომზადდა, წერს: „ამ მძიმე დღეებში ბათუმი ყველაზე საინტერესო დაკვირვების პუნქტი გახდა, რადგან ინგლისელები, რომლებსაც ოკუპირებული აქვთ ბათუმი, რუსები, თურქები, ქართველები, სომხები, ერთნაირად მოითხოვენ ბათუმზე თავიანთი უფლებების გავრცელებას. ფაქტობრივად, რუსები, რომლებიც დენიკინის არმიის დამარცხების შემდეგ, დიდი რაოდენობით თავშეფარებულნი არიან ბათუმში, მას თავის საკუთრებად მიიჩნევენ“ [„Le Temps“, 4 juillet, 1920:3]. წერილის ავტორი ბათუმის საკითხს აქტუალურად მიიჩნევს და აღნიშნავს: „მართალია, ბათუმი ინგლისის ჯარს უჭირავს, თუმცა ქალაქ ბათუმზე და მის ნავსადგურზე ერთნაირად აცხადებს პრეტენზიას – რუსეთი, ოსმალეთი და სომხეთიც კი. კერძოდ, რუსეთი იმ მოსაზრებით აცხადებს პრეტენზიას ბათუმზე, რომ ქალაქი და მისი სიმაგრეები ჩვენ მიერაა აშენებული და ჩვენვე უნდა გვეკუთვნოდესო. ოსმალები მას ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ძალით თხოულობენ, მაგრამ ბათუმის ოლქის ძირითადი მცხოვრებლები ქართველები და აჭარლები არიან და ისინი მხოლოდ ერთ რამეზე ოცნებობენ, რომ საქართველოს რესპუბლიკას შეუერთდ-

ნენ. ბათუმის თემა, საკითხთა იმ კატეგორიას ეკუთვნის, რომელიც პირველ რიგში უნდა გადაწყდეს. მოკავშირეებმა საკითხის სწრაფ გადაწყვეტას ხელი უნდა შეუწყონ, რათა ბათუმის ოლქის სიმდიდრე, ბოლშევიზმის იდეის გავრცელებისგან დაიხსნან“ [*„Le Temps“, 4 juillet, 1920:3*]. სტატიის ავტორი აკრიტიკებს ბათუმში მყოფი ინგლისის ხელისუფლების წარმომადგენელთა პოლიტიკას და წერს: „ფაქტები იმის მდადადებელია, რომ ინგლისელებს ქ. ბათუმსა და მის ოლქში, მშვიდობიანობის დამყარება არ შეუძლიათ. მოკავშირეთა პოლიტიკის გაურკვევლობამ, უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში რეგიონში ისეთი მდგომარეობა შექმნა, რომ ბათუმი გადაიქცა საშიშ პუნქტად, სადაც ბოლშევიკებსა და ოსმალებს საშუალება ჰქონდათ თავიანთი დამღუპველი აგიტაცია თავისუფლად განეფიქრებინათ. გაფიცვები, რომელიც ზემოთ დასახელებული ძალების გავლენით, თითქმის ორი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ გრძელდებოდა, ხელს უშლიდა ევროპელ კომერსანტებს, რათა თავისუფალი ვაჭრობა განეფიქრებინათ ევროპასა და ამიერკავკასიას შორის; თუ რა საშიში მდგომარეობა იყო ბათუმში, ამის მაჩვენებელია ფულის კურსიც. ბათუმში ღებულობდნენ ყველა სახელმწიფოს საკრედიტო ქაღალდებს. მათი კურსი პოლიტიკური განწყობილების მიხედვით ყოველდღიურად იცვლებოდა. ქართულ ბონებს, საქართველოს რესპუბლიკაში გამეფებული წესიერების და მშვიდობიანობის გამო, სხვა ფულის ერთეულთან შედარებით უფრო მტკიცე კურსი ჰქონდა. იყო მომენტები, როდესაც ქალაქის ერთი უბანი არ ღებულობდა ამა თუ იმ სახელმწიფოს ბონებს და მეორე უბანი მეორე სახელმწიფოსას. აქედან დასკვნა ერთია: ინტერნაციონალურმა ბათუმმა ინგლისელთა ოკუპაციის არსებობის პერიოდში, იმედები ვერ გაამართლა. საჭირო გახდა ბათუმში ნორმალური პირობების დამყარება. ამას ვერ შეძლებდა, რასაკვირველია, ვერც რუსეთი და ვერც ოსმალეთი. ამ მხარეში, სიწყნარის, მშვიდობიანობის და ნორმალური ცხოვრების პირობების დამყარება, მხოლოდ, საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებას შეუძლია. ბათუმზე ყველაზე მეტი – როგორც ისტორიული, ისე კულტურული უფლება საქართველოს აქვს. ამასთანავე, ბათუმის ნავსადგური მთელი ამიერკავკასიის ნავსადგური უნდა იყოს და რასაკვირველია, საქართველო ამ ნავსადგურით ასარგებლებს სომხეთსა და აზერბაიჯანსაც“ [*„Le Temps“, 4 juillet, 1920:3*].

ფრანგული გაზეთის ჟურნალისტი ზუსტად გადმოსცემს საფრანგეთის მთავრობის დამოკიდებულებას ბათუმში მყოფი ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლებისადმი, რაც საარქივო დოკუმენტებიდანაც, ასევე, ნათლად ჩანს. პირველი მსოფლიო ომის დროს, 1916 წლის მაისში, საიდუმლო შეთანხმება

გაფორმდა დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის, რომელიც ცნობილია, როგორც სიქს-პიკოს შეთანხმება *[История Дипломатии, 1941:26]*. საიდუმლო შეთანხმება მომზადდა ბრიტანელი დიპლომატის – სერ მარკ საიქსისა და ბეირუთიში (ლიბანის დედაქალაქი) საფრანგეთის კონსულის – ფრანსუა-ჟორჟ-პიკოს მიერ, რომლებსაც ხელშეკრულების მომზადება საკუთარი ქვეყნის მთავრობებისგან ჰქონდათ დავალებული. შეთანხმებასაც მათი სახელები ეწოდა. ხელშეკრულება ოსმალეთის ტერიტორიულ გადანაწილებას ითვალისწინებდა. ოსმალეთის ხელისუფლება, რომელიც პირველი მსოფლიო ომში დამარცხდა, 1918 წლის 30 ოქტომბერს, იძულებული გახდა, ხელი მოეწერა მუდროსის შეთანხმებაზე, რომლის თანახმად, 1918 წლის 1 დეკემბერს, ინგლისის ჯარი ბათუმის ნავსადგურში შევიდა. მუდროსის შეთანხმებამდე, 1917 წლის 23 დეკემბერს, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობამ სამხრეთ კავკასიაში გავლენის სფეროების გაყოფის შესახებ შეთანხმებას მოაწერეს ხელი. მოკავშირეებს შორის ამ შეთანხმების თანახმად, 1917 წლის დეკემბერში კავკასია აღიარებულ იქნა, როგორც ბრიტანეთის საოკუპაციო ზონა, ხოლო საფრანგეთის გავლენაში სხვა ქვეყნებთან ერთად უკრაინაც შედიოდა.

აღსანიშნავია, რომ ამიერკავკასიის საკითხთან დაკავშირებით თვით ანტანტის წევრ სახელმწიფოებს შორის არ იყო ერთგვარი თანხმობა. ინგლისის მოკავშირე, საფრანგეთის ხელისუფლება, მკაცრად აკრიტიკებდა ბათუმში მყოფი ინგლისის ჯარის უმოქმედობას, რომელსაც წესრიგის ნაცლად მთელს ოლქში ქაოსი შეჰქონდა. საფრანგეთის უმაღლესი კომისარი კავკასიაში შარდინი საკუთარი მთავრობისადმი გაგზავნილ საიდუმლო წერილში შენიშნავს, რომ „მათი მოკავშირეები (იგულისხმება ინგლისელები – ლ. ს.) რჩებიან ძალიან სუსტები ამ მხარეში, რადგან ვერ შეძლეს ხელი შეეშალათ სომხეთ – საქართველოს ომისთვის“ *[Afanasyan, 1981:63]*.

თავის მხრივ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება ინგლისის საოკუპაციო ჯარის ბათუმში ყოფნას უნდობლობით უცქერდა. ამასთანავე, ქართული მხარე აცნობიერებდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომელიც ქვეყნის სრულ დამოუკიდებლობას გულისხმობდა და დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ ერთხმად მიიღო, დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად საკმარისი გარანტია ვერ იქნებოდა, ამას წამყვანი სახელმწიფოების მიერ ვერც ქვეყნის ფორმალური ცნობა უშველიდა. საქართველოს სჭირდებოდა ძლიერი მოკავშირე, რომელიც ქვეყანას გარეშე მტრებისგან დაიცავდა *[სარალოძე, 2013: 55-64]*

ბათუმის საკითხით იტალიის ხელისუფლებაც იყო დაინტერესებული. პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე მყოფი კარლო ჩხეიძე წერს: „იტალიის დელეგაციიდან დარეკა მათმა მრჩეველმა ოტრანევმა და ითხოვა ცნობები ბათუმის მდგომარეობაზე, იქ ინგლისის ჯარის რაოდენობაზე და იმაზე, თუ რანაირად აქვს საქართველოს დელეგატებს მისი მომავალი წარმოდგენილი. ირაკლი წერეთელი ამბობს, რომ ბათუმის საკითხი დელეგაციამ უსათუოდ უნდა აღძრას, მაგრამ არა იტალიის საშუალებით და მისი პირით. იტალიას, მისი აზრით, მხოლოდ ზოგადი ცნობები უნდა მიეცეს, პრაქტიკულად კი ბათუმზე პირდაპირ ინგლისთან უნდა ილაპარაკოს დელეგაციამ... დადგენილია, იტალიის დელეგაციაში ასათიანი გაიგზავნოს მათთვის ზოგადი ცნობების მისაცემად ბათუმის საკითხის შესახებ“ *[სცსა, ფ. 1864, აღწ. 2, ს. 129, ფურც. 197]*.

თავის მხრივ, ქართული პრესა წერდა: „...ერთი სიტყვით, ბათუმის გარშემო დიდი მოთქმა-მოთქმა და ერთი ალიაქოთია ატეხილი, როგორც ევროპაში, ისე რუსეთშიც, ბათუმის ზედის გამო, ერთმანეთს ომითაც კი ემუქრებიან და ყველაფერი ეს ხდება ბათუმის ერთადერთი პატრონის – საქართველოს ზურგს უკან! ჩვენ შეუძლებლად არ მიგვაჩნია, რომ რუსეთში კონტრრევოლუციის ლიკვიდაციის შემდეგ, კიდევ უფრო გამწვავდეს ურთიერთობა საბჭოთა რუსეთსა და ანტანტას შორის და მცირე აზია ამიერკავკასიითურთ მათი შეხლა-შემოხლის სარბიელად გადაიქცეს. თუ ეს ფაქტად იქცა, საქართველო ძლიერ მძიმე პირობებში ჩავარდება. ორივე მეტოქე მხარე, ეჭვი არ არის მოინდომებს საქართველო თავის მხარეზე გადაიბიროს და თავის სამოქმედო ბაზად აქციოს. დიდი სიმტკიცე და ბუმბერაზი ნებისყოფა დასჭირდება პაწია საქართველოს, რომ ამ გოლიათ სახელმწიფოთა ბრძოლაში მან შეინარჩუნოს თავისი სახე და თავისი პოლიტიკური ხაზი და არ გადაიქცეს სათამაშო ბურთად ამ სახელმწიფოთა ხელში“ *[„საქართველოს რესპუბლიკა“, 921]*.

გაზეთი „Le Temps“, ასევე, ინგლისის ჯარის მიერ ბათუმის დატოვების საკითხსაც გამოეხმაურა: „ბრიტანეთის გარნიზონმა ბათუმი დატოვა, სადაც ქართველები სულ რამოდენიმე დღეა, რაც შევიდნენ. უცხოელ ვაჭართა, მათ შორის ინგლისელთა დიდმა რაოდენობამ ბათუმი დატოვა. რაიმე დარღვევას ადგილი არ ჰქონია“ *[„Le Temps“, 11 juillet, Paris, 1920]*.

1920 წლის 7 ივლისს, ინგლისის ჯარმა ბათუმი დატოვა. ლოიდ ჯორჯის მთავრობამ, ჯერ კიდევ 1920 წლის მეორე ნახევარში, დაიწყო რუსეთთან მოლაპარაკება სავაჭრო ხელშეკრულების დასადებად *[სარალოძე, 2013:150-161]*. მართალია, ხელშეკრულებას ხელი 1921 წლის 16 მარტს მოაწერეს, მაგრამ

მისი პროექტი ორი თვით ადრე მზად იყო. როდესაც, 1921 წელს რუსეთის წითელი არმია თავს დაესხა საქართველოს, რუსეთის ხელისუფლება დარწმუნებული იყო, რომ ინგლისი ამაში ხელს არ შეუშლიდა. ხელშეკრულების ერთ-ერთი მუხლის მიხედვით, კავკასიის საქმეებში, ინგლისის ხელისუფლება თავის თავს არადაინტერესებულ მხარედ აცხადებდა.

რუსეთის წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის თემას გაზეთი – „Le Temps“, 1921 წლის 9 მარტის ნომერში გამოეხმაურა [*„Le Temps“, 9 Mars, Paris, 1921*]. ინფორმაცია რედაქციას კონსტანტინოპოლიდან მიაწოდეს, რომელიც, თავის მხრივ, უშუალოდ ბათუმიდან იქ იძულებით წასულ პოლიტიკოსთა ინფორმაციას ეყრდნობოდა. გაზეთის კორესპონდენტი აღნიშნავს: „ექვი არ არის, რომ საქართველოზე თავდასხმა, ბოლშევიკების მიერ დიდი ხნით ადრე წინასწარ დაგეგმილი და გულდასმით მომზადებული იყო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და სომხეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას შორის არსებული გაუგებრობა, ბოლშევიკებმა მიზეზად გამოიყენეს, რათა ახალგაზრდა რესპუბლიკისათვის სასიკვდილო დარტყმა მიეყენებინათ... თბილისის დაპატრონებული ბოლშევიკები კვლავ აგრძელებენ შეტევას. ამჟამად ბრძოლები მცხეთის მიდამოებში მიმდინარეობს, უცხოელი კოლონისტები და მოკავშირეთა მისიები კი ბათუმში რჩებიან“ [*Le Temps, 9 Mars, Paris, 1921*].

ამრიგად, ფრანგულ პრესაში ბათუმის თემაზე გამოქვეყნებულ სტატიებს, საქართველოს საკითხის საერთაშორისო დონეზე განხილვისა და მსოფლიო საზოგადოებისთვის მის გასაცნობად, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

სარალიძე, 2013: – სარალიძე ლ., საქართველო-ინგლისის ურთიერთობის ისტორიიდან (1920 წ.), ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 2 (13), გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი.

სარალიძე, 2013: – სარალიძე ლ., საქართველო-ინგლისის ურთიერთობის ისტორიიდან (1920-1921 წწ.) (უცნობი საარქივო დოკუმენტების მიხედვით), გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ისტორიის სერია, გორი.

„საქართველოს რესპუბლიკა“, 1921: – გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1921 წლის 9 თებერვალი, №30.

სცსა, ფ, 1864., ა.2, ს.168., ფურც.69. – საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1864, აღწ. 2, საქმე 168, ფურცელი 69.

სკსა., ფ. 1864., ა. 2., ს. 129., ფურც. 197. – საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1864, აღწ. 2, საქმე 129, ფურცელი 197.

Afanasyan, 1981: – Afanasyan S., *L' Arménie, L' Azerbaïdjan et la Géorgie de l' indépendance à l' instauration du pouvoir Soviétique 1917-1923*, éd. l' Harmattan, Paris,

Bélanger, 1972: – Bélanger C., Godechot, J. etc., *Histoire générale de la presse française*, P. U. F., Paris, olume 3, Paris.

История Дипломатии, 1941: – История Дипломатии, Т. III, Гос. социально-экон. изд. -во, Москва, 1941.

„Le Temps“, 4 juillet, 1920: – Batoum (de notre envoyé spécial), „Le Temps“, 4 juillet, Paris, 1920.

„Le Temps“, 11 juillet, Paris, 1920: – Batoum rendu à la Géorgie, „Le Temps“, 11 juillet, Paris, 1920.

„Le Temps“, 9 Mars, Paris, 1921: – Les Républiques du caucase Les, derniers événement en Géorgie, „Le Temps“, 9 Mars, Paris, 1921.

Christophe, 2004: – Christophe Charle, *Le Siècle de la presse (1830-1939)*, Éditions La Martinière, Paris.

Lela Saralidze (Tbili, Georgia)

French Press about Batumi Issue (1919-1920)

Summary

On the basis of the archive and a press materials, the French semi-official newspaper's – „The Time“ („Le Temps“) opinion on the situation in Batumi during the Democratic Republic of Georgia, as well as, the politics of the English occupying power in Batumi discussed in this article. Le Temps was issued from April 25, 1861 to 30 November 1942 and soon became the most important newspaper of the French Republic, particularly, among the French political and economic elite. Initially, the French government, as well as the French press, was not interested in the South Caucasus issue. Since 1919 the editorial office of the newspaper has become more interested in the South Caucasus issue and for exchange a certain amount of money, by the Government of the Democratic Republic of Georgia, has sent a special correspondent, the suisse journaliste – Paul Gentizon, who directly transmitted informations from Georgia for the newspaper articles.

The leading states had their own plans for re-distribution of the world. Even during the First World War, on 16 May 1916, a secret agreement was signed between the UK and France, known as the Sykes–Picot Agreement. The secret agreement was prepared by the British diplomat – Sir Mark Sykes and the French Consul in Beirut (the capital of Lebanon) – François George-Picot, who had the trust from their Governments. The agreement was called according to their names. This agreement envisioned the prevailing positions English-French bloc in Europe, as well as, Ottoman Empire, the former German colonies and the Middle East. The Anglo-French bloc acted as the terms of the secret agreements signed between them.

On 30 October 1918, Ottomans, who were defeated in World War I, were forced to sign the agreement with the Allies of World War I, which is known as The Armistice of Mudros. According to this agreement, on December 1, 1918, England's army entered in port of Batumi (Georgia). Before the Mudros agreement, on 23 December, 1917, the UK and France were signed an agreement for dividing their spheres of influence in the South Russia. According to this agreement between the Allies, in December 1917, the Caucasus was recognized as the British occupation zone, while France was in charge of Ukraine. However, the French were the first to envisage the creation of a „sanitary cordon“, for to stop the aggression of Soviet Russia. Although France was an ally of England, France's ruling circles were actively criticizing the policy of the England's occupying authorities in Batumi, which clearly shows both archival and press materials.

At the end of 1919, English positions were strongly weakened in the South Caucasus. On July 7, 1920, the British Army left Batumi, in favor of the Democratic Republic of Georgia. Because of deal with Bolsheviks, the English authorities, also, were strictly criticizing by their allies too. On March 16, 1921, England signed a trade agreement with Bolshevik Russia, but negotiations about this treaty took place since December, 1920, in London.

რეზონანსული გეგმელოზა ბათუმში

ბათუმის ისტორიაში რეზონანსულ ფაქტად დარჩა 1908 წლისთვის ექიმ ტრიანტაფილიდესის მოტაცება და გველელოზა. ამ ფაქტმა უმალ მიიპყრო მაშინდელი საზოგადოების ყურადღება, რადგანაც საქმე ეხებოდა რუსეთის



იმპერიის მასშტაბით ცნობილ მეცნიერის, ექიმის და საზოგადო მოღვაწის ტიმოლეონ ტრიანტაფილიდესის (1858-1908) სიცოცხლის ხელყოფას.

ტრიანტაფილიდესი სამედიცინო სფეროში იმპერიის მასშტაბით ერთ-ერთი წონადი ფიგურა და ევროპული ტიპის გველეზარი იყო. 1893 წელს, პარიზში, მისი დააჯილდოება ჟან მარტენ შარკოს (1825-1893) სახელობის მედლით, მსოფლიო სამეცნიერო წრეებში ექიმის აღიარების მანიშნებელი იყო [თოფურია, ქორჩილაგა, 1974:44].

ტიმოლეონ

ტრიანტაფილიდესის დამსახურება უდიდესი

ტრიანტაფილიდესი იყო ბათუმსა და მის შემოგარენში კლიმატოლოგიური, მალარიის, ტუბერკულოზის და სხვა მწვავე პრობლემების შესწავლის საქმეში. ბათუმის ექიმთა საზოგადოების თავმჯდომარედ ყოფნისას (23.01.1903-20.12.1904), მისი ძალისხმევით ქალაქში მნიშვნელოვნად გაიზარდა ექიმების რაოდენობა, გაიხსნა ახალი სავადმყოფოების ქსელი და ა.შ. [Сборник..., 1910; Сурманидзе, 1978:17]. პარალელურად, 1894-1898 და 1898-1902 წლებში იგი არჩეული იყო ბათუმის ხმოსანთა საბჭოს წევრად [სურმანიძე, 2013:129]. ცხადია, ტრიანტაფილიდესის ფიგურა მისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე მოსალოდნელიც იყო, რომ მოქცეულიყო გამომალველების ყურადღების არეალში.

საერთოდ, რომ XX ს-ის დასაწყისში რუსეთის იმპერიის მასშტაბით ფულის მოთხოვნის მიზეზით, ანდა სხვა მოტივებით ცნობადი სახეების გატაცება ჩვეულებრივი საქმე იყო. ცალკეული ყაჩაღური ჯგუფების გარდა ამ საქმიანობას ეწეოდნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებიც. ცნობადი სახეების

გატაცება და მისი ოჯახისგან გამოსასყიდის მოთხოვნა ყოველთვის ქმნიდა იოლი ფულის დაუფლების ილუზიას.

საგამოძიებო საქმეში დეტალურად არის აღდგენილი ექიმის გატაცების და მისი მკვლელობის სურათი. კავკასიის მეფისნაცვალ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვის (1837-1916) სახელზე ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის მიერ გაგზავნილ მოხსენებითი ბარათით (№1949, 25.09.1908) ირკვევა, რომ 1908 წლის 12 სექტემბერის წვიმიან დღეს, საღამოს 9 საათისთვის, ბათუმში, სმეკალოვის ქუჩაზე (რუსთაველის ქ. – კ.ს.) მდებარე ტრიანტაფილიდესის სახლთან გამოცხადდა სამოქალაქო ტანსაცმლით გამოწყობილი ახალგაზრდა მამაკაცი, რომელმაც მანთაშევის გადასასვლელთან მცხოვრების ავადმყოფი დის საჩვენებლად ითხოვა ექიმის წაყვანა.

უნდა ითქვას, რომ იმ მომენტისთვის ექიმი შინ არ იყო, ამიტომაც ლაქიის პირით ტრიანტაფილიდესის მეუღლემ ვერა კოტლიაროვსკაიამ მომსვლელს სხვისი წაყვანა ურჩია, მაგრამ უცნობმა მამაკაცმა რჩევა არ მიიღო და დალოდებას ამჯობინა. ამასობაში ექიმიც გამოჩენილა, იგი დაემშვიდობა სახლში მყოფ სტუმრებს, მეუღლესაც და გაჰყვა უცნობ მამაკაცს. ამის შემდეგ, დაახლოებით საათ-ნახევარში, იგივე მამაკაცის ხელით ექიმის ოჯახში მიიტანეს წერილი, რომელშიც იყო 30 ათასი მანეთის გამოსასყიდის მოთხოვნა *[ასს, ფ. 0-1. ს. 371, ფურც. 17-18; თოფურია, ქორჩილავა, 1974:6]*.

ნიშანდობლივია, რომ ექიმის მეუღლემ თავდაპირველად არსებითი მნიშვნელობა არ მიანიჭა წერილს. მან იგი ქმრის მხრიდან ხუმრობის ჟესტად მიიჩნია, ჩათვალა, რომ მეუღლე საზოგადოებრივ თათბირზე იყო, არ დაელოდა და დასაძინებლად დაწვა. მხოლოდ მეორე დღისთვის გაათვინცნობიერა მან ყოველივე და დახმარებისთვის სამართალდამცავ ორგანოებს მიმართა *[ასს, ფ. 0-1. ს. 371, ფურც. 17-18]*.

ვინაიდან ტრიანტაფილიდესი ცნობადი სახე იყო, ამიტომაც მისი პოვნის საქმეში აქტიურად ჩაერთო ქალაქის და ოლქის ძალოვანი სტრუქტურები. ქალაქის პოლიცემისტერს დაევალა ექიმის პოვნა. მასვე უნდა მოეძებნა მეეტლე, რომელმაც ექიმი წაიყვანა. ტრიანტაფილიდესის ბინას დაუწესდა აგენტურული მეთვალყურეობა, ქალაქისთავს ეთხოვა საბაჟო კონტროლის გამკაცრება, ხოლო ბათუმის ოლქის უფროსს დაევალა ქალაქის შემოგარენში საძიებო საქმის ორგანიზება. საგამოძიებო საქმის წარმატებით დასრულების მიზნით ბათუმის ექიმთა საზოგადოებამ ივალდებულა საგამომძიებლო ჯგუფის ფინანსირება *[იქვე]*.

გვინდა შევნიშნოთ, რომ საგამოძიებო სტრუქტურების აქტიურად მუშაობის მიუხედავად, იმთავითვე იყო ხელისშემშლელი მიზეზები (საგამოძიებო სტრუქტურებისთვის მცდარი ინფორმაციის მიწოდება...), რის გამოც ვერ მოხერხდა გატაცებული ექიმის დროულად გამოსხნა.

საგამოძიებო მასალებით ირკვევა, რომ საზოგადოების მხრიდან მაღალი ინტერესის გამოც ძალოვანმა სტრუქტურებმა ექიმის სიცოცხლის გადასარჩენად ბათუმსა და მის შემოგარენში აქტიური საგამოძიებო მიეზები განახორციელეს. თავდაპირველად, 14-16 სექტემბერს, ეს მოხდა კახაბრის ველზე, ხოლო შემდეგ სოფ. ურეხის, ბარცხანის და ახალშენის მიმართულებით. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეეტლეს პოვნას, რამაც არსებითად დააჩქარა ექიმის კვალზე გასვლა. მისი ჩვენებიდან გაირკვა, რომ მანთაშევის გადასასვლელიდან მთისძირის (მ. ვარშანიძის ქ. – კ.ს.) და საარტილერიო (შავშეთის ქ. – კ.ს.) ქუჩების კვეთამდე მიმავალ გზაზე მათ დახვდათ ექვსი შეიარაღებული მამაკაცი, რომლებმაც აიძულეს ტრიანტაფილიდესი ჯერ გადმოსულიყო ფაეტონიდან, შემდეგ სამი მათგანი ექიმთან ერთად ისევ ჩაჯდა ფაეტონში და საარტილერიო ქუჩით სოფ. ფერიის გვერდის ავლით გაემართდნენ სოფ. მაჰმუდიეს ჯამესკენ (სოფ. ფერიის ჯამე – კ.ს.). აქ მათ ფარნის შუქზე აიძულეს ექიმი დაეწერა პირველი წერილი მეუღლესადმი *[ახს, გ. ი-1. ს. 371, ფურც. 19]*.

უნდა ითქვას, რომ მისთვის რთულ მომენტში ვერა კოტლიაროვსკაიამ შეცდომების მთელი კასკადი დაუშვა. ძალოვანებისგან მალულად, 13 სექტემბერს, მან სატყეო საწყობის მფლობელის ჭყონიას (სახელი უცნობია – კ.ს.) მეშვეობით წამოიწყო მოლაპარაკებები ექიმის გამტაცებლებთან - კოწია ჟღენტთან და ვიქტორ რამიშვილთან. შემდგომში, სასტუმრო ორიენტალში, სიმონ მდივანის მეშვეობით იგი პირადად შეხვდა მათ, რომლებმაც ამჯერად გამოსასყიდი თანხა დაწიეს 10 ათას მანეთამდე. სასტუმროშივე მას გადასცეს ექიმისგან მოწერილი მეორე წერილი *[ახს, გ. ი-1. ს. 371, ფურც. 22]*.

ამასობაში, აგენტურული ცნობებით ძალოვნებმა შეძლეს მიახლოებით ექიმის ადგილმდებარეობის დაზუსტება. სამწუხაროდ, ასლან ჩიმოღლიმ და იუსუფ მორგალოღლიმ, რომლებსაც ჩაბარებული ჰყავდათ ექიმი, ძალოვნების მოახლოებისთანავე იგი სიცოცხლეს გამოასალმეს. ექიმის ცხედარი ნაპოვნი იყო 17 სექტემბერს *[ახს, გ. ი-1. ს. 371, ფურც. 20]*. ნიშანდობლივია, რომ ფლობდა რა თურქულ და ქართულ ენებს, ტრიანტაფილიდესი ინფორმირებული იყო გამტაცებელთა გეგმების თაობაზე. მან იცოდა, რომ მაინც მოკლავდნენ, ამიტომაც უიმედო მდგომარეობაში ჩავარდა და შიმშილით სიკვდილი ამჯობინა *[ახს, გ. ი-1. ს. 371, ფურც. 24]*.

ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის მიერ მეფისნაცვალის სახელზე გაგზავნილ მოხსენებითი ბარათით (№1949, 25.09.1908) ირკვევა, რომ გამოსასყიდი თანხის გადახდის შემთხვევაშიც ტრიანტაფილიდესის ცოცხლად გადარჩენის შანსი მინიმალური იყო. საქმე იმაშია, რომ ექიმი და მისი მეუღლე პირადად იცნობდნენ გამტაცებლებს და შეეძლოთ ძალოვნებისთვის მათ შესახებ ინფორმაციის მიწოდება *[ახს, გ. 0-1. ს. 371, ფურც. 24]*.

ექიმის ბედზე უარყოფითად იმოქმედა ვერა კოტლიაროვსკაიას მხრიდან გამოსასყიდი თანხის გადახდის თაობაზე გამოვლენილმა სიძუნწემ და გამტაცებლებთან ფარული მოლაპარაკებების შესახებ საგამომიებო ჯგუფისთვის ინფორმაციის დამალვამ *[ახს, გ. 0-1. ს. 371, ფურც. 24-25]*. საერთოდ, ტრიანტაფილიდესის მიმართ ადრეც ყოფილა ფულის გამოძალვის შემთხვევა, მას წაართვეს 500 მანეთი *[ახს, გ. 0-1. ს. 371, ფურც. 22]*, ამიტომაც ფაქტის ხელახლა განმეორებისას მეუღლეს მეტი გონიერება მოეთხოვებოდა. საგამომიებო მასალებში მეუღლის მხრიდან გამოვლენილი სიძუნწე ახსნილია ექიმის მხრიდან გამოვლენილი არაკატეგორიული და ინდიფერენტული მოდგომით.

რაც შეეხება ტრიანტაფილიდესის გატაცების ორგანიზატორების და უშუალოდ მკვლელობის აქტის განმხორციელებლების სახელების თაობაზე გვინდა ვთქვათ, რომ იყო სხვადასხვა ვერსია და მოხდა რიგი საექვო პიროვნებების დაპატიმრება-გასამართლება. სამწუხაროდ, ტრიანტაფილიდესის მკვლელობის ამსახველი საბრალდებო საქმე ნაკლულია. მასში არ დევს საბოლოო სასამართლო განჩინება, რაც სრულ სურათს მისცემდა მკვლელობის ისტორიას.

პირდაპირი წყაროებით და იმ პერიოდის პრესის („Батуский голос“) ინფორმაციით ირკვევა, რომ არსებობდა ადამიანთა დაახლ. 16-კაციანი ჯგუფი, რომლებიც მონაწილეობდნენ ტრიანტაფილიდესის გამტაცებაში, სასიკვდილო აქტის შემსრულებლები, ანდა იყვნენ ამ საქმის ხელშემწყობნი.

თვით საგამომიებო პროცესში გამოითქვა ეჭვი, თითქოს ტრიანტაფილიდესის გატაცების საქმის ორგანიზატორი იყო მე-3 სახელმწიფო სათათბიროს წევრი კარლო ჩხეიძე (1864-1926). ერთი პერიოდი ჩხეიძე ბათუმის საავადმყოფოში ზედამხედველად მუშაობდა. ეჭვი იმ ფაქტმაც გააძლიერა, რომ ექიმის გატაცების წინა და მომდევნო დღეებში იგი ფარულად ცხოვრობდა ბათუმში *[ახს, გ. 0-1. ს. 371, ფურც. 23]*. ჩანს, ჩხეიძეს არ დაუმტკიცდა ორგანიზატორობა.

უშუალოდ ექიმის მკვლელობა განახორციელა ასლან ჩიმოღლიმ და იუსუფ მორგალოღლიმ. პირველი პოლიციასთან შეტაკებისას დაიღუპა, ხოლო რაც შეეხება მარგალოღლის, მან აღიარა ექიმის მკვლელობის ფაქტი.

23 სექტემბერს ქუთაისში დააპატიმრეს ექიმის გატაცების ერთ-ერთი მთავარი ფიგურანტი, ბათუმის საქალაქო საავადმყოფოს ყოფილი მზარეული ვიქტორ რამიშვილი. 2 ოქტომბერს ოზურგეთში შეიპყრეს ჭინჭარაძე (სახელი უცნობია – კ.ს.). მის შესახებ ვიცით, რომ ერთი პერიოდი იგი ბათუმის საქალაქო საავადმყოფოში ფერმლად მუშაობდა, მონაწილეობაც მიუღია ოდესაში ექსპროპრიაციაში, იყო დაპატიმრებული და იმ მომენტისთვის ციხიდან ახლად განთავისუფლებული.

23 ნოემბერს ქუთაისში დააპატიმრეს გატაცებაში ეჭვმიტანილი სევერიან ცინცაძე. ასევე, დაპატიმრებული იყვნენ კოწია ჟღენტი, მეეტლე თავდიშვილი, იუნუს ჩორდანოღლი და ა.შ. რაც შეეხება ექიმის მოახლე რევას (სახელი უცნობია – კ.ს.), გაირკვა მისი კავშირი იმ პიროვნებასთან, რომელმაც ექიმი სახლიდან გამოიყვანა. ამასთან, მოახლის ოთახში იპოვეს ტრიანტაფილიდესების ოჯახშიდან სხვადასხვა დროს დაკარგული ნივთები *[ასს, ფ. 0-1. ს. 371, ფურც. 23]*.

პრესის მასალებით ირკვევა, რომ 1909 წლის 5 ოქტომბერს გამართულმა ბათუმის სამხედრო-სამხარეო სასამართლომ ექიმის მკვლელობაში ეჭვმიტანილთაგან უშუალოდ ჟღენტს, რამიშვილს, დოლიძეს და ცინცაძეს მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – ჩამოხრჩობით სიკვდილით დასჯა, რაც კიდევ განხორციელდა 22-23 ოქტომბრის ღამეს.

ასეთია არსებული მასალებით ექიმ ტრიანტაფილიდესის გატაცების და მისი სიცოცხლის ბოლო დღეების სურათი. დასასრულ, შევნიშნავთ, რომ ექიმის გატაცება იყო მხოლოდ ფულის გამოძალვის მიზნით მომხდარი წარუმატებელი აქტი, რომელსაც შეეწირა ბათუმისათვის თავდადებული დიდებული ადამიანის სიცოცხლე.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

ასს, ფ. ი-1. ს. 371 – აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების საარქივო სამართველოს ფონდი ი-1, საქმე 371.

თოფურია, ქორჩილავა, 1974: –თოფურია ი., ქორჩილავა ჯ., ტიმელეონ პერიკლეს ძე ტრიანტაფილიდესი, ბათუმი.

სურმანიძე, 2013: –სურმანიძე რ., ივანე მესხი, თბილისი.

„Батуский голос“, 1909-1909.

Сборник..., 1910: – Сборник трудов доктора Т.П. Триантафилидеса, Батум.

Сурманидзе, 1978: – Сурманидзе Р., Общество врачей Аджарии и русско-грузинские медицинские связи, Батум.

Kakhaber Surguladze (Batumi, Georgia)

Resonance Murder in Batumi

Summary

1. The article reflects the 1908 kidnapping and murder of a famous scientist, doctor and public figure Timoleon Triantafilidesi (1858-1908) in the Russian Empire.

2. In spite of high interest of the public and active work of the investigation structures, from the very beginning there were some obstacles (the false evidence given to the investigation structures by his wife...). Because of that, it became impossible to release the doctor on time.

3. Kidnapping of the doctor was the unsuccessful act of money extortion that took the life of the great man. Because that fact did not intend to frighten the public, it could not be considered as the terrorist act.

ზნეობრივი ომი ხიმშიაშვილთა ოჯახის წინააღმდეგ

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორია კარგად იცნობს აჭარის და ოსმალეთის აღმოსავლეთ პროვინციების მმართველის **ახმედ-ფაშა ხიმშიაშვილის** (1781-1836) ცხოვრებასა და მოღვაწეობას. მამის **სელიმ ხიმშიაშვილის** (1752-1815) სიკვდილით დასჯის შემდეგ იგი ძმასთან, **აბდისთან** (1789-1859) ერთად, გურიაში ძმის ცოლურს, **მამია გურიელის** (1789-1826) ოჯახს აფარებდა თავს, 1818 წელს აჭარაში დაბრუნდა, ოსმალეთის ხელისუფლებას შეურიგდა, რომელმაც ახმედი მამის თანამდებობაზე, სამთულიან ფაშად აღაზევა.

დაწინაურების მიუხედავად, ახმედ-ფაშა გულის სიღრმეში ატარებდა ოსმალთა ჯალათის ხელით მამის თავის მოკვეტის შემზარავ ამბავს და ხელსაყრელ მომენტს ელოდა, რათა ბრწყინვალე პორტას ქვეშევრდომობისთვის ზურგი ექცია, კავშირი დაემყარებინა რუსეთის ხელისუფლებასთან და დაექარებინა მის გამგებლობაში მყოფი ოსმალეთის მიერ მიტაცებული ქართული პროვინციების საქართველოსთვის დაბრუნება. დიდი საქმის მოსაგვარებლად რუსეთის ხელისუფლებასთან ფარული მოლაპარაკება თითქმის დასრულებული იყო, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში, 1829



დუდი-ხანუმ სეფერის
ასული ბეჟანიძე (1810-1869)

წელს, რუსეთის გენერალიტეტის მიერ შეთანხმების ცალმხრივად დარღვევამ და აჭარაში მტრულად შემოჭრამ, რამაც საფრთხე შეუქმნა მოსახლეობას და თვით ახმედ-ფაშის ოჯახს, ხიმშიაშვილს აზრი შეაცვლეინა, მას სხვა გზა აღარ ჰქონდა და ერთგულება კვლავ ოსმალეთის მთავრობას გამოუცხადა [*ყაზბეგი, 1995:39, 67*].

ახმედ-ფაშის სიცოცხლეში და განსაკუთრებით მისი სიკვდილის შემდეგ, მეუღლე **დუდი-ხანუმ ბეჟანიძე (1810-1869)** აქტიურად ერთვებოდა მხარისთვის მეტად რთული პოლიტიკური მდგომარეობის გამოსწორებაში. ქმრის

გარდაცვალების შემდეგ (1836 წ.) იგი პირველ რიგში შეუდგა მისი ვალების გასტუმრებას, მაგრამ 7,5 მილიონი ოსმალური პიასტრის გადახდა ვერ შეძლო და თავის მცირეწლოვან შვილთან (5 წლის) შერიფთან ერთად 1838 წელს ოსმალეთში გაემგზავრა, სულთან **მაჰმუდ მეორეს** ვალებისგან გათავისუფლება და შერიფის სრულასაკოვნების მიღწევამდე რეგენტად დამტკიცება თხოვა[*მეგრელიძე, 1964:77*].

ოსმალეთიდან დაბრუნებული დუდი ხანუმი საბოლოოდ განუდგა რუსეთს, მაგრამ ახლა მთელი თავისი ძალა და ენერგია მაზლებს შორის (აბდი-ბეგი და ქორხუსეინ-ბეგი) ურთიერთშუღლის მოწესრიგებას მოანდომა, რაც მეტად გაძნელდა რუსეთთან ურთიერთობის უკიდურესად გაუარესების გამო.



გენერალი შერიფ ახმედის ძე
ხიმშიაშვილი (1832-1892)

ყირიმის ომის დაწყების წინ, 1853 წელს უკვე დავაჟკაცებული **შერიფ ხიმშიაშვილი** თავად შეუდგა თავისი სამფლობელოს მართვას. ახალციხელი მეფისაშვილების მეშვეობით, რომელთა შორის შერიფს ძმობილი, **მიხეილ პავლეს ძე მეფისაშვილი** (1833-1902) ჰყავდა, კავშირი დაამყარა რუსეთის ხელისუფლებასთან და თხოვა განეახლებინა მისი მამის ახმედ-ფაშის დაწყებული ურთიერთობა რუსეთთან. შერიფმა ადვილად აუღო ალლო შექმნილ ვითარებას და გადაწყვიტა რუსეთის მხარეს მდგარიყო, მაგრამ ეს ურთიერთობა მხოლოდ ფარულად შეიძლებოდა. დროდადრო ოსმალეთის ხელისუფალთ ეჭვი შეჰქონდათ შერი-

ფის ერთგულებაში, იგი რამდენჯერმე მცირე ხნით ჩამოაშორეს აჭარის მართვას, ციხეშიც ჩასვეს, მაგრამ შერიფი მოხერხებულად აქარწყლებდა ამ ეჭვებს და კვლავ თავის თანამდებობას უბრუნდებოდა.

ახმედ-ფაშის, მისი მეუღლის დუდი-ხანუმის და შვილის შერიფ-ბეგის მოღვაწეობის მოკლე განხილვით საოცარი პარადოქსების მოწმენი ვხვდებით:

- თვით **ახმედმა**, ოსმალეთის ფაშამ, რუსეთის მხარეზე გადასვლა გადაწყვიტა, მაგრამ რუსეთისავე ორპირობის მიზეზით იგი კვლავ ოსმალეთს შეურიგდა და მისი ერთგული გახდა; თუმცა ერთ დროს განდგომილ თავადს ოსმალეთის ხელისუფლება ბოლომდე ეჭვით უცქეროდა და, როგორც ამ-

ბობდნენ, არზრუმის სერასკირად მყოფი ახმედ-ფაშა, მისმა აგენტებმა მოწამლესო *[სცხია. გ. 11, ს. 558, ფურ. 16-19]*.

- ახმედ-ფაშის მეუღლე **დუდი-ხანუმი**, ჩაქვის მებატონე ბეჟანიძეების შთამომავალი (სეფერ-ბეგის ქალიშვილი) და საქართველოს მიმართ ერთგულ ოჯახში აღზრდილი, უაღრესად ჭკვიანი, ბრძენი და დარბაისელი მანდილოსანი, რომელიც აქტიურად ერეოდა სახელმწიფო საქმეებში, ქმრის სიცოცხლეში ერთხანს რუსეთის ხელისუფლებას უჭერს მხარს, თავისი კუთხის გათავისუფლებისთვის იბრძვის; მაგრამ შემდეგ იძულებულია კვლავ ოსმალეთს მიემხროს, თუმცა სიცოცხლის ბოლოს, შვილის შერიფის გავლენით, გარდაცვალებამდე (1869 წ.) კვლავ ქართულ ორიენტაციაზე დგას, რამაც მომხრეთა გარდა მრავალი მტერიც გაუჩინა.

- **შერიფ ხიმშიაშვილი** თავისი სამფლობელოს გამგებლად აღზევების შემდეგ პირველივე წლებში ფარულად ქართველი ხალხის მხარეზე დგას. ასეთი განწყობა ორმა მომენტმა განაპირობა: სიძულვილმა ოსმალეთის ხელისუფლების მიმართ, რომელმაც მისი ბაბუა სელიმი სიკვდილით დასაჯა, ხოლო მამა მოწამვლით გამოასალმა სიცოცხლეს და მეორე, ახალციხელი მეფისაშვილების ზეგავლენა, რომლებსაც შერიფ ხიმშიაშვილთან მოჰქონდათ ქართველი მოღვაწეების: **გრიგოლ ორბელიანის, დიმიტრი ყიფიანის, ივანე კერესელიძის, ილია ჭავჭავაძის, გრიგოლ გურიელის, აკაკი წერეთლის** იდე-



გენერალი გრიგოლ დავითის ძე
გურიელი (1812-1891)

ბი და აჭარის ახალგაზრდა მმართველში აღვივებდნენ ქართულ ცნობიერებას. ამას თვით შერიფიც აღიარებს, როცა დიდი მადლიერებით წერს: „განა მოიპოვება ყოველთვის სადმე მისთანა ერთგული მოყვარე მეგობარი, რომ შენ ხვაშიადი მიანდო, პატიოსნად შეგინახოს და არ გაგთქვას? განა მოიძებნება მუდამ თავ. **გრ. გურიელისთანა, უფ. მ. მეფისაშვილისთანა** და ზოგიერთ ახალციხელებისთანა გამოსადეგი მძაკაციბი, გაჭირვებული კაცის ხელის-ხელმენდილად და წყლული-გულის სალბუნ-წამლად, რომ ისარგებლოს ჩემისთანა სვე-ბედისგან განწირულმა კაცმა?

შერიფი ყველა გვარს არ ასახელებს, მაგრამ მხედველობაში ვინც ჰყავს, ცხადი ხდება

1878 წლის 20 ნოემბრის ბანკეტის აქტიური წევრების სიით; ესენი ზემოთ ჩამოთვლილი დიდი ქართველი მამულიშვილები არიან; გრ. გურიელის და მ. მეფისაშვილის მეშვეობით, წერს შემდეგ შერიფი, „დავუახლოვდი ქ. თბილისს, სხვადასხვა ჩინებულ პირთა, თავადთა და აზნაურთა, თავიდან მოყოლებული უკანასკნელ აღსავლის მქონე პირთამდის და მათთანა პატივცემულ ყოველ წოდების პირთა ისეთი საგრძნობი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემს გულში, რომ ვერასოდეს ვერ დავივიწყებ ჩემ დღეში მე იმათ დიდ მოკეთობას, წრფელ კაცთმოყვარეობას და მიღებულობას...[გაზ. *“დროება”*, №143, 1879: 2-3].

ვფიქრობ მკითხველიც დარწმუნდა, რომ საქართველოს სხვა პროვინციების გამგებელთა მსგავსად ხიმშიაშვილებსაც არ ჰქონდათ მშვიდი ცხოვრება. ფეოდალურ დაპირისპირებას, უთანასწორობას და დაბალი ფენების ექსპლუატაციას აჭარაში თან ერთვოდა მმართველთა ორიენტაცია: რუსული თუ თურქული, რაც ხელს უწყობდა მოსახლეობის გათიშვას, ურთიერთშუღლს და მმართველთა მიმართ უკმაყოფილებას; ეს კი ხშირად მასობრივ გამოსვლებში და აჯანყებებში გადაიზრდებოდა ხოლმე. ამბოხების სიმძიმე ერთნაირად იწვნიეს ახმედ-ფაშამ, დუდი-ხანუმმა და შერიფ-ბეგმა. განსაკუთრებით ამ უკანასკნელმა, რომელსაც რუსეთთან აშკარა ურთიერთობის გამო მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომელიც არც ოსმალეთის ხელისუფლებას ეთაყვანებოდა და, ქართველ მთიელთა მსგავსად, თავისუფალ ცხოვრებას ესწრაფვოდა, შერიფს მტრად გადაეკიდა, აიძულა იგი ახალციხეში გაქცეულიყო და მმოხილის, მიხეილ მეფისაშვილის ოჯახში ეპოვა თავშესაფარი, ხოლო მისი სახლ-კარი გადაეწვათ [ახვლედიანი, 1956:131].

რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის და სამუსლიმანო საქართველოს დედა-სამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ შერიფის უკმაყოფილოთა რიცხვი არათუ შემცირდა, კიდევ უფრო მომრავლდა, რასაც ადგილობრივ ფანატიკოსებთან ერთად, ხელს უწყობდნენ ოსმალეთის ემისრები.

მოსახლეობის ერთმა ნაწილმა გაიხსენა 1844 წელი, მცირეწლოვანი შერიფის რეგენტი დედა, დუდი-ხანუმი, რომელსაც უხდებოდა ახლადშემოღებული თანზიმათის კანონის სისრულეში მოყვანა, კერძოდ მოსახლეობაში ექვსი სახის (თახშირი, სალიანი, რუსუმათი, საღერბო, თამბაქოს, ზაფთიების შესანახი) გადასახადის აკრეფა და ახალგაზრდების ოსმალეთის ჯარში რეკრუტებად გაწვევა, რასაც მაშინ დიდი აჯანყება მოყვა. ამ ამბების მრავალი მომსწრე 1878 წელსაც ცოცხალი იყო, მათს ძველ უკმაყოფილებას ახლა შერიფის განდგომა, „გარუსება,” ურჯულოებზე მიმხრობა დაემატა, რაც ფიზიკურ

შეხლა-შემოხლასთან ერთად, მის წინააღმდეგ ჭორების გავრცელებასა და ზნეობრივ ომში გადაიზარდა.

ამ საქმის ოსტატებმა პირველ რიგში მიზანში ამოიღეს განსვენებული **დუდი-ხანუმი**, რომელსაც აჭარის მოსახლეობა თავის დედოფლად თვლიდა და მრავალ სასიკეთო საქმის გამო ეთაყვანებოდა; მას ქმართან ღალატი დასწამეს და შერიფი უკანონო შვილად გამოაცხადეს, მისი დაცვის ერთი წევრი (იუსუფ ბერიძე) მოკლეს, ხოლო შერიფის სახლ-კარი მესამედ გადაწვეს.

ჭორი იმდენად გავრცელდა, რომ იგი რუსეთის ხელისუფლების ახალმა წარმომადგენლებმა, მათ შორის 1878-1881 წლებში მაჭახლის საპოლიციო უბნის უფროსმა დავით წერეთელმა (1832-1902) დაიჯერა. თავის დღიურში (№4) იგი წერს: „ამბობენ, რომ როდესაც ფაშათ იყო ახმედ ბეგი, ერთი იუდა (ურია) მოაყვანიდა და ქვეშაგებლები დააკერვინაო. შემდეგ გამოაგზავნა აჭარაში თავის სახლშიო ქვეშაგებლის საკერავად (დღესაც რა მაგისტანა ღარიბი იყოს ბეგი, მაინც ქვეშაგებელი ბევრი აქვს. აღას უკანასკნელი ათი ხელი მაინც უნდა ჰქონდეს სტუმრისათვის). ხანუმს მოეწონა ურია და მუცელი წამოეზარდაო, რომ შეატყო თავის თავს გუნება-ნაქცეობა, ერთ ღამეს გასცა ბრძანება, ხვალ დილით ერთი ათი ცხენოსანი მზად იყოს და დილაზე შეჯდა ცხენზე და გასწია ყარსში ქმართან. ქმარმა კითხა მიზეზი მისვლისა. მან დაარწმუნა, რომ



დავით როსტომის ძე წერეთელი
(1832-1902)

სიყვარულმა მომიარაო და ცოტა ფულიც მეჭირვებაო. იყო იქ ორი კვირა და გამოეთხოვა ქმარს. ფაშამ ოქროებიც აჩუქა და გამოისტუმრა შინ. მაშინ თამამად აღიარა ორსულობა, რომელსაც მიეცა ვაჟი და უწოდეს სახელათ შერიფ-ბეგი” *[ხასასმზ, საბუთი №103]*. როგორც დავინახეთ, დუდი-ხანუმს დასწამეს ისეთი მძიმე რამ, რაც ქალის საბოლოო გაწირვას და მოკვეტას ნიშნავდა, მაგრამ მოსახლეობის უმრავლესობისთვის სიმართლე კარგად იყო ცნობილი.

ჭორის გასაბათილებლად მნიშვნელოვანია ჩვენს მიერ მოძეულ ახალ საბუთებში მითითებული შერიფ ხიმშიაშვილის დაბადების თარიღი. დღემდე გამოცემულ ისტორიულ ლიტერატურაში, აგრეთვე შე-

რიგ ხიმშიაშვილის ბიოგრაფიაზე მიძღვნილ შრომებში (მათ შორის ჩემს ნაშრომებშიც) მიჩნეულია, რომ იგი 1829 წელს დაიბადა, რაც ერთგვარად აძლიერებდა დუდი-ხანუმისადმი გამოთქმულ ეჭვს.

ამ თარიღის სწორად დადგენას უაღრესად დიდი ღირებულება ჰქონდა, რადგანაც, გავიმეორებ, იგი შერიფის მამის, ახმედ-ფაშა ხიმშიაშვილის კანონიერ მამობას ეხება.

როგორც დავინახეთ, ზემო აჭარის უპირველეს ქალბატონს, დუდი-ხანუმს ულმობლად და შეუბრალებლად მოექცნენ, რითაც შეურაცხევს და დაამდაბლეს მისი ზნეობა და ოჯახის ერთგულება.

სინამდვილე კი სხვაგვარია, რომლის დადგენაში გვეხმარება ჩვენს მიერ მოძიებული საბუთები, სადაც მითითებულია შერიფის დაბადების თარიღი 1832 წ. 17 იანვარი და ორგზის 1833 წლის 17 იანვარი, მაგრამ არცერთხელ 1829 წელი. ჭორის უარყოფაში გვეხმარება აგრეთვე „იუდა“ მკერავის შვილის ივანე ნებიერიძის ჩანაწერები.

ქეშმარიტების დასადგენად საჭიროა წარსულის გახსენება და ახალი მასალების მოშველიება, რათა დავაზუსტოთ ახმედ ხიმშიაშვილის კარზე „იუდა“ მკერავი როდის და რა მიზეზით ჩამოვიდა და ოჯახის უფროსი ამ დროს მართლაც თუ იმყოფებოდა ყარსში.

1828 წლის 15 აგვისტოს, როცა რუსეთის ჯარმა აიღო ახალციხე, დამარცხებული ოსმალების ჯარისკაცებმა (ვინმე „თავგასისხლიანებულმა აჭარელმა“) ახალციხიდან გაიტაცეს ორი ყმაწვილი: თერთმეტი წლის **ივანე** (დაბადებული 1817 წლის 20 აპრილს) და ექვსი წლის **პავლე** (დაბადებული 1822 წელს) **ნებიერიძეები**. ისინი აჭარაში, ქედაში, სოფელ ზენდიდში წამოიყვანეს, გზად მიმავალი გამტაცებლებისგან ბავშვები გამოისყიდა ორცველმა **გულო-ალა აბულაძემ** (ჯინოლლი), რის შესახებაც ახალციხეში აცნობა ბავშვების ოჯახს. ტყვეთა დასახსნელად ქედაში ჩამოვიდა მათი მამა, ქართველი კათოლიკე („იუდა“) **სტეფანე ნებიერიძე**. მამამ უმცროსი ვაჟი პავლე დაიხსნა და კვლავ ახალციხეში დაბრუნდა, შემდეგ ივანეს დასახსნელი ფულიც მოაგროვა და კვლავ ქედისკენ გამოემართა. გზად დაემგზავრა ასევე ახალციხელი **ნონო იმერელაშვილი**, რომელმაც ერთ ღამეს მძინარე სტეფანეს მოპარა ფული და თავის საქმეზე მოიხმარა. იმედდანთქმული სტეფანე, რომელიც თერძი იყო, ქედის ბეგს ეახლა და დახმარება თხოვა. აქ **მუთი-ბეგ ბეჟანიძის** ოჯახის წევრების ტანისამოსის შეკერვის საფასურად ცოტა ფული შეაგროვა, მაგრამ საკმარისი არ აღმოჩნდა. მუთი-ბეგმა ურჩია წასულიყო ზემო აჭარაში ძმისშვი-

ლის, დუდი-ხანუმის მეუღლესთან, **ახმედ-ბეგ ხიმშიაშვილთან** და იქაც თავისი ხელობით ფული გამოემუშავებინა.

სტეფანე ჯერ დაბრუნდა ახალციხეში, იქ ნათესავებში შეაგროვა ფულები, ამის შემდეგ ეწვია ზემო აჭარის ფაშას ახმედ ხიმშიაშვილს და შესჩივლა თავისი გასაჭირი. თვით გატაცებული ივანე ნებიერიძე ამ ამბებს თავის დღიურში ასე აღწერს: „ფაშამან (ე. ი. ახმედ ხიმშიაშვილმა, რ. ს.) გაგზავნა კაცი ქედის ბეგთან, რათა ამანაც გაგზავნოს თავისი კაცი ორცვას ჩემს გულლო-ალა ჯინოლისთან (აბულაძე, რ. ს.), რომ წამომიყვანოს მე ზემო აჭარას და თვითონაც გამოცხადდეს ფაშასთან დასახსნელად... მოვედით ზემო აჭარას ფაშასთან, სადაც ვნახე მამაჩემი მკერვალი ხანუმის ტანისამოსისა... **პარასკევს დღეს რა რომ დაასრულა ფაშამან სადილის ჭამა (!), რომ იყუნენ შეკრებილნი მასთან ალა კაცები...** მოილაპარაკეს რეცა თუ შესაწევნელად ჩემს დასახსნელად” *[ლომსაძე, 1997:328-33]*.

სტეფანე ნებიერიძემ ზემო აჭარის ფაშის ახმედ ხიმშიაშვილის დახმარებით გამოისყიდა ივანე და ამის შემდეგ მამა-შვილი 1829 წლის მაისში ახალციხეში დაბრუნდნენ. ამგვარად, 1829 წელს სტეფანე ნებიერიძის („იუდა“) ხულოში ყოფნა ექვს არ იწვევს, მაგრამ იქ იგი ახმედ-ფაშას კი არ მიუწვევია, არამედ თვითონ ჩამოვიდა, მიზეზი კი გაყიდული შვილის გამოხსნა იყო.

ივანე ნებიერიძის ზემოთმოტანილი მოგონებაში, ზემოთქმულის გარდა, ბევრი რამ საყურადღებოა. პირველი ის, რომ მამამისი, ახალციხელი ქართველი კათოლიკეა და არა „იუდა-ურია.“ იგი მკერავად ჩამოიყვანა არა ახმედ-ფაშამ, არამედ მძიმე ვითარების, კერძოდ შვილის დატყვევების გამო იძულებული გახდა აჭარაში ჩამოსულიყო. ქვემო და ზემო აჭარის ფაშებთან სტეფანე მართლაც თერძობდა 1829 წელს, მაგრამ ომიანობის გამო მუთი-ბეგ ბეჟანიძე (?-1844) და ახმედ-ბეგ ხიმშიაშვილი მუდმივად საკუთარ ოჯახებში იყვნენ და აჭარიდან არ გასულან. ამას ადასტურებს ივანე ნებიერიძის დღიურები, სადაც ნათქვამია, რომ იგი გულლო-ალა აბულაძესთან (რომელმაც ბავშვების გამტაცებლებს ფული გადაუხადა) ერთად, ახმედ-ფაშის დავალებით ხულოში ავიდა. მათ მასპინძლობა თვით ახმედ-ფაშა ხიმშიაშვილმა გაუწია: „რომ დაასრულა ფაშამან სადილის ჭამა, მასთან ალა კაცები იყვნენ შეკრებილნი“ და ჩემს დახსნაზე მოილაპარაკესო. ცხადი ხდება, რომ ზემო აჭარის მმართველი 1829 წელს ყარსში არ ყოფილა, იგი გამუდმებით ხულოში იყო და თვითონვე აქტიურად ჩაერთო ტყვე ბიჭის გათავისუფლებაში.


ფაშის ყარსში ყოფნა, თერძის დუდი-ხანუმთან რომანი და ქალბატონის მეუღლესთან ყარსში გამგზავრება, როგორც ამას აღწერს დავით წერეთელი,

გამორიცხულია. ეს მართლაც ასე რომ ყოფილიყო, მაშინ დუდი-ხანუმს შერიფი უნდა შესძენოდა 1829 ან 1830 წელს, როგორც დამკვიდრებულია ისტორიულ ლიტერატურაში, მაგრამ ირკვევა, რომ ეს თარიღი არასწორია.

მოსკოვის სამხედრო ისტორიული არქივიდან მიღებული ახალი დოკუმენტების და სხვა სარწმუნო წყაროების შეჯერებით დადასტურდა, რომ შერიფ ხიმშიაშვილი დაიბადა არა 1829 წელს, როცა ახმედ-ფაშასთან სტუმრობდა სტეფანე ნებიერიძე, არამედ 2-3 წლის შემდეგ, **1833 წლის 17 იანვარს** [რსის, გ. 400, ან. 9, ს. 20578, ფურც. 251]. მისი თანატოლი და ძუძუმტე იყო ართვინის ოლქის უფროსი მიხეილ პავლეს ძე მეფისაშვილი, რომელიც იმავე 1833 წელს დაიბადა (გარდ. 1902 წ. დასაფლავებულია ს. ივლიტას, ახალციხიდან 3 კმ-ის დაშორებით) [ფრონელი, 1902:2-3], როგორც ამბობენ, ჩვილობის დროს ორივე ბავშვს ერთ-ერთის დედა (ვერ გავარკვით რომლის) მათ ძუძუს აწოვებდა.

რუსული საბუთების ასლები

ზემოთქმული უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ახმედ-ფაშის ოჯახზე გავრცელებული, ზნეობის შემლახავი მითქმა-მოთქმა აშკარა ცილისწამებაა. ჭორი გაავრცელეს დიდი საგვარეულოს მტრებმა, ფანატიკოსებმა და უცხო ემისრებმა იმის გამო, რომ ხიმშიაშვილთა მოდგმა იბრძოდა სამუსლიმანო საქართველოს დედა-სამშობლოსთან დაბრუნებისთვის. ამიტომ ახმედ-ფაშა ხიმშიაშვილს, დუდი-ხანუმ ბეჟანიძეს და მათ შვილს, საქართველოს გაერთიანებისთვის ერთ-ერთ აქტიურ მებრძოლს, შერიფ ხიმშიაშვილს, რომელმაც უბრძოლველად და სისხლის დაუღვრელად დაუთმო რუს-ქართველთა ლაშქარს თავისი სამფლობელო, უნდა ჩამოერეცხოთ დაუსაბუთებელი შეურაცხყოფის ლაქა. ისინი, როგორც ჭეშმარიტი ქართველი მამულიშვილები ასეთ ყურადღებას იმსახურებენ.



**ФЕДЕРАЛЬНОЕ
АРХИВНОЕ АГЕНТСТВО**

— х —

Федеральное казенное учреждение
«РОССИЙСКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ
ВОЕННО-ИСТОРИЧЕСКИЙ АРХИВ»
(РГВИА)

105005, Москва, ул. 2-я Бауманская, д. 3
тел. (499) 261-20-70
e-mail: rgvia@mail.ru

Члену союза писателей Грузии,
профессору, историку
Р. Д. Сурманидзе
Грузия, Батуми

Архивная справка

от 12.04.16 № 1462

На № _____ от _____

Уважаемый Рамаз Дурсунович!

Направляем Вам архивную справку генерал-майоре Александре Александровиче Шериф-Бек-Аджарском и его семье.

Из кратких записок о службе 1882 и 1885 гг. и посмертно составленного послужного списка 1893 г. генерал-майора Аджарского следует, что:

Александр Александрович (Шериф-Бек) Аджарский родился 17 января 1832 г. *(согласно краткой записке о службе 1882 г.)* или 7 января 1833 г. *(согласно краткой записке 1885 г. и послужному списку 1893 г.)*.

Из бывших владельцев Верхней Аджарии.

Вероисповедания магометанского *(согласно краткой записке о службе 1882 г.)*, затем православного *(согласно краткой записке 1885 г. и послужному списку 1893 г.)*.

Воспитывался в доме родителей.

Высочайшим приказом от 26 февраля 1879 г. был произведен в генерал-майоры с зачислением по армейской кавалерии и с назначением состоять при Кавказской армии.

Через Святое Крещение и Миропомазание присоединен к Православной Церкви и наречен Александром Александровичем – 13 ноября 1883 г. *(место принятия им православия в данных документах не указано)*.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

ახვლედიანი, 1956: – ახვლედიანი, ხ., სახალხო-განმანათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში, ბათუმი.

გაზ. “დროება”, №143, 1879: – შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი, გულწრფელი აღსარება, გაზ. “დროება”, №143, 1879 წ. 11 ივლისი.

ლომსაძე, 1997: – ლომსაძე შ., მესხები, თბილისი.

მეგრელიძე, 1964: – მეგრელიძე შ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბილისი.

რსისს, ფ. 400, ან. 9, ს. 20578 – რუსეთის სახელმწიფო სამხედრო-ისტორიული არქივი, ფონდი 400, ანაწერი 9, საქმე №20578.

სცსია. ფ. 11, ს. 558, ფურც. 16-19 – საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 11, საქმე №558.

ფრონელი, 1902: – ფრონელი ა., მიხეილ მეფისაშვილის გარდაცვალების გამო. გაზ. „ივერია“, № 15, 19 იანვარი.

ყაზბეგი, 1995: – ყაზბეგი, გ., სამი თვე ოსმალეთის საქართველოში, თარგმნა რამაზ სურმანიძემ, გამოსცა მამია ხარაზმა, ბათუმი.

ხასასმხ, საბუთი №103 – ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხალნაწერთა ფონდი, საბუთი № 103.

Ramaz Surmanidze (Batumi, Georgia)

The Moral War Against Khimshiashvili's Family

Summary

The author has brought together all the material that deals with the moral welfare of domestic and foreign enemies against Sheriff Khimshiashvili's family. Reliable arguments are grounded that the rumors spread over the Sheriff, his parents and their family are groundless.

წყლის მრიცხველების საკითხი ქალაქ ბათუმის
წყალმომარაგებაში
(XX საუკუნის დასაწყისი)

ქალაქი და წყალი, ისევე, როგორც ადამიანი და წყალი, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული თემებია და ამდენად, ბათუმის დასახლების ისტორია ანდა მისი ქალაქად ფორმირება წყალმომარაგების ისტორიის შესწავლასაც აუცილებელს ხდის. ბათუმის, როგორც ქალაქური ტიპის დასახლების ზრდა-განვითარება ბუნებრივია მისი წყალმომარაგების პრობლემის გადაჭრასაც ითვალისწინებდა. წყალმომარაგება მხოლოდ მოსახლეობის წყლით უზრუნველყოფის საკითხი არაა, ბათუმი იმთავითვე სანაოსნო-საპორტო ქალაქი იყო, რაც პორტის სიახლოვეს წყალმომარაგების სისტემის არსებობას აუცილებელს ხდიდა. გარდა სანიტარულ-ჰიგიენური ფაქტორისა, რაც ისედაც ნათელია და მასზე საუბარს არ შევაჩერებთ, სუფთა წყალი და ტექნიკურად გამართული წყალგაყვანილობის სისტემის არსებობა ქალაქის დასახლებისა და საპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების ერთ-ერთ აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენდა. გარდა იმისა, რომ ქალაქის მოსახლეობასთან ერთად წყლით მომარაგება სატვირთო თუ სატრანსპორტო გემებსაც სჭირდებოდათ, წყალგაყვანილობის ქსელი სახანძრო უსაფრთხოების თვალსაზრისითაც იყო აუცილებელი. გასათვალისწინებელია, ასევე ისიც, რომ ბათუმის წყალმომარაგება ქალაქის ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი საშუალებაც იყო. ამდენად წყალმომარაგებასთან დაკავშირებით მრავალი ფაქტორი იყრის თავს და მისი ისტორიის შესწავლა კომპლექსურ მიდგომას, ანუ ზემოთ აღნიშნული ყველა საკითხის გათვალისწინებას მოითხოვს. წყალი ადამიანისათვის სასიცოცხლო ფუნქციის მქონეა და ბუნებრივია, ისეთი მასობრივი დასახლებისათვის, როგორც ქალაქია, მას ძალზე მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს.

ბათუმის, როგორც დასახლებული პუნქტისა და ქალაქის წყალმომარაგების ისტორია იმდენად დიდია, რამდენადაც აქ ადამიანის პირველი სამოსახლოები, თუმცა მოცემულ შემთხვევაში ჩვენი ინტერესის სფეროს მხოლოდ საქალაქო წყალგაყვანილობის ქსელი და მისი ისტორია წარმოადგენს და არა,

ზოგადად ბათუმში არსებული დასახლების თუ შორეული წარსულიდან მომდინარე გორა სამოსახლების წყლით სარგებლობის საშუალებები.

აღნიშნული პრობლემა ქრონოლოგიურადაც და შინაარსობრივადც დიდი და მოცულობითია, შესაბამისად ბათუმის წყალმომარაგების საკვლევი თემიდან მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში მხოლოდ წყლის მრიცხველების თემას შევხებით, რომელიც ქრონოლოგიურად XX საუკუნის 10-იან წლებს მოიცავს. ბათუმში წყლის გამრიცხველიანების საკითხი ერთჯერადი პრობლემა არ ყოფილა. იგი ეტაპობრივად – წყლის მიწოდების დოზისა და ხარისხის, ასევე თავად მრიცხველების ტექნიკური მახასიათებლების გაუმჯობესების პარალელურად ვითარდებოდა. აღნიშნულ ქრონოლოგიურ დროზე ყურადღების შეჩერება კი ქალაქ ბათუმის გამგეობის მხრიდან საკითხისადმი მასშტაბურმა მიდგომამ განაპირობა.

ბათუმის წყალმომარაგება 1878 წლიდანვე ქალაქის პოლიციის დაქვემდებარებაში გადავიდა, ხოლო 1888 წლიდან 1921 წლამდე მასზე კონტროლს ქალაქის საკრებულო ახორციელებდა. ახალი წყალსადენი 1904 წელს აშენდა, რომელიც სათავეს ყოროლისწყლის მარცხენა შენაკადის მდ. ლეჩეს წყაროს წყლებიდან იღებდა. გამრიცხველიანების განახლებისა თუ ქალაქში მისი საყოველთაო დანერგვის საკითხიც სწორედ წყალმომარაგების ახალი ქსელის ამოქმედებას უკავშირდება.

საარქივო მონაცემები მიუთითებს, რომ ბათუმის გამგეობამ XX საუკუნის 10-იანი წლებიდან გადაწყვიტა წყლის მრიცხველებთან დაკავშირებით, იმ დროისათვის რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქის გამოცდილება დეტალურად გამოეკვლია და ყველაზე ოპტიმალური სისტემის წყლის მრიცხველი შეერჩია. შერჩევის ძირითად კრიტერიუმებს კი, წყლის მრიცხველის ფასთან ერთად, ჩვენების სიზუსტე, საექსპლოატაციო მდგრადობა და სარემონტო ხარჯების დაბალი მაჩვენებელი წარმოადგენდა.

საარქივო მასალებიდან, კერძოდ 1910 წლის მარტში ქ. მოსკოვის სამთო ინჟინრის პლუმევსკისადმი მიწერილი წერილიდან ჩანს, რომ იმ დროისათვის ბათუმში «Фраже»-ს³ სისტემის წყლის მრიცხველები იყო დამონტაჟებული. წერილში აღნიშნულია, რომ ამ სისტემის მრიცხველები ერთი-ერთნახევარი წლის ექსპლუატაციის მანძილზე, მუდმივად შეკეთებას საჭიროებდა. ბათუმის გამგეობა იმავე წერილში ვარაუდობდა, რომ შესაძლოა ეს წყლის

³ საარქივო მასალები რუსულენოვანია და შესაბამისად ტერმინოლოგიაც რუსულია. ამიტომ ტექსტში, აქ და შემდგომაც, წყლის მრიცხველების აღმნიშვნელი სახელწოდებების რუსული ვარიანტები უცვლელადაა მოცემული, ისე, როგორც ეს ორიგინალშია დაცული.

მაღალი წნევით იყოს გამოწვეული და სთხოვდა ინჟინერ პლუშევსკის ბათუმში $\frac{3}{4}$ კალიბრის, მაღალი წნევის გამძლეობის მქონე მრიცხველები ანდა $\frac{3}{4}$ კალიბრიანი დისკური მრიცხველის – „Kocmoc“ ერთი ეგზემპლარი გაეგზავნა. იქვე დაკონკრეტებულია, რომ 6-7 ატმოსფეროს გამძლეობის მრიცხველი უფრო უმჯობესი იქნებოდა *[ასს, ფ. ი-6, აღწ. 1, ს. 651, ფურც. 11]*. ამ წერილიდან აშკარად ჩანს, რომ 1904 წელს განახლებული წყალმომარაგების ქსელის მეშვეობით ბათუმს ძველთან შედარებით მაღალი – 6-7 ატმოსფერული წნევით მიეწოდებოდა წყალი, რამაც «Фраже»-ს სისტემის მრიცხველების მწყობრიდან ხშირი გამოსვლა განაპირობა.

ქალაქის წყლის გამრიცხველიანების საყოველთაოობის საკითხი ჩანს დღის წესრიგში დაახლოებით 1910 წლისათვის დაისვა, თუმცა ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ ეს საკითხი 1904 წლიდან, ანუ ახალი წყალგაყვანილობის ამოქმედებიდანვე დადგებოდა. ამ საკითხისადმი ბათუმის გამგეობა დიდ ყურადღებას ავლენდა, მაგრამ როგორც ირკვევა, ამ მიმართულებით გამოცდილებაც ძალზე ნაკლები იყო. 1910 წლის თებერვალში ბათუმის გამგეობა სხვადასხვა ქალაქებს ორი კითხვით მიმართავდა: 1. რამდენად პრაქტიკული იქნებოდა წყალგაყვანილობიდან კომლზე წყლის მიწოდება მრიცხველების გარეშე და ასეთ შემთხვევაში, წყლის აღრიცხვის მიზნით, რა ნორმა შიძლებოდა დადგენილიყო და 2. თუ გააჩნდათ მრიცხველები, მაშინ სახელდობრ რა სისტემისა იყო ისინი. მსგავსი შინაარსის თხოვნა დაეგზავნა შემდეგ ქალაქებს: ოდესა, ხარკოვი, როსტოვი, სარატოვი, ჟიტომირი, ლიბავა, მოსკოვი, სანკტ-პეტერბურგი, დვინი. მაგალითად, ბათუმის ქალაქის თავის მოადგილე სანკტ-პეტერბურგის წყალმომარაგების აღმასრულებელ კომიტეტს თხოვნით მიმართავდა, ეცნობებინათ თუ რა სახის ნორმა იყო დაწესებული კომლზე წყლის აღრიცხვის მიზნით 1900 წლამდე, როცა ქალაქის სახლებზე წყალმომარაგები არ იყო დამონტაჟებული *[ასს, ფ. ი-6, აღწ. 1, ს. 651, ფურც. 3,4]*.

აღნიშნულიდან ჩანს, რომ ქალაქ ბათუმში მცხოვრებ ცალკეულ კომლზე წყლის მიწოდების ორი შესაძლო ვარიანტი განიხილებოდა: ერთი – მრიცხველების გარეშე, როცა მოხმარებული წყლის გადასახადი წინასწარ დაწესებული ნორმის მიხედვით იქნებოდა განსაზღვრული და მეორე – მრიცხველის საშუალებით, სადაც წყლის მოხმარების გადასახადის გადახდა კომლზე მრიცხველის ჩვენების მიხედვით მოხდებოდა. ეს ბოლო ვარიანტი მოსახლეობაზე ახალი სისტემის მრიცხველის შეთავაზებას აუცილებელს ხდიდა და ამ შემთხვევაში მრიცხველის ზემოთ აღნიშნულ კრიტერიუმებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. სწორედ ამით იყო განპირობებული, რომ ბათუ-

მის გამგეობის სპეციალური მიმართვის ადრესატები სამრეწველო ფირმები და მათი წარმომადგენლები იყვნენ, რომელთაც ბათუმიდან სთხოვდნენ, რომ გამოეგზავნათ სხვადასხვა სისტემის წყლის მრიცხველები გამოსაცდელად, კერძოდ მათი სიზუსტისა და ეფექტიანობის დადგენის მიზნით. მაგალითად, ასეთი თხოვნები დაეგზავნა:

1. სანკტ-პეტერბურგში – რუსეთის ელექტროტექნიკური ქარხნების სააქციო საზოგადოებას – «Сименс и Гальске»-ს. მას, ასევე, 4-კალიბრიანი, დისკური და ფრთიანი წყალმზომების თითო ეგზემპლარის მოწოდებასაც სთხოვდნენ;

2. ინჟინერ В. Л. Либерт-ს სთხოვდნენ მიეწოდებინა ერთი ეგზემპლარი «МЕИНЕКЕ»-ს სისტემის $\frac{3}{4}$ კალიბრიანი წყლის მრიცხველი;

3. კომპანია «Воссидло и К»-ს. მას ერთ ეგზემპლარ, $\frac{3}{4}$ კალიბრის მრიცხველის – «Тридентъ» მიწოდებს სთხოვდნენ;

4. ქალაქ რიგის ტექნიკურ კანტორას – «Термо»-ს მიმართავდნენ ბათუმიდან, $\frac{3}{4}$ კალიბრიანი წყლის მრიცხველის «Фалера» მიწოდების მიზნით *[ასს, ფ. ი-6, აღწ. 1, ს. 651, ფურც. 5-8]*.

ბათუმის ცენტრალურ არქივში არაერთი წერილია დაცული, რომლებიც ბათუმის გამგეობას სხვადასხვა ქალაქიდან თუ კომპანიიდან მიუღია *[ასს, ფ. ი-6, აღწ. 1, ს. 651]*. ეს წერილები შეიცავს პასუხებს თუ რომელი ქალაქი წყალმომარაგების ანდა გამრიცხველიანების საკითხს, როგორ და რა ფორმით წყვეტდა; რომელი ფირმისა თუ რომელი სისტემის მრიცხველებს ანიჭებდნენ უპირატესობას; როგორი იქნებოდა უმჯობესი წყლის გადასახადის დაწესება – მრიცხველით თუ მრიცხველის გარეშე და ა.შ. ამავე წერილებიდან შეიძლება დავადგინოთ თუ რომელი წლიდან დაიწყო ამა თუ იმ ქალაქში გამრიცხველიანება; რომელი უცხოური ფირმა იყო მრიცხველების, როგორც ახალი ტექნოლოგიების, წარმოებით დაინტერესებული; როგორი ეკონომიკური კავშირურთიერთობები არსებობდა არა მხოლოდ რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქს, არამედ თავად რუსეთის იმპერიასა და დანარჩენ სამყაროს შორის.

ბათუმის გამგეობაში სხვადასხვა ქალაქიდან მიღებული პასუხები ერთხმად ანიჭებდა უპირატესობას წყალზე გადასახადის დაწესებას – წყლის მრიცხველების მიხედვით. ჩანს მათი გამოცდილების გათვალისწინებით ბათუმშიც გადაწყდა, რომ უპირატესობა ქალაქის საყოველთაო გამრიცხველიანების საკითხისათვის მიენიჭებინათ.

ზოგიერთი ქალაქიდან თუ კომპანიიდან მიღებული პასუხები გამოირჩეოდა ვრცელი შინაარსით, კონკრეტული და ზუსტი პასუხებით, რომელთაც

დანართების სახით წყლის გადასახადთან დაკავშირებით ქალაქის საკრებულოების დადგენილებები ახლდა. ასევე, შეხვედრებით საინჟინრო ხასიათის დეტალურ აღწერებსა და რჩევებს, სხვადასხვა სახის მრიცხველებთან დაკავშირებით. წერილები ამა თუ იმ სისტემის მრიცხველის დეტალურ, ტექნიკურ დახასიათებასაც შეიცავს; მოცემულია სხვადასხვა მრიცხველების შედარებები. ცხადია ცალკეული ფირმა უპირატესობას საკუთარ პროდუქციას ანიჭებდა, მაგრამ ეს უპირატესობები დეტალურადაა დაკონკრეტებული და ზოგადად, წყლის მრიცხველისათვის აუცილებელი ყველა პირობაა დახასიათებული. ზოგიერთ ფირმას, საპასუხო წერილის გარდა დამატებით, პლაკატის სახით, მრიცხველის ნახაზიც აქვს წარმოდგენილი, სადაც დაკონკრეტებულია მრიცხველის ცალკეული დეტალის ფუნქცია. კერძოდ, თუ რა მასალისგანაა დამზადებული, რამდენად გამძლე იქნება, რა სათადარიგო ნაწილები ახლდა თან და ა.შ. საპასუხო წერილები შეიცავს, ასევე მრიცხველების პრეისკურანტს, სადაც საკუთრივ მრიცხველისა თუ სათადარიგო ნაწილების ფასებია დეტალურად გაწერილი. ზოგიერთი ფირმა ბათუმს წინასწარ ფასდაკლებებს და სხვადასხვა სახის მომსახურებებსაც კი სთავაზობდა. ამ წერილებიდან აშკარად ჩანს ის კონკურენცია, რაც წყლის მრიცხველების ბაზარზე, იმ დროის რუსეთის იმპერიაში იყო გავრცელებული და ცალკეული ფირმა თუ ქარხანა, საკუთარ პროდუქციას, როგორ რეკლამას⁴ უწევდა. ბათუმში გამოგზავნილი საპასუხო წერილები ერთგვარ რჩევებსაც შეიცავს. ამ მხრივ, მაგალითისათვის, მოსკოვის საქალაქო ინჟინრის პლუშევსკის წერილია საინტერესო, რომელიც აღნიშნავს, რომ «Фраже»-ს სისტემის მრიცხველის მწყობრიდან მალე გამოსვლა შესაძლოა მრიცხველისა და წყლის მილის კალიბრის შეუსაბამობით ყოფილიყო გამოწვეული. სხვა მხრივ, როგორც პლუშევსკი იტყობინება, «Фраже»-ს მრიცხველები სწორი მონტაჟის შემთხვევაში ხუთ წლამდე შეკეთების გარეშე მუშაობენ და 12 ატმოსფეროსაც უძლებსო. იმ დროისათვის ასეთი მრიცხველის შეძენა შესაძლებელი ყოფილა ბათუმში საბავეთან – აღნიშნავს პლუშევსკი *[ასს, ფ. ი-6, აღწ. 1, ს. 651, ფურც. 41]*.

წყლის მრიცხველის შერჩევასთან დაკავშირებული მიმოწერები 1910-1912 წლების მანძილზე მიმდინარეობდა. ამ დროის განმავლობაში ბათუმის გამგეობის დარწმუნებას არაერთი კომპანია ცდილობდა, რომ მისი მრიცხველი

⁴ ეს მასალები იმ დროის ბათუმის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებისა თუ ტექნიკური ისტორიების კვლევის თვალსაზრისით ძალზე ფასეულია და ცალკე შესწავლის საგნადაც შეიძლება მივიჩნიოთ.

უფრო უმჯობესი იყო და ბევრ უპირატესობასაც შეიცავდა. აღნიშნული კომპანიების შესახებ შემდეგი ინფორმაციის დაზუსტება შეიძლება:

1. სამთო ინჟინრის ლ.ი. პლუმევსკის კომპანია. იგი წყლის, ნავთობისა და გაზის ცილინდრულ, დისკურ, ტურბინულ მრიცხველებს და ასევე, ელექტრო მრიცხველებს აწარმოებდა. აღნიშნული კომპანიის სამრეწველო რეკლამაში მოცემულია, რომ გაზგაყვანილობის, ნავთობსადენის, წყალსადენის და საკანალიზაციო თუჯისა და რკინის მილებსაც აწარმოებდა. ეს იყო ნიკოპოლ-მარიუპოლის სამთო და მეტალურგიული საზოგადოების, ასევე დებალცევოს მექანიკური, ქვანახშირის, მარგანცისა და თუთიის ქარხნების გაერთიანებული საზოგადოების მოსკოვის სააგენტო. კომპანია რეგისტრირებული იყო მოსკოვში. იგი 1900 წელს პარიზის სამრეწველო გამოფენის მონაწილე იყო, სადაც უმაღლესი ჯილდო – ოქროს მედალი ჰქონდა მიღებული. კომპანიის ტიტულიანი ფურცლის მარჯვენა მხარეს შემდეგი მინაბეჭდი აქვს: „მისამართი წერილებისათვის: ინჟინერ ვ. ლ. ლიბერტს, მოსკოვი; ტელეგრაფებისათვის «водомеры» მოსკოვი“

2. ცენტრალური გათბობისა და ვენტილაციის, წყალმომარაგებისა და სხვა საინჟინრო-სანიტარულ ნაგებობათა ტექნიკური კანტორა „ТЕРМО“. მდებარეობდა ქ. რიგაში. კომპანიას გააჩნდა საკუთარი ქარხნები.

3. სააქციო საზოგადოება «Г. Мейнеке». საზოგადოებას წარმოადგენლობები ჰქონდა ამსტერდამში, ბრესლავეში, ბუდაპეშტში, ლიუტტიხში (ბელგია), ვენაში, ბერლინში, ნიუნბერგში, მილანში, და მოსკოვში. რუსეთის იმპერიაში საზოგადოების გენერალური წარმომადგენელი ინჟინერი ვ.ლ. ლიბერტი იყო. მისამართი ქ. მოსკოვი. მას საკუთრებაში წყლის მრიცხველების სპეციალური ქარხანა გააჩნდა. აღსანიშნავია, რომ წერილებისა და ტელეგრაფებისათვის ამ საზოგადოებას იგივე მონაცემები აქვს მითითებული, რაც სამთო ინჟინერს ლ.ი. პლუმევსკის კომპანიას გააჩნდა.

4. ამხანაგობა «Воссидло и ко». იგი რუსული და უცხოური ქარხნების წარმომადგენლობა იყო, რომელსაც სანკტ-პეტერბურგში საკუთარი მექანიკური ქარხანა გააჩნდა;

5. ბრესლავის მეტალურგიული ქარხნების სააქციო საზოგადოების გენერალური წარმომადგენელი რუსეთის იმპერიაში კომპანია „Липецк и ко“. მდებარეობდა კიევში. მისი მფლობელი იყო ნ. მ. ლიპეცი. მას გაუმჯობესებული წყლის მრიცხველი ჰქონდა დაპატენტებული. ფირმა 1892 წლიდან არსებობდა მისი საქმისწარმოების ტიტულიან ფურცელზე სულ რვა მედალია წარ-

მოდგენილი. სამწუხაროდ მათი წარწერები არ იკითხება და ძნელია დაზუტდეს თუ რა დამსახურებისათვის ჰქონდა ეს ჯილდოები ფირმას მიღებული.

მოცემული კომპანიების შესახებ ინფორმაცია მათივე წერილებიდან, მრიცხველების კატალოგებიდან და საკანცელარიო ტიტულიანი ფურცლებიდანაა აღებული [ასს, ფ. ი-6, აღწ. 1, ს. 651, ფურც. 3-171]. მიუხედავად აღნიშნული კომპანიების მონდომებული მცდელობისა, საბოლოო სიტყვა მაინც ბათუმის სამშენებლო-ზედამხედველობის კომისიას ეკუთვნოდა, რომელიც სხვადასხვა ფირმისგან მიღებული მრიცხველების შემოწმება-გამოცდას ახდენდა. შემოწმება მექანიკური წესით ხდებოდა, რადგან ბათუმს არ გააჩნდა მრიცხველის სიზუსტის შემოწმებელი საკონტროლო სადგური. მრიცხველის მექანიკური წესით შესამოწმებლად სხვადასხვა ხერხს მიმართავდნენ, მაგალითად მრიცხველში უშვებდნენ სხვადასხვა რაოდენობის წყალს და აკვირდებოდნენ მრიცხველი დროის რა მონაკვეთში რა რაოდენობის წყალს გაატარებდა. წყალმზომში გასაშვები წყლის რაოდენობას „ხაზინის ვედროთი“ რწყავდნენ. ამ შემთხვევაში აშკარაა, რომ „ხაზინის ვედრო“ ოფიციალური საზომ-საწყაო იყო, მაგრამ სამწუხაროდ მასალებიდან არ ჩანს „ხაზინის ვედრო“-ში რამდენი ლიტრი წყალი ჩადიოდა, თუმცა აშკარაა, რომ იგი წყლის აღრიცხვის და საგადასახადო სისტემაში ოფიციალურად ნებადართული ზომის ერთეულია. იმ დროისათვის ბათუმში წყალი „ხაზინის ვედროთი“ აღირიცხებოდა და ერთი ვედრო წყლის მოხმარების გადასახადიც „ხაზინის ვედროს“ რაოდენობის მიხედვით განისაზღვრებოდა. მაგალითად, ცნობილია, რომ ბათუმის აბანოები წყლის მოხმარების გადასახადს ანალოგიური წესით იხდიდნენ. მათთვის ერთი ვედროს წყლის ფასი 1909 წლამდე კაპიკის მეათედი იყო. 1909 წელს კი ვედრო წყლის ნიხრი ბათუმის გამგეობამ კაპიკის მეექვსედამდე გაზარდა, მაგრამ აბანოს მფლობელთა თხოვნით ერთი ვედრო წყლის გადასახადი ისევ კაპიკის მეათედამდე, ანუ ძველ ნიხრამდე დავიდა [კვაჭაძე, 2009].

1910 წლის 19 დეკემბერს ბათუმის გამგეობამ სხვადასხვა კომპანიიდან მიღებული წყლის მრიცხველების გამოცდა დანიშნა, მათი სიზუსტის დადგენის მიზნით. ამისათვის სპეციალური სადამკვირვებლო კომისიაც (наблюдательная комиссия) იყო შექმნილი, რომელშიც ინჟინერი ი. პ. პანასევიჩი, ექიმი გ. ლ. ელიავა, არქიტექტორი გ. გ. რაკოვიცი, ლ. ს. ქიქოძე, ნ. ა. საბაევი, გ. ს. სოგოროვი, გ. დ. მავროპულო, ქალაქის არქიტექტორი ბ.დ კრაპივიანსკი და ბათუმის წყალგაყვანილობის მექანიკოსი ნ. ლ. კორსაკი შედიოდნენ. გამოცდის შედეგად გამოვლინდა, რომ «Фраже»-ს სისტემის მრიცხველები ყველა

სხვა მრიცხველთან შედარებით უფრო ზუსტი აღმოჩნდა *[ასს, ფ. ი-6, აღწ. 1, ს. 651, ფურც. 107-110]*. 19 დეკემბერს მრიცხველთა შემოწმებასთან დაკავშირებით საინტერესოა ქალაქის არქიტექტორის 1911 წლის 25 თებერვლის ანგარიში. მასში აღნიშნულია შემდეგი: „ჩემს მოვალეობად ვთვლი გაცნობით, რომ, რამდენადაც საკონტროლო აპარატი არ გვქონდა (მისი აუცილებლობის შესახებ ვაცნობებდით გამგეობას, მაგრამ კრედიტის არარსებობის გამო ეს საკითხი გადაიდო) გამოცდა ჩატარდა ძალზე პრიმიტიული წესით, ხაზინის საზომი ვედროთი. გამოცდა ჩატარდა ძალზე გულმოდგინე მიდგომით, მაგრამ მიუხედავად ამისა ამგვარი პრიმიტიული წესით გამოცდა ვერ უძლებს ვერც ტექნიკურ და ვერც პრაქტიკულ კრიტიკას და კიდევ ერთხელ ჩემს ვალდებულებად ვთვლი გაცნობით, რომ წყალმზომების გამოსაცდელად აუცილებელია საკონტროლო აპარატის შეძენა. ყოველ შემთხვევაში აქტში დასახელებული ყველა წყალმზომი, რომელიც რამდენიმე თვე ქალაქის წყალგაყვანილობის სახელოსნოს საწყობში ინახებოდა და პერიოდულად გამოიცდებოდა, ყველა ისინი უფრო დაბლა დგანან, ვიდრე ფრაჟეს ტიპის წყალმზომი“. ქალაქის არქიტექტორის ამგვარმა კატეგორიულობამ, რომელიც მრიცხველების სიზუსტის შესამოწმებელი საკონტროლო დანადგარის აუცილებლობაში გამოიხატებოდა, ბათუმის საყოველთაო გამრიცხველიანების საკითხი ერთგვარ ჩიხში შეიყვანა. ამის გამო გამგეობამ წყლის მრიცხველის საკონტროლო აპარატის შესყიდვა ან, მისი დროებითი თხოვება გადაწყვიტა *[ასს, ფ. ი-6, აღწ. 1, ს. 651, ფურც. 118-119]*. ამ საკითხთან დაკავშირებით 1911 წლის ივლისში ბათუმის გამგეობა თბილისის ქალაქის გამგეობას კითხვით მიმართავდა – თუ რა გზით ახდენდნენ თბილისში მრიცხველების გამოცდას, ჰქონდათ თუ არა საკონტროლო აპარატი, თუ კი, რომელი და სად შეიძლებოდა მსგავსი საკონტროლო აპარატის შეძენა. იმავე წლის აგვისტოში თბილისიდან პასუხიცაა მიღებული, სადაც სწერდნენ, რომ თბილისის წყალგაყვანილობის სახელოსნოში მრიცხველის სიზუსტის შემოწმებელი აპარატი იყო დამონტაჟებული, რომლის შეძენაც შესაძლებელი იყო „სიმენს ი გალსკეს“-გან ან ფირმა „მეინეკე“-ს წარმომადგენელ ინჟინერ ლიბერტთან.

ბათუმის ქალაქის არქიტექტორის 1911 წლის 25 თებერვლის ანგარიშის შემდგომ ბათუმის გამგეობამ მრიცხველის საკონტროლო აპარატის შეძენის გადაწყვეტილება მიიღო. ამ მიზნით სხვადასხვა ფირმას დაეგზავნა წერილები თხოვნით გამოეგზავნათ ბათუმში წყლის მრიცხველის საკონტროლო დანადგარის ხარჯთაღრიცხვა. ჩანს ამგვარი თხოვნით ორ ფირმას მიართეს, კერძოდ, «Сименс и Гальске»-ს მოსკოვის ფილიალს და ინჟინერი ვ.ლ. ლიბერტის. 1912

წლის აგვისტოში ბათუმის გამგეობამ «Сименс и Гальске»-ს მოსკოვის ფილიალისგან, 600 რუბლის ღირებულების წყლის მრიცხველის, «А» ტიპის საკონტროლო სადგურის ერთი კომპლექტაცია შეიძინა [ასს, ფ. ი-6, აღწ. 1, ს. 651, ფურც. 26-29].

ბათუმის საყოველთაო გამრიცხველიანებასთან დაკავშირებით, საინტერესოა თავად ქალაქის გამგეობის ანგარიში, ქალაქის წყალმომარაგებაში «Томсон»-ის სისტემის მრიცხველების დაშვების შესახებ, რომელიც 1912 წლის 23 ივლისით თარიღდება.

ამ ანგარიშიდან იკვეთება, რომ 1912 წლის 1 ივლისისათვის ქალაქის წყალგაყვანილობის აბონენტთა რიცხვმა 280-ს მიაღწია, თუმცა ამ დროისათვის სახლის მფლობელთა, ანუ პოტენციურ აბონენტთა რაოდენობა 2400 იყო. წყლის სიძვირე მის ფილტრაციასთან დაკავშირებული ღონისძიებებით იყო განპირობებული. ერთი ვედრო წყალი ქალაქის წყალგაყვანილობიდან კაპიკის მეექვსედი ღირდა, ხოლო იგივე წყლის გასუფთავება და გატარება ქალაქს 3 კაპიკამდე უჯდებოდა. ეს მაშინ როცა ამ ფასში არ შედიოდა წყლის ფილტრაციისას დარჩენილი ნარჩენების გამოსახვეტი ორმოების მოწყობა და რემონტი. ანგარიშში აღნიშნულია, რომ ამ ფასის გადახდა სახლის მფლობელებს უწევთ, ვინც წყალმომარაგების ქსელზეა მიერთებული.

ანგარიშში ქალაქის თვითმმართველობის მიერ წყლის მრიცხველების შერჩევასთან დაკავშირებით გაწეული ღონისძიებები გამართლებულია. აღნიშნულია, რომ ყველა შერჩეულ მრიცხველთან შედარებით «Фраже»-ს მრიცხველი ყველაზე ზუსტია, მაგრამ მისი სიძვირე, რაც მონოპოლიური მდგომარეობის შედეგია, აუფასურებს მის ძლიერ მხარეს – სიზუსტეს. მეორე მხრივ იმისათვის, რომ მრიცხველი სწორად ფუნქციონირებდეს, მისი კალიბრი თავად კომლის მიერ მოხმარებული წყლის რაოდენობის შესაბამისი უნდა იყოს, მაგრამ ამგვარი შესაბამისობის დაცვის შემთხვევაში წყალმომომი ძვირია. ასეთ ვითარებაში, სახლის მესაკუთრეებს უჩნდებათ ტენდენცია დააყენონ დაბალი კალიბრის წყალმომომი. ცხადია, რომ ამგვარი მონტაჟის მიხედვით წყალმომომი ასრულებს თავის ფუნქციას, მაგრამ არასწორად, კერძოდ ხშირად ჩერდება და საჭიროებს რემონტს. მეორეს მხრივ თუ მკაცრად დავიცავთ ტექნიკურ მოთხოვნებს და ვაიძულებთ სახლის მეპატრონეებს დააყენონ შესაბამისი კალიბრის წყალმომომები, მაშინ წყლის აღრიცხვა ზუსტი იქნება, მაგრამ ქსელთან მიერთების მსურველთა რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდება, რამდენადაც ბევრისთვის წყლის მრიცხველის შესყიდვა ძვირი იქნება. წყლის აბონენტთა რაოდენობის გაზრდა ქალაქისათვის სანიტარული თვალსაზრის-

სით – არაჯანსაღი ჭების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, ასევე საკუთრივ წყალგაყვანილობის, როგორც საქალაქო ორგანიზაციის შემოსავლების ზრდის თვალსაზრისითაც რა თქმა უნდა სასურველი იყო. ანგარიშში შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალიცაა დასმული, კერძოდ ის, რომ ფრაქს მრიცხველებთან ერთად, რომელიმე სხვა, უფრო იაფ მრიცხველზეც ყოფილიყო ნებათვა. ანგარიშში სხვადასხვა მრიცხველები, მათი ფასის გათვალისწინებით ვრცელადაა მიმოხილული და დახასიათებული. საბოლოო ჯამში კი ყურადღება შეჩერებულია «Томсонь»-ის სისტემის წყალმზომზე, რომელიც «Фраже»-ს მრიცხველთან შედარებით დაახლოებით სამჯერ უფრო იაფი იყო. კერძოდ დაკონკრეტებულია, რომ ფრაქს მრიცხველი 3/8 კალიბრის ღირდა 70 რუბლი, ხოლო «Томсонь»-ისა 25,50 რუბლი. ეს უკანასკნელი მონტაჟის მხრივაც უფრო იაფი იყო [ასს, ფ. ი-6, აღწ. 1, ს. 651, ფურც. 162-163].

ამდენად, საარქივო მასალებზე დაყრდნობით დგინდება, რომ ქალაქ ბათუმში 1912 წლამდე «Фраже»-ს სისტემის წყლის მრიცხველები იყო გავრცელებული. ამ დროიდან კი მოსახლეობის საყოველთაო გამრიცხველიანების ხელშეწყობის მიზნით «Томсонь»-ის სისტემის წყლის მრიცხველი შეირჩა, რომლის ღირებულება მცირე ხარჯვის აბონენტებისათვის უფრო ხელსაყრელი იყო. 1912 წლისათვის ბათუმის წყალგაყვანილობის სახელოსნოს «А» ტიპის საკონტროლო სადგურის ერთი კომპლექტაციაც გააჩნდა.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

ასს, ფ. ი-6, აღწ. 1, ს. 651 – აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-6, აღწერა 1, საქმე №651, „Переписка об установке водомеров на домовых водопроводах“, 1910–1912 წლები.

ასს, ფ. ი-6, აღწ. 1, ს. 719 – აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-6, აღწერა 1, საქმე №719, „წყლის მრიცხველის საკონტროლო სადგურის ხარჯთაღრიცხვა და მიმოწერა ამ საკითხზე“, 1912 წ.

კვაჭაძე, 2009: – კვაჭაძე ნ., ერთი ვედრო წყლის ფასი – ბათუმის აბანოები მე-20 საუკუნის დასაწყისში, – ძველი ბათუმის ქრონიკები, იხ.: www.oldbatumi.wordpress.com/2009/11/21

Temur Tunadze, Nugzar Mgeladze (Batumi, Georgia)

**The Problem of Water Meters in Batumi Water Supply
(The Early of the 20th Century)**

Summary

The new water pipeline in Batumi was constructed in 1904. It heads from the left bank of the Korolistkali, Lecha river spring source. In 1910-1912, the city board of Batumi used Thomson water meter system for a small number of subscribers. The apparatus for checking the accuracy of the meters was purchased from JSC "Siemens & Halske".

POLACY W NAJNOWSZEJ HISTORII BATUMI

Batumi ma ważne znaczenie w najnowszej historii Gruzji i stanowi bardzo dobry przykład wykorzystania możliwości, jakie dla rozwoju miasta stwarza umiejętne wykorzystanie jego walorów gospodarczych i turystycznych. Zawrotna kariera Batumi korzystającego z atutów pogranicznego położenia i rozwijanego intensywnie od końca XIX w. portu morskiego, nie ma sobie równych w basenie Morza Czarnego. Rozpoczęte wtedy pod obcym panowaniem przemiany, są z rozmachem kontynuowane współcześnie. Umiejętne wykorzystanie walorów klimatycznych i piękna przyrody stanowi zasadniczą przesłankę dla budowanych w tym mieście na początku XXI w. nowoczesnych hoteli, pozwalających przyciągać coraz liczniejszą rzeszę turystów z całego świata. Symbolami tych przemian są nowoczesny budynek ratusza mieszczący siedzibę władz miejskich i wieżowiec zbudowany przez Donalda Trumpa. Do niezwykłych walorów przyrodniczych Adżarii należy dodać piękno krajobrazu, gdzie góry stykają się z czarnomorskim brzegiem. Roślinność charakterystyczna dla strefy podzwrotnikowej dopełnia całości obrazu, tchnącego egzotycznym pięknem. Herbaciane pola, których w szczytowym okresie było na terenie Adżarskiej Autonomicznej Socjalistycznej Republiki Radzieckiej (AASRR) prawie 6 tys. hektarów, są jednym z symboli miasta [*Kłopotowski, 1955:179*].

Do uroków adżarskiej metropolii nawiązali w 2016 r. dziennikarze Radia Szczecin, przypominając Polakom piosenkę o herbacianych polach Batumi, która pół wieku temu cieszyła się ogromną popularnością w Polsce. Wielokrotnie pojawiła się wówczas w programach radiowych i telewizyjnych, zajmując stałe miejsce na koncertach pierwszego polskiego girlsbandu „Filipinki”. Programy radiowe i telewizyjne nagrane z okazji 50. rocznicy powstania zespołu przypomniały przebój z 1963 r. i miasto, któremu był poświęcony. Niejako przy okazji pokazano Polakom oblicze współczesnego Batumi. W reportażu telewizyjnym skoncentrowano jednak uwagę na tym, co określa dzisiejsze oblicze adżarskiej stolicy, nie wspominając o licznych związkach łączących ją z Polską w przeszłości. Wypełnieniu tej luki poświęcony jest ten artykuł.

Batumi jest miastem, którego historia sięga starożytności, a udokumentowana jest od XI w. Jego dynamiczny rozwój przypada jednak na ostatnie sto pięćdziesiąt lat. Wcześniej pozostawało w cieniu leżącego nieco na południe Trabzonu, nazywanego w czasach starożytnych Trapezuntem. Dlatego można powiedzieć, że Batumi jest stosunkowo młodym centrum politycznym i gospodarczym, które od podstaw zostało zbudowane na miejscu dawnej twierdzy, po odebraniu przez Rosję północnej części Adżarii Turkom w 1878 r. Wcześniej oba państwa stoczyły na tym terenie kilka wojen, w które co warte odnotowania, zaangażowani byli także Polacy *[Morawska, Szablowska, 2006]*.

Polska obecność wojskowa na Kaukazie w XIX w. kojarzona jest ze służbą w armii rosyjskiej. To jednak tylko część prawdy, bo w XIX w. polscy patrioci dostrzegali możliwości jakie tkwiły w tym regionie dla prowadzenia walki z Rosją o niepodległość ojczyzny. Dlatego wysyłano tam emisariuszy i tworzone śmiały projekty organizowania na Kaukazie polskich oddziałów wojskowych, które miały walczyć przeciwko Rosji. Największe nasilenie tej działalności przypada na okres Wojny wschodniej, gdy obóz polityczny księcia Adama Jerzego Czartoryskiego porozumiał się z rządem tureckim w tej sprawie i doszło do wysłania polskich oficerów do Turcji. Utworzyli oni tam polskie oddziały, które wzięły udział w wojnie krymskiej. Z naszego punktu widzenia najważniejsza była misja dwóch generałów Feliksa Breańskiego i Ludwika Bystrzanowskiego w 1854 r. Ich zadaniem było stworzenie w okolicach Batumi z polskich dezertersów i jeńców uciekających z armii rosyjskiej legionu liczącego 800 żołnierzy. Projektu nie zrealizowano, ale dowodził on szerokości horyzontów intelektualnych polskich działaczy emigracyjnych, którzy już wtedy dostrzegali potencjał polityczny Kaukazu *[Furier, 2009:192-195; Hejgera, Skóry, 2010:175-185]*.

Prace przy budowie nowych umocnień batumskiej twierdzy, portu i miasta rozpoczęto zaraz po zakończeniu wojny, ale nabrały one tempa od 1887 r. Zostały przeprowadzone według planu rosyjskiego inżyniera Dadyczewa i trwały do 1893 r. Realizowali je początkowo żołnierze z oddziałów budowlanych, w których służyło wielu Polaków. Z czasem w realizację inwestycji na terenie miasta zaangażowali się prywatni przedsiębiorcy, nadając mu nowoczesne oblicze *[Pirweli, 2002]*.

Od końca lat siedemdziesiątych XIX w. w Batumi stacjonował silny garnizon rosyjski, dlatego żołnierze dominowali wtedy wśród mieszkańców. Rozwój portu morskiego i linii komunikacyjnych łączących Batumi i Kaukaz ze światem wymagał specjalistów, których napływ zmienił strukturę mieszkańców. Już w kolejnej

dekadzie nastąpiło zwiększenie się liczby cywilów. Dzięki temu Batumi pod koniec XIX w. dołączyło do grona największych i najważniejszych miast gruzińskich. Wszystkie one zostały wtedy poddane gruntownej przebudowie, co najlepiej było widoczne w Tbilisi pełniącym funkcję regionalnego centrum. Nigdzie jednak przemiany nie były tak widoczne jak w Batumi, bo też nigdzie na ziemiach gruzińskich nie budowano od podstaw. Zmieniło to szybko nie tylko oblicze samego Batumi, ale także postrzeganie tego ośrodka przez Gruzinów. Świadomość dokonującej się przemiany trafiła do nich dzięki relacjom z Adżarii i jej opisom opublikowanym wówczas w Tbilisi. Ogromne znaczenie miała relacja z trzymiesięcznej podróży odbytej w 1874 r. do „tureckiej Gruzji” Giorgiego Kazbegi. Odtąd gruzińskie elity zainteresowały się działaniami mającymi na celu trwałe przyłączenie tego regionu historycznej Gruzji [*Kazbegi, 1995*].

Pograniczne położenie i portowy charakter Batumi sprzyjały od końca XIX w. napływowi przedstawicieli różnych narodów europejskich i azjatyckich. Dlatego miasto wyróżniało się wielonarodową strukturą ludności, co nie było niczym zadziwiającym na tle innych miast gruzińskich. Różny był jednak skład tej ludności – o ile bowiem w innych miastach większość ludności niegruzińskiej stanowili przedstawiciele narodów sąsiednich i azjatyckich, to w Batumi obok nich mieszkała najliczniejsza grupa przedstawicieli narodów europejskich. W grupie tej do 1921 r. znalazła się spora liczba przybyszów z ziem polskich. Dodając do stałych mieszkańców osoby przebywające czasowo, których liczba zwiększała się wraz z nasileniem napływu uciekinierów w czasie wojny lub osoby uczestniczące w repatriacji, można określić wielkość grupy na około tysiąc osób [*Mądzik, 1987:28-39*].

Dynamiczny rozwój Batumi zbiegł się w czasie z rozwojem na terenie Cesarstwa Rosyjskiego samorządu miejskiego. Wcześniej tylko Tbilisi posiadało jego ograniczoną formę. W 1870 r. poszerzono uprawnienia władz samorządowych Tbilisi i nadano je czterem innym miastom gruzińskim: Kutaisi, Poti, Gori i Achalcyche. Kilkanaście lat później kolejne sześć miast na terenie obu guberni, obejmujących ziemie gruzińskie, otrzymało te uprawnienia. Było wśród nich Batumi. Co prawda system wyboru przedstawicieli do rad miejskich preferował największych przedsiębiorców, ale i tak usprawniało to wcześniejszą formę zarządzania przez carskich urzędników. Efektem tych zmian było przyspieszenie rozwoju miast, co w przypadku Batumi zwiększył także przywilej *porto franco*, który otworzył statkom obcych bander dostęp do portu. Do Rady Miejskiej Batumi, jako jedynej na terenie Gruzji, wybrano

także mieszkających tam Polaków. Mogli dzięki temu uczestniczyć w podejmowaniu decyzji ważnych dla jego rozwoju [*Batum i jego okolicy, 1906*].

Ostatnie półtora stulecia w historii Batumi, to czas dynamicznego wzrostu znaczenia miasta, jako ważnego ośrodka gospodarczego Gruzji. Początkowo rozwijał się tam handel i przemysł naftowy, a wybudowanie linii kolejowej, ropociągu i rafinerii stanowiło uwieńczenie tego etapu. Z czasem powstały także inne gałęzie przemysłu – od maszynowego po rolno-spożywczy. Obecnie miasto stanowi jedno z trzech najważniejszych centrów politycznych i gospodarczych kraju – po Tbilisi i Kutaisi, a zamieszkuje je ponad 154 tys. osób (2016). Przemiany dokonujące się w Batumi najlepiej ukazują jego dynamiczny rozwój demograficzny – z około 3 tys. mieszkańców w 1878 r. do ponad 20 tys. w ostatniej dekadzie XIX w. Przed wybuchem I wojny światowej liczba ludności Batumi nadal rosła i dopiero wydarzenia z lat 1917-1921 zachwiały tym procesem. Toczące się wtedy walki z Turkami doprowadziły do dużych zniszczeń miasta i ucieczki części mieszkańców. W okresie radzieckim przywrócono dawną dynamikę rozwoju Batumi, które w roku wybuchu II wojny światowej liczyło prawie 71 tys. mieszkańców. Strukturę ludności w najbardziej interesujących nas początku XX w. można prześledzić dzięki cennemu rocznikowi z tego okresu, zawierającemu indeks nazwisk mieszkańców Batumi [*Wsieobszczaj adries. 1901*].

Wykorzystanie nadanego miastu statusu otwartego portu morskiego było możliwe po jego wybudowaniu. W pracach przy rozbudowie portu morskiego uczestniczył w ostatniej dekadzie XIX w. polski inżynier Eugeniusz Dymśa. Były to działania trudne, ponieważ Batumi nie posiadało naturalnych warunków (zatoka, ukształtowanie linii brzegowej) sprzyjających takiej inwestycji. Mimo to port został zbudowany i przyjmował największe statki pływające po Morzu Czarnym. Dekadę później jego miejsce zajął inżynier Aleksander Kuczewski, który w 1912 r. kierował pracami prowadzonymi w trzech portach czarnomorskich – Batumi, Poti i Suchumi. Dzięki tym inwestycjom zwiększyła się masa przeładowywanych w Batumi towarów, umożliwiając mu zajęcie drugiego miejsca po Odessie w rankingu portów czarnomorskich. Wpływ na to miały przeładunki towarów masowych – ropy naftowej i rud metali.

Po wybudowaniu linii kolejowej do Batumi w 1883 r. nasilił się także ruch pasażerski w porcie. Odtąd można było bowiem bezpiecznie i szybko dotrzeć przez Batumi do miast kaukaskich, w tym położonych nad Morzem Kaspijskim, a także leżących w Azji Środkowej, bez konieczności długiej podróży lądowej przez Rosję.

Dlatego nawet podróżnicy udający się do Indii wybierali Batumi, jako punkt rozpoczęcia swojej wyprawy.



W. Stachowski, Port w Batumi w XIX w.

Tak uczynił zaraz po oddaniu do użytku połączenia kolejowego Batumi z Tbilisi znany francuski geograf Pierre Gabriel Bonvalot (1853-1933), który w 1889 r. odbył podróż z Paryża przez Marsylię, Batumi i Tbilisi do Indii. Opisie tej podróży doczekał się licznych wydań i tłumaczeń, sławiać

na pierwszych stronach adżarską stolicę. Zacytujemy fragment polskiego tłumaczenia relacji Francuza: „Rankiem ósmego dnia mgliście rysuje się przed nami Batumi u stóp zalesionych pagórków, piętrzących się jeden nad drugim. Miasto nie jest jednak tak malownicze jak Trebizonda, która rozpościerała się kolidzie przed oczyma przybyszów. Batumi okazuje nam zaledwie pierwszy rząd swych domów, które stoją porządnie wzdłuż ulicy, jak przystało na nowoczesne miasto” [*Bonvalot, 1986:12-13*].

W grupie podróżników przybywających od końca XIX w. do Batumi było wielu Polaków, udających się do Gruzji. Od tego miasta rozpoczynali poznawanie tego kraju. Dlatego można powiedzieć, że batumski port i miasto stały się od końca XIX w. swoistą wizytówką Gruzji. Oznaczało to, że nieco wprowadzały w błąd przybyszy, którzy podobnie jak zacytowany wyżej G. Bonvalot, podkreślali w swoich relacjach nowoczesny charakter miasta, wszechobecny zapach przeładowywanej w beczkach ropy naftowej i intensywność życia mieszkańców skupionych na robieniu interesów i czerpaniu radości z życia.

Wcześniej od Gabriela Bonvalota poznał Batumi – pochodzący z polsko-niemieckiej rodziny Artur Leist, który był synem nauczyciela języka niemieckiego pracującego od 1886 r. w Tbilisi. Wielką zasługą jego ojca było przetłumaczenie *Rycerza w tygrysiej skórze* na język niemiecki. W swoim opisie Gruzji A. Leist opisał zarówno współczesne oblicze kraju i jego mieszkańców jak też dorobek literacki Gruzynów. W opisie Batumi zawarł podobne obserwacje jak Francuz [*Leist, 1885*].

Tempo zmian w Batumi było tak duże, że kolejny Polak, który dotarł tam kilkanaście lat po francuskim podróżniku (przebywał na Kaukazie w latach 1894-

1896), odmienne rozłożył akcenty w opisie Batumi. Edward Strumpf, bo o nim mowa, był studentem Cesarskiego Uniwersytetu Warszawskiego, który został zesłany na Kaukaz za udział w manifestacji politycznej. Interesował się głównie przyrodą kaukaską i został jednym z pierwszych badaczy akademickich kaukaskiej fauny i flory, broniąc w Dorpacie dysertację na jej temat. W swoim opisie Kaukazu przedstawił niezwykle ciekawe obserwacje dotyczące także historii i zwyczajów jego mieszkańców. Próbował zrozumieć mentalność Gruzinów, charakteryzując ich zachowania i cechy charakteru. Dodał wiele interesujących szczegółów do wcześniejszych opisów Batumi, ukazując jego dynamiczny rozwój. Lektura tego opisu dowodzi, że chociaż minęło zaledwie kilkanaście lat od zacytowanych wcześniej pierwszych opisów Batumi, to pojawiły się już liczne nowe elementy miejskiej infrastruktury warte odnotowania [*Strumpf, 1900*].

Polacy osiedlający się w Batumi od lat osiemdziesiątych XIX w. pozostali w nim do akcji repatriacyjnej zorganizowanej dla nich przez polskie władze w latach 1918-1924. Wnieśli istotny wkład w rozwój miasta, uczestnicząc w jego budowie oraz życiu gospodarczym i społecznym. Badanie tej aktywności wiąże polską obecność w Batumi z rozwojem Gruzji i Kaukazu pod koniec XIX w. Dlatego wskażemy kilka przykładów polskiej obecności. Na pierwszy plan wysuwa się wskazana wyżej budowa portu i rozwój przewozów związanych z przyłączeniem Batumi do Kolei Zakaukaskiej w 1883 r. Wybudowanie połączenia kolejowego do Batumi wymagało przeprowadzenia prac w trudnym, górskim terenie. Brali w nim udział polscy inżynierowie i technicy, którzy pracowali najpierw przy uruchomieniu połączenia kolejowego, a potem zajmowali się jego obsługą. Na szczególną uwagę zasługuje zaangażowanie w budowę odcinków Kolei Zakaukaskiej do Poti i Batumi inżyniera Bronisława Statkowskiego. Ten znakomity specjalista opracował wcześniej nie zrealizowany projekt połączenia Tbilisi z Władykaukazem przez góry wysokiego Kaukazu. Także w zachodniej Gruzji konieczne było wybudowanie mierzącego cztery wiorsty tunelu na znajdującej się ponad tysiąc metrów nad poziomem morza przełęczy suramskiej, co było dziełem inżyniera Ferdynanda Rydzewskiego. Współpracowali z nim inżynierowie Aleksander Strakowski i Tyszka. Linię kolejową z Tbilisi do Karsu budował inżynier Kazimierz Elżanowski. Warto podkreślić, że te niezwykle dokonania polskich inżynierów nie zawsze były dobrze oceniane i nagradzane przez rosyjskie władze. W wielu przypadkach szukano pretekstów do łamania ich karier i karania ich pod byle pretekstem [*Furier, 2009:290-299*].

Opisując wkład polskich inżynierów w rozwój Batumi należy przywołać nazwiska dwóch Polaków, którzy mieszkali w Tbilisi – Teodora Balukiewicza i Franciszka Strzemeskiego. Ich działalność była związana z otwartymi w 1883 r. w tym mieście Centralnymi Warsztatami Kolei Zakaukaskiej, ale bezpośrednio przekładała się na dynamiczny rozwój Batumi. Dzięki pracy obu inżynierów wprowadzono najnowocześniejsze w skali światowej rozwiązania techniczne usprawniające ruch kolejowy na Kaukazie. Obejmowały one nowoczesne środki łączności i trakcji. Na Kaukazie jeździły także budowane przez inżyniera Stanisława Kierbedzia parowozy oraz wagony różnych typów. Rozwiązaniem pionierskim było zastosowanie po raz pierwszy na trasie z Baku do Poti (a potem także do Batumi) wagonów specjalnych do przewozu ropy naftowej, czyli cystern. Wcześniej ropę transportowano w beczkach, co ograniczało wielkość przewozów. O doskonałości tego rozwiązania świadczy to, że nawet po wybudowaniu dwie dekady później ropociągu na tej trasie, cysterny pozostały nadal w użyciu [*Łopuszański, 1926:239-240*].

Budowa ropociągu z Baku do Batumi była zadaniem niezwykle trudnym ze względu na odległość i ukształtowanie terenu. Dlatego zarówno prace projektowe, jak też realizacja poszczególnych odcinków wymagały dużych umiejętności. W pracach tych uczestniczyło duża grupa polskich inżynierów, których nazwiska (Bacewicz, Sokołowski), wymienił w swoich wspomnieniach inżynier Tadeusz Wyganowski. W relacji tego polskiego budowniczego ropociągu do Batumi sporo miejsca poświęcono opisaniu terenów, na których prowadzono prace. Wspomnienia pokazują wielkie wrażenie jakie na Polaku zrobiło piękno ziem gruzińskich, ich przyrody i zachowanie mieszkańców. Wspomnienia opublikowano w Warszawie kilka lat po otwarciu ropociągu, przez co miały dla Polaków wartość aktualnej informacji o rozwoju Kaukazu na początku XX w. [*Wyganowski, 1907*].

Polscy kolejarze obsługiwali linie kolejowe w zachodniej Gruzji, w tym prowadzące do Poti i Batumi, gdzie zajmowali często kierownicze stanowiska. Przykładem jest kariera Bronisława Monkiewicza, który został mianowany naczelnikiem stacji w Batumi. Przyjmowała ona największą na terenie Gruzji liczbę ładunków, co wymagało dobrej organizacji prac i właściwego nadzoru. Analiza struktury zatrudnienia Polaków mieszkających w guberni kutańskiej w 1897 r. pozwala stwierdzić, że polscy kolejarze stanowili po wojsku, administracji i służbie domowej czwartą grupę zawodową liczącą 64 osoby [Mądzik, 1987:38].

Wobec konfesyjnego zróżnicowania polskiej kolonii w Batumi ważne znaczenie dla jej integrowania miały działania kulturalne. Organizowane były sporadycznie imprezy i wydarzenia o charakterze rozrywkowym. Większość występujących gościnnie na Kaukazie artystów i zespołów teatralnych odwiedzała po Tbilisi także Batumi. Zamożność tamtejszych Polaków zapewniała pełną frekwencję na wszystkich imprezach. Rzadziej trafiali tam na stałe przybywający do Gruzji wybitni



**Tablica pamiątkowa
Z. Waliszewskiego w Batumi**

polscy artyści. Jednak kilku Polaków znalazło się tam już w okresie budowy portu. Jednym z nich był Władysław Ignacy Stachowski – urodzony w 1852 r. w Kubie syn zesłańca Karola Stachowskiego. Od 1879 r. studiował malarstwo w petersburskiej Akademii Sztuk Pięknych, gdzie zdobył srebrny medal za obrazy o tematyce morskiej. Wrócił potem do Tbilisi, gdzie pracował jako nauczyciel rysunku w najlepszych szkołach. Z tego

okresu pochodzą obrazy przedstawiające Batumi, z których jeden przechowuje po dzień dzisiejszy tamtejsze muzeum [*Polski Słownik Biograficzny, 2002:342-343*].

Drugim znanym polskim malarzem, który trafił do Batumi na początku XX w. był Zygmunt Waliszewski, który z powodu choroby ojca przeniósł się z rodziną po rewolucji 1905 r. na Kaukaz, gdzie do roku 1909 mieszkał w Batumi. Pracował tam wspólnie z siostrą Walerią w miejscowej Szkole Rysunku i Malarstwa. W ostatnim czasie władze Batumi upamiętniły Polaka przez wmurowanie tablicy na domu przy ulicy Gogebaszwili 22 [*Krymska, 1984:43-44*].

Dynamiczny rozwój Batumi na początku XX w. przyciągał ludzi przedsiębiorczych i zdolnych organizatorów. Trafiali tam także przedstawiciele wolnych zawodów – lekarze, nauczyciele. W życiu polskiej kolonii w Batumi



Maria Świszczewska

własną kartę zapisała nauczycielka Maria Świszczewska, która wykorzystując posiadane talenty występowała w organizowanych na terenie miasta przedstawieniach teatralnych. Dobrze zapamiętany został lekarz Władysław Żyliński [*Furier, 2009, s. 315-320*].

Aktywności grupy polskiej w Batumi dowodzi to, że jako jedyna na ziemiach gruzińskich, obok tbiliskiej, potrafiła stworzyć przed rewolucją 1917 r. własną organizację służącą kultywowaniu tradycji narodowych. Wzorując się na działającym od 1907 r. w Tbilisi Stowarzyszeniu „Dom Polski”, dwa lata później działacze polonijni powołali podobną organizację w Batumi [*Furier, 1991:211-222*]. Wielką zasługę miał w tym inżynier Józefa Panasewicz, który wcześniej mieszkał w Tbilisi. Jeden z jego synów w Batumi poznał morze, które tak pokochał, że ukończył petersburską Szkołę Morską [*Furier, 2009:328-353*].

W ostatniej dekadzie XIX w. często organizowano w Batumi polskie bale dobroczynne i imprezy okolicznościowe, które integrowały Polaków. Przykładem był bal zorganizowany pod koniec 1908 r. przez Marię Strumpf i Józefa Panasewicza, w czasie którego zebrano środki dla miejscowego kościoła katolickiego. Ofiarność Polaków była duża, bo jak donosił korespondent petersburskiego „Kraju” potrafili w czasie takiej imprezy zebrać więcej pieniędzy niż wszyscy Polacy w innych miastach kaukaskich. Dla nas wspomniany bal był ważny także dlatego, że prawdopodobnie wtedy uzgodniono potrzebę stworzenia własnej organizacji w Batumi. W tym celu kilka miesięcy później złożono w urzędach odpowiednie dokumenty, co doprowadziło do zatwierdzenia statutu organizacji przez władze 19 marca 1909 r. Dwa tygodnie później, 4 kwietnia, w miejscowym teatrze odbyło się uroczyste zebranie organizacyjne z udziałem sześćdziesięciu osób, na którym wybrano władze, czyli zarząd i komisję rewizyjną Stowarzyszenia „Dom Polski” w Batumi. Na czele organizacji stanął znany w mieście Józef Panasewicz. Bardzo szybko z darów powstała posiadająca tysiąc tomów polska biblioteka z czytelnią i szkołką, która funkcjonowała do wybuchu wojny w 1914 r. Wydarzenia te zrelacjonował obszernie petersburski „Kraj” [*Kolonje Polskie w Cesarstwie „Kraj” 1909, nr 3 z 23stycznia/5 luty, s. 12-13; nr 16 z 24 kwiecień/ 7 maj, s. 10*].

Ośrodkami skupiającymi polskie kolonie na ziemiach gruzińskich w XIX w. były kościoły katolickie, ale w Batumi początkowo brakowało takiej świątyni. Grupa polska w tym mieście była najbardziej na terenie Gruzji zróżnicowana wyznaniowo – około 65% stanowili katolicy, gdy w innych miastach było to ponad 95%. Mimo to pod koniec stulecia ponad pół tysiąca Polaków potrzebowało tam posługi dusz-

pasterskiej. Dlatego ważne znaczenie miało dla nich uzyskanie możliwości sprawowania obrzędów religijnych. Polacy należący do Kościoła Rzymskokatolickiego zabiegali o utworzenie w Batumi parafii, a w 1887 r. wybudowali na własny koszt w mieście kaplicę. Posługę sprawował w niej wywodzący się z pobliskiego Achalkalaki ksiądz Anzelm Mgebrow (1854-1918). W związku z tym, że nie był Polakiem poważną trudność sprawiała mu komunikacja z parafianami tej narodowości. Problem był bardzo poważny i dlatego podnoszono go w korespondencji z biskupem i na łamach polskich czasopism, gdzie proponowano jego rozwiązanie przez wprowadzenie dojeżdżających kapłanów znających język polski. Rozwiązanie wzorowano na działających w Korpusie Kaukaskim kapłanach wojskowych; nie uzyskało akceptacji władz [Bogusławski, 1898:9-10].

Ksiądz A. Mgebrow był administratorem parafii w Gori i dlatego nie mógł poświęcać zbyt wiele czasu obowiązkom na terenie Batumi. Jego praca była dobrze oceniana przez biskupa miejsca, czego dowodzi to, że w 1892 r. został skierowany do Batumi, gdzie powierzono mu dzieło zorganizowania tam parafii rzymskokatolickiej. Realizacja tego zadania była trudna ponieważ wielonarodowa wspólnota wiernych miała zróżnicowane oczekiwania. Dlatego wielką pomocą okazało się wsparcie jakie ks. A. Mgebrow otrzymał od znanej rodziny gruzińskich katolików Zubalaszwili. Po trwających prawie dekadę zabiegach w Batumi został wybudowany kościół, który w maju 1903 r. konsekrował pod wezwaniem Narodzenia Najświętszej Marii Panny biskup Edward Ropp. Stefan Zubalaszwili wsparł finansowo budowę neogotyckiego kościoła, który szybko został uznawany za największy i najpiękniejszy kościół katolicki na Kaukazie. Cele tego działania opisali badacze historii batumskiej parafii. Ksiądz A. Mgebrow pełnił obowiązki proboszcza batumskiej parafii do 1907 r. Potem wyznaczono tam kolejnych kapłanów nie Polaków, co utrudniało kontakty z nimi. A stanowili wówczas połowę wiernych. Parafia bowiem do wybuchu I wojny światowej liczyła około tysiąca osób [*Cziczinadze, 1903; Chmielecki, 1998:247-254; 350*].

W czasie I wojny światowej nastąpiła ogromna aktywizacja społeczna i polityczna Polaków mieszkających na Kaukazie. Szczególne miejsce zajmowały w tych procesach ziemie gruzińskie, na których mieszkało najwięcej Polaków. Dwa ośrodki odgrywały tu wiodącą rolę – pierwszym było Tbilisi, gdzie mieściła się siedziba namiestnika i centralne urzędy kaukaskie, a drugim Batumi, pełniące rolę kaukaskiego okna na świat. Oba miasta skupiały najliczniejsze polskie kolonie na ziemiach gruzińskich. Dodajmy dla uściślenia, że w niektórych okresach liczniejsze były

skupiska Polaków-wojskowych w garnizonach takich jak Manglisi, jednak ze względu na obowiązujące regulacje prawne Polacy-wojskowi nie mogli przejawiać tak dużej aktywności społecznej jak cywile. Stąd wiodąca rola Tbilisi i Batumi w organizowaniu życia kulturalnego i politycznego Polaków. Aktywizacja środowisk żołnierskich nastąpiła dopiero w 1917 r. – po wybuchu rewolucji rosyjskiej.

Walki toczone w czasie I wojny światowej na froncie kaukaskim były bardzo zacięte, bo był to jeden z ważniejszych strategicznie obszarów. Panowanie nad ziemiami gruzińskimi zapewniało dostęp do bakijskich złóż ropy naftowej i gruzińskich złóż rudy manganu, czyli surowców koniecznych do prowadzenia wojny. Transportowano je przez port batumski, dlatego właśnie tam docierały kolejne oddziały wojsk mocarstw interweniujących na Kaukazie. Dzięki temu w Batumi najwcześniej dowiadzano się o zmianach politycznych, a nawet toczono tam rozmowy polityczne dotyczące przyszłości Gruzji. Dokonujące się przemiany polityczne wskutek rewolucji rosyjskiej niosły ogromne zagrożenie dla Polaków, których duża grupa pracowała w rosyjskim aparacie państwowym i wojsku. Kryzys wojenny dotknął zresztą także przedsiębiorców i przedstawicieli wolnych zawodów. Dlatego już w latem 1917 r. w Tbilisi odbył się Zjazd Polskich Organizacji na Kaukazie, z udziałem delegacji Polaków mieszkających w Batumi. Zjazd poprzedziły wybory 46 przedstawicieli, którzy zebrali się w dniach 20-25 sierpnia 1917 r. w gmachu Tyfliskiego Kółka Artystycznego. Obradom reprezentantów 26 organizacji polskich z Kaukazu przewodniczył Tadeusz Krzyżanowski, który stanął na czele Komitetu Wykonawczego Polskiej Rady Okręgowej na Kaukazie (w dokumentach określana była początkowo jako Polska Rada Narodowa). Zjazd poparł dążenia niepodległościowe wszystkich narodów kaukaskich z Gruzinami na czele. Zaapelowano do rządu rosyjskiego o jasną deklarację w sprawie niepodległości Polski, popartą przez mocarstwa koalicyjne. Nakreślono plan działań na przyszłość. Informacje przekazywane o tym wydarzeniu przez prasę wzmocniły znaczenie tego wydarzenia – integrującego polską grupę na Kaukazie [*„Tiflisskij Listok”, № 184 z 18 sierpnia 1917; №185 z 19 sierpnia 1917; №189 z 24 sierpnia 1917, №191 z 26 sierpnia 1917*].

Ważne znaczenie dla kaukaskich Polaków miał także zwołany w grudniu 1917 r. do Tbilisi Zjazd Wojskowych Polaków na Kaukazie, w którym wzięli udział przedstawiciele garnizonów z największą liczbą żołnierzy-Polaków służących w armii rosyjskiej. Byli w tym gronie także przedstawiciele wojskowych z Batumi, gdzie Zjazd umieścił siedzibę jednego z komisarzy Wydziału Mobilizacyjnego. Miał się on zajmować rekrutacją do polskich oddziałów wojskowych, które zamierzano


stworzyć. Na czele powołanych wtedy wydziałów Związku Wojskowych Polaków stanęli generałowie: Antoni Błęszyński, Ignacy Kuczewski i podpułkownik Romuald Makarewicz. Działania te doprowadziły do utworzenia Samodzielnej Polskiej Brygady na Kaukazie, która poparła Gruzinów w okresie budowania niepodległej Demokratycznej Republiki Gruzjińskiej w 1918 r. [*Kowalski, 1996:16*].

Pobyt dużej, bo liczącej w szczytowym okresie około 30 tys. osób, grupy Polaków na Kaukazie, miał charakter wymuszony. Był on następstwem rozbiorów i przyłączenia pod koniec XVIII w. dużej części terytorium Rzeczypospolitej do Cesarstwa Rosyjskiego. Następstwem tych działań była realizowana konsekwentnie przez władze rosyjskie w wieku XIX polityka represji wobec mieszkańców ziem polskich. Miała ona zróżnicowane oblicze – zsyłania sprzeciwiających się rosyjskiemu panowaniu Polaków na Kaukaz pod straż lub do służby wojskowej, pobór do oddziałów stacjonujących na Kaukazie młodych mężczyzn z ziem polskich, wysyłanie tam polskich specjalistów do wykonywania aktualnie realizowanych przez Rosję działań. Działania te miały podwójny cel – z jednej strony osłabiały siłę polskiego oporu wobec Rosji, a z drugiej wykorzystywały pracę Polaków do umacniania rosyjskiego panowania na Kaukazie. Batumi było miejscem do którego trafiła w interesującym nas okresie wielotysięczna grupa Polaków. W związku z tym, że tamtejszy port umożliwiał najszybsze skomunikowanie z Europą stało się ono także ostatnim etapem kaukaskiego okresu w życiorysach większości Polaków mieszkających na Kaukazie.

Po odzyskaniu przez Polskę niepodległości 11 listopada 1918 r. jednym z najważniejszych zadań polskich władz było podjęcie działań mających na celu ułatwienie powrotu do ojczyzny Polakom przebywającym za granicą. W związku z tym, że Polacy trafiali jako poborowi do wszystkich armii walczących w I wojnie światowej, za pierwszoplanowe uznano działania, których celem było uwolnienie ich z obozów jenieckich. Dlatego już w dniu odzyskania niepodległości utworzono Urząd do spraw Jeńców, który w grudniu tego roku został przekształcony Państwowy Urząd do spraw Powrotu Jeńców, Uchodźców, i Robotników (tzw. JUR). Zmieniał on potem kilka razy nazwę, ale niezmienny pozostał cel działalności – umożliwienie rodakom powrotu do Polski. Na rozległych terenach Rosji powstały przedstawicielstwa tej instytucji, które z wielkim uporem, niekiedy w skrajnie trudnych warunkach, organizowały wyjazdy do kraju Polaków. Ta wielka akcja o charakterze ratunkowym objęła w latach 1918-1924 Kaukaz. W związku z trwającą wojną domową w Rosji i wybuchem wojny polsko-bolszewickiej w 1920 r., szczególną rolę

odegrało w tych działaniach Batumi. Miasto umożliwiało wyjazd do kraju z pominięciem terenów objętych walkami. Dlatego przez port batumski od roku 1919 Polacy wyruszali w drogę do Polski. Szczyt tej repatriacji przypadł na rok 1920, gdy wyjechało do Polski 25 897 Polaków. Początkowo wykorzystywano statki obcych bander, które płynęły do portów zachodniego wybrzeża Morza Czarnego drogą okrężną – przez Stambuł. Potem wysyłano do Batumi także polskie statki, jak liniowiec „Polonia”, które bezpośrednio dowoziły Polaków do portów rumuńskich, skąd koleją wracali do Polski *[Mądzik, 1987:154-176]*.

Po powrocie do ojczyzny Polacy z Batumi włączali się w odbudowę kraju zniszczeń wojennych i pracę dla swojego kraju. Przykładów takich karier jest wiele,



Polacy na statku „Polonia”

ale my wymienimy jedną związaną z morzem. Urodzony w 1875 r. syn założyciela batumskiego „Domu Polskiego” Józefa Panasewicza i Adeli ze Skokowskich – Witold Panasewicz, ukończył w Petersburgu Szkołę Morską i został oficerem marynarki wojennej. Walczył w czasie I wojny światowej jako oficer floty rosyjskiej. Po wojnie powrócił do Polski i wstąpił do utworzonej 28 listopada 1918 r. polskiej Marynarki Wojennej. Przyczynił się do jej powstania i był jednym z najwyższych dowódców w pierwszej dekadzie istnienia – kierował portami w Pucku i Gdyni, był komendantem Szkoły Oficerskiej Marynarki Wojennej w Toruniu. W 1927 r. wystąpił z

wojska i jako kapitan żeglugi wielkiej dowodził statkami polskiej marynarki handlowej. Przeżył szczęśliwie okupację niemiecką i mimo podeszłego wieku po wojnie zaangażował się w odbudowę polskiej floty. Pod koniec życia przeniósł się do syna mieszkającego w USA, gdzie zmarł w 1959 r *[Polski Słownik Biograficzny, 1980:111-112]*.

O szybkim wzroście znaczenia Batumi od końca XIX w. decydowało zarówno położenie przy granicy z Turcją, jak też port morski umożliwiający bezpośredni kontakt ze światem. Dla Polaków Batumi miało w tym okresie dwojakie znaczenie – gospodarcze i polityczne. Plany włączenia tego terenu do walki niepodległości nie powiodły się, ale znacznie trwalsze ślady pozostawili Polacy w najnowszej historii

Batumi. Ukazaliśmy wyżej polski wkład w rozbudowę miasta i wykorzystywanie możliwości przeładunkowych portu, które zwielokrotniło wybudowanie najpierw połączenia kolejowego z Baku przez Tbilisi, a dwie dekady później ropociągu w 1906 r. Dzięki temu port zwiększył liczbę obsługiwanych statków związku z tym, że transportowane przez Batumi surowce kopalne miały znaczenie strategiczne, zainteresowały się nimi mocarstwa walczące w I wojnie światowej. Doprowadziło to do ich interwencji militarnej. Dlatego znaczenie Batumi w XX wiecznej historii Gruzji i Kaukazu wykracza daleko poza gospodarkę, bo dotyka wielkiej, globalnej polityki. Nie ma przesady w stwierdzeniu, że Batumi odegrało kluczową rolę we wprowadzeniu Gruzji do polityki globalnej w okresie I wojny światowej. Można więc powiedzieć, że miasto stało się bramą do Gruzji i Kaukazu, którą pozostaje po dzień dzisiejszy [*Materski, 1994*].

Bibliography:

- Batum i jego okriestnosti, Batum, 1906;**
Bogusławski, 1898: – Bogusławski W., O Diecezji Tyraspolskiej „Kraj” nr 3 z 17/29 stycznia s. 9-10;
Bonvalot, 1986: – Bonvalot G., Przez Kaukaz i Pamir do Indii, Łódź,
Chmielecki, 1998: – Chmielecki T.T., Gruziński katolicyzm w XIX i na początku XX wieku w świetle archiwów watykańskich, Toruń,
Cziczinadze, 1903: – Cziczinadze Z., Katoliketa eklesia batumszi, Tbilisi,
Furier, 1991: – Furier A., Polskij Dom w Tiflisie "Litieraturnaja Gruzija", nr 2, s. 211-222;
Furier, 2009: – Furier A., Polacy w Gruzji, Warszawa,
Furier, 2010: – Furier A., Turcja i Kaukaz w polskich planach politycznych od końca XVIII do połowy XIX wieku, w: Polska i sąsiedzi. Studia z dziejów kultury, gospodarki i myśli politycznej. Księga pamiątkowa ofiarowana profesorowi Marianowi Mrocze w 70. rocznicę urodzin, pod red. M. Hejgera i W. Skóry, Pruszcz Gdański – Słupsk,
Gwelesiani, 1955: – Gwelesiani G.G., Kłopotowskij B.A., Gruzinaksja SSR Fiziko-geograficzeskij i ekonomiczesko-geograficzeskij oczerki, Moskwa,
Kazbegi, 1875: – Kazbegi G., sami twe turketis sakarthweloszi, Tbilisi,
Kolonje Polskie: w Cesarstwie „Kraj” 1909, nr 3 z 23stycznia/5 luty, s. 12-13; nr 16 z 24 kwiecień/ 7 maj, s. 10;

Kowalski, 1918: – Kowalski Z.G., Materiały historii Polskiej Oddzielnej Brygady na Kaukazie 1917-1918 w Centralnym Archiwum Wojskowym „Biuletyn Archiwalno – Historyczny CAW”, 1996, nr 16;

Krymska, 1984: – Krymska J., Zygmunt Waliszewski, Warszawa,

Leist, 1885: – Leist A., Szkice z Gruzji, Warszawa,

Łopuszański, 1926: – Łopuszański W., Z historii budowy parowozów i kolejnictwa w Rosji. Wspomnienia z 41-letniej służby kolejowej w Rosji „Inżynier Kolejowy” nr 8-9, s. 239-240;

Materski, 1994: – Materski W., Georgia rediviva. Republika Gruzjińska w stosunkach międzynarodowych 1918-1921, Warszawa,

Mądzik, 1987: – Mądzik M., Działalność społeczno-kulturalna i polityczna Polaków w Gruzji na przełomie XIX i XX wieku, Lublin,

Morawska, 2006: – Morawska W., Szablowska S., Wojny rosyjsko-tureckie od XVIII do XX wieku, Warszawa,

Panasewicz, 2005: – Panasewicz Witold, biogram napisany przez R. Mielczarek, J. Pertek, Polski Słownik Biograficzny, t. XXV/1, z. 104, Warszawa – Gdańsk 1980, s. 111-112;

Pirweli, 2002: – M., Miasto gruzińskie w świetle europejskiej i orientalnej koncepcji urbanistycznej, Warszawa,

Strumpf, 1900: – Strumpf E., Obrazy Kaukazu. Kartki z podróży, Warszawa,

Stachowski, 2002: – Stachowski Władysław, biogram napisany przez R. Biernacka, Polski Słownik Biograficzny, t. XLI/3, z. 170, Warszawa – Kraków, s. 342-343;

„Tiflisskij Listok” – nr 184 z 18 sierpnia 1917; nr 185 z 19 sierpnia 1917; nr 189 z 24 sierpnia 1917, nr 191 z 26 sierpnia, 1917;

Wsieobszczaj adries, 1901: – Wsieobszczaj adries, Jeżegodnik goroda Batuma na 1902 god, izd. N. Nikoladze, god I, Batum,

Wyganowski, 1907: – Wyganowski T., Wspomnienia z Kaukazu, Warszawa,

ანჯეი ფურიერი (შჩეცინი, პოლონეთი)

პოლონელები ბათუმის უახლეს ისტორიაში

რეზიუმე

ბათუმი არის ხანგრძლივი ისტორიის მქონე ქალაქი, მაგრამ რეალური მნიშვნელობა მან XIX საუკუნის ბოლოს შეიძინა. ის აშენდა 1878 წლის შემდეგ, როდესაც აჭარის ეს ნაწილი თურქებს წაართვეს. მას შემდეგ ქალაქსა და მის პორტს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართულ ქალაქებს შორის.

მოცემული სტატია არის მცდელობა - წარმოაჩინოს პოლონელების ყოფნა ბათუმში, მათი კავშირი ქალაქის და მისი პორტის განვითარებასთან XIX საუკუნის ბოლოდან 1921 წლამდე. აღნიშნულ პერიოდში ათასზე მეტი პოლონელი ბათუმის მუდმივი მაცხოვრებელი იყო.

ბათუმის მნიშვნელობა საქართველოსა და კავკასიის უახლეს ისტორიაში სცილდება ეკონომიკის სფეროს და შეხებაშია დიდ გლობალურ პოლიტიკასთან. ქართული სახელმწიფოებრიობისადმი არსებული დიდი საფრთხის პერიოდში, სწორედ ბათუმის გავლით გადაწყდა საქართველოს ევაკუირებული ხელისუფლების მიგრაცია. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგაც პოლონელები სამშობლოში ბათუმის პორტში მყოფ გემებზე ჩასხდნენ. მანამდე კი მათ დიდი როლი ითამაშეს ბათუმის მუნიციპალიტეტის და კომუნიკაციის ინფრასტრუქტურის განვითარებაში ქალაქის საბჭოს მუშაობაში მონაწილეობის გზით.

სტატიაში საუბარია ბათუმში არსებული პოლონური კოლონიის ორ ყველაზე მნიშვნელოვან წევრზე: მხატვარ ზიგმუნდ ვალისცევსკიზე და ინჟინერ ჟოზეფ პანაისევიცზე. პირველმა დატოვა არაერთი ტილო შთაგონებული ბათუმში ცხოვრებით, მეორემ კი შექმნა „პოლონური სახლი“ 1909 წელს. სტატიაში საუბარია სხვადასხვა დარგის კიდევ რამდენიმე წარმომადგენელზე, რომლებმაც წვლილი შეიტანეს ბათუმის განვითარებაში წარსულში. პოლონელებმა ასევე მონაწილეობა მიიღეს ღვთისმშობლის სახელობის კათოლიკური ეკლესიის მშენებლობაში, რომლის დამფუძნებელი იყო სტეფანე ზუბალაშვილი.

Andrzej Furier (Szczecin, Poland)

Poles in the Recent History of Batumi

Summary

Batumi is a city with a long history, but it came to real importance only towards the end of the XIX century. It was built after 1878 when this part of Adjara was captured from Turks. Since then, the city and its port occupy an exceptional place among the Georgian cities. The paper is an attempt at presenting the Polish presence in Batumi, connected with the development of the city and its port since

the end of the XIX century until 1921. At that time over thousand Poles were Batumi's permanent residents.

The importance of Batumi in the recent most history of Georgia and the Caucasus goes far beyond the economy and touch the great global politics. During the times of greatest danger to the Georgian statehood it was through Batumis that thouse decided to migrate evacuated. The Poles returning to their country after the regaing independence in 1, also boarded the ships in Batumi. Prior to that they have played an important role in the development of Batumi's municipal and communication infrastructure by participating in the work of the City Council.

The paper recalls the names of the two most important members of the Polish colony in Batumi, the painter Zygmunt Waliszewski and the engineer Józef Panasiewiczza. The first one left many paintings inspired by his life in the city, commemorated by his memorial plate. The second one created the "Dom Polski" Association (" Polish Home" Association) set up in the city in 1909. The paper also mentions several representatives of various trades who contributed to the past developments of Batumi. Also, the Poles participated in the construction of the city Catholic Church of the Birth of the Virgin Mother of God, whose chief founder was Stefan Zubalashvili.

ბათუმის გეოგრაფიული მდებარეობის სამეურნეო შეფასება

ნებისმიერ ქვეყანას, რეგიონსა და დასახლებულ პუნქტს გააჩნია გეოგრაფიული მდებარეობა. შესაბამისად, გეოგრაფიული მდებარეობა შეიძლება იყოს ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეკონომიკურ-გეოგრაფიული. ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა მყარია და იგი არ იცვლება, ხოლო ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა საზოგადოებრივი კატეგორიაა, რომელიც შეიძლება გაუმჯობესდეს ან გაუარესდეს. ტერმინის ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის ფუძემდებლის პროფესორ, ნიკოლოზ ბარანსკის მიხედვით ქვეყნის ეკონომიკური განვითარება ბევრად განისაზღვრება მისი გეოგრაფიული მდებარეობით *[Баранский, 1960:5-9]*.

წინამდებარე კვლევის ძირითადი მიზანია შეფასდეს ბათუმის გეოგრაფიული მდებარეობის ძირითადი მახასიათებლები და დადინდეს მისი როლი მეურნეობის განვითარების საქმეში. საკითხი საკმაოდ აქტუალურია იმ თვალსაზრისით, რომ ბათუმს განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობა გააჩნია, რომლის პოტენციალი ჯერ კიდევ სრულყოფილად არ არის გამოყენებული. გამომდინარე აქედან, კვლევის აქტუალობა ეჭვს არ იწვევს, ხოლო დასახული მიზნის მისაღწევად საჭიროა შემდეგი ამოცანების გადაჭრა:

- ა) შეფასდეს ბათუმის გეოგრაფიული მდებარეობის ძირითადი მახასიათებლები;
- ბ) დადგინდეს ბათუმის ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის როლი მეურნეობის განვითარების საქმეში;
- გ) გამოიკვეთოს ბათუმის ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის ძირითადი ელემენტები და მათი როლი მეურნეობის განვითარების საქმეში;
- დ) შეფასდეს ბათუმის გეოგრაფიული მდებარეობის სამეურნეო გამოყენების თანამედროვე მაჩვენებლები;
- ე) განისაზღვროს ბათუმის გეოგრაფიული მდებარეობის სამეურნეო გამოყენების პერსპექტივები და დაისახოს მისი შედგომი გამოყენების გზები.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს ქალაქ ბათუმის თანამედროვე ადმინისტრაციულ საზღვრები და მიმდებარე ტერიტორიები, რომლებიც მოქცეული არიან ბათუმის სამეურნეო საქმიანობის არეალში. კვლევაში გამოყენებული

იქნა ისტორიული, შედარებითი, კარტოგრაფიული, სტატისტიკური, სივრცე – დროის ანალიზის და სხვა მეთოდები. საკითხი საქართველოსა და აჭარის მაგალითზე ზოგადად არის შესწავლილი *[ნეიძე, 2003: 13-26; ფუტყარაძე, 2001: 5-7]*. მაგრამ კონკრეტული ქალაქის მაგალითზე განხილული არ არის, რაც კვლევის სიახლესაც წარმოადგენს.

ბათუმის ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის თავისებურება ისაა, რომ იგი მდებარეობს ჩრდილო ნახევარსფეროს საშუალო განედების ზონაში, კერძოდ ევროპისა და აზიის სასაზღვრო ზონის, კავკასიის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. მსხვილი ფიზიკურ-გეოგრაფიული ერთეულების, დასავლეთიდან შავი ზღვის და ჩრდილოეთიდან კავკასიის მთების ბუნებრივი ბარიერის შედეგად ჩამოყალიბებულია ტენიანი სუბტროპიკული ჰავა.

ბათუმს საინტერესო გეოგრაფიული კოორდინატები გააჩნია, რომელიც მდებარეობს ერთნაირი სიდიდის გრძედისა და განედის გადაკვეთაზე ჩ.გ. $41^{\circ}38'45''$ და ა.გ. $41^{\circ}38'30''$. ამგვარი კოორდინატები დასახლებული პუნქტისათვის იშვიათობას წარმოადგენს, მით უმეტეს სანაპირო ქალაქისათვის, რომელსაც სატრანსპორტო და რეკრეაციული მნიშვნელობა გააჩნია. აღნიშნული ღირსშესანიშნაობა უყურადღებოდ არ დარჩენილა ოსმალეთის იმპერიაში და მათი ინციატივით ბათუმში მდგარი თურქების ჯარის ციხის კონცხთან 1863 წელს ააგეს შუქურა. 1878 წელს ბათუმში რუსეთის იმპერიას გადაეცა. მათი დაკვეთით ფრანგებმა 1882 წელს ააგეს 21 მეტრის სიმაღლის რვაკუთხა ქვის ნაგებობა. ერთი წლის შემდეგ შუქურას ოპტიკური აპარატი დამონტაჟდა, რომლის დანახვაც შესაძლებელია 16 მილის დაშორებით. ბათუმის შუქურას თანამედროვე პერიოდში საზღვაო ნავიგაციის და ტურისტულ-რეკრეაციული დანიშნულება გააჩნია.

ბათუმის ფიზიკურ - გეოგრაფიული მდებარეობის სამეურნეო მნიშვნელობა ისაა, რომ იგი განლაგებულია ტენიან სუბტროპიკულ ზონაში, სადაც საშუალო წლიური ტემპერატურა $+14,5^{\circ}$ -ია. ბათუმი, ყოფილ საბჭოთა კავშირში, უცივეს თვეში ყველაზე თბილი ქალაქი იყო, სადაც იანვრის საშუალო ტემპერატურა $+ 7,1^{\circ}$ -ია. ბათუმის კლიმატს განსაკუთრებული მნიშვნელობა ტურისტული მეურნეობის განვითარების საქმეში აქვს. ბათუმში მთელი წლის განმავლობაში ტურიზმის სხვადასხვა სახე ფუნქციონირებს, ხოლო საზღვაო ტურიზმის მიმართულებით აღმოსავლეთ ევროპაში უმსხვილესი ცენტრია. აჭარაში ტურისტების საშუალო რაოდენობა 450 ათას აღემატება. ჩვენი გაანგარიშებით *[ფუტყარაძე, ხორავა, გორგილაძე, 2016: 513-516]*, აჭარაში საზღვაო ტურისტების საერთო რაოდენობა 255 ათას აღემატება, აქედან 66,7%

ბათუმის პლაჟებზე მოდის. აჭარაში რეკრეაციული დანიშნულების პლაჟების საერთო სიგრძე 31,1 კმ-ია, აქედან ბათუმის პლაჟებზე 13,6 კმ მოდის. აჭარაში ყველა პლაჟის ტურისტთა ერთდროული მიღების პოტენციალი 240680 ტურისტია, აქედან ბათუმის პლაჟებს შეუძლია მიიღოს 90670 ტურისტი. აჭარის პლაჟებზე ტურისტების ერთდროული დატვირთვა არ აღემატება 33,4%, მაგრამ ბათუმის პლაჟებზე პიკის პერიოდში ეს მაჩვენებელი მაღალია, განსაკუთრებით ცენტრალური ბულვარის მიმდებარე პლაჟებზე, რომელიც 89%-ს აღემატება. მოტანილი მონაცემები ცხადყოფს, რომ ბათუმში ტურიზმის განვითარებისათვის არის მნიშვნელოვანი ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბათუმის გონიო-კვარიათის რეკრეაციული ზონის ფიზიკურ-გეოგრაფიული მონაცემები მსოფლიოში უნიკალურია, სადაც ერთმანეთთანაა შერწყმული ზღვისა და მთის ლანდშაფტები, რის შედეგადაც იქმნება ეგზოტიკური პეიზაჟი, რამაც მოკლე პერიოდში საერთაშორისო მნიშვნელობა შეიძინა. გამომდინარე აქედან, საზღვაო ტურიზმი ბათუმის მეურნეობის პრიორიტეტული დარგი გახდა.

ბათუმის ჰავის სამეურნეო დანიშნულება ისიცაა, რომ აქ მთელი წლის განმავლობაში შეუფერხებლად ფუნქციონირებს ტრანსპორტის ყველა სახე. ამასთან, აქ შესაძლებელია წლის ნებისმიერ დროს სამშენებლო სამუშაოების წარმოება. უფრო მეტიც, ბათუმის ტერიტორიაზე ზამთრის პერიოდშიც ხდება მცენარეთა ყვავილობა, განსაკუთრებით ბათუმის ბოტანიკურ ბაღში, სადაც მსოფლიოს თითქმის ყველა რეგიონის ფლორაა გაშენებული. ბათუმის ბოტანიკური ბაღი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტურისტულ-რეკრეაციული რესურსია, რომელიც მეურნეობის განვითარებაზე ხელშემწყობ როლს თამაშობს.

ბათუმის ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის ერთ-ერთი დადებითი მხარე ისიცაა, რომ მისი სამეურნეო განვითარება ბუნებრივი ბარიერებით არ იზღუდება. ბოლო პერიოდში ქალაქის ტერიტორიები გაფართოვდა როგორც ჩრდილოეთის, ისე სამხრეთის მიმართულებით. ბათუმს აღმოსავლეთის მიმართულებით სამოსახლო, სამრეწველო და სასაწყობო ფართო სარეზერვო ტერიტორიები გააჩნია, რაც ქალაქის შემდგომი განვითარებისათვის მნიშვნელოვანი რესურსია.

ბათუმს განსაკუთრებული ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა აქვს, რომლის ძირითადი ელემენტებია შემდეგი: გააჩნია პირდაპირი გასასვლელი შავ ზღვაზე, ბათუმზე გადის საერთაშორისო ტრანსევრაზიის სატრანსპორტო კომუნიკაციები, საქართველოში, ბათუმი წარმოადგენს უძველესი სავაჭრო „აბრეშუმის გზის“ უკიდურეს დასავლეთ დერეფანს. ამასთან, მოხერხებული

გეოგრაფიული მდებარეობის შედეგად არის უმსხვილესი ტურისტული, სავაჭრო და საგანმანათლებლო ცენტრი. გააჩნია კარგი კულტურულ-გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური მდებარეობა.

ბათუმის ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობიდან განსაკუთრებული სამეურნეო მნიშვნელობა მის სანაპირო მდებარეობას გააჩნია. ბათუმის საზღვაო პორტი შავ ზღვაზე ერთ-ერთი ღრმა 12-13 მეტრის ფარვატერის მქონე პორტია, რომელსაც შეუძლია მიიღოს 60-70 ათასტონიანი წყალწყვის გემები. პორტი საუკეთესო მახასიათებლების შედეგად 1878-1886 წლებში „პორტო ფრანკოდ“, ანუ თავისუფალ პორტად იყო გამოცხადებული. პორტის ფუნქციები განსაკუთრებით ამაღლდა რუსეთის იმპერიის პერიოდში, როცა 1883 წელს ამოქმედდა ბაქო-ბათუმის სარკინიგზო და 1904-1907 წლებში ბაქო-ბათუმის ნავთსადენის მაგისტრალები. პორტი კიდევ უფრო განვითარდა საბჭოთა პერიოდში, რომელიც ძირითადად ემსახურებოდა ნავთობპროდუქტების და ციტრუსების გადატანას, აგრეთვე, საკრუიზო ტურიზმს. დამოუკიდებელ საქართველოში პორტის ფუნქციები გარკვეულწილად შესუსტდა, რაც პოლიტიკური პროცესების და არასწორი ლოგისტიკის შედეგია. პორტს ყველა პერსპექტივა გააჩნია იმისათვის, რომ იგი გახდეს ევროპისა და აზიის ტვირთების გადაზიდვის ჰაბი. ამასთან, ბათუმის პორტს ყველა პირობა აქვს იმისათვის, რომ იგი აღმოსავლეთ ევროპაში საკრუიზო ტურისტულ ცენტრად გადაიქცეს.

ბათუმზე გადის საერთაშორისო მნიშვნელობის სახმელეთო-სატრანსპორტო და სავაჭრო კომუნიკაციები ეგრეთ წოდებული „აბრეშუმის გზა“, რომელიც საკმაოდ დიდი ეკონომიკური ეფექტის მომტანია. ახლო მომავალში ამ მიმართულებით ტვირთნაკადები კიდევ უფრო გაიზრდება, რადგან უახლოეს პერიოდში ექსპლოატაციაში გადაეცემა თბილისი-ბათუმი-სარგის მაღალგამტარობის საავტომობილო მაგისტრალი. დამატებითი ტვირთების გაზრდა ასევე შესაძლებელია ბათუმი-ახალციხის მაგისტრალის საშუალებითაც, მაგრამ ზამთრის პერიოდში აღნიშნული მიმართულება გარკვეულწილად იზღუდება, თუმცა გოდერძის უღელტეხილზე გვირაბის მშენებლობის პროექტი დამუშავების პროცესშია.

საკვლევი ქალაქის მოხერხებული სატრანსპორტო გეოგრაფიული მდებარეობა კიდევ უფრო აამაღლა ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის ფუნქციონირებამ. აეროპორტი ემსახურება არა მარტო საქართველოს, არამედ მეზობელი ქვეყნების მგზავრებსაც. აეროპორტის მგზავრთბრუნვის გაზრდა

პირდაპირ დაკავშირებულია ტურიზმის განვითარებასთან, რომელსაც ამ მიმართულებით დიდი პერსპექტივები გააჩნია.

გამოსადეგი ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა და მრავალფეროვანი ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები იძლევა იმის პირობას, რომ ბათუმი აღმოსავლეთ ევროპაში ტურიზმის მნიშვნელოვანი ცენტრი იყოს. აჭარაში 2016 წელს ტურისტების რაოდენობამ 455 ათას გადააჭარბა, აქედან ქალაქ ბათუმზე 79,5% მოდიოდა. ბოლო წლების ანალიზი ცხადყოფს, რომ ბათუმში მეურნეობის ეს დარგი განსაკუთრებული ტემპით იზრდება. სწორედ ბათუმში ტურისტული ნაკადების ზრდა მის ეკონომიკურ-გეოგრაფიულ მდებარეობასთან არის დაკავშირებული. ბათუმი თითქმის თანაბარი მანძილითაა დაშორებული ჩრდილო და აღმოსავლეთი ევროპის, ცენტრალური და სამხრეთ-დასავლეთი აზიის ქვეყნებიდან, რომლებიც წარმოადგენენ ბათუმისათვის ტურისტული ნაკადების მომწოდებელ ქვეყნებს, ხოლო ტურისტებს ფართო შესაძლებლობა აქვთ ტრანსპორტის სხვადასხვა სახით ისარგებლონ. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით არსებული პოტენციალი სრულად არ არის გამოყენებული. უწინარესად, საჭიროა ტურისტთა გარე და შიდა მისაწვდომობისათვის სწორი მენეჯმენტის შემუშავება. მთავარ პრობლემას ფასები წარმოადგენს, რომელიც ტურისტულ სეზონის დროს შესამჩნევად იზრდება, რაც ტურიზმის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორია.

საქართველოში, ბათუმი არის ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო ცენტრი. სწორედ გამოსადეგი ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ბათუმში ფუნქციონირებს რამდენიმე საბითუმო სავაჭრო ბაზრობა. ამასთან, ქალაქში არის მსოფლიოში ცნობილი სავაჭრო ბრენდების მსხვილი მაღაზიები. ბათუმის სავაჭრო ფუნქცია კიდევ უფრო იზრდება, რაც მოსახლეობის დასაქმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროა.

ბათუმის კულტურულ-გეოგრაფიული და რელიგიურ-გეოგრაფიული მდებარეობა დადებითად მოქმედებს რეგიონის მეურნეობრივ განვითარებაზე. ბათუმი წარმოადგენს მეზობელ ქვეყნებში მცხოვრები ქართული ეთნოსის, საქრისტიანოსა და სამუსლიმანო საქართველოს დამაკავშირებელ ხიდს, განსაკუთრებით თურქეთში მცხოვრებ ქართველებთან ურთიერთობის საკითხებში. ბევრი ეთნიკურად ქართველი თურქეთის მოქალაქე ეკონომიკურ საქმიანობას ეწევა ბათუმში, რაც ხელს უწყობს რეგიონის მოსახლეობის დასაქმებას და ეკონომიკურ განვითარებას.

საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის სივრცეში, ბათუმს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ბათუმი არაერთხელ გამხდარა პოლიტიკური

პრობლემების მოგვარების მედიატორი. ბათუმის მაკრო პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა დამოუკიდებელ საქართველოში აღიარებული იყო, როგორც სიმშვიდის „ოაზისად“, მეზომდებარეობა – ევროპისა და მეზობელი ქვეყნების მიმართ განიხილება, როგორც პოლიტიკური სტაბილურობის ცენტრად, ხოლო მიკრომდებარეობა – ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებისადმი მიმართებაში წარმოადგენს მოსახლეობის მიზიდვის არეალს. გამომდინარე აქედან, ბათუმის გეოპოლიტიკური მდებარეობა რეგიონში ეკონომიკური საქმიანობაში წამახალისებელ როლს თამაშობს.

ამრიგად, კვლევის ანალიზმა ცხადყო, რომ ბათუმს განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობა გააჩნია, რის საფუძველზეც ქალაქის დინამიური განვითარება დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს. ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა საკმაოდ კარგადაა გამოყენებული, მაგრამ ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის პოტენციალი სამეურნეო ბრუნვაში სრულად არ არის ჩართული. ბათუმის გეოგრაფიული მდებარეობის სრულყოფილი გამოყენება საქართველოს სივრცობრივი მოწყობის საერთო პარამეტრებში ეკონომიკური და ეკოლოგიური თვალსაზრისით უნდა განიხილებოდეს, ხოლო ეს უკანასკნელი ბევრადაა დამოკიდებული ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

ნეიძე, 2003: – ნეიძე ვ., საქართველოს პოლიტიკურ-გეოგრაფიული თავისებურებები, საქართველოს გეოგრაფია, II, სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია, თბილისი, 2003.

ფუტკარაძე, 2001: – ფუტკარაძე მ., აჭარა, ეკონომიკურ-გეოგრაფიული დახასიათება, ბათუმი, 2001.

ფუტკარაძე, ხორავა, გორგილაძე, 2016: – ფუტკარაძე მ., ხორავა ს., გორგილაძე ნ., აჭარის ზღვის სანაპიროს რეკრეაციული ზონის (პლაჟების) ტურისტთა გამტარობა და ეკოლოგიური პრობლემები. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. თანამედროვე საინჟინრო ტექნოლოგიები და გარემოს დაცვა. შრომათა კრებული, II, ქუთაისი, 2016.

Баранский, 1960: – Баранский Н.Н., Экономическая география. Экономическая картография. Москва, 1960.

Merab Putkaradze (Batumi, Georgia)

Economical Appraisal of Batumi's Geographical Location

Summary

In Georgia, Batumi city has the specific geographic location. The positive aspects of Batumi's physical and geographic location are, that it is laid in middle zone of northern latitudes, thus as a result there is formed the subtropical climate. The climate's economic significance covers the issue, that all types of transport without the hindrance is able to operate throughout the whole year, also the construction works can be done at any time. The climate resources are widely used in tourism development issues. Besides, physical location doesn't present the hindering condition for city's spatial development.

Batumi has good economic and geographic location, which main elements are as follows: it has the primary access to Black Sea, there lays Trans-Eurasian transport and trade communications, presents the touristic, trading and educational center. Besides, it possesses cultural, geographic and geopolitical location. Exactly as the result of geographic location, Batumi has the rapid dynamic development.

თანამედროვე ბათუმი: ინტერესთა კონფლიქტი და პერსპექტივა

ბათუმის (აჭარის) თანამედროვე პრობლემებიცა და პერსპექტივებიც განპირობებულია ისტორიული წარსულით, ამიტომ, მოკლედ, ბათუმის მხარის ისტორიის შესახებ:

კოლხური არქეოლოგიური კულტურის გავრცელების არეალით თუ ვიმსჯელებთ, აჭარა (დღევანდელი საზღვრებით) კოლხა/კილხას, შემდგომში ქართლის/საქართველოს ცენტრალური ზღვისპირა მხარეა, სადაც ავტოქთონი მოსახლეობაა ქართველობა (ამჟამინდელი აჭარლები, ლაზები, გურულები)⁵.

საქართველოს ამ მხარეს ოდითგანვე არსებითი გეოპოლიტიკური ფუნქცია ჰქონდა: ჭოროხის ხეობა იყო „დიდი აბრეშუმის გზის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი.

მკვლევართა ნაწილი ფიქრობს, რომ სახელი ბათუმი მომდინარეობს „ბათის“ Bathys ბერძნული სიტყვიდან, რაც „ღრმას“ ნიშნავს; ამით ხაზი ესმება ბათუმის **ნავსადგურის** ანტიკურ ისტორიას („ბათის ლიმენი“ – ღრმა უბე). ვფიქრობთ, ეტიმოლოგიურად რთული ასახსნელია **ბათის > ბათომ- (/ბათუმ-)** პროცესი; უფრო ლოგიკურია **ბათ-ომ-** ფუძის დაშვება: სიტყვის ძირია **ბათ-**, -**ომ-** კი ქართველური სუფიქსია (თორთ-ომ-, ბორჯ-ომ-, წრ-ომ-...); შესაბამისად, უფრო ლოგიკური ჩანს ს. ყაუხჩიშვილისეული ვარაუდი, რომ **ბათ-** ძირი დაუკავშირდეს „ქვას“, „კლდეს“ (შდრ., სვან. **ბაჩ** „ქვა“)⁶:

ბათ-ომ-ი/ბათუმი – ქვიანი ადგილი, ანდა, ადგილი, სადაც კლდეცხება. ბათუმის ტერიტორიაზე, თამარის დასახლებაში მართლაც არის ციხე⁷. ჩანს, ზღვისპირა ზოლზეც სახელი „ბათუმი“ გვიან, ოსმალთა ბატონობის დროს გადმოვიდა.

⁵ ვრცლად იხ., ტ. ფუტყარაძე, ქართველები, ქუთაისი, 2005;

⁶ საკითხის ისტორიისათვის იხ. გ. ბედოშვილი, ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2001, გვ. 73-75;

⁷ დ. ხახუტაიშვილი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2, გვ. 151, თბ., 1977 წ., https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%91%E1%83%90%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%AE%E1%83%94

ადრეული ცნობებით, ბათუმის მხარეში მოიაზრებოდა მთელი ჭოროხის-წყლის ხეობა (აჭარისწყლის ხეობის ჩათვლით); საბჭოთა პერიოდში კი ბათუმის მხარე მხოლოდ აჭარით შემოიფარგლებოდა. აქვე თეზისების სახით წარმოვადგენ თვალსაზრისს აჭარის საზღვრების დინამიკის შესახებ⁸:

a. თავდაპირველად „აჭარა“ ერქვა სოფელს ამჟამინდელ ხულოს რაიონში (ახლანდელი დიდაჭარა);

b. „აჭარა“ (დიდი ალბათობით, ეტიმოლოგიურად, წყლიანი ადგილი) საქართველოში არსებულ რამდენიმე სხვა სოფელსა თუ უბანსაც ერქვა (იმერეთში, რაჭაში, ტაო-კლარჯეთში...); ამათგან მემკვიდრეებმა გამოარჩია ამჟამინდელი ხულოს რაიონის **სოფელი აჭარა** ანდრია პირველწოდებულის მიერ აქ ეკლესიის აღმართვის ფაქტის აღსანიშნავად; სწორედ პირველი ეკლესიის აღმართვის გამო, ამ ადგილის მკვიდრთა საპატივცემოდ, მემკვიდრეებმა სოფელს **„დიდი აჭარა“** უწოდა;

c. ვფიქრობ, სოფელ აჭარის სახელმა განსაზღვრა მდინარის სახელიც: **აჭარის წყალი**;

d. ცნობილი სოფლის სახელი მოგვიანებით განზოგადდა მთელი კუთხის სახელადაც, თავდაპირველად, ალბათ, აჭარისწყლის ხეობის სახელად (შდრ., მაჭახელას ხეობაში არის სოფელი „აჭარის აღმართი“ – რაც უნდა ნიშნავდეს აჭარისკენ გადასასვლელ გზასაც);

e. „ქართლის ცხოვრებაში“ ოძრხის საერისთავოს საზღვრების აღწერით ყველა უნდა მიხვდეს, რომ ლეონტი მროველის დროს (ლეონტი რედაქტორია და არა - ავტორი!), აჭარის საზღვრები ზღვამდებოდა: მოიცავდა აჭარისწყლის ხეობას და ჭოროხის ხეობის ნაწილს - აჭარისწყლის შესართავიდან ზღვამდე;

f. ოსმალეთის მიერ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მიტაცების პროცესში თუ შემდგომ პერიოდში სხვადასხვაგვარია აჭარის, როგორც გეოგრაფიული თუ ეთნოგრაფიული მხარის, გააზრება: ფართო გაგებით „აჭარაში“ იგულისხმებოდა დღევანდელი ე.წ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაც და, ზოგჯერ, გაცილებით მეტი ტერიტორიაც; ვიწრო გაგებით კი მხოლოდ აჭარისწყლის ხეობა;

g. მაშასადამე, სხვადასხვა დროს აჭარის, ასევე, ყველა სხვა კუთხის ეთნოგრაფიული საზღვრები სხვადასხვა იყო და დღეს ეს არაა არსებითი!

⁸ ბათუმში ჩატარებულ კონფერენციაზეც ერთ-ერთმა მომხსენებელმა გაუმართლებელი სუბიექტურობით დაიწყო ლაპარაკი აჭარის "ისტორიულ" საზღვრებზე; მას იქვე გაეცა პასუხი, მაგრამ საჭიროდ ვთვლი, აქაც მოკლედ წარმოვადგინო ჩემი თვალსაზრისი დროთა განმავლობაში აჭარის საზღვრების დინამიკის შესახებ.

ისტორისათვის მთავარია, რომ აჭარა ისტორიული კოლხასა თუ გვიანდელი ქართლის/ საქართველოს ორგანული ზღვისპირა ცენტრალური ნაწილი იყო. p.s. დღეს აჭარის (ან რომელიმე სხვა კუთხის) გეოგრაფიული თუ ეთნოგრაფიული საზღვრების შესახებ მძაფრი განცხადებების კეთება მხოლოდ პროვოკაციის სურვილით თუ აიხსნება. ერთიანი საქართველოს იდეის ფარგლებში საქართველოს კუთხეთა საზღვრების შესახებ სხვადასხვა დროის განსხვავებული წყაროების მონაცემთა აკადემიური ანალიზი კი სხვა თემაა⁹.

XVII საუკუნემდე ბათუმის მხარე – ჭოროხის ხეობა (აჭარისწყლის ხელობითურთ) - საქართველოს ორგანული ნაწილია; სხვადასხვა დროს ეს ვრცელი ტერიტორია გადანაწილებული იყო ოძრხის, კლარჯეთისა თუ ეგრისის საერისთავოებს/სამთავროებს შორის. XIII-XVI საუკუნეებში ბათუმი ჯერ დადიანების, ბოლოს კი გურიელების ხელში იყო.

XVII-XIX საუკუნეებში ისტორიული მესხეთის დიდი ნაწილი (აჭარა მაჭახელითურთ, ლივანა, შავშეთი, ტაო, ლაზეთი, ერუშეთი, სამცხე-ჯავახეთი) დაიპყრო ოსმალეთმა. ამ ისტორიული ქართული ტერიტორიის სამუდამოდ დაუფლების მიზნით ოსმალეთი ცდილობდა, მუსლიმანობისა და თურქული ენის გავრცელებით სათავეს დაეყრდნობოდა საქართველოს ამ ნაწილის ავტოქტონი მოსახლეობის ცნობიერება.

ოსმალეთის ბატონობის ბოლო პერიოდში ბათუმი იყო **ლაზისტანის საფაშოს ცენტრი**; საფაშოში შედიოდა 11 ოლქი: ბათუმი, ჩურუქ-სუ (ქობულეთი), ზემო აჭარა, ქვემო აჭარა, მაჭახელი, ლივანი, გონია, ხოფა, ახროვე, ემშინა და ათინა. მას მართავდა მუთასარიფი (გუბერნატორი), რომელიც პირდაპირ ემორჩილებოდა პორტას – ოსმალეთის ცენტრალურ ხელისუფლებას. ბათუმში იყო მეჯლისი, ანუ საგუბერნიო საბჭო, სასამართლო, თურქული და ბერძნული სკოლები, სამი მეჩეთი და წმინდა ნიკოლოზის სახელობის ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესია¹⁰.

1878 წლის ბერლინის ტრაქტატით ბათუმის მხარის დიდ ნაწილს დაეუფლა რუსეთი, რასაც მოჰყვა გამუსლიმანებული ქართველების ოსმალეთში გადასახლების პროვოცირება და მძიმე ემიგრაციისათვის გაწირვა. 1991 წლამდე – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე – ბათუმსაც მეფის რუსეთი თუ რუსეთის კომუნისტური იმპერია აკონტროლებდა. რუსეთის

⁹ მსჯელობისათვის იხ. ვ. შამილაძე, "აჭარის" ადმინისტრაციულ-გეოგრაფიული ლოკალიზაციისა და ეტიმოლოგიის საკითხისათვის; საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., გვ. 503-519;

¹⁰ ვ. ნოზაძე, საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბილისი, 1989; ევგენი ვეიდენბაუმი: "ბათუმიდან ართვინამდე", გამომცემლობა არტანუჯი, 2005 წ.;

ხელისუფლება აქტიურად ცდილობდა, შეეცვალა ბათუმის მხარის დემოგრაფია; ამ მიზნით მან, ერთი მხრივ, ხელი შეუწყო ბათუმის მხარიდან გამუსლიმანებული ქართველების წასვლას შუა თურქეთში (ე.წ. მუჰაჯირობას)¹¹, მეორე მხრივ კი ბათუმში ჩამოასახლა თავისი ერთგული ეთნოსები (რუსები, სომხები...); რაც არანაკლებ მთავარია, ბოლო ორ საუკუნეში **რუსეთიც შეეცადა ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების შეცვლას** ათეიზმისა თუ რუსული ენის გაბატონებით.

მეფის რუსეთის ინტერესებში იყო კასპიის ნავთობპროდუქტების გატანა სხვა ქვეყნებში; 1883 წელს რუსეთმა უზრუნველყო ბაქო-ბათუმის რკინიგზის მშენებლობა, შემდგომ პერიოდში (1897-1907) კი ბათუმის ნავსადგურის რეკონსტრუქცია და ბაქოდან ბათუმამდე ნავთობსადენი მილის გაყვანა; ამის შემდეგ ბათუმი საერთაშორისო მნიშვნელობის ნავსადგური გახდა; შესაბამისად, XX საუკუნის დასაწყისიდან ბათუმმა მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ფუნქცია შეიძინა¹².

რუსეთისა და თურქეთის მიერ ისტორიული საქართველოს ტერიტორიის ბოლო გადანაწილების შემდეგ (გასული საუკუნის 20-იან წლებში) ბათუმის მხარედ ითვლება რუსეთის გავლენის ველში დაჩენილი მიწა-წყალი: აჭარის წყლის ხეობა, ქვემო მაჭახელი, ლივანისა და ლაზეთის მცირე ნაწილი (კირნათ-მარადიდი; გონიო-სარფი); ამ ტერიტორიაზე აჭარის ავტონომიური

¹¹ ლომან ევენდი ქარცივაძისა და სხვა გამორჩეული ქართველების წინააღმდეგობის მიუხედავად, მუჰაჯირად ბევრი ქართველი მუსლიმანი წავიდა; მუჰაჯირობის შესახებ იხ.: გაზეთი "დროება", 1880- 1883 წწ.; სამსონ ფირცხალავა, "სამაჰმადიანო საქართველო ან ძველი მესხეთი", თბ., 1915 წ. <http://www.ai-ia.info/online-arqivi/110-samson-pircxalava-samahmadiano-saqartvelo-an-dzveli-mesxeti.htm>; ბ. ახვლედიანი, სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში, ბათ., 1956; შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი (XVIII საუკუნის შუაწლებიდან XIX საუკუნის შუაწლებამდე), თბ., 1975; შ. მეგრელიძე, აჭარის წარსულიდან (მუჰაჯირობა, 1878-1882 წწ.), თბ., 1964; შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993; ნ. კვაჭაძე, ბათუმის ნავსადგურიდან ოსმალეთისაკენ (მუჰაჯირობის ისტორია პრესის მასალების მიხედვით), ბათუმი, 2009

¹² ა. სურგულაძე, მ. სიორიძე; პორტო-ფრანკო ბათუმში, ბათუმი, 1996; [https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%91%E1%83%90%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%A1/](https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%91%E1%83%90%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%93%E1%83%92%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%A1/) (დამოწმების დრო: 19.08.2017)...

რესპუბლიკის შექმნით ბოლშევიკური (კომუნისტური) რუსეთი შეცადა, ბათუმის კონტროლისათვის დამატებითი ბერკეტები მიეღო¹³.

1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს მრავალპარტიულ და დემოკრატიულ არჩევნებში გამარჯვებული (ქართული ეროვნული მოძრაობის წიაღში შობილი) საქართველოს ახალი ხელისუფლების მიზანი იყო საქართველოს სრული დეოკუპაცია – რუსეთის ჯარის გაყვანა საქართველოს ყველა კუთხიდან (მათ შორის, აჭარიდან) და ქართული სახელმწიფოს აღორძინება; ბათუმის კონტექსტში: ბათუმის (აჭარის) პოტენციალის სრულად გამოყენება ადგილობრივი მოსახლეობისა და საქართველოს ახალაღორძინებული სახელმწიფოს საკეთილდღეოდ (ამაზე იყო ორიენტირებული ჩემი, როგორც პრეზიდენტ გამსახურდიას მიერ დანიშნული ბათუმის პირველი პრეფექტის, სტრატეგია).

რუსეთის სტრატეგიულ მიზნებს არ შეესაბამებოდა საქართველოს დამოუკიდებლობა და საქართველოში არსებული სამხედრო ბაზების დატოვება. 1991-93 წლებში რუსეთის მიერ საქართველოში ორგანიზებულმა სამხედრო გადატრიალებამ (პუტჩმა) და თანამდევმა მოვლენებმა დიდად ავნო, როგორც ზოგადად, საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს, ასევე, კონკრეტულად, ბათუმის სახელმწიფოებრივი როლის გამოკვეთასაც: პუტჩის შემდგომ პერიოდში მცირერიცხოვან ადგილობრივ ჯგუფებზე დაყრდნობით ბათუმში გააქტიურდნენ მეზობელი ქვეყნების სხვადასხვა ინტერესის მქონე ძალები, ასევე, მხოლოდ პირად ინტერესებზე ორიენტირებული ქართული თუ სხვა წარმომავლობის კლანები.

პოლიტიკური რყევების მიუხედავად, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ – ბოლო ათწლეულებში – ბათუმის აღმშენებლობა საგრძნობლად წავიდა წინ; ბათუმი გამორჩეულ ტურისტულ და კულტურულ ცენტრად იქცა; მიუხედავად ამისა, ახალ დროშიც ბევრი პრობლემა თუ გამოწვევაა; ვფიქრობ, **სიღრმისეულადაა შესასწავლი** თითოეული მათგანი, რომ სწორად დაიგეგმოს პროცესები თუ პრევენციული ღონისძიებები როგორც ბათუმში, ასევე, ზოგადად, ბათუმის მხარეში; **წარმოდგენელი მოხსენების მიზანია ბათუმში ამჟამად არსებული ვითარების ანალიზი.**

¹³ ბოლშევიკური იმპერიის მიერ შექმნილმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზღვრებმა მოიცვა არ მთლიანად ბათუმის მხარე – "სამუსლიმანო საქართველო" (როგორც ამას გეგავდნენ ქართველი მენშევიკები), არამედ მხოლოდ მისი მცირე ნაწილი; თურქეთს დარჩა ბათუმის მხარის დიდი ნაწილი - ამჟამინდელი ართვინის ილი (ტაო-კლარჯეთი, ერუშეთისა და ლაზეთის დიდი ნაწილი) და ერზერუმის ილში შემავალი ქართული ტერიტორიები.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს ერთგულ პოლიტიკურ სპექტრს კარგად აქვს გაცნობიერებული საქართველოსათვის **ბათუმის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა**; მისასალმებელია, რომ ბოლო პერიოდში ბათუმის ოფიციალური სტრუქტურები სრულადაა დაქვემდებარებული საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას, შესაბამისად, ერთი შეხედვით, ოთხსაუკუნოვანი ავბედობის შემდეგ, გრძელვადიან პერსპექტივაში შეუქცევადი ჩანს ისტორიული სამართლიანობის აღდგენა – ბათუმის მხარის სრული ინტეგრაცია საქათველოს სახელმწიფოებრივ სივრცეში. **პარალელურად, აუცილებელია თვალი გავუსწოროთ არსებულ რისკებსა თუ სხვათა ინტერესების გამო შექმნილ არც თუ მცირერიცხოვან შემდეგ გამოწვევებს:**

გამოწვევა პირველი: მილიარდ-ნახევარი მუსლიმანისა და მილიარდ-ნახევარი ქრისტიანის საცხოვრისთა საზღვარზე არსებული საქართველოს განაპირა კუთხე - აჭარა - **განსხვავებული აღმსარებლობის მქონე პირთა თანაცხოვრების საოცარი მოდელია თანამედროვე მსოფლიოსათვის.** ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ აჭარაში შენარჩუნდეს ასეთი უნიკალური ტოლერანტული გარემო.

ისტორიული ქართული წყაროების მიხედვით, მსოფლიოში პირველი ეკლესია აიგო აჭარისწყლის მაღალმთიან **სოფელ (დიდ)აჭარაში:** ასეთი იყო ჩვენი წინაპრების ხედვა; ამიტომაც, აქ პირველი ეკლესიის აგების გამო, მემკვიდრეობისგან შემდგომში სოფელს ეწოდა **დიდი აჭარა** (სხვა შემთხვევებში, სადაც სოფლის სახელის ზედსართავად გვაქვს „დიდი“, იქვეა „პატარაც“; მაგ.: დიდი ჯიხაიში, პატარა ჯიხაიში; სადაცაა „ზემო“, იქვეა „ქვემო“: ზემო მაჩხაანი, ქვემო მაჩხაანი... შდრ.: არ არსებობს სოფელი „პატარა აჭარა“).

აჭარაში – ისტორიული ქრისტიანობის მხარეში - ისლამი გავრცელდა ოსმალეთის პერიოდში. ათეიზმის (კომუნისტობის) ეპოქაში გარკვეულწილად ნიველირდა მუსლიმანობა. XX საუკუნეში აჭარაში განათლების კერების აღორძინება-დაარსებამ ხელი შეუწყო მოსახლეობაში ქრისტიანული ფესვების გაცოცხლებას; შესაბამისად, **აჭარა მსოფლიოს იმ ერთადერთ მხარედ იქცა, სადაც მოსახლეობა სამი-ოთხი საუკუნის გაუცხოების შემდეგ ინტენსიურად უბრუნდება წინაპრებისეულ რელიგიას – ქრისტიანობას.** პარალელურად, არსებობას განაგრძობს მუსლიმური თემიც; ამ უნიკალური რეალობის გამო, არაიშვიათად, ერთ ოჯახში ცხოვრობენ ქრისტიანები და მუსლიმანები. ბოლო პერიოდში სხვადასხვა წყაროდან დაფინანსებული პირები ცდილობენ სიტუაციის რადიკალიზებას; გარდა ამისა, ვითარებას ართულებს ისიც, რომ თურქეთიდან ინტენსიურად შემოდის ქართულად თარგმნილი მუსლიმანური ლი-

ტერატურა და გარედან შემოსული სახსრებით შენდება მუსლიმური სამლოცველოები, რომელთა არქიტექტურა ისლამის თურქული სახესხვაობისათვისაა დამახასიათებელი. გარკვეულ წრეებში ეს აღიქმება თურქეთის კულტურულ-რელიგიურ ექსპანსიად და ჩნდება გარკვეული აგრესია; შესაბამისად, **იქმნება რელიგიური დაპირისპირების პერსპექტივა.**

შექმნილ სიტუაციაში აუცილებელია ყველა რელიგიის პატივისცემის ფონზე სახელმწიფომ თავის თავზე აიღოს მუსლიმური თემისათვის აუცილებელი სასწავლებლებისა თუ სამლოცველოების ადეკვატურად განსაზღვრა და დაფინანსება. ასევე, მუსლიმი თემის აქტივისტები სხვა ქვეყნის საყრდენად რომ არ აღიქმებოდნენ, აჭარაში არსებული მუსლიმანური რელიგიური ნაგებობები ქართული არქიტექტურის ჩარჩოებში უნდა მოექცეს¹⁴. პარალელურად, ადამიანის უფლებების დაცვით უნდა დაბალანსდეს იმ პირთა საქმიანობა, რომლებიც ცდილობენ მოსახლეობის ნაწილის რელიგიური გრძნობები გამოიყენონ საკუთარი პოლიტიკური თუ ეკონომიკური ინტერესებისათვის¹⁵. სწორედ ასეთ ინდივიდთა აქტიურობის შედეგია, მაგ., ამერიკელი ექსპერტის, **პოლ კრეგოს** ასეთი შეუსაბამო განცხადება: „ვიცი, რომ ძალიან დამაბული ურთიერთობაა აჭარაში მართლმადიდებლებსა და მუსლიმებს შორის“¹⁶.

გამოწვევა მეორე: აგრესიული პროისლამისტური და პანთურქული ჯგუფების ქმედებებისა და მოლოდინების დაბალანსება ბათუმის (აჭარის) ხელისუფლების მიერ საქართველოსათვის სწორი სახელმწიფოებრივი პოზიციით, ასევე, სამოქალაქო აქტიურობით.

აგრესიული პროისლამისტური და პანთურქული ძალები მთელი მსოფლიოს მასშტაბით აქტიურობენ; ბათუმის კონტექსტში აღსანიშნავია ის, რომ რადიკალური ძალები, აყალბებენ რა ბათუმის (აჭარის) ისტორიას, ბათუმს თურქულ ქალაქად, აჭარას კი თურქეთის კუთვნილ ტერიტორიად აცხადებენ; საქართველოს მოქალაქეთა შორის ნეგატიურ ემოციას იწვევს ბათუმის შესახებ თურქ პოლიტიკოსთა ორაზროვანი გამონათქვამებიც. ამ ეტაპზე საქართ-

¹⁴ ამ მიმართულებით საინტერესოა ერდოგან შენოლთან და ფევზი ჩელებთან ჩემი დიალოგი; იხ., წერილი: "მინარეთი და ქართული ენა", თბ., 2013: http://tarielputkaradze.blogspot.com/2013/09/blog-post_9493.html; <http://www.georoyal.ge/?MTID=5&TID=44&id=1794>

¹⁵ ამ მიმართულებით ორმხრივი პროვოკაციური თუ ნეგატიური განცხადებებისათვის იხ., მაგ.: <http://ghn.ge/com/news/view/171305>; <http://netgazeti.ge/opinion/34248>; <http://liberali.ge/news/view/25706/tariel-nakaidze-mokhis-komisiis-gadatsyvetilebase-sakhelmtsifo-dadzabulobis-keras-qmnis>;

¹⁶ პოლ კრეგო: "საქართველოს სახელმწიფოში ბალანსი ეკლესიის სასარგებლოდაა დარღვეული" <https://www.amerikiskhma.com/a/interview-with-paul-crego/3997729.html>

ველოსათვის უფრო აქტუალურია პანთუქული მიმართულებით იდეოლოგიზებულ მეცნიერთა ცალკეული ჯგუფების პოლიტიზებული თვალსაზრისების დაბალანსება; მაგ., ამ მხრივ ნიშანდობლივია პროფესორ ფ. კირზიოლლუსა თუ ი. ზეირეკის ნაწერები¹⁷, რომელთა იდეოლოგიებს დღესაც აქტიურად ავრცელებენ თურქულენოვან სოციალურ ქსელებში. ამ ტიპის „სამეცნიერო დივერსიების“ შედეგია მაგ., სარფის თურქულ მხარეს გამართული აცია: „სარფი თურქეთია“¹⁸. აუცილებელია აკადემიური კვლევებით კირზიოლლუების მიერ სამეცნიერო ველში წამოწყებული საინფორმაციო იერიშების მოგერიება; ამ ნაშრომების სხვადასხვა ენაზე გამოქვეყნება და სოციალურ ქსელებში პოპულარიზება... მეცნიერთა კვლევების დაგეგმვა და გამოქვეყნების უზრუნველყოფაც ხელისუფლების ინტერესებში უნდა იყოს.

გამოწვევა მესამე: რუსეთის ინტერესებით მოქმედი ცალკეული ჯგუფების ქმედებების დაბალანსება როგორც ადგილობრივი და საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ, ასევე, საქართველოს საზოგადოების სამოქალაქო აქტიურობით.

საქართველოში რუსული დაფინანსებით არსებული პრორუსული პოლიტიკური ჯგუფების წარმომადგენლები ბათუმშიც აქტიურობენ; ისინი რუსეთთან ერთმორწმუნეობის იდეის პროპაგანდით ეწინააღმდეგებიან საქართველოსა და თურქეთის კეთილმეზობლური ურთიერთობის ჩამოყალიბებას; პარალელურად, ბათუმის მოსახლეობის ერთ ნაწილში ობიექტური თუ პროპაგანდისტული საფუძვლით ძლიერდება ანტითურქული განწყობა; იხ., მაგ., ახლო წარსულში სარფში გამართული ანტითურქული მიტინგი, რომელსაც სოციალურ ქსელებში აქტიური განხილვა მოჰყვა¹⁹. ეს პროცესი დინებაზე თუ იქნა მიშვებული, დროთა განმავლობაში ამ მიმართულებითაც მივიღებთ სიტუაციის რადიკალიზებას. აჭარაში, ბათუმში ყოველთვის საშიშია სიტუაციის დაძაბვა და საზოგადოების რადიკალიზება (დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადების შემდეგ ამგვარი რადიკალიზების პირველი მცდელობა ჰქონდა ასლან აბაშიძეს 1991 წლის აპრილ-მაისში, როდესაც მოკლულ იქნა ნოდარ იმნაძე და რომლის შემდეგაც აჭარაში დამყარდა ერთიანი საქართველოსათვის სახიფათო კლანური მმართველობა).

¹⁷ კრიტიკისათვის იხ., მაგ., <http://tbiliselebi.ge/index.php?newsid=5794>

¹⁸ <http://bulvar.ge/?type=pages&cat=12&id=1197>

https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=1299351403410543&id=1143975058948179

¹⁹ <https://forum.ge/?showtopic=34893114&f=&st=0&>

გამოწვევა მეოთხე: პირად მოგებაზე ორიენტირებული ძლიერი კლანების ქმედებების მოქცევა საქართველოს სახელმწიფოს უსაფრთხოებისათვის აუცილებელ ჩარჩოებში და პოლიტიკური სპექტრის გაჯანსაღება.

ყველა სახელმწიფოში, მით უმეტეს, ახალადორმინებული სახელმწიფოებრიობის მქონე ქვეყანაში არიან/ჩნდებიან ფინანსურად ძლიერი ჯგუფები, რომელთაც ესაჭიროებათ სახელისუფლებო ბერკეტები; შესაბამისად, შემთხვევითი არ არის, რომ ბოლო ათწლეულში საქართველოს პარლამენტსა თუ ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოებში ხშირად შევხვდებით ბიზნესწრეების წარმომადგენელს. არის შემთხვევებიც, როდესაც პოლიტიკურ ლიდერებს ეტმასნებიან ახალგამდიდრებული პირები. მსგავსმა შემთხვევებმა შეიძლება დააზარალოს სახელმწიფო ინტერესი... ეს როგორც სრულიად საქართველოს, ისევე, ბათუმის (აჭარის) ხელისუფლებისთვის სერიოზული გამოწვევაა.

გამოწვევა მეხუთე: საქართველოს განათლების, კულტურისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიის ფარგლებში ბათუმში (აჭარაში) ისეთი საგანმანათლებლო მიმართულებების გააქტიურება, რომლებიც ხელს შეუწყობს ავტოქტონი მოსახლეობის იდენტობის (მეობის) აღორძინებასა და სხვა ეთნიკური ჯგუფების ღირსების დაცვას.

მე დავიბადე ზემო აჭარაში, სოფელ ტომაშეთში. სასკოლო განათლებამ (რა თქმა უნდა, ოჯახურმა წრემაც!) მომცა ის ცოდნა, რომლის საფუძველზეც მე ჩემი ეროვნული იდენტობა (მეობა) გავიაზრე, როგორც ქართულენოვანი ისტორიული კულტურის ნაწილმა. კომუნისტური ეპოქის ზეობის პირობებში სკოლის დამთავრებისთანავე, რაც პირველი გავაკეთე, იყო ქრისტიანულად მონათვლა (1978 წელი) თბილისის სიონში. **საბჭოთა სკოლის იდეოლოგიზებული ხასიათის მიუხედავად, ძველი ქართული ლიტერატურის სახელით ისე საფუძვლიანად ისწავლებოდა ქართული ქრისტიანული ლიტერატურა, რომ მე სხვა არჩევანი არც მქონია:**

სკოლაშივე გავაცნობიერე, რომ მე, როგორც ქართველი, ვიყავი დიდი ისტორიის მქონე ქრისტიანი ერის შვილი იმ კუთხიდან, რომელშიც მსოფლიოში პირველი ქრისტიანული ეკლესია აიგო ანდრია პირველწოდებულის მიერ. ამ ცოდნამ შეურყევლად განსაზღვრა ჩემი პიროვნული და ეროვნული ორიენტირები.

კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვამბობ: ეს იყო სასკოლო განათლების დამსახურება. დღეს ჩვენს სასკოლო განათლებას არ აქვს გამოკვეთილი ორიენტირები; მაგ., ამჟამინდელი მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს კონცეფ-

ციაში არსებული ფორმულირება: „მოქალაქის აღზრდა“ ბუნდოვანია; აუცილებელია, სასკოლო განათლების უმთავრესი მიზანი იყოს საქართველოს სახელმწიფოს ერთგული მოქალაქის აღზრდა; პარალელურად, მოსწავლეს უნდა მიეწოდოს საქართველოს სახელმწიფოს დამფუძნებელი ერის კულტურული ორიენტირები, ასევე, ინფორმაცია საქართველოში მცხოვრები სხვა ეთნოსების მახასიათებლების შესახებ; **საბოლოო ჯამში, სკოლამ უნდა აღზარდოს საქართველოს ღირსეული მოქალაქე, რომელსაც ეყვარება ქართული ენა, ქართული კულტურა, თავისი სახელმწიფო და პატივს სცემს სხვა ეთნოსების ენასა და კულტურას.** ამგვარი მკაფიო ორიენტირება მით უფრო აუცილებელია აჭარაში, რამდენადაც, გარეშე ძალები საუკუნეების მანძილზე ცდილობდნენ, შეეცვალათ საქართველოს ამ კუთხის ავტოქთონი მოსახლეობის ენა, რელიგია, კულტურა, ზოგადად, ცნობიერება; შდრ.: განათლების სისტემა როცა სწორად იყო ორგანიზებული, აჭარაში იშვა ერთიან საქართველოზე მოფიქრალი არაერთი გმირი თუ მოღვაწე; აქ მხოლოდ **ტბელი აბუსერიძის** სახელს დავიმოწმებ.

გამოწვევა მეექვსე: დღეს ბათუმი არის დიდი მნიშვნელობის მქონე ტურისტული და სტრატეგიული ეკონომიკური ცენტრი; სხვადასხვა ქვეყნის კომპანიების ბიზნესინტერესების დაცვის ფარგლებში ბათუმის (აჭარის) შემოსავლები მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტისათვის (შემოსავლების დიდი ნაწილი დღეს იკარგება არალეგალური ბიზნესით).

ეკონომიკა და ბიზნესი ნაკლებადაა ჩემი ანალიზის სფერო, თუმცა, ფაქტია, რომ ამ მიმართულებითაც ბევრი პრობლემაა. ამასწინათ ჩემთვის საინტერესო კრიმინალი აღმოვაჩინე:

საქართველოს თავისუფალი ვაჭრობა აქვს ჩინეთთან²⁰ და თურქეთთან²¹, მაგრამ თავისუფალი ვაჭრობა არ არის თურქეთსა და ჩინეთს შორის. თურქული კომპანიები რეგისტრირდებიან საქართველოში; ჩინეთიდან შემოაქვთ დიდი რაოდენობის საქონელი საქართველოში; საქართველოში უცვლიან სასაქონლო ნიშნებს: პროდუქციას ხსნიან წარწერას, რომ დამზადებულია ჩინეთში და აწერენ, რომ დამზადებულია საქართველოში! **ამ თაღლითური გზით** ჩინური პროდუქცია საქართველოდან შეაქვთ თურქეთში: ამგვარი თაღლითობით ყველა მხარე ზარალდება, კონკრეტული გამყალბების გარდა.

²⁰ ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ იხ.:

<https://www.radiotavisupleba.ge/a/ekonomika/28490717.html>

²¹ თურქეთთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ იხ.:

http://www.economy.ge/uploads/files/sagareo_vachroba/orrmxrivi-turketi.pdf

სხვა მრავალი „შავი ხერელია“ საქართველოში, განსაკუთრებით, საზღვრისპირა ტურისტულ მხარეებში, რომელთაც სახელმწიფოს მხრიდან სერიოზული ყურადღება ესაჭიროება.

გამოწვევა მეშვიდე: ბათუმის, როგორც თურქეთში მცხოვრები ქართველებისათვის „სანატრელი სამშობლოს ხატის“, შენარჩუნება.

თურქეთში მცხოვრებ მუჰაჯირთა შთამომავლებისა და თურქეთის სახელმწიფოში მოქცეული ავტოქთონი ქართველების (მაჭახლელების, ლივანელების, იმერხეველების, ტაოელების, ლაზების...) ცნობიერებაში თამარ მეფის სახელთან ერთად **ბათუმი არის ისტორიული სამშობლოს ლეგენდად ქცეული სიტყვა**; თურქეთში ბოლო დრომდე სათვისტომოების სახელად აქტუალური იყო: **ბათუმი**, „**ბათუმელები**“, **ბათუმელი ხალხი**²²... ქალაქის სახელის - ბათუმის - ამგვარი განზოგადება თუ ბათუმის შესახებ ამგვარი წარმოსახვის შექმნა განაპირობა იმანაც, რომ ბოლო სამ საუკუნეში ბათუმი მთელი ჭოროხის აუზის ეკონომიკური და პოლიტიკური ცენტრიც იყო; შესაბამისად, აუცილებელია, **ბათუმმა რეალურ დროში შეინარჩუნოს მიმზიდველობა საქართველოს ამჟამინდელ საზღვრებს მიღმა მცხოვრები მილიონობით ქართველისათვის**; ამ მიზნით აუცილებელია სათუთი მოპყრობა მუჰაჯირთა შთამომავლებისა თუ საქართველოს ამჟამინდელ ფარგლებს გარეთ დარჩენილი ავტოქთონი ქართველების მიმართ²³; ასევე, დიდი როლის შესრულება შეუძლია აჭარის ტელევიზიას, სადაც შესაძლებელია ისეთი გადაცემების ციკლის დაგეგმვა (მაგ., „ერთი ხეობის შვილები“), რომელიც ხელს შეუწყობს საუკუნეების მანძილზე დაშორებულ მოძმეებს შორის მენტალური გაუცხოების დაძლევის და ამ გზით საქართველოსა და თურქეთს შორის მეგობრული წახნაგების განმტკიცებას.

გამოწვევა მერვე: რელიგიისა და ეროვნების გაიგივების შუასაუკუნეობრივი სტერეოტიპების საბოლოო დარღვევა და ცნებების: „ეთნოსი“, „ეთნიკური ჯგუფი“ აკადემიური გააზრების ფონზე ქართველის, როგორც ეთნიკური ერთეულის, სრული მასშტაბით გააზრება.

აჭარელი, გურული, ლაზი, მეგრელი, იმერელი, ქართლელი, ტაოელი, ლივანელი, იმერხეველი, სვანი, რაჭველი, კახელი, ჰერელი, ფერეიდნელი, სამცხელი, ჯავახი, ლეჩხუმელი, ფშაველი, ხევსური, მოხვე, თუში (ჩაღმა,

²² ქართველები თურქეთში: <http://diaspora.gov.ge/?p=4164>

²³ არაიშვიათად, უცხოებაში აღზრდილ ქართველებს ჩვენი ზოგი თანამემამულე გულს სტკენს სხვადასხვა მიზეზის გამო; იხ., მაგ., დოკუმენტური ჩანახატი "ბორა": <https://www.facebook.com/notes/tariel-putkaradze/%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%90/10154894836490678/>

წოვა), მთიული, გუდამაყრელი... ყველა ერთად ქმნის ქართველ ერს; ამ ფაქტის არცოდნა და თუნდაც განსხვავებული რელიგიისა თუ მეტყველების გამო რომელიმე კუთხის ქართველის არაქართველად გამოცხადება დანაშაულებრივი შეცდომაა

აჭარელის, მეგრელის, სვანისა თუ მესხის, ინგილოსა თუ ფერეიდნელის ვინმე უვიცისაგან არაქართველად გამოცხადება გამაღიზიანებელიცაა და დამანგრეველიც; მსგავსი განწყობა იყო 2017 წლის 11 მარტის ბათუმის აქციის ერთ-ერთი მაპროვოცირებელი მიზეზი²⁴.

აჭარის ქართველობის მძიმე, მაგრამ ღირსეული ისტორია ბევრმა მართლაც არ იცის; არც ის იცის, უახლოეს წარსულში რა ხდებოდა; კერძოდ:

წმინდა ილია მართლის, დიდი იაკობ გოგებაშვილისა და მათი თანამოაზრეების აქტიურობით XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში აჭარაში დაწყებული დიდი აღორძინება - ნაოსნალარი იარების მოშუშება - შეწყვიტა 1913 წელს გამოცემულმა იოსებ სტალინის წიგნმა: „მარქსიზმი და ნაციონალიზმის საკითხები“: ბოლშევიკურმა იდეოლოგიამ აჭარლები მეგრელებთან და სვანებთან ერთად „უმწერლობო ენის“ მქონე „სხვა ხალხად“ გამოაცხადა²⁵; ქართველი ერის ერთიანი ეროვნული ცნობიერების დანაწევრებაზე გათვლილი ეს ფსიქოლოგიური დივერსია ინერციით დღემდე მოქმედებს. გარკვეულ წრეებში ამას ემატება ის გვიანშუასაუკუნეობრივი მიდგომა, რომელიც რელიგიის მიხედვით განსაზღვრავს ეროვნებას (1992 წლიდან დღემდე არსებულ ხელისუფლებებს მაინც სასკოლო განათლების გზით უნდა დაეხალანსებინათ ეს იდეოლოგიამ; ამ მხრივ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დიდი სამუშაო აქვს გასაწევი).

²⁴ აუცილებელია, კიდევ ერთხელ კარგად გავანალიზოთ ბათუმში პროვოცირებული და ვანდალიზმამდე მისული ბოლო მიტინგის მასშტაბის გაზრდის მიზეზები (მასალები-სათვის იხ.: <http://batumelebi.netgazeti.ge/news/70972/>)

²⁵ "გათიშე და იბატონეს" რუსულიმპერიული პოლიტიკა სათავეს იდებს ჯერ კიდევ მეფის რუსეთში და პიკს აღწევს სტალინის ეპოქაში; წიგნში: "მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი" (თბ., 1951) კი ვკითხულობთ:

"კავკასიაში არიან მთელი რიგი ხალხები, რომელთაც პრიმიტიული კულტურა, განსაკუთრებული ენა აქვთ, მაგრამ მშობლიურ ლიტერატურას მოკლებულნი არიან... რა ვუყოთ ასეთ ხალხებს: მეგრელებს, აფხაზებს, აჭარლებს, სვანებს, ლეკებს და სხვ., რომლებიც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ თავიანთი ლიტერატურა კი არა აქვთ?" (გვ. 138-139)... "ნაციონალური საკითხი კავკასიაში შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ იმ მიმართულებით, რომ დაგვიანებული ერები და ხალხები (მეგრელები, სვანები, აჭარლები... ხაზგასმა ჩემია - ტ.ფ.) უმაღლესი კულტურის (რუსული კულტურის - ტ. ფ.) საერთო კალაპოტში მოვაქციოთ" (გვ. 142).

გასაგებია, რომ საბჭოთა პერიოდში კრემლიდან მართული ხელისუფლება ქართველთა კონსოლიდაციაზე, კონსოლიდაციის კონტექსტშივე საკადრო პოლიტიკის ეროვნული სტრატეგიის შემუშავებასა და საქართველოს ფარგლებს გარეთ დარჩენილი ქართველობის ეთნიკური თვითშეგნების გადარჩენაზე არ იზრუნებდა, მაგრამ არც პოსტსაბჭოთა პერიოდში შეიცვალა რაიმე; მეტიც, სწორედ ბოლო 25 წელიწადში გახდა აქტუალური ფერეიდნელი ქართველის დამწუხრებულ ცნობიერებაში შექმნილი ფრაზა: „მირჩენია ირანში გურჯი მიძახონ, ვიდრე - საქართველოში თათარი“.

მსოფლიოში გაფანტული ქართველების კონსოლიდაცია ვერ მოხდება, თუკი ჩვენი საზოგადოების თვითაღქმაში წინა პლანზე დარჩება ქალაქურ-კუთხური თუ აღმსარებლობით-სოციალური სხვაობები და წარმმართველი არ გახდება ისტორიული დედაენობრივი და კულტურული ერთიანობა.

სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს: დღეს განათლების სისტემის შესაბამისმა სამსახურებმა თუ მასმედიის საშუალებებმა პარტიულ ინტერესებზე მაღლა უნდა დააყენონ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ორიენტირები და, ეროვნული კონსოლიდაციის მიზნით, მეტი აქცენტი გააკეთონ ერთიანი საქართველო-სათვის სხვადასხვა კუთხის ქართველობის ისტორიულ დამსახურებაზე, მაგ., სვანების მიერ კავკასიის გადმოსასვლელების მეციხოვნეობაზე, სამხრეთ თუ აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრთა – ტაოელთა, იმერხეველთა, კლარჯთა, ლაზთა, აჭარელოთა, ერუშელთა, ჯავახთა, სამცხელოთა – დაღვრილ სისხლზე, სისხლზე, რომელმაც საქართველოს ცენტრალური კუთხეების მცხოვრებთ უცვლელად შეუნარჩუნა ქართველური მეობის განმსაზღვრელი მარკერები (ენა, სარწმუნოება, ტრადიციები...), ქართული კულტურის მესამირკვლეების (იოვანე ლაზის, იოვანე მინჩხის, ჭყონდიდლების...) შთამომავალთა – კელასურის დიდი კედლის ამგებ მეგრელთა – ზოგადქართულეროვნულ ძალისხმევაზე და სხვ.

აუცილებელია, ასევე, სასკოლო სახელმძღვანელოდ შეიქმნას საგანი „ქართველთა ენობრივი სამყარო“, სადაც აღწერილი იქნება საქართველოს ყველა კუთხის ქართველთა დიალექტები, კუთხური ეთნოგრაფიული მახასიათებლები, ამ კუთხეებიდან გამოსული წმინდანები, ეროვნული გმირები თუ მოღვაწეები... რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს ქართველი ერის მეტ კონსოლიდაციას.

გამოწვევა მეცხრე: ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად, აჭარაში (ბათუმში) მცხოვრები საქართველოს ყველა მოქალაქის გააზრება, როგორც

საქართველოს ერის (ხალხის) ნაწილისა, ფართო გაგებით, ერთიანი ქართველი ერის შემადგენლისა (მოქალაქეობა = ეროვნება);

განსხვავებული რელიგიისა თუ ეთნოსის მისამართით საქართველოში არასოდეს იყო „სიძულვილის ენა“. ბოლო პერიოდში ჩნდება მსგავსი რადიკალური გამონათქვამები²⁶, რაც შეიძლება ორი მიზეზით აიხსნას:

- საზოგადოების ამ ნაწილის განათლების დაბალი დონით;
- გარედან პროვოცირებით.

არც ერთ შემთხვევაში გასაქანი არ უნდა მიეცეს საქართველოში „სიძულვილის ენის“ დამკვიდრებას: საქართველო ცივილიზაციათა მრავალმხრივ გზაჯვარედინზე არსებული სახელმწიფოა და საზოგადოების რადიკალიზაცია გამოუვალ ჩიხში მოაქცევს აქ მცხოვრებ ყველა მოქალაქეს. პრევენციის მიმართულებით განუზომელი როლის შესრულება შეუძლია მასმედიის საშუალებებსა და სოციალურ ქსელებს, შესაბამისად, ამ მიმართულებით არსებითი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ თვითშეგნებასა და სწორ სამოქალაქო განათლებას.

თანამედროვე მსოფლიოს სწორი ორიენტირია მოქალაქეობისა და ეროვნულობის გათანაბება:

ერად გაიაზრება არა მხოლოდ ერთი წარმომავლობის, ერთი ენის, ერთი ისტორიის საზოგადოება, არამედ ერთი სახელმწიფოს მოქალაქეთა ერთობა; ამ გზით მიდის ამერიკაც, ევროპაც და აზიაც; ეს უნდა იყოს ჩვენი გზაც:

არაფერი გვიშლის ხელს, რომ ტერმინი **ერი** ორგვარად გავიაზროთ:

- ვიწრო გაგებით: საერთო ეთნიკური მახასიათებლების მქონე საზოგადოება – **ქართველი ერი**;
- ფართო გაგებით: საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირთა ერთიანობა – **საქართველოს ერი**.

პარალელურად, საქართველოს ყველა მოქალაქე თანაბრად ვალდებული უნდა იყოს საქართველოს წინაშე და სახელმწიფოც, ხელისუფლებაც მობილიზებული უნდა იყოს, რომ ყველა მოქალაქეს შეუქმნას თანაბარ პირობებში ცხოვრების პირობები.

²⁶ <https://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/Country-by-country/Georgia/GEO-CbC-V-2016-002-GEO.pdf>;

<http://fact2.ge/%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9C-%E1%83%AA%E1%83%93%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%A1-%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A1/>

Present-day Batumi: Conflicts of Interests and Perspectives

Summary

Both current problems and perspectives of Batumi (Adjara) are conditioned by its historic past, that is the reason short history of Batumi will be presented below:

Judging by the area where archeological culture of Kolkheti is spread, Adjara (with its current borders) represents the central coastal region of Kolkha/Kilkha, later Kartli/Sakartvelo, where the autochtone population is the Georgian (present-day Adjarians, Laz, Gurians). This part of Georgia has historically had important geopolitical functions: The Chorokhi Valley was one of the most important parts of the 'Great Silk Road'. Taking into consideration the borders of Georgia suggested by Leonti Mriveli, Adjara has historically comprised the Adjara Water Alley and part of the Chorokhi Gorge – from Adjaristskali to the Sea.

Until the 17th century, Adjara, namely the Batumi region, was an organic part of Georgia: Adjara was part of Odzrkhi Saeristavo and periodically it belonged to Egrisi. In the XIII-XV centuries, Batumi was run by the Dadianis and finally by the Gurielis.

In the XVII-XIX centuries, a large part of historical Meskheti (Adjara with Machakhela, Livana, Shavsheti, Tao, Lazeti, Erusheti, Samtskhe-Javakheti) was conquered by the Ottoman. With the intention to obtain eternal mastery of this historical Georgian territory, Ottomans tried to spread Muslim religion and the Turkish language in order to change awareness of the historical population of this part of Georgia serving the interests of the invaders.

Under the 1878 Treaty of Berlin, Russia conquered one part of the Batumi region (half of Adjara, Machakhela, Livani and Lazeti). Until 1991 – until the restoration of independence of Georgia – Batumi was ruled by Russia or the Russian Communist Empire. The Russian government actively tried to change the demographics of the Batumi region; On the one hand, they helped to extinguish exiled Georgians from the center of Batumi to the middle of Turkey (so-called Muhajir period), and, on the other hand, to populate its loyal ethnoses (Russians, Armenians ...) in Batumi; During the last two centuries, Russia has also tried to

change consciousness of the local population by means of promoting atheism and domination of the Russian language.

In 1883, Russia ensured construction of the Baku-Batumi railway, reconstructed Batumi port and built the pipeline between Baku and Batumi in 1897-1907; As a result, from the beginning of the 20th century, Batumi acquired an important geopolitical functions.

On October 28, 1990, having won multi-party elections, the goal of the new national government was to complete deoccupation of Georgia – withdrawal of Russian troops from all parts of Georgia (including, Adjara) and using full potential of Batumi for the benefit of the local population and the newly restored central states of the central Georgia (that is what my strategy was oriented on when being appointed as a prefect of Batumi by the President Gamsakhurdia).

Russia's strategic goals did not correspond with Georgia's independence and leaving military bases in Georgia. In 1991-93, the military coup organized by the Russian Federation in Georgia (Putchi) and current events greatly damaged state interests of Georgia, defining the role of Batumi: in the aftermath of Putchi, foreign forces with their various interests, as well as clans of the Georgian or other origins, became active in Batumi.

Despite political instabilities, Batumi has greatly progressed for the last decade since the restoration of the independence of Georgia; It has become distinguished touristic and cultural center; however, there are plenty of problems and challenges nowadays; We consider that each problem should be carefully studied in order to appropriately plan ongoing processes in Batumi; the aim of the our report is to analyze current situation in Batumi; it is important to face all these risks and challenges that Batumi faces caused by the interests of outsiders.

The First Challenge: Maintaining tolerant environment in Adjara, in the settlement of a billion and a half Muslims and Christians.

The Second Challenge: Balancing actions and expectations of aggressive pro-Islamist and pantheistic groups by Batumi authorities (Adjarian Autonomous Republic) with a proper state position and civil activity.

The Third Challenge: Balancing actions of individual groups defending interests of Russia in Batumi with the right state position of the Government of Adjara, as well as civil activity of the public.

The Fourth Challenge: placing actions of strong clans in the framework of the security of the state and the improvement of the political spectrum.

The Fifth Challenge: Enhancing educational orientation in Batumi (Adjara) within the framework of unified strategy of education, culture and science, which will facilitate revival of identity of the autonomous population and protection of dignity of other ethnic groups.

The Sixth Challenge: Today Batumi is an important touristic and strategic economic center; Revenues of Batumi (Adjara) should be utilized for the interests of local and central budget within the framework of the protection of business interests of other countries (most of the revenues are lost by illegal businesses).

The Seventh Challenge: To Maintain an „Icon of Beloved Motherland“ for Georgians living in Batumi.


The Eighth Challenge: Final violation of the medieval stereotypes of intercultural religion and nationality and understanding of the ethnic Georgian as a whole on the ground of academic perception of the ethnos.

The Ninth Challenge: despite their ethnic origin, regarding all citizens of Georgia residing in Adjara (Batumi) as part of the Georgian nation.

პირველი ველოტრეკი XIX საუკუნის 90-იანი წლების ბათუმში (საარქივო სამმართველოს მასალების მიხედვით)

ყველაფერი ახალი რომ კარგად დავიწყებული ძველია, ეს კიდევ ერთხელ გაგვახსენა საარქივო დოკუმენტებმა, სადაც საუბარია ბათუმში ველოტრეკის მოწყობაზე. ის, რაც თანამედროვე ბათუმში თითქოსდა სიახლედ ჩანს, ბათუმის მესვეურებს 100 წლის წინ უკვე დანერგილი ჰქონიათ ქალაქში. ისინი ნამდვილად გამოირჩეოდნენ ნოვატორული სულით და ახალი ტექნოლოგიები დანერგვაც მათთვის ბუნებრივი მოთხოვნილება იყო.

ბათუმი იმთავითვე ევროპული ცივილიზაციის მატარებელი გახდა. ქალაქის სათათბიროს 1896 წლის 4 ოქტომბერის სხდომაზე (რომელიც გახლდათ 30 სექტემბრის სხდომის გაგრძელება), ქუთაისის სამხედრო გუბერნა-



ტორის მოთხოვნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეურნეო დეპარტამენტის ცირკულიარზე დაყრდნობით განიხილებოდა ბათუმში ელექტრო-ეკიპაჟებსა და ველოსიპედებზე გადასახადების დაწესების საკითხი. პირველი პუნქტი მალევე მოიხსნა დღის წესრიგიდან, რადგან ასეთი რამ ჯერ კიდევ არ

არსებობდა ქალაქში. აი, ველოსიპედები კი, აღმოჩნდა, რომ იმ დროისათვის 59 იყო. მიუხედავად იმისა, რომ სხდომაზე ეს რაოდენობა მაღიან მცირედ მიიჩნის, მინიმალური გადასახადი მაინც დააწესეს *[ასს, ფ. ი-7, აღწ. 1, ს. 252, ფურც. 37-49]*, როგორც ჩანს, ამ სფეროს შემდგომი განვითარების მიზნით. ეს არის ალბათ ერთ-ერთი პირველი, თუ საერთოდ პირველი არა, ხსენება ველოსიპედებისა ბათუმში.

აღსანიშნავია, რომ, როგორც 1897 წლის გაზეთ „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ რეკლამიდან ირკვევა, ბათუმში, მიხაილოვის ქუჩაზე, ლომი-ოღლის სახლში განთავსებული იყო ნაუშანის ფაბრიკის საწყობი, სადაც იყიდებოდა ველოსიპედები. წარმომადგენელი გახლდათ პანცერი *[ასს, ფ. ი-6, აღწ. 1, ს. 102, ფურც. 3]*.




აი, აქედან სულ რაღაც ორ წელიწადში კი, ინოვაციურ სფეროზე მსჯელობს ქალაქის სათათბირო.

118 წლის წინ, 1899 წლის 19 მაისს, ბათუმის საკრებულოში დაისვა ქალაქში ველოტრეკის მოწყობის საკითხი.

სხდომაზე განიხილეს „ბათუმის მოყვარულ ველოსიპედისტთა საზოგადოების“ გამგეობის თავმჯდომარის განცხადება, მათთვის არენდით ქალაქის საკუთრებაში მყოფი მიწის ნაკვეთის გადაცემის თაობაზე, რომელიც მდებარეობდა ბულვარში, კეგელ ბანსა (ბოულინგის ნაირსახეობა) და მუსიკის პავილიონს შორის (დაახლოებით დღევანდელ ნოდარ დუმბაძისა და გიორგი მაზნიაშვილის ქუჩებს შორის). წარმოგიდგენთ გეგმას *[ასს, ფ. ი-6, აღწ. 1, ს. 632, ფურც. 12]*.

„ბათუმის მოყვარულ ველოსიპედისტთა საზოგადოების“ სამმართველომ, 11 მაისის სხდომაზე დაადგინა:

„ეთხოვოს ბათუმის ქალაქის გამგეობას საზოგადოებისთვის ზღვისპირის ნაწილის, ბულვარის პარალელურად, კეგელ ბანიდან მუსიკის პავილიონამდე, ათი წლის ვადით გადაცემის თაობაზე, შემდგომი პირობებით:



1. მოცემულ ნაკვეთზე საზოგადოება მართავს ველოსიერობებსა და მარულებს, ყოველგვარ შესაძლებელ თამაშებს (კროკეტს, სერსო, ლაუნ ტენისს (მინდვრის ჩოგბურთი) და ა. შ.

2. საზოგადოება ვალდებულია იღებს ამ ნაკვეთზე ყოველგვარი მშენებლობა შეათანხმოს ქალაქის მმართველობასთან, ამასთანავე ვალდებულია იღებს არ დაფაროს თავისი ნაგებობებით ბულვარის ხეივნები და ზღვის ხედი.

3. ათწლიანი ვადის გასვლის შემდეგ კეთილმოწყობილი ველობილიკი, ასევე ყველა ნაგებობა ამ ნაკვეთზე, გადავა ქალაქის საკუთრებაში ყოველგვარი სასყიდელის გარეშე.

4. ნაკვეთის სარგებლობისთვის საზოგადოება ვალდებულია იღებს ქალაქს გადაუხადოს ყოველწლიურად საიჯარო გადასახადი: პირველ ორ წელიწადს – 5 კაპიკი თითოეულ კვადრატულ საჟენზე, ხოლო დანარჩენ პერიოდში – 10 კაპიკი ყოველ კვადრატულ საჟენზე.

5. სამმართველომ საზოგადოების თავმჯდომარე პ.უ. სტივენსი აღჭურვა უფლებამოსილებით და თხოვა მისცეს სათათბიროს ყოველგვარი ახსნა-განმარტება ამ საქმესთან დაკავშირებით, ამასთან, საკუთარი შეხედულებისამებრ შეცვალოს და განავითაროს ამ განცხადების პირობები“[ასს, ფ. ი-7, აღწ. 1, ს. 320, ფურც. 13-15].

დარწმუნებული ვარ, მაშინდელი მოღვაწეების შესაშური კეთილსინდისიერება, აშკარად თვალსაჩინო კეთილსინდისიერება, აღაფრთოვანებს თანამედროვე ადამიანს. ალბათ სამაგალითოა საზოგადოების პასუხისმგებლობა და რუდუნება, რომელიც მათი ყოველი სიტყვიდან გამოსჴვივის; თუ როგორ უფრთხილდებიან ბულვარსა და მთლიანად ქალაქის არქიტექტურას.

ახლა კი ისევ მივყვით სხდომის მსვლელობას:

ხმოსან თარუმოვს არაფერი აქვს საწინააღმდეგო ნაკვეთის გადაცემასთან დაკავშირებით, თუმცა ზღვის ხედის დაფარვის საშიშროებისაგან თავის დასაზღვევად მოითხოვს, რომ ამ ნაკვეთზე მშენებლობები არ განხორციელდეს.

სხდომის ოქმიდან თითქოსდა ცხადად გრძნობ მაშინდელი ხმოსნების წუხილს და თანამოზიარე ხდები იმაზე ფიქრის, რომ ზღვის ხედი და, აქედან გამომდინარე, ჰავა თანაბრად მიეწოდებოდეს ქალაქს და არამარტო სანაპიროზე წამოჭიმულ ცათამბჯენებს.

თარუმოვი ასევე ითხოვს, რომ საზოგადოებამ თავს იდოს ვალდებულება, პირველივე მოთხოვნისთანავე გაასუფთავოს ნაკვეთი.

ხმოსანი პალმი ამბობს, რომ შენობა-ნაგებობებს საზოგადოება გეგმავს კეგელ ბანის გადაღმა და, სავარაუდოდ, ის ხედს არ დაფარავს; და ითხოვს მიიღონ თარუმოვის წინადადება, ოღონდ საზოგადოებიდან საიჯარო გადასახადის ამოღების გარეშე.

ხმოსანი ბოგოსლოვსკი სთავაზობს სხდომას, საზოგადოებას ნაკვეთი გამოეყოს ბულვარის მეორე ბოლოში, რაც გამოიწვევდა ბულვარში მოსეირნეთა მიზიდვას ამ მიმართულებით და უზრუნველყოფდა ბულვარის ამ ნაწილის განვითარებას (ათვისებას, გაკულტურებას). ასეთ შემთხვევაში საარენდო გადასახადს არ დავუწესებდითო – მსჯელობს იგი. ხმოსანი თარუმოვი ეწინააღმდეგება ამ წინადადებას, რადგან, მისი აზრით, ეს ვერ უზრუნველყოფდა მოსეირნეთა მიზიდვას ბულვარის ამ მხარეში, თან იმ ადგილას ქალთა საბანაო ადგილი იყო.

მოკლედ, ბათუმის სათათბირომ 38 ხმოსნის შემადგენლობით, 19 მაისის სხდომაზე მოისმინა წინადადება და დაადგინა, პატივი სცეს, ბათუმის მოყვარულ ველოსიპედისტთა საზოგადოების შუამდგომლობას და გამოეყოს მას იჯარით ჯერაც აუთვისებელი (არაკულტივირებული) მონაკვეთი ბათუმის ბულვარში კეგელ ბანსა და მუსიკის პავილიონს შორის, საზოგადოების მიერ განცხადებაში მოყვანილი ვადითა და პირობებით *[ასს, გ. 0-7, აღწ. 1, ს. 320, ფურც. 15]*.

შენობაში, გარდა ველოსიპედების შენახვისა, მიმდინარეობდა მათი დასუფთავება, შეკეთება და სათადარიგო ნაწილების გაყიდვაც [ასს, გ. 1-6, აღწ. 1, ს. 552, ფურც. 15]. „საზოგადოებას“, როგორც ჩანს, 1899 წლიდანვე სწორედ ამ იოსიფოვიჩთან ჰქონდა, თავის მხრივ, ექვსწლიანი ხელშეკრულება დადებული, და სწორედ ის აგებდა პასუხს ველოსიპედებით, მათ შორის ქალებისთვის განკუთვნილი ველოსიპედებით, „ბათუმის მოყვარულ ველოსიპედისტთა საზოგადოების“ უზრუნველყოფაზე, ისვე ამარაგებდა „საზოგადოებას“ შესაბამისი აქსესუარებით, ოდესის ველოდრომის ფასების შესაბამისად, რაც, თავის მხრივ, უკვე შეთანხმებული გახლდათ ქალაქის სათათბიროსთან.

ჩანს, „ბათუმის მოყვარულ ველოსიპედისტთა საზოგადოებას“ (შემდეგში – „საზოგადოება“) ფინანსურად მაინცდამაინც კარგად ვერ წაუვიდა საქმე, რადგან 1900 წლის ნოემბერში ითხოვს გადასახადის მოხსნას და სუბსიდიას ველოდრომის პავილიონის ასაშენებლად. პირველი თხოვნა სათათბირომ დააკმაყოფილა და 1900 წლის 1 იანვრიდან სამი წლით გაათავისუფლა საარენდო გადასახადისაგან, კერძოდ, 337 მანეთისა და 50 კაპიკისაგან; მეორე მოთხოვნაზე კი უარი უთხრა [ასს, გ. 1-7, აღწ. 1, ს. 552, ფურც. 1,4;10]. როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, „საზოგადოება“ ფუნქციონირებდა წარმატებით, მაგრამ მას ისევ არ ყოფნიდა სახსრები არენდის გადასახდელად და ქალაქის საბჭომ მას კვლავ ჩამოაწერა 1903-1906 წლების გადასახადი 405 მანეთი [ასს, გ. 1-7, აღწ. 1, ს. 474; ფურც. 9].

ველოტრეკთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი მოვლენა ხდება უკვე 1908 წელს. 11 თებერვალს ქალაქის საბჭო კიდევ ერთხელ იხილავდა ველოტრეკის საკითხს. კერძოდ, „საზოგადოების“ ხელმძღვანელობა უკვე მესამედ ითხოვდა გადასახადის მოხსნას. თითქოსდა უნდა მობეზრებოდათ საბჭოს წევრებს ეს გამუდმებით გადასახადის მოხსნა, მაგრამ ქალაქის სათათბირო უფრო შორსმჭვრეტელი იყო და ანგარიშს უწევდა იმ მოვლენას, რომ ველოტრეკმა აშკარად დადებითი როლი ითამაშა ქალაქის განვითარების საქმეში, და „ბათუმის მოყვარულ ველოსიპედისტთა საზოგადოებამ“ დიდი სამუშაოები ჩაატარა ბულვარის ამ ნაწილის გასავითარებლად. „საზოგადოება“ თავის წერილში განმარტავს, რომ მან ამ მიდამოების მოსაწყობად დახარჯა 2000 მანეთი. კერძოდ, ველოტრეკის, სხვა გასართობი მოწყობილობებისა და ბავშვების სათამაშო მოედნის გასამართად; საზოგადოებამ არაერთხელ მოაწყო საზაფხულო და სხვა გასართობი სანახაობები, საცეკვაო სადამოები, მსვლელობები, თანაც ეს ყველაფერი კეთდებოდა ქალაქის მოსახლეობის კეთილდღეობისათვის და აქედან „ბათუმის მოყვარულ ველოსიპედისტთა საზოგადოებას“

არ მიუღია არავითარი სარგებელიო *[ასს, ფ. 0-7, აღწ. 1, ს. 474, ფურც. 2-9]*. მოკლედ, „საზოგადოება“ მაღლობას უხდის ქალაქის სათათბიროს და კიდევ ერთხელ, ამჯერად უკვე საარენდო ხელშეკრულების ბოლომდე – 1909 წლის 1 ივლისამდე, თხოვს გაათავისუფლოს გადასახადისაგან. სათათბიროს წევრები თანახმანი იყვნენ მათი მოთხოვნის შესასრულებლად იმის გათვალისწინებით, რომ არენდის ვადის გასვლის შემდეგ ველოტრეკი ისედაც ქალაქის საკუთრებაში გადავიდოდა. თუმცა, რამდენიმე ხმოსანი, იმ მოტივით რომ სულ დოტაციაზე გყავს „საზოგადოებაო“, ითხოვდა ზავშვთა სათამაშო მოედანი გადმოსვლას ქალაქის მფლობელობაში. ამ წინადადებას მოწინააღმდეგენი გამოუჩნდა, რადგან, როგორც ჩანს, საზოგადოება ძირითადად სწორედ ამ სათამაშო მოედნიდან შემოსული გადასახადითა იღებდა რაღაც მოგებას და ამის გარეშე აზრს კარგავდა მთელი არენდა. საბოლოო ჯამში, სათათბირომ დააკმაყოფილა „ბათუმის მოყვარულ ველოსიპედისტთა საზოგადოების“ სამმართველოს თხოვნა. ასევე, დაადგინა განეახლებინათ ხელშეკრულება და საარენდო ვადის გასვლის შემდეგ მთელი ნაკვეთი იქ აშენებული ნაგებობებით უსასყიდლოდ გადაცემოდა ქალაქს. გარდა ამისა, სათათბირომ მოთხოვა „საზოგადოებას“ განეხილა ველოტრეკით სარგებლობის ფასის გაიფხების საკითხი და დაავალდებულა იგი სათათბიროსთვის წარედგინა თვისი საქმიანობის ყოველწლიური ანგარიში *[ასს, ფ. 0-7, აღწ. 1, ს. 474, ფურც. 11]*.

თითქოსდა ყველაფერი გარკვეული იყო იჯარის ბოლომდე, მაგრამ, აი დადგა 1909 წელიც და 19 ივლისიდან კიდევ ერთხელ იხილება არენდის გაგრძელების საკითხი. „ბათუმის მოყვარულ ველოსიპედისტთა საზოგადოების“ გამგეობის თავმჯდომარე მიმართავს ქალაქის გამგეობას, განმარტავს საქმის წინარე ისტორიას, აღნიშნავს, რომ 1 ივლისს მთავრდება ხელშეკრულების ვადა და ველოტრეკი მასთან დაკავშირებული მთელი სხვა შენობა-ნაგებობებით, რაც არენდით აღებულ ნაკვეთზე მდებარეობს, უსასყიდლოდ უნდა გადაეცეს ქალაქს. იმის გათვალისწინებით, რომ საზოგადოებამ მთელი თავისი სახსრები შესწირა ველოდრომსა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობას, რაც ბულვარის ნამდვილი მშვენიერება გახდა, და სანაცვლოდ არ მიუღია ამისგან რამე სარგებელი, თხოვს გამგეობას, უშუამდგომლოს ქალაქის სათათბიროში, რათა სამი წლით უსასყიდლოდ დაუტოვონ „საზოგადოებას“ ველოტრეკი *[ასს, ფ. 0-6, აღწ. 1, ს. 644, ფურც. 1]*. 22 ივლისს სათათბირომ კიდევ ერთხელ დააკმაყოფილა „საზოგადოების“ თხოვნა და სამი წლით დაუტოვა ველოტრეკი მფლობელობაში.

შეიძლება მკითხველმა იფიქროს, ახლა კი ნამდვილად გასრულდა ქალაქისა და „საზოგადოების“ ურთიერთობა ამ თემაზე და გაირკვა ყველაფერი, მაგრამ ცხრა წლის შემდეგ კიდევ ერთხელ დგება დღის წესრიგში ველოდრომის საკითხი. 1918 წლის 25 ოქტომბერს სათათბირო ისევ განიხილავს „საზოგადოების“ საქმეს. როგორც ჩანს, საზოგადოებამ ვერა და ვერ იხიერა ფინანსურად ამ არენდით, თუმცა, ქალაქს მართლაცდა კარგი საქმე გაუკეთა. საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ მას დაუგროვდა გაერთიანებული ბანკის ბათუმის განყოფილების ვალი 1500 მანეთი და ერთადერთი გამოსავალი იყო ქალაქს გადასცემოდა მთელი მისი ქონება, ბუნებრივია, ამ ვალთან ერთად. სათათბირო ორჭოფობდა, ღირდა თუ არა ამ ფასად ველოტრეკი და მასთან არსებული სხვა შენობები თუ ქონება, მაგრამ, როგორც ხმოსანი ბერტმანი ამტკიცებდა, იმის გათვალისწინებით, რა სარგებელიც მოუტანა „საზოგადოებამ“ ქალაქს, ეს ვალი არაფერს არ წარმოადგენდა. საბოლოოდ, სათათბირომ 15 ხმით გადაწყვიტა ქალაქს გადასცემოდა ველოდრომი „ბათუმის მოყვარულ ველოსიპედისტთა საზოგადოების“ ვალთან ერთად *[ასს, ფ. ი-7, აღწ. 1, ს. 707, ფურც. 15-17]*.

ინტერნეტმასალებში მოხსენიებულია 1919 წლის დიდი ველოშეჯიბრება ბათუმში, რომელიც ბრიტანელებმა მოაწყვეს და კუკ-კოლისიც ესწრებოდა თურმე. ამ ველოდრომთან ჰქონდა თუ არა რაიმე კავშირი „ბათუმის მოყვარულ ველოსიპედისტთა საზოგადოებას“ ან უშუალოდ ქალაქის საბჭოს – გაურკვეველია, რადგან მაშინ ბათუმს, როგორც მოგეხსენებათ, ბრიტანელების მიერ დაფუძნებული საბჭო მართავდა ცნობილი ანტიქართველი კადეტის თავმჯდომარეობით. ყოველშემთხვევაში, ეს საკითხები შემდგომი კვლევის საგანია. ერთი რამ კი ფაქტია – ღია ბარათზე, რომელიც ამ მოვლენის აღსანიშნავად დაბეჭდეს ბრიტანელებმა, აშკარად „ბათუმის მოყვარულ ველოსიპედისტთა საზოგადოების“ მიერ მოწყობილი ველოდრომი და ველოსიპედების შესანახად აშენებული ფარდული მოჩანს.

ვფიქრობ, ეს დოკუმენტები მნიშვნელოვანი და საინტერესოა არა მარტო ძველი ბათუმის კვლევისა და შესწავლის თვალსაზრისით, არამედ იმ მართლაცდა იშვიათი კეთილსინდისიერი, მზრუნველი და პატრიოტული დამოკიდებულებითაც, რასაც მაშინ ამჟღავნებდნენ როგორც ბათუმის ბედით დაინტერესებული ქალაქის მესვეურები ერთი მხრივ, ისე საქმოსნები მეორე მხრივ, მართლაცდა, ესაა ნიმუში იმისა, თუ როგორ შეიძლება აკეთო ბიზნესი ისე, რომ არათუ არ დააზიანო და გაყვლიფო შენი ქალაქი, არამედ მის კეთილდღეობაზე, მის მკვიდრთა აწმყოზე და მომავალზეც იფიქრო.



ამ დოკუმენტების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღირებულება ალბათ ისიცაა, რომ ცხადად ჩანს კანონს რა ხშირად შეიძლება აღმოაჩნდეს ადამიანური მხარეებიც; კანონი ხანდახან შეიძლება შემოქმედებითი იყოს და ხელშეკრულება ხშირად ხელის შეკვრას კი არა, უფრო ხელის ჩაჭიდებას, გვერდში ამოდგომას ნიშნავდეს. ქალაქის სათათბირომ მართლაცდა ყველაფერი გააკეთა, რომ ბათუმს ეს ველოტრეკი ჰქონოდა, თორემ წართმევას, დანგრევას და გაუქმებას მართლაცდა რა ედგა წინ.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

ასს, ფ. ი-6, აღწ. 1, ს. 102 – აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-6, აღწერა 1, საქმე №102.

ას, ფ. ი-6, აღწ. 1, ს. 632 – აჭარის საარქივო სამმართველოს, ფონდი ი-6, აღწერა 1, საქმე №632.

ასს, ფ. ი-7, აღწ. 1, ს. 252 – აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-7, აღწერა 1, საქმე №252.

ასს, ფ. ი-7, აღწ. 1, ს. 320 – აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-7, აღწერა 1, საქმე №320.

ასს, ფ. ი-7, აღწ. 1, ს. 352 – აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-7, აღწერა 1, საქმე №352.

ასს, ფ. ი-7, აღწ. 1, ს. 474 – აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-7, აღწერა 1, საქმე №474.

ასს, ფ. ი-7, აღწ. 1, ს. 707 – აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-7, აღწერა 1, საქმე №707

თემატური ნუსხა – თემატური ნუსხა „ბათუმის მოყვარულ ველოსიპედისტთა საზოგადოება“, ნ.გოგიტიძე, მ.სურმანიძე, ფ.ქარდავა, აჭარის საარქივო სამმართველო.

სინ, 1971: – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, V, თბილისი.

სდსინ, III, 2008: – სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, ბათუმი.

შარაძე, 2007: – გურამ შარაძე, ძველი ბათუმი (ხელნაწერის უფლებით), აჭარის საარქივო სამმართველოს ბიბლიოთეკა.

Phridon Kardava (Batumi, Georgia)

**“First Velodrome in Batumi in the 90 s of XIX Century”
(according to the archival materials)**

Summary

The topic is about the issue of the first cycle track in Batumi in 90years.This innovation was instilled by „Batumi Amateur Cyclist Society“ successfully in town, which was supported by Batumi Town council. In a piece of work not such a simple method of the relationship between „Batumi Amateur Cyclist Society“ and city principals is discussed to the connection of this most important work.

ბათუმის თემა რუს ლიტერატურის უმეორეულში

ბათუმმა თავისი ადგილი დაიჭირა რუსი მწერლებისა და პოეტების შემოქმედებაში. ჩვენი მიზანია გავანალიზოთ, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ქალაქი რუსული ლიტერატურისათვის, რამდენად შთამბეჭდავი იყო მისი წარმოჩენა, იყო თუ არა ის გარკვეული მხატვრული ფუნქციის მატარებელი თუ ლიტერატურისათვის უბრალოდ მხოლოდ გეოგრაფიულ პუნქტს წარმოადგენდა. სტატიაში ყურადღებას გავამახვილებთ ბათუმის ასახვის თავისებურებებზე ვსევოლოდ როჟდესტვენსკისა და ვლადიმირ ვისოცკის ლექსებში.

ბათუმი თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის წყალობით ერთგვარ გზაჯვარედინად იქცა. XX საუკუნის პირველი მესამედის რუსულ ლიტერატურაში ბათუმი წარმოადგენდა, ერთი მხრივ, ორი სამყაროს გადაკვეთის ადგილს, და მეორე მხრივ, ერთგვარ გზის გასაყარს, სადაც ადამიანი მნიშვნელოვანი არჩევანის წინაშე დგებოდა. რევოლუციურმა ქარიშხალმა ბევრი რუსი მწერალი და პოეტი აიძულა მიეტოვებინა მშობლიური მხარე. მათ სამხრეთს მიაშურეს. ლტოლვილთა მცირე ნაწილი იმ იმედით სულდგმულებდა, რომ ქარიშხალი მალე გადაივლიდა და ცხოვრება ძველ ჩვეულ რიტმს დაიბრუნებდა. უფრო რადიკალურად განწყობილთათვის კი სამხრეთი, და კონკრეტულად ბათუმი, მხოლოდ, ასე ვთქვათ, სატრანზიტო პუნქტს წარმოადგენდა.

რევოლუციურ ქარიშხალს გამოქცეული რუსული ინტელიგენციის ნაწილი ბათუმში ჩერდებოდა და აქ ხდებოდა მათი სამომავლო გეგმების ფილტრაცია, გადაწყვეტილების მიღება საკუთარ მომავალთან დაკავშირებით.

ბათუმის თემა საინტერესოდ არის წარმოჩენილი ვსევოლოდ როჟდესტვენსკის ლექსების ციკლში „ბათუმი“. ყურადღებას იქცევს ნაცნობი მოტივი, რომელიც ს. ესენინთან და ო. მანდელშტამთან გვხვდება - სამხრეთისა და ჩრდილოეთის ერთგვარი ჭიდილი. სერგეი ესენინი ამ თემას პირდაპირი გეოგრაფიული პუნქტირებით გამოხატავს: «Корабли плывут в Константинополь, поезда уходят на Москву» («Батум»). კონსტანტინოპოლი ესენინის ლექსში „ბათუმი“ წარმოდგენილია როგორც სამხრეთის ხატი, მოსკოვი კი ჩრდი-

ლოეთისა. ბათუმი კი ამ ორი პოლარულად განსხვავებული სამყაროს მიჯნაზეა, გზის გასაყარზეა. ბათუმის თემის გააზრება განსაკუთრებით საინტერესოა ცნობილი სოციოკულტურული ოპოზიციის „აღმოსავლეთი–დასავლეთის“ გათვალისწინებით. ორი პოლარული ეთნომენტალობის მქონე სამყაროს ურთიერთდამოკიდებულება ოდითგანვე იპყრობდა ყურადღებას. რუსული მხატვრული სიტყვის ოსტატებისათვის საქართველო ყოველთვის წარმოადგენდა თავისუფლების, სტუმართმოყვარეობის, სულიერი სითბოსა და იუმორის განსახიერებას. საქართველოსა და მისი ეროვნული ფასეულობების ლიტერატურული როლის აღიარება რუსი რომანტიკოსების დამსახურებაა, სწორედ მათი შემოქმედებიდან მომდინარეობს კავკასიის როგორც თავისუფლების ოაზისის აღქმის ტრადიცია. აღნიშნული ტრადიცია XX საუკუნეშიც გაგრძელდა, განსაკუთრებით პოსტრევოლუციურ პერიოდში.

ვსევოლოდ როჟდესტვენსკი ბევრს მოგზაურობდა, 1929 წელს ამიერკავკასიაში მოგზაურობის დროს იმყოფებოდა ბათუმში. 1929 წელს გამოსცა კრებული «Поющая земля: география в стихах» [<https://books.google.ge>]. აღნიშნული კრებულის ბათუმურ ციკლში როჟდესტვენსკის სამი ლექსი აქვს გაერთიანებული:

«Нет, недаром так глядели вдаль мы...»

«Пыльный зной нагорным ветром свеян...»

«Так порою, светлой грустью ранен...»

ვ. როჟდესტვენსკის ლირიკული გმირი, მსგავსად ესენინისა, ჩრდილოელია, არა მარტო წარმოშობით, სულითაც და არსებითაც. აქაც ვაწყდებით ორი სამყაროს გადაკვეთის მოტივს, მხოლოდ პუნქტებია შეცვლილი, სამხრეთის ხატს ამ ლექსში უკვე ბათუმი წარმოადგენს:

Здесь, в Батуми, давний северянин,

Солнце я в груди своей несу.

ჩრდილოეთის ხატი კი არ არის დაკონკრეტებული, ზოგადია.

ჩრდილოეთის სადა, პირქუშ ფერებს მიჩვეული პოეტისათვის სამხრეთული სამყაროს მრავალფეროვანი, ეგზოტიკური სილამაზე ნამდვილი აღმოჩენა იყო. პოეტი ცდილობს არ გამოეპაროს და თავის სტილში აღწუსოს ამ მრავალფეროვნების თითოეული მომენტი.

მიუხედავად უცხოური წარმოშობისა (давний северянин), პოეტი თავს მარტოსულად არ გრძნობს. თითქოს აქ დაიბადა ან დიდხანს იცხოვრა. ბათუმის აღწერისას მის თვალს არ გამოჰპარვია საპორტო ქალაქის თავისებურებები, პორტის ხმაურიანი ცხოვრება, ყავახანები, რომლებიც ბევრი რუსი პოეტი-

სათვის (ო. მანდელშტამი, კ. პაუსტოვსკი) ბათუმის აუცილებელ და განუყოფელ ატრიბუტს წარმოადგენდა, და რა თქმა უნდა, ზღვა, ზღვა, ზღვა... ზღვა და ხმელეთი თითქოს ერთმანეთში გადაიზარდა და ხმელეთიც ისევე ირწევა, როგორც შავი ზღვა: «Даже здесь, когда идёшь бульваром, Всё ещё качается земля».

მანდელშტამის მსგავსად, ვ. როჟდესტვენსკიც ბათუმს პალმების ქალაქს უწოდებს - пальмовый Батум.

Звёзды, как огромные медузы,
В нефтяной качаются волне.
Хорошо добраться до ночлега!
Бьет в виски тяжелый мутный шум.
За каймой вскипающего снега
Туго выгнут пальмовый Батум.
Дышит ночь аджарским синим жаром,
И, воспоминаньем корабля,
Даже здесь, когда идёшь бульваром,
Всё ещё качается земля.

ვ. როჟდესტვენსკის ლექსები ბათუმის შესახებ თავისი სტილითა და ტონალობით ძალიან ახლოსაა ს. ესენინის შემოქმედებასთან. იგრძნობა ესენინისეული მსუბუქი ნაღვლიანი განწყობა, მსგავსია ზღვასთან დაკავშირებული ლექსიკა და სცენები. ეს არც არის გასაკვირი, ამ ორ პოეტს აახლოებს გარკვეული ლირიულობა. რომანტიკული ბუნების პოეტის, ვ. როჟდესტვენსკის შემოქმედებაში მთავარი ადგილი უჭირავს პეიზაჟულ ლირიკას, რომელშიც ის უმდეროდა სოფლურ იდილიასა და უშფოთველ სიყვარულს.

1966 წლის სექტემბერში სვანეთში კინოფილმ „ვერტიკალის“ გადაღებების პერიოდში ცნობილმა რუსმა პოეტმა და მსახიობმა ვ. ვისოცკიმ რამდენიმე დღე ბათუმში გაატარა. მას თან ახლდა რეჟისორი ს. გოროვუხინი.

ვისოცკის ლექსში ბათუმზე, რომელიც ხელოვანისათვის დამახასიათებელ სტილში არის შექმნილი, გარკვეული დოზით ხდება დრამატული ნოტების შერევა, ოღონდ იმდენად მცირე დოზით, რომ არ ხდება გრძნობის გაუბრალოება, იმ გრძნობისა, რომელიც მშრალი, ოდნავ აგდებული აღწერითი სიტყვების შემდეგ განსაკუთრებით მკვეთრად ხვდება გულს. მაგალითად,

В умах царил шашлык и алкоголь, -
Вот кто-то крикнул, что не любит прозы,

Что в море не поваренная соль -

Что в море человеческие слёзы.

ქართული სუფრის, ქეიფისა და დროსტარების აღწერა სტროფის ბოლო ფრაზაში მოულოდნელად გადადის დრამატულ ტონალობაში – «...в море человеческие слёзы». ეს ვისოცკისათვის დამახასიათებელი მომენტი, ასე ვთქვათ, სხვადასხვა ტონალობისა და სტილის შერევა. ამით ის თავის სათქმელს ამუქებს, ყოველდღიური ყოფიერების აღწერის ფონზე საკაცობრიო აზრს უსვამს ხაზს.

ვისოცკის ლექსში, რაღა თქმა უნდა, წარმოჩენილია ადგილობრივი კოლორიტიც, ოღონდ უცხოელისათვის დამახასიათებელი ერთგვარი გაოცების ტონით:

Уже едят инжир и мандаринки,

Которые здесь запросто растут,

Точь-точь как те, которые на рынке.

უცხოელისათვის ეს ერთგვარი ეგზოტიკაა, რაც მათ სასიამოვნო გაოცებას იწვევს. აქ ძალაუვნებურად გვახსენდება ესენინის მსგავსი რეაქცია, ერთ-ერთ წერილში ის წერდა: „Уже декабрь, а мы рвали вчера малину“ [<http://www.museum-esenin.ru/tvorchestvo/977>].

პოეტს არ გამოჩენია ქართული სუფრის რიტუალური სახე, აუცილებელი სადღეგრძელოები, ქართული სუფრის გაჭიანურებული მსვლელობა («Обхвалены все гости, и пока Они не окончательно уснули...»).

საინტერესოა შედარებები ვისოცკისეულ სტილში: თამადა, როგორც ქართული სუფრის დიქტატორი ან მმართველი შედარებულია შერიფთან, ხოლო მორჩილი სუფრა კი - კომპარტიის მორიგ ყრილობასთან, რითიც ხაზს უსვამს იმდროინდელ საზოგადოებრივ ინერტულობასა და მონურ მორჩილებას:

И тамада над всем царит шерифом,

Как будто бы двадцатый с чем-то съезд

Другой - двадцатый - объявляет мифом.

თამადის სახე საინტერესო ასოციაციებს აღძრავს: თამადა სუფრის დიქტატორია, სტალინი კი სახელმწიფოს დიქტატორი და ტირანი, მხოლოდ მასშტაბებშია სხვაობა. თამადა სვამს სტალინის სადღეგრძელოს (ვისოცკი თავიდან ამ თემასაც ეთამაშება, ფრონტზე მეგონა თავიო). შემდეგ კი მოულოდნელად შემოგვაპარებს სათქმელს - სტალინი დიქტატორი და ტირანია, ტირანია კი მისთვის მიუღებელია. ამ კონტექსტში საუბრობს ის კომპარტიის მეოცე ყრილობის შესახებ, სადაც დაგმოიბილი იქნა სტალინის კულტი.

ბათუმში ყოფნის დღეები საკმაოდ შთამბეჭდავი აღმოჩნდა პოეტისათვის. მისი ლირიკული გმირი ერთგვარი დანაწევრებით ემშვიდობება სამხრეთულ ქალაქს, ზღვას, ზაფხულის თაკარა მზეს და სრული გულწრფელობით ამბობს:

О как мне жаль, что я и сам такой:

Пусть я молчал, но я ведь пил - не реже, -

Что не могу я моря взять с собой

И захватить всё солнце побережья.

როგორც ვხედავთ, რუსი პოეტებისათვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა ბათუმისათვის დამახასიათებელი ბევრი მნიშვნელოვანი, ხშირად საკმაოდ პროზაული დეტალი. ამავე დროს ბათუმური შთაბეჭდილებები იქცნენ მათი პოეტური მოღვაწეობის მძლავრ იმპულსად. (შემთხვევითი არ არის, რომ ესენინის „ბათუმურ ზამთარს“ შემოქმედებითი ნაყოფიერების მიხედვით ხშირად ადარებენ პუშკინის „ბოლდინოს შემოდგომას“). ბათუმმა წარუშლელი კვალი დატოვა აღნიშნული პოეტების შემოქმედებაში, ბათუმში ან ბათუმური შთაბეჭდილებებით შექმნილი ნაწარმოებები გამოირჩევიან თემატიკის სიახლით, განახლებული ხედვით, განსაკუთრებული აღქმით.

თუ XX საუკუნის პირველ ათწლეულებში ბათუმი რუსი პოეტებისათვის გზაჯვარედინის როლს ასრულებდა, სადაც მათ უნდა აერჩიათ საკუთარი მომავალი, შემდგომ პერიოდებში რუსი ლიტერატორების თვალთახედვაში ძირითადად საპორტო ქალაქის ყოველდღიური ყოფა-ცხოვრება ექცევა თავისი ეროვნული თუ სოციალური თავისებურებებით. ზოგ შემთხვევაში ბათუმურ თემას ერწყმის სხვა მნიშვნელოვანი თემებიც, ისეთი როგორიცაა სტალინის თემა და სხვა.

ბათუმის თემის გააზრება რუს ლიტერატორთა შემოქმედებაში საშუალებას მოგვცემს ვისაუბროთ იმაზე, რომ არსებობს თუ არა რუსული ლიტერატურის „ბათუმური ტექსტი“. არსებული ტექსტებისა და კვლევების მიმოხილვა ნამდვილად გვადლევს ამგვარი აზრის წამოყენების საშუალებას.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

<http://www.museum-esenin.ru/tvorchestvo/977>

<https://books.google.ge>

Nana Kajaia (Batumi, Georgia)

Batumi Topic in Creative Works of Russian Writers

Summary

Batumi left an indelible mark on the works of Russian poets. The works created in Batumi or inspired by Batumi are distinguished with the thematic diversity, with the new perspective. If in the first decades of the twentieth century Batumi was seen as the crossroad for Russian poets, where they should have chosen their future, in the later periods of Russian literature the main focus is given to the daily life of the port city with its national and social peculiarities.

**ბაჰეთი „კავკაზი“ ბათუმის პოლიტიკური და
ეკონომიკური მნიშვნელობის შესახებ
(XIX საუკუნის 80-იანი წლები)**

1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად, რუსეთის იმპერიის მიერ ბათუმის შემოერთებით, ქვეყანაში გაჩნდა ახალი პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სამხედრო-სტრატეგიული ფაქტორი, რომლის გონივრული შეფასება და გამოყენება სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს მიზნად იქცა. XIX საუკუნის 80-იანი წლების პრესაში აისახა საზოგადოების სხვადასხვა წრეების მოსაზრებები, სპეციალისტთა განსხვავებული თვალსაზრისი ბათუმის და მისი ნავსადგურის, როგორც პორტო-ფრანკოს, განვითარების პერსპექტივების და სავაჭრო-ეკონომიკური პოტენციალის შესახებ. განსაკუთრებულად აქტუალური გახდა ნავთობსადენის გაყვანის იდეა ბაქოდან ფოთსა და ბათუმამდე, ასევე, ევროპის ქვეყნებში გატანის მიზნით ბათუმში ნავთობგადამამუშავებელი საწარმოების დაარსებისა და ბათუმის ნავთობის ქალაქად გადაქცევის შესახებ. პოპულარობით სარგებლობდა გოლოვაჩევისა და ბახმატიევის პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ბათუმის სანაპიროზე დიდი სავაჭრო-კომერციული პორტის მშენებლობას [*Бахметев, 1882: 1-7*]. თუმცა არსებობდა განსხვავებული მოსაზრებები, რომლებიც ბათუმის, როგორც სტრატეგიული პუნქტის მნიშვნელობას რუსეთის იმპერიისთვის სხვაგვარად ხედავდა და ეწინააღმდეგებოდა ბათუმის სანაპიროზე კომერციული პორტის შექმნის იდეას; არარენტაბელურად მიიჩნევდა რუსული ფულის დაბანდებას სავაჭრო საპორტო ინფრასტრუქტურის შესაქმნელად პორტო-ფრანკოს არსებობის პირობებში და ბათუმის განვითარების სამხედრო-სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებდა უპირატესობას.

ამ მხრივ, საყურადღებოა ნიკოლაი შავროვის წერილი, რომელიც 1881 წელს დაიბეჭდა გაზეთ „კავკაზის“ რამდენიმე ნომერში სათაურით: „ბათუმი, ფოთი, სოხუმი და მათი მნიშვნელობა რუსეთისთვის“ [*газ. Кавказ, 1881, N 34, 36, 38*]. ავტორი შეეცადა გაეანალიზებინა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის აღნიშნული ნავსადგურების განვითარების პერსპექტივები და მნიშვნელობა სახელმწიფოსთვის ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სამხედრო-სტრატეგიუ-

ლი კუთხით. სტატიაში განსაკუთრებული ადგილი ბათუმის ნავსადგურისა და პორტის დანიშნულების განსაზღვრას ეძღვნება. გაზეთ „კავკაზში“, როგორც ოფიციალურ პერიოდულ გამოცემაში გამოქვეყნებული მასალები, საინტერესოა იმ მხრივ, რომ ისინი ძირითადად ასახავდნენ საკითხის მიმართ ხელისუფლების დამოკიდებულებას, პოლიტიკურ მოტივაციასა და საფუძველს.

პუბლიკაციის ავტორი, ნიკოლაი შავროვი (1826-1899), ამიერკავკასიაში, კერძოდ, საქართველოში მოღვაწეობდა XIX საუკუნის II ნახევარში. ის ცნობილია, როგორც სამხედრო ადმინისტრატორი, ჩინოვნიკი, მოგვიანებით, პუბლიცისტი. კარიერა დაიწყო ქუთაისის სამხედრო გენერალ-გუბერნატორის საინჟინრო ნაწილის ხელმძღვანელის პოსტზე და განსაკუთრებულად დაინტერესდა შავი ზღვის პორტების მოწყობის საკითხით. დაინიშნა რა სამხედრო-საინჟინრო სამმართველოს ინსპექტორად, დაევალა ამიერკავკასიაში პორტების პროექტის შემუშავება. მას ეკუთვნის ფოთის პორტის პროექტი და მისი განხორციელება 1863-1873 წლებში. გენერალ-მაიორის ჩინით თადარიგში გასვლის შემდეგ დაარსა გაზეთები „Биржа“ და „Наш Век“. 1881 წლიდან მსახურობდა კავკასიის მხარის მთავარი სამმართველოს მაღალი რანგის ჩინოვნიკად; პარალელურად იყო კავკასიის მხარის ოფიციალური გაზეთის „კავკაზის“ თანამშრომელი [*Энциклопедический словарь, 1903: 90-91*]. მისი ნაშრომები ეძღვნებოდა ფოთის პორტის მართვის, გემთმშენებლობისა და სხვა საკითხებს და კავკასიაში რუსეთის ინტერესების დამცველად გვევლინება. მისი ბიოგრაფიიდან ჩანს, რომ ნიკოლაი შავროვი ავტორიტეტულ და კომპეტენტურ პიროვნებად ითვლებოდა და აღნიშნული საკითხის შესახებ მისი თვალსაზრისი ანგარიშგასაწევად მიიჩნეოდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე, ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნისას, ბათუმს არ ჰქონია განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა, ის აქტიურად არ იყო ჩართული საზღვაო მიმოსვლასა და მოძრაობაში. XVI საუკუნის 70-იან წლებში აღმოსავლეთ შავი ზღვის სანაპიროს ათვისების მიზნით ოსმალეთმა ააგო ციხე-სიმაგრეები ფოთსა და სოხუმში, თუმცა ბათუმის სანაპირო ზოლის ბუნებრივი ღირსებები არ გამოუყენებია არც სავაჭრო, არც სამხედრო მიზნებისთვის. XIX საუკუნის დასაწყისისთვის ბათუმი წარმოადგენდა მცირე ზომის მეთევზეთა დასახლებას. ნიკოლაი შავროვი ბათუმის განვითარებას, მოსახლეობის მატებასა და დასახლების განაშენიანებას უკავშირებდა ყირიმის ომის შემდეგ რუსეთის მიერ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ფოთის პორტის მშენებლობას. არახელსაყრელი ამინდის პირობებში ფოთის ნავსადგურის მიუვალობის გამო, აუცილებელი იყო „რუსეთის სა-

ნაოსნო საზოგადოებას“ ბათუმში ჰქონოდა ქვანახშირისა და ტვირთის საწყობები, რადგან მის სანაპიროზე შესაძლებელი იყო ნებისმიერ ამინდში გემების ნაპირთან მიდგომა. შავროვი თვლიდა, რომ ფოთის პორტის წყალობით, ბათუმი XIX საუკუნის მეორე ნახევარში შედარებით აქტუალური გახდა და იქცა სავაჭრო ტვირთბრუნვის პუნქტად. ოსმალეთმა ბათუმის განსაკუთრებული სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ყირიმის ომის შემდეგ, XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან შეაფასა, მთიელთა გადმოსახლებისა და რუსეთის მიერ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სანაპირო ზოლის ათვისების შემდეგ. უკვე რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წწ. ომის წინ, თურქებმა ბათუმი გააძლიერეს რეგულარული არმიის შენაერთებით. აშენდა სანაპირო ზოლის თავდაცვითი ნაგებობა ნავსადგურში შესასვლელის დასაცავად [გაზ. *Кавказ*, 1881, N 34: 1].

შავროვის აზრით, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რუსეთის გაძლიერება განსაკუთრებულად ეწინააღმდეგებოდა ინგლისის ინტერესებს. რუსეთისთვის წარუმატებელი ყირიმის ომის შემდეგ, პარიზის კონგრესზე დაისვა საკითხი რუსეთის შავი ზღვის სამხედრო ფლოტის მნიშვნელოვანი შეზღუდვისა და სანაპირო ზოლში სიმაგრეების დანგრევის შესახებ. 1877-1878 წლებში ოსმალეთთან ომში რუსეთის ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, ბერლინის კონგრესზე, ევროპის სახელმწიფოები იძულებულები გახდნენ შერიგებოდნენ რუსეთის ხელში ბათუმის გადასვლას. თუმცა, ინგლისის მიერ მოიძებნა დიპლომატიური გამოსავალი, რომელიც მნიშვნელოვნად შეზღუდავდა ბათუმის გადაქცევას სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულების პუნქტად. პორტო-ფრანკოს სტატუსი, რომელიც ინგლისის დიპლომატიური მისიის მკაცრი მოთხოვნით მიაკუთვნეს ქალაქს, გულისხმობდა ბათუმის თავისუფალ სავაჭრო ქალაქად გამოცხადებას, კრძალავდა ყოველგვარი ციხე-სიმაგრის მშენებლობას და სამხედრო არსენალის შექმნას მის ტერიტორიაზე. ნიკოლაი შავროვის შეფასებით, ბათუმის პორტო-ფრანკო აფერხებდა რუსეთის გაძლიერებას. ის სრულიად არ შეესაბამებოდა ქვეყნის ღირსებას და ეწინააღმდეგებოდა მის მიზნებს ამ რეგიონში, კერძოდ კი, ამიერკავკასიასა და შავიზღვისპირეთში ვაჭრობის განვითარებას. გამოხატავდა რა ევროპული კონცერტის ინტერესებს, პორტო-ფრანკო ემსახურებოდა უფრო მეტად ინგლისისა და თურქეთის სავაჭრო პოტენციალის ზრდას, ვიდრე რუსეთისას. აქედან გამომდინარე, შავროვი თვლიდა, რომ ბათუმის კომერციულ საპორტო ქალაქად გადაქცევა რუსეთისთვის არახელსაყრელი იყო, სანამ მას პორტო-ფრანკოს სტატუსი ჰქონდა. სავაჭრო პორტი ბათუმში, მისი აზრით, ინგლისისა და ევროპული

კაპიტალის გავლენას აძლიერებდა: „... ბათუმში პორტის მშენებლობის შესახებ, თავს უფლებას მივცემ, მხოლოდ მაშინ ვიმსჯელო, თუ ეს ემსახურება ამიერკავკასიის ვაჭრობას და არა უცხოურ პორტო-ფრანკოს, რომელიც ინგლისელებმა მოგვახვიეს თავს საკუთარი და ევროპული ვაჭრობის განვითარების მიზნით“ *[გაზ. Кавказ, 1881, N 36: 1]*.

ნიკოლაი შავროვი თვლიდა, რომ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე აუცილებლად უნდა შექმნილიყო მძლავრი კომერციული ნავსადგური. თუმცა, მისი აზრით, ამიერკავკასიის მთავარი პორტი ბათუმის ნაცვლად ფოთი უნდა ყოფილიყო. ფოთის გეოგრაფიული მდებარეობა, სიახლოვე ქუთაისთან, თბილისთან, ბაქოსთან და მისი ადვილად მისადგომობა უფრო მომგებიანი იყო და განაპირობებდა ამიერკავკასიისა და შავიზღვისპირეთში ტვირთბრუნვისა და ვაჭრობის განვითარებას. ქედებითა და მთებით შემოსაზღვრულ ბათუმში ქვეყნის შიგნიდან ტვირთების გადაზიდვა, ამიერკავკასიის რეგიონებთან დამაკავშირებელი გზების უქონლობის გამო, შავროვს რთულად ეჩვენებოდა *[გაზ. Кавказ, 1881, N 34: 1]*. შავროვი შეეცადა, შემდეგი არგუმენტებით გაემყარებინა ბათუმში კომერციული პორტის აგების არარენტაბელობა და მასთან შედარებით ფოთის სავაჭრო პორტის განვითარების უპირატესობა:

1. კომერციული ნავსადგურისთვის აუცილებელი იყო საპორტო ქალაქისა და მიმდებარე რეგიონის შესაბამისი საქონელწარმოების მოცულობა, სამრეწველო ინფრასტრუქტურა. ნიკოლაი შავროვი აღნიშნავს, რომ ბათუმის იმჟამინდელი წარმოება მის მცირერიცხოვან მოსახლეობას ძლივს თუ აკმაყოფილებდა, მას ფოთიდან მიეწოდებოდა სურსათი და სხვა საჭირო პროდუქტი. ფოთისა და რიონის აუზის საქონელწარმოებისა და საქონელბრუნვის მოცულობა საგრძნობლად აღემატებოდა ბათუმისას: ყოველწლიურად ფოთიდან ზღვით გადიოდა 1 მილიონი ფუთი სიმინდი, 100 000 ფუთი კაკალი, პალმა, 2 მილიონი ფუთი ხე და ხის მასალა, დაიწყო ქუთაისის გუბერნიიდან მარგანეცის და ტყიბულიდან ათეულობით მილიონი ფუთი ქვანახშირის გაზიდვა *[გაზ. Кавказ, 1881, N 34: 2]*.

2. 1881 წლისთვის ბათუმი ფოთს ქალაქის ურბანული განაშენიანებითა და მოსახლეობის რაოდენობითაც ჩამოუვარდებოდა. შავროვის მტკიცებით, ფოთისა და მისი შემოგარენის მოსახლეობა 563 000 ადამიანს ითვლიდა, რაც აღემატებოდა ბათუმისა და ყარსის რეგიონის მოსახლეობას ერთად აღებულს *[გაზ. Кавказ, 1881, N 34: 2]*.

3. შავროვის აზრით, ამიერკავკასიის შიდა რეგიონებიდან ფოთისკენ ტვირთების გადაადგილება ბათუმთან შედარებით უფრო იაფი დაჯდება, სამტრედია-ბათუმის დამაკავშირებელი სარკინიგზო ხაზის გაყვანის შემთხვევაშიც, რომლის სიგრძე 46 ვერსით გადააჭარბებდა სამტრედია-ფოთის რკინიგზის სიგრძეს. ნიკოლაი შავროვის გამოთვლებით, ამიერკავკასიის ტერიტორიებიდან ბათუმის ნავსადგურისკენ ტვირთების გადაადგილება ყოველწლიურად 1 080 000 რუბლით მეტ ხარჯებს მოითხოვდა, ვიდრე ფოთისკენ მათი გადაადგილება [*რკ. კავკაზ, 1881, N 34: 1-2*].

ამგვარად, შავროვის აზრით, ქალაქის სავაჭრო მნიშვნელობა, მხოლოდ სანაპიროს კონფიგურაციითა და მოხეხებული ნავსადგურით არ განისაზღვრებოდა. ბათუმის უმთავრესი პრობლემა ამ პერიოდისთვის იყო მოსახლეობის სიმცირე, მათი სიღარიბე, წარმოებისა და ამიერკავკასიის შიდა ტერიტორიებთან დამაკავშირებელი გზების უქონლობა, ტვირთბრუნვის სიმცირე და არარენტაბელობა, რის გამოც ის ფოთს კონკურენციას ვერ გაუწევდა და სავაჭრო-კომერციულ პორტად ვერ გადაიქცეოდა. იქ, სადაც უცხოურ საქონელს არ ჰყავდა მომხმარებელი ჩინოვნიკებისა და ჯარისკაცების გარდა, არ არსებობს საზღვარგერეთ გასატანი საქონელი, კომერციული ქალაქი არ უნდა დაარსებულიყო. აქედან გამომდინარე, შავროვი არაგონივრულად თვლიდა ბათუმში კომერციული პორტის შექმნის იდეას.

ნიკოლაი შავროვის აზრით, ბათუმს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში უფრო მნიშვნელოვანი ფუნქცია უნდა შეესრულებინა ქვეყნის სასაზღვრო ზოლის დაცვისა და სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით. თბილისთან და ბაქოსთან სარკინიგზო ხაზით დაკავშირების შემთხვევაში, ამიერკავკასიის შიდა რეგიონებიდან, ასევე ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ნავსადგურებიდან და აზოვის ზღვის პორტებიდან ბათუმში შესაძლებელი იქნებოდა, უმოკლეს დროში, დაახლოებით 2-3 დღეში, სასურველი სამხედრო ძალების, ასევე, რამდენიმე კვირის საჭირო პროდუქტებისა და სხვა მასალების მარაგის თავმოყრა [*რკ. კავკაზ, 1881, N 36: 1*]. ნიკოლაი შავროვის აზრით, ბათუმის სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა არ ამოიწურებოდა მხოლოდ ამ გრანდიოზული უპირატესობით. ორი ზღვისპირა პუნქტის – ბათუმისა და ქერჩის ციხის ფლობით რუსული კრეისერები მთელი წლის განმავლობაში შეძლებდნენ შავი ზღვის აღმოსავლეთ და სამხრეთ სანაპირო ზოლში გადაადგილებას, მოწინააღმდეგესთან შებრძოლებასა თუ სამხედრო მანევრების შესრულებას. ბათუმი უნიკალური იყო ამ მხრივ. ნავსადგური იძლეოდა საშუალებას, სანაპირო არტილერიის ქვედანაყოფის დაცვის ქვეშ, მუდმივად მდგარიყო სამ-

ხედრო გემების ესკადრა და დალოდებოდა ხელსაყრელ პირობებს მოწინააღმდეგესთან დასაპირისპირებლად [*რკ. კავკაზ, 1881, N 36: 1*].

ამგვარად, ოსმალეთის ან რომელიმე ევროპული სახელმწიფოს მხრიდან თავდასხმის შემთხვევაში, ნიკოლაი შავროვმა ბათუმის სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის შემდეგი ფაქტორები გამოყო: ა) ბათუმი, როგორც საზღვრისპირა ობიექტი, რომელიც საშუალებას იძლეოდა საბრძოლო მოქმედებების თეატრი სამხედრო მასალითა და საქონლით მომარაგებულიყო. ბ) ბათუმი – დესანტისა და ფლოტის მოქმედების საყრდენი პუნქტი შავი ზღვის აღმოსავლეთ და სამხრეთ სანაპიროს ნებისმიერი მიმართულებით. ამ პირობებში, სავაჭრო დანიშნულების ინფრასტრუქტურა, რომელიც კომერციულ პორტში აუცილებლად იარსებებდა, ნიკოლაი შავროვის აზრით, შეაფერხებდა ნავსადგურისა და სანაპიროს დაცვას. ის თვლიდა, რომ ოსმალეთთან საზღვრის გამაგრების გარეშე, ბათუმში არ უნდა დაგეგმილიყო არანაირი კომერციული საპორტო ნაგებობები. ბათუმის, როგორც ოსმალეთთან მოსაზღვრე განაპირა პუნქტის სამხედრო დაიშნულების ობიექტად გადაქცევა, შავროვს უმნიშვნელოვანეს საკითხად ესახებოდა [*რკ. კავკაზ, 1881, N 36: 1*].

აქედან გამომდინარე, ნიკოლაი შავროვის აზრით, ბათუმის პორტო-ფრანკოს სტატუსი მოითხოვდა გადახედვას. უნიკალური სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის გამო, ბათუმში სრულიად ნადრევი იყო სავაჭრო პორტის მოწყობა. განსაკუთრებით იქამდე, სანამ ქალაქს პორტო-ფრანკოს სტატუსი ჰქონდა, რომელიც ეწინააღმდეგებოდა და სრულ შეუსაბამობაში იყო რუსეთის საგადასახადო და საბაჟო სისტემასთან. [*რკ. კავკაზ, 1881, N 36: 1-2*]. შავროვის პუბლიკაციიდან კარგად ჩანს, რომ ავტორი ხელისუფლების აზრს გამოხატავდა, რომელსაც არ აწყობდა ქვეყანაში მისი კონტროლის სფეროდან გამოსული თავისუფალი სავაჭრო ქალაქის სტატუსი, რაც რამდენიმე წელიწადში გაუქმდა კიდეც. იმპერიას სჭირდებოდა არა თავისუფლება, თავისუფალი ქალაქები, ან თავისუფალი ვაჭრობა, არამედ მკაცრად კონტროლირებადი სისტემა პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სამხედრო თვალსაზრისით.

აჯამებს რა პუბლიკაციაში გამოთქმულ მოსაზრებებს, ნიკოლაი შავროვი დაასკვნის: ამიერკავკასიის შავი ზღვის სანაპიროს საპორტო ქალაქებს – სოხუმს, ფოთს, ბათუმს განსაზღვრული პოლიტიკურ-ეკონომიკური როლი ეკისრებათ ქვეყნის ცხოვრებაში. *სოხუმს* აქვს მოხერხებული რეიდი სამხედრო გემებისთვის და დამაკავშირებელი გზა ჩრდილოეთ კავკასიასთან. მას მნიშვნელოვანი ფუნქცია ექნება ვაჭრობაში, მით უფრო თუ რკინიგზის ერთი ტოტით ახალსენაკთან დაუკავშირდება ამიერკავკასიის სარკინიგზო მაგისტ-

რალს. *ფოთი* ამიერკავკასიის რკინიგზით ყველაზე ახლოს მდებარეობს თბილისთან და კასპიისპირეთთან, რაც განაპირობებს მის მონოპოლიას იაფფასიანი გადაზიდვების სფეროში შავი ზღვის მიმართულებით. და ბოლოს, *ბათუმი*, რომელიც უნდა განვითარდეს, როგორც განსაკუთრებული სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულების სასაზღვრო საყრდენი ობიექტი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო ზოლის დასაცავად, შეიქმნას განსაკუთრებული პირობები სამხედრო ესკადრის დასადგომად და გასამაგრებლად [*გაზ. Кавказ, 1881, N 38: 2*].

ბათუმის განვითარებამ უჩვენა, რომ ნიკოლაი შავროვის პროგნოზი ბათუმის ნავსადგურის შესახებ არ გამართლდა. შავროვის მსჯელობაში არ იყო გათვალისწინებული ბათუმის პოტენციალის ყველა ფაქტორი, მათ შორის ნავთობპროდუქტების ექსპორტი, რომელსაც სჭირდებოდა სწორედ ბუნებრივად მშვიდი, დაცული ნავსადგური და სანაპირო, როგორც ბათუმს ჰქონდა. სწორედ ექსპორტირებადი ნავთობის მოცულობის ინტენსიურმა ზრდამ გამოიწვია ნავსადგურის შესაბამისი ინფრასტრუქტურის სწრაფი ტემპით განვითარება.

1881 წელს, როდესაც შავროვი ამ პუბლიკაციას წერდა, ბათუმიდან ჯერ კიდევ არ ხდებოდა ნავთობის გატანა. თუმცა უკვე ორიოდე წელიწადში, 1883 წელს, ამ პროდუქტის პირველი ექსპორტის მოცულობამ 3 000 000 ფუნტი შეადგინა. მასში ჩართული იყო 18 საზოგადოება, მათ შორის როტმილდების, მანთაშევების და ნობელების გაერთიანებები. 1900 წლიდან კი, როდესაც დასრულდა ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის გაყვანა, ამ ნავსადგურის წყალობით რუსეთმა უმოკლეს ვადაში საგრძნობლად გადაჭარბა აშშ-ის მაჩვენებლებს ნავთობის მოპოვებასა და ექსპორტში. ტვირთბრუნვის მიხედვით ბათუმი XX საუკუნის დასაწყისში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნავსადგური გახდა შავი ზღვის აუზში. ხოლო XX ს-ის 20-იან წლებში, საბჭოთა პერიოდში ის ნავსადგურების რეესტრის უმაღლეს კატეგორიაში შევიდა [*ბათუმის პორტი: ისტორია*]. ნავთობის ტრანსპორტირებაში მონაწილეობამ, ბათუმის ნავსადგური გადააქცია ევროპის სატრანსპორტო დერეფნის უმნიშვნელოვანეს კვანძად და საერთაშორისო მნიშვნელობის სატრანზიტო ობიექტად.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

ბათუმის პორტი: ისტორია – ბათუმის პორტი: ისტორია
<http://batumiport.com/text/116/geo> 25 სექტემბერი, 2017.

Бахметев, 1882: – Бахметев А.П., Доклад О нефтепроводе от Баку до Поти и Батума и о расширении черты портофранко в Батуме для переработки нефти исключительно на сбыт в Европу, Санкт-Петербург.

газ. Кавказ, 1881, N 34: – Шавров, Н.А., Батум, Поти, Сухум и значение их для России, газ. Кавказ, 1881, N 34.

газ. Кавказ, 1881, N 36: – Шавров, Н.А., Батум, Поти, Сухум и значение их для России, газ. Кавказ, 1881, N 36.

газ. Кавказ, 1881, N 38: – Шавров, Н.А., Батум, Поти, Сухум и значение их для России, газ. Кавказ, 1881, N 38.

Энциклопедический словарь, 1903: – Энциклопедический словарь, издатели Ф. А. Брокгауз, И. А. Ефрон, Т. 39: Чугуев – Шен, Санкт-Петербург.

Khatuna Kokrashvili (Tbilisi, Georgia)

Newspaper "Kavkaz" about the Political and Economic Significance of Batumi (80s of the 19th century)

Summary

The article reviewed in the given piece of work was published in 1881 in several issues of the newspaper "Caucasus" with the title: "Batumi, Poti, Sokhumi and their significance for Russia". Assessment of political-economic and military strategic significance of Batumi Port is especially underlined in the article. The author Nikolai Shavrov (patronymic Alexander) (1826-1899) was the military officer, and later, publicist. He worked in Transcaucasia in the second half of 19th century. He started career holding the position of the Head of Engineering Department with the military General Governor. He owned the project of Poti Port.

The article of Nikolai Shavrov demonstrated that he was against the idea of creating commercial port on Batumi coast. He considered it non-profitable to fund Russian money for establishment of the trading port infrastructure while the city held the status of Porto Franco. Batumi was assigned with the status of Porto Franco in 1878 at the Congress of Berlin, which in opinion of Nikolai Shavrov, contradicted

to the interests of Russia, and reinforces the impact of the capital of England and the European one in the country. Shavrov believed that commercial port should have been arranged in Poti, and that would not only reinforce trading potential of European countries but would develop internal trading and cargo turnover in Transcaucasia and Black Sea Cost.

As Nikola Shavrov thought, Batumi should be of greater function in the eastern part of the Black Sea Cost, from the point of view of protection of the border line of the country and the military strategic point. Unique natural conditions of Batumi coast enabled to create military port in which military ships would navigate permanently. The Newspaper "Caucasus" expressed the view of the Russian Government, for which existence of free trading city beyond its control was of no good for. However, the forecast of Shavrov about trading potential of Batumi Port did not prove to be right. Transportation of the oil products turned it into the commercial port of international level.

ზაურ ციხელაშვილი (თბილისი, საქართველო)
ნოდარ ჩხეიძე (ბათუმი, საქართველო)
პაატა გიორგაძე (თბილისი, საქართველო)

ზავი ზღვის აუზის მდინარეების წყლის დაბინძურების ხარისხობრივ-კრიტერიული შეფასება-პრობნოზირების მეთოდოლოგია

შესავალი

მდინარის წყლის ეკოსისტემების დაბინძურებისგან დაცვის პრობლემა გარკვეულ წინააღმდეგობაშია ტექნიკური პროგრესის მიღწევებთან. წყლის ხარისხის გაუარესების საწინააღმდეგო პოლიტიკის გამომუშავება გადამწყვეტ როლს თამაშობს ნებისმიერი ქვეყნის ტექნიკურ-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული შედეგების მიღწევაში. წყლის ხარისხის მართვა მოითხოვს ისეთი ძირითადი პრობლემების გადაწყვეტას, როგორცაა მოცემულ ეკოსისტემაში წყლის ხარისხის უზრუნველყოფა მინიმალური დანახარჯებით და მისი რეალიზაციისთვის საჭირო ღონისძიებების გეგმის შემუშავებითა და განხორციელებით. მდინარის წყლის დაბინძურებაში იგულისხმება მისი ბიოსფერული ფუნქციის და ეკოლოგიური ფუნქციის დაქვეითება. წყლის დაბინძურებაში ვლინდება მისი ფიზიკური და ორგანო-ლექტიკური თვისებების (გამჭვირვალობის დარღვევა, შეფერილობის, სუნის და გემოს) ცვლილება: სულფატების, ქლორიდების, ნიტრატების, მძიმე ტოქსიკური ლითონების შემცველობის გაზრდა, წყალში გახსნილი ჟანგბადის შემცირება, რადიოაქტიური ნივთიერებების ელემენტების, ავადმყოფობის გამომწვევი ვირუსების და ბაქტერიების და სხვა დამაბინძურებელი ინგრედიენტ - კომპონენტების არსებობა. საერთოდ, წყლის დამაბინძურებელი შეიძლება იყოს 400-ზე მეტი სახეობის ნივთიერება-ინგრედიენტი. დაბინძურების მახასიათებელი ინგრედიენტებიდან აღსანიშნავია სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური, სანიტარულ-ტოქსიკოლოგიური, სხვა საერთო სანიტარული მაჩვენებლები. თუ აღნიშნულიდან ერთი მაინც გადააჭარბებს ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციის (ზდკ) ნორმას, მაშინ წყალი ჩაითვლება დაბინძურებულად. განასხვავებენ ქიმიურ, ბიოლოგიურ და ფიზიკურ დამაბინძურებლებს. ქიმიური დაბინძურებიდან ყველაზე გავრცელებულია ნავთითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურება. ასევე, სინთეტიკურად აქტიური ნივთიერება, პესტიციდებით, მძიმე ლითონებით, დიოქსინით და სხვა. განსაკუთრებით საშიშია ბიოლოგიური დაბინძურება, მაგალითად ვი-


რუსები და ავადმყოფობის გამომწვევი სხვა მიკროორგანიზმები.

ძირითადი ნაწილი

აღნიშნულ დაბინძურებათა ფონზე ინგრედიენტული მონიტორინგი განიხილება, როგორც წყლის ეკოსისტემებზე დაკვირვება, შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღების მრავალმიზნობრივი საინფორმაციო სისტემა (იხ. ნახაზი). ამ სისტემის კვლევის საგანია ბუნებრივი წყლის მრავალკომპონენტური ობიექტები, მათი სტრუქტურა და ბმული მოვლენები, როგორც რთული სისტემა, რომელიც ბუნებრივ, ანტროპოგენურ, ტექნოგენურ დაბინძურებათა დინამიკური ცვლილების ხასიათს შეისწავლის და აფიქსირებს. ამრიგად ინგრედიენტული მონიტორინგი მდგომარეობს წყლის ობიექტების (მდინარეების) დაბინძურებათა ხარისხის შეფასებისა და პროგნოზირების ამოცანების გადაწყვეტაში ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. ამიტომ ეკოლოგიურ-ინგრედიენტული მონიტორინგის სისტემის კონსტრუირების მიზანი ზოგადად შეიძლება ფორმულირებულ იქნას, როგორც ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და იდენტიფიკაციის შესაძლებლობა მართვითი გადაწყვეტილების მომზადებისა და მხარდამჭერი საინფორმაციო სისტემის სახით. ნახაზზე მოცემულია შემოთავაზებული ეკოლოგიურ-ინგრედიენტული სისტემის ბლოკ-სქემა შეთავსებული გადაწყვეტილებათა მიღების და რეგულირების ფუნქციასთან.

ეკოლოგიურ-ინგრედიენტული მონიტორინგის საერთო სისტემა მოცემულია ბლოკ-სქემაზე.

რაც მცირეა დაბინძურების ინგრედიენტული მაჩვენებლის ნორმატიულ-ეკოლოგიური სიდიდის ზღვრული მნიშვნელობა, შედარებით მაღალია წყლის ეკოსისტემის ხარისხობრივი მდგომარეობა. ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია (ზდკ) - ეს ის მაქსიმალური კონცენტრაციაა, რომლის დროსაც ინგრედიენტი (კომპონენტი-ნივთიერება) არ ახდენს პირდაპირ ან არაპირდაპირ მოქმედებას მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე (ორგანიზმზე მთელი ცხოვრების მანძილზე მოქმედებისას) და არ აუარესებს წყალმომარების ჰიგიენურ პირობებს, ამავე დროს არ ახდენს მავნე ზემოქმედებას ზღვის არსებულ ბიომრავალფეროვნებაზე. წყლის ეკოსისტემაში დამაბინძურებელი ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები გვიჩვენებს ამ ნივთიერებების ისეთ კონცენტრაციებს, რომელთა ზემოთ მათი გამოყენება ერთ ან რამდენიმე მომხმარებლისათვის ხდება მიუღებელი. ცნობილია, რომ არასასურველობის ხარისხის შესაბამისად ეკოლოგიური მდგომარეობის საშიშროების დონის კლასიფიკაცია შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად [1-4]:



ეპიდემიური მდგომარეობის საინფორმაციო სისტემა

✓ „შედარებით დამაკმაყოფილებელი სიტუაცია“, როდესაც დამაბინძურებელი მავნე ნივთიერების კონცენტრაციის ინდექსი არ აჭარბებს ზღვ-ს ნორმირებულ ინდექსს;

✓ კრიზისული ანუ „საგანგებო ეკოლოგიური სიტუაცია“, როდესაც მავნე ნივთიერებების კონცენტრაცია 50-ჯერ და მეტად აჭარბებს ზღვ-ს ინდექსს;

✓ კატასტროფული ანუ „ეკოლოგიური უბედურების სიტუაცია“, როდესაც ეკოსისტემაში ფიქსირდება ღრმა შეუქცევადი ცვლილებები (შეიძლება დაერთოს ადამიანთა ლეტალური შემთხვევები).

არსებული მდგომარეობით ზედაპირული წყლების (მდინარეების) დაბინძურების ხარისხის ანალიზის არსებული მიდგომებიდან „შედარებით დამაკმაყოფილებელი სიტუაციისა“, კრიზისული ანუ „საგანგებო ეკოლოგიური სიტუაციის“ და კატასტროფული ანუ „ეკოლოგიური უბედურების სიტუაციის“ ზონების გამოვლენისათვის გამოიყენება მდინარის წყლის ქიმიური დაბინძურების ხარისხის შეფასების რიგი მაჩვენებლები (ქიმიური დაბინძურების მაჩვენებელი - ქდმ-10 და სხვა). აღსანიშნავია, რომ ქდმ-10 მაჩვენებლის გაანგარიშება მოითხოვს სულ მცირე 10 ქიმიური დამაბინძურებელი მაჩვენებლის ცოდნას, რაც მისი პრაქტიკული გამოყენების ნაკლოვან მხარედ ჩაითვლება (ანუ ნაკლები რაოდენობის ინგრადიენტების ანალიზის შემთხვევაში მიუღებელია ამ მეთოდის გამოყენება).

რეკომენდებული მეთოდოლოგიით აღნიშნული მიზანი მიიღწევა ინგრადიენტთა ნებისმიერი ოდენობის პარამეტრთა კომბინაციების ალების შემთხვევაში. ამ მიზნით, წყლის ქიმიური დაბინძურების დასადგენად, ჩვენს მიერ, შემოთავაზებულია დესკრიფციული (აღწერითი) ტიპის მოდელების გამოყენება, რომლებიც საშუალებას იძლევა განისაზღვროს წყლის დაბინძურების ხარისხობრივ-კრიტერიული შეფასება ჰარინგტონის სასურველობის უგანზომილებო სკალის გამოყენებით ეკოლოგიური რისკის საშიშროების დონის შესაბამისად [5-8], კერძოდ: როდესაც $d \in [0,20-0,37]$ – აღინიშნება კატასტროფული ანუ „ეკოლოგიური უბედურების სიტუაცია“; $d \in [0,37-0,63]$ – კრიზისული ანუ „საგანგებო ეკოლოგიური სიტუაცია“; $d \in [0,63-1.00]$ – „შედარებით დამაკმაყოფილებელი სიტუაცია“. შემოთავაზებული მეთოდოლოგიის დადებით მხარედ ჩაითვლება ის გარემოება, რომ ანალოგიურად დაყოფილი სკალური გრადაციებისა, შესაბამისად განისაზღვრება წყლის დაბინძურების ინტეგრირებული (საერთო) ხარისხობრივი შეფასება - D მდინარეების ნებისმიერი ოდენობის კომბინაციების ალების შემთხვევაში (რაც ამ მიდგომის გამოყენების უნივერსალობაზე მეტყველებს).

მდინარის წყლის დაბინძურების ხარისხობრივ-კრიტერიული შეფასება ჰარინგტონის უგანზომილებო შკალისა და დესკრიფციული მოდელირების გამოყენებით [5-8], ეკოლოგიური რისკის საშიშროების დონის შესაბამისად, მოყვანილია ცხრილში:

№ რიგზე	ჰარინგტონის სასაურველობის უგანზომილებო შკალის გრადაციები	მდინარის წყლის დაბინძურების ხარისხობრივ-კრიტერიული შეფასება (ჰარინგტონის უგანზომილებო შკალისა და დესკრიფციული მოდელირების გამოყენებით [5-8]), ეკოლოგიური რისკის საშიშროების დონის შესაბამისად
1	2	3
1	$d \in [0,20-0,37]$	კატასტროფული ანუ „ეკოლოგიური უბედურების სიტუაცია“ (შეიძლება დაერთოს ადამიანთა ლეტალური შემთხვევებიც)
2	$d \in [0,37-0,63]$	კრიზისული ანუ „საგანგებო ეკოლოგიური სიტუაცია“
3	$d \in [0,63-1.00]$	“შედარებით დამაკმაყოფილებელი სიტუაცია“

აგრეთვე აღსანიშნავია, რომ მდინარის წყლის ეკოლოგიური რისკის საშიშროების დონის შეფასების ზოგადი მეთოდიკა არ არსებობს. სხვადასხვა შემთხვევებში შეიძლება გამოყენებულ იქნას ალბათობის თეორიის ელემენტები. ეკოლოგიური ხასიათის მიზეზებიდან გამომდინარე, უპირატესი ყურადღება ეთმობა ადამიანთა ჯანმრთელობის გაუარესების რისკის შეფასებას. რისკი გარკვეულ მოვლენებთან დაკავშირებით კავშირშია მოსალოდნელ მატერიალურ ზარალთან, ხოლო თვით რისკის მაჩვენებელი კი დაკავშირებულია ადამიანთა უსაფრთხოებასთან, რომელიც წარმოიქმნება ადამიანისა და მიმდებარე გარემოს მავნე ფაქტორების ზემოქმედების შედეგად. მდინარის წყლის ეკოსისტემების დაბინძურების გამომწვევ საშიშ ფაქტორებს განეკუთვნება წყლის ფიზიკური, ქიმიური და სხვა მაჩვენებლების გაუარესება, რომელთა მიერ მავნე ზემოქმედების შედეგად ვითარდება კრიზისული ანუ „საგანგებო ეკოლოგიური სიტუაცია“ ან, უკიდურეს შემთხვევაში, კატასტროფული ანუ „ეკოლოგიური უბედურების სიტუაცია“. ამასთან დაკავშირებით „ეკოლოგიური რისკის“ მაჩვენებელი შეიძლება ფორმულირებულ იქნას, როგორც რაიმე გარკვეული დროის განმავლობაში მავნე ეკოლოგიური ფაქტორების ზემოქმედებით გამოწვეული შესაძლო ზარალის სიდიდის და-

მოკიდებულება ამ ფაქტორების ინტენსივობის ნორმირებულ სიდიდეებთან. როგორც ცნობილია საზოგადოების უსაფრთხოების დონე განპირობებულია მისი სამეცნიერო-ტექნიკურ-ტექნოლოგიური მდგომარეობით და განვითარების პოტენციური შესაძლებლობით. ეს მდგომარეობა ატარებს სტოქასტიკურ ბუნებას და განისაზღვრება რიგი შემთხვევითი მოვლენებით. ანალოგიურად შეიძლება ვიმსჯელოთ საზოგადოების ჯანმრთელობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. მდინარეების დაცვასა და ეკოლოგიურ უსაფრთხოებაზე, ამასთან ამ ობიექტების დაბინძურება კი დაკავშირებულია ანთროპოგენური და ტექნოგენური ფაქტორების ინტენსიურ ზემოქმედებასთან, რომლებიც როგორც აღვნიშნეთ იწვევენ სოციალურ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, ხოლო რიგ შემთხვევებში, ადამიანთა ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრ გაუარესებას (რიგ შემთხვევებში ლეტალური დაბოლოებით) და ესთეტიკურ ზარალსაც.

აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლო ეკოლოგიური რისკის საშიშროების დონის განსაზღვრისთვის (მოყვანილი ქდმ-ის ალტერნატივად) მიზანშეწონილი იქნება ის წარმოვიდგინოთ სამი ალბათური კომპონენტის ნამრავლის სახით:

$$R = R_1 \cdot R_2 \cdot R_3,$$

სადაც, R არის ეკოლოგიური რისკის საშიშროების შესაძლო დონე, ანუ წყლის ეკოსისტემაზე განსაზღვრული ზარალის მიყენების ალბათობა;

R_1 – მოვლენის წარმოქმნის ალბათობა, რომელიც განაპირობებს მავნე დამაბინძურებელი ფაქტორების ფორმირებასა და მოქმედებას;

R_2 - ადამიანებზე ზემოქმედების და ბიოსფეროს სხვადასხვა გარემოში სეზონური დატვირთვებით გამოწვეული მავნე ნივთიერებების კონცენტრაციის ველის ფორმირების ალბათობა;

R_3 - ალბათობაა იმისა, რომ ნაჩვენები დატვირთვები და მავნე ნივთიერებების კონცენტრაციის ველი მიგვიყვანს განსაზღვრული ზარალის წარმოქმნამდე.

განსაზღვრულ ზარალში განიხილება მავნე ფაქტორებით გამოწვეული ნეგატიური შედეგი, ასევე ეკოლოგიური ხასიათის ხანგრძლივადიანი შედეგი. ნეგატიურ შედეგში იგულისხმება ადამიანთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება თავად ლეტალური დასასრულით, ასევე ცხოველთა სამყაროსათვის და ა.შ. მეორე სახის ზარალი, რაც ხანგრძლივადიან შედეგთანაა დაკავშირებული, იწვევს ეკოლოგიური გარემოს ნეგატიურ ცვლილებებს (ეკოლოგიური მაჩვენებლების გაუარესების გამო ბუნებრივი პროცესე-

ბის დისჰარმონიზაცია, მისი ცხოველმყოფელობის დაქვეითება, ცალკეული სახის მცენარეულობის გაქრობა, ფლორისა და ფაუნის დეგრადაცია და ა. შ.).

სამწუხაროდ, დომინირებულ ფაქტორთა ბმების სრული გაუთვალისწინებლობა ხშირად იწვევს გაურკვეველობას (ბუნდოვნებას), თუ რა სახის ზარალისთვის, როგორი ალბათური გაანგარიშება უნდა ჩატარდეს. ამასთან დაკავშირებით, თუ რომელი სახის ზარალის ალბათურ გაანგარიშებასთან გვაქვს საქმე, კონკრეტულად განისაზღვრება ტექნოგენური ან ეკოლოგიური რისკის სახეობა.

ამრიგად, ტექნოგენური უაფრთხოების ერთი და იგივე წყარო შეიძლება შეფასდეს ორი ალბათური მახასიათებლით ტექნოგენური რისკით და ეკოლოგიური რისკით. ამ მაჩვენებლის განსაზღვრისას საერთო იქნება ზემოთ მოყვანილი ფორმულის R_1 და R_2 ალბათური პარამეტრები. რაც შეეხება R_3 ალბათურ პარამეტრს, მის ფორმირებაში ძვეს გარკვეული ექსპერტული აზრი და განსაზღვრის თავისებური მეთოდოლოგია.

ზედაპირული წყლის და სხვა ობიექტების ტექნოგენური და ეკოლოგიური რისკის საშიშროების შეფასების და ანალიზის ეს მეთოდიკა, რომელიც დაკავშირებულია R_1 , R_2 , და R_3 ალბათური პარამეტრების განსაზღვრასთან, თავისი არსით არაა უნივერსალური, მაგრამ ის კონკრეტულ შემთხვევებში მისაღები იქნება, როგორც ვარიანტული ალბათური გაანგარიშებისა და ანალიზის ქმედითი საშუალება.

ეკოლოგიური რისკის საშიშროების დონის ალბათური განსაზღვრის შემოქმედებითი მეთოდიკა მიზანშეწონილი იქნება გავრცელდეს ზედაპირული წყლის (მდინარეები, ტბები, წყალსაცავები და სხვა) დაბინძურების ხარისხის მონიტორინგის, ზღვის დაბინძურებაზე მდინარეების გავლენის, ზღვის სანაპირო ზოლის წარეცხვებისგან დაცვის, წყალმომარაგება - წყალარინების სფეროში და სხვა განხრით გარემოს ზემოქმედების შეფასების (გზშ) ამოცანებში გამოსაყენებლად, კერძოდ: 1. ზღვის დაბინძურებაზე მდინარეების სავარაუდო გავლენის განსაზღვრის; 2. ქალაქებისა და დასახლებული ადგილების წყალმომარაგება-წყალარინების (კანალიზაციის) სისტემების საპროექტო და სარეაბილიტაციო სამუშაოების დაგეგმვა-წარმოების საკითხებში; 3. სამწუხაროდ, დღევანდელი მდგომარეობით, რიგ ქალაქებსა და დასახლებულ ადგილებში ძირეულად გამწმენდი სადგურების არარსებობის გამო მოსახლეობის სამეურნეო - საყოფაცხოვრებო ფეკალური და საწარმოო ჩამდინარე წყლები, პრაქტიკულად ყოველგვარი გაწმენდის გარეშე, უშუალოდ ჩაიშვება წყალსატევებში, რაც გამოუსწორებელ ეკოლოგიურ ზარალს აყენებს

მიმდებარე გარემოს ფლორასა და ფაუნას, და განსაკუთრებით სახიფათოა ადამიანის ჯანმრთელობისათვის. მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ-ს) საკანონმდებლო დოკუმენტში რეგლამენტებურად ჩაიწეროს მოთხოვნა, რომ ეტაპობრივად ყოველი ქალაქისა და დასახლებული ადგილისათვის დაპროექტდეს და აშენდეს ჩამდინარე წყლის გამწმენდი სადგურები, მიმდებარე გარემოზე ზემოქმედების (გზშ) ფაქტორის აუცილებელი გათვალისწინებით. ანალოგიურად შეიძლება რეკომენდებულ იქნას „ეკოლოგიური რისკის“ საშიშროების დონის ალბათური განსაზღვრის მეთოდის და მდინარის წყლის დაბინძურების ხარისხის მონიტორინგის ამოცანებში.

დასკვნა

რადგან არ არსებობს მდინარის წყლის დაბინძურებით გამოწვეული ეკოლოგიური ზარალის შეფასების ერთიანი მეთოდოლოგია (ამასთან, შეფასების ნორმატიული მეთოდების გამოყენება რიგ შემთხვევებში გვაძლევს არაკორექტულ მაჩვენებლებს), ამიტომ გარემოსა და მოსახლეობის ჯანმრთელობისადმი მიყენებული ზარალი, ეკოლოგიური დაბინძურების რისკის საშიშროების სხვადასხვა დონის შემთხვევაში (როდესაც $d \in [0, 20-0, 37]$ – კატასტროფული ანუ „ეკოლოგიური უბედურების სიტუაციის“, $d \in [0, 37-0, 63]$ კრიზისული ანუ „საგანგებო ეკოლოგიური სიტუაციის“ შესაბამისად) შეიძლება განისაზღვროს კომპლექსურად რეკომენდებული მეთოდოლოგიით, დაბინძურების მახასიათებელი ინგრედიენტების მაჩვენებლების შესაბამისად ალბათური და დესკრიფციული მოდელირების საფუძველზე.

მდინარის წყლის ეკოსისტემებში რეგიონის მდგრადი განვითარების პირობებში გარემოსდაცვითი კანონებისა და ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად, ეკოლოგიური ნორმების დაცვა ხელს შეუწყობს:

- შავი ზღვის კომპლექსური ეკოლოგიური დაბინძურების შემცირებასა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის ეკოლოგიურ უსაფრთხოებას;
- წყლის რესურსების რაციონალურ დაცვასა და გამოყენებას;
- ადამიანების, მცენარეული და ცხოველთა ფონდის გენეტიკურ შენარჩუნებას.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Цихелашвили З.И., Прангишвили А.И., Чхенкели Б.Дж. Основы построения интеллектуальных систем управления пространственно-временными сетевыми потоками. Монография под редакцией В.В. Чавчанидзе. Тбилиси, «Мецниереба», 1997. 264 с.
2. Цихелашвили З.И., Цихелашвили И.З., Чхеидзе Н.В. Мониторинг степени загрязнения поверхностных водных источников. Строительство. Научно-технический журнал. ISSN 1512-3936, 2006 с. 56-67.
3. Чхеидзе Н.В., Цихелашвили З.И. К вопросу разработки проекта снижения рисков смягчения последствий при установлении чрезвычайных экологических ситуаций на трансграничной реке Чорохи на территории Грузии. Ж. Гидроинженерия №1(1). ISSN 1512- 4100, Тбилиси, 2007 с. 89-94.
4. ზ. ციხელაშვილი, ლ. კლიმიაშვილი, თ. გველესიანი. წყლის, როგორც სასურსათო ნედლეულის, დაბინძურების ხარისხის დესკრიფციული მოდელირება. მოხსენება საერთაშორისო კონფერენციაზე, თბილისი, 2009.
5. ა.ფრანგიშვილი, ზ. ციხელაშვილი, ი. ქდარია, ნ.ჩხეიძე, პ. გიორგაძე. სანაპირო არეებში მოტივტივე ტალღაშემარბილებელი ნაგებობების მოწყობის მოსალოდნელი შედეგები. სტუ-ს სამეცნიერო ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“ № 3(42), თბილისი, 2016.
6. Дж. Харрингтон, Ф.Воул. Совершенство управления знаниями. – М.: Стандарты и качество, 2008. 272 с.
7. Дэн Харрингтон. Харрингтон о кэш-играх онлайн. 6-Max No-Limit Hold'em. – М.: Эксмо, 2015. 480 с.
8. Тельма Хармс, Ричард М, Клиффорд, Дебби Крайер. Шкалы для комплексной оценки качества образования в дошкольных образовательных организациях. – М.: Национальное образование, 2016. 130 с.

Zaur Tsikhelashvili (Tbilisi, Georgia)

Nodar Chkheidze (Batumi, Georgia)

Paata Giorgaze (Tbilisi, Georgia)

Qualitative Criterion Assessment of Black Sea Basin Routes Forecasting Methodology

Summary

Because there is no uniform methodology for assessing ecological damage caused by river water pollution (at the same time, the use of normative methods of assessment in some cases gives us incorrect indicators), so that the loss of environmental health is at risk of environmental pollution risk (when $d, 3 [0,20-0,37]$ Catastrophic or "ecological disaster situation", $d \in [0,37-0,63]$ crisis, "the extraordinary ecological situation," respectively) can be determined by a complex methodology recommended, contamination of the characteristic ingredients of the probabilistic indicators and descriptive modeling of river ecosystems in the region's sustainable development. In charge of the environmental laws and regulations in accordance with environmental protection standards will help:

Reducing the complex environmental pollution of the Black Sea and maintaining biodiversity;

Ecological security of population health; Rational protection and use of water resources;

Genetic maintenance of animals and plant animals.

ბათუმის ბულვარი-ტრადიცია და თანამედროვეობა

ბათუმის სანაპირო ბულვარის მოწყობას საფუძველი ჩაეყარა XIX საუკუნის 80-იან წლებში, ქალაქის მაშინდელი პოლიცემისტერის – ვოზნესენსკისა და ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორის – ა.სმეკალოვის ხელმძღვანელობით, ცნობილი მეზადეების – ალექსანდრე რესლერისა და რეიერის, ხოლო 1985 წლიდან – ფრანგი აგრონომის – მ.დ'ალფონსის გეგმის მიხედვით.²⁷ 1884 წელს დასრულდა ნიკოლოზის II-ის სახელობის ბულვარის გამწვანება ორი ხეივანით. ერთი ხეივანი მდებარეობდა ბულვარის (ე.წ.ინოვაციის) ქუჩის გასწვრივ და მეორე – ზღვის სანაპიროს მხარეს, რომელთა შორის მიემართებოდა სასაირო ბილიკები, გზები და ხეივნები [ასს, ფ. ი-5, აღ. 1, ს. 12, 43; *Батумь и его окрестности, 1906:640*]. 1887-1889 წლებში შედგენილი დაკვირვების რუკის მიხედვით ბულვარი წარმოადგენდა ერისთავისა (გენერალ მაზნიაშვილისა) და შეპელევის (ვაჟა ფშაველას) ქუჩებამდე განვითარებულ, სამკუთხა გეგმარების მქონე ბაღს მთავარი შესასვლელით დონდუკოვ-კორსაკოვის (კ.გამსახურდიას) ქუჩის მხრიდან, სადაც გეგმარებით აქცენტს ქმნიდა სანაპიროს მხარეს გაყოლებული ხეივნისაკენ მიმართული წრიული და რკალისებური ფორმის კლუმბები, მცირე მიწის ნაკვეთები და სასაირო ბილიკები. ბულვარში შესასვლელი გზები, ფაქტობრივად, აგრძელებს ბათუმის რეგულირებული ქუჩების ღერძს და ქალაქის ურბანულ ნაწილს ორგანულად აკავშირებს მთავარ ორიენტირთან - ზღვასთან. 1900-იან წლებში, ბულვარის სიგრძეში განვითარების კვალად, მიმდინარეობდა ბულვარის როგორც სიგრძეში, ასევე, სიგანეში გაფართოების სამუშაოები, რაც უზრუნველყოფდა მეორე და მესამე პარალელური ხეივნების გაშენებას.

²⁷ფოთის ბაღის გამწვანებელს, პრუსიის ქვეშევრდომს - ალექსანდრე რესლერს, ასევე, დავალებული ჰქონდა, ბათუმში, ნური-გელის ტბის მიდამოებში ალექსანდრეს ბაღის მოწყობა, რომელიც ეფუძნებოდა ე.წ. ინგლისური პარკის ტრადიციას და ხასიათდებოდა თავისუფალი გეგმარებითა და ლანდშაფტის ბუნებრიობის შეგრძნებით. 1884 წელს რესლერი გარდაიცვალა და, ბათუმის ბულვარისა და პარკის გაშენების მისიით, 1885 წელს მოიწვიეს, ასევე განსწავლული ფრანგი მეზადე მ.დ'ალფონსი. დ'ალფონსმა ბულვარი გაამდიდრა იშვიათი ჯიშის მცენარეებით, რომელიც ჩაქვის საკუთარი მამულიდან გადმოიტანა.

ამდენად, XIX-XX საუკუნის მიჯნაზე ბათუმის ბულვარის გეგმარებას ახასიათებდა: ბულვარის შიდა მწვანე საფარის დაყოფა ქალაქის მომიჯნავე კვარტლების პარალელურად, შესასვლელი ღერძების განთავსება ზღვაზე გამავალი ქუჩების ხაზზე, მწვანე საფარის მეტ-ნაკლებად რეგულირებული წყობა, გრძივი სწორხაზოვანი ხეივნები სანაპიროსა და ქუჩის მხარეს და პარკის შიდა ტერიტორიაზე გაყვანილი ბილიკების დინამიკური სტრუქტურა მრავალფეროვანი ნარგავებით, რომელიც შედგებოდა მარადმწვანე წიწვოვანი, ფოთლოვანი ხეებისა და ბუჩქების სხვადასხვა სახეობებისაგან.

ბათუმის ბულვარის ღირსშესანიშნაობას ქმნიდა მწვანე სარეკრეაციო ზონა, რომელიც, უმთავრესად, შეიქმნა წყნარი დასვენებისა და სეირნობისათვის. ამ ტრადიციას ღირსეულად აგრძელებდნენ განსწავლული მებაღეები: დ'ალფონსის მერე 1889-1898 წლებში – რესლერის მოწაფე მებაღე ტყებუჩავა, 1898-1902 წლებში ნიკიტინის სასწავლებლის კურსდამთავრებული, შემდგომში ცნობილი ქართველი მრეწველი აკაკი ხოშტარია, ევროპაში განსწავლული აგრონომი ი.გორდეზიანი და სხვები.²⁸

900-იანი წლების ბულვარი შეიცავდა საგანგებოდ მოწყობილ სივრცეებს წყნარი და აქტიური დასვენებისათვის. აქ იყო სამკითხველო, კაფე-რესტორანი, უკრავდა მუსიკა, ფოტო-კინო პავილიონები, წიგნებისა და ყვავილების ჯიხურები, ადგილები სპორტული თამაშობებისათვის - კეგლის კუთხე, ველოტრეკი, ჰიდროსამკურნალო, კარუსელი, თეატრი ილუზიონი და სხვ. *[ახს, გ. 1-7, აღ. 1, ს. 320].*

ბულვარის ტერიტორიაზე ჩადგმული პავილიონები, უმთავრესად, საზაფხულო სეზონისათვის გათვალისწინებულ, მოკრძალებული მასშტაბისა და მოცულობის ხის შემინულ, ან გახსნილ შენობებს წარმოადგენდა, რომელთა ფართო ღიობები პარკის მწვანე საფარისა და ზღვის სივრცის აღქმას უწყობდა ხელს. ზღვისა და ხეივნების ხედების შენარჩუნება ძველ ბულვარში შენობების ჩადგმისას განსაკუთრებულად გასათვალისწინებელ მოთხოვნას წარმოადგენდა *[ახს, გ. 1-7, აღ. 1, ს. 320, ფურც. 14].*

ბულვარის განვითარების შემდეგი ეტაპი დაკავშირებულია საბჭოთა პერიოდთან (XX საუკუნის 30-40-იანი წლები). ამ დროს მისი სტრუქტურა და გეგმარება უფრო მოწესრიგებულ გეომეტრიულ სახეს იძენს. ჩნდება გარკვეული არქიტექტურული აქცენტები, რომლებსაც დომინანტის მნიშვნელობა ენიჭება. ბულვარის პარკის მწვანე საფარი ამ პერიოდში ინარჩუნებს პრიორი-

²⁸1917 წელს ი.გორდეზიანი დაინიშნა ქალაქის პარკის, ბულვარისა და სანერგის მმართველად.

ტეტულ მნიშვნელობას, თუმცა, გამწვანება ექვემდებარება გეომეტრიულად მოწესრიგებული ხეივნების, სასეირნო ბილიკების სისტემას, რომელსაც აღარ ახასიათებს ადრეული პარკის მეტ-ნაკლებად თავისუფალი სტრუქტურა. 1934 წელს აგებული კოლონადა წარმოადგენდა მთავარი შესასვლელის გადანაცვლების ცდას. კოლონადების აგებით ბულვარში შეიქმნა ზღვაზე გამავალი ახალი ღერძი, ერთგვარი პროპილუმი, რომელსაც დაექვემდებარა საბჭოთა პერიოდის (40-60-იანი წლების) ბულვარის საპარკო განვითარება *[სურმანიძე, 2013:49-55]*. ბულვარის რეკონსტრუქციის გეგმას საფუძვლად დაედო ი.ბ.სტალინის მითითება საბჭოთა ქალაქებში მწვანე მასივებით გაშენებული პარკების შექმნის შესახებ *[ასს, ფ. ტ-1196, აღ. 3, ს. 144]*.

ქალაქის მთავარი არქიტექტორის - კახა ჯავახიშვილისა და არქიტექტორ ბოგდან კირაკოსიანის მიერ, 1948 წელს დამუშავებული ბულვარის შიდა პარკის რეკონსტრუქციის გეგმა, ტრადიციის თანახმად, შეიცავდა ადგილებს წყნარი და აქტიური დასვენებისათვის: კულტურული დასვენების ადგილები - კოლონადა, საზაფხულო თეატრი, პავილიონ-რესტორანი, როტონდა ორკესტრისათვის, საცეკვაო მოედანი, ბავშვთა მოედანი, კარუსელი; ადგილები სპორტული აქტივობებისათვის - საზღვაო საბანაო, სკეიტინგ-რინგი, კეგელბანი, ტენისის კორტები, აუზი, სათამაშო მოედანი, ზღვის აბაზანები, კუთხე მაგიდის თამაშებისათვის, სტადიონი; სხვადასხვა ტიპის სეზონური ჯიხურები (ყვავილების, “სოიუზპეჩატის“, კურორტ-პავილიონი, წყლის, ხილისა და ნაყინის, გამაგრებელი სასმელების) სამეურნეო ეზო, სანიტარული კვანძები. გეგმის თანახმად კულტურულ-საზოგადოებრივი შენობები, ძირითადად, განთავსებულია შუა ზოლში. ეპოქის ფსევდო სულისკვეთება ანტიკური ფორმებით ნასაზრდოები კარიბჭეების, საბჭოთა ყოფის ამსახველ სკულპტურების ხასიათში პოვებს გამოვლინებას. წინარე პერიოდის ბულვარის სივრცესთან შედარებით დატვირთულია სამხრეთი ნაწილი. ინტენსიურად გამწვანებული, ქარისაგან დამცავი მწვანე სარეკრეაციო ზოლი განსაკუთრებით განვითარებულია ე.წ.ნოშვილის ქუჩის მხარეს. ბულვარის აღნიშნული გეგმარება დამახასიათებელია საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდის განაშენიანებისათვის *[ასს, ფ. ტ-1196, აღ. 3, ს. 141]*.

XX საუკუნის 50-იან წლების შემდგომი პერიოდის მასალები ბულვარის განვითარების შესახებ მწირია. „დიდი ბელადის“ ეპოქა ბულვარის ისტორიაში იოსებ სტალინის ქანდაკების დადგმითა და საპარკო-არქიტექტურული ელემენტების ზედმეტად მკაცრი, „მოწესრიგებული“ სტრუქტურით აღინიშნა. 50-იან წლებში ბულვარის გეგმარების ძირითადი ხაზი შენარჩუნებულია, თუმცა,

ფართოვდება ბულვარის საზოგადოებრივ-სასეირნო ზოლი, ეწყობა ახალი მოედნები, მიმდინარეობს ბაღის მცენარეული საფარის განახლება. დენდრო-პროექტები წარმოდგენას იძლევა არა მარტო მცენარეთა სახეობების მრავალფეროვნების, არამედ მათი გალაგების რიტმის, სიმაღლის, ბუნებრივი და ვიზუალური შესაძლებლობების შესახებ *[ასს, ფ. ტ-1196, აღ. 3, ს. 445]*.²⁹ 60-იან წლებში კიდევ უფრო ფართოვდება ბულვარის სასეირნო ზონა, ემატება ახალი ხეივნები და კლუმბები. ბულვარი ისევ ძველ საზღვრებში ვითარდება, მაგრამ იცვლება გაზონებისა და კლუმბების სივრცითი მოწყობის პრინციპები, მცენარეული საფარის გეომეტრიული წყობა, თითქოს, საბჭოთა „წესრიგის“ რუტინულ, განმეორებად რიტმს ემორჩილება. ამავე პერიოდში, პარკების მცენარეული საფარის მონოტონური რიტმის გასაცოცხლებლად, იყენებენ მცენარეთა დეკორატიული გაკრეჭვის პრინციპს, რომელიც უცხო არ იყო ბათუმის პარკებისათვის. 70-80-იან წლებში ბულვარის გეგმარება და სტრუქტურა ძირითადად არ იცვლება. ეს პერიოდი საბაღე-საპარკო და არქიტექტურული ანსამბლის (მოცეკვავე შადრევნები, კაფეები, გამწვანების გაზრდა) გარკვეული განახლების პერიოდად შეიძლება შეფასდეს. ტრადიციულად, ბულვარის სივრცე ითავსებს მწვანე მასივებს, რომელთაც გამოარჩევს უფრო თავისუფალი განლაგება, ფერადოვანი მრავალფეროვნება. კულტურულ და სპორტულ სივრცეებს ქმნის - საორკესტრო სცენა, საზაფხულო თეატრი, კოლონადა, რესტორანი, კორტები, კარუსელი, სტადიონი. 70-იანი წლებში გაშენდა ფიჭვისა და ნაძვის ნარგავები სანაპიროს მხარეს, დამონტაჟდა ფერადი მუსიკალური შადრევნები (1977). 1975 წელს უნივერსიტეტის მახლობლად აიგო კაფე „ფანტაზია“ (რვაფეხა), რომელიც მიეკუთვნებოდა მოზაიკური პავილიონების იმ რიგს, რომელიც შემოქმედთა ერთმა ჯგუფმა (არქიტექტორები გ.ჩახავა, ზ.ჯალაღანია, მხატვარები ზ.კაპანაძე, ზ.ლეჟავა, ნ.მაღაზონია) მე-20 საუკუნის 70-80-იანი წლების მიჯნაზე შექმნა აფხაზეთსა და აჭარაში და, ამგვარად, თითქოს „ფერადოვან აქცენტებად“, საქართველოს შავი ზღვის სანაპირო გააერთიანა. მხატვრული და არქიტექტურული თვალსაზრისით, ეს იყო იმ დროის პროგრესული ნიმუში, იგი თავისი ფერადოვნებით, დენადი, პლასტიკური ფორმებით შესანიშნავად ერწყმოდა სანაპიროს სივრცეს *[ბულაია, 2014; გენგიური, 2017:189-301]*.

²⁹არქიტექტორ გ.ფ.მამიშვიისა და დენდროლოგ გ.გაბრიჩიძის მიერ შედგენილი პროექტით, უნივერსიტეტის წინა კლუმბების მწვანე საფარს ქმნიდა მცენარეები: ბუა, ტუია, კვიპაროსი, ლიგუსტრუმი, პალმა ფენიქსი, კეთილშობილი დაფნა, ციტრუსები, იაპონური ხურმა, ჩაი, ვარდები, ოლეა ფრაგრანს, მაგნოლია ფუსკატა, ჟასმინი, იასამანი.

XX ს-ის 90-იანი და 2000-იანი წლების დასაწყისის ბულვარი ინარჩუნებს ანსამბლის გეგმარებას, თუმცა, ნაწილობრივ, იცვლება ბაღის სტრუქტურა, მცირდება მცენარეული საფარი (ყვავილნარები, ბუჩქნარი მცენარეები), მცირე ზომის ბილიკები და კლუმბები ერთიანდება მოზრდილი ფორმის ნაკვეთებში, რომლის მწვანე საფარი ეფუძნება დიდი ხეების ჩრდილში გაშლილი მოლის ეფექტს.³⁰

2004 წლიდან იწყება ბულვარის განვითარების შემდგომი ეტაპი. 2004 წელს მოეწყო განაპირა, 2620 მ-ის სასეირნო ბილიკი, რომელიც იწყებოდა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირდაპირ და მთავრდებოდა ჟილინის არხის მახლობლად [ასს, ფ. ტ -1180, აღწ. 1, ს. 105]. კეთილმოეწყო ბულვარის სავალი ბილიკები უნივერსიტეტის შენობიდან არდაგანის ტბამდე (პროექტის ავტორი თ.ვაჩიშვილი) [ასს, ფ. ტ-1180, აღ. 1, ს. 1109] და სასეირნო ბილიკი სტადიონიდან იახტკლუბამდე (პროექტის ავტორი ჯ.გოგიტიძე) [ასს, ფ. ტ-1180, აღ. 1, ს. 106]. ამავე პერიოდიდან იწყება ბულვარის სიგრძეში განვითარების, სანაპირო ზოლზე გაგრძელების სამუშაოები.

2005-2015 წლებში ბულვარის სასეირნო ზოლი მოექცა ახალ მოედნებს შორის: სამხრეთიდან მას დაუკავშირდა არდაგანის ტბისა და ახალი ბულვარის ტერიტორია, აღმოსავლეთით - „საოცრებათა მოედანი“ ჰაიტეკის სტილის შენობებით („ანბანის კოშკი“, სასტუმროები „კემპინსკი“, „რედისონი, ტექნოლოგიური უნივერსიტეტი და სხვ.). კულტურული დასვენების სივრცეებს შეემატა ახალი ქანდაკებები, მოცეკვავე შადრევნები, ახალი საზაფხულო თეატრის შენობა, დამსვენებელთათვის ფუნქციონირებს სხვადასხვა ატრაქციონები, ბუნგალოები, კაფებარები, აქტიური დასვენებისათვის - ჭადრაკის სახლი, სპორტული მოედნები, კორტები, ველობილიკები, პრომენადი. თუმცა, ბულვარის ახლად განვითარებული ბაღის გამწვანების ხარისხი მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება ძველი ბულვარის სარეკრეაციო ზოლს. უფრო მეტიც, ამ ბოლო წლებში შეიმჩნევა საზოგადოებრივი ობიექტების, სასტუმროების, კაფე-რესტორნების, სპორტული კომპლექსების უშუალოდ ბულვარის ტერიტორიაზე განლაგების ტენდენცია, რაც იწვევს გამწვანებისათვის გათვალისწინებული სასეირნო ზოლის მნიშვნელოვნად შეკვეცას. უნივერსიტეტიდან ახალი ბულვარის ჩათვლით დარღვეულია ძველი ბულვარის უწყვეტი ხეივნების პრინციპი, მინიმალური რაოდენობით შემორჩა მწვანე მიწის ნაკვეთები,

³⁰ამ პერიოდში ბულვარის არქიტექტურულ ანსამბლს გამოაკლდა საზაფხულო თეატრის უნიკალური ნაგებობა, რესტორან „სალხინოსა“ და ძველი საზოგადოებრივი საკრებულოს (ოფიცერთა სახლი) შენობები.

ბალის გამწვანება, მცენარეთა ჯიშები, ადრინდელ სახეებთან შედარებით, უფრო ღარიბია.

ამდენად, ბულვარის ისტორიული განვითარების შედეგების ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ მის ტრადიციას შეადგენს:

➤ 130-წლიანი ისტორია, რომელიც ქალაქის ცხოვრებისა და ტრადიციის განუყოფელი ნაწილია;

➤ ბალისა და არქიტექტურული ელემენტების ჩამოყალიბებული გეგმარება, მცენარეული საფარის დომინანტური მნიშვნელობა, პასიური და აქტიური დასვენებისათვის გათვალისწინებული სივრცეების ჰარმონიული თანაფარდობა. მწვანე საფარის განახლების მიუხედავად სივრცითი მოწყობის ძირითადი კომპოზიციური პრინციპების შენარჩუნება.

➤ ბალის არქიტექტურული ანსამბლის დროისმიერი ნიშნები, რომელიც ატარებს ეპოქის კვალს და განსაზღვრავს საზოგადოების მეხსიერების ღირებულებით ნაწილს.

თანამედროვე ბულვარს – მის როგორც ისტორიულ, ასევე, ახალ ნაწილს ახასიათებს:

➤ სარეკრეაციო ზონის ძირითადი პრინციპების დარღვევა – მწვანე საფარის დომინანტური როლის დაკნინება და გამწვანების ხარისხის შემცირება;

➤ ბულვარის ტრადიციული სივრცისათვის მიუღებელი, მაღლივი საზოგადოებრივი ობიექტების განთავსება უშუალოდ მწვანე საფარის ლიკვიდაციის ხარჯზე (ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, კაფერესტორნები). ზომიერი მასშტაბის მსუბუქი კონსტრუქციებით აგებული შენობების ჩანაცვლება პარკისათვის შეუფერებელი ბეტონის კონსტრუქციებით ნაგები მასშტაბური შენობებით;

➤ საზოგადოებრივი, სავაჭრო, გასართობი ობიექტების ჭარბი რაოდენობა და წყნარი დასასვენებელი ზოლის მნიშვნელოვანი შემცირება;

➤ უსახური სავაჭრო და საზოგადოებრივი ობიექტების განთავსება სანაპიროს მხარეს, რაც მნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება ტრადიციული მსუბუქი კონსტრუქციებითა და მასალებით ნაგები, ფართოლიობებით გახსნილი შენობების კონცეფციას;

➤ საპარკო ნაკვეთების მწვანე ზოლში კერძო, ჩაკეტილი კომერციული ობიექტების მოწყობა (სასტუმრო „შერატონის“ კუთვნილი რესტორანი „ჟას-მინი“ საცურაო აუზით), თავის მხრივ, ეწინააღმდეგება საზოგადოებრივი სივრცის ფუნქციის შენარჩუნებას;

➤ არასწორად დასმული აქცენტები, რომლებიც არღვევენ ბათუმისა და ბულვარის გეგმარებისათვის ტრადიციული სივრცის ზღვისაკენ ორიენტირების, სივრცის გახსნილობის პრინციპის დაცვას (მაგალითად, ე.წ. „მმაჩის ბიუროს“ პავილიონი ბულვარის მთავარ შესასვლელში).

კვლევის რეკომენდაციები: ბათუმის ბულვარის მხატვრულ-ისტორიული ღირებულებების საფუძველზე *მნიშვნელოვანია*:

➤ საბაღე-საპარკო და არქიტექტურული ანსამბლის (ბაღი, ქანდაკება, პავილიონები და კაფეები) განახლება-რეკონსტრუქცია უნდა ეფუძნებოდეს ბულვარის სარეკრეაციო-საზოგადოებრივი სივრცის პრიორიტეტის დაცვას;

➤ ბულვარის ტრადიციული რეგულირებული ქსელის, გრძივი, სწორხაზოვანი ხეივნებისა და თავისუფალი გეგმარების მქონე მწვანე ნაკვეთების მონაცვლეობის, ზღვისკენ ორიენტირებისა და სივრცის გახსნილობის პრინციპების დაცვა;

➤ ბათუმის ბაღის კონცეფცია უნდა ემყარებოდეს საუკუნოვანი ისტორიის გამოცდილებას, პროფესიონალ მეზღერს, დენდროლოგთა, ლანდშაფტის დიზაინის სპეციალისტთა ცოდნას;

➤ აქტიური და წყნარი დასვენების ადგილების დაბალანსება, კულტურულ-საზოგადოებრივი და სპორტული აქტივობებისათვის განსაზღვრული შენობა-ნაგებობების ზომიერი მასშტაბების დამკვიდრება;

➤ არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების (შუქურა, კოლონადა) მოვლა-პატრონობა;

➤ საპარკო დეკორატიული ქანდაკებების განთავსების ტრადიციის შენარჩუნება ზომიერების ფარგლებში;

➤ უსახური საზოგადოებრივი ნაგებობების (კაფე-რესტორნები) არქიტექტურული იერსახის შეცვლა მსუბუქი კონსტრუქციის თანამედროვე შენობებით, ფუნქციურად არატრადიციული სავაჭრო ობიექტების (მაღაზიები) რაოდენობრივი შეკვეცა ან ლიკვიდაცია;

➤ ბათუმის ბულვარის, როგორც საბაღე-საპარკო ხელოვნების ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის დაცვა და განახლება უნდა ხორციელდებოდეს ისტორიული ბაღების დაცვის ე.წ. ფლორენციის ქარტიის ძირითადი პრინციპების საფუძველზე, რაც ადგილის სულის შენარჩუნებას, შემოგარენის დაცვას, ფიზიკური და ეკოლოგიური ბალანსისთვის საფრთხის შემცველი ქმედებების აკრძალვას გულისხმობს [*ფლორენციის ქარტია, 1982*].

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

ასს, ფ. ი-5, აღ. 1, ს. 43 – აჭარის არ საარქივო სამმართველო ფონდი ი-5, აღწერა 1, საქმე №43;

ასს, ფ. ი -5, აღ. 1, ს. 12 – აჭარის არ საარქივო სამმართველო. ფონდი ი-5, აღწერა 1, საქმე №12.

ასს, ფ. ი -7, აღ. 1, ს. 320 – აჭარის არ საარქივო სამმართველო. ფონდი ი-7, აღ. 1, საქმე №320.

ასს, ფ. ტ-1196, აღ. 3, ს. 144 – აჭარის არ საარქივო სამმართველო, ფონდი ტ-1196, აღწერა 3, საქმე №144

ასს, ფ. ტ-1196, აღ. 3, ს. 145 – აჭარის არ საარქივო სამმართველო, ფონდი ტ-1196, აღწერა 3, საქმე №445

ასს, ფ. ტ-1180, აღ. 1, ს. 105 – აჭარის არ საარქივო სამმართველო, ფონდი ტ-1180, აღწერა 1, საქმე №105.

ასს, ფ. ტ-1180, აღ. 1, ს. 1109 – აჭარის არ საარქივო სამმართველო, ფონდი ტ-1180, აღწერა 1, საქმე №1109

ასს, ფ. ტ-1180, აღ. 1^ა, ს. 106 – აჭარის არ საარქივო სამმართველო, ფონდი 1180, აღწერა 1^ა, საქმე №106.

ბულია, 2014: – ბულია მ., კაფე „ფანტაზიას“ სააღრიცხვო ბარათი, ხელნაწერი.

გენგიური, 2017: – გენგიური ნ., „ფერადი“ არქიტექტურა საბჭოთა საქართველოში, კულტურათა დიალოგი XX საუკუნის ქართულ ხელოვნებაში, თბილისი.

ინაიშვილი, 2013: – ინაიშვილი ნ., ბათუმის ისტორიული ბულვარის განვითარება, – კრ.: ბათუმი – წარსული, თანამედროვეობა (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), III, ბათუმი.

სურმანიძე, 2013: – სურმანიძე რ., ბათუმის ბულვარის კოლონადების მშენებლობის ისტორიისათვის, – კრ.: ბათუმი – წარსული, თანამედროვეობა (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), IV, ბათუმი.

ფლორენციის ქარტია, 1982 – ისტორიული ბაღების დაცვის ქარტია (ფლორენციის ქარტია), 1982, ინტერნეტ-რესურსის მისამართი:

<https://ancientgeorgia.files.wordpress.com/2015/12/historic-gardens-florence-charter-1981.pdf>

ჭიჭილეიშვილი, 2016: - ჭიჭილეიშვილი მ., ბათუმის ბულვარის ისტორია (XIX-XX საუკუნეების მიჯნა), – კრ.: ხელოვნებათმცოდნეობითი ეტიუდები, VII, ბათუმი.

Батумь. 1906: – Батумь и его окрестности. Батумь. Типография В. Киладзе и Таварткиладзе. 1906.

Maia Chichileishvili (Batumi, Georgia)


Batumi Boulevard – Tradition and Modernity

Summary

Batumi Boulevard is an integral part of the city life and traditions with its 130-year history. It is a joint architectural and horticultural composition with formulated planning and structure, that is interesting for public in historical and artistic viewpoint. The arrangement of the Boulevard is based on the knowledge and experience of professional agronomists. Traditionally, the Boulevard contains specially arranged spaces for quiet as well as active recreation. Despite the restoration of the greenery, its main special structure, excluding the harsh interventions for the last decades, more or less preserves the original form. During the century, the Boulevard has retained the status of the city's recreational zone without alternatives. It is significant to conduct the restoration of the Boulevard as a sample of park-gardening art with observation of the main principles of historic gardens preservation – the so called Florence Charter that implies maintenance of the place soul, protection of vicinities and prohibition of actions that threaten ecological balance.



1887-1889 წწ. ბულვარის გეგმა დაკიშევიჩის რუკის მიხედვით



XX საუკუნის 20-იანი წლების ბათუმი და ბათუმის მოსახლეობა მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების ჩანაწერების მიხედვით

1921 წლის 21 აპრილს საქართველოს სსრ რევოლუციურმა კომიტეტმა გამოსცა N 28-ე დეკრეტი მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების წარმოების შესახებ. დეკრეტის მიხედვით დაარსდა **ცენტრალური მმჩის განყოფილება** – საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან და **ადგილობრივი მმჩის განყოფილებები** – მაზრებთან, ქალაქებთან, თემებთან არსებულ აღმასრულებელ კომიტეტებთან. დეკრეტი შედგებოდა 3 განყოფილების, 5 თავისა და 147 პარაგრაფისაგან. თანდართული 7 სააქტო ფორმისაგან. მმჩის ადგილობრივი განყოფილებების ძირითად ფუნქციას წარმოადგენდა მოქალაქეთა მდგომარეობის ოფიციალური დაფიქსირება, კერძოდ, დაბადებულთა გარდაცვლილთა, დაქორწინებულთა და განქორწინებულთა რეგისტრაცია. გარდა ამ ძირითადი ფორმებისა შემუშავდა აგრეთვე უგზოუკლოდ დაკარგულ და გაშვილებულ პირთა, შვილად აყვანილთა, გვარ-სახელებ გამოცვლ მოქალაქეთა ინფორმაციის შემცველი ფორმებიც. აქედან გამომდინარე მმჩის სააქტო ჩანაწერები, გარდა სტატისტიკური მონაცემებისა, შინაარსობრივად მეტად მრავალფეროვანი და მრავლის მომცველი იყო, ამ ერთი შეხედვით უინტერესო აქტებმა, ზღვისპირა ქალაქის უამრავი მნიშვნელოვანი ინფორმაცია შემოგვინახა.

ბათუმის მმჩის ქორწინების პირველი სააქტო ჩანაწერები 1921 წლის 11 ნოემბერიდან დათარიღებული. ამ დღეს იქორწინა სამმა წყვილმა, მათ შორის იყო ჯუზეპე კამპანო – გემი „კონსტანტინეპოლის“ მოსამსახურე, გენუიდან და პაოლა სოროვინა. ამავე წლითაა დათარიღებული მეექვსე – ნიკოლოზ ბესარიონის ძე სვანიძისა და შუშანიკა ვლადიმერის ასულ კაკაბაძის ქორწინება *[სუიკა, გ.723, ან.1, ქ. ბათუმის მმჩის ს. 3, ფურც. 6]*, ხოლო 1921 წლის 22 დეკემბერს დაქორწინდა ბათუმის პორტის უფროსი ბიქტორ პავლეს ძე ივანოვი და სოფიო თედორეს ასული მასალოვა *[სუიკა, გ.723, ან.1, ქ. ბათუმის მმჩის ს.3, ფურც. 37]*.

სააქტო ჩანაწერები საინტერესო ინფორმაციას გვაძლევს ბათუმის ქუჩების სახელწოდებების შესახებ. ამ დროს ქალაქში ასზე მეტი ქუჩა არსებობ-

და: ბაქოს, ოლღას, სპარსეთის, არდაგანის, ართვინის, ასათიანის, გიორგის, სვიატოპოლკ-მირსკის, ლენინის, მოსკოვის, არტილერიის, ვლადიკავკაზის, მატროსების, დონდუკ-კორსაკოვის, სკობელოვის, ქობულეთის, პავლოვის, შერემეტიევის, მიხაილოვის, ლორის მელიქოვის, ამალღების, სობორის, ლერ-მონტოვის, ბეგსკის, ტურგენევის, ერეკლეს, ერისტოვის, კომაროვის, ბულვარის, ოსტროვის, მიხეილის, ბორსკაიას, შეპელოვის, მარსკაიას, მატროსის, ვორონეჟის, ლვოვის, სანაპიროს, ლაზარეს, თბილისის, მოსკოვის, სპარსეთის, პუშკინის, ეკატერინეს, ბულვარის, მარიამის, იმერეთის, ერისთავის, ვოზნესენკის, ეკატერინეს, ერისტოვის, ოგლობჟინის, სმეკალოვის, ფონტინის, შაუმიანის, სადოვის, კოზტენოვის, გიორგიევის, ალექსანდრევის, ალექსანდრეს, ცხაკაიას, მაზარაძის, კარლ-მარქსის, კათოლიკეების, შმიდტის, ორთა ბათუმის, პავლოვის, ზინოვიევის, ჯორჯიაშვილის, სუბაცკის ქუჩები. ერთი და იგივე სახელწოდების ქუჩა სხვადასხვა აქტში შეცვლილ დასახელებით გვხვდება, მაგალითად ოლიას და ოლღას ქუჩა, ერეკლესა და ირაკლის, ზღვის და მარსკაიას, პაჟარის და პაჟარნის, ბერძნების და გრეჩესკის, სასაფლაოსა და კლადბიშევსკაიას ქუჩები. ჩანაწერებში გვხვდება ასეთი სახელწოდებებიც: თათრის, სამხედროს, ქართველების, საბჭოთა კომისრების, მესამე სანაპიროს, ყაზარმის, ნავთის, თეატრის, მეგრელის, სავაჭროს, ელექტრონის, არტელის ქუჩები; ყრუ შესახვევეი, ქართული შესახვევეი, შადრევნის შესახვევეი, გურულების შესახვევეი, აჭარის შესახვევეი, უსახელოს შესახვევეი. ქალაქში არსებობდა მარინეს პროსპექტი, მოგვიანებით ჩანაწერებში გვხვდება ეკატერინეს გამზირი, არტილერიის გზატკეცილი, ართვინის შოსე, წითელი გადასახვევის ქუჩა. აქტებში მოიხსენიება ჭაობის და უსახელოს დასახელებები.

ბათუმში ჩამოსული სტუმრებისთვის ქალაქში მუშაობდა სასტუმროები: „ავრორა“, „ფრანცია“ „ევროპა“ „აბო“ „კოლხეთი“, „არმენია“, „კოდორი“ უფრო გვიანდელ ჩანაწერებში დაფიქსირებულია სასტუმროები „ლონდონი“, „ორიენტირი“ და „ნეპოლი“. აქედან გამომდინარე 20-იანი წლების დასაწყისში ბათუმში არსებობდა 9 სასტუმრო.

გარდა ჩვეულებრივი საცხოვრებელი სახლებისა, საცხოვრებელ ადგილებად მითითებულია წითელი ყაზარმა, არტილერიის გოროდოკი, შიბაევის ქარხანა, არდალიანის ყაზარმები, ჯავშნიანი მატარებელი 54.

დაქორწინებულთა პირველ სააქტო ჩანაწერებში ეროვნებით თურქი და პოლონელი მოქალაქეები ჭარბობდნენ. მომდევნო 1922 წლის მმჩის სააქტო ჩანაწერების მიხედვით ცნობილი ხდება, რომ 2 იანვარი ჩვეულებრივი სამუშაო დღე იყო, ამ დღეს ქალაქ ბათუმში დაქორწინდა 6 წყვილი. დიდ სიჭრელეს გვიჩვენებს მმჩის ჩანაწერები ერთის მხრივ ეთნიკური, მეორეს მხრივ

სარწმუნოებრივი თვალსაზრისითაც. ბათუმში ქორწინდებოდნენ არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ ჩამოსული, დროებით მაცხოვრებელი ადამიანებიც, ძირითადად კი ვაჭრები, კომერსანტები, საზღვაო ოფიცრები. სპარსეთის, თურქეთის, პოლონეთის, იტალიის საფრანგეთის ქვეშევრდომები, რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებიდან: კურსკის, სარატოვის, პოლტავის, ციმბირის გუბერნიიდან დროებით თუ მუდმივად ჩამოსული მოქალაქეები, ქორწინება ხდებოდა ადგილობრივ მოქალაქეებთანაც, ასე მაგალითად 1922 წლის იანვარში ალფრედ იოვანეს ძე ბორნმა ცოლად მოიყვანა სიუზანა ვაჩნაძე, ამ წელს დაქორწინდა კომერსანტი ეტენვერესი, საფრანგეთიდან, კინოს მსახიობი – ვლადიმერ შმიდტი, რომან კოდონო – ოფიცერი იტალიიდან, კომერსანტი ნიკოლოზ კალანდუი, ასევე იტალიიდან; გერმანელი ფარმაცევტი, მახინჯაურში მცხოვრები – რუიფერი. სააქტო ჩანაწერებით ირკვევა, რომ 1924 წელს მეორედ იქორწინა ცნობილმა აგრონომმა და მახინჯაურში აგარაკებისა და ცნობილი გოგიდის წყაროების მეპატრონემ ვიქტორ იოანეს ძე პანცერმა, რომელმაც ცოლად მოიყვანა გერმანელი ქალი ანელი ვლადისლავის ასული კოლოსოვსკაია [სუიგა, ფ. 723, ან.1, კ. ბათუმის მმჩის ს. 33, ფურც. 142]. 1922 წლის იანვარ-თებერვალში ქალაქ ბათუმის მმჩის განყოფილებაში სულ 97 მოქალაქემ იქორწინა.

მომდევნო 1923, 1924 წლებში ძირითადად ქორწინდებოდნენ სამხედრო მოსამსახურენი. ამ წლებში ასევე შექმნეს ოჯახები მოსე ბახტაძემ – ბუნების მეტყველების მეცნიერებათა კანდიდატმა, სედად რეშადიშვილმა – მუსულმანური გაზეთის რედაქტორმა სტამბულიდან; მსახიობმა – ფეოდორ შუბინმა; იაკობ ტორჩინსკიმ – მრეწველმა; გრიგოლ ლადიმემ – ადვოკატმა; მიხეილ ღლონტმა – მიწსაკომის თანამშრომელმა; ოსმან მოწყობილმა – აჭარის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ; მამედ გოგიბერიძემ – აჭარის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ; ნური ოსმანის ძე ბერიძემ – მწერალმა; ფემისტოკლე გრიგორიადმა – გაზეთ „კომუნისტის“ მდივანმა; ოვანეს შამშიანმა – სომხური ბანკის მმართველმა; ელიზბარ ამირეჯიბმა – მუსიკოსმა, თბილისიდან; რობერტო ფეგუსინმა – ამერიკის კომიტეტის წევრმა, კონსტანტინე ლავრენტიევმა – მხატვარმა; ლავრენტი სვანიძემ – მუსიკოსმა, თბილისიდან; დიკანოვსკიმ – შავი ქვის მრეწველმა; ექიმებმა – სერგეი ლისოვმა, იულონ მარუკოვმა, ლეონიდ ემელიანოვმა, ერმალოზ სოფრომაძემ, სერგეი რალევიჩმა, სამუელ სერვეტნიკმა; მაკარ მასხარაშვილმა – კომერსანტმა; მიხეილ ნუცუბიძემ – ჟურნალისტმა; გრიგოლ ანდლულაძემ – ფერშალმა; ნიკოლოზ ჩაბრავამ – მეეტლემ; იაკობ გორდონმა – მუსიკოსმა; სერგეი იასნიკოვმა – მხატვარმა; სამოელ ბარტაშევიჩმა – ფარმაცევტმა. მექორწინეთა

აქტებში, საცოლისა და საქმროს ხელობის გრაფაში მამაკაცთა უმრავლესობას მითითებული აქვთ მათი საქმიანობის სფერო, საცოლეთა უმრავლესობას კი უწერია – ოჯახის ქალი, იგულისხმება – დიასახლისი. სააქტო ჩანაწერებზე ხშირია ჩამწერის მიერ გაკეთებული არა ოფიციალური წარწერები. ამ მხრივ საინტერესოა მიხეილ ღლონტის ქორწინების სააქტო ჩანაწერი, სადაც აქტის შემვსების მიერ მიწერილია – „ორივენი ჩემი პირადი ნაცნობები არიან“.

მიუხედავად იმისა, რომ მმჩის სააქტო ჩანაწერების აქტების ფორმები, 1921 წლის აპრილში უკვე მზად იყო, მის დახვეწას და სრულ წესრიგში მოყვანას საკმაოდ დრო დასჭირდა. გვხვდება აქტების ნაირსახეობა, ხელნაწერი აქტის ფორმებიც, რომლებიც ასეა დასათაურებული „ქორწინების ჩის წიგნი“ – ქორწინების ჩანაწერების წიგნი.

როგორც უკვე აღვნიშნე, ქალაქში ხშირი უცხოელ მოქალაქეთა დარეგისტრირება, 1923 წლის მაისს აგვისტოს დაბადების წიგნის სააქტო ჩანაწერების შედარების შედეგად გაირკვა, რომ სულ ამ პერიოდში ბათუმში დაიბადა და დარეგისტრირდა ადგილობრივებისა და ჩამოსულთა 308 ახალშობილი, აქედან ქართველი 49, რუსი – 53, სომეხი – 116, ებრაელი – 23; სპარსელი, იტალიელი, ლატვიელი ყველა ერთად – 4 *[სურცა, გ.723, ან.1, ქ. ბათუმის მმჩის ს.18]*.

საკმაოდ მრავლისმეტყველია ბათუმში დაბადებულ მოქალაქეთა სააქტო ჩანაწერები, თუმცა 1921 წლის არა სრული სახით წარმოდგენილი. პირველი აქტის ფორმები ხელით არის შევსებული, დაბადებულთა ჩანაწერებში დაფიქსირებული იყო ახალშობილის სახელი, მშობლები, მათი წლოვანება, სპეციალობები, საცხოვრებელი ადგილი, სქესი. ამ დროს დაბადებული ბავშვების მშობლები ძირითადად მუშათა კლასის წარმომადგენლები იყვნენ, მეჩექმე, მეჩუსტე, მეეტლე, მეყავე, იყვნენ ასევე სანაპიროს მეზღვაურები, მოანგარიშეები, მონტიორები, ვაჭრები, ქვის მთლელები, დურგლები (იშვიათია), მეკასრეები, ფოსტის მოხელეები, მუსიკოსები, სახელმწიფო სამსახურის მოხელეები. გვხვდება ისეთი ჩანაწერებიც, როდესაც მამაკაცს პროფესიად უწერია: ოჯახის კაცი, სახლის პატრონი. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ზოგიერთ სააქტო ჩანაწერში მშობლების პროფესიაში წერია – ინვალიდი. ყურადღებას იპყრობს ერთი გარემოებაც, ფეხსაცმლის მკერავები დაყოფილნი არიან: მეწაღე, მეჩუსტე, მეჩექმე, აზიური ფეხსაცმლის ხელოსანი, ფეხსაცმლის მკერავი და ფეხსაცმლის მოხელე. ასევე ვაჭარი მოიხსენიებიან: ყასაბი, ფეხზე მოვაჭრე, ხილის მოვაჭრე, ხორცის ვაჭარი, ნოქარი, წვრილი მოვაჭრე.

1923 წელს სულიმან ბარამაძეს, აჭარის ცენტრალური კომიტეტის მდივანს შეეძინა ვაჟი. ექიმ პანაოტი სულიუდისს შეეძინა მეოთხე შვილი, ვაჟი გიორგი; სასამართლოს უფროსს გამომძიებელს – გიორგი ამალაბელოს ასევე

შეეძინა მეოთხე შვილი – ვაჟი, მანუჩარ ამადლობელი. 1925 წელს კანცელარიის მოხელეს პარმენ ლორიას (თუმცა მის ბიოგრაფიულ მონაცემებში არსად არ არის ნახსენები ეს სამსახური.) – შეეძინა ქალიშვილი ადელაიდა ლორია, პირველი შვილი. სააქტო ჩანაწერი 1921-1925 წლების წლოვანების აღდგენის წიგნშია განთავსებული. აქვე ვხვდებით მეტად საინტერესო ჩანაწერს: შალვა ნიკოლოზის ძესა და ელენე ფეოდორის ასულ დადიანებს შეეძინათ პირველი შვილი – ქალიშვილი ელპის, ელენა, იგივე ნადეჟდა დადიანი (ახალშობილი სამი სახელითაა დაფიქსირებული), რომელიც 1919 წელს ქ. ოდესაში დაიბადა. ბავშვის დაბადებისას შალვა იყო 32 წლის, მეუღლე 22 წლის *[სურცა, გ.723, ან.1, ქ. ბათუმის მმჩის ს.10, ფურც. 90ა]*.

1921 წლის ჩანაწერებში ინახება მახინჯაურში ცნობილი აგარაკებისა და დიდი სასოფლო სამეურნეო მიწების ერთ – ერთი მეპატრონის იოჰანეს (ივანეს) პანცერის შვილიშვილის ავგუსტ ერნესტ კარლის დაბადების (1920 წლის 17 ნოემბერი) აღდგენის სააქტო ჩანაწერი, მშობლები ოსმალეთის ქვეშევრდომი ბიქტორ ივანეს ძე პანცერი და გერმანიის ქვეშევრდომი ევგენია ავგუსტოს ასული პანცერისა.

წლოვანების აღმდგენ აქტებში გვხვდება ჩანაწერები, როდესაც საუკუნის დასაწყისში დაბადებულ რამდენიმე ბავშვს ერთად არეგისტრირებდნენ და მშობლების ასაკი ყველა აქტში ერთი და იგივე წერია. 1921-1925 წლების ბათუმის მმჩის განყოფილების დოკუმენტებში გვხვდება როგორც სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული პირების, ასევე ადგილობრივი ცნობადი სახეების შვილების დაბადების სააქტო ჩანაწერები, ასე მაგალითად კომერსანტები: ნაუზ შნაიდერის, აკაკი რამიშვილის, დავით ლორთქიფანიძის; ვაჭრების: პატაიოტ ელევტარიადის, ამბაკო ყუფარიძის, სოლომონ შლიახოვის, პოლიკარპე რუხაძის, იაკოვ ბერუჩაშვილის, ვახტანგ ჩარგეიშვილის, იაკოვ გურევიჩის, შალომ ელაშვილის, მიხეილ ბრინდის, ანასტასი პარასკევიშვილის, ხასია გოლდშტეინის, სილოვან მიქაძის; მასწავლებლების: დავით კასრაძის (ამ პერიოდში ბათუმში მოღვაწეობდა მწერალი დავით კასრაძე), ინჟინრების: იული შევალიეს – ამერიკელი ელექტრო ინჟინერი, აბრამ დომბას, გრიგოლი პოპოვის, ალექსანდრე ნემსაძის; იურისტების: მიხეილ ფეფელოვის, კოსტანტინე ანდრონიკინის, ვიტალი კუზინტინის; მსახიობების: ანდრია და მარია კოტლიკების, ალექსანდრე ალექსანდროვ – ტუხტანოვის, ივანე დოხოლოხოვის.

ბათუმში უამრავი დაწესებულება მუშაობდა, მათ შორის ნავსადგური, საავადმყოფოები, სამშობიარო სახლი, სომხების კოოპერატივი, საკონდიტროები, საცხოვრებელი, სავაჭრო ობიექტები, რკინიგზა, აფთიაქები, „აიკომი“- ამერიკული კომპანია და.

ასევე საინტერესოა ბათუმის მმჩის აქტები განქორწინების შესახებ. ამ აქტებით ცნობილი ხდება არა მარტო პიროვნებების პირადი მონაცემები, არამედ ამ დროისათვის მათი ბინადრობა, მათ შვილების რაოდენობა, განქორწინებაზე გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო, ადგილი სადაც განქორწინება მოხდა და ეკლესიები სადაც დაქორწინდნენ. პირველი წიგნი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია 1921 წლის ოქტომბრით თარიღდება, ცნობილი ხდება, რომ XX საუკუნის დასაწყისში ბათუმში მოქმედებდა ლუთერანების ეკლესია, ბათუმის წმინდა გიორგის ეკლესია, ბათუმის მთავარანგელოზის სახელობის და ბათუმის სმეკალოვსკის ტაძარი. შედარებისთვის 1922 წელს ივნისიდან 1923 წლის ივლისის ჩათვლით სულ განქორწინდა 165 წყვილი. მათ შორის ცნობილი პიროვნებები: გერთლოდ ვლადიმერის ძე სტიური – დანიის მოქალაქე, კოპენაგენიდან, მწვანე კონცხის აგარაკების მეპატრონე და მისი მეუღლე იანინა ვაინეს ასული შატკოვსკი, ვარშავიდან. [სუიგა, გ. 723, ან.1, ქ. ბათუმის მმჩის ს. 15, ფურც. 239], ალექსანდრე თედოს ძე ლისიცკი, მწვანე კონცხის ერთ-ერთი აგარაკის მეპატრონე და მარია ივანეს ასული ლისიცკაია [სუიგა, გ.723, ან.1, ქ. ბათუმის მმჩის წ. 15, ფურც. 246].

განსაკუთრებით საინტერესოა ბათუმის გარდაცვალებულთა სააქტო ჩანაწერები. ისინი ნათელს ფენენ იმ დროს გავრცელებულ დაავადებებს, საინტერესოა ერთი მხრივ პროფესიულ დონეზე ლათინურად გაკეთებული დასკვნები, ზოგ შემთხვევაში კი ხალხური ტერმინოლოგიით გადმოცემული დაავადების მიზეზი. არის შემთხვევები, როცა ერთი და იგივე დაავადებას სხვადასხვა სახელითაა აღნიშნული, ასე მაგალითად “წყლის ავადმყოფობა”, ფილტვების ანთება, “სკლეროზი”, ქლექი, “ჩიხოტკა”, გულის ავადმყოფობა, გულის გაფართოვება, ყვავილი, “პარტახტიანი სენი,” ტიფი, სისხლნაკლულობა, მუცლის ტიფი, მშობიარობის დროს სიკვდილი, ტროპიკული მალარია, ტვინის ანთება. მთელი ოთხი წლის სააქტო ჩანაწერებში სულ სამ აქტში შემხვდა გარდაცვალების მიზეზად – კიბო. ამ წლებში ფიქსირდება წნევის სულ ორი შემთხვევა, თუმცა აქვე ავღნიშნავ, არის ასეთი ჩანაწერიც – ტვინში სისხლის მორევა. ძალიან ხშირი იყო ახალშობილთა სიკვდილიანობა. პროცენტულად კი, გარდაცვალების მიზეზი – ნაწლავური დაავადებები, ყველაზე მეტი იყო. ივნისიდან ამ დაავადებებს ემატებოდა ზღვაში დახრჩობის ფაქტები, მარტო 1924 წლის ივნისის თვეში ზღვაში 8 ადამიანი დაიხრჩო. უმეტესობა თავის მოკვლის მიზნით. ზაფხულის ბოლოსა და შემოდგომის დასაწყისში მატულობდა მალარიის შემთხვევები.

დაახლოვებით ორმოცამდე ექიმი ემსახურებოდა ბათუმის მოსახლეობას, ჩანაწერებში ზოგი გვარით და სახელით მოიხსენიება, ზოგიერთი მხოლოდ

გვართ, გთავაზობთ მათ არა სრულ ჩამონათვალს: მიხეილ ჩხენკელი, წერეთელი, როინიშვილი, პლატონ გიგინეიშვილი, ინგოროყვა, ილია მარკოვი, სამხარაძე, გაიდამაშიევი, სიტმელიდი, სტაროგოვი, გიუნდრიზელი, ბორის ჩერტკოვი, კაკოლიანი, თუმანოვი, მ. რატიანი, მაჭავარიანი, ვიცკო, ვლადიმერ კალოიანი, ტახტაჯიანი, სოგოიანი, დოქტორსკი, ფესტერი, ტერ მინასოვი, ზიტმალიდი, როზენშტეინი, დვორნიკოვი, ანდრესი, ართაზიანი, კალანდარიშვილი, შატსკი, ივანე ვოსკრესენსი, ცხვედაძე, საბაშვილი (ზოგ აქტში საბაევადაც მოიხსენიება), გეინი, ივანოვი, კელზონი, ჭიჭინაძე, ელიავა, იობაშვილი და ა.შ.

ყურადღებამისაქცევია ის ფაქტი, რომ ქალაქში არსებობდა ათამდე სასაფლაო: ქართველთა სასაფლაო, ბათუმის სასაფლაო (არ არის მითითებული რომელი ეროვნებისთვის), სომეხთა სასაფლაო, ებრაელთა სასაფლაო, ბერძენთა სასაფლაო, რუსების სასაფლაო, მუსულმანთა სასაფლაო, ორთა ბათუმის სასაფლაო, ლუთერანთა სასაფლაო, სამხედრო სასაფლაო, სოუკს-სუ კათოლიკეთა სასაფლაო (ასეთი ჩანაწერიც გვხვდება), ინვალიდების სახლის ეზო, ქართული ეკლესიის სასაფლაოს ეზო, ეს ბოლო კი დადასტურებაა იმისა, რომ ოცინი წლების დასაწყისში, მიუხედავად აკრძალვისა, ჯერ კიდევ ხდებოდა ეკლესიის ეზოში დაკრძალვა.

1922 წელს ქალაქში გახსნილი იყო საავადმყოფო – პირველი საჭოთა საავადმყოფო, უფრო გვინდელ ჩანაწერებში მოიხსენიება კომუნალური მეურნეობის საავადმყოფო, რკინიგზის საავადმყოფო, სამშობიარო სახლი.

1921 წლის აპრილშივე ბათუმის მმჩის განყოფილებაში შეიქმნა უკვალოდ დაკარგულ პირთა სარეგისტრაციო წიგნები, სადაც დაფიქსირდა 19 მოქალაქის დაკარგვის ინფორმაცია..

ანნა მიხეილის ძე ალექსეევი, განცხადების შეტანისას 16 წელი იყო დაკარგული; სერგეი ალექსეევი, ვლადიმერ კლიმაშევსკი, ნიკოლოზ ჩიკლოკო, სერგო ჩხაიძე, მიხეილ დემენტიევი, ალექსი გოტრიცევი, ვასილ ათანასევი, მარია ფედჩენკო, ივანე ტრომსკი, ანდრეი შტრიხუნოვი, ნინა შიუკოვა, თეკლე იდოვივა, ნიკოლოზ დუბინინი, ვიკენტი ანდრულისი, ოლიმპიადა ნუცუბიძისა, ლიუბუშა კოუბა, ფეოდორი საველიევი, ალექსანდრე კივალოვი, ილია ზორინი. უკვალოდ დაკარგულთა დადგენილებებს მათი ახლობლის განცხადების შეტანის შემდეგ ხელს აწერდა და სათანადო ბეჭდით ადასტურებდა ბათუმის ოლქის რევკომის წევრი გიორგი რამიშვილი *[სუიცა, გ.723, ან.1, ქ. ბათუმის მმჩის ს.9]*. შემდეგი წლების უკვალოდ დაკარგულთა წიგნები აღარ ინახება.

ბათუმის მმაჩის განყოფილებამ შემოგვინახა წიგნები, გვარ-სახელების შეცვლის შესახებ. უმეტეს შემთხვევაში მიზეზი არ წერია, მაგრამ არის რამდენიმე საინტერესო ისტორია, 1921 წლის აპრილშივე ბათუმში მცხოვრებმა სტუდენტმა ილია სტეფანეს ძე არტეზოვმა (განმცხდებელი) და მთელმა მისმა ოჯახმა შეიცვალა გვარი: არტეზოვი არტეზო-ტომაზიანად გადაკეთდა, მიზეზად დასახელდა მისი წინაპრები, კერძოდ კი მისი მამის მამა გადმოსახლებული ყოფილა იტალიიდან რუსეთში და მათი გვარი რუსულ გვარად – ტომაზოვად გადაკეთდა. გვარი შეიცვალეს მისმა მეუღლემ ანამ და მათმა შვილებმა ვალენტინამ და ევგენიამ [*სუიცა, გ.723, ან.1, ქ. ბათუმის მმაჩის ს. 8, ფურც.1,2.*]

მართა წითლიძემ მამის სახელი და გვარი გამოუცვალა მიხეილ ყარანმანის ძე ქათამაძეს, რომელიც მშობლების გარდაცვალების შემდეგ მან გაზარდა. მიხეილ ყარანმანის ძე ქათამაძე გახდა – მიხეილ გოტოს ძე წითლიძე. დოკუმენტს ერთვის მართა წითლიძის განცხდება, რომელშიც ასახელებს გვარ სახელის შეცვლის მიზეზს [*სუიცა, გ.723, ან.1, ქ. ბათუმის მმაჩის ს.8, ფურც.18.*]. ბათუმში, ოლღას ქუჩა 20-ში მცხოვრებმა კაზაჩეკების მთლიანმა ოჯახმა შეიცვალა გვარი და გახდნენ კაზაჩენკოები. საფუძველი მათი განცხადებაა, სადაც აღნიშნავენ, რომ მეფის დროინდელი საეკლესიო გადამწერებმა შეცდომით შეიტანეს მათი გვარი – კოზაკ, კოზაჩეკ [*სუიცა, გ.723, ან.1, ქ. ბათუმის მმაჩის ს.8, ფურც. 28.*]. მათი განცხადება ორ ენაზეა შედგენილი. სულ, 1921 წელს, გვარ-სახელების შეცვლის 18 შემთხვევა დაფიქსირდა.

ნებისმიერ სააქტო ჩანაწერში მოგვიანებით შეტანილი ცვლილებების ასახვა პირვანდელ ჩანაწერში ხდებოდა, მინაწერის სახით, სათანადო ბეჭდითა და ხელმოწერით.

წარმოდგიდგინეთ ქალაქ ბათუმის მმაჩის მხოლოდ 1921-1925 წლების სააქტო ჩანაწერების მიმოხილვა, ამ აქტებიდან ამოკრებილი ინფორმაცია, დამერწმუნებით თვითთელი სააქტო ჩანაწერი საგანძურია და არის იმ პერიოდის ცნობილი სახეებისა და მათი ოჯახის წევრების, იმ დროს დაბადებულ, შემდეგში ცნობილი პიროვნებების ბიოგრაფიის საუკეთესო ნაწილი და ფასდაუდებელი წყარო აჭარის მხარის და მისი დედაქალაქის დემოგრაფიული და სტატისტიკური კვლევისათვის.

გამოყენებული წყაროები:

სუიკა, გ.723, ან.1, ქ. ბათუმის მმარის ს... – საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდიN723, აღწერა 1, ბათუმის მმარის 1921-1925 წლების სააქტო ჩანაწერები, საქმეები №№: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61.

Tinatin Jabadari (Tbilisi, Georgia)

Batumi in the Twenties of the XX Century and the Population of Batumi in Accordance With Records of Acts of the Civil Status

Summary

On April 21, 1921, the Revolutionary Committee of the Georgian SSR issued the 28 th decree on the production of acts of the civil status. The Civil Registry Department of Batumi started working in the spring of 1921. There are performed the overview of the recorded acts of 1921-1925 years of the Batumi Civil Registry Demartment in this theme, the informaiton collected from this acts, uninteresting from the first sight acts gave us a lot of interesting materilas about the seaside sity. The acts of the Civil Registry Department gaves us an important information about the civil status of the Batumi's population in the twentish of the past sentury, as well, as about the streets of the city, it's institutions, it's sitizens and ethnic component of the arrived guests, doctors, trading, merchants and the private life of the people with different professions, their activity. Collected information from acts, the each of which is the treasure and is about of famous persons of that period and the members of their families, born in that time, subsequently the best parts of the biography of the famous people and the priceless source of the Adjarian side and the statistic and demographic researches of its capital.

ბათუმელი „კათოლიკე სომხების“ ეროვნული წარმომავლობის საკითხისათვის

რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომში რუსეთმა, როგორც ცნობილია, მორიგი გამარჯვება მოიპოვა ოსმალეთის იმპერიაზე და კვლავ აიძულა იგი მის მოთხოვნებს დაჰყოლოდა. 1878 წლის 19 თებერვალს (ახ. სტ. 3 მარტი) სან-სტეფანოში, კონსტანტინოპოლის დასავლეთ გარეუბანში (დღევანდელი ემილქიოი სტამბულში), ხელი მოეწერა საზავო ხელშეკრულებას. შეთანხმების ძალით რუსეთმა ოსმალეთისაგან დიდი ფულადი კონტრიბუცია და ტერიტორიული დათმობები მიიღო, რომელთა შორის ბათუმიც ფიგურირებდა. შეთანხმება საბოლოოდ ბერლინის კონგრესის (1878 წლის 1 (13) ივნისი - 1 (13) ივლისი) გადაწყვეტილებით იქნა დაკანონებული.

ბათუმი ამ დროისათვის შედარებით მცირე დასახლებული პუნქტი იყო, მაგრამ მისი მოხერხებული გეოსტრატეგიული მდებარეობა და განვითარების სამომავლო პერსპექტივები არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენდა. რუსეთის ხელში მისი გადასვლა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების გაღიზიანებას იწვევდა და ისინი სხვადასხვა ფორმით ცდილობდნენ აქ საკუთარი პოზიციების შენარჩუნება-განმტკიცებას. მაგალითად, საფრანგეთმა ბათუმელი ე.წ. „კათოლიკე სომხების“ გამოყენება სცადა თავისი პოლიტიკური მიზნების რეალიზებისათვის. ფრანგული დიპლომატიის ასეთმა ნაბიჯმა ფრთხილი ინგლისის ყურადღებაც კი მიიპყრო. ჩვენ ამ საკითხს ცალკე წერილი მივუძღვენით [*ჯიბაშვილი, დიასამიძე, 2013: 85-89*], მაგრამ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ფაქტის ამსახველი ინგლისური დოკუმენტის თარგმანს კიდევ ერთხელ გავეცნოთ.

ვიცე-კონსული ბილიოტი¹ 1879 წლის 11 თებერვალს მარკიზ სოლსბერი-რისადმი² გაგზავნილ მოხსენებაში მიუთითებს:

¹ ალფრედ ბილიოტი (Biliotti) – ბრიტანეთის ვიცე-კონსული ტრაპიზონში 1873 წლიდან.

² რობერტ არტურ სოლსბერი (Salisbury) – მარკიზი, 1878-1880 წლებში საგარეო საქმეთა მინისტრი, 1885-1892 წლებში დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი.

„ვიცე-კონსული ბილიოტი მარკიზ სოლსბერს. – (მიღებულია 25 თებერვალს)

(№ 19 პოლიტიკური)

ტრაპიზონი, 11 თებერვალი, 1879

მილორდ,

...საფრანგეთის ხელისუფლებამ გააუქმა ფოთში არსებული ვიცე-საკონსულო და [სანაცვლო] ბათომში შექმნა; აქ დაინიშნა მ. რეინი, ტფილისის საკონსულოს კანცლერი, რომლის წლიური ხელფასიც 12 000 ფრანკს შეადგენს.

პროტექციის თვალსაზრისით ცვლილება არ უნდა იყოს ხელსაყრელი საფრანგეთის სავაჭრო საქმიანობისათვის, იმ მიზეზიდან გამომდინარე, რომ ფოთი ჯერ კიდევ რჩება სპარსეთისათვის საქონლის მიღების [მთავარ] ადგილად და დიდი დრო გაივლის, ვიდრე მას ბათომი აჯობებს; მაგრამ საფრანგეთის ხელისუფლებას, შესაძლებელია, სხვა მოსაზრება ამოძრავებს.

რადგანაც მ. რეინი, რომელსაც თანამდებობა მხოლოდ გასული თვიდან უჭირავს, უკვე განიხილავს ეკლესიის მშენებლობის საკითხს ბათომში მაცხოვრებელ სომეხ კათოლიკეებთან, შეიძლება დავასკვნათ, რომ საფრანგეთის ხელისუფლებას გეგმაში აქვს ამ ტერიტორიაზე გავლენის დამყარება კათოლიკე სომეხების დახმარებით, რომლებიც ქრისტიანული მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ.

ოტომანთა კონსულიც დაინიშნა ბათომში და მოკლე ხანშია მოსალოდნელი მისი კონსტანტინოპოლიდან ჩამოსვლა.

მაქვს პატივი და ა.შ.

(ხელმოწერილი)

ალფრედ ბილიოტი

[Adjara and the Russian Empire, 2003: 35].

ვინ იყვნენ ეს ე.წ. „კათოლიკე სომეხები“, რომლებმაც დიდ პოლიტიკაში ასეთი დაინტერესება გამოიწვიეს?

ბათუმელი „კათოლიკე სომეხები“ იმხანად ქალაქის ქრისტიანული მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ. ისინი, ძირითადად, ართვინიდან და მისი შემოგარენიდან იყვნენ გამოსული. საინტერესოა, რომ ართვინელი კათოლიკეები მოცემული დროისათვის თავისი ანტირუსული განწყობილებით გამოირჩეოდნენ *[ჯიბაშვილი, დიასამიძე, 2012: 138-147]*

როგორც ცნობილია, ლივანასა და ართვინში მცხოვრები სომეხების აბსოლუტური უმრავლესობა კათოლიკური სარწმუნოების მიმდევარი იყო. მაგალითად, ტრაპიზონში ინგლისის კონსულის ჯიფორდ პალგრევის 1872 წლის მოხსენებაში მითითებულია, რომ ართვინის მოსახლეობის მესამედს სომეხები

შეადგენდნენ, რომელთა უმრავლესობა კათოლიკე იყო *[Отчёт Пальгрева, 1882: 58]*. წარმომავლობით ართვინელი ალექსანდრე სუკოიანის მონაცემებით კი 1896 წელს აქ 1068 გრიგორიანელი და 3860 კათოლიკე სომეხი ცხოვრობდა *[Армянский форум Вардананк]*. წარმოშობით ასევე ართვინელი არტაშეს ზაგდასარიანიც ართვინისა და მისი მხარის სომხური მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობად კათოლიკეებს მიიჩნევს *[Forum Open Armenia]*.

აი, ამ ართვინელი კათოლიკეებიდან იყვნენ გამოსული ბათუმელი ე.წ. „კათოლიკე სომეხები“. ჩვენ ვფიქრობთ, და არცთუ უსაფუძვლოდ, რომ მათი აბსოლუტური უმრავლესობა წარმოშობით ქართველი იყო. ეს სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემებითაც დასტურდება.

ართვინის მხარის კათოლიკე სომეხების წარმოშობის საკითხზე ყურადღებას ამახვილებს დიმიტრი ბაქრაძე. ჭოროხის ხეობაში 1879 წელს ჩატარებული არქეოლოგიური ექსპედიციის საანგარიშო მოხსენებაში მკვლევარი მიუთითებს: „აღსანიშნავია, რომ ბორჩხისა და არტანუჯის საბოქაულებში მცხოვრები ე.წ. სომეხი-კათოლიკეები უმეტესწილად ქართული წარმოშობისა აღმოჩნდნენ. ისინი მოქცეული არიან სომხური სამღვდელოების გავლენის ქვეშ და დაკარგული აქვთ მშობლიური ენა, მაგრამ ახლანდელი მათი სასაუბრო სომხური ენა იმდენად არის გადატირთული ქართული სიტყვებით, რომ წარმოადგენს რაღაც განსაკუთრებულ ქართულ-სომხურ ენას. ართვინის ოკრუგში დასაქმებული ტფილისელი სომეხები მეუბნებოდნენ, რომ ისინი ვერ გაიგებდნენ აქაური სომეხ-კათოლიკეების მეტყველებას, რომ არ სცოდნოდათ ქართული ენა“ *[Бахрадзе, 1880: 3]*.

ართვინელი კათოლიკე-სომეხების განსხვავებულ ტიპზე მიუთითებს 1879 წლის „დროების“ მე-17 ნომერში გამოქვეყნებულ წერილში სოლომონ ასლანიშვილი-ზავრელიც. „ართვინელი და არდანუჯელი სომეხები შეადგენენ რაღაც სხვა გვარს სომეხებს; ისინი არ გვანან არც აზრუმელ, არც ყარაბაღელ და არც ქალაქელ (ანუ თბილისელ – ო.ჯ.) სომეხებსა“ – მიუთითებს იგი *[ასლანიშვილი-ზავრელი, 2008: 116]*.

საინტერესო შეფასებას აძლევს ბათუმელ სომეხებს (რომელთა უმრავლესობას ყველა მონაცემით ე.წ. ართვინელი სომეხ-კათოლიკეები შეადგენდნენ – ო.ჯ.) ა.ფრენკელიც. „სომეხები არც ენით, რომელიც აქ წარმოადგენს სომხური, თურქული და, განსაკუთრებით, ქართული სიტყვების ნარევს, არც კოსტიუმით არ ჰგვანან თავიანთ თანამოდმე ერზრუმელ და ყარაბაღელ სომეხებს“ – აღნიშნავს იგი *[Френкели, 1879: 9]*.

ართვინელი სომხის ტიპს თბილისელი სომხის ტიპისაგან მკვეთრად განასხვავებს აგრეთვე სამხედრო-სტატისტიკური ნარკვევის „ჭოროხის მხარე“ ავტორი პოლკოვნიკი ვ.ლისოვსკი. ფიზიკური მონაცემების და სახის ლამაზი ნაკვთების მიხედვით იგი პირველს მეორესთან შედარებით ბევრად მაღლა აყენებს [*Лисовский, 1887: 62*].

საზოგადოდ, კათოლიკე და გრიგორიანელ სომხებს შორის ძველთაგანვე სერიოზული დაპირისპირება და მტრობა არსებობდა [*de turnefori, 1988: 66-67; maisuraZe, 1982: 267*]. საინტერესოა, რომ ეს მტრობა განსაკუთრებით ართვინის მხარეში იგრძნობოდა.

იგივე ვ.ლისოვსკი, რომელიც XIX სუკუნის 80-იანი წლების სიტუაციას აღწერს, ორი მიმდინარეობის სომეხ სასულიერო პირებს შორის არსებულ მძაფრ დაპირისპირებაზე მიუთითებს. მისი სიტყვით, ეს დაპირისპირება უკანასკნელ ხანებში ისე გამწვავებულა, რომ კათოლიკეებს სასიკვდილო ცოდვის შიშით ეკრძალებოდათ გრიგორიანულ ტაძარში შესვლა [*Лисовский, 1887: 65*]. სხვათაშორის, მსგავს ინფორმაციას წავაწყდით ერთ-ერთ სომხურ ფორუმზე. ფორუმის მონაწილეს მოჰყავს თავისი წარმომოხებით ართვინელი ბებუის მოგონება. ამ ქალბატონის გადმოცემით, ართვინში გავრცელებული ყოფილა ასეთი გამოთქმა: „სომხური ეკლესიის გვერდით გავლილ კათოლიკეს საფულეც რომ დავარდნოდა, ასაღებად არ დაიხრებოდა – ვინმეს არ ეგონოს სომხურ ეკლესიას ცეცხლს თაყვანსო“ [*Hayastan - Armenian Forum*]. არ გამოვრიცხავთ, რომ ასეთი რადიკალიზმის მიზეზი ყოფილიყო აქაურ კათოლიკეებსა და გრიგორიან სომხებს შორის არსებული არა მარტო სარწმუნოებრივი, არამედ ეთნიკურ-წარმომავლობითი განსხვავებულობაც.

ზ.ჭიჭინაძე, რომელიც ადგილზე ეცნობოდა სიტუაციას და კარგად ერკვეოდა არსებულ ვითარებაში, დაბეჯითებით ამტკიცებს ართვინელი კათოლიკე სომხების ქართულ წარმომავლობას. აი, რას წერს იგი:

“დღეს რაც ართვინის სომეხ-კათოლიკენი არიან, იგინი მთლად ქართველ გვარის კათოლიკეებისაგან შესდგებიან, ხოლო დროის მეოხებით გასომხებულან, ქართული ენა დაუკარგავთ და მის მეოხებით გვარ ტომობაც დაჰვიწყებიათ. თუმცა ამბები ამის შესახებ აქ ბევრმა სომეხ-კათოლიკემ იცის, რომ ისინი ქართველთა შთამომავალნი არიან... მთელის ართვინის სომეხ კათოლიკენი შთამომავლობით ქართველნი არიან, მათში ქართული ენა ძირიანად შეირყა 1780 წლებში, შემდეგ 1800 წლამდე ყველგან ამოვარდა” [*ჭიჭინაძე, 1905: 37*].

ზ.ჭიჭინაძე ქართველი კათოლიკეების გასომხების მიზეზად მათთვის ლათინი პადრების ნაცვლად სომეხი კათოლიკე ხუცეების დანიშვნას მიიჩნევს, რაც 1720 წლის ახლო პერიოდში მოხდა *[ჭიჭინაძე, 1905: 115-116]* და რამაც ართვინელ კათოლიკეებში სომხური ენის გაბატონება, ხოლო თანდათან სომხური ცნობიერების დამკვიდრება გამოიწვია.

აღსანიშნავია, რომ სომეხი ხუცეების გვერდით საკუთრივ ქართველ სასულიერო პირებსაც აქტიურად იყენებდნენ სომეხი ასიმილატორები. თავის კიდევ ერთ ნაშრომში ზ.ჭიჭინაძე დაწვრილებით აღწერს, თუ როგორი სქემით მუშაობდნენ მხიტარისტი სომეხები და როგორი თანმიმდევრობით ატარებდნენ ქართველ კათოლიკეთა არმენიზაციის პოლიტიკას.

ზ.ჭიჭინაძის სიტყვით, თავდაპირველად „ქართველ-კათოლიკეთ შვილები ჯერეთ საქართველოში სწავლობდნენ და მერე რომში მიდიოდნენ სასწავლებლათ, იქ ამთავრებდნენ სწავლას, იქვე ეკურთხებოდნენ ლათინის ტიბიკონით და მერე საქართველოში ბრუნდებოდნენ სამღვდელთ და ქართველ-კათოლიკებს ქართული ენით ემსახურებოდნენ“. შემდეგ სომეხმა მხიტარისტებმა ეშმაკობით მოიპოვეს პაპის ნებართვა თავიანთ სასწავლებლებში მიეღოთ ქართველი კათოლიკეები. „ეს ნებართვა მხიტარისტებმა მალე აცნობეს ქართველ-კათოლიკებს და ისიც აუწყეს, რომ ჩვენს სასწავლებელში სწავლა იქნება მუქთიო, ასევე მუქთი იქნება წიგნები და ყოველნაირი საჭიროებანი და მოვლა.

ასეთის ქადაგებით სომხის მხიტარისტებმა მიიზიდეს ქართველი კათოლიკენი და მოკლე დროის განმავლობაში ისე მოაწყეს საქმე, რომ ართვინელ ქართველ-კათოლიკეთ შვილებმა, არტაანის, ანუ არდაგანის (ზემო ქართლი), შავშეთის და სხვათა კუთხის ქართველთ შვილებმა სულ აქ მხიტარისტების სკოლებში იწყეს გამგზავრება და არა რომში.

ამ გვარათ, ქართველთ შვილებს მხიტარისტები სომხურათ ასწავლიდნენ, დღე და ღამ სულ იმას ელაპარაკებოდნენ, რომ თქვენ სომეხები ხართ და არა ქართველები; თქვენი სჯულის ენა სომხური ენა არის და არა ქართული. მოწაფეებსაც უწერავდნენ ამას გულში, მერე როცა ესენი მღვდლათ ეკურთხებოდნენ და მოდიოდნენ საქართველოში, ესენიც მრევლში სულ იმას ქადაგებდნენ: ჩვენ სომეხ-კათოლიკენი ვართ, ჩვენი სჯულის ენა სომხური ენა არის, სომხური ენა ისე უნდა შეისწავლოთ, რომ მერე აღსარების თქმა თქვენს დედა ენა სომხურს ენაზედ შეგეძლოთ...

... ასე და ამ გვარათ, საქმე ისე მოეწყო, რომ მალე თვით ქართველ-კათოლიკენი მრევლში სდევნიდნენ იმ პირთ, ვინც სომხურს ენას არ სწავლობდა და

მღვდელს ამ ენაზედ არ აძლევდა აღსარების თქმას. ამ გვარის ოსტატობით, ქართველ-კათოლიკეებმა, მთელს ართვინში დაკარგეს ქართული ენა, ასევე შავშეთში და ამის სოფლებშიც, არდანუჯს, არტანს (არდაგანი) ანუ ზემო ქართლში, ლაზისტანს და სხვა ადგილებშიც“ [ჭიჭინაძე, 2017: 421-422].

აი, ასეთი თანმიმდევრული მეთოდურობით ხდებოდა ქართველთა გასომეხება. თუმცა, უნდა ითქვას, რომ სომეხთა არსენალი მხოლოდ აღნიშნული მეთოდებით არ შემოიფარგლებოდა და სხვა ხერხებსაც მრავლად მოიცავდა ტერორისა და ოსმალთა ხელისუფალთა მოქრთამვა-გამოყენების ჩათვლით. აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს მათი შესაშური ორგანიზებულობა და ერთსულოვნება ამ საქმეში.

ამდენად, მოყვანილი მაგალითებიდან კარგად ჩანს, რომ ბათუმელი ე.წ. „კათოლიკე სომეხები“, ძირითადად, ართვინიდან იყვნენ გამოსული და მათი დიდი უმრავლესობა წარმოშობით ქართველი იყო. სამწუხაროდ, დრომ და ვითარებამ სარწმუნოებრივ ნიადაგზე მათი დენაციონალიზაციის პროცესი გამოიწვია. თუ XX საუკუნის პირველ ნახევარში ბევრ მათგანს ჯერ კიდევ ახსოვდა საკუთარი ეროვნული წარმომავლობის შესახებ, ახლა ასეთების მოძებნა ნამდვილად გაჭირდება. ვფიქრობთ, მწარე გამოცდილებამ ჰკუა უნდა გვასწავლოს და მეტი აქტიურობა გამოვიჩინოთ, რათა მსგავსი ფაქტები აღარ განმეორდეს და სხვა ერების წიაღში არასოდეს გაითქვიფონ ჩვენი მოდგმის წარმომადგენლები.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

ასლანიშვილი-ბავრელი, 2008: – ასლანიშვილი-ბავრელი ს., წერილები “ოსმალთა საქართველოზე,” ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებელი დაურთეს ლელა ქურდაძემ და გოჩა საითიძემ, თბილისი.

მაისურაძე, 1982: – მაისურაძე გ., ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII საუკუნეებში, თბილისი.

ტურნეფორი, 1988: – ჟ. პ. დე ტურნეფორი, მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბილისი.

ჭიჭინაძე, 1905: – ჭიჭინაძე ზ., სამცხე-საათაბაგო, ტფილისი.

ჭიჭინაძე, 2017: – ჭიჭინაძე ზ., ქართველი კათოლიკენი როგორ გაასომხეს მხითარისტებმა, – კრ.: წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან, I, ბათუმი.

ჯიბაშვილი, დიასამიძე, 2012: – ჯიბაშვილი ო., დიასამიძე ხ., “ბათუმის საკითხი-სადმი” სომეხთა დამოკიდებულების ისტორიიდან, – კრ.: ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), II, ბათუმი.

ჯიბაშვილი, დიასამიძე, 2013: – ჯიბაშვილი ო., დიასამიძე ხ., ბათუმში მცხოვრებ კათოლიკე სომეხთა ისტორიიდან, – კრ.: ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), III, ბათუმი.

Adjara and the Russian Empire, 2003: – Adjara and the Russian Empire, 1878-1917 (British Archives on the Caucasus, Georgia), Editorial Hugo Greenhalgh, Research Robert L. Jarman, “Archival Publications International,” London.

Армянский форум Вардананк – Сукоян А., Артвин и артвинцы, Историко-этнографический очерк, Тбилиси, 1983; ინტერნეტ-რესურსის მისამართი: <http://forum.vardanank.org/index.php?showtopic=135&pid=390&mode=threaded&start=#entry390>

Бакрадзе, 1880: – Бакрадзе Д.З., Об археологический поездке, совершенной в 1879 г., по поручению Академии наук, в Чорохский бассейн, в Батум, Артвин, Арданудж, С-Пб.

Лисовский, 1887: – Лисовский В. Я., Чорохский край (Военно-статистический очерк), вып. I, Тифлис.

Отчёт Пальгрева, 1882: – Отчёт консула Пальгрева, за лето 1872 года, о берег Лазистана и прилегающих к нему внутренних Округах, между Шевкетилем или укреплением св. Николая на русско-турецкой границе на берегу Чёрного моря и Трапизондом. Перевел А. А. Ционглинский. Приложения к VII тому “Известий Кавказского Отдела Императорского Русского Географического Общества”(ИКОИРГО), Тифлис.

Forum Open Armenia – Багдасарян (Тер-Багдасарян) А., „Ардвин и ардвинцы“; ინტერნეტ-რესურსის მისამართი: <http://openarmenia.am/index.php?/topic/13341-D1%80%D0%B4%D0%B2%D0%B8%D0%BD%D1%81%D0%BA%D0%B8%D0%B5-%D0%B0%D1%80%D1%82%D0%B2%D0%B8%D0%BD%D1%81%D0%BA%D0%B8%D0%B5-%D0%B0%D1%80%D0%BC%D1%8F%D0%BD%D0%B5/>

Френкели, 1879: – Френкели А., Очерки Чурук-су и Батума, Тифлис.

Hayastan - Armenian Forum – ინტერნეტ-რესურსის მისამართი: <https://forum.hayastan.com/topic/26758-%D0%B0%D1%80%D0%BC%D1%8F%D0%BD%D0%B5-%D0%BA%D0%B0%D1%82%D0%BE%D0%BB%D0%B8%D0%BA%D0%B8-%D0%B0%D1%80%4D1%82%D0%B2%D0%B8%D0%BD%D0%B0/>

Oleg Jibashvili (Batumi, Georgia)

For the Issue of National Origin of the "Catholic Armenians" in Batumi

Summary

Most of the historical South West Georgia, which landed by the Ottomans after the Russo-Ottoman War of 1877-1878, was transferred to the Russian Empire. Among them was Batumi.

At this time, Batumi was a small settlement, but with its geostrategic location and development prospects, the West European states were of great interest. Most of the Christian population of the city was a "Catholic Armenian", mainly from Artvin and the surrounding territories.

In a document based on the relevant arguments, it was expressed and justified that the so-called Batumi Absolute majority of "Catholic Armenians" was Georgian. Their loss was caused by the entry of the Armenian Catholic Church.

გამომცემლობის დირექტორი – ნანა ხახუტაიშვილი

გამომცემლობის რედაქტორი – ლალი კონცელიძე

ტექნიკური რედაქტორი – ედუარდ ანანიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.12.2015

ქაღალდის ზომა 60X84 1/16

ფიზიკური თაბახი 30.2

ტირაჟი 200

დაიბეჭდა უნივერსიტეტის სტამბაში

ქ. ბათუმი, ნინოშვილის 35